ეძღვნება სოფლის მოძღვარს

წმ. ამბროსი ოპტინელის ცხოვრება



მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის
ქართული ეკლესია



გამომცემლობა „ახალი ივირონი"

თბილისი
2010

საეკლესიო ბიბლიოთეკა

XII

წმ. ამბროსი ოპტინელის ცხოვრება

რუსულიდან თარგმნა
ერეკლე კვანჭიანმა

რედაქტორები: გიორგი თოდუა
იოსებ გელუკაშვილი
ქეთევან გვაზავა

წიგნი გამოცემულია ღირსეული მამულიშვილების ბ-ნი ილია მორჩილაძისა და ბ-ნი პაატა სვანიძის ფინანსური დახმარებით. ჰფარავდეს ღმერთი მათ ოჯახებს გამომცემლობისთვის გაწეული დროული მხარდაჭერისათვის.

ალნიშნული გამოცემის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა და რაიმე სახით კვლავ გამოცემა წიგნის ავტორის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

© "ახალი ივირონი"

The Georgian Churche of Saint George in Moscow
Publishing House "Akhali Ivironi" ("The New Iviron") Tbilisi 2010

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

პირველი და მთავარი წამაქეზებელი მისწრაფებისა, რომელშიც ოპტინელი ბერის, სქემამღვდელმონაზონი მამა ამბროსის ცხოვრებაა აღწერილი, გახლავთ წმინდა ჯალი ოპტინის სავანისა, შეუნარჩუნებინა მადლიერი ხსოვნა თავისი მშობლიური ძეირფასი ბერისა და დიდი კეთილისმყოფლისა, ვისგანაც გადმოეცემინებოდა სიკეთე არა მარტო მონასტრის მამებსა და ძმებზე, არამედ მრავალ სხვა მისგან შორს მცხოვრებ პიროვნებებზე. მეორე მხრივ, სასურველი იყო შეეცდინათ ბერის მთელი ცხოვრების აღწერა. შეეგროვებ მასზე სხვადასხვა ცნობები, რომლებიც ჩნდებოდა პრესაში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სასულიერო ჟურნალებში, ასევე ხელნაწერებსა და სეპარ მონათხრობებში, რასაც მასთან ახლოს მყოფი ადამიანები გვაწვდებოდნენ. ბოლოს, მესამე მხრივ, მინდოდა წარმომედგინა ძირფესვიანად გადამოწმებული ცნობები ბერის ცხოვრებიდან, რადგან ქვეყანა, აქამდე გამოქვეყნებულ თხრობაში შეიმჩნევა ცდომილებები.

ბერი ამბროსის ცხოვრების შესახებ გვაქვს შემდეგი წყაროები:

1) ზეპირი და წერილობითი თხრობები ოპტინელი ბერებისა, რომლებიც ბერი ამბროსის ახლოს ცხოვრობდნენ, ასევე შამორდინის მონასტრის და სხვა დედათა მონასტრების, ასევე ზოგიერთი საერო პირების, რომლებიც მთელი სულით მისი ერთგულნი იყვნენ.

2) სკიტის ხელნაწერი მატიანე, რომელიც სკიტის ბიბლიოთეკაშიც ინახება.

3) არქივიდან ამოღებული ცნობები ბერსა: ოპტინის მონასტრის, ტამბოვისა და კალუგის სასულიერო საეპარქიო მმართველობის კონსისტორია.

4) ოპტინელი სქემამღვდელმონაზონ ამბროსის წერილები, რომლებიც ქვეყნდებოდა ჟურნალში "Душеполезное Чтение" („სულის სასარგებლო საკითხავი").

5) თქმულება ოპტინელი ბერის სქემოსანი მღვდელ-მონაზონის ამბროსის ცხოვრებაზე, დაბეჭდილი ჟურნალ „ღუშეპალეზნოე ჩტუნია"-ში (1892-1894 წ.) არქიმანდრიტ გრიგოლის (ბორისოგლებსკი) მიერ.

6) მამა ამბროსი - ე. პოსელიანინი „ღუშეპალეზნოე ჩტუნია"-ში 1892 წ.

7) მოკლედ თქმული ოპტინელ ბერზე სქემმონაზონ ამბროსიზე მისი სწავლებების დართვით. ბროშურა. ოპტინის უდაბნოს გამოცემა. მოსკოვი, 1893 წ.

8) ოპტინის მონასტრის ბერი ამბროსი. შამორდინოს ქალწულის ქალთა საზოგადოების გამოცემა. მოსკოვი, 1892 წ.

9) მხიმე დანაკლისი (ოპტინის ბერი ამბროსი). **Е.П. Ч-ца**. ბროშურა შამორდინოს ქალთა საზოგადოების გამოცემა, მოსკოვი, 1892 წ.

10) მცირე სტატიები ოპტინელ ბერ ამბროსიზე, რომლებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჟურნალებში.

ბერზე და მისი ცხოვრების აღწერაზე მოგვწია სიფრთხილით გაკეთებულ ზუსტ ცნობაზე დაყრდნობა, რაც დიდი სიყვარულით გაკეთდა.

წიგნი, რომელსაც გამოვცემთ, ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში, სასურველია დაეხატოთ ბერი ამბროსის პორტრეტი, ე.ი. ვაჩვენოთ, თუ როგორ ნელ-ნელა ამაღლდა სულიერ ცხოვრებაში, მიაღწია სრულყოფილებას და ჩამოყალიბდა „...სრულ კაცად, ქრისტეს სისავსის ასაკის ზომას" (ეფეს. IV.13); მეორე ნაწილში კი ვაჩვენოთ, ანდა შეძლებისდაგვარად გამოვაკლიოთ მისი განსაკუთრებული დამსახურება, რომელმაც განადიდა ის ჩვენს უსუსტსა და ურწმუნო დროში, ე.ი. მისი „ბერობა", ანდა ხელმძღვანელობა სულთა სახსნელად, ვინც ეძებდა ხსნას, ბოლო ჟამამდე.

ამ, მცირედშემძლებელი ავტორისთვის მხიმე საქმის, ბერი ამბროსის ცხოვრების აღწერის გამო,არქიმანდრიტი აღაპიტი ითხოვს ლოცვით შეწევნას და ღვთის კურთხევას.

პირველი ნაწილი

I თავი
ალექსანდრე მიხეილის ძე გრენკოვის (შემდგომში სქემმონაზონი ამბროსის) დაბადება და აღზრდა

სქემისანი ბერი, მღვდელ-მონა[1]ხონი ამბროსი დაიბადა 1812 წლის 23 ნოემბერს, ტამბოვის გუბერნიის იმავე მაზრის სოფელ დიდ ლიპოვიცკში. მისი მშობლები იყვნენ: მნათე მიხეილ თეოდორეს ძე და მართა ნიკოლოზის ასული გრენკოვები. ახალშობილს ნათლობისას ალექსანდრე დაარქვეს, კეთილმორწმუნე მთავრის, ალექსანდრე ნეველის პატივსაცემად, რომლის ხსენებაც ერმის დაბადების დღეს დაემთხვა. ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე პავლეს ძე[2], როგორც სეხნია წმინდა მთავრისა, მისი სულიერი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ალექსანდრეს დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთის საზღვრებიდან განდევნილ იქნა ნაპოლეონი თავისი საშინელი, გაბანაფიცურებული ურდოებითურთ.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მტრებისაგან გათავისუფლებული რუსეთი განსაკუთრებული სარწმუნოებით დღესასწაულობდა იმ წმინდანის დღეს, რომელიც მათი მეფის თანამოსახელე იყო. როგორც თვად ბერი გვეუბნებოდა, ჩანს, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ერმის დაბადების დღეს ლიპოვიცელი გლეხებში განსაკუთრებული სადღესასწაულო განწყობილება შეინიშნებოდა.

---

[1] თვითონ ბერმა არ იცოდა დასაბუთებულად თავისი დაბადების თარიღი, ამიტომ ამბის საუბრისას ხშირად იმეორებდა: „რომელიღაც დღესასწაული იყო". რადგანაც ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული ყველაზე ახლოს იყო მის დაბადების დღესთან, ამიტომ ბერი ფიქრობდა, რომ სწორედ ამ დღესასწაულზე დაიბადა. სხვა ცნობების მიხედვით კი ალმოჩნდა შემდეგი: ტამბოვის მაზრის დიდი ლიპოვიცის კლირის დაბერების მიხედვით „სტიქარისან მიხეილ თეოდორეს ძეს 1812 წლის 23 ნოემბერს 17 დაბერის მიხედვით შვილისა ვაჟიშვილი ალექსანდრე. ნათლიები: მღვდელი იოანე სემიონოვი და ჯარისკაცის მეუღლე ანა მატვეევა" (ტამბოვის საეკლესიო მმართველობის არქივი).

[2] ალექსანდრე I-ის ანგელოზის დღე 30 აგვისტო იყო.

ძველად სასულიერო პირებს ჰქონდათ ასეთი ჩვეულება: ბევრ სამრეკლოში, ეკლესიის ეზოული წყარო, თითქმის მთელი მრევლი ერთმანეთის უახლოესი ნათესავი იყო. ასე იყო თაეის დროსაც დიდ ლიპოვიცაშიც. ალექსანდრე მიხეილის ძის პაპა, მამა თეოდორე გრენკოვი, იყო მღვდელი და ეკავა კეთილმოწესის თანამდებობა. მისი შვილი მიხეილი მედავითნე გახლდათ და მთელი თავისი სახლეულით მამასთან ცხოვრობდა. ზემოთ აღნიშნული ღვთისმსახურების გამო, უშუალოდ ალექსანდრეს დაბადების წინ, მამა თეოდორეს მრავალი სტუმარი ეწვია. მშობიარე ქალის სახლში განერება უხერხული შეიქნა, რის გამოც იგი აბანოში გადაიყვანეს, სადაც მოიღოგინა კიდეც[3]. შვილის დაბადების დღე - 23 ნოემბერი დედას კარგად დაამახსოვრდა, რადგან ამ დღეს მის სახლში ხალხმრავლობა იყო. შემდგომში, უკვე ოპტინის სქემისანი მღვდელმონაზონი[4], ხუმრობით ამბობდა, იხსენებდა რა თავისი დაბადების ამ უჩვეულო გარემოებას: „რიგორც ხალხში დავიბადე, ისე ხალხთან ერთად ვცოცხლობო“.

მედავითნე მიხეილ თეოდორეს ძეს რვა შვილი ჰყავდა, ოთხი ვაჟი და ოთხი ქალი. ალექსანდრე მათ შორის მეექვსე იყო[5].

---

[3] რასაც მამა ამბროსიმ შამორდინოს წინამძღვარს დედა ეკურისინიას მიუთხრო.

[4] სქელიერ ცხოვრებაში უნდა განეახლებინათ ხარისხშეცდომილი ბერი და გამოეცდილი ბერი. ეკანასკნელს ნათქვამია: „რადგან საპატიო სიბერე არც ღვთივრჩეულებაშია და არც წესთა რიცხვით განისაზღვრება. სიბრძნე ჭაღარაა ადამიანთათვის და უბიწო ცხოვრება სიბერის ასაკია“ (სიბრძნე სოლ. IV, 8-9)

[5] ბავშვები შეიძინათ შემდეგი რიგით: მარიამი, ეკატერინა, პარასკევა, ნიკოლოზი, იოანე, ალექსანდრე, პეტრე და პელაგია. მიხეილის უფროსი ვაჟიშვილი ნიკოლოზი კიევის ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორი იყო, იოანე მამის ადგილს მსახურობდა სტიჭარისნად დიდ ლიპოვეცში, მესამე - ალექსანდრე, ოპტინის ბერი, რომლის ცხოვრებასაც ალვწერთ ამ წიგნში, და მეოთხე - პეტრე მსახურობდა სამწყრალის მაგისტრად უფროსად ტამბოვში. ქალიშვილები მარიამი და პარასკევა თავის უკანასკნელ წლებს ატარებდნენ ძმის, სქემისან მღვდელ-მონაზონ ამბროსისთან ოპტინის მონასტერთან, სადაც მიიცვალნენ კიდეც. ალექსანდრეს დაბადების დროს დიდი ლიპოვეცის ეკლესია შედგებოდა შვიდი მსახური პრესვიტერებისაგან: 3 მღვდელი, 2 დიაკონი, 3 მედავითნე და 3 სტიქარისანი. ეკლესია სამების სახელობისა გამოირჩეოდა რიგორც დღეს და მინაშენი ჰქონდა სამი მნათობის სახელობის ტაძარი.

ბავშვობაში ალექსანდრე ძალიან მკვირცხლი, მხიარული და გონებამახვილი ბიჭი იყო. საბავშვო გასართობებს მთელი არსებით ეტანებოდა, რითაც მუდმივად იცვლებოდა მისი ცოცხალი ბავშვური წარმოდგენა. სწორედ ამიტომ შინ იშვიათად ჩერდებოდა; სოფელს დედა დაეკალკებდა უმცროსი შვილის აკვანი დაერწია, რაც ალექსანდრესთვის მეტად მისაწყენი რამ იყო. ამის მიუხედავად, იგი ჩვეულებრივ შეუდგებოდა ამ საქმეს და არწევდა მხოლოდ მანამ, სანამ დედა, სხვადასხვა საოჯახო საქმეებით დაკავებული, თვალს არ მიეფარებოდა. მაშინ ალექსანდრე ფანჯარასთან მიიდებდა, ფრთხილად გამოალებდა მას და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდებოდა, რათა თანატოლებთან ეთამაშა. განსვენებული ბერი ხშირად ჰყვებოდა თავის ბავშვურ ცელქობაზე; ერთხელ ის ჭერქვეშ შემძვრალა ვითომდა მტრედების დასაჭერად, მაგრამ იქიდან გადმოვარდნილა და სურვიც შესამსხვრევად გადაუჯაჭვებია. ამაზე ოჯახის წევრებისთვის არაფერი უთქვამს, რათა თავისი გულმაჯობისთვის უყვრო მეტად არ დაესაჯათ. ერთხელ, დედის შენიშვნის მიუხედავად, არ მოშვებია ქსიაში დაბმული თეთრი ცხენის გაშიოლტვას, რომელსაც, მოთმინებიდან გამოსულს, ალექსანდრე თავში დაუშავებია. გასაგებია, რომ ასეთი ცოდვა-ქცევის გამო, ალექსანდრე ოჯახში არ ჰყვარებიათ. მასთან განსაკუთრებული ერთიერთობა არც ბებიას ჰქონდა, არც პაპას და, წარმოიდგინეთ, არც მშობელ დედას, რომელიც უყვრო დიდი სიყვარულით ეჭირებოდა თავის უყვრის ვაჟიშვილ ნიკოლოზს და უმცროს პეტრეს.

საშამ, როგორც საზრიანმა ქმაწვილმა, შეიძლება არც იცოდა მისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი, ან პირიქით, იქნებ იცოდა კიდეც, ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ. ერთი რამ ფაქტია: მას არ შეეძლო ისე მოქცეულა, რომ ოჯახის უყვრესი წევრების სიყვარული დაემსახურებინა. დროდადრო სწყინდა ისიც, რომ მისი უმცროსი ძმა ოჯახში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. ბერი ამბროსი გადმოგვცემდა: „ერთხელ, შემოდგომაზე, ამით განაწყენებულმა, გადაწვეტე შური მეძია ძმაზე. ვიცოდი, რომ პაპას არ უყვარდა ხმაური და როდესაც ვიხმაურებდით, ის ქოხიორში გვწვდებოდა, განურჩევლად მტკუანისა და მართლისა. ამიტომ მე

ძალიან გავაბრაზე პაპაჩემი, რათა მისი მძიმე ხელი ჩემს უმცროს ძმაკოსაც მოხვედროდა. მოთმინებიდან გამოსულმა პაპამ ორიოდეს გვცემა. მეც ეს მინდოდა; მე, გარდა პაპისა, ამის გამო ბებიამ და დედამაც მცემეს". საერთოდ, სულმტკი სიცელქისათვის ალექსანდრეს ხშირად ტუქსავდა სამივე - პაპაც, ბებიაც და დედაც.

უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც უკვებოდა ხოგიერთ მნახველს თავისი ბავშვობის შესახებ, მშვიდი ბერი თითქოს საერთო-სახალხო აღსარებას ამბობდა საკუთარ შეცოდებებზე და საკუთარ თავს განიკითხავდა მსმენელთა წინაშე, ამიტომ თხრობას ხოგჯერ ასე იწყებდა: „ცინანიებ თქვენ წინაშე; ვაკეთებდი ამასაც და იმასაც. აი, რა დიდად ცოდვილი ვარ!"

თუ საქმეს უფრო სერიოზულად შევხედავთ, ვნახავთ, რომ ბავშვობის დროინდელი გართობანი და ცუღლუტობანი ალექსანდრესთვის მაინცდამაინც სასაყვედურო არ არის. ეს იყო უბრალოდ გატაცებები სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი ბავშვისა, რომელსაც, როგორც იტყვიან, ერთ ადგილას ვერ დასვამდი. ღვთისმოსაე ოჯახში დაბადებული და გაზრდილი, სადაც მის ყოველგვარ უბოროტო სიცელქეს უყურებდნენ, როგორც მსმენე დანაშაულს, რისთვისაც ხშირად სჯიდნენ კიდეც, ძალიან შორს იდგა ყოველგვარი გამხრწნელი ზნეობისაგან. პირიქით, ის იზრდებოდა წმინდა რელიგიური მიმართულებით... მაგალითად, სახლში პირველად კითხვა სლავური ანბანით ასწავლეს, წააკითხეს ჟამნობა და დაეითნიც. ასე რომ, მისი განათლება ემყარებოდა წმიდა ლოცვებს და ფსალმუნებს, ღვთიური სულით გამოთქმულს წმინდა მეფის, დავით წინასწარმეტყველის მიერ. მამას ყოველ დღესასწაულზე ეკლესიაში მიჰყავდა, სადაც ის მშობლებთან ერთად კითხულობდა და გალობდა კიდეც გუნდში; როცა სახლში იყო, თვალწინ ყოველთვის ედგა თავისი ნათესავებისა და ახლობლების სერიოზული, თავმდაბალი და მაღლმოსილი სახეები, რომელთაგანაც არათუ ენახა, არც გაეგო რაიმე ცუდი, გარდა იმ საყვედურებისა, რასაც მისი მისამართით ამბობდნენ. ბერი თავის დედაზე ყოველთვის ამბობდა, რომ ის წმინდად ცხოვრობდა. ალექსანდრესთვის გატაცებებს მოჰქონდა არა მავნე, არამედ სასარგებლო ნეყულებანი,

რადგან გულუბრყვილო ბავშვების გარემოცვაში იმყოფებოდა. გატაცებები მწუხარებისა და კარისაკეტილობისაგან განაშორებდნენ, რომლებიც შეიძლება მასში დაეანებულიყო მუდმივად სერიოზულ, მშვიდ ოჯახში ყოფნის გამო. ის, თუ როგორ იძია მან შური ძმაზე, არც ლირს გასახსენებლად; ეს იყო ერთადერთი შემთხვევა მისი ბავშვური თავშეუკავებლობისა. უცოდველი განა ვინ არის?

დრო ჩქარი რიტმით გადიოდა. დადგა ჟამი, ქსრენათ მშობლებს ალექსანდრეს სწავლა-განათლებაზე, რომელიც რატომღაც რამდენიმე გაჭიანურდა. ბიჭს 12 წელი შეუსრულდა, როდესაც მშობლებმა შეიყვანეს ტამბოვის სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში. ძველი სასულიერო სასწავლებლის სიღარიბემ და უბადრუკობამ, მასწავლებელთა და შესასწავლ მეცნიერებათა ნაკლებობამ ნიჭიერ ყმაწვილს ხელი ვერ შეუშალა კარგად ეკეთებინა თავისი საქმე. ის უწინდებურად სულ მხიარული იყო და უყვარდა საბავშვო თამაშები, მისთვის დაკალებულ გაკვეთილებს დაუდევრად არ ეკიდებოდა. ეს უკანასკნელი იმითაც აიხსნება, რომ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები თავიანთ აღსაზრდელებს ძალიან მკაცრად ექცეოდნენ.

ამ სასწავლებელში ყოფნის დროს ალექსანდრეს შესახებ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ცნობები არ მოგვებოვება. ბერი მხოლოდ სასწავლებლის ერთ მკერავზე ჰყვებოდა, რომელიც ბავშვებისთვის ტანსაცმელს კერავდა. მისი ალერსი ალექსანდრეს გულს ტკბილად ხვდებოდა. „როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი, – ასე ამბობდა ბერი, – სასწავლებელში გვყავდა საერთო მკერავი. მე მაღალი ვიყავი, ის სულ საშას მესახდა. ჩემს სხვა ამხანაგებს ჩემნაირად არ ეფერებოდა. ვალიარებ, – ეს ჩემთვის მეტად გულისამაჩუყებელი იყო“. ამ ფაქტს შეიძლება არც ჰქონდეს რაიმე არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ საშასთვის, რომელმაც მთელი სიყრმე მისადმი არაკეთილ-

---

[6] სიღარიბე არაა სიბილწე. ღარიბი და ჭუჭყიანი ძველებური სასულიერო სკოლა არ გამხდარა დაბრკოლება რათა იქ გაჩრდილიყვნენ ისეთი მნათობები, როგორც მისიკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი, კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი, ეპისკოპოსი თეოფანე დაუვიწყარი, მრავალი რუსული კლესიის იერარქები და დაბალი ხარისხის ტრაპეზის მსახურნი, აგრეთვე გრაფ სპერანსკის მსუყავი მრავალი საერო მოღვაწე.

განწყობილ ოჯახში გაატარა, მკერავის მოჯერება ძალიან სასიამოვნო იყო. იქნებ, ამ შემთხვევის გამო გამოუმუშავდა ბერს ანდაზის მსგავსი რამ: „ადამიანებს ალერსისაგან თვალები ეკვლებათო“.

1830 წლის ივლისში, ალექსანდრე გრენკოვი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი, განაწესეს ტამბოვის სასულიერო სემინარიაში შესაყვანად. სემინარიაში, ისევე როგორც სასწავლებელში, დიდი ნიჭის წყალობით, ის ძალიან კარგად სწავლობდა. მეცნიერებებს ადვილად ეუფლებოდა. მისი ერთ-ერთი ამხანაგი[7] ჰყვებოდა: „იყო შემთხვევა, როცა უკანასკნელი კაპიკით სანთელს შეიძენდი; იმეორებდი და ისჯებირებდი მისამზადებელ გაკვეთილებს, ის კი (გრენკოვი) ძალიან ცოტას მეცადინეობდა, კლასში მოსული სხვებზე უკეთ დაწყებდა გაკვეთილის მოკლედ სუსტად ისე, როგორც ეს წიგნში ეწერა“. ამიტომაც თავისუფალი დრო საკმარისად ჰქონდა. ბუნებით მხიარული და ცოცხალი ხასიათისა სემინარიაშიც გართობის მოყვარული გახლდათ. მისი საყვარელი გასართობი ამხანაგებთან სეირი, სიცილი და ხუმრობა იყო. ასე რომ, ყოველთვის კარგ ხასიათზე მყოფი, სასიცოცხლების სული და გული გახლდათ.

ამასთანავე, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა გართობისაკენ სწრაფვის შეკავება, როგორც ამ ჭაბუკის, ისე სემინარიის სხვა ახალგაზრდებისა, რომ არა სემინარიის მაშინდელი ხელმძღვანელობის სიმკაცრე.

აწ განსვენებული ბერი იხსენებდა მაშინდელი სემინარიის ახალგაზრდა რექტორს, არქიმანდრიტ იოანეს, რომელიც ახალგაზრდობაშივე გარდაიცვალა ტამბოვში, ერთ-ერთი ყურსით ქოლერისაგან. ის ძალიან ჭკვიანი, კეთილგონიერი, შორსმჭვრეტელი, და ამავე დროს, მკაცრიც იყო; დიდი გამოცდილება ჰქონდა, როგორც აღმზრდელებთან, ისე აღსაზრდელებთან ურთიერთობისა. იყო შემთხვევა, თუ გაიგებდა რომელიმე მასწავლებელი გაკვეთილზე დაგვიანებისა, თვითონ წინასწარ შედიოდა კლასში და ჰკითხავდა: „სად არის მასწავლებელი?“ მოსწავლეების პასუხს — „ჯერ არ მოსულა“ — იტყოდა: „გაიგზავნეთ!“ თვითონ კი კლასში მიმოდიოდა.

---

[7]ვასილ თოლორაძე ძე სვეტოსარიოვი, რომელსაც შემდგომში ვისაუბრებთ.

რომელსაც მასწავლებელი მოკიდოდა, რექტორი თითქოს აღარც ამჩნევდა მის უხერხულობას, შეხედებოდა ხოლმე ზრდილობიანად, თავაზიან სიტყვას ეტყოდა და კლასიდან მაშინვე გაეიდოდა, რითაც მასწავლებელს აგრძნობინებდა, რომ მეცადინეობა დაწყებულია.

აღსაზრდელებსაც მშვიდად მიმართავდა ხოლმე, არავის დაუყვირებდა, არ მრისხანებდა, ყოფაქცევაში უარყოფით ნიშანს არავის უწერდა, იშვიათად შემოკიდოდა კლასში და ძალიან შთამაგონებლად გვესაუბრებოდა: „მე ყველას კარგად გიცნობთ; თქვენი ყველა შესაძლებლობა და მიდრეკილება ვიცი. მე არ დაგიწყებ კარგი მოსწავლეების მხილებას, ხოლო თქვენ, აი, მაგალითისათვის... დაასახელებდა გვარს, ის დგებოდა. რექტორი ყველას წინაშე იწყებდა ლაპარაკს: „შენ მიდრეკილება გაქვს ამისკენ და ამისკენ"; ააყენებდა შემდეგ მოსწავლეს და შემდეგნაირად ამხილებდა: „აი შენ ამისკენ და ამისკენ გაქვს მიდრეკილება", ბოლოს დაამატებდა: „ისინი ამხანაგურად გამოტყდებიან თქვენ წინაშე". მართლაც, მხილებულნი აღიარებდნენ, რომ რექტორმა სიმართლე თქვა. ამის შემდეგ თუ რომელიმე მოწაფე ისარმაცებდა, გაკვეთილს არ მოჰკიდებოდა ან კლასში არ იქნებოდა, რექტორი ეტყოდა: „ფრთხილად იყავი, გამხილებ ყველას წინაშე". საიდან ჰქონდა ასეთი გულმოდგინება. საერთოდ ამ რექტორის წინაშე, აწ განსვენებული ამბროსი ბერის სიტყვით, ყველა ძრწოდა, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც, ამ უკანასკნელთა შორის კი, რა თქმა უნდა, იყო ახალგაზრდა გრენკოვიც.

სალვთისმეტყველო მეცნიერების გაკვეთილებს ალექსანდრე მიხეილის ძე უკვე სხვა რექტორისაგან, არქიმანდრიტ ადრიანესაგან ისმენდა. ის დაბალი კაცი იყო და ოდნავ კოჭლი. ახალ რექტორს არ ჰქონდა ის სიმკაცრე და შორსმჭვრეტელობა, რაც მის წინამორბედს გააჩნდა. სამაგიეროდ ტამბოვის ახალგაზრდა ეპისკოპოსი არსენი (შემდგომში კიევის მიტროპოლიტი) ძალიან მკაცრად ეპერობოდა სემინარიის აღსაზრდელებს, თვითონ ესწრებოდა გამოცდებს და დიდ ყურადღებას იჩენდა მათი გამოცდისას – ჰქონდათ თუ არა კარგად ნასწავლი საგანი. ცუდად მოპასუხეს იქვე სჯიდა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე. ერთხელ, გამოცდებზე ჩამოსულმა, მოსწავლეებს რომელიღაც საგანში კითხვები დაუსვა, მაგრამ მისდა

გასაკვირად, ბავშვები არ პასუხობდნენ. გაბრაზებულ მღვდელმთავარს უნდოდა ისინი დაეშინებინა; მერე აღმოჩნდა, რომ ბავშვები უდანაშაულონი იყვნენ. მღვდელმთავრის კითხვაზე, თუ რატომ არ პასუხობდნენ მოსწავლეები, რექტორმა პასუხში მოიხსენია და მღვდელმთავარს განუმარტა – თურმე ბავშვებმა გამყორება ვერ მოასწრეს იმისა, რასაც მეუფე ეკითხებოდა. „მაშინ რატომ აღნიშნე ეს კონსპექტში?“ – მკაცრად, უცერემონიოდ მიმართა მღვდელმთავარმა რექტორს და მკაცრი საყვედურიც გამოუცხადა.

ეპიზოდიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ალექსანდრემ მთელი თავისი ახალგაზრდობა – სახლსა თუ სკოლაში – სიმკაცრეში გაატარა, შეიძლება ითქვას, არა უბრალოდ, არამედ მეტად საგრძნობ სიმკაცრეში. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ალექსანდრე მიხეილის ძე გრენკოვმა 1836 წლის ივლისში წარმატებით დაამთავრა სემინარიის კურსი, სტუდენტის ხარისხით, მე-7 ნომრით და კარგი ყოფაქცევით, როგორც მის ატესტატშია აღნიშნული.

სასურველია ვიცოდეთ, თუ რომელი მუხრიერები იბადებდა მას განსაკუთრებით. თუ ატესტატის მონაცემებს გავითვალისწინებთ, ალექსანდრეს ‘ხოგიერთ საგანში კარგი შეფასება მიუღია. შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ მისი საყვარელი საგნები წმიდა წერილი, ღვთისმეტყველება, ისტორია, გრამატიკა და ლოგიკა იყო. თუ ცხელ-ვნებაში მიეცემით იმ მიდრეკილებებს, რომლებიც მას ბავშვობაში ჰქონდა, ცხადი გახდება, თუ რატომ იყო მის გულთან ეს საგნები უფრო ახლოს, ვიდრე სხვები.

ერთხელ ალექსანდრეს ლექსის დაწერა გადაუწყვეტია. აი, ასე უცებობდა ბერი ამ ამბავს გარშემოხვეულ მსმენელებს: „გამოგიტყდებით, ერთხელ ვცადე ლექსის დაწერა იმ იმედით, რომ ეს ადვილი საქმე მეგონა. შევარჩიე კარგი ადგილი, ისეთი, სადაც მთაც იყო და ბარიც, და მოვემზადე დასაწერად. ძალიან დიდხანს, დიდხანს ვიჯექი და ვფიქრობდი, რა და როგორ დამეწერა, მაგრამ ვერაფერი დავწერე“. აშკარაა, რომ ალექსანდრე არ ყოფილა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, უბრალოდ მელექსეობაც კი არ ეხერხებოდა. ‘ცნე ბერობაში ჰქონდა ჩვეულება, დროდადრო, სახუმარო ტონით

გარითმულად დაემოძღვრა მსმენელი, შესაძლებელია ანდაზებითაც[*]. ის რომ, პოეზური ნიჭი არ ჰქონდა, ნირქს ცურ სცხებდა მის ლირსებას, რადგან ქცევა ჭკუიანი ადამიანი პოეტი რიღია. საკურადღებოა ისიც, რომ ბერი, რიგორც სემით იყო ნახსენები, მსმენელებს თავის ნაკლოვანებებზე ელაპარაკებოდა, რაც პირველ რიგში საკუთარი თავის დამცირებას ნიშნავდა ხალხის წინაშე, განსაკუთრებით კი მათ წინაშე, ვინც მას წმინდანივით უყურებდა. ამიტომ ალექსანდრე თავს ხშირად უდარებდა ვინმე უნიჯო ეკსუქის, კიევო-პეჩორის ლავრის ბერს, რომელსაც ასეთი რამ არის ნაწერები: იგრძნო რა გაზაფხული ლექსის წერისა, ერთხელ, საფხულის წერარ ამინდში, დნებრის ნაპირას გამოეცდა და უცებ დაწერა ერთი სტრიქონი: „იდინე, იდინე, წყნარად დნებრო!“ ამის შემდეგ დიდხანს იჯდა სანაპიროზე და როცა უკვე აღარ შეეძლო რამე მიემატებინა დაწერილისათვის, სტრიქონს მიაწერა: „ეს ლექსი დაწერა მამა ეკსუქიმ“.

ამ მშვიდ ბერს, მამა ამბროსი უნდა დაემალა თავყანისმცემლებისაგან, რადგან ყოველდღიურ ლმერთისაგან ისეთი მაღალი სულიერი ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომლის წინაშეც ყოველგვარი მიწიერი ამაოება ფერმკრთალდება, რიგორც ღამის ვარსკვლავიანი შუქი ბრწყინვალე ყოველისმჭვრეტელობის წინაშე.

[*] ანდაზას ხშირად იშველიებდა ბერი: „სიმართლე მსიმძიმეა, მაგრამ ღმერთს უყვარს“

II თავი

მიზეზები, რომლებმაც ალექსანდრე მიხეილის ძე აიძულეს, წასულიყო მონასტერში

„ცარკითხვანი შუენნი უფსკრულ მრავალ“.[9]

უდაოა ჭეშმარიტებაა, რომ ღვთის შიში სიბრძნის დასაბამია[10], მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ღვთის შიშის დასაწყისი ადამიანურ შიშს ემყარება: თუკი არ განვიცადეთ შიში კაცთა, რომლებსაც ვხედავთ, როგორღა ვისწავლით შიშს ღვთისას, რომელიც არ გვინახავს?! თუ ამ ჭეშმარიტებას ალექსანდრეს ცხოვრებას მივუსადაგებთ, აუცილებლად მივალთ ამ დასკვნამდე: რათა სნეობრივად აღსრდილიყო, მან თავისი სიყრმე სიმკაცრეში, ადამიანური შიშის ქვეშ გაატარა; – ანუ ადამიანური შიშით; ამასთანავე, მისდა შეუმჩნეველად მის გულში შემოდიოდა და ადიბეჭდებოდა ღვთის შიში, რომელმაც შემდგომში მისი ცხოვრება სწორი მიმართულებით წარმართა.

ახალგაზრდა, მხიარულ ალექსანდრეს არასოდეს მოსვლია აზრად მონასტერში ცხოვრება. უკვე ბერობისას იგი გაიხსენებს: „არასოდეს მიფიქრია მონასტერში წასვლაზე, ამას მხოლოდ სხვები მიწინასწარმეტყველებდნენ, იღლიდ არ ეიცი, რატომ“. მაინც რატომ ფიქრობდნენ ასე სხვები? ალბათ, იმიტომ, რომ ღვთის შიში, ალექსანდრეს გულში ღრმად დანერგილი, მის ქცევებს იმ თვისებებს და მიმართულებებს აძლევდა, რაც არ ჰქონდათ მის თანატოლებს, რომლებიც უფრო ამქვეყნიური სიამისკენ იყვნენ მიდრეკილნი. ალექსანდრე საერო მეცნიერებებსაც ისე გულმოდგინედ არ სწავლობდა, როგორც წმინდა წერილს. ღვთის სიტყვა ხომ თვითონ არის ცოცხალი, მოქმედი[11], რაც მის გულში ნერგავდა და კიდევ უფრო განამტკიცებდა ღვთის შიშს.

---

[9] ფს. XXXV, 7.

[10] იგავნი სოლომ. 1.7.

[11] ებრ. IV, 12.

იგონებდა რა თავის წარსულს, ან განსვენებული ბერი ამბობდა: „ერთხელ ძალიან ავად გავხდი, გამოკეთებას პირი არ ეჭირდა. ვიმე გამოჯანმრთელების იმედი ყველამ დაკარგა არც მე მქონდა დიდი იმედი. გააგზავნეს მონასტართან; იგი აგვიანებდა. მე ვთქვი: შვილდობით ღვთის სინათლეს! და იქვე მივეცი უფალს აღთქმა, რომ თუკი ამ უსასრულებიდან გამომიყვანდა, ცხოვრებას წაიდგამდი მონასტერში“. საინტერესოა, რამ აიძულა ახალგაზრდა კაცი დაედგი ასეთი აღთქმა? მას ხომ აქამდე მონასტერზე არც უფიქრია? უსრულყოფილი და მხიარული ბავშვობის მქონე ღვთის საშინელმა სამსჯავროს შეაშინა, რომლის შემდეგაც ცოდვილები ჯოჯოხეთის მარადიულ სატანჯველში განწესდებიან. შესაბამისად, მას ეს აღთქმა – წასულიყო მონასტერში – ღვთის შიშმა დააფებინა. რა იყო მთავარი მიზეზი შემდგომში აღთქმის შესრულებისა, მონასტერში მისვლისა და მომავალი მოღვაწეობისა? ღვთის შიში, რომელსაც საფუძველი ადამიანურ შიშში ჰქონდა, ე.ი. გარკვეულ დრომდე სიმკაცრეში ცხოვრება.

ან განსვენებული ბერის თქმით, მონასტერში მისვლამდე ოთხი წლით ადრე, იგი ძლიერ დაავადდა, რამაც გაუსრებულად წარმართა მისი ცხოვრება კეთილი მიზნისკენ. მაშასადამე, ეს მოხდა სემინარიაში, ბოლო კურსზე სწავლისას, რადგან მისი დასრულებიდან მონასტერში დამკვიდრებამდე (1836 წლიდან 1839 წლამდე) მხოლოდ სამი წელი გაივლა. როგორც საქმე გვიჩვენებს, ალექსანდრეს თავისი აღთქმის შესრულება განკურნებისთანავე არ შეეძლო, ამისთვის მას კიდევ ერთი წელი სჭირდებოდა - ჯერ ბოლო კურსი უნდა დაემთავრებინა; სხვაგვარად აღთქმის შესასრულებლად დაეტოვებინა სალვთისმეტყველო სასწავლებელი - ვერც იფიქრებდა, რადგან ამის უფლებას არ მისცემდნენ არც მშობლები და არც სემინარიის ხელმძღვანელობა.

მთელი წელი სემინარიაში ყოფნამ და მხიარულმა გარემომ მაინც ვერ შეანელა მასში ბერობისაკენ ლტოლვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სწავლის დამთავრების შემდეგ ერიბა'შად მაინც ვერ გადაწყვიტა მონასტერში წასვლა. დადგა დრო შებრძოლებოდა საკუთარ თავს - ეს იქნებოდა მეტად მძიმე ბრძოლა! ის გრძნობდა, თუ როგორი აღთქმით დაუკავშირდა ღმერთს - მიეძღვნა მთელი

თავისი ცხოვრება მისი მსახურებისთვის, რომელიც ბერმონაზონს. ამასთანავე საერო ცხოვრებაც აცდუნებდა, მრავალგვარი გრძნობისმიერი სიამეების აღსრულება მის სულს მაგნიტივით იზიდავდა. ცნობილია, რომ ადამიანის ბრძოლა საკუთარ თავთან გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე: სხვადასხვაგვარი აკრძალვებისა და განსაცდელების გაძლება, ქრისტესთან თანაზიარება და, მანამ, საკუთარი ჯვარცმა – ეს ბრძოლაა, რომელიც ტკბილი, გენერალური ბრძოლა, საიდანაც ადამიანი გამოდის ან გამარჯვებული, ან დამარცხებული. იოანე კიბისაღმწერელის[12] მიხედვების თანახმად, ამბროსი ბერი ცდილას, ვისაც კი გაუჩნდებოდა ნამდვილი სურვილი ღმერთის მსახურებისა, ანუ ბერმონაზვნობისა, ურჩევდა, არ დაეყოვნებინათ და მყისიერად შეესრულებინათ ეს კეთილი საქმე.

სქმინარიიდან ახლად გამოსული ალექსანდრეს წინაშე სხვადასხვა გზა იხსნებოდა: მისთვის ღია იყო კარი უმაღლესი სასულიერო სასწავლებლისა – აკადემიისა; მას შეეძლო გამხდარიყო სასულიერო პირი მოძღვრის თანამდებობით, მაგრამ ღმერთთან ალთქმით დაკავშირებულს, არ შეეძლო თავი სხვა რამით დაეკავებინა; აირჩია ისეთი ადგილი, რომელიც მას ყურანაირად ვერ შეაკავშირებდა, თუკი მთლიანად განეშორებოდა საერო ცხოვრებას. სქმინარიის დამთავრების შემდეგ იგი ერთი მემამულის ოჯახში ბავშვების მასწავლებლად მიეწყო. ამ მოვლენის გახსენებისას ბერი სხვათა შორის ამბობდა, თუ როგორი სიფრთხილით ურთიერთობდა იგი მათთან. „იყო შემთხვევა, – ამბობდა ბერი, – როცა ცოლ-ქმარი წაიჩხუბებდა, ისინი ერთმანეთზე საჩივრებით მომმართავდნენ. მე ჩემთვის ვფიქრობდი, რა ენდა მექნა. ისინი წაიკამათებდნენ, მაგრამ ერთი ან ორი საათის შემდეგ ისევ შერიგდებოდნენ. მე კი თუნდაც ერთხელ ერთ-ერთის მხარე რომ დამეჭირა, მაშინ მეორე განეწყობოდა

[12] რუსული თარგმანი გამოიცა ოპტინის მონასტერში. სიტყვა III განყ. 4. „როგორც კი იგრძნობ (ეკლესის ღვთისმსახურებისთვის გაიქცეო ერიდან, რადგან არ იცი, როდის საჭირება და დაგტოვებს წყლიანში". თეოფანე დაჯდებულის სიტყვების მიხედვით ასე ხდება: „უფალი გაგახის, გაგახის, შემდეგ დაგტოვებს, და ამისგან არა მხოლოდ მონასტრისე ფიქრი ჩაქრება, არამედ სულის ხსნაც აორთქლდება შენში" (წერილები ეპისკოპოს თეოფანე დაჯდებულისა „სულის სარგებელ საკითხავში". 1896 წ. მარტი-აპრილი, 665 გვ.)

ჩემ წინააღმდეგ; ასე რომ, იყო შემთხვევა, როცა მხოლოდ ვისმენდი მათ საჩიურებს, კარგად ვაკვირდებოდი მათ და ჩემად ვიღიმებოდი. ისინი საბოლოოდ ერთმანეთს ურიგდებოდნენ, მე კი ორივესთან მშვენიერი ურთიერთობა მქონდა". ამ დროისათვის ალექსანდრე მისთვის უცნობ სასოგადოებრივ წესსაც ეცნობოდა: მემამულის ოჯახს სხვადასხვა წოდების ადამიანები სტუმრობდნენ, რომელთა გაცნობასა და ურთიერთობას ალექსანდრესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ყველაფრის გახსენების შემდეგ ბერი დასძენდა ხოლმე, რომ ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო და ვისთანაც არ უნდა ეცხოვრა, მოდაყვნი მხოლოდ მისგან ითხოვდნენ რჩევას და მხოლოდ მასში ხედავდნენ შემრიგებელს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად ალექსანდრეს მხიარული ხასიათისა, სულიერი ცხოვრების ნიჭი მასში უკვე საკმაო ხდებოდა.

ალნიშნული მემამულის სახლში ალექსანდრე წელიწადნახევარი მუშაობდა მასწავლებლად. მაგრამ აიქალაქ ლიპეცკის სასულიერო სასწავლებელში აღმოჩნდა მასწავლებლის თავისუფალი ადგილი, რომელიც, სემინარიის უფროსობის გადაწყვეტილებით, 1838 წლის 7 მარტიდან სწორედ ალექსანდრეს დაუმტკიცეს. იგი მალე მივიდა დანიშნულების ადგილას და დაიწყო მუშაობა პირველი კლასის მასწავლებლად. ცოტა ხანში, დაითხოვეს რა რამდენიმე მასწავლებელი, ალექსანდრემ გადაინაცვლა ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ მაღალ კლასში[13], სადაც ასწავლიდა ბერძნულ ენას და მასთან დაკავშირებულ საგნებს[14]. ალექსანდრეს ლიპეცკში[15] ჩამოსელის დროისათვის მასწავლებლებს ჰქონდათ სახაზინო ბინები – სასწავლებლის ეზოში იდგა ხის ორი კორპუსი; ერთი ქვითლად იყო შეღებილი, მეორე კი – ცისფრად. გადმოცემის თანახმად ალექსანდრე პირველ კორპუსში ცხოვრობდა. საყურადღებოა ისიც, რომ სასწავლებელში მუშაობდა ორი სტუდენტი, ალექსანდრეს ამხანაგები

[13] 1852 წლამდე სასულიერო სასწავლებელში კლასები იყოფოდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, უფროსი და უმაღლესი.

[14] ალექსანდრე მიხეილის ძე გრენკოვის სამსახურის ნუსხაში ოპტინის მონასტერში მისვლისას 1846 წელს. კალუგის საეპარქიო სასულიერო ისტორიის არქივიდან.

[15] ქ. ლიპეცკში სასულიერო სასწავლებელი ახლა სხვაანაა.

სემინარიიდან – ვასილ თოფურიას ძე სვეტოსარიული და პაველ სტეფანეს ძე პოკროვსკი. ამ უკანასკნელს მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი ალექსანდრესთან ერთი კურსით წინ იყო სემინარიაში.

იყო რა ბუნებით ცოცხალი და მხიარული ხასიათისა, ალექსანდრე მეტისმეტად ერთიბოდა საერო გასართობებით: უყვარდა სიმღერა, მუსიკა და გარკვეული პერიოდი, როგორც შემდგომში გამოტყდებოდა ხოლმე, ფიქრობდა სამხატვრო სამსახურში მოწყობაზეც. ამჟამინდელი ცხოვრება ალექსანდრესი – ყოფნა მკაცრების გარემოში – წარმოგვიდგება სულ სხვა სამყაროდ, ვიდრე ეს სკოლაში იყო, რომელსაც მისი ბავშვური ცხოვრება უსრულყოფილად მიაღიარებოდა.

სულიერად გამოცდილი ადამიანები ამბობენ, რომ ცოდვით დაცემა ხსნის მაძიებელი ადამიანისთვის ზოგჯერ ღვთივსასურველი მოშურნეობის აღმძვრელია. მსგავსი რამ მოხდა ალექსანდრეს ცხოვრებაშიც. მართალია, იგი გულმოდგინედ ადგა ღვთისმოსაობის გზას, მაგრამ დაბრკოლებებს მაინც ჰქონდა ადგილი: დაცემას დაცემა მოსდევდა, სინანულს - სინანული, ხოლო გამოსწორების პირობას – ასევე აღთქმა გამოსწორებისა. თვითონ ბერი ასე გვიხატავს თავის მაშინდელ მდგომარეობას: „გამოჯანმრთელების შემდეგ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ვნანობდი, თავს ვერ ვანებებდი საერო ცხოვრებას; ისევ განვაგრძობდი ნაცნობ-მეგობრების მონახულებასა და საუბრებში გართობას. ჩემთვის ხშირად მიფიქრია – მორჩა! დღეიდან დაივიწყები, ასრულ არ გაიყვანტები! მაგრამ უკვე შესვდავ – მიმიწვევს ვინმე სტუმრად, მეც, რასაკვირველია, თავს ვერ შევიკავებ და გავერთობი საუბრით. სახლში დაბრუნებულს კი სულ მიმიმის; ვფიქრობ: მორჩა! აწი სამუდამოდ შევწყვეტ ცბეცდობას! შესვდავ – ისევ გამომიძახეს სტუმრად; მე ისევ ვცბეცდობ. აი, ასე ვწვალობდი მთელი ოთხი წლის განმავლობაში“.

სინდისის – ამ უღმობელი მსაჯულის დასამშვიდებლად და შინაგანი ტანჯვის შესამსუბუქებლად, ალექსანდრემ გულისმიერ ლოცვას მიმართა: როდესაც მისი ამხანაგები ლოგინში ისვენებდნენ, ალექსანდრე სვეტიური დედოფლის ხატის წინ დგებოდა, რომელიც „ტამბოვის ღვთისმშობლის“ სახელითაა ცნობილი და ხანგრძლივად ადიდებდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, მწუხარეთა ნუგეშინის-

მკვმელს, ისე, რომ მას არავინ ხედავდა და არც არავის ესმოდა მისი ლოცვითი ქმითინი; მაგრამ არ თელავდა კაცთა მოდგმის უბრწყინვალესი მბერი. ალექსანდრეს ლოცვითი გმირობა არ შეიძლებოდა უცერემონიალებოდ დარჩენილიყო თავისი მეგობრებისთვის: როგორც ეს ყოველთვის ხდება, ბირთვის სწრაფვლენით, ახალგაზრდებმა, დროულად თუ დაგვიანებით, გულიანად დასცინეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ერთი მათგანი, რომელიც თითქოს გულითადი მეგობარი იყო ალექსანდრესი. იგი უცნობი ადამიანის თანდასწრებით სერიოზული, ხოლო კერძო კი ცრემლნარევი გამომეტყველებით ჩაისუნთქავდა რა ღრმად, დაიწყებდა: „ოჰ, რა დიდი უბედურება შეგემთხვა!" კითხვაზე – „რა მოხდა?" – იგი პასუხობდა: „ოჰ, ალექსანდრე ძალიან ჭკვიანია, მაგრამ გაგიჟდა! დიახ, დიახ, გაგიჟდა! გაგიჟდა! ისე მცოდება, ისე მცოდება, საწყალი_". თვითონ ღრმად ამოისუნთქავდა და მოწყენილობითად ტირილდა ისე, რომ რიგით მსმენელს მისი ეს ცინიზმი შეიძლებოდა სინამდვილე ჰგონებოდა. ამ ყეყლაფურის ატანა ალექსანდრესთვის ძალიან ძნელი გახლდათ, მაგრამ იძულებული იყო მოეთმინა. დაცინვას რომ გაქცეოდა, სალოცავად სხვენში ადიოდა, მაგრამ ამხანაგებმა ესეც გაიგეს. საჭირო იყო მოენახა სალოცავად მოხერხებული ადგილი და დრო, მაგრამ დამალვა უკვე შეუძლებელი ხდებოდა[16].

ლიპეცკის ახლოს, მდინარე ვორონეჟის გალმა, ახლაც ნახავთ ოპტინის სახასინო ტყეს. აქ, თავისუფალ დროს, ალექსანდრეს მარტო უყვარდა სეირნობა და, როგორც ჩანს, ენდობოდა გონებით განესაზღვრა ღვთის დიდებულება. ერთხელაც, ამგვარი სეირნობისას, მიადგა ნაკაღულს და ქერი მიუკვდა მის რაკრაკს: აქეთ უყვალი! შეინარჩუნეთ ღმერთი! – მას ეს სიტყვები მკაფიოდ ესმოდა და თითქოს მათ ნაკაღული წარმოთქვამდა. ამას ამბროსი ბერი ასე იხსენებდა: „დიდხანს ვიჯექი, ვუსმენდი ბუნების ამ იდუმალ ხმას და ძალიან მიკვირდა".

---

[16] ამაზე გადმოგვცემდა ოპტინელი მღვდელ-მონაზონი პლატონი, ერში პაულე სტეფანეს ძე პოკროვსკი, ალექსანდრეს ამხანაგი. გარდაიცვალა 1889 წლის 11 სექტემბერს.

ასე ატარებდა ალექსანდრე ლრიოს ლიპეცკში სხვა მასწავლებლებთან ერთად ცხოვრებისას. მოსწავლეებთან განსაკუთრებული ურთიერთობა არ ჰქონია. მასთან მცხოვრები პაველ პოკრიოვსკის ცნობით, გააჩარა რა მან თავისი ბავშვობა სიმკაცრეში, ასევე მკაცრად ექცეოდა ბავშვებს, არ უყვარდა ხარმაცებისა და ცუღლუტების წაქეზება.

ის გარემოებანი, რომლებშიც იმჟამად ალექსანდრე იმყოფებოდა, გვიჩვენებს, რომ მისგან საერო ცხოვრების დატოვება დიდი ხნით არ უნდა გადადებულიყო. ის რომ ამ სოფლისკენ ყოფილიყო, სოფელი მას შეიყვარებდა, თანახმად მაცხოვრის სიტყვებისა, მაგრამ, რადგანაც განუდგა სოფელს თავისი შეგნებით და თავისი მოიღერებით, სოფელმა მოიძულა იგი და გესლიანი დაცინვით გამოაძევა.

იდგა 1839 წლის საფხული. იელისის შუა რიცხვებია. სასულიერო სასწავლებელში გამოცდები დამთავრდა; სკოლის ბიჭი მოსწავლეები მშობლებთან წაიდნენ დასასვენებლად, რომელიც მაშინ თვენახევარი გრძელდებოდა. ორი ახალგაზრდა მასწავლებელი – ალექსანდრე და პაველ, როგორც სამსახურიდან თავისუფალნი, შეთანხმდნენ წასულიყვნენ სლანსკოე ლებედინსკის მაზრის ერთ სოფელში ამ უკანასკნელის მშობლებთან. აქედან ისინი ტროეკუროვსკში დაყუდებულ მამა იღარიონთან უნდა მისულიყვნენ, რათა მისგან რჩევები და ლოცვა-კურთხევა გამოეთხოვათ. ტროეკუროვო სლანსკიდან მხოლოდ 30 ვერსით იყო დაშორებული.

ჩამოვიდნენ. კეთილშობილმა და მოსიყვარულე მამამ, მღვდელმა სტეფანემ, ალექსანდრე ისეთივე მშობლიური სიყვარულით მიიღო, როგორც თავისი ღვიძლი შვილი პაველ. მცირე დასვენების შემდეგ ახალგაზრდებმა ფეხით გადაწყვიტეს გასეირნება ტროეკურიოვოში, რადგან ზაფხულის სამუშაო საათი იდგა და ძალიან ცხელი იყო ცხენის მოძებნა, მით უმეტეს მეურმითურთ. მათ გზად უნდა გაევლოთ სოფელი სესენოვი (7 ვერსი იყო სოფელ სლანსკიდან), სადაც ამ დროისთვის დაყუდებული იყო ღვთის რჩეული იოანე იოანეს ძე სესენოვსკი[17]. ამ სოფელში შემოსვლისთანავე, ჩვენი

[17] იმავე 1839 წლის 14 დეკემბერს ეს დაყუდებული გარდაიცვალა.

მოგზაურები გაიქცნენ სწორედ ამ დაყუდებულის სანახავად და მიაკითხეს კიდეც მის განცალკევებით მდგომ სენაკს.

სენაკი – ეს იყო პატარა, ორსართულიანი ქვის სახლი, ხეებით გარშემორტყმული, რომლებიც ღვთისმოყვარემ თავისი ხელით დარგო ტაძრის სიახლოვეს, ზოგიერთი მისი ერთგულის დახმარებით. პაპანაქება სიცხეში 7 ვერსის გავლის შემდეგ, ახალგაზრდებმა დაღლილობა იგრძნეს. პაველე მოსასვენებელ ადგილს ეძებდა. საბედნიეროდ, დაყუდებულის სენაკთან გრძელი სკამი მიეღებათ, რომლის ერთ ბოლოშიც ვიღაც მოხუცი ქალი ჩამომჯდარიყო და ჯოხით მიწას დაერღნობოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო დაყუდებულის მხრინელი დარია დიმიტრის ასული კუტუკოვა, შემდგომში ბრძენი მონაზონი, ტაძრების ამშენებელი და სესხნოვის დედათა მონასტრის დამფუძნებელი. პაველეს ბევრი არ უფიქრია, ისე ჩამოჯდა სკამის მეორე ბოლოში. აქამდე მშვიდად მჯდარი მხეცალი, რომელიც ზოგჯერ სალოსობდა, უცებ წამოხტა, მასთან მიირბინა და ხმამაღლა დაუყვირა: „როგორ გაბედე ქალის გვერდით დაჯდომა?“ და ჯოხს ისე უქნევდა თვალწინ, რომ თითქმის პირისახეს ეხებოდა. ამ ქალზე განაწყენებულმა პაველემ თანამგზავრს ჹითხრა: „წაიღეთ აქედან ალექსანდრე, როგორი წმინდანები ცხოვრობენ თურმე აქ“[18]. ალექსანდრე მშვიდად იდგა მათ წინ, იგი ამხანაგს მოცდას სთხოვდა, ხოლო მხრინელს ეეცდებოდა ეცნობებინა განდეგილისთვის მათი მოსვლის შესახებ. მეცობრებმა მაინც ვერ მოახერხეს წმინდა მამის ნახვა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაყუდებულმა ბერმა სულით განჭვრიტა მათი მთავარი მიზანი – წასულიყვნენ ტროეკუროვოს განდეგილთან, მამა ილარიონთან, რომელთანაც ადრე თვითონაც დადიოდა სულიერი რჩევების მისაღებად და ამიტომ არ მიიღო ისინი.

ქალაქ ლებედიანის გაცილით ალექსანდრემ და პაველემ მიაღწიეს ტროეკუროვომდე. მამა ილარიონმა ორიეე მამობრივი სიყვარულით

---

[18] შემდგომში პაველე და დარია (დარიკო) ჭეშმარიტი მეგობრები გახდნენ. ის ოპტინის მონასტრიდან მოდიოდა ხოლმე აქ და 1849 წელს გახდა ბერი, მონაზონი (დარია) იგონებდა ხუმრობით: „გახსოვს, ჯოხით როგორ შეგაშინე?“ დარიკო გარდაიცვალა ღრმა სიბერეში 1858 წლის 28 იუნისს 85-86 წლის ასაკში.

მიიღო. მისთვის ჩვეული სამი დიდი მუტანიის შემდეგ, რომლებსაც აკეთებდა ხატების წინ მასთან მოსულებთან ერთად, გაულიმა მათ და გამოჰკითხა მოსვლის მიზეზები. როცა მგზავრებმა ყველაფერი აუხსნეს, ბერმა ორიეს მათი სულიერი მდგომარეობის შესაბამისად უპასუხა: ალექსანდრეს ოპტინაში წასვლა ურჩია, შენ იქ ხარო საჭირო[9], ხოლო პაველს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განწყობილი სამონასტროდ, თვითონვე უთხრა ბერს: „მე თვითონ არ მინდა, მამაო, მონასტერში წასვლა“, რასაც მამა ილარიონმა მამობრივი გულმოწყალებით უპასუხა: „არა უშავს, პაველ, იყავი ჯერ ერში“, რითაც აგრძნობინა, რომ ღვთის განგება მასაც ბერული ცხოვრებისთვის ამზადებდა, ოღონდ ალექსანდრესაგან განსხვავებით, ოდნავ მოგვიანებით.

აქ ალექსანდრე სრულიად შემთხვევით შეხვდა თავის სემინარიულ ამხანაგს, სოფელ გუბინის მღვდელს, მამა ნიკანდრე ანდრეევს, რომელსაც ასევე განსაკუთრებული სიყვარული ჰქონია ბერი ილარიონისადმი, რისთვისაც ხშირად აკითხავდა მას. მამა ნიკანდრე ჰყვებოდა, ერთხელ ბერის სენაკიდან გამოსულმა როგორ დაინახა მირებზე მსხდარი ორი ახალგაზრდა, რომელთაგან ერთ-ერთში მან ალექსანდრე ამოიცნო. მისალმებისა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ალექსანდრემ აუხსნა მას მამა ილარიონთან მისვლის მიზეზი და ასევე გაუმხილა ბერის რჩევა ოპტინაში წასვლის შესახებ. ძველი ამხანაგებისთვის ეს მოულოდნელი და სასიამოვნო ცნობა ამითვე დამთავრდა.

ამრიგად ჩვენი მგზავრები სლანსკში დაბრუნდნენ მას შემდეგ, რაც აისრულეს გულისნადები – შეხვედროდნენ ბერ ილარიონს.

---

[9] მამა ამბროსიმ თავისი სიმკაბლის გამო იმთავითვე ვერ ახსნა ეს სიტყვები. მას ეკითხებოდნენ: „მამაო, რა გითხრა მამა ილარიონმა, როდესაც გაკურთხა წასულიყავი მონასტერში?“ - ის ორჭოფულად პასუხობდა: „ვიცე არ მახსოვს, ბევრი დრო გავიდა. ტყუილა, იმიტომ მირჩია ოპტინაში წასვლა, რომ აქ სულიერად გამოცდილი ბერები ცხოვრობდნენ“. მაგრამ მაშინვე მამა ილარიონის სიტყვების ახსნა შეუძლებელი იყო, რადგან მათ ისმენდა ალექსანდრეს ამხანაგი პაველ, აგრეთვე ის, რომ მაშინ ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭა. ეს სიტყვები კი პაველს ძმამ ალექსანდრე გრიშოვმა გადმოგვცა,რომელიც ლიპეცკში მათთან ცხოვრობდა. ის ახლაც ცოცხალია.

სექტემბრამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო, ამიტომ მათ ჭკუაში დაუჯდათ ტრიუკო-სერგიუსის ლაშქრობაში წასვლა, ღირსი სასწაულთმოქმედი სერგი რადონეჟელის წმინდა ნაწილების თაყვანისაცემად. დაიწყეს მომზადება. ალექსანდრე უფრო მეტად სამგზავრო ურემსე სრუნავდა და ნორს ხეებს თავისი ხელებით ღუნავდა რკალისებურად, შემდეგ ამაგრებდა უბრალო სიფალური ხაზიდრის ჭიანა ნაწილზე და ქსელითა და ქსელმავებით ფარავდა, რათა ხიმინჯად ყოფილიყვნენ დაცულნი წვიმისაგან და მზის მცხუნვარებისაგან. პაველე, მისი საქმიანობის შემყურე, ეკითხებოდა: „რას აკეთებ ალექსანდრე?“ ის კი პასუხობდა: „ეჰ, ხელს ნუ მიშლი, ძმაო, გეთაყვა, არ არის შენი საქმე“. ასე და ამგვარად, სულ ცოტა ხანში ალექსანდრეს ხელით გაკეთდა ძველი რუსული ე.წ. „კიბიტკა“. ანუ დახურული, ჩარდახიანი ეტლი, საგარეო ხელა. სტეფანე, პაველეს მამა, ამ პერიოდში ხორბლის მიღებით იყო დაკავებული, ამის მიუხედავად მას ხელი არ შეუშლია ახალგაზრდებისათვის, პირიქით, ხელი შეუწყო სულისათვის სასარგებლო მოგზაურობის განხორციელებაში და სიყვარულით დაუთმო მათ საკუთარი ცხენი. მეურმეობა იკისრა გლეხმა იოანე იოანეს ძე სიროკინმა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა ლიპეცკის სასულიერო სასწავლებელში მომსახურედ, ამჯამად კი გათავისუფლებული იყო. დადგა წასვლის დრო. ახალგაზრდებმა ილოცეს, ჩასხდნენ ეტლში და გაუდგნენ გზას, თან კეთილმოწიწებული სტეფანეს ლოცვა-კურთხევა მიჰყვებოდა.

სერგიუსის სამების ლავრამდე ჩვენს მგზავრებს სამასამდე ვერსი უნდა გაევლოთ და რადგან ერთი ცხენი ჰყავდათ, მოგზაურობა ერთ კვირამდე გაგრძელდა. და აი, დიდება უფალს, მალე მიადწიეს დანიშნულ ადგილს! აქ, ქრისტეს მაძებელი ღირსი სერგის ლავრაში, მისი გმირობებისა და საქმეების გახსენებისას, მის უხრწნელ კეთილსურნელოვან ნაწილთა ხილვისას, ალექსანდრეს გული სულიწმიდის მადლით გაუთბა და განუწყო იმისკენ, რათა მაგალითად აქცია წმინდანის ბერული ცხოვრება. ალექსანდრე მეტის-მეტად ხელგაშლილი გახდა, თუ რამ ჭკვიანი ჰქონდა, გლახაკებს დაურიგა; ისინიც სარგებლობდნენ ალექსანდრეს ამ უსაზღვრო გულკეთილობით, მისკენ იწევდნენ და ქრისტეს სახელით ხთხოვ-

დნენ მოწყალებას. ალექსანდრემ პოკროვსკის სთხოვა ფული, როცა თვითონ გამოულია და მისაცემი არაფერი დარჩა. სთხოვა სესხად იმ პირობით, რომ პირველსავე შესაძლებლობისას უკან დაუბრუნებდა. რაში გამოიხატება ეს პირველი შესაძლებლობა? მასწავლებლის ხელფასი მწირი იყო, ჯამაგირი მხოლოდ ხელმომჭირნეთ ჰყოფნიდათ, ამიტომ პავლე ურჩევდა არ ყოფილიყო ძალიან ხელგაშლილი და თხოვნაზეც კატეგორიული უარით უპასუხა, მოიმიზეზა, თითქოს თვითონაც არ ჰქონდა ფული. სწორედ პავლეს წინდახედულობის წყალობით ლავრის მომლოცველები მშვიდობიანად დაბრუნდნენ ჯერ სლანსკში,შემდეგ კი ლიპეცკში,სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

თ'ე მხედველობაში მივიღებთ ალექსანდრეს ახლანდელ მდგომარეობას, მის სულიერ კეთილშემართებას, დავრწმუნდებით, რომ დადგა კეთილსასურველი დრო მისი საერო ცხოვრებიდან თაყვის დაღწევისა. მაგრამ არა! ალექსანდრეს რაღაც აწუხებდა, ერისკაცობას ვერ ელეოდა. რა იყო ამის მიზეზი? ერთი მხრივ პავლე პოკროვსკი, რომელიც განუწყვეტლივ უზიზინებდა ერში დარჩენაზე, რადგან თვითონაც ერში რჩებოდა განუსაზღვრელი დროით, მეორე მხრივ კი ეშმაკის ზეგავლენაც იყო მის აზროვნებაზე. იგი ფიქრობდა: „ჯერ ახალგაზრდა ვარ. მონასტერში ყოველთვის შეიძლება წასვლა. ერშიც ცხოვრობენ ადამიანები ღვთის მოსაწონად. დღეიდან ბეჭერს არ ვიკბეჭდებ". არ ვიცით, სანამ გაგრძელდებოდა ალექსანდრეს ორჭოფობა, რომ არა ჩვეულებრივი განსაცდელი, რომელიც ღმერთმა თავისი საკვირველი განგებულებით დაუშვა მისი სულის სასარგებლოდ, რათა საბოლოოდ გაეთავისუფლებინა საერო ცხოვრებისაგან. ეს ასე მოხდა: სექტემბრის მიწურულს,ერთ-ერთმა ლიპეცკელმა ნაცნობმა ალექსანდრე სადამოზე დაპატიჟა სხვა მასწავლებლებთან ერთად. ისინიც ეწვიენენ. ღარიბულ სუფრასთან დაიწყო ჩვეულებრივი საუბარი. გაერთო ალექსანდრეც. ის ისეთი მხიარული გახდა, რომ ყველას – სტუმრებსაც და მასპინძლებსაც გულიანად აცინებდა. ასეთი ადრე არასოდეს ყოფილა. ეს იყო განსაცდელი ღვთისაგან დაშვებული, რათა მას ცხადად დაენახა და გაეგო, რომ არ შეიძლება ერთდროულად ორი ბატონის – ღმერთისა და მამონას

მსახურება. ვისაც გადარჩენა უნდა, აუცილებელია მთელი გულით შეიყვაროს უფალი და სიფცხლით[20] მოიძულოს. უბრალოდ კი არ გადაიხაროს სიყვლიდან, არამედ მოიძულოს.

სალამო დასრულდა. ქვეყანა მხიარული და კმაყოფილი დარჩა. სტუმრები დაემშვიდობნენ მასპინძელს და დაისვენეს. უცნობია, თუ როგორ გააჩარა ეს ღამე ალექსანდრემ. დაახლოებით შეიძლება ითქვას, რომ ის მისთვის ძალიან შფოთიანი იყო. თუკი ადრე ასეთი შემთხვევის დროს იგი სინდისის ქენჯნას გრძნობდა, ახლა რა მოხდა? მის ცნობიერებაში ქვეყანაფერი ცოცხლად წარმოისახა: ადთქმა იმისა, რომ ბერად შედგებოდა; ღვთის განჩინება, რომელიც მას მამა ილარიონისაგან ეუწყა; საკუთარი ხანგრძლივი ლოცვები, გულისმიერი ამოსუნთქვანი და ცრემლები; ცოტა ხნის წინანდელი ღვთისმსახურება ლავრაში და მისი სულის მთრთოლვარება სერგი რადონეჟელის მიერ აღსრულებულ ხებუნებრივ გმირობათა ადგილზე – ამ ქვეყანაფრის შემდეგ კი მოულოდნელი და არა-სასურველი განსრახვა, ღვთის ღალატი! მწარედ! წმინდა თეოფანე დაჟუდებულის, ამ მჭვრეტელი მამის თქმით, კეთილი სურვილები, რომელთაც კეთილი ცხოვრებით თავიდან იღებს ადამიანი, უიმედოა, მერეცაა და ცვალებადი[21].

ალექსანდრე მეორე დღეს პოკროვსკის შეხვდა და საიდუმლოდ უთხრა: „ოპტინაში უნდა წაიდე". პოკროვსკის უნდოდა გადაეთქმევინებინა: „როგორ წახვალ? სწავლა ახლახანს დაიწყო, არ გაგიჭ-ირდებენ". „აბა, რა ექნა?" – განაგრძობდა ალექსანდრე. – არ შემიძლია ერში ყოფნა, ჩემად გაიპარები, შენ კი არაფის უთხრა". და აი, სულ მალე ლიპეცკის სასწავლებელში მოხდა ძალიან უცნაური ამბავი, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია: დაიკარგა მასწავლებელი გრენკოვი! სასწავლებლის ზედამხედველი იმ დროს იყო მღვდელი (შემდგომში დეკანოზი) კირილე ეფრემის ძე კასტალსკი, ძალიან კეთილი კაცი, აკადემიური განათლების მქონე. ამ მოულოდნელი

---

[20] ერთ. კი. საერთ ცოდვიანი ჩვეულება, და ქვეყანაფერი ის, რაც ამ ჩვეულებს კვებავს და აძლიერებს.

[21] ეპისკოპოს თეოფანეს წერილები ქრისტიანული ცხოვრების შესახებ. გამოც. 1860 წ. გვ. 148.

შემთხვევის გამო ის მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდა, რადგან ამის თაობაზე სჭირდებოდა უფროსობისათვის მას უნდა ეცნობებინა. არადა, ალექსანდრეც ეკითხებოდა და საკუთარ თავსაც ფიქრობდა, უფროსებისგან საყვედური არ მიეღო ქვეშევრდომთა სუსტად მართვისათვის. გადაწყდა, არაფერი ეთქვა, სანამ ყველაფერი არ გაირკვეოდა. ამ დროს საერო ლრიანკელსა და აერზაურს თავდაპყრობილი ალექსანდრე მაკხოერისადმი რწმენით, რომელიც ქველა მწუხარესა და ტვირთმძიმეს სულიერი მარადიულის სიმშვიდისაკენ მოუწოდებს, უპასპორტოდ, სემინარიის ატესტატითურთ, მშვიდად, სიფხიზლის უბრალო ურმითა და მეურმის, სოროკინის[22] თანხლებით, მიიჩქაროდა მყუდრო ნავთსაყუდელისაკენ, კალუგის ღვთიმშობლისეულ ეპარქიაში[23] კოსელსკის ოპტინის ტაძრად მიყვანების უდაბნოში. ასე აღსრულდა მასზე დაწერილ მეფსალმუნის სიტყვა: „რამეთუ მკლავნი ცოდვილთანი შეიმუსრნენ, ხოლო განამტკიცნეს მართალნი უფალმან“[24].

---

[22] შემდგომში ბერი, რომლის გარდაცვალების შესახებ მაშა ამბროსიმ შეიტყობინა შვილი. მან პირუკარი გადაიწერა და ლიტკით შეხლადა უფალს მისი ცხოვრება.

[23] ყველა უცნობი ცნობები, რომლებიც სჭირდა ალექსანდრეს, გადმოგვცა სჭირდათანიშნულმა მღვდელ-მონა სოფიმა პლატონმა.

[24] ფსალმ. XXXVI, 8.

III თავი

ოპტინის უდაბნო ალექსანდრეს მისვლამდე, მისი მოსვლა და განწესება ოპტინის საძმოში

„ესერა განვეშორე სიცილტრლითა და გარისკუნე უდაბნოსა ზედა“[23].

სანამ ჩვენი ბეღნიერი მწერის შესახებ მოგითხრობდეთ, რომელმაც ღვთის წყალობით სწრაფად და გაბედულად დატოვა საერო ცხოვრება, თვალი შევაყაროთ ოპტინის მდგომარეობას ამ დროისათვის. ჩვენ არ ვგეგულისხმობთ მის გარეგნულ მხარეს, რადგან არც ალექსანდრეს ეყურება ამაზე – მონასტრის გარეგან ბრწყინვალებაზე. მაინც რა არის ოპტინის უდაბნო? რას წარმოადგენს ის ადგილი, რომლისკენაც ალექსანდრეს ღვთივგანბრძნობილმა განდეგილმა ილარიონ ტროეკუროვსკიმ მიუწოდა? ამ დროისათვის ეს ადგილი იყო სავანე ისეთი დიდი მოღვაწეებისა, რომელთა ხსენებაც მომლოცველებში აღაღვენდა ხსოვნას ეკლესიი დროის ბერმონაზვნობაზე. ეს დრო შეიძლება ჩაითვალოს ოპტინის სულიერი ცხოვრების ბრწყინვალე პერიოდად. აი, მცირე ცნობები ზოგიერთ მათგანზე:

მონასტერში: მისი წინამძღვარი, იღუმენი მოსე, გახლდათ გონიერი მმართველი სავანისა, მაგალითი სიმშვიდისა და მოთმინებისა, გამოცდილი მლოცველი მთელ საძმოში. ამასთანავე ის იყო გლახაკთმოყვარე და დიდად მოწყალე; მასთან თხოვნით მისულს არასდროს ისტუმრებდა უარით; მუშებისათვის არ ეწანებოდა ჯამაგირი, მიეხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად არაკეთილსინდისიერად მუშაობდნენ. „ხომ ვაძლევთ მოწყალებას? ესეც იგივე მოწყალებაა“, – იტყოდა ხოლმე. განსაცვიფრი იყო მისი უანგარობა: ფულს ისე აბნევდა, ზოგჯერ კაპიკიც კი არ ჰქონია. ასეც ეახლნენ „ფულის მდევნელი“. ზოგჯერ ასეც ხდებოდა: მასთან მიდიოდნენ მუშები ანგარიშისთვის, ის კი, თუ ფული არ ჰქონდა, გამოიტანდა თავის ჩანთას, დაფურთხავდა და იტყოდა: „აი, ნახეთ, არაფერი

[23] ფსალმ. IV, 8.

მაქვს". რადგან მისი ყველას სჯეროდა, ისინიც უღრტვინველად ელოდნენ ჯამაგირს.

გავიხსენოთ სქემოსანი მღვდელ-მონაზონი ლეონიდე, ოპტინის მონასტერში ბერობის[26] პირველი და მთავარი დამნერგავი, რომელიც ეპარქიის მმართველობამ 1836 წ. სკიტიდან მონასტერში გადმოიყვანა, სადაც ცხოვრობდა ნეტარ აღსასრულამდე, კერძოდ, 1841 წლის 11 ოქტომბრამდე[27]. მას დიდი სულიერი გამოცდილება ჰქონდა, წმინდად ცხოვრობდა და იყო შორსმჭვრეტელი. ღვთისაგან განსაკუთრებული ნიჭი მიეცა: მას შეეძლო დაეწყებული ცოდვები გაეხსენებინა მათთვის, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა. ამაზე ზემდგომში ბერი ამბროსი გვიყვებოდა.

არქიმანდრიტმა მელქისედეკმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები აქ გაატარა. იგი ღირსი გახდა გასაუბრებოდა წმინდა ტიხონ ზადონელს; თავისი აღმატებული მდგომარეობა უდაბნოს მყუდრო სენაკზე გაეცვალა და ღვთივსათნო ცხოვრების გამო სანატრელი აღსასრული დაემსახურებინა (1841 წ.).

მღვდელ-მონაზონი ვენიამი (უწინ მუსლვაური), რომელიც თავისი კეთილშობილებით, მოშურნეობითა და მოწიწებით ასრულებდა თანამდებობრივ მოვალეობას სამხედრო სამსახურში, ორჯერ გახდა ღირსი ქოფილიყო სულიერი მოძღვარი ალექსანდრე ღვთისკურთხეულისა. იგი განსაკუთრებული მაღალსულიერებითა და სულგრძელობით გამოირჩეოდა, რის გამოც ძმობის საერთო სიყვარული დაიმსახურა.

მღვდელ-მონაზონი მეთოდე, მოთმინებით აღსავსე წამებული, რომელმაც დამბლის შედეგად დაკარგა მეტყველება, 20 წელი სარეკვლოზე იწვა დასუსტებული. ამის მიუხედავად, ის უდიდესი მოთმინებითა და მადლობით ატარებდა მძიმე ჯვარს. ჰქონდა

---

[26] ვისაც სურს გაიგოს ბერობაზე შეუძლია წაიკითხოს ბერი ლეონიდეს ცხოვრება. მკ-2 თავის დასაწყისში მოყვანილია ადგილები მღვდელ მამების ცხოვრებიდან, რომლებიც კარგად ხსნიან ამ საგანს. ამ საქმეზე მუშაობდა სკეტიკის მღვდელ-მონაზონი კლიმენტი ზედერგოლმი, ბერი ამბროსის ხელმძღვანელობით.

[27] იხილეთ ოპტინელი მღვდელ-მონაზონი ლეონიდეს ცხოვრება. კოზელსკის ოპტინის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების გამოცემა.

წინასწარმეტყველების ნიჭი.

ბერდიაკონი პალადი იყო უანგარო, სამოღვაწეო წესების მკაცრი დამცველი, საეკლესიო ხარისხების საუკეთესო მცოდნე, მკვრეტელი; ხილული სამყარო შეეძლო სულიერი თვალით დაენახა.

სკიტში: სკიტის განმგებელი მღვდელ-მონაზონი ანტონი[28], იღუმენ მოსეს მკვიდრი ძმა გახლდათ. ის განსაკუთრებული სიმშვიდითა და სიმდაბლით გამოირჩეოდა. სიტყვაშეუბრუნებელი მორჩილება და ერთგულება ჰქონდა თავისი მოძღვრისა და ხორციელი ძმის – იღუმენ მოსესადმი. იყო უკიდეს მშრომელი და მლოცველი, ტანჯვის ამბანი – 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე ფეხებზე საშინელი ჭრილობები ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ის არ ეშვებოდა მძიმე ფიზიკურ სამუშაოს და არ აცდენდა საეკლესიო მსახურებას; ჰქონდა წინასწარმეტყველების ნიჭი.

მღვდელ-მონაზონი მაკარი (ივანოვი), იყო რა დიდი სულიერი გამოცდილების მქონე ბერი-დამრიგებელი, მიმინებოდა ხორცშესხმულ ანგელოზად, წმინდა კაცად; იგი იყო თანამოღვაწე მღვდელ-მონაზონ ლეონიდესი, რომლის მოწაფეცაც თვლიდა თავს ღრმა თავმდაბლობის გამო. თვითონ ლეონიდეს კი სწყენოდა ხოლმე ასეთი რამის თქმა: „მოსე (იგულისხმება წინამძღვარი) და ანტონი დიდი ადამიანები არიან, მაკარი კი წმინდანიო“.

ვალაამის ყოფილი იღუმენი ვარლაამი, განმარტოებული, მლოცველი და ცრემლის უხვადმდენელი იყო. ამას მისი თვალის ქუთუთოებიც ამტკიცებდნენ, რომლებიც დასივებოდნენ და ზედ წამწამებიც არ ჰქონდა შერჩენილი. ვარლაამი იყო მეტისმეტად უანგარო; მის სენაკში დაპობილი შეშის გარდა არაფერი მოიპოვებოდა და კარი მუდამ ღია ჰქონდა. ერთხელ კორპუსში, სადაც მისი სენაკი იყო, ცისკარზე შეიჭრნენ ქურდები და მის მეზობლებს რალაცეები მოპარეს. „მამაო, თქვენ გაგეპარდეს?“ – ჰკითხა მეზობელმა ვარლაამს. „ჩემთვის რა უნდა მოეპარათ, დაპობილი შეშა?“ – ღიმილით პასუხობდა ბერი, – „მე მას ისეც მოვიტან“.

---

[28] 1839 წლის 3 დეკემბერს, კალუგის მღვდელმთავრის ნიკოლოზის წარდგინებით განწესებული იქნა მალოიაროსლავის მონასტრის წინამძღვრად. რომორც ეს აღწერილია მის ცხოვრებაში, რომელიც ოპტინის მონასტერში გამოიცა.

სქემისანი მღვდელ-მონაზონი იოანე, რომელიც თავისი შთაგონებით განუშორა რასკოლნიკებს და მართლმადიდებლობაზე წმიდა წერილის გულმოდგინე კითხვისა და გულისხმიერი ლოცვის შედეგად მოიქცა, გამოირჩეოდა ბავშვური უბრალოებით, უანგარობით და აბსოლუტური სიკეთით, რის გამოც მთელი საძმოს გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა.

მღვდელ-მონაზონი ინოკენტი (სქემაში იობი), დიდი მოძღვრის, მღვდელ-მონაზონი მაკარის სულიერი მოძღვარი, 18 წლის მანძილზე სკიტში ცხოვრობდა. იგი იყო მშრომელი, მდუმარების მოყვარული, უქმად არავისთან არ ლაპარაკობდა, საერთოდ გაურბოდა საუბარს. მან მხოლოდ სიკვდილის წინ გააღო სენაკის კარი მათთვის, ვისაც სურდა მისგან მიეღო მაცხოვნებელი სწავლებანი.

სქემისანი ბასიანე უანგარო, დაუღალავი მშრომელი, მლოცველი და საკვირველი მმარხველი გახლდათ. იგი მუდმივად იცავდა თავს მძაფრი საკვებისაგან. დიდმარხვის პირველ კვირასა და ქრების შეიდეულში არაფერს ჭამდა: 1818 წლის საშობაო და დიდი მარხვა უმკაცრესად შეინახა და 40 დღე საერთოდ არ მიუღია არანაირი საკვები[29].

სკიტსა და მონასტერში კიდევ იყვნენ ბერულ გმირობათა მოშურნე ძმები. ოპტინის მთელი საძმო ჰგავდა სახარებისეული სათნოების ანაბეჭდს, რადგანაც მას ისეთი ბერები მართავდნენ, როგორიც იყვნენ ლეონიდე და მაკარი. ბერები და მორჩილები წმინდა და წრფელი სიყვარულით იყვნენ შეკრულნი; უბრალოება[30], სიმშვიდე და მორჩილება იყო არსებითი ნიშანი ოპტინის საძმოსი. ისინი უმთავრესად იმისკენ მიისწრაფოდნენ, რომ ახალმოსული ბერების სულში ჩაენერგათ და განემტკიცებინათ ღვთისათვის საქვეარული

[29] ცნობა სქემისამოთხილ ბერზე ზოგიერთი ცნობა მოთავსებულია „ოპტინის მონასტრისა და სკიტის ისტორიულ აღწერილობებში“. ზოგიერთ მათგანზე განსაკუთრებულადაა აღწერილი, მაგალითად: წინამძღვარ არქიმანდრიტ მოსეზე, ძველმან ანტონზე, ბერ სქემძღვრულ-მონაზონ ლეონზე და მაკარზე. ცნობა ოპტინის მონასტრის მიერაა გამოცემული. ზოგიერთი ცნობა ნამოთხილ ბერებზე მოცემული გვაქვს ოპტინელი მღვდელმარე ბერებისაგან.

[30] ამ სათნოებას კარგად განმარტავს ღირსი იოანე კიბისაღმწერელი. სიტყვა IV, განყოფილება 21.

სათნოებანი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ხსნა. ეკლესიის დიდმა მოძღვარმა, იოანე ოქროპირმა ბრძანა: „შეუძლებელია ხსნა სიბრძნით მორწმულების გარეშე. ეს აბსოლუტურად შეუძლებელია. მარხვა, ლოცვა, კეთილი საქმეების კეთება – ეს ყველაფერი მორწმულების გარეშე მხოლოდ ღვთის საწინააღმდეგო იქნება. არაფერი, ყველაფერი მოგვარებულია, ყველაფერი ძვირფასია, ყველაფერი მაცხოვნებელია მაშინ, როცა ამ ყველაფერს თან ახლავს სიბრძნით მორწმულება[31]“. ბერებისგან დარიგებული უმცროსი ძმები ყველანაირად ცდილობდნენ დამორწმულებოდნენ არა მარტო უფროსებს, არამედ თანატოლებსაც; მათ ეშინოდათ გამოხვღეთაც კი არ ქ\წენინებინათ ერთმანეთისათვის და თუ ეს მოხდებოდა, ერთმანეთს დაუკეცებლივ სთხოვდნენ შენდობას.

ამ პერიოდში ოპტინა გარეგნული სიმდიდრით არ გამოირჩეოდა, არამედ მხოლოდ ადგილით, იგი უღრან ტყიდებში მდებარეობდა და სამოქალაქო ხმაური არ არღვევდა მის მყუდროებას.

ღვთის განგებულებით, ასეთი სულიერი სამოთხისკენ მიიწარითდა ალექსანდრე; იქ, სადაც უკვე დიდი ხანია, რაც ბრწყინავენ სულიერი ცქვაილები. მათ შორის უნდა დანერგილიყო ახალგაზრდა ყლორტი, ხსნის მაძიებელი ახალი სული; ღვთიეგანბრძნობილი წმინდა ბერების პირიდან მაღლიანი წყლებით უნდა აღსრდილიყო და ვანმტკიცებულიყო სულიერ ცხოვრებაში, დაებრუნებინა ასმაგი ნაყოფი თავის დროზე.

1839 წლის 8 ოქტომბრის კვირა დღე იდგა. ოპტინის უდაბნოში გვიანი სალმრთო ლიტურგია სრულდებოდა. ბელევოს ქალაქიან გზაზე, რომელიც საკვირიან ნაყნარისა და ფიქვნარს შუა გადიოდა, წვნარად მოიწევდა ჩვენთვის ნაცნობი ურემი ალექსანდრეს თაოსნობით ოპტინისაკენ. ხშირი ტყე ხვდებას აბრკოლებდა. ალექსანდრემ გვლით სასურველი ადგილი ვერ მინახა, მაგრამ რაღესაც მიხასტერს მიუახლოვდნენ, მხოლოდ მაშინ შეჩერდა მისი დანახვა. ალექსანდრე ეზოში შევიდა და სასტუმროში გაემართა.

ილარიონ ბერმა, რაღესაც ალექსანდრეს აკურთხებდა ოპტინაში

---

[31] იოანე ოქროპირის 33-ე საუბარი იოანეს სახარებაზე.

წასასვლელად, ურჩია, წინასწარ მისულიყო და კარგად გასცნობოდა ამ საკანს. ამიტომ ალექსანდრემ მი'სნად დაისახა წასულიყო იქ ორი დღით, „მაგრამ ახლადმოსულმა, – ჰყვებოდა შემდგომში ბერი ამბროსი, – ორ დღეში ვერაფერი გავიგე, სად მოვხვდი და რა ხდებოდა. მივედი ბერ ლეონთან. ვხედავ, ლოგინზე წამომჯდარი, ხვრინავს და იცინის გარსშემოხვეულ ხალხთან, რაც მე არ მომწონა. შემდეგ იღუმენ მოსესთან წავედი. მან მკითხა, მომწონა თუ არა ბერი. მე ვუპასუხე, რომ მის ირგვლივ ბევრი ხალხია. ის, რომ ბერი არ მომწონა, დავუმალე. ამის შემდეგ მასთან მოვიდა სკიტის მღვდელმოსანაზონი მამა იოანე, რომელიც ახლახან აიყვანეს სქემაში. მას ანგელოზთა მსგავსი სახე ჰქონდა, ძალიან მომწონა და უკან გავყევი. სქემოსანი ბერ ლეონთან მივიდა და თაყვანი სცა. ეკურთხებ. მამა იოანემ ლაპარაკი დაიწყო: „მამაო, მე ახალი კაბა შეკერე, მაკურთხებთ, რომ ვატარო?“ ბერმა უპასუხა: „განა ასე შეიძლება? ჯერ შეკერავს იღებენ კურთხევას, შემდეგ კი ატარებენ. რადგან შეკერე, ატარე კიდეც, ხომ არ დაგვრით“. „მე მიკვირდი, – განაგრძობდა ბერი ამბროსი, – რაშიც იყო საქმე (რომ ბერობაში საკუთარი ნების უარყოფა ყველაზე მთავარია). ამის შემდეგ ბერი ლეონი შემიყვარდა[32]“. ალექსანდრემ ბერ ლეონს გააცნო თავისი მდგომარეობა და გამოუცხადა, რომ ჰქონდა სურვილი ოპტინის საბრძანებელში ჩარიცხულიყო. ბერმა ნამდვილი ქრისტიანული სიყვარულით მიიღო ახალმოსული, მოიწონა და აკურთხა მისი კეთილი სურვილი - ემსახურა ღვთისთვის მონაზვნობით და მისი სული განამტკიცა ღვთის შეწევნის იმედით. ბერი ლეონის კურთხევით, ალექსანდრემ მეურმე უკან გაუშვა, თვითონ კი სამუდამოდ დარჩა ოპტინაში, მას მიეცა კურთხევა, სანამ საქმეს მოაგვარებდა, მონასტრის სასტუმროში ეცხოვრა, სადაც მან ერთი პატარა ნომერი დაიკავა მეორე სართულზე. ეს კორპუსი კარიბჭიდან ჩრდილოეთით მდებარეობს, მარცხენა მხარეს და რიგით მეორეა, წინათ კი პირველი იყო და ორსართულიანი[33].

---

[32] შამორდინოს საერთო წინამძღვრის დედა ეფროსინეს ჩანაწერებიდან. ამ ჩანაწერებში არის ზოგიერთი უზუსტობანი.

[33] ახლახან წინამძღვრის არქიმანდრიტ დოსითეოსის განკარგულებით მეორე სართული მოიხსნა.

ალექსანდრე არცთუ ისე მდიდრულ ნომერში მოეწყო და დაიწყო ღვთისმახურებაზე სიარული. ის ყოველდღე მიდიოდა ბერ ლეკთან, მისივე კურთხევით, რათა მისთვის საკუთარი აზრები გაეცხადებინა, ამავდროულად აკვირდებოდა სამონასტრო ცხოვრებასაც. სენაკში მოწყენილობას რომ არ დაეთრგუნა, მას შესაბამისი დავალება მიეცა – გადაეწერა ხელნაწერი, თარგმნილი ახალი ბერძნულიდან, ასეთი სახელწოდებისა: „ცოდვილთა ხსნა" (Amartolwn swthria). მასში შესული იყო სწავლებანი ენებებთან ბრძოლაზე[34]. ალექსანდრესთვის ამ ხელნაწერის გადაწერა შრომასთან ერთად გართობაც იყო, რასაც არ შეიძლება მისთვის სულიერი სარგებლობა არ მოეტანა, რადგანაც ამ ხელნაწერმა ასწავლა იგი სულიერი ცხოვრების იმ აღმატებულ მეცნიერებას, რომელსაც წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი „მეცნიერებათა მეცნიერებას და ხელოვნებათა ხელოვნებას უწოდებს".

ლიპეცკის სასწავლებლის ზედამხედველი ფილიპე ერთი თვის მანძილზე ცდილობდა გაეგო რაიმე დაკარგულ მასწავლებელზე, მაგრამ ამაოდ. სულ მალე, როგორც ჩანს, ალექსანდრეს აღგილსამყოფელზე მან პიკროვსკისგან შეიტყო, რის შემდეგაც იგი ოპტინის მონასტრის წინამძღვარს ფორმალური თხოვნით მიმართავს, უგზავნის წერილობით მიმართვას, რათა შეატყობინოს, მართლაც იმყოფება თუ არა ალექსანდრე გრენკოვი მათ მონასტერში[35].

მამა მოსემ საქმის კურსში ჩააყენა ალექსანდრე, რომელიც ორივე ბერს – ლეკსა და მაკარს – დაეკითხა იმაზე, წასულიყო თუ არა სამშობლოში სამსახურიდან თავის გასათავისუფლებლად და საქმეების მოსაგვარებლად. ბერებმა ურჩიეს, ხელი აეღო გამგზავრებაზე და უთხრეს, რომ ამ საქმეს თავად აიღებდნენ თავიანთ თავზე[36]. ამავე ბერების კურთხევით, ალექსანდრემ წერილი მისწერა ფილიპეს, რომელშიც აღასტურებდა მონასტერში ნამდვილად ყოფნას და შენდობას სთხოვდა ლიპეცკიდან გაპარვისათვის, ამით

---

[34] საკმაოდ ცნობილი ხელნაწერი ინახება სინტის ბიბლიოთეკაში. პირველი ნახევარი დაწერილია ალექსანდრე მიხეილის ძის მიერ, ხოლო დანარჩენი სხვა ხელითაა დაწერილი.

[35] კოსელსკის ოპტინის მონასტრის არქივი.

[36] ალექსეი მარკოსის ნაწერებიდან, რომელიც მეშჩაევსკის წმინდა გიორგის სახელობის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ, ახლა კი ოპტინის მონასტერში ცხოვრობს.

ხომ ფილიპე ძალიან შეაწუხა; ასევე სთხოვდა, ეცნობებინა სემინარიის ხელმძღვანელობისათვის სხვა ეპარქიაში მისი თვითნებურად წასვლის შესახებ[37].

ალექსანდრეს ასეთმა გონიერულმა ნაბიჯმა – გაუგზავნა რა ასეთი შინაარსის წერილი ფილიპეს – სულამხელკული უსიამოდ გაახარა; ჯერ ერთი, იმან – რომ მან შეიტყო ალექსანდრეს საიდუმლო გაპარვის შესახებ, ხოლო მეორე – მისთვის უხერხულმა საქმემ ალექსანდრესთვის მადლმოსილი მიმართულება შეიძინა. ამის შემდეგ ფილიპე არაფერს დალოდებია, სასწრაფოდ შეატყობინა ყველაფერი სემინარიის ხელმძღვანელობას ალექსანდრე გრენკოვის თვითნებური წასვლის შესახებ.

წერილთან ერთად ალექსანდრემ სასწავლებლის ზედამხედველს გაუგზავნა თხოვნა ტამბოვის მღვდელმთავართან, ეპისკოპოსის არსენთან. მთხოვნელი წერდა, რომ 1839 წლის სექტემბერში მას გაუჩნდა სურვილი ღირსი სერგი რადონეჟელის წმინდა ნაწილების თაყვანისცემისა იმ იმედით, რომ მალე დაუბრუნდებოდა თაყის სამსახურებრივ მოვალეობას; ამიტომ გაემგზავრა ის ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე, მხოლოდ სემინარიის ატესტატით ხელში. მან წინასწარ შეიარა ოპტინის უდაბნოში, სადაც ის ავად გახდა, ასე რომ, ვერ შეძლო გზის გაგრძელება; ვერც ლიპეცკში დაბრუნდა, რის გამოც ოპტინის მონასტრის წინამძღვარს, იღუმენ მოსეს სთხოვა, დაეტოვებინა თაყის სავანეში გამოჯანმრთელებამდე. იღუმენმა არ იცოდა მისი თანამდებობის შესახებ, ამიტომ უფლება მისცა დარჩენილიყო. რადგან ავადმყოფობის გაძლიერების გამო გრენკოვი ვერ შეძლებდა მასწავლებლობას და ყიქრობს მონასტერში დარჩენას, ამიტომ სთხოვს მეუფეს, შეუნდოს დანაშაული და მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლებულს გამოუწეროს ბილეთი ექსი თვით, რათა ავადმყოფობისას გამოსცადოს თავი, შეძლებს თუ არა ბერულ ცხოვრებას.

ამ თხოვნამ, რომელშიც ალექსანდრე აღიარებდა სასწავლებლიდან თვითნებურად წასვლას, მეუფეზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა; და აი, ექვსთვიანი ბილეთის გაგზავნის ნაცვლად, ტამბოვის

[37] ამაზე გადმოგვცემს მღვდელ-მონაზონი პლატონი.

მეუფემ ამ შინაარსის რესოლუცია დაწერა: „მიემართაე კალუგის ეპარქიის სასულიერო მმართველობას და ეაცხადებ, რომ ტამბოვის საეპარქიო მმართველობა ვერ ხედავს მიზეზს, ლიპეცკის სასულიერო სასწავლებლის დაწყებითი კლასების მასწავლებლის, ალექსანდრე გრენკოვის, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა, რათა კალუგის ეპარქიის ოპტინის მონასტერში მოეწყოს. გთხოვთ, გვაცნობოთ, არის თუ არა თანახმა კალუგის საეპარქიო მმართველობა მიიღოს ის თავის ეპარქიაში. ამიტომ გიგზავნით მისი ნამსახურობის ნუსხას“[38].

ალექსანდრე მცირე ხნით დარჩა სასტუმროში. ბერი ლევის კურთხევით იგი მონასტერში გადავიდა ბერის კაბის საუცმელად. ეს მოხდა 1840 წელს იანვრის პირველ რიცხვებში[39].

მეუფე არსენის ზემოთ აღნიშნული განკარგულებისა და ტამბოვისა და კალუგის საეპარქიო მმართველობის ურთიერთგამოკითხვის შემდეგ, 1840 წლის 7 მარტს ამ უკანასკნელისგან მიღებულ იქნა წერილობითი ბრძანება მოთხოვნით, არის თუ არა თანახმა ოპტინის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი მოსე, მიიღოს თავის სავანეში მასწავლებელი გრენკოვი[40]. მამა მოსემ დაიბარა ეს უკანასკნელი და ჰკითხა: „გაქვთ თუ არა გადაწყვეტილი იყოთ ჩვენთან და იყოთ მორჩილი?“ ალექსანდრემ უპასუხა, რომ სურს ასე იცხოვროს და თავი ბერული ცხოვრებისთვის გამოცადოს. წინამძღვარმა უთხრა: „არა, ახლა გამოცდის დრო არ არის, გვითხარი პირდაპირ – კი ან არა, დარჩებით თუ დაბრუნდებით უკან“. წინამძღვარმა განუმარტა,

---

[38] კალუგის სასულიერო საეკლესიო მმართველობის საისტორიო არქივი.

[39] ასეა აღნიშნული დედა ეკროსინეს ჩანაწერში. იქ ბრჭყალებშია ჩამატებული: ჩაიცვა სამონასტრო კაბა. ბრჭყალები ნიშნავს, რომ ეს დედაის საკუთარი აზრია, რისი დადგენაც არ შეიძლება, იმიტომ, რომ შემდგომი თხრობიდან ალექსანდრესე ჩანს, რომ 1840 წლის მარტში მხოლოდ დაკითხა იღუმენმა მოსემ, აპირებს თუ არა მონასტერში დარჩენას: ბერის კაბაში ჩაცმულებს კი წინამძღვრები არ დაკითხავდნენ. ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ კალუგის მაშინდელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი ძალიან მკაცრად ეპყრობოდა ყველაფერს, რაც ოპტინის მონასტერს შეეხებოდა. ამიტომაც, სანამ არ გადაწყდებოდა ალექსანდრეს ბედი, ამ უკანასკნელს არც შეეძლო ეფიქრა ბერის შესამოსელზე. ისიც მერყეობდა აზრობრივად და სულ უნდოდა გამოეცადა თავი ბერულ ცხოვრებაში, როგორც ამას ეიხილაეთ ქვემოთ.

[40] კოზელსკის ოპტინის მონასტრის არქივი.

თუ რატომ სთხოვდნენ ასე სწრაფად გადაწყვეტილებას და გადასცა კალუგის სასულიერო საკარქიო მმართველობის ბრძანება. გასაგებია, რომ ალექსანდრემ ამის შემდეგ მორჩილებაზე თანხმობა განაცხადა. იღუმენმა დაუყოვნებლივ გააგზავნა განცხადება კალუგის საკარქიო მმართველობაში ოპტინის მონასტრის საძმოში მასწავლებელ ალექსანდრე გრენკოვის მორჩილად მიღების თანხმობის შესახებ. ტამბოვის საკარქიო მმართველობამ ამაზე მეუფეს არსენს აცნობა, რომელმაც, ამ მისთვის უხერხული საქმის შემდეგ, სემინარიის ხელმძღვანელობას ასეთი განკარგულება გადასცა: „სემინარიის კურსდამთავრებულებს ატესტატები ხელში არ მისცეთ!“ მაგრამ უკვე გვიანი იყო, ალექსანდრე უკვე წასული იყო[41].

ალექსანდრეს შესახებ ამ სახის მიმოწერანი დიდხანს გრძელდებოდა. მისი ოპტინაში მოსვლიდან საქმის დასრულებამდე თითქმის ნახევარი წელი გავიდა. მხოლოდ 1840 წლის 2 აპრილს მოვიდა კალუგის საკარქიო მმართველობის ბრძანება მისი საძმოში მიღების შესახებ და მოუსწრო მას მაშინ, როცა ჯერ კიდევ ბერის კაბით არ იყო შემოსილი.

[41] ასე გადმოსცემდა ამის თაობაზე თავის დროზე მამა ამბროსი სკიტის მღვდელ-მონაზონ აღაპიტს.

IV თავი

ალექსანდრეს გადასვლა მონასტრიდან სკიტში და მისი მოღვაწეობის დასაწყისი

კალუგის ეპარქიის სასულიერო მმართველობის წერილობითი ბრძანების მიღებისთანავე ალექსანდრე გრენკოვი განაწესეს ოპტინის მონასტრის სამრეში, სადაც ის მალევე შეიმოსა სამონაზვნო ჩოხით. ბერი ამბროსი, როგორც ეს ჩანს შამორდინოს ერთობის წინამძღვრის, დეკა ეეყროსინეს ჩანაწერებში, გარკვეული დროის მანძილზე იყო შინამომსახურე და პირადი მკითხველი[42] ბერი ლეონისა, რომელიც უძლურების გამო ტაძარში ვერ დადიოდა. მისთვის განკუთვნილ ლოჟიდან კანონებს, განსასვლელად დროს, სწორედ ამბროსი უკითხავდა. ამის შემდეგ ალექსანდრე მუშაობდა საცხობში, ხარშავდა სვიას, აცხობდა ფუნთუშებსაც და იყო ჯანმრთელი.

მათი ურთიერთობა ძალიან გულწრფელი იყო, რის გამოც ბერი განსაკუთრებით თბილი, მამობრივი სიყვარულით ეკლებოდა ალექსანდრეს და ალერსით საშას ეძახდა[43].

მონასტერში ალექსანდრეს დიდხანს არ უცხოვრია. სკიტის მატიანეში ნათქვამია, რომ მორჩილი ალექსანდრე გრენკოვი 1840 წლის ნოემბერში მონასტრიდან სკიტში გადაიყვანეს[44]. უეჭველია, ეს მოხდებოდა ბერების — ლეონისა და მაკარის კურთხევით,მისთვის

---

[42] ბერ ამბროსისზე დაბეჭდილ ზოგიერთ სტატიაში ნათქვამია, რომ ის იყო მწერალი ბერი ლეონისა. მაგრამ ოპტინის მღვდელ-მონაზონ მაკარის ცხოვრებაში წერია: „მამა მაკარი ბერ ლეონისთან სკიტიდან მონასტერში გადაყვანის შემდეგაც ყოველდღიურად მოდიოდა. ხან როგორც სულიერ მამასთან რჩევებზე, ხან კიდევ მოჰქონდა წერილები, რომელსაც ბერიც აწერდა ხელს“. აქედან ჩანს, რომ ბერი ლეონის მწერალი იყო მამა მაკარი. შეიძლება ეწოდოს ალექსანდრეს ბერის მწერალი იმის გამო, რომ მან გადაუწერა მას ხელნაწერი „ცოდვილთა ხსნა“.

[43] ამგვარადვე ბერი ლეონი მის მეორე საყვარელ მოწაფეს და მომსახურეს იაკობს იაშას ეძახდა, როგორც ეს მისი ცხოვრების ალწერიდან ჩანს.

[44] ხდებოდა, - ზოგიერთს აინტერესებდა, - რას ნიშნავს სიტყვა სკიტი. მათ დასაკმაყოფილებლად განვმარტავთ ამ სიტყვას. ის კოპტურ ენაზე ნიშნავს: ერკვლ სწორ ადგილს. ამ სახელს ძველ ეკლესიებში უწოდებდნენ ქვიშიან უდაბნოს, სადაც იშვიათად შეხვდებოდით წყალს, სასმელად თითქმის უვარგისს. სკიტში გზაც არ იყო. გზას მიიკვლევდნენ ვარსკვლავების მეშვეობით. მეუდაბნოე ცხოვრების ფუძემდებელი სკიტში გახლდათ ღირსი მაკარი ეკვიპტელი. სკიტის

უფრო სასარგებლო იქნებოდა, მით უმეტეს, მაკარი ბერის სიახლოვეს. სკიტში გადასვლის შემდეგაც ახალგაზრდა მორჩილი ალექსანდრე მონასტერში ბერ ლევთან ხშირად დადიოდა სულიერი სარგებლის მისაღებად. პირველი მორჩილება[45], რომელიც ბერმა ალექსანდრეს სკიტში განუწესა, იყო მსარეულის თანაშემწეობა. ახალბედა მორჩილმა კარგად გაიგო ღვთივგანბრძნობილი ბერებისადმი მორჩილების ფასი, ამიტომ იმის წინააღმდეგ რაღი წავიდა, რაც არ მოსწონდა ან მის ძალებს აღემატებოდა, არამედ, პირიქით, არაფერი უთქვამს საწინააღმდეგო, ბერის სიტყვა თავმდაბლად მიიღო, როგორც ღვთის პირიდან ნაუწყები.

მორჩილება... „რა არის მორჩილება? — ჰკითხეს ერთხელ ოპტინელმა ბერებმა ერთ უბრალო, სულიერი ცხოვრებით განბრძნობილ ბერს, რომელსაც დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და მისი ხანდაზმულობის გამო არ ეძახდნენ სამონასტრო საქმეებზე. იგი ჯანმრთელი იყო და შრომისმოყვარე, სიამოვნებით დადიოდა ძმებთან სათიბზე. „რა არის მორჩილება?“ — ამ კითხვაზე უბრალო ბერმა მარტივად უპასუხა: „მორჩილება, აი რას ნიშნავს: მაგალითად, მე მიველივარ სათიბზე ჩემი სურვილით, მიველივარ ლაზარებლად და სიამოვნებითაც ვმუშაობ. წინამძღვარმა რომ მითხრას, ბებერო, თიბე მორჩილებითო, მე ვუპასუხებ: „არ შემიძლია, არ წავალ“[46]. ღირსეული მოხუცი მსგავს შემთხვევაში ნამდვილად არ ეტყოდა უხეშ სიტყვებს წინამძღვარს, ამით მას მხოლოდ უნდოდა ჩვენებინა, თუ რა ძნელია ყოფნა მორჩილებაში საკუთარი ნების მოკვეთით[47]; ამასთანავე, მორჩილება საფუძვლად დადებული ქვაა, რომელსაც აღმოცენდება მონაზვნის ხსნა, რადგან წრფელი მორჩილების გარეშე ვერ მიაღწევ

მეუდაბნოეები დიდი მოღვაწეები იყვნენ (იხ. „სულისსარგებელ საკითხავებში“ 1896 წ. მაისი, გვ.74). ამის მსგავსად რუსეთში უფრო განშორებულ ადგილებს დიდი მონასტრების ახლოს, როგორც იტყვიან ამ მონასტრების განყოფილებებს, ჩვეულებრივ სკიტს უწოდებენ.

[45] განვასხვავოთ მორჩილება, როგორც სათნოება, რომელიც დაკალებული საქმეა, რომელსაც მონასტრებშიც ჩვეულებრივ უწოდებენ მორჩილებას, რადგან აღსრულება არა შენი ნებით, არამედ განმკარგველის მორჩილების გამო.

[46] ამ თხრობას გადმოგვცემს ბერი, მღვდელ-მონაზონი ამბროსი.

[47] წმინდა მამები მორჩილებას მოწამეობრიობას უტარებენ. მაგალითად, ღირსი თეოდორე სტუდიელი 8 წელიწადში. ოპტინის უდაბნოს გადმოცემა.

სიმდაბლეს, ურომლისოდაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქურანარად ვერ გადარჩები. ყველას შეუძლია ნათლად დაინახოს, რომ ახალბედა მორჩილი, ძმა ალექსანდრე, რომელიც ბერებს სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდა, იწყებს საკუთარი თავის ხსნას მტკიცე საფუძველზე; იგი არ ემყარება ამაოებრძნობას, საკუთარ აზრსა და საკუთარ ნებას, რომელთაგანაც მონაზენისათვის სულიერი წყლულების გარდა არაფერია მოსალოდნელი.

იმ დროს სკიტის მზარეული გახლდათ ახალგაზრდა მორჩილი გერასიმე იოანეს ძე ტუმანიოი[48], გლეხი ტვერის გუბერნიიდან. იგი ალექსანდრეზე ერთი წლით უმცროსი იყო და სკიტშიც ერთი წლით აღრე მისულა. მათ ერთნაირი ხასიათი ჰქონდათ, ორივე მხიარული იყო და ერთმანეთთან შელაპარაკება უყვარდათ. თავდაპირველად ალექსანდრე თავს იკავებდა საუბრებისგან, როგორც ამას თვითონ ჰყვებოდა: „სამზარეულოში მე უფრო ვდუმდი. მეშინოდა ადამიანებთან სიახლოვისა; თუ რამეს მკითხავდნენ, ეუპასუხებდი, პირველი არასდროს დავიწყებდი ლაპარაკს". მისი ასეთი მდუმარება და სიფრთხილე საუბრებისგან თავის დაკერა გასაგები გახდება მაშინვე, თუკი გავიხსენებთ, თუ როგორ ბერებთან ცხოვრობდა ახალგაზრდა მორჩილი. საერთოდ, ალექსანდრე ცდილობდა გაეთვალისწინებინა ბერების რჩევა და უფრო დიდი ყურადღება მიექცია საკუთარი თავისთვის. იგი გაურბოდა სხვებთან სიახლოვეს, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ძირითადად სენაკიდან ტაძარში დადიოდა, ხვდებოდა ბერებს და ასრულებდა მორჩილებას, ლოცვით კანონებს. ტრაპეზის შემდეგ, რომელსაც ძმები თავიანთ სენაკებში განაწილდებოდნენ, მზარეული და მისი თანაშემწე მარტო რჩებოდნენ. ამ დროს ისინი თავს უფლებას აძლევდნენ თავისუფლად ესაუბრათ. ალექსანდრეს წინანდებურად არ ერიდებოდა გერასიმესი. რომელსაც დაიწყებდა რამეზე ლაპარაკს, ამით მზარეული ძალიან ხარობდა. თუკი ჭურჭელი გასარეცხი იყო, გერასიმე მიდიოდა თავის თანაშემწესთან, სიყვარულით მხარზე ხელს მოუთათუნებდა (ეს ჩვეცა მას მთელი ცხოვრება შერჩა) და ღიმილით ეტყოდა: „აი რა, სანამ

[48] შემდგომში სქემოსანი გერასიმე, რომელიც სკიტში 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და 1899 წლის 2 სექტემბერს გარდაიცვალა.

წყალი თბილია, დაესხდეთ და ვისაუბრითო“. მორჩილები დასხდენ ბოდნის ხის სკამზე და გულითადად საუბრობდნენ, ძალდაუტანებელი სიტყვები იღვრებოდა მათი პირიდან, ხმაურიანი ნაკადულის სწრაფად მდინარე წყალივით. ისინი ხშირად იყონებდნენ ეპისოდებს განცლილი ცხოვრებისას, რაც მისაუბრეთ არცთუ ისე ცოტა ჰქონდათ. მოგონებების შემდეგ ისინი ასკვნიდნენ: „ღიდება და მადლობა გულმოწყალე უფალს, რომელმაც თავისი საკვირველი განგებულებით განგვაშორა ამქვეყნიურ შფოთსა და სიცარიელეს და ჩვენი ფეხები ატარა მშვიდ გზაზე, ღვთის მადიდებელთა მშვიდ სავანისკენ“. დრო შეუმჩნეველად გარბიოდა. „ახლა, – იტყოდა მზარეული, – დროა, ჭურჭელიც გავრეცხოთ“. გასინჯავენ წყალს, რაც უკვე დიდი ხანია გაცივებულია; დაანთებენ ცეცხლს, ისევ გააცხობენ წყალს, რამდენი სასრუნავია! მაგრამ იმ სიამოვნებისგან, რომელსაც ერთმანეთთან ლაპარაკით იღებდნენ, შრომაც ავიწყდებოდათ და ცხოვრობდნენ ურთიერთსიყვარულით ღმერთში. თავის დროზე ძმებთან ერთადაც ლოცულობდნენ, სამზარეულოშიც მსახურობდნენ, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით თუ დატკბებოდნენ მყუდრული საუბრებით, რაც მათთვის გართობის ტოლფასი იყო ამ ერთფეროვან შრომით ყოფაში. და აი, გამოჩნდა საცდურიც: 1841 წლის დასაწყისში, თებერვალსა თუ მარტში, გერასიმეს თავის მშობლიურ გუბერნიაში, ქალაქ ტვერში მოუწია წასვლა, რათა მიეღო სახასინო პალატიდან დამოწმებული, საზოგადოების მიერ განჩინებული გათავისუფლების ქაღალდი, რომელიც პალატაში რატომღაც დიდხანს იყო გაჩერებული. თავისი საქმის შესრულების შემდეგ ის სკიტში დაბრუნდა. მისი არყოფნის დროს სამზარეულოს ალექსანდრე განაგებდა და, აი, სამშობლოდან დაბრუნებული გერასიმე ბერებმა მოულოდნელად ალექსანდრეს თანაშემწედ აკურთხეს, რაც ახლად დაბრუნებულის თავმოყვარეობას მძიმედ შეეხო. გადიოდა დღეები, ერთი, მეორე... მოღუშული გერასიმე შევიდოდა სამზარეულოში, დაჯდებოდა სკამზე, იქნევდა ფეხებს და არაფერს არ აკეთებდა. ალექსანდრეს კითხვაზე: „რატომ არ აკეთებ არაფერს?“ – „ვერ ვარ მშვიდად,“ – პასუხობდა შეცბუნებული გერასიმე.

უნდა აღინიშნოს, რომ სანამ ვნება ცოცხლობს ადამიანში, ის

ითხოვს საჭირდის, და თუ მნიშვნელოვანი ვითარება არ არის, თავს წარმოაჩენს უბრალო საქმეებსა თუ არარაობაში. ის ძალით, ტირანიით ამარცხებს ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დახვლეპილი ბრძოლით ენებათა მოცილებაში. მორჩილი ადამიანი, მხიარული, კარგი ურთიერთობისა, ბორიტი ბრის შეწუხარებით ხდება მოწყენილი, ნაფიქრებული, ურჩი, ქვეყნაფრით უკმაყოფილო და ბრაზიანი. მაშინ, როდესაც ასეთი შემთხვევებისგან არაიან არის დაცული, მით უმეტეს, ამ ცოდვით სავსე სიფუძეში გამოცდილი ბერი შეუცვლელი და ფასდაუდებელი საუნჯე ხდება გამოსაცდელისთვის, საკმარისია განსაცდელში მყოფი ადამიანი რწმენითა და მორჩილებით მიეახლოს ბერთან, გული გადაუშალოს და უთხრას სიმართლე – თუ რომელი ფიქრებისგან იკვებება სული, ბერი მამობრიული სიყვარულით მოესმენს, თანაუგრძნობს, განუმარტავს განსამარტავს, ასწავლის, თუ როგორ ებრძოლოს ენებას, როგორ განდეგილის ამაყორიაქებელი აზრები, ვის შეეცდეროს და როგორ, შემდეგ კი ბერი თვითონ აღაფლენს მხურვალე ლოცვას მაცხოვრისადმი, რათა განსაცდელში მყოფს შეეწიოს.

ეს დაემართა გერასიმესაც. თავისი სულიერი აშლილობა, ეჭვიანობა მან აუწყა ბერ მაკარს, რომელიც იმ დროს სკიტს განაგებდა და სამსის სულიერი მოძღვარიც იყო.

მალე გერასიმე ისევე მხიარული და მშვიდი გახდა. ის კმაყოფილი იყო მხარეულის თანაშემწის თანამდებობით – მორჩილებით ახალი მხარეულისა, რომელიც ადრე მისივე თანაშემწედ მეშაობდა.

სამხარეულო მორჩილებაში ალექსანდრემ ერთი წელი გაატარა. როგორც ვამოთ ვნახეთ, ის ღვთისგან გამორჩეული იყო, რადგან განსაკუთრებული გონებრივი შესაძლებლობები ჰქონდა; საკუთარი გამოცდილებით სულიერ ცხოვრებაში დიდად განისწავლა, მაგრამ გარეგან საქმეებსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. ასე რომ, ორივე – სულიერიც და პრაქტიკულიც – მასში შეთანასწორებული იყო. ალექსანდრემ მიზნად დაისახა ეცხოვრა ქრისტეს მცნებებით და სრულებით დამორჩილებოდა თავის შინაგან მოსამართლეს – სინდისს. ის არ განასხვავებდა ბრძენი ბერების კურთხევით მისთვის დავალებულ საქმეებს თეორად და შავად, კარგად და ცუდად, არამედ

მასზე დაკისრებულ ნებისმიერ საქმეს გულისხმიერად ასრულებდა ყოვლისმხედველი ღმერთის წინაშე; კარგად იცოდა, რომ უფლისათვის მხოლოდ ის საქმეა ღირებული, რომელიც სინდისიერად კეთდება. ალექსანდრემ სიყვარულით ათვისა სხვა მრავალი საქმეც, რომლებიც მისთვის აუცილებელი არ ყოფილა. უკვე ბერი, თავისი წარსულის გახსენებისას ხშირად ამბობდა: „მე მშვენიერად მოვწყე სამსარეულოში; ვისწავლე პურისა და სეფისკვერის ცხობა. მახსოვს, სეფისკვერის მცხობელი მასწავლიდა, როგორ გამეცო, გამომცხვარია თუ არა ტარიგის სეფისკვერები, რადგან მათ სულ გამოუცხობელი გამოსდიოდათ: სეფისკვერში უნდა ჩაამაგრო კვარი და თუ მას ცომი არ მიეწება, ე. ი. სეფისკვერი მზადაა, ხოლო თუ ცომი ამოჰყვა, მაშინ გამოუცხობელია“. ალექსანდრე სეფისკვერის მცხობელი არც ყოფილა, მაგრამ ისე საფუძვლიანად შეისწავლა ეს საქმე, რომ სხვებსაც ასწავლიდა. იგი მალე სამშენებლო ხელოვნებასაც დაეუფლა: თვითონ ადგენდა გეგმას სენაკების მშენებლობისათვის; მისი გეგმით აშენებული სენაკები საცხოვრებლად ძალიან მოხერხებული აღმოჩნდა. ალექსანდრემ ასევე შეისწავლა სახურმელე ხელოვნება ისე, რომ თავისი ცოდნით ოსტატებსაც კი აკვირვებდა.

სკიტში, მზარეულის მორჩილება[1]ში ყოფნისას, ალექსანდრეს ჰქონდა საშუალება ხშირად მიეკითხა ბერი მაკარისთვის და მთელი გულით შეჰყვარებოდა. ყოველთვის, თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებშიც, იგი განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებდა მასთან შეხვედრებს, თქვიდა, რომ ეს ღვთის დიდი წყალობა იყო მასზე: „იმ დროს, – იტყოდა იგი, – ღმერთი განსაკუთრებულად მწყალობდა! ბერთან ყოველდღე უნდა მიესულიყავი, ზოგჯერ ღღეში რამდენჯერმე. ასეთი იყო მორჩილება“. ალექსანდრეს ჰქონდა შესაძლებლობა, ესაუბრა ბერთან თავის სულიერ განწყობილებაზე, მიეღო მისგან ბრძნული რჩევა-დარიგებანი იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, როცა მას ცდიდნენ, თუნდაც სემოთ გადმოცემული გერასიმეს შემთხვევაში, რათა განსაცდელს კი არ გაემარჯვა ადამიანზე, არამედ ადამიანი გამოსულიყო გამარჯვებული;

[1] ბერი ამბროსის ცხოვრების აღწერაში, რომელიც არქიმანდრიტმა გრიგოლმა შეადგინა, ეს სიტყვები ჯერ-ჯერობით ბერ ლევს: მაგრამ ეს არასწორია.

განსაცდელს წყენა კი არ უნდა მოეტანა გამოსაცდელის სულისთვის, არამედ სარგებელი.

მონასტერში გამოსაცდელი შემთხვევები ხშირია. ოპტინის მონასტრის მამები ცდილობდნენ ითანე კიბისაღმწერლის მიძღვრების მიხედვით მოეყვანათ ასეთი შემთხვევები, რათა ხსნაში მყარული სამოსლის მოთმინების გვირგვინი დაედგათ[50]. ისინი ჭეშმარიტ მღვდაწევებს სხვების თანდასწრებით დასცინოდნენ, თავად კი, სიმშვიდეს დაუფლებულნი, ზოგჯერ მრისხანე გეგონებოდათ და დაუნდობლად ლანძღავდნენ მათ. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რათა გამოსაცდელ ძმას, იგრძნობდა რა სულში სიამაყისგან შობილ მრისხანებას, პირველ რიგში, გაეცო თავისი უძლურება და მეორე – ცდილიყო განეკურნა სულის ჭრილობები თვითგანკითხვითა და სიმდაბლით ღვთისა და ადამიანების წინაშე; აგრეთვე ესწავლა გულწრფელი აღსარება და ლოცვა სინანულით, რათა, ბილის და ბილის, თანდათანობით განმტკიცებულიყო მისი სული სიკეთეში და ასე ნელ-ნელა ასულიყო ძალიდან ძალაში, „ვიდრემდის მივაწინეთ... ჰასაკისა საცსებისა მის ქრისტ სისა“[51].

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ახალბედა მორჩილ ალექსანდრეს თავის სულიერ წინამძღვრად და ხელმძღვანელად ბერი მაკარი ჰყავდა; ამაკდროულად, ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა და სკიტიდან მონასტერში ბერ ლეონთანაც დადიოდა, რომლის სიწმინდის წინაშეც დიდ სიწრფელესა და მოკრძალებას აცხადებდა. ბრძენი ბერი თავის ერთგულ მოწაფეში გადარჩენის ჭეშმარიტ სურვილს ხედავდა, არ აძლევდა საშრდოს მის თავმოყვარეობასა თუ პატივმოყვარეობას, პირიქით, ზოგჯერ თავისი მკაცრი მიმართვით ცდილობდა მეთვინიერებინა ახალბედა მორჩილი. ხშირად სახელით არც მიმართავდა, არამედ ქიმერას[52] ეძახდა. ბერი ამბროსი შემდგომში

---

[50] კიბისაღმწერელი სიტყვა. IV, განკ. 27.

[51] ეფეს. IV, 13.

[52] ერთხელ ბერ ლეონს ჰკითხეს, თუ რას გულისხმობდა ის სიტყვა „ქიმერაში“. ბერმა უპასუხა: „ვინახავს, როგორ ცეცხლის კიტრი? არის ნამდვილი ფერი, არის ხვანჯი, რომელსაც კიტრი არ ეწრდება. კი. ყშეცნეყოლა. აი, ეს არის ხიმერა“. სხვათა შორის, ბერი სხვა მორჩილებასაც საკირიბებისას არქმევდა სხვადასხვა სახელებს. აწ გარდაცვლილი ოპტინელი მიძღვარი მღვდელ-მონაზონი პიმენი,

გაიხსენებს: „ერთხელ მამა ლეკთან მონადირე ქალი იყვა; ბერმა მოხადა მას ქუდი და მე დამახურა“. ცხადია, ახალგაზრდა ბიჭისთვის არ იქნებოდა სასიამოვნო ხალხში ქალის ქუდით დგომა; შესაძლებელია, წინასწარმეტყველი ბერი ამ მოქმედებით ალექსანდრეს შემდგომ მოღვაწეობაზე მიანიშნებდა, რადგან ცნობილია, რომ ის ყველაზე უფრო მონადირებზე ზრუნავდა. ამ განსაცდელში მყოფ ალექსანდრეს ღრმად სწამდა, რომ შეიძინა ის, რაც დიდი ხნის განმავლობაში სწყუროდა მის სულს. მისი აზრით, სულის სიმშვიდისთვის საჭირო იყო სულიერი ცხოვრების სრულყოფა და ყოფნა თავმდაბლობით. იგი თავის სულიერ საუნჯეს ამქვეყნიურს არ ცვლიდა. ალექსანდრე ხშირად წერდა თავის ამხანაგებს – ლიპეცკის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგს, ვასილი თეოდორეს ძე სვეტოსარიოვს და პაველ სტეფანეს ძე პოკროვსკის – იმ სულიერ ბედნიერებაზე, რომელიც მას ოპტინის წმინდა სავანეში გაეხსნა და ორივე მათგანს მონასტერში მოუწოდებდა. სვეტოსარიოვ[53] მალე გაჰყვა ალექსანდრეს მოწოდებას, პოკროვსკი კი აყოვნებდა.

1841 წელს ალექსანდრემ დატოვა ლიპეცკი. პოკროვსკიმ, რომელიც ამ დროისთვის სამსახურიდან თავისუფალი იყო, გადაწყვიტა სკიტში მოენახულებინა ალექსანდრე, რომელიც უკვე კაბისანი მორჩილი იყო და სკიტის ერთ პატარა სენაკში ცხოვრობდა. იგი მშარეულის მოვალეობასაც ასრულებდა. სენაკში შესვლისთანავე პაველ მისმა სიღარიბემ განაცვიფრა: წმინდა კუთხეში ესვენა ჩვენთვის უკვე ნაცნობი ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მშობლების კურთხევით იყო ალექსანდრესთან, ლოგინზე რალაც გახუნებული ძველი ქერთუკი ეგდო,რომელიც ლეიბისა და საბნის მოვალეობას – ორივეს ერთად ასრულებდა. პაველმ აგრეთვე შენიშნა ძველი ანაფორა ბერის ბარჩეულით, მეტი არაფერი. „ეხსენებდი ამხანაგის განელილ ცხოვრებას, როდესაც ის მასწავლებლად მუშაობდა -

---

რომელიც ტანმოკრძო გახლდათ, ამბობდა საკუთარ თავზე: „სოგჯერ მოვიდოდი მამა ლეკთანის კი დამინახავდა თუ არა ნაილაპარაკებდა„„პატარა კაცი მოსულა!“

[53] სვეტოსარიოვი მოღწეო სკიტში ალექსანდრესთან ერთად. რამდენიმე ხანში ალექსეად იქნა და დაერქვა სახელი ბარსანიფი. შემდეგ კი გადაიყვანეს მალიოანაროსლავის მონასტერში, სადაც მღვდელ-მონაზვნის ხარისხში მიძღვრად დადგინდა. სიკვდილის წინ ალექსანდრე იქნა სქემაში ბარნაბას სახელით.

რა სუფთად იცვამდა მაშინ! შეუძლებელი რა მას ახლანდელი სიღატაკე ისე გამოჭირდა, რომ ცრემლები წამომიეტყა", – ჰქვებოდა პიკრიოსკი. ასეთი იყო ამ სიფხვლისმოყვარულ პაველს შეხედულება თავის ყოფილ ამხანაგზე, რომელიც ამ ცდლაფყრის, პაველისგან განსხვავებით, სულ სხვა თვალით უყურებდა; თავის სულიერ ბედნიერებას სწორედ ამაზე – სიღატაკეზე ამყარებდა, რადგან სწავლობდა უფრებობას საგანთა თუ მოვლენათა მიმართ.

ეტყობა, ალექსანდრეს იმედი ჰქონდა ღვთივგანბრძნობილი ბერების – ლეონისა და მაკარის თანადგომით – დაარწმუნებდა პიკრიოსკის, რომ მთავსებული ცხოვრება, მიუხედავად გარეგნული სიღატაკისა და ხალხული უხერხულობებისა, დიდი სიფარულის მაგარებელია. ამიტომ გადაწყვეტს, იგი მაშა ლეონთან მიიყვანოს. მეხუთე ბერი ავადმყოფობის მიუხედავად მკაცრად მოლეწყობდა. როგორც ვიმეთ ვახსენეთ, იგი მკრივი ასნაგობისა იყო, რომელიც უმალ თვალში ეცა სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელ პიკრიოსკის და მასში უსიამოვნო გრძნობები აღძრა. ბერმა ამოიცნო მისი ასრები და იმ წუთშივე ამხილა უბრალო, ხალხური ენით: „რას უყურებ ჩემს ღიპს? ფრთხილად იყავი, დროება განმავლობაში შენც ოგიეე არ მოგვიდეს". ზუსტად ამ დროს მონასტერში სერობის ზარი დარეკეს. ლოგინისე წამომჯდარმა ბერმა დიდი მოწიწებით წარმოთქვა ჩვეულებრივი „დიდებამაღალიანი", უფლის მიმართ: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი ყოველადვე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე". როგორც ვიმეთ აღვნიშნეთ, ავადმყოფი ბერი, რომელიც უძლურების გამო ეკლესიაში ვერ დადიოდა და ღვთისმსახურებაში არ მონაწილეობდა, თავის სენაკში ისმენდა ლოცვებს მისთვის საგანგებოდ დანიშნული მკითხველებისაგან, რომელთა შორის ერთ პერიოდში ალექსანდრე გრენკოვიც იყო[34]. ალექსანდრემ იცოცხლა, ბერმა სალამოს მსახურების ჩვეულებრივი დასაწყისი თქვაო და მისი სიტყვები „ამინით" დაასრულა, მერე კი განაგრძო „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა! მეუფეო

[34] წაკითხვილის ვალდებულება ბერი ამბროსის ცხოვრების აღწერაში ასეა განმარტებული, რომ ალექსანდრე გრენკოვი კითხულობდა ბერისთვის წერილებს და სასულიერო წიგნებს, მაგრამ ეს შეკვეთითაა გაგებული.

ზეცათაო“ და ასე შემდეგ. ბერმა უცებ შეაწყვეტინა და მკაცრი შენიშვნა მისცა: „ვინ მოგცა კურთხევა წაგეკითხა?!“ ალექსანდრემ დაიბოქა და მისგან შენდობა ითხოვა. ბერმა მრისხანე სახე მიიღო და განაგრძო: „რატომ მიეცი შენ თავს ამის გაკეთების უფლება?“ შემცოდე კვლავ იხოქებს და პატიებას სთხოვს: „მაპატიეთ, მამაო, ღვთის გულისათვის, მაპატიეთ!“ ბერმა თითქოს მოთმინება დაკარგა: მკვრივი ალნაცობა, მრგვალი, მკაცრად მუტყვესი სახე, თხელი ცხვირი, ლომის ფაფარივით ხშირი, ტალღისებური ჭაღარა თმა, ტენორის მაღალი ხმა, განრისხებული სახე,— ყველა ამ ნიშნით იგი ლომს დაემსგავსა. მიუხედავად ალექსანდრეს ხანგრძლივი მოკრძალებული თხოვნისა, ლევი თითქოს ვერც ამჩნევდა მას,ფეხებს მიწას გამეტებით ურტყამდა, ალექსანდრეს თავზე ხელებს ამოძრავებდა და გაბრაზებული ამბობდა: „ეს, შე თავნებავ, როგორ გაბედე კურთხევის გარეშე ამის გაკეთება!“ საშინელი მოსასმენი იყო. ეს ყველაფერი მკაცრი განაჩენით დამთავრდა: შემცოდემ ბერისგან შენდობა მიიღო, რის შემდეგაც ორივენი დაემშვიდობნენ მას. ალექსანდრეს კარგად ესმოდა ბერის მრისხანე განაჩენის მაღლიანი მიზანი და იცოდა, თუ რას აკეთებდა იგი, ამიტომაც მისდამი სიყვთით განწყობილი რჩებოდა. პოკრიოსკი, პირიქით, უკმაყოფილო დარჩა და მალე წავიდა ოპტინიდან.

ასეთი მწარე გამოცდებით, სისხლის ფასად ალექსანდრე ნელნელა მოიმოშაკებდა ღვთივსაყვარელ სათნოებას — მორჩილებას. იგი იწრთობოდა განსაცდელების დათმენით, რომლებიც ხშირად მოიწვდა მისთვის საყვარელი ბერისგან — მამა ლევისაგან. ბერი ხშირად საყვედურობდა ალექსანდრეს; მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი სენაკიდან გავიდოდა, ბერი იქ მყოფთ, ამ შემთხვევების მომსწრეებს, მას'ხე ეტყოდა: „დიდი კაცი იქნება!“

თავისი ღვთივსათნო და მძიმე ცხოვრების უკანასკნელ დღეებში ბერი ლევი საყვარელ მორჩილ ალექსანდრეზე მაკარი ბერს — ბერობაში თავის მემკვიდრესა და მესაიდუმლეს, მოუწოდებდა. ბერი ამბროსი გაიხსენებს: „გარდაცვლილმა ბერმა (იგულისხმება ლევი) მაშინ დაუძახა მამა მაკარს და უთხრა: „ეს კაცი ცდილობს ჩვენ, ბერებს, შეგვეკუდლოს. მე ახლა ძალიან დაუძლურებული ვარ; მე

მინდა გადმოგცე იგი 'შენ ანაფორიდან ანაფორაში. აიყვანე ხელში, როგორც ეს შენ გჩვეულია".

არის ისეთი რამ, რაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე უნდა დაიჯეროთ, ბერმა ლევმა მამა მაკარს მიუთითა რა ალექსანდრეზე, მაშინ უთხრა: „ის შენ გამოგადგება".

მაგრამ რაღა ვთქვათ ახალგაზრდა მოღვაწის მარხვასა და ლოცვაზე, რომელთა გარეშეც ხსნა არ მოიწევა, რადგან გულისხმიერი მარხვა, წმიდა მოღვაწე მამათა სწავლებით, სულიერი ცხოვრების საფუძველია[55], ხოლო იოანე კიბისაღმწერელი სათნოების წყაროს წყალობის მისეულს უწოდებს[56]. თავისი მამა-მოძღვრების – ლევისა და მაკარის მიბაძვით, ალექსანდრე თავს აიძულებდა ყოველდღიური მარხვით; სკიტის საძმოსთან ერთად საკვების მიღებისას მკაცრად იცავდა ზომიერებას. ამგვარად, ის სხვა მშარხველთაგან თავს არ გამოარჩევდა და ყოველგვარი საკვების მიღებით ამდაბლებდა ამპარტავნების განზრახვას. ეს ზომიერება ზოგჯერ იქამდე აღწევდა, რისთვისაც ნამდვილად შეიძლებოდა გეწყინებინა მძიმე მარხვა. ლოცვა – ეს საიდუმლო ნაწილია, მასზე შეიძლება ითქვას, რომ ვერავინ გაიგებს მას, გარდა ადამიანში მყოფი სულისა.

აქ არ არის საუბარი გარეგნულ ლოცვაზე, არც ღვთისმსახურებაზე სისტემატურ სიარულზე, რასაც ალექსანდრე სკიტის საძმოსთან ერთად ჩვეულებრივ აკეთებდა, არამედ სულის შინაგან ლოცვით განწყობილებაზე. ამაზე შეიძლება მხოლოდ იმარჩიელო. ლოცვას, როგორც ზემოთ ვთქვით, წმიდა კიბისაღმწერელმა „სათნოების წყარო" უწოდა. ალექსანდრეს სათნო ცხოვრებას ყველა ხედავდა, შესაბამისად, შეიძლება საწყის მდგომარეობაში, მაგრამ მაინც წყარო სათნოებისა მასში უკვე ჩანდა. როგორ შეიძლება მლოცველი არ ყოფილიყო,მას ხომ ლოცვა ერში ყოფნის დროსაც უყვარდა?!

---

[55] იხილეთ სლავური „სათნოებათმოყვარეობის" ბერების კალისტასა და ეგნატეს თაყვები ლოცვასა და ულოცველობაზე, თავი 30.

[56] კიბისაღმწერელი. სიტყვა XXVII, განყ. I. – ოპტინის მონასტრის გამოცემა.

V თავი

მამა ალექსანდრე – ბერი და მღვდელ-მთანაზონი ავადმყოფობის ჯვრის ქვეშ

„ჭარე მომაღუს მე სალმობანი სიკუდილისანი“.

წინა თავში შეიძლება იმის დანახვა, თუ რომელ საათიებებში იწრთობოდა ახალგაზრდა მოღვაწე მამა ალექსანდრე. მისი მუდმივი სიმდაბლე, გამოხატული ბერების მიმართ სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებაში, მიემართებოდა ახალგაზრდა მორჩილებასაც, რომელიც იყო, მაგალითად, ძმა გერასიმე. შეურაცხყოფათა უღრტვინველად დათმენამ, უკიდურესმა სიღატაკემ, მარხვამ და ლოცვამ, აგრეთვე ბერებთან – ლეკთან და მაკართან გრძნობებისა და სურვილების წრფელად აღიარებამ[57] ბერების გული ისე განაწყო მისდამი, რომ ერთმა მეორეს დაავალა, მისთვის განსაკუთრებულად ეზრუნა – „გადასცა ის ანაყორიდან ანაყორაში“. საფიქრებელია, რომ დიდი მოღვაწე ბერების ანაყორათა ბოლოები ისეთივე ახლობელი იყო მათი მოწაფისათვის, რომელიც ქლისესთვის ქლიას მიერ მისკენ გადმოგდებული ხალუნი. შეიძლება ის არ იყო ღვთისგან დაჯილდოებული ბერებზე გადმოღერილი ორმაგი მადლით, მაგრამ არც ერთი ადამიანი, ვინც კი მამა ამბროსს იცნობდა, ვერ უარყოფდა, რომ ყოველად სახიერმა ღმერთმა რა მადლითა და სულიერი ნიჭითაც დააჯილდოვნა ბერები ლეკი და მაკარი. იგივე წყალობანი გადმოღვარა ამბროსი ბერ'სეც. ღვთიური წყალობა კი ტყუილ-უბრალოდ არ იძლევა, თანახმად უფლის სიტყვებისა: „და მოითმინებითა თქუენითა მოიპოვეთ სულნი თქუენნი“[58]. რაც უფრო ღიდხანს ცხოვრობდა მამა ალექსანდრე სკიტ'ში და სრულყოფდა სულიერ ცხოვრებას, მით უფრო მძიმე ხდებოდა მისი ჯვარი. როგორც მალე ვნახავთ, მის ნებით თუ უნებლიე მწუხარებათ მძიმე ფიზიკური ავადმყოფობაც დაემატება, რომელიც უკვე ღვაწლმოსილი ბერის თქმით,

[57] ბერულ ცხოვრებაში ეს ცნობილია საერთო სახელწოდებით „სრახვების გამოცხადება“.

[58] ლუკა XXI, 19.

განსაცდელებზე გაცილებით უფრო მძიმეა, ვინადან განსაცდელებისას, – დაამატებდა ხოლმე, – ადამიანს შეუძლია ლოცვაში იპოვოს ნუგეში, ხოლო მძიმე ფიზიკური ავადმყოფობისას ის ამ ნუგეშს მოკლებულია.

1841 წლის 11 ოქტომბერს ღვთის წინაშე წარდგა ოპტინის უდაბნოში ბერობის ჟუჟემდებელი, დიდი ბერი მამა ლევი. მისი დასაფლავების დღეს ქუქლა, ვინც კი სკიტში ცხოვრობდა, მონასტერში წავიდა, რათა უკანასკნელად გამოთხოვებოდნენ თავიანთ წინამძღვარს – ერთხელ კიდევ ეკლიცათ მოძღვრის დამაშვრალ სხეულთან მისი წმინდა სულის სულიერ საკანში დასამკვიდრებლად. სამწარეულო მორჩილებით დაკავებულმა მამა ალექსანდრემ ვერ შეძლო ბერის დაკრძალვაზე წასვლა, არადა, ძალიან უნდოდა. ქუქლა წუხდა ბერის გარდაცვალებას: მისი თაყვანისმცემელი ნაცნობები, მონაზვნები და ერისკაცები. განიცდიდა, რა თქმა უნდა, მამა ალექსანდრეც, მაგრამ ეს საერთო მწუხარება უნუგეშო არ ყოფილა, რადგან მამა ლევის შემდეგ ოპტინის უდაბნოში დარჩა სხვა ბერი, მის მსგავსად მრავალი სულიერი ნიჭის მქონე, სკიტის მმართველი მამა მაკარი. აწ განსვენებულმა ბერმა მის მზრუნველ ხელს ჩააბარა მამა ალექსანდრე, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც მთელი სულით მიეჯაჭვა მას. ნეტარხსენებული მამა ლევის გარდაცვალების შემდეგ, მამა ალექსანდრეს სამწარეულო მორჩილება მალე სხვა მორჩილებით შეუცვალეს – ის გახდა შინამომსახურე მაკარი ბერისა. ეს მორჩილება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ოთხი წელი გრძელდებოდა (1841 შემოდგომიდან 1846 წლის 2 იანვრამდე).

1842 წელს მამა ალექსანდრეს ცხოვრებაში მოხდა ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენა: თავისი ხელმძღვანელობის წარმოდგინებითა და წმინდა სინოდის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, იგი მონაზვნად აღიკვეცა და ეწოდა ამბროსი, მედიოლანის ეპისკოპოსის, წმინდა ამბროსი მედიოლანელის სახელი, რომლის ხსენებაც დაწესებულია 7 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ თავმდაბლობის გამო ჯერ კიდევ არ უნდოდა მონაზვნად აღკვეცა, ისევე როგორც წინათ, როდესაც უარი თქვა მორჩილად განწესებასა და ანაფორის ტარებაზე, მაგრამ ბოლოს მაინც აღკვეცილ იქნა, როგორც თვითონ

იტყოდა, მხოლოდ და მხოლოდ თაყვისი მოძღვრის, სქემმონაზონ მაკარის ნებითა და კურთხევით. ახლადაღკვეცილი ამ დროისთვის 30 წლისა იყო. აღკვეცისთვის ეს არ იყო ძალიან პატარა ასაკი, მაგრამ კაცისთვის, რომელსაც ოპტინის უდაბნოში მხოლოდ სამი წელი გაეტარებინა მორჩილად, ბერად აღკვეცა ნაადრევად ითვლებოდა. განსვენებული ბერი ამბროსი გარსშემოხვეულ მსმენელებს, როცა ამის შესახებ უყვებოდა, ერთხელ ყოლაგამ შენიშნა: „ეს მაშინ ძალიან მალე ხდებოდა“. „არა, – მიუბრუნდა ბერი, – მანტიის შემოსვამდე თორმეტი წელი ცხოვრობდნენ მორჩილად, რაც მე რატომღაც-“ და ბერმა ხელი ჩაიქნია, რითაც სხვებს აგრძნობინა, რომ არაღირსეულია, რომელსაც მთელი ცხოვრება საკვებით დაუმსახურებლად განადიდებდნენ.

სხვათა შორის, მამა ამბროსის ნაადრევი (სწრაფი) აღკვეცა სასიამოვნო გარემოებით აიხსნება. კალუგის მაშინდელი მწყემსმთავარი ნიკოლოზი ყოველთვის იჩენდა კეთილგანწყობას ნაადრევად აღკვეცისა და ხარისხში აყვანის მიმართ. სასკოლო განათლების მქონენი მონასტრების წინამძღვართაგან ითხოვდნენ, რომ სხვებზე ადრე წარედგინათ აღსაკვეცად და ხელდასასხმელად. მამა მაკარის მშვენივრად იცოდა რა ახალგაზრდა მოღვაწის, მამა ალექსანდრეს სულიერი მდგომარეობა, მისი გამოცდის დროის სიმოკლის მიუხედავად, სიყვარულით აკურთხა, აღკვეცილიყო.

საკანის თავმდაბალი წინამძღვარი, იღუმენი მოსე, სრულებით დაეთანხმა ბერის ნებასურვილს, რადგან ისიც კარგად იცნობდა მამა ალექსანდრეს, რომელიც წმინდა სინოდზე სასულიერო საეპარქიო მმართველობის გაელით იქნა წარდგენილი, სადაც თხოვნა არ დაუბრკოლებიათ. ამას ამბროსი ბერი ასე ხსნიდა: „საქმე ის არის, რომ იმდროინდელ სინოდში ერთი ჩემი ამხანაგი მსახურობდა[39], რომელიც ჩემით ძალიან იყო დაინტერესებული, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა ჩემი ადგილსამყოფელი. როგორც კი აღსაკვეცად წარმადგინეს, მან შეიტყო ჩემ შესახებ, და სასწრაფოდ გამოითხოვა ჩემთვის აღკვეცის ნებართვა“. ოპტინის მონასტერი სინოდის ნებარ

[39] გყვარად ბელსკი, ალექსანდრე გრენკოვის თანაკლასელი და მეგობარი.

თვას აღსაკვეცად წარდგენილ მორჩილებზე ყოველთვის შემდგომი წლის დიდი მარხვისთვის იღებდა, ამ შემთხვევაში კი ნებართვა ამავე წლის ოქტომბერში მოვიდა. სხვა ოპტინელი ბერებისაგან განსხვავებით, მამა ამბროსი, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, მალე იქნა აყვანილი ჯერ ბერდიაკვნის, შემდეგ კი მღვდელ-მონაზვნის ხარისხში. ასე რომ, საქმე ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა, ყველაფერი აღესრულებოდა ყოვლადბრძენი ღმერთის განგებულებით, რომელიც ადამიანთა ყოველ გარემოებას სასიკეთო მიზნისკენ მიმართავს. ბერი ამბროსი ხანდახან ამბობდა: „საქმე ადამიანურია, მსჯავრი კი – მეფეთა (საღმრთო). თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ახალგაზრდა ბერ ამბროსის ახლო მომავალში ავადმყოფობის ჯვარი ელოდა, და ამიტომ, თუკი მისი აღკვეცა და ხარისხში აყვანა დაყოვნდებოდა, ის ვერ გახდებოდა მღვდელ-მონაზონი, შესაბამისად, ვერ იქნებოდა სულიერი მოძღვარი, რაც დიდი დანაკარგი იქნებოდა მათთვის, ვისაც მისი სულიერი შვილობა ხვდა წილად.

რას ნიშნავს „აღკვეცა მანტიაში?“ მანტიას სხვაგვარად მცირე სქემას უწოდებენ, ხოლო სქემაში აღკვეცას მოღვაწე მამები მეორედ ნათლობას ეძახიან[ω]. პირველი ნათლობა ხდება წყლით, ხოლო მეორე – მონანიული ცოდვილის საკუთარი ცრემლებით. ამიტომაც აღკვეცას დიდი მნიშვნელობა აქვს; ის საიდუმლოებაა, რომელშიც ჭეშმარიტად მონანიული ადამიანი ცოდვათა ჯვარცმისა და ნათლისღების შემდეგ გულმოწყალე მამაზეციერს ისევ აძლევს აღთქმას და ხელახლა იშვება სულიერი ცხოვრებისათვის. ღვთისნიერ ცხოვრებას ჭეშმარიტად შეკვარებული მორჩილი ამ ყველაფრისთვის ემსახურება დაახლოებით ხუთი დღე,მარხვით და ლოცვით,ასევე არ აცდენს საეკლესიო მსახურებებს. აღკვეცის წინა დღეს, სულიერ მოძღვართან აღსარებაში ამბობს ყველა იმ ცოდვას, რაც ბავშვობიდან ჩაუდენია და იღებს შენდობას სინანულის საიდუმლოში. შემდეგ კი, უშუალოდ აღკვეცის დროს, მთელი ეკლესიის თანდასწრებით უფალს პირობას აძლევს, რომ ისე იცხოვრებს, როგორაც ამას ბერული წესი მოითხოვს. თმას ჯვრის სახით შეაჭრიან

[ω] აქ მოსანდასახელადაა ახსნილი მანტიაში აღკვეცის მნიშვნელობა, იმიტომ, რომ ბევრს აინტერესებს: რა არის მანტიაში აღკვეცა, რისთვის აღკვეცენ მასში.

იმის ნიშნად, რომ მან უარყო საკუთარი თავი, ეს სიფუძლი და ქველაფერი, რაც ამ სიფულშია. მოაჭრიან ასევე თავისი ნებასურვილებისა და ავხორცობის მისაკუთად, მამის, ძისა და წმინდა სულის სახელით. ამასთანავე, მას, როგორაც ახალი ცხოვრების დამწყებს, ახალ სახელს არქმევენ; შემდეგ იმოსება სამოსანასხნო სამოსით, რასაც სულიერი მნიშვნელობა აქვს. დასასრულ, ლიტურგიის ბოლოს, ახლადაღკეცილს ასიარებენ ქრისტეს უწმინდეს ხორცსა და სისხლს, ყოველი მონანული ცოდვილის განმწმენდელსა და მაცოცხლებელს. ამიტომ, დასასრულს ცოდვილის სულიერად კვლავ დაბადების საიდუმლოს აღსრულებისას, იგალობება სანუკვარი საგალობელი: „შეიცნობთ, ძმებო, ძალას საიდუმლოსი, ვინაიდან ცოდვებისგან მამისეულ სახლში დაბრუნებულ უძღებ შვილს ყოვლადკეთილი მამა სათნოებოს“ და სხვ. დამსწრეთაგან მრავალი, აღსაკვეცებსე ლაპარაკი სულმეტია, ამ საიდუმლო მოქმედებას აცრემლებული უსმენდა. აქედან თითოეულ ჩვენგანს შეუძლია დაასკვნას, თუ როგორ იმოქმედა ალკვეცამ ახალგაზრდა მამა ალექსანდრესე, რომელიც მთელი სულით მიისწრაფოდა ღვთიური სათნოებებისკენ.

ოპტინის მონასტრის საეკლესიო წესდებით, ახლადაღკვეცილი ბერები ხუთი დღის განმავლობაში ტაძარში იმყოფებიან, ღვთის სახლიდან არ გადიან. ისინი იქ იკვებებიან, იქ სძინავთ და არც განიმოსებიან – ისინი ბერის შესამოსელს ატარებენ და ბარტყულს თავიდან არ იხდიან. მეხუთე დღეს მათ ისევ ასიარებენ ქრისტეს ცხოველმყოფელ საიდუმლოს და სენაკებში უშვებენ. ახალი ცხოვრებისათვის შობილი ბერები ამ დროს მადლმოსილ ნუგეშს ილებენ, რაც უეჭველია, ორმაგად მიეცა ახალგაზრდა მიღვაწის, მამა ამბროსის ღვთისმოყვარე სულს.

მანტიის მიღების შემდეგ, მამა მაკარის კურთხევით მისი საყვარელი მოწაფე მამა ამბროსი, როგორც ღირსეული, მალევე წარადგინეს ბერდიაკვნად საკურთხებლად. ბერების მიერ გამოსარჩლის საკუთარ თავზე არ ჰქონდა მაღალი წარმოდგენები, პირიქით, თავს უღირსად მიიჩნევდა საკურთხეველში, მაცხოვრის ტრაპეზსე მსახურებისათვის. ის სხვა ბერთან, ბერდიაკონ პაფნუტისთან[61] ერთად, რომელიც იმავდროულად მღვდელ-მონაზვნის ხარისხში იყო წარდგენილი,

მამა მაკართან უარის სათქმელად მიუდგა[61]. „შეცდით მის სენაკში, – პქვება მამა ამბროსი, – მან კი დაგვასწრო: თქვენ დაგნიშნეს, დაგნიშნეს, ეს კარგია, კარგია“. ჩვენ დაემუნჯდით და პასუხის გაცემა ვერ შევძელით. ჩემი ამხანაგი ჩემზე მამაცი აღმოჩნდა და პირქუშად ის ალაპარაკდა: „კი, სალაპარაკოდ ამის თათბირზე მოვედით თქვენთან, მამაო! ჩვენ ხომ სასულიერო წოდების ღირსნი არა ვართ“. „ასეც იფიქრეთ, იფიქრეთ ასე ყოველთვის, რომ თქვენ არ ხართ ღირსი“, – გააწყვეტინა ბერმა. ამ ყეყლაფრის შემდეგ მე პირიც კი ვერ გავაღე“, – დაამატა მთხრობელმა. ამგვარად, ბერმა დაამშვიდა ახალგაზრდა მოწაფეები, რომელიც 1843 წლის 2 თებერვალს ბერდიაკვნად იქნა ხელდასხმული. თუ როგორ უყურებდა ახლადნაკურთხი ბერდიაკონი თავის მსახურებას, ამაზე დადებითად პასუხის გაცემა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოდ ვარაუდი და შემდეგ დასკვნის გამოტანა. ერთ-ერთ ბერდიაკონს, რომელსაც მსახურება უჭირდა, ბერმა უთხრა: „მამაო, არ გესმის საქმე, შენ ხომ ეზიარები?!“ – უკანასკნელი სიტყვები განსაკუთრებული გამომეტყველებით იყო ნათქვამი. ახალგაზრდა ბერდიაკონი მამა ამბროსი თავის მსახურებაზე ფიქრობდა, როგორც ყველაზე ძლიერ და ერთადერთ მკურნალზე, რომელსაც შეუძლია მომაკვდავი სულის გაცოცხლება. ჩვენთვის დაკლული ღვთის კრავის ხორცისა და სისხლის მიღებით ვნით გამოუთქმელ სულიერ სიტკბოებას ეზიარებოდა.

1844 წელს ოპტინის მონასტერში გადმოსული იღუმენი თეოდოსი[62] ამ პერიოდის გახსენებისას ამბობდა, რომ ბერდიაკონი მამა ამბროსი ყოველთვის დიდი მოკრძალებით მსახურობდა.

ოპტინის მონასტრის ტიპიკონით, ის თავის დროზე ატარებდა რიგის ღვთისმსახურებას. ერთხელ, როდესაც ის მონასტერში გვიანდელ ლიტურგიას ატარებდა,ოპტინაში ჩამოვიდა მალოიაროსლავეცის იღუმენი ანტონი, სკიტის ყოფილი მმართველი, რომელსაც მამა

---

[61] შემდგომში – სკიტის მმართველი და ბოლოს მალოიაროსლავეცის ნიკოლაევსკის მონასტრის წინამძღვარი და არქიმანდრიტი. წარმოშობით დიდგვაროვანი.

[62] ოპტინის მონასტერში ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა.

[63] ყოფილი წინამძღვარი პერემიშლიეო-ლიუტიკოვის სამების მონასტრისა, ახლა კი დასასვენებლად ცხოვრობს ოპტინის სკიტში.

ამბროსი კარგად იცნობდა. „ჯამნების კითხვის დროს, – ჰყვებოდა განსვენებული ბერი ამბროსი, – ის საკურთხეველში შემოვიდა. ჩვეულებისამებრ თავი დაუხარე და კურთხევის ასაღებად მიცქდი“. „ნუთუ ცჩვეცით?“ – მომმართა მშვიდად იღუმენმა „დიდება უფალს, თქვენი წმინდა ლოცვებით ცვჩვეცი, მამაო“, – ვუპასუხე საკმაოდ თამამად. ცცებ იღუმენმა მეტყველების ტონი შეცვალა: „სიმდაბლეს ეჩვეცით?“ – და მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ოპტინის მონასტრის ბერები თავისუფლად ლაპარაკისას ფარული ამპარტავნების ნიშანს ხედავდნენ და სულის ხსნის მოშურნეთათვის ცდილობდნენ რიგიანი შენიშვნებით ემკურნალათ ყველგან და ყოველთვის.

საფიქრებელია, ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს ბერი ამბროსის მოგონებები საკუთარ თავზე. მეუფე ნიკოლოზმა კალუგაში მოღვაწეობისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა ბერდიაკონ ამბროსის. ალბათ, მთავარი მიზეზი ამისა იყო ის, რომ როდესაც მამა ამბროსის უფროსი ძმა ნიკოლოზი ტამბოვის სემინარიაში სწავლობდა, მაშინ სემინარიის რექტორი სწორედ მეუფე ნიკოლოზი იყო, და იცნობდა მას, როგორც ჭკვიან აღსაზრდელს. შესაბამისად, მამა ამბროსისაც კარგად უცნოდა. „ერთხელ მეუფე ფეხით მოდიოდა გზაზე, რომელიც მონასტერსა და სკიტს შორის გადიოდა, – ასე იხსენებდა შემდგომში ბერი ამბროსი, – მას ჩვეულებრივ მიაცილებდნენ იღუმენი მოსე და მამა მაკარი. მეც იქ ვიყავი. მახსოვს, მეუფე სულ მე მელაპარაკებოდა და ჩემი წაყვანა უნდოდა, მე სინდისი მაწუხებდა და თავს უხერხულად ვგრძნობდი“[64].

1845 წლის ბოლოს, ბერდიაკვნად სამი წლით ყოფნის შემდეგ, მამა ამბროსი მღვდელ-მონაზვნის ხარისხში ასაყვანად წარადგინეს. თავმდაბალი ბერის ცხოვრებაში განმეორდა ის ისტორია, რაც მისი ბერდიაკვნად კურთხევის დროს მოხდა: საკუთარი უღირსობის აღიარება ბერის წინაშე და ამ უკანასკნელის წინანდებურად

[64] სოგიერთი ახლობელი ბერი ამბროსისა გადმოგვცემდნენ, რომ ეს თხრობა ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ბერი ამბროსი (ანაყოფიანი ბერი) იყო. სკიტის მატიანეში ჩაწერილია, რომ მეუფე ნიკოლოზი წამოსული იყო ოპტინის მონასტერში 1839 წელს, როდესაც მამა ამბროსი ჯერ კიდევ არ იყო მონასტერში. და კიდევ, თითქმის ოთხი წლის შემდეგ, 1843 წლის 13 იანვარს, როდესაც ის უკვე ბერდიაკონი იყო.

ბრძნული და მბრძანებლური პასუხი. მამა ამბროსი ამ მიზნით კალუგაში უნდა წასულიყო; 7 დეკემბერს დილით ადრე, გაბრიელ[ნ] მონასტონთან ერთად, რომელიც ბერდიაკენად უნდა ეკურთხებინათ, გაუდგა გზას. ძალიან ცივოდა. მამა ამბროსი არ იყო შეჩვეული ზამთრის შორეულ მგზავრობას; ამასთანავე, მარხვით ღონემიხდილი გაციებებული იყო. „მახსოვს, – ჰყვებოდა ბერი, – როგორც კი პირველ სადგურამდე მიმიყვანეს, კუჭის ძლიერი ტკივილი ვიგრძენი“. ეს უნდა ყოფილიყო დასაბამი იმ შეუწყვეტელი, მძიმე ტკივილებისა, მთელი ცხოვრება თან რომ სდევდა კუბოს კარამდე, თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

კალუგაში ზამოსკვლისთანავე ისინი ყოველდღუსამღვდელოეს ნიკოლოზთან წარდგნენ, რომელმაც თბილად და ალერსიანად მიიღო. მამა ამბროსისთან საუბრისას გაიხსენა ის დრო, როდესაც იყო არქიმანდრიტი და ტამბოვის სასულიერო სასწავლებლის რექტორი; გაიხსენა მამა ამბროსის ძმა, ნიკოლოზ მიხეილის ძე გრენკოვი, რომელიც იქ სწავლობდა და რომელიც მეუფეს კარგად დაამახსოვრდა. გასაუბრების შემდეგ მეუფემ გასცა განკარგულება, მოემზადებულიყვნენ ხელდასხმისათვის, რომელიც 9 დეკემბერს შედგა. 10 დეკემბერს, ღამით, ახალხელდასხმული – მღვდელ-მონაზონი ამბროსი და ბერდიაკონი გაბრიელი ოპტინის მონასტერში დარჩნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ციეი ამინდი და ქარბუქი გრძელდებოდა.

ოპტინაში აღმოჩნდნენ ბერები, რომლებიც ნაკლებად ფიქრობდნენ საკუთარი სულის ხსნაზე და შეშურდათ მამა ამბროსისა, მღვდელ-მონაზნად ასე მალე ხელდასხმის გამო. „როდესაც ძმებმა ჩვენი ხელდასხმის შესახებ გაიგეს, – ასე იხსენებდა შემდგომში ის, – ზოგიერთმა მათგანმა ცრად დამიწყო ყურება. ამიტომ მინდა გვახსოვდეს, რომ ბერები ანგელოზები არ არიან, არამედ შეძლებისდაგვარად მიემსგავსებიან ანგელოზურ ცხოვრებას, რომელიც მიიღწევა საკუთარ ცოდვებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ.

[ნ] შემდგომში სქემმღვდელ-მონაზონი ყაზანის ბოლოკოპიტის დედათა მონასტრის დამაარსებელი, სადაც აღესრულა და იქვეა დაკრძალული. მან კალუგის სასულიერო სემინარია დაამთავრა.

მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი ამბროსი აიძულებდა საკუთარ თავს ემსახურა სხვა მღვდელ-მონაზონთან ერთად, თუმცა შეიძლება არა ყოველთვის, მაგრამ მაინც აღასრულებდა თავისი რიგის ღვთისმსახურებას. ის უკვე ისე სუსტად იყო, რომ, როგორც თვითონ იხსენებს, არ შეეძლო ერთი ხელით ბარძიმი დიდხანს დაეჭირა: „ერთხელ ბევრი მაზიარებელი იყო, – ჰყვებოდა ის, – ერთი ხელით წმინდა ნაწილებს ვაზიარებდი, ხოლო მეორეთი ბარძიმი მეჭირა. ვიგრძენი, რომ ხელი დამისუსტდა და გრძნობას ეკარგავდი. ხელი რომ ცოტათი დამესვენებინა, შევედი საკურთხეველში, რომ მცირე ხნით წმ. ბარძიმი ტრაპეზზე დამებრძანებინა. უკნიდან მომესმა ხმა ვიღაც ქალისა, რომელიც საზიარებლად მოდიოდა: „ვიცი, მე ცოდვილი ვარ, ულირსი!“ „ოჰ, ღმერთო ჩემო, – გავიფიქრე მე, – ყოველი მხრიდან მაციწროებენ“.

როგორც ჩანს, ამ პერიოდს ეკუთვნის კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც თვითონ ბერის მიერაა მოთხრობილი. თავის მეგობართან, თავის მესენაკესთან, მამა იროდიონთან ერთად (იგი აღკვეცილი იქნა 1849 წელს სახელით ილარიონი) მოინდომა კუჭის გასაწმენდად ემკურნალა ძლიერი პრეპარატით Le Roi, – ამბობდა ბერი, – ჩემი მსახურების რიგი მოვიდა. ეს მკურნალობა გაძლიერებულ კვებას ითხოვდა. მამა ილარიონი თევზის კერძს ჭამდა, მე კი, რადგან ვმსახურობდი, საკვებისგან თავი უნდა შემეკავებინა, თითქმის ყოველდღე ვახშმის გარეშე უნდა დაერჩენილიყავი[ფ]. ამიტომ სარგებლის ნაცვლად, – დაამატებდა ბერი, – ასეთი მკურნალობის შედეგად უარესად გავხდი.

ნაწილობრივ ხარისხის, ისე კი ავადმყოფობის გამო მღვდელ-მონაზონ ამბროსის მამა მაკარის მორჩილება უნდა შემეწყვიტა, ამიტომ 1846 წლის 2 იანვარს ის სხვა სენაკში გადაიყვანეს, რომელიც კორპუსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, სკიტის ტაძრის ჩრდილოეთით. ბერი ზოგჯერ ამბობდა, რომ მან სკიტში ხუთი სენაკი გამოიცვალა. „ვცხოვრობდი მამა ევგრატეს სენაკშიც

[ფ] იმ დროს ოპტინის მონასტრის მღვდელ-მონაზვნები და ბერ-დიაკვნები ლიტურგიის მსახურების წინა დღეს უარს ამბობდნენ საკვებზე.

და კოშკშიც“[67]. მამა გენადის შენიშვნით, სენაკიდან სენაკში ამგვარ გადაადგილებებს ადგილი ჰქონდა სკიტში მამა ამბროსის მისვლისთანავე, რიდესაც ის მ'სარეულის მორჩილებას ასრულებდა.

მღვდელ-მონა'ხონი ამბროსის ჯანმრთელობა ღღითი ღღე უარესდებოდა, მაგრამ ის ჯერ ფეხ'ზე იდგა და მსახურება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ შეუწყვეტია. სკიტის მატეანეში ნაწერილია ასეთი შემთხვევა: 1846 წლის 19 აგვისტოს, ოთხშაბათს, ნაშუადღევს, ექვს საათ'ზე ოპტინის მონასტერში ჩამობრძანდა კალუგის მღვდელმთავარი ნიკოლო'ხი, რომელიც ორი ღღე საქმეებით იყო დაკავებული. 22-ში წირვა აღავლინა კოზელსკში, ხოლო 23-ში ნაშუადღევს, 7 საათისთვის ინება სკიტის მონახულება. მონასტრიდან მას მთაცილებდა იღუმენი მოსე. მეუღის კერთხევით, სკიტის ტაძარში დაეკუთვნებლივ დაიწყო ღამისთევის ღმრთისმსახურება წმ. პეტრეს, მოსკოვის საკვირველთმოქმედი მიტროპოლიტის სახელ'ზე. წირავდა მღვდელ-მონა'ხონი ამბროსი ბერდიაკონ გაბრიელთან ერთად, ხოლო სტიქარონსობდა მონა'ხონი ვასილი[68]. სამეუ სკიტში ცხოვრობდა და დამთავრებული ჰქონდათ სემინარიის სამეცნიერო კურსი. ორივე გუნდში სკიტის საძმო გალობდა. ტაძარში აგრეთვე იღგნენ მეუღის მგალობლები. ლიტია 10 საათზე დასრულდა. ბოლოს, რიდესაც მეუღემ დალოცა საძმო და მომლოცველები, თავის მგალობლებს მიანიშნა: „ახ, ასე ისწავლეთ გალობა, რომორც ეს ბერები გალობდნენ, წყნარად, მოკრძალებ'ელად“. მეუღე მთელმა საძმომ სკიტის წმინდა ჭი'შკრამდე მიაცილა.

საღვთო ღამე იყო. ორგულივ ღრმა სიმშვიდე მეყობდა, ხოლო ცის ლაჟვარდიდან სავსე მთვარე სიცყარ'ელით იმ'სიერებოდა და მშვიდ ეერცხლისფერ შუქს ჰფენდა მდუმარე სკიტსა და მის გარშემო

---

[67] ხუთი სენაკი: მამა გენატეს სენაკში, კოშკში, ბერი მაკარის მსახურებისას და კორპუსში ტაძრის რრდილოეთით. სენაკი, რომელშიც ცხოვრობდა მამა გენატე (შემდგომში გადაიტანეს მონასტერში, აიგანეს მღვდელ-მონა'ხენის ხარისხში და 1897 წლის 2 ნოემბერს 95 წლის ასაკში გარდაიცვალა), კორპუსის რრდილოდასავლეთ ნაწილშია განთავსებული. ის ძალიან პატარაა – სიგრძე 5 არშინი, სიგანე 4 არშინი, ხოლო სენაკი კოშკში სკიტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია, ისიც პატარაა და ქვაკლა'ზე განცალკევებული, მუსიბლების გარეშე განშორებულია სხვა ძმების სენაკებიდან. ახლა იქ მთეხერხებლობის გამო არავინ ცხოვრობს.

[68] ს'ემონასანსენები ვასილი თეოდორეს ძე სკიტო'ხარიტი.

მღებარე უსარმაზარ ტყეს. მუჯუჯ შეჩერდა და მამობრივი სიყვარულით შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „გადაირჩინეთ თავი, მამებო და ძმებო, გქონდეთ მშვიდობა და სიყვარული ერთმანეთში, უფროსებს დაემორჩილეთ!“ იქვე მყოფ მღვდელ-მონაზონ ამბროსის კი მიუბრუნდა და უთხრა: „შენ კი, მამაო ამბროსი, დაესმარე მამა მაკარის სულიერებაში. ის უკვე მოხუცდა. ესეც ხომ მეცნიერებაა, ოღონდ არა სემინარიული, არამედ მონაზვნური“. იღუმენმა მოსემ და მღვდელ-მონაზონმა მაკარმა წინასწარ სთხოვეს მეუჯუჯეს, რომ ეს სიტყვები მას ამბროსისთვის ეთქვა. შემდეგ კი, გაანათლა რა თავისი მწყემსმთავრული კურთხევით ყველა, მეუჯუჯ სკიტიდან მონასტერში გადავიდა, სადაც მეორე დღეს წირვა აღავლინა და შემდეგ კი კალუგაში გაემგზავრა.

მღვდელ-მონაზონი ამბროსი მხოლოდ 34 წლის იყო, როდესაც იღუმენ მოსესა და მამა მაკარის შუამდგომლობით მწყემსმთავრისგან დაინიშნა მამა მაკარის დამხმარედ სულიერ საკითხებში. აქედან ნათელია, რომ იღუმენი მოსე და მამა მაკარი მას უკვე აღიარებდნენ ბერად. მაგრამ ღვთიურ განგებულებას სურდა ამ დიდი ვალდებულების ამღები მღვდელ-მონაზონის წინასწარ ძლიერ დასჯულება, რათა განწმენდილიყო, როგორც ოქრო ბრიმეღში, და ყოფილიყო „საპატიო ჭურჭელი, განწმენდილი და ხელმწიფისათვის სახმარი, ყოველი კეთილი საქმიანობისთვის გამზადებული“[ფწ].

მღვდელ-მონაზონი ამბროსი სექტემბრის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ძლიერად იყო. სკიტის მატიანეში ნათქვამია, რომ 1846 წლის 16 სექტემბერს, ის, მონასტრის უფროსობის განკარგულებით, გააგზავნეს რკინიგზის სადგურზე, ბელგოროდის გზაზე, რომელიც ოპტინის მონასტრიდან 18 ვერსით იყო დაშორებული; აქ უნდა გამოეცალა კურსკიდან სანკტ-პეტერბურგში მიმავალ მაღალყოველადუსამღვდელოეს ილიოდორს, კურსკისა და ბელგოროდის მთავარეპისკოპოსს და მამა ამბროსის თხოვნით მას უნდა მოეწახულებინა ოპტინის მონასტერი. მამა ამბროსი 18-ში, შუადღისას ჩამოვიდა ოპტინაში. ამავე დღეს დიდი სტუმარიც ჩამობრძანდა. ამის შემდეგ ძალიან მალე მღვდელ-მონაზონი ამბროსი სერიოზულად გახდა

[ფწ] 2 ტიმ. II, 21.

ავად და ლოგინად ჩაეარდა ისე რომ, როგორც უკიდურესად დაუძლურებული, 26 ოქტომბერს, ცისკრისას აზიარეს ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

ავადმყოფობა კიდევ უფრო გაძლიერდა. მკურნალობა არ შეეძლოდა, ამიტომ ის იძულებული გახდა 1847 წლის დეკემბერში დაეწერა ხელწერილი იმის თაობაზე, რომ სავანეში შტატგარეშედ დაეტოვებინათ. ამ ხელწერილში იგი ამბობდა: „ჩემი დიდი ხნის ავადმყოფობა – კუჭისა და შიგნეულობის აშლილობა, ნერვების დასუსტება – გაძლიერდა 1846 წლის შემოდგომიდან, რამაც ჩემი ორგანიზმი უკიდურეს დაუძლურებამდე მიიყვანა. სამედიცინო დახმარებამ, რომელიც მთელი წელი გრძელდებოდა, ფეხზე ვერ დამაყენა და განკურნების იმედსაც არ იძლეოდა. ამიტომ მე, როგორც ახლა, ისე მომავალშიც, მსახურების მორიგეობა და სამონასტრო თანამდებობის შესრულება არ შემიძლია“. ეს ხელწერილი მონასტრის წინამძღვარ იღუმენ მოსესა და ძმობის უფროსობის სახელით (უფროსი ძმობის სახელით?) წარუდგინეს მეუფე ნიკოლოზს, რომელშიც ნათქვამია, რომ წმინდა სინოდის განკარგულებით შტატს გარეთ დარჩენილი მონაზვნები სამედიცინო შემოწმებით უნდა უსრუნველყონ, მაგრამ მამა ამბროსი, უძლურების გამო ვერ შეძლებს რა საეპარქიო ქალაქში ჩასვლას, მისთვის სამედიცინო შემოწმებას ადგილზე ითხოვდნენ, ითხოვდნენ აგრეთვე შტატიდან გათავისუფლებას.

კალუგის საეპარქიო მმართველობის ბრძანებით, რომელიც ამ თხოვნას პასუხად მოჰყვა 1848 წლის 29 მარტს, სკიტში მოწვეულ იქნენ კოზელსკის მაზრის ექიმი გ. სუბოტინი, კოზელსკის სასულიერო მმართველობის ამაღლების დეკანოზ ანდრია ვინოგრადოვის თანხლებით. ავადმყოფის მონათხრობიდან ექიმმა ასეთი დიაგნოზი დასვა: „მამა ამბროსის აქვს ავადმყოფური ყვითელი ფერის სახე, ავადმყოფურად მბრწყინავი თვალები, ორგანიზმის საერთო სიგამხდრე. მის სიმაღლესა და გულმკერდის წერილ არესთან შედარებით უჩვეულო ძლიერი, მშრალი ხველა, რაც მკერდში ძლიერ ტკივილს იწვევდა. ასევე ტკივილი ნეკნებქვეშ, უპირატესად მარჯვენაში; კოჭის მხარეს მომწოლი ტკივილი, საჭმლის მონელების

სრულად მოშლა: ხშირი ღებინება კუჭის წვენი, ნაღვლისა და მიღებული საკვების გამო; ღამით უძილობა, დროდადრო შეკვეთა, რომელიც მკირეოდ სიცხით იკვლევება. ეს ტკივილები თანდათანობით დამაუძლურებელი ციებ-ცხელებაა, რაც გამოწვეულია მუცლის ღრუს, განსაკუთრებით კუჭის გამაგრებით". ამ ვითარების გამო მოხასტრის მიერ დაწერილი განცხადების შეღეჭად, საეპარქიო მმართველობამ მაშა ამბრისი სცნო, როგორც უძლური სამოხასტრო ნებისმიერი მორჩილებისთვის და გაათავისუფლა ოპტინის მოხასტრის შტატიდან; დატოვა მონასტრის პატრონობაში[70].

ასეთი ტანჯული გზით მიჰყავდა გულმოწყალე და ყოვლადბრძენ მაშა სკეტერს თავისი რჩეული მისთვის განკუთვნილი მაღალი მიზნებისაკენ.

[70] კოზელსკის ოპტინის მონასტრის არქივი.

VI თავი

მღვდელ-მონაზონ ამბროსის ცხოვრება სკიტში მაკარი ბერის აღსრულებამდე

„აჰა ესერა, არ' არის ღვთე იგი ცხოვრების “.

„უფალი მა'მინ იწყებს თავისი ძალის გამოჩენას, — ამბობდა ბერი ამბროსი, — რომელსაც დაინახავს, რომ ყველა ადამიანური საშუალება გაჭირვებულთა დასახმარებლად ამოწურულია“. შესაძლებელია, იგი ამ სიტყვებს საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ამბობდა, სინამდვილეში, ვინ იფიქრებდა, რომ ადამიანური საშუალებებით მოურჩენელი ავადმყოფობის შემდეგ მომთმენი ბერი ცოცხალი დარჩებოდა?! პირიქით, დაბეჯითებით შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელმა საათმა უკვე დარეკა! მაგრამ საკვირველია საქმენი უფლისანი! კაცთათვის შეუძლებელი ღვთისათვის შესაძლებელია! ყველას გასაოცრად, ვინც სასიკვდილოდ განწირულ მღვდელ-მონაზონ ამბროსის იცნობდა, მისმა ჯანმრთელობამ თანდათანობით გაუმჯობესება დაიწყო.

1848 წლის ზაფხულში[71] გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარმა ბერზე გამოსვლა დაიწყო. „მახსოვს, — თქვა ოვითონ ბერმა, — ზაფხულის ნათელ, მშვიდ ღღეს პირველად გამოვედი სენაკიდან, ჯოხზე დაყრდნობილი წაველანწალდი, ფეხებს ძლივს მივათრევდი გზაზე. პირველად შემხვდა იღუმენი ეარლამი[72]. რა ხდება? — შემეკითხა, — გამოჯანმრთელდი? აი, — ვუპასუხებ, — მადლობა გულმოწყალე უფალს, დამტოვა სინანულისთვის. იღუმენი შეჩერდა, მიჯურა და მდაბალი ტონით თქვა: „შენ რა, გგონია რომ უკეთესად იქნები? არა, არ იქნები უკეთესად, უარესად, უარესად იქნები!“

---

[71] ამ წელს მიეწყო მონასტერში მღვდელ-მონაზონი გერონტი, რომელიც ბერმა მაკარმა აკურთხა მიჰყრობოდა და მიეჩვია მღვდელ-მონაზონი ამბროსისათვის რაღაც განსაკუთრებული ბერისათვის. ეს, რა თქმა უნდა, მის გამოჯანმრთელებაზედაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

[72] სემოხსენებული ეპისკოპოსი. სახის გამომეტყველება, საუბრის ტონი და საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობა მკაცრი ჰქონდა. 1849 წლის დეკემბერში აღესრულა.

ოპტინელ ბერებს ჰქონდათ ასეთი ჩვეულება, როცა ერთმანეთის დამდაბლება უნდოდათ. თვითონ ბერი ამბროსი გაიხსენებდა ამას, ჩაილაპარაკებდა: „ახლა კი მე თვითონ ვხედავ, რომ უარესად ვარ“.

1849 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც მამა ამბროსიმ ოპტინაში 10 წელი გაატარა, მასთან ჩამოვიდა მისი ამხანაგი, ზემოთ ნახსენები პაველე სტეფანეს ძე პოკროვსკი. იგი, როგორც ერთ დროს მამა ამბროსი, აკადემიკოსობისას ღვთისთვის მიცემულმა პირობამ მოიყვანა მონასტერში. ტროეკუროვოს ბერი, მამა ილარიონი, დიდი ხანია, პოკროვსკის ბერების სავანისკენ მიუთითებდა, არა ერთხელ და ორჯერ, მაგრამ ის ყოყმანობდა, იცოდა რა მეტად მიჯაჭვული საერო ცხოვრებას. ვინ იცის, რამდენი ხანი გაგრძელდებოდა პოკროვსკის ყოყმანი. საბედნიეროდ, რომ მონასტერში წასვლას იგი გაურკვეველი ვადით გადადებდა, რომ არა საშინელი 1848 წელი: საფხულის დაღგომისთანავე ლიპეცკში დაუპატიჟებელი სტუმარი მობრძანდა – ქოლერა. ქალაქიდან სასაფლაოზე ყოველდღიურად ათეულობით კუბოს მიასვენებდნენ. ქოლერით დაავადდა პაველე სტეფანეს ძეც, და ისე ძლიერად, რომ მის საშველად გამოძახებულმა ექიმმა ავადმყოფობა განვითარების უკანასკნელ სტადიაში აღმოაჩინა. იქვე, მომაკვდავის სარეცელთან, მისი ამხანაგებისა და სასწავლებლის სხვა პედაგოგების თანდასწრებით, თავისი გადამწყვეტი განაჩენი გამოიტანა: „ხვალისთვის კუბო მოამზადეთ!“ ექიმმა ამ სიტყვებით დატოვა ავადმყოფი და არანაირი წამალიც არ გამოუწერია, არც დამამშვიდებელი და მანუგეშებელი რამ უთქვამს მომაკვდავისთვის. „მე მკაფიოდ მესმოდა ექიმის ეს საშინელი განაჩენი და კარგად გავიგე, – ჰყვებოდა შემდგომში თვითონ პოკროვსკი, – ვხედავ, გამოჯანმრთელების იმედი არსაიდანაა, სიკვდილი კი, ოჰ, როგორ არ მინდოდა! ვფიქრობ, რა ვქნა?! მხურვალე ლოცვით მივმართე ერთადერთ ყოველადძლიერ მკურნალს და გულში ასეთი აღთქმა მივეცი: ღმერთო! თუკი ახლა მიხსნი სიკვდილისაგან, გამოჯანმრთელებისთანავე მონასტერში წავალ“. ტანჯულის ლოცვა შესმენილ იქნა, თუმცა მან საშინელი ღამე გადაიტანა. დილით გუშინდელი ექიმი მოვიდა, მაგრამ არა ავადმყოფთან, არამედ რათა შეეხედა მიცვალებულისთვის. ოთახის შესასვლელთან მან პაველეს ამხანაგს

ჰკითხა: ჰო, მკვდარია?' „არა, ცოცხალია,"– უპასუხეს მას. „ეს შეუძლებელია! აბა. მაჩვენეთ, დამანახეთ იგი!' ნახა რა მის მიერ სიკვდილის განაჩენგამოტანილი, მხრები აიჩეჩა და თქვა: „ეს სასწაულია!' ამის შემდეგ მალევე წავიდა.

ამასობაში ღვთის წყალობით პოკროვსკი გამოჯანმრთელდა და წელიწადნახევრის შემდეგ მისთვის ნაცნობ ოპტინის სკიტშიც გამოჩნდა. მამა აბრაამის მთელი ათი წლის მანძილზე მასთან მიმოწერა არ გაუწყვეტია, რითაც მონასვნობისაკენ მოუწოდებდა. ერთხელ, ძმური ურთიერთობის გასამტკიცებლად, და არა მარტო საჭიროებისთვის, მან პოკროვსკის ჩაი სთხოვა, რასაც ამ უკანასკნელმა უკმეხად უპასუხა: „შენ ხომ მონაზონი ხარ, რად გინდა ჩაი?"[73] ამჯერად, უამინდობისას ჩამოსულს ძალიან შესცივდა და პირდაპირ სკიტში, მამა ამბროსისთან გაუმართა. ძველ მეგობრებს ძალიან გაუხარდათ ერთმანეთის ნახვა. ჩამოსულმა დამხვდურს ჩაი სთხოვა. „ბერებმა ხომ ჩაი არ უნდა დალიონ?' – მშვიდად და სიყვარულით მიაწოშა მამა ამბროსიმ და გაუმასპინძლდა როგორც მეგობარს. ახალმოსული პოკროვსკი თავიდან მონასტრის მორჩილი გახდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როგორც ჩანს, თავისივე სურვილით სკიტში გადაიყვანეს და იმავე კორპუსში მოათავსეს, სადაც მამა ამბროსი ცხოვრობდა, თუმცა – მეორე ნაწყვარში.

მოდით, დავუბრუნდეთ ამბროსი ბერს: მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ როგორც კი შვება მიეცა, გამოთქვა სურვილი წასულიყო კიევში და თაყვანი ეცა წმინდანთა წმინდა ნაწილებისთვის, ასევე გადაწყვიტა შეხვედროდა თავის უმცროს ძმას. „ხუთი წელი ვემზადებოდი კიევში წასასვლელად, – ასე ჰყვებოდა განსვენებული ბერი, – განსრახული მქონდა ჩემს სამშობლოში შემეარა, რათა ჩემი მოხუცი დედა საიდუმლოდ აღმეკვეცა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოხერხდა ჩემი გამგზავრება". აქვე იმასაც დავსძენთ, რომ მონასტერში ცხოვრებისას ბერი ამბროსი მისგან შორს არსად მიდიოდა ავადმყოფობის გამო, მხოლოდ ბელეევოში იყო ჩასული

---

[73] საერო ადამიანების შეხედულება ბერების ცხოვრებაზე შესულდგმული. ისინი ფიქრობენ, რომ ბერების მთელი სიმწინდე უნდა შემოიფარგლებოდეს გარეგნული გმირობებით, რომ რამდენიმე დღე არ ჭამონ, არ სვან და ასე შემდეგ.

(ოპტინიდან 40 ვერსში), და ისიც მორჩილებისთვის, მამა მაკარის დავალებით.

„დედაჩემი, – განაგრძობდა თხრობას ბერი, – ყოველთვის სუსტი და ავადმყოფი იყო. მახსოვს, ის საფხულშიც ღუმელთან იჯდა, მაგრამ მამაჩემს მეტხანს იცოცხლა, მიუხედავად იმისა, რომ მამას ძალიან კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა. მამა 60 წლისა გარდაიცვალა, დედა კი 75-ისა. დედაჩემი ღვთისმოსავად ცხოვრობდა, თავისებურად მიდიოდა გადარჩენისკენ. მე რომ ის აღმეკვეცა, დაიბნეოდა და ცრისად მოხვდებოდა (ვერც საეროში, ვერც სამონასტრო). ეშმაკლობ უჭკალს, რომ ვერ შეძელი ამის გაკეთება“. საკუთარ თავზე საუბრისას ბერი კიდევ ამბობდა: „ჩემი სამიეე ძმა დედას ჰგავდა, მე კი მამას“. ძმებთან და ნათესავებთან ურთიერთობაზე ასე გადმოგვცემდა: „ჩემი ძმა ნიკოლოზი (კიევის გიმნაზიის დირექტორი) ოცი წლის მანძილზე არაფერს მწერდა, მაგრამ ჩემამდე მოაღწია ხმამ, რომ ის მარხვას არ ინახავდა. მე მივწერე წერილი, რომ ეშარხულა, მაგრამ მას მთელი წელი პასუხი არ მოუწერია. ვკითხები პეტრეს (უმცროს ძმას, ტამბოვის სახაზინო პალატის სამწერლობო სკოლის უფროსს), ხომ არ სმენია რამე ნიკოლოზზე, ის კი მიპასუხებს: „გადმოგცემ მის სიტყვებს ზედმიწევნით: ჩვენმა მეუდაბნოემ სნეობრივი რჩევა-დარიგებანი მომწერა, რომლებიც სათქმელად აღვილია, მაგრამ საქმით ძნელად აღსასრულებელი“. მე ნიკოლოზზე 6 წლით უმცროსი ვიყავი. თავის დროზე წერა-კითხვას მასწავლიდა; როცა მსჯიდა, ქოხორს მაწიწკნიდა. როდესაც დარიგებანი მივწერე, ეს მას არ მოეწონა. შემდეგ ასევე მივწერე, თუ როგორ შეიძლებოდა მისი ნახვა. მან მიპასუხა: „ორი ბებერი შეკხვდებით ერთმანეთს და რაზე ვილაპარაკებთ? ჩვენ სხვადასხვაგვარი რწმენა გვაქვს!“ მე ჭკვიანი ძმები მყავს, – განაგრძობდა ბერი, – ისეთი კი არა, როგორიც მე ვარ. ჩემმა მეორე ძმამ სწავლას თავი დაანება და მამის ადგილზე მედავითნედ დაიწყო მსახურება. იგი კეთილი და სტუმართმოყვარე იყო. უმცროს ძმასთან ყოფნისას, როდესაც სემინარიიდან მასთან მოვდიოდით, ის შეკაშაყდა „ტროიკას“ და გვასეირნებდა. ხალხი დასცინოდა: „რას ასეირნებ მათ? ისინი შენი ბატონები არიან, შენ კი იმათი ქმა“. მას ძალიან ეწყინა და იტირა. კითხავს: „ღარიბულად

ცხოვრობს?“ – ბერი უპასუხებდა: „არც მკითხრულად, არც ღარიბულად – მას ძმები ეხმარებიან. ორი ძმა უცოლო მყავს, ხოლო მკვდარითნე ცოლიანია. მას შვიდი შვილი ჰყავს. მე ოთხი და მყავდა, მათგან ორი გარდაიცვალა. ერთ-ერთი სამოცი წლისა, ძმასთან ცხოვრობს, ნამღვილი იღუმენიაა. ჩემი ძმისშვილი მღვდლის ცოლია – ფოფოლიაა“[74].

ახალგაზრდობაში დაქერიებული ფოფოლია შემდგომში ხშირად აკითხავდა ამბროსი ბერს უდაბნოში. იგი ბერთან თაყის მშობლებთან ერთად ჩაიდა პირველად. სხვა ნათესავებიც აკითხავდნენ ბერს, რომელიც ყველას ნათესაური სიყვარულით იღებდა და შეხლებისდაგვარად ეხმარებოდა. მისმა ორმა დამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თაყიანთი ცხოვრების უკანასკნელი დღეები ბერთან გაატარეს. მისი შვილიშვილები, ორიეე გოგონა, შამორდინოს თემს მიაბარეს, სადაც დღემდე ცხოვრობენ, საერთოდ მამა ამბროსი თაყის ნათესავებთან ძალიან გულწრფელი და მოსიყვარულე იყო. და თუკი მან უყრის ძმას სნეობრივი დარიგებანი მისწერა, ეს მისდამი სწორედ ნათესაური სიყვარულით მოხდა.

მამა ამბროსის ჯანმრთელობა, როგორც ვნახეთ, დროთა მდინარებაში გაუუმჯობესდა, მაგრამ მთლიანად ვერ დაუბრუნდა და სხვადასხვა სნეულებანი გარდაცვალებამდე მეტ-ნაკლებად აწუხებდა: ხან კუჭისა და ნაწლავების წყლული უძლიერდებოდა, ქუჭებოდა პირღებინება, ხან ნერეულ ტკივილებს განიცდიდა, ხან კი გაცივებას ციებ-ცხელებით. ჰქონდა ჰერმორიოდალური სისხლდენა, რომელიც დროდადრო ისე აუძლურებდა ტანჯულს,რომ ლოგინში მკვდარივით იწვა. მიუხედავად ამისა, ის არასოდეს არათუ არ წუწუნებდა სნეულებების გამო, არამედ აუცილებლად მიაჩნდა ისინი სულიერი წინსვლისთვის. საკუთარ დარწმუნებული საკუთარი გამოცდილებითაც ჭვრეტდა, რომ თუ გარეგანი კაცი იხრწნება, ჩვენი შინაგანი მაინც განახლდება დღითი დღე[75]. საკუთარ თაყს ბოლომდე განკურნებას არასოდეს უსურვებდა, სხვებსაც ყოველთვის ეუბნებოდა: „ბერმა სერიოზულად არ უნდა იმკურნალოს, არამედ

[74] შამორდინოს წინამძღვრის დედა ეკატერინეს ჩანაწერებიდან.

[75] 2 კორ. IV, 16.

მხოლოდ უნდა წაიკურნალოს იმიტომ,რომ ლოგინად არ ჩაეარდეს და მისაყვლელად სხვას არ დააწვეს მისი სიმძიმე. ასე წაიკურნალებდა ხოლმე თვითონაც. ამიტომ მაგიდასე ყოველთვის ედგა მრავალი ბოთლი სხვადასხვა წამლებით, ექიმს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში – როცა ტკივილი გაუსაძლისდებოდა ძალიან – გამოიძახებდა. მოლვაწე მამათა სწავლებიდან იცოდა, რომ ფიზიკური ტკივილი და ავადმყოფობა მარხვაზე, შრომასა და სხვადასხვა ფიზიკურ გმირობაზე უფრო მაღალი და ძლიერი იყო. საკუთარ თავს შეახსენებდა და მოსწავლეთა სანუგეშებლად ჩვეულებად ჰქონდა ამისი თქმა: „უფალი ავადმყოფისაგან ხორციელ გმირობებს არ ითხოვს, არამედ მხოლოდ მოთმინებას სიმშვიდითა და მაღლიერებით“.

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობისას მოთმინების, სიმაღლისა და მაღლიერების შენარჩუნება – დიდი გმირობაა. ყოველი გეყმული უნებლიეთ ითმენს ავადმყოფობას, ზოგიც ღრჭენით. მაგრამ ითმენს იმის გამო, რომ იგი განწმენდელი საშუალებაა გადაიხდე მანკიერებათაგან და სიმდაბლით მაღლობდე უფალს, ეს მხოლოდ ღვთის რჩეულთა საქმეა. არცთუ მრავალ ამგვართა შორის იყო მამა ამბროსიც. ზემოთ ვნახეთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ის საკმაოდ გაიოკეთდა. როგორი იყო მისი ცხოვრება 1860 წლის შემოდგომამდე, სასულიერო, მაკარი ბერის გარდაცვალებამდე, რომლის შემდეგაც თვითონ გახდა მთავარი ბერი? იგიეე სათნოებები, რომლებითაც იწრთობოდა, ახლაც ჰქონდა. ასე რომ, ის მეტისმეტად უანგარო იყო; მას სენაკში წინანდებურად სრული სიღატაკე სუფევდა. მამა მაკარის კურთხევით, მასთან სენაკში ხშირად დადიოდა ზემოთხსენებული ახალგაზრდა მორჩილი თეოდორე (იღუმენი თეოდოსი). ამის გახსენებისას ის ამბობს, რომ მამა ამბროსის სენაკში იყო უბრალოება: წინა კუთხეში დაბრძანებული იყო რამდენიმე ხატი. კართან ეკიდა ანაფორა და ხოხა მანტიით. იდგა ლოგინიც, რომელზეც დაგებული იყო ჩალით გატენილი ქვეშაგები, ლეიბი და ბალიში. ასე იყო მოწყობილი: ლოგინის ქვეშ მან კალათა შეინშნა, რომელსაც, ეტყობა, კომოდის ან ხანდუკის ნაცვლად ხმარობდა, რომელშიც შალის წინდებსა და ფლანელის პერანგებს

ინახავდა, ჰქონდა რა ისინი უკიდურესი საჭიროებისთვის. „ეს კალათა რისთვის გინდა, მამაო?“ – ცნობისმოყვარეობით იკითხა თეოდორემ. უნდოდა რა დაეშალა მისთვის თავისი მეტისმეტი უანგარობა, თვემდაბალმა მამა ამბროსიმ ჩვეული სახუმარო ტონით უპასუხა: „ბატი მინდა დაკვლა კვერცხებზე“. სტუმარმაც და მასპინძელმაც ბევრი იცინეს, რითაც ეს საქმე ასე დამთავრდა.

მამა ამბროსი ფინანსებურად საკვებს ძალიან ცოტას იღებდა, მიუხედავად კუჭის დაავადებისა, დროდადრო სატრაპეზოს საკვებით კმაყოფილდებოდა.

ნიშანდობლივია ის, რომ ოპტინის სკიტში, მიუხედავად იმისა, რომ გემრიელ კერძებს ამზადებენ, მთელი წელი, ექვსი ხსნილი კვირის განმავლობით საჭმელი სამარხვო ზეთით მზადდება, წმინდა ეკლესიის მიერ დაწესებულ მარხვების დროს კი – ზეთის გარეშე. ჯანმრთელი კუჭის მქონე ადამიანებისთვისაც კი საგრძნობია ასეთი კვება, ხოლო მამა ამბროსისთვის, რომელსაც კუჭი ისედაც დაავადებული ჰქონდა, უფრო ძნელი იყო. იგი სატრაპეზოში ძმებთან ერთად სისტემატიურად დადიოდა. კუჭის ავადმყოფობის დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაკარგა ზედა კბილები, ამიტომ რცხვენოდა ძმებთან ერთად საერთო თეფშიდან ეჭამა. როდესაც ძმები სატრაპეზოდ დასხდებოდნენ, მამა მაკარის კურთხევით მამა ამბროსი სამზარეულოში მიდიოდა, სადაც სატრაპეზოდან პირდაპირ გაისვლებოდა. იქ, სამზარეულოს განსაკუთრებულად პატარა ოთახებში, სადაც სკიტის ჭურჭელი ინახებოდა და აგრეთვე იჭრებოდა პური, იკვლა და ჭამდა. მხიმე სამარხვო საჭმლების შესამსუბუქებლად მას ჰქონდა სახეხელას მსგავსი ღრმა ჩამჩა, რომელშიც წინასწარ ხეხავდა საჭმელს, მაგალითად, ბარდას და, ხანდახან, საჭიროების შემთხვევაში თავის სენაკში ამზადებდა კარტოფილის წვნიანს,[76] ჩაის კი ყოველღამე სვამდა. შემდგომში, მთავარ ბერად ყოფნისას, ხშირად ამბობდა: „ბედნიერია ის მონაზონი, ვისაც შეუძლია

[76] შემდგომში, როდესაც მამა ამბროსი დამოუკიდებელი ბერი იყო, მასთან მისულმა ვიღაც ექიმმა მონაზონ კლიმენტი ხუცესურაულთან საუბარში მას ჰკითხა: „თქვენ რას ჭამთ? მამა კლიმენტიმ დაუწყო პასუხის გაცემა: „კარტოფილის წვნიანი...“. გაკვირვებულმა ექიმმა კი უთხრა. „კარტოფილის?! თქვენ მაშინ ნალაც ბეჭამათ“.

დაკმაყოფილდეს სატრაპეზოში დამწყებული საჭმლით“. ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ბერი, რომელიც თავისთვის იმწყებს საჭმელს, კარგავს ბევრ დროს, რომელიც შეიძლებოდა სასარგებლოდ გამოეყენებინა.

მამა ამბროსი მაკარი ბერს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. სემონახსენები იღუმენი მარკოზი, როგორაც ამას ქვემოთ ვნახავთ, მამა ამბროსის, როგორც ბერს ისე ეპყრობოდა, და ხშირადაც აკითხავდა. იგი წერს: „გეგონებოდა, მამა ამბროსის ნება არ ჩანსო საკუთარ სენაკში წერილმანი ნივთების განკარგვაშიც კი, ყველაფერში ანგარიშს მამა მაკარის ნებას უწევდა. ერთხელ პირადად ასე მითხრა: ამ ნივთებზე, რაც კი გეძლევა, ანგარიში უნდა ჩააბარო ბერს“. მამა მაკარის კურთხევით სკიტის საერთო მორჩილებებს ახლაც მამა აბროსი განკარგავდა, თანახმად მისი სასულიერო ხარისხისა და სულიერი ასაკოვნებისა. მართალია, იგი მამა მაკარის კორპუსში არ ცხოვრობდა, მაგრამ როგორაც კი ჯანმრთელობა ამის საშუალებას მისცემდა, ყოველდღიურად დადიოდა მასთან; უპირველეს ყოვლისა, მამა ამბროსი გულმოდგინედ ეხმარებოდა ბერს ძრცელი წერილების წერაში, რომელიც გამოსნული იყო სულიერი სარგებლის მაძიებელთათვის[77]. მეორე მხრივ – სხვებთან ერთად გამოსაცემად ამზადებდა წმინდა მამათა და სხვა სულისთვის სასარგებლო წიგნებს, რომლებიც მამა მაკარის გარდაცვალებამდე თექვსმეტამდე გამოიცა; მამა ამბროსი ბერს აგრეთვე ეხმარებოდა კიბისაღმწერელის გადმოღებაში ძველი სლავურიდან კარგად გასაგებ, გამარტივებულ ახალ სლავურზე. რადგან სლავური „კიბის“ დაბეჭდვა უშუალოდ წმინდა სინოდზეა დამოკიდებული, ოპტინელმა ბერებმა მას ეს ნაშრომი ისე გადასცეს, რომ ამ გამოცემიდან არ უძებნიათ მოგების თავიანთი წილი; მხოლოდ სულიერი სარგებლობის მოტანა უნდოდა მათთვის, ვისაც წმინდა მამათა წიგნების კითხვით უნდოდა აღშენება[78].

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მამა ამბროსი როგორც მღვდელ-მონაზონი, სკიტელი სწავლულებისგან მოღვაწეობით გამოირჩეოდა.

---

[77] ბერი თუბენალი – ახლა მთავარეპისკოპოსი, ბერი ლეო კაველინი, შემდომში არქიმანდრიტი ლეონიდე, სერგიევის სამების ლავრის წინამძღვრის მოადგილე.
[78] ამაზე გაფლობგაცემდა სკიტის მღვდელ-მონაზონი კლიმენტი სვედერგოლმი.

ძველი ენები, როგორც ამას სოგიერთები მიაწერენ – მან არ იცოდა, ეს შეიძლება გაეიგოთ მისი ამხანაგის, პაველე პოკროვსკის მონათხრობიდან, რომელსაც, როგორაც კარგ ლათინისტს, მაკარი ბერმა დაავალა ლათინურიდან რუსულად ეთარგმნა ღირსი აბბა ისაიას სწავლანი. „ძველი ადგილების თარგმნისას, – ამბობდა ის, – დახმარებისთვის მამა ამბროსის მიემართავდი, ის კი პირდაპირ მიპასუხებდა: „ძმაო, ყველაფერი დამავიწყდა!" მაგრამ, მამა ამბროსის ჰქონდა ღირსება: ბრძენი ბერის, მაკარის, პირადი ხელმძღვანელობით, გულისყურით ხელახლა წაიკითხაყდა რა იმდროისთვის ცნობილ მოღვაწე მამათა შემოქმედებას, შეუძლო ასრი სწორად გაეგო, რადგან საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა;[29] გარდა ამისა, მან მშვენიერად იცოდა სლავური ენა და ძალიან უყვარდა ის.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მამა ამბროსისათვის სამწერლო საქმიანობას ჰქონდა ერთობ საეურადღებო აღმსრდელობითი მნიშვნელობა მის სულიერ ცხოვრებაში. სხვათა შორის, ერთ-ერთი მონაწილე ამ საქმიანობისა, წერს: „რა უხვად ვიყავით დაჯილდოებულნი ჩვენი პატარა ნაშრომისთვის! რომელი ჩვენგანი არ გასცემდა თუნდაც რამდენიმე წელს სიცოცხლისას, რომ მოგვესმინა ის, რასაც ჩვენი ყურები ისმენდნენ: ეს არის მამა მაკარისეული განმარტება წმინდა მამათა ნაშრომების იმ ადგილებისა, რომელთა შესახებაც, ამ საქმიანობის გარეშე ვერავინ გაბედავდა მისთვის კითხვის დასმას; თუკი გაეკადნიერდებოდი, უეჭველად მივიღებდი მშვიდ პასუხს: „მე ეს არ ვიცი, ეს არ არის ჩემი დონე. შეიძლება შენ მიაღწიე ამ სიმაღლეს, მე მხოლოდ ეს ვიცი: მომანიჭე, უფალო, ძალა ჩემი ცოდვების დანახვისა! განწმინდე გული ჩემი, მაშინ კი გაიგებ!"[30]

ლოცვა? რა უნდა ვთქვათ სათნოების ამ დედოფალზე? ის, რომ მამა ამბროსი გონებით ლოცვას გმირულად აღასრულებდა, – ეს უეჭველია. ერთი ცნობისმოყვარის კითხვაზე – რა არის, მამაო,

---

[29] ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშე მოღვაწე მამების ნაშრომებში ბევრი რამაა გაუგებარი. „რას ნიშნავს, – კითხა ერთხელ მაღალჩინოსანმა ადამიანმა არქიმანდრიტ მოსეს, – რამდენჯერ წაიკითხე კიპე. მაინც თავში არაფერი რჩება?" – „ეს საქმესაც ითხოვს", – უპასუხა ბრძენმა ბერმა.

[30] იხ. ოპტინელი ბერის მღვდელ-მონაზონ მაკარის ცხოვრების ის თავი, სადაც წერია „წმინდა მამათა წიგნების თარგმანთა გამოცემა".

ლოცვა გონებითი? – მამა ამბროსიმ სერიოზულად შეავლო თვალი, ესროლა მას გამჭვირვალე მზერა და უპასუხა: „ლოცვის მასწავლებელი – თვითონ უფალია“. სხვა დროს, როდესაც იგი განსაკუთრებულად მხიარულ გუნებაზე იყო, იმავე საგანზე საუბრისას უნებურად წარმოთქვამდა: ძნელი საქმეა, ძმაო, დაანგრევ ყველაფერს“, და იქვე დაიწყო ხელმრეობა ერთ მოღვაწეზე, რომელიც გონებით ლოცვას ადიოდა: „როგორც კი ლოცვას დაიწყებდა,იმაზე წამს შეხედავდა, ხან ერთი მხრის თავისი საქმით მასთან, ხან კიდევ მეორე და წყვეტენ მის ლოცვითს გმირობას“.

ერთხელ მამა მაკარმა თავის საყვარელ მოწაფეს, მამა ამბროსის ჰკითხა: „ცამოიცანი, ვინ გადარჩა უბედურებისა და განსაცდელების გარეშე?“ რიდესაც ამას სხვებს უყვებოდა, თაყვანდაბალმა მამა ამბროსიმ უგანსაცდელო ხსნა მამა მაკარს მიაწერა, მაგრამ ამ უკანასკნელის ცხოვრებაში წერიაროდ „მის მიერ გონებითი ლოცვის აღსრულება, მის სულიერ ასაკთან შეუსაბამო, იყო ნაადრევი, რამაც ის კინაღამ დააზიანა“. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მაღალ სულიერ საქმიანობაში მამა მაკარს არ ჰყოლია სულიერი დამრიგებელი, მამა ამბროსის კი ჰყავდა უკვე მაღალსულიერ საფეხურზე ასული ბერი მაკარი, გამოცდილი სულიერი მოძღვარი, ვისაც შეეძლო მწუხარების გარეშე მისთვის გონებითი ლოცვა ესწავლებინა, რომელსაც მოღვაწე სიტურფეში შეჰყავს მტრის ხრიკების აცილით, განსაცდელების გარეშე, სიგვიანე სიკეთედ რომ გვეწერება, ხდება რა ჩვენი უაზრო სიაფეების გამო. ასეთ დროს გარედან შემოსული განსაცდელები სულისთვის სასარგებლო და მაცხოვნებელიც არიან. მამა ამბროსის ბერული ცხოვრება თავიდანვე სწორად, განსაკუთრებული დაცვემების გარეშე მიემართებოდა სულიერი სრულყოფილებისაკენ. ღვთის შეწევნით, გონიერული ლოცვის მომუშავება არის გადარჩენის დაგვირგვინება, რომელსაც ადამიანი მიწაზე შეძლებს. წმინდა იოანე კიბისალმწერლის სიტყვებით, ლოცვა არის „მომყვანი და შემაერთებელი ადამიანისა ღმერთთან“[81]; რადგანაც, ვინც ღმერთს შეუერთდა და მასში მყოფობს, ჯერ კიდევ სხეულში ყოფნის მიუხედავად, მაინც გადარჩენილია. ეს, სხვათა შორის, იმასაც

[81] კიბე იოანეს გამოცემა. სიტყვა XXVIII განყოფა.

მიუთითებს, რომ მამა ამბროსიმ მამა მაკარის სიცოცხლის ბოლო წლებში მიაღწია სრულყოფილებას სულიერ ცხოვრებაში. ვინაიდან, როგორც თავის დროსე უწოდებდა მამა ლეო მამა მაკარს წმინდანს, ახლა იმგვარადვე ეხებოდა მამა მაკარი მამა ამბროსის.

მიუხედავად იმისა, რომ მამა ამბროსი გათავისუფლდა ხელით ხსენებული მომაკვდინებელი ავადმყოფობისაგან, სისუსტის გამო მაინც არ წირავდა, მაგრამ ტაძარში დადიოდა და ქსიარებოდა, ალბათ, სქემისანთა წესით – თვეში ერთხელ, როგორც ამას მისი მოძღვარი, მამა მაკარი, აკეთებდა. ამ პერიოდში, ავადმყოფობის გამო, მამა ამბროსი ატარებდა ხელით ხსენებულ ფლანელის ზეცას და შალის წინდებს, რომელთაც ოფლიანობის გამო ხშირად იცვლიდა. ამიტომ მას მუდმივად დაჰქონდა პერანგებითა და წინდებით სავსე ტომარა, ტაძარში შესვლის დროსაც კი თან ჰქონდა. რადგანაც სკიტის ტაძარი მაშინ საშინაო ეკლესიის დანიშნულებისა იყო, საკუთრივ წინა მხარე ეკლესიას ეკავა, ხოლო უკანა მხარეს ჰქონდა განცალკევებული ოთახების მსგავსი, სადაც მამა ამბროსი საჭიროების შემთხვევაში იცვლიდა ხოლმე სენაკის კანონებს მისთვის ყოველდღიურად კითხულობდა მის გვერდით მცხოვრები ძმა, სწორედ ამ საქმისთვის განსაკუთრებულ სენაკში განწესებული. მიუხედავად იმისა, რომ მამა ამბროსი სულიერად სრულყოფის მაღალ საფეხურებს მისწვდა, ბერი მაკარი ზოგჯერ მძიმე გამოცდებს უწყობდა, რათა მასში მკაცრი მოღვაწე ალესარდა, სილანტაკით, სიმდაბლით, მოთმინებითა და სხვა ბერული სათნოებებით შემკული.

წმინდა წერილის თანახმად, „ვინც შეილისთვის ჯკეპლას არ იმეტებს, მისი მტერია, ხოლო მოყვარეს ჭკუას ასწავლის“[82], და კიდევ: „დასაჯე შვილი და შეგებას მოგცემს, შენს სულს სიამეს მოჰგვრის“[83]. შენიშნავდა თუ არა ბერი თავის მოწაფეს უსაქმურად – შესაძლებელია ავადმყოფობის ან დაღლილობის გამო – მაშინვე დაეკითხებოდა: „ამბროსი, ამბროსი, რატომ არაფერს აკეთებ?“ პაწია მოეხეთქება ბერთან და იწყებდა ამხანაგის დაცვას: „მამაო! ის ხომ ავადმყოფია!“ „მე შენზე უკეთ ვიცი, – ეტყოდა ბერი, – მაგრამ ბერისთვის

[82] იგავი სოლომონისა XIII, 25.

[83] იგავი სოლომონისა XXVIII, 17.

საყვედურები და შენიშვნები – ეს ჯაგრისია, რომლითაც ირეცხება ცოდვების მტვერი მისი სულიდან, ამის გარეშე ბერი დაუნგდება". ამბობენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, მამა მაკარიც მამა ლეონს მსგავსად გაჯერდა ხოლმე თაყის მოსწავლეებს. ერთხელ, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, სენაკიდან გამოაძევა მამა ამბროსი ვიღაც არაკეთილმოსურნე მანდილოსნის გამო, რომელსაც თეითონ დიდი ხნის მანძილზე არ იღებდა სასაუბროდ.

როგორ გამოხატავდა მამა მაკარი ნუგეშს ჭირისკურად? „ერთხელ, დაფდივარ სკიტის ტერიტორიაზე, – ჰყვებოდა თეითონ მამა ამბროსი, – უცებ მამაო შემხვდა. მას საიდანღაც ჰქონდა მურაბის პატარა ქილა. მომცა და მითხრა: აიღე ამპარტავნების მწუხარებისგან დასატკბობად, მოწინააღმდეგეც ამით დააათვრე"[84]. სანუქარი შესახედავად არ იყო დიდი. თუ მეტი არ ვთქვით იმაზე, თუ რამდენად დიდად ფასეული იყო საქვარელი ბერის სანუქრები ყოველი ჩვენგანისათვის. იგი ამით თაყის მოწაფეებს ასწავლიდა, რომ არ იყონ მომთხოვნი და მცირეც საჩუქრებისთვისაც მადლობელნი ყოფილიყვნენ მათი, ვინც წყალობას გასცემს.

ამრიგად, მამა მაკარის განსაკუთრებული ლოცვებითა და მსრულველობით გამდიდრებული მამა ამბროსი ცხოვრების მეცნიერებას საკუთარი გამოცდილებითაც გაეცნობა, თუმცა, როგორც ვიცით ალენიშნეთ, მას ყურადღებით ჰქონდა წაკითხული შემოქმედება იმ დროისათვის ცნობილი ყველა მოღვაწისა, რომელთა სწავლებანიც თავისი სულიერი მოძღვრის უშუალო ხელმძღვანელობით კარგად აითვისა. ღვთის ნებითა და ვიცით ხსენებული მწყემსმთავრის, ეპისკოპოს ნიკოლოზის კურთხევით იგი მოემზადა, ყოფილიყო ბერი და სულიერი მოძღვარი გადარჩენის მსურველი სულებისა ოპტინაში.

ოპტინის მონასტრის მღვდელ-მონაზონი გერონტი[85] საკუთარ თავზე ჰყვებოდა: 1848 წელს, როდესაც ის მონასტერში მოვიდა, მაკარი ბერმა აკურთხა, რომ მამა ამბროსისთან ისეთი ურთიერთობა

[84] სიტყვები ლოცვებიდან, რომელიც მე-19 კანონის ფსალმუნების კითხვის მერე ითქმის.

[85] გარდაიცვალა 1899 წლის 7 სექტემბერს.

ჰქონიდა, როგორც უხუცეს ბერთან და მიემართა მისთვის სულიერი რჩევებისთვის. „მასთან რომ მიხვედით, – ასე ამბობდა მამა გერონტი, – კმეყოფილი, რაც გინდოდა; ის კი გადამწყვეტად წიგნს და მე თვითონ წამაკითხებდა ჩემთვის საინტერესო კითხვაზე პასუხს. იმ დროს ყველაფერზე, ბერობაში მხვდალი სულიერი გამოცდილი აღმესრულებინა, მაგრამ მამა ამბროსიმ გონება გამიხსნა და გამარკვია ჩემი მიზნის არაგონიერულობაში; მაძალებდა, წამეკითხა წმინდა ისააკ ასურის სათნოებათმოყვარეობა. უნდა შეგახსენო, რომ ხუთი წლის განმავლობაში, დაწყებული 1848 წლიდან, მონასტრისა და სკიტის საძმოდან მამა ამბროსისთან რჩევებისთვის არცთუ ბევრი დადიოდა, მამა მაკარის კურთხევით მამა ამბროსი მათ ფარულად მოძღვრავდა“.

სკიტის სქემმონაზონი მამა გენადიც (ყოფილი მსარეული გერასიმე) საკუთარ თავზე ამბობდა, რომ „ხშირად დადიოდა მამა ამბროსისთან, როცა რომელიმე საქმეზე რჩევა სჭირდებოდა“. აგრეთვე დასძენდა, რომ მასთან მონასტრის სხვა ძმებიც დადიოდნენ ასეთ რჩევებისა და გულისთქმების გასაცხადებლად.

სკიტის მატიანეში ნათქვამია: 1852 წლის 8 მაისს, უფლის ამაღლების დღესასწაულზე, მამა მაკარმა, სანამ მოსკოვში გაემგზავრებოდა, მოსკოვის მაღალყოვლადწმინდელოესმა ფილარეტმა იგი თავისთან მიაწვია, იცნობდა რა მას არცთუ კარგად, მაგრამ ჭეშმარიტი მამობრივი სიყვარულით კი უყვარდა, სკიტის მთელი საძმო ჩაიწერე დაბეჭდვა და განაცხადა, რომ მისი აღუცილებელი არყოფნის ჟამს წესრიგის დაცვას მღვდელ-მონაზონ პაფნუტის ავალებდა, ხოლო სულიერ მოძღვრობას – მღვდელ-მონაზონ ამბროსის.

ზემოთხსენებული იღუმენი მარკოზი, რომელიც 1854 წელს მოვიდა ოპტინის მონასტერში (სადაც დღემდე სიმშვიდეში ცხოვრობს), ასევე ამბობდა, რომ მამა მაკარმა ისიც მაშინ აკურთხა მიემართა მამა ამბროსისათვის სულიერი რჩევებისათვის. იღუმენი მარკოზი მშვენიერად აღწერს თავისი მოძღვრის, მამა ამბროსის ახლანდელ მდგომარეობას და მისდამი თავის სულიერ დამოკიდებულებას. „როგორც სწორად შეგნიშნე, – ამბობს ის, – მამა აბროსი ამ დროს მდუმარებაში ცხოვრობდა. მე თითქმის ყოველდღე დავდიოდი მასთან სულიერი რჩევებისთვის, ის კი ყოველთვის წმინდა მამათა წიგნებს

კითხულობდა. თუ მას სენაკში ვერ ვნახავდი, ე. ი. მაკარი ბერთან იმყოფებოდა და მას სულიერი რჩევებისათვის მისულთა საქმეების გადაწერაში ეხმარებოდა, ან კიდევ წმინდა მამათა წიგნების თარგმნით იყო დაკავებული. სიგჯერ ლოგინს მწოლარეს და მტირალს შეჭვესრებდი, ოღონდ მუდამ თავშეკავებულს, ძლივს თუ შეამჩნევდი, რომ ტიროდა. მე მეკითხა, რომ მამა ამბრუასი მუდამ ღვთის წინაშე იარებოდა და რიგორც ყოველთვის გრძნობდა თავისთან ღვთის ყოფნას, მსგავსად დაჟით მეფისალმუნისა: „წინასწარ ვხედვდე უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის“[36]. ამიტომ ცეცლაფერი, რასაც აკეთებდა, ცდილობდა, ღვთისთვის სათნოდ ეკეთებინა. ამიტომ მუდამ მკლოვარედ იყო, რადგან ეშინოდა, ღვთისთვის რაიმე შეერაცხყოფა არ მიეყენებინა, რაც მის სახეზე აირეკლებოდა. მე, შემხედვარე ბერის ასეთი შემართებისა, მასთან ყოფნისას ძალიან ვირთიდი, სხვანაირად არც შემეძლო. კურთხევის მისაღებად მუხლებზე მდგარს სიგჯერ წყნარად შემეკითხებოდა: „რას მეჩვენი, მშობ, კარგს?“ მე ვუპასუხებდი ხოლმე: „მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, მამაო, შეიძლება ცუდ დროს მოვედი“. „არა, – მეტყოდა ბერი, – თქვი, რაც საჭიროა, მსოფლიდ მოკლედ“. ყურადღებით მომისმენდა, მიმცემდა სასარგებლო დარიგებას, რაც ამავდროულად კურთხევაც იყო და სიყვარულით გამომიშვებდა. დარიგებას იძლეოდა არა თავისი სიბრძნისა და განათლების საფუძველზე, იმის მიუხედავად, რომ მკითხარი იყო სულიერი ცოდნით. თუ იმას ასწავლიდა, ვინც მის მამართ სულიერად იყო განწყობილი მხოლოდ მისწავლის რანგში, თავის რჩევებს კი არ სთავაზობდა, არამედ წმინდა მამათა რჩევებს სწავლებას. სიგჯერ რომელიმე მამის წიგნს გახსნიდა, იპოვიდა მისთვის ძმისთვის საჭირო ადგილს, წაკითხებდა და შემდეგ შეკითხებოდა, თუ რიგორ გაიგო წაკითხული. თუ ვინმე ვერ გაიგებდა, მაშინ თვითონ ბერი განუმარტავდა მამათა სწავლებასა და ნაამრევს. ეს ცეცლაფერი მამობრივი უსაზღვრო სიყვარულით და კეთილგანწყობით კეთდებოდა. სიგჯერ ასე ხდებოდა: მოვალის მიერ ჩემი თავმოყვარეობის შებღალვის გამო როცა მივიდოდი და მღელვარებით აკუხსნიდი

[36] ფსალმუნი XV, 8.

გარეშე, წმინდა მამათა სწავლების საწინააღმდეგოდ, ისე, რომ ჩემს განესჯელ მწუხარებასა და სიმწარეს, საკუთარი თავის მხილების მოყვასის დადანაშაულებით ბერს მკაცრად შეეგონებინა და გაეცებინებინა შემცოდე ძმისთვის. ბერი მისთვის ჩვეული სიმშვიდითა და თანაგრძნობით მოისმენდა ჩემს წუხილს და მეტყოდა მტირალი ტონით: „ძმებო, ძმებო, მე მოკვდავი ადამიანი ვარ!“ ანდა: „მე ღვეს ან ხვალ მოვკვდები. რა ვუყო ამ ძმას? მე ხომ წინამძღვარი არა ვარ. უნდა ამხილო საკუთარი თავი, თავი დაიმდაბლო ძმის წინაშე და დამშვიდდე“. მოისმენ რა ასე საბრალობლად გაცემულ პასუხს, გაშეშდები. ამასთან ერთად, შეიცნობ რა ღრმად საკუთარ დანაშაულს, შენდობის სათხოვნელად მდაბლად დაეცემი ბერის ფეხებთან და მისგან შენდობისა და კურთხევის მიღების შემდეგ წახვალ დამშვიდებული და ნუგეშინისცემული, თითქოს ფრთაშესხმული გაფრინდები. ბერთან სოგჯერ ძალიან აღრე, დილის 5 საათზე მიწევდა მისვლა; ხეულებრივი ლოცვის შემდეგ, მივიღებდი რა მის სენაკში შესვლის უფლებას, იგი ყოველთვის ფხიზელი მხვდებოდა, თითქოს არც უძინია; მოსალოდნელზე უფრო მამობრივი სიყვარულით მიმწერდა და ადრიანი მოკითხვის გამო უკმაყოფილება არ შეუნიშნებიდა. ვინც ქურაღლებიანი იყო საკუთარი თავის მიმართ და ვისაც ახსოვდა მისი დამმოძღვრავი სიტყვები ან მამა მაკარის დარიგებანი, მათით მამა ამბროსი ყოველთვის კმაყოფილი იყო, ქურაღლებას აქცევდა ასეთ ძმებს და უფრო და უფრო იახლოვებდა. მამა ამბროსი უსიამოდ მოუყალე იყო შემცოდეების, მაგრამ გულწრფელად მონანულების მიმართ, რომლებიც უკვე გამოსწორების გზას ადგნენ. იგი არ არსებობდა მდიდარსა და ღარიბს, ღირსეულსა და ულირსს, მსგავსად უფლისა, რომელიც მეხვეწებთან და უწმინდურებთან ერთად ჭამდა და სვამდა, ოღონდ ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა და ღვთის შიშისკენ მოებრუნებინა ისინი. არასოდეს კიცხავდა სხვა შემცოდეებს, ვერ ითმენდა მოყვასის ცილისწამებასაც, მკაცრად ექცეოდა ცილისმწამებლებს. გარდა ბერის ზემოთ ხსენებული სათნოებებისა, ღირსად პატივდებული მამათა ცნობით, ის განსაკუთრებული ქურაღლებით გამოირჩეოდა საკუთარი თავის მიმართ. ღვთის შიშთან შეუღლებული, მუდმივად ყველგან მყოფ

უფალთან თანამყოფი, სულიერ ნიჭს ამკლავნებდა.

მამა მაკარი მას ამბროსის სამძოს სულიერ დანაკრებას რიდი აკალებდა მხილველ, არამედ ამავდროულად ზოგჯერ ღვთისმოშიშ ერისკაც მოღვაწეებსაც აცნობდა, რომლებიც სულიერ სახრდოს ეძებდნენ. მისი კურთხევითა და მითითებით, მამა ამბროსი ხშირად წარმართავდა სულისთვის სასარგებლო საუბრებს „მინაშენში“, რომელიც ბერის სენაკს იყო მიდგმული, სადაც მანდილოსნებს იღებდნენ, რადგან სკიტში ქალების შესვლა აკრძალული იყო.

მამა ამბროსი, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, ახალგაზრდა წლების გამო სულიერად ფხიზელი იყო, ჰქონდა ი'შვიათი ნიჭი ადამიანებთან ურთიერთობისა, რაც ხშირად მისთვის სიამოვნების დიდად მომგვრელი იყო. ის საუბრობდა მამა მაკარის მითითებებით, მხილველ ხოგიერთ მომსვლელთან, ბერისთვის მთავარი ტვირთი კი წლებით დამძიმებულ მამა მაკარის მხრებს აწვებოდა[87]. ამიტომ ასეთი საუბრები მამა ამბროსისთვის დამღლელი არ იყო, პირიქით, დიდი სიყვარულითა და მოშურნეობით ასრულებდა მამა მაკარის კურთხევას, რაც მას მორჩილებისთვის ჰქონდა ბერისგან მიცემული. გაურკვეველობის შემთხვევაში მას შეეძლო სასწრაფოდ მიეღო საჭირო პასუხი მამა მაკარისგან, რომელიც მამა ამბროსიში ხედავდა თავის ერთგულ მოწაფესა და სულიერ შვილს, ბერობაში თავის მემკვიდრეს, მომსვლელებთან დაუბრკოლებლად რომ საუბრობდა და სულიერ სარგებელსაც აძლევდა. ზოგჯერ გაუცლიდა, ხელმრიობით შეუცდენდა, ხშირად ჯოხსაც მოუქნევდა და ეტყოდა: „დაიმახსოვრე, მოიგონებ შენ ამ დროს!“ ზოგჯერ კი გარსშემოხვეული ხალხის გასაგონად მიუთითებდა მისკენ და ხალხს იუმორით ეტყოდა: „შეხედეთ, შეხედეთ, ამბროსი პურს მართმევს, პურს!“

მამა მაკარის მითითებითა და დავალებით მამა ამბროსი სასტუმროში მოსულებთან სასაუბროდ დადიოდა. ქურთუკებითა და ხულქებით სავსე ტომარა მისი შეუცვლელი თანამგზავრი იყო. როგორც კი სასტუმროში წასვლა გახდებოდა საჭირო, მაშინვე მოიკიდებდა მათ ზურგზე და წავიდოდა.

---

[87] როგორც ბერი მაკარის ცხოვრებიდან ჩანს, ის სულის ხუთვით იყო დაავადებული.

ამ დროისთვის მამა ამბროსისგან სულიერ საკვებს იღებდნენ კურსკის გუბერნიის ბორისოვის მონასტრის ბერების მყარვულლობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ერთხელ ბერმა მამა ამბროსი სასტუმროში გაგზავნა ვიღაც მდიდარ მანდილოსანთან, რომელიც ზიარებისთვის ემზადებოდა. მამა ამბროსის შესახებ მას ბევრი კარგი ჰქონდა განაგონი, დაიწყო ლაპარაკი იმ იმედით, რომ მის თანაგრძნობას გამოიწვევდა. მაგრამ ბერმა მისი საუბრის მისმენის შემდეგ უთხრა: „საქმეებით ვცრუობ და ტანჯვაა“. ეს სიტყვები ქალბატონს არ მოეწონა და ბერთან საუბარი შეწყვიტა. ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ თავის სენაკში წავიდა.

მეორე დღეს, წირვის შემდეგ მამა მაკარი სასტუმროში წავიდა იმ ქალბატონთან წმ. ზიარების მიღების მისალოცად და თან მამა ამბროსიც წაიყვანა. ამ უკანასკნელის დანახვისთანავე ქალბატონმა თქვა: „მამაო, ვიფიქრე თქვენს სიტყვებზე, ზიარება კინაღამ გადავდე, მთელ მწუხრსა და ლოცვაზე ამაზე ვფიქრობდი,მხოლოდ „რომელი ქრისტიანისთას“ გალობის დროს მივხვდი, რომ მართალი მითხარი“. პირდაპირ, სამართლიანად ნათქვამმა სიტყვამ თავისი გააკეთა, და ცნობილი და მდიდარი ქალბატონი ბრალად, მაგრამ მაინც დათანხმა, რომ ღირსეულად უნდა მოითმინოს წარუმატებლობა და რომ მამა ამბროსის უბრალოდ ნათქვამი სიტყვებიდან დიდი სულიერი სარგებელი მიიღო.

50-იან წლებში ოპტინაში კლუჩარიოვების მდიდარი ოჯახი ჩამოვიდა – დედ-მამა მცირეწლოვანი ძით და ბებია. მათი მიზანი მონასტერში მოწყობა და იქ ცხოვრება იყო. მამა ოპტინის მონასტერში უნდა დარჩენილიყო, ხოლო ბებია და დედა ჩვილითურთ – იქვე სავანესთან ან ბელევოს დედათა მონასტერში. რადგანაც ასეთი პირებისთვის საერო ცხოვრების დატოვება ძალიან ძნელი იყო, ისინი მამა მაკარს განსაკუთრებულ ჩარევას სთხოვდნენ ამ საქმეში, ბერმა კი მათზე მზრუნველობა, როგორც ჩანს, მამა ამბროსის დააკვალა, როგორც მასთან შედარებით თავისუფალ ადამიანს. მამა ამბროსი თითქმის ყოველდღე მიდიოდა მასთან სასტუმროში, სადაც მათ არცთუ განსაკუთრებულად დიდი კორპუსი ეჭირათ. ბატონი

კლუბარეკლები ხვდაებნენ, თუ რიგორი გულისხმიერებით დადიოდა მათთან მამა ამბროსი, რიგორ ზრუნავდა მათზე; იცოდნენ რა მისი სუსტი ჯანმრთელობის ამბავი, მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სკიტში ცხენს აგზავნიდნენ. გასაგებია, ერთ ცხენს არ შეეძლო ამხელა სიმძიმის სწრაფად ტარება, ამიტომ ხშირად სასტუმროში სანამ მოვიდოდა მამა ამბროსი, მამა მაკარი უკვე მიასწრებდა იქ ფეხით მისული. მამა ამბროსის დანახვისთანავე ხემრობით იტყოდა: „ამბროსი! ამბროსი! პურს მართმევს! პურს მართმევს!“ ხოგჯერ ახლობლებთან საუბარში იტყოდა: „მამა ამბროსი თქვენ არ დაგტოვებთ“.

მამა ამბროსის მიმოსვლაზე სკიტიდან სასტუმროში შეიტყო თავმდაბალმა, მოღვაწე არქიმანდრიტმა მოსემ. მან ამაში არაბერწული საქციელი დაინახა. აღსანიშნავია, რომ ბრძენ წინამძღვარს ჰქონდა ჩვეულება მამები და ძმები რაიმე არასასურველი, არამონასწური საქციელის გამო უმეტესად ქარაგმებით ემსილებინა. ამჯერად ის გზაზე იმ დროს გამოეიდა, როცა მამა ამბროსის უნდა გამოეცალა სასტუმროსკენ და გზისკენ სურგშექცევით დადგა. ეკიპაჟი გამოჩნდა. წინამძღვარი, როგორც იდგა ზურგით, ისეც დარჩა მანამ, სანამ მამა ამბროსიმ გვერდით არ ჩაიარა; არქიმანდრიტს თითქოს არაფერი შეუმჩნევია და ჯოხით ბუჩქებში რაღაცას თხრიდა. მამა ამბროსის სინდისმა უკარნახა, რომ წინამძღვარი მის საქციელში რაღაც მიუღებელს ხედავდა და ამის შემდეგ მან სასტუმროში ისევ ფეხით დაიწყო სიარული მისთვის ნეული ტომრით მხრებზე.

ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მამა ამბროსი მთელი აზრითა და საქმით მამა მაკარის თანაშემწე იყო ბერობაში; მას მისდამი ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც ერთ დროს მამა მაკარს მამა ლეონისადმი. ცნობილია, რომ მამა ამბროსი შემთხვევით გარემოებებზე არ დაუცენებია ასეთ შესამჩნევ მდგომარეობაში. ამის მიზეზი მისი თავმდაბლური მოღვაწეობა გახლდათ, რისთვისაც მას დაფასება და სიყვარული მოსდიოდა ყველასგან, როგორც მისთვის აუცილებელი ხარჯი. ის მონაზვნებიც, რომელთაც შურდათ მისი ნაადრევი აღმასვლა ხარისხში, მას უკვე დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. სქემოსანი

მამა გენადის სიტყვებით. თვითონ მაკარი ბერი განსაკუთრებული სიყვარულით იყო მისდამი განმსჭვალული, იმავე მამა გენადის თქმით, მას'ხე ყველა მიუთითებდა, როგორც მაკარი ბერის პირდაპირ მემკვიდრე'ხე.

ასე გრძელდებოდა და გაგრძელდა მამა ამბროსის ცხოვრება მანამ, სანამ ღმერთმა არ ინება მამა მაკარის უმანკო სულის მიღება თავის საღმრთო საკანეში სეცილერ იერუსალიმისა, წმინდა ანგელოზებისა და წმინდა სულების გვერდით, რომლებიც უფალს მუდმივად უგალობენ: ალილუია.

VII თავი

მღვდელ-მონაზონი ამბროსის ბერობის პირველი წლები სკიტის მმართველ მამა ილარიონის გარდაცვალებამდე[88]

„ვერ ხელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვაჲ, მთასა ზედა დაშენებულსა, არცა აღანთიან სანთელსა და დაჰფარან ჭეშე ჴემრისასა, არამედ სასანთლესა ზედა“ (მათ. V. 14-15)

ღვთიური განგებულებით, სულით ძლიერ ადამიანებზე ძლიერი განსაცდელებიც დაიშვება. ოპტინელი ბერი მაკარისათვის ძალიან მძიმე იყო სიკვდილის წინა ავადმყოფობა, დიდი მოთმინებით იტანდა; ის აცვიფრებდა ექიმებს: მთელი ავადმყოფობის მანძილზე ლოცვითა და ხშირი ცრემლებით ძლიერდებოდა. მამა ამბროსი, როგორც ბერის უახლოესი და უერთგულესი მოწაფე, სულ მასთან იმყოფებოდა და ხელსაყრელ დროს, ბერისვე სურვილით, კითხულობდა ნაშრომებს იმ მამებისა, რომლებიც მისთვის წმინდა იყო. „ერთხელ რომელიღაც სტატია წაიკითხე, – მოგვითხრობდა შემდგომში მამა ამბროსი, –

[88] გარდაიცვალა 1873 წლის 18 სექტემბერს.

მან კი შემომხედა და მითხრა: „აი, ძმაო, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, ჩვენ კი, მე და შენ, ცხოვრებით თავს ვიტკეცებთ!“[89] ასე იმხიბლებდა თავს სიკვდილის სარეცელზე და სხვასაც ამხიბლებდა. 1860 წლის 7 სექტემბერს ბერი მაკარი აღესრულა. მამა ამბროსი იმდენად დაუძლურებული იყო ავადმყოფობისაგან, რომ დაკრძალვის დღეს, 10 სექტემბერს, სამლოცველო შესამოსელით ვერ შეიმოსა.

ამასობაში, სიკვდილის მოახლოებისას, მაკარი ბერმა პირდაპირ არ მიუთითა ბერობაში თავის მემკვიდრეზე. მოწაფეების კითხვაზე: „რა ვქნათ ჩვენ, მამაო, უშენოდ?“ — მან გვისვენა ანბანური პატერიკი, ამბა ისააკ სკიტელის პასუხი ამაგე კითხვაზე. იქ წერია: „ამბა ისააკზე მოგვითხრობდნენ: გარდაცვალებამდე მასთან ბერები შეიკრიბნენ და უთხრეს: — რა უნდა ვქნათ ჩვენ შენ გარეშე, მამაო? მან კი უპასუხა: — თქვენ ნანახი გაქვთ, თუ როგორ ვიქცეოდი მე თქვენ წინაშე; თუ გინდათ, რომ მომმადლოთ, დაიცავით უფლის მცნებები და უფალიც თავის წყალობას მოგიყენებთ, დაიფარავს ამ ადგილს. თუ მცნებებით არ იცხოვრებთ, დანიშნულების ადგილას ვერ მიხვალთ, ჩვენც ასე განვიცდიდით, როცა ჩვენგან უფალთან მიდიოდნენ ჩვენი მამები, მაკრამ, ღვთის მცნებათა დაცვითა და ბერების ანდერძის შესრულებით, ისე ვცხოვრობდით, თითქოს ისინი ჩვენთან იყვნენ. თქვენც ასე მოიქეცით და გადარჩებით!“[90]

თვითონ მნათობი, მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი, როგორც ვიცით აღვნიშნეთ, პირადად იცნობდა ოპტინელ ბერს, მღვდელ-მონაზონ მაკარს და დიდი სიყვარულით ეპყრობოდა მას მაღალი სულიერების გამო. მან არაფერი იცოდა მის მემკვიდრეზე, ამიტომ, ოპტინელ ბერებს თანაუგრძნობდა მის დაკარგვას და ასე სწერდა სერგიევის სამების ლავრის მოსაყდრე არქიმანდრიტ ანტონს: „ოპტინელებმა დაკარგეს მამა მაკარი, ვფიქრობ, მან დატოვა კვთილი, სულიერი მემკვიდრე; ვფიქრობ, აღმოჩნდება ვინმე, ვინც განამტკიცებს

---

[89] შემდგომში მამა ამბროსიმ ვერ შეძლო განემარტა კარგად ეს გამოთქმა: „თავს ვიტკეცებთ“. მისი აზრით, ამას ეძრებოდა, ეტყობა რომელიღაც ხსნარული, ცრუმორწმუნეობითი, სათქმელი მონახაზი, რომელშიც თითქოს ადამიანი დაცული შეიძლება იყოს საშიშროებებისგან.

[90] ღირსსახსოვარი გამონათქვამები წმინდა მამების მოღვაწეობაზე, გვ. 115.

მათს სულიერ ერთობას და უხელმძღვანელებს"[91].

მიუხედავად ამისა, ბერობაში სქემოსანი მღვდელ-მონაზონ მაკარის მემკვიდრედ, როგორც ეს წინა თავიდან ჩანს, დიდი ხნით ადრე დანიშნული იყო თავმდაბალი მამა ამბროსი. მაკარი ბერის მიერ დასმულ კითხვაზე მემკვიდრის შესახებ ყველას შეიძლებოდა ეპასუხა: „მიდი და ნახე". მაგრამ, რადგანაც მამა ამბროსი ახალგაზრდა, მხოლოდ 48 წლისა გახლდათ, მისი შინაგანი სულიერი ცხოვრება, ღვთისა და მამა მაკარის, აგრეთვე რამდენიმე სულიერი მამის გარდა, არავინ იცოდა, ხოლო გარეგნული საქმეებით ამის დანახვის დრო არც იყო. მის ამხანაგებს, მამა მაკარის სხვა მიწაფეებს, მით უმეტეს, მონასტერში მამა ამბროსიზე ადრე მოსულ მღვდელ-მონაზვნებს, სხვანაირად არც შეეძლოთ მასზე ეფიქრათ, თუ არა მხოლოდ როგორც რიგით ადამიანზე, რადგან მაცხოვრის სიტყვებისამებრ, წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატიოდ, გარდა თავისი მამულისა, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა"[92]. როგორც ჩანს, მომაკვდავმა ბერმა პირდაპირ მასზე, როგორც საკუთარ მემკვიდრეზე, ვერ მიუთითა, ადამიანურ არჩევანს აქ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია. ეს ყველაფერი საქმეს ითხოვდა, როგორც უფალმა თქვა: „ეგრე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანების წინაშე, რომ ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს"[93]. თვითონ ამბროსი ბერს, მსგავსი შემთხვევებისას, ადამიანის შექების და მისთვის პირდაპირ რაიმე დანიშნულების მიცემა ჩვეულებად არ ჰქონდა, არამედ იმეორებდა ძველ რუსულ ანდაზას: „სანაყი ფქვილს უჩვენებს", ე. ი. დრო და ვითარება გვიჩვენებს, როგორია ადამიანი და ღირსია თუ არა ის თავისი დანიშნულებისა.

ჩვენ სამით ვნახეთ, რომ მამა ამბროსი მონასტერში მოსვლიდან მოკლე ხანში წარემატა სულიერ ცხოვრებაში, 1848 წლიდან თავისი მოძღვრის, მამა მაკარისა და ღვთისგანბრძნობილი წინამძღვრის, არქიმანდრიტ მოსეს კურთხევით დაიწყო მოძღვრობა და წარმატე-

---

[91] მიტროპოლიტ ფილარეტის წერილი სერგიევის ლავრის მოხაყდრე არქიმანდრიტ ანტონთან. ნაწილი IV, მოსკოვი 1884 წ., გვ. 251.

[92] მარკ. VI. 4.

[93] მათე V. 16.

ბით ხელმძღვანელობდა სულიერი რჩევებითა და სწავლებით მათ, ვინც მას განკურნებისთვის ხსნის საქმეში. ახლა კი, თორმეტი წლის განმავლობაში მამა მაკარის გვერდით მოსვლის შემდეგ, ის იმდენად მომზადებული იყო ამ დიადი მსახურებისთვის, რომ მისი წინამორბედის მოვალეობა თავისუფლად შეეძლო. და აი, აღსრულდა ტროეკუროვის ბერის, მამა ილარიონის სიტყვები, რომლებიც ოცდაერთი წლის წინ უთხრა ახალგაზრდა ალექსანდრე მიხეევის ძე გრენკოვს: „წადი ოპტინაში, შენ იქ სჭირდებით“. ნამდვილად, ის ოპტინაში ახლა უაღრესად საჭირო იყო, რადგან არაფის, გარდა მამა ამბროსისა, საფანის არც ერთ ბერს არ შეეძლო დაეკავებინა მამა მაკარის ადგილი.

ახლად გარდაცვლილი მაკარი ბერის ორმოცის დასრულებას სკიტში უფროსი ძმების გადაადგილება მოჰყვა. სკიტის მმართველი მღვდელ-მონაზონი პაფნუტი საერთო სენაკიდან[94] მამა მაკარის სენაკში გადავიდა, ხოლო მღვდელ-მონაზონი ილარიონი, რომელიც მაკარი ბერის ე. წ. შინამომსახურე იყო, საერთოდ გადაბარგდა. თანასწორი უფლებების მქონე მამა ამბროსიმაც, უკვე სქემოსანმა[95], მიატოვა დაუცდებულის წესები თავის ცხრილ სენაკთან ერთად, რომელიც მისი ლოცვითი გმირობების მოწმე იყო, და გადაეცა

[94] ასე ეწოდება განსაკუთრებულ სენაკს, სადაც მთელი სკიტი იკრიბება ყოველდღიურად საერთო ლოცვითი კანონების აღსასრულებლად, გარდა შაბათისა და კვირისა. სკიტის ტიპიკონის მიხედვით ამ დღეებში მსახურება ტაძარში მიმდინარეობს.

[95] უცნობია როდის აღიკვეცა მამა ამბროსი სქემაში. შესაძლებელია ვიფიქროთ, ორმოციანი წლების ბოლოს, როდესაც ის უკვეშოდ ავად იყო, რადგან ოპტინის მონასტერში ქველთაგანვე იყო სვეკლებად – მორჩილებს სიკვდილის წინ საიდუმლოდ აღკვეცავდნენ სენაკში მანტიაში, ხოლო ბერებს სქემაში, დასაბუთებულად ცნობილია ის, რომ ბერი ამბროსი სქემაში აღკვეცილ იქნა 1865 წლამდე. ამ წლის მარტში აღკვეცეს კლერიკად მომავალი იღუმენი ანტონი, ოპტინის ყოფილი წინამძღვრის არქიმანდრიტ მოსეს მკვიდრი ძმა. და აი, როდესაც უფროსი ძმები მოსდიოდნენ მასთან ანგელოსებრივი სახის მიღების მოსალოცად, ზოგიერთები მას ასეთ რაღაცას ეუბნებოდნენ: „ჭკვნ ეფიქრობდით, მამაო, რომ თქვენ, სასიკეთოდ აღკვეცილი, არაფის ეწყინებით ამაზე“, ბერი კი პასუხობდა: „რატომ უნდა დაიმალო? ნათქვამია: ყოველი მხილებული ნათლისაგან მჟღავნდება“ (ეფეს. VI, 13). როდესაც ეს მამა ამბროსის უთხრეს, მან, თავის ლოგინზე მჯდომმა, თქვა: „აი მე კი ვიმი ნათელი დავიმალე“. ამის მერე გახდა ცნობილი, რომ მამა ამბროსი იყო სქემაში აღკვეცილი.

სხვა კორპუსში, სკიტის გალავნის ახლოს, სამრეკლოს მარჯვენა მხარეს რომ მდებარეობდა. იგი შამორდინოს დედათა მონასტერში გადასვლამდე, თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში, მღვიძარედ იდგა ღვთაებრივ სადარაჯოზე, და მთელი სულით სიყვარულით ემსახურებოდა მოყვასს; განიცდიდა ყველა ადამიანური განსაცდელი, მწუხარება და ვაჟკურება; ეხმარებოდა ყველას სიტყვით, საქმით და სულიერი ნიჭით. ალნიშნული შენობის დასავლეთ მხარეს, კორპუსსა და გალავანს შორის, ახალი ბერის მითითებით მალე თბილი ფართო, „ხიბარკად“ წოდებული მინაშენი მოაწყეს. აქ მდედრობითი სქესის ადამიანები უნდა მიეღოთ.

თუ ადამიანურად შეეხედავთ, თავისი ბერობის დასაწყისში მამა ამბროსი თითქოსდა არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ არქიმანდრიტი მისე ღრმად მოხუცებული იყო, სულიერ სიმხნეს არ კარგავდა და უხარიოდა, რომ თავისი კალთის ქვეშ გამოზრდილი ალექსანდრე, თითქმის ბარტყივით აყვანილი, სწრაფად ავიდა ბერის საფეხურზე და შეუძლია უხელმძღვანელოს სხვებს მარადიული ნეტარების, ე. წ. „ბერობის“ გზაზე.

თავისი მოძღვრის, მამა მაკარის გარდაცვალების შემდეგ არქიმანდრიტმა მოძღვრად აირჩია არა ბერი ამბროსი, არამედ მისი უმცროსი ძმა, მონასტერში მცხოვრები იღუმენი ანტონი, რომელიც ყველას სულიერი მამა გახდა. ამ უცეკლო არჩევანის შემდეგ იღუმენი ოდნავ ეჭვიანი გახდა, მაგრამ არქიმანდრიტმა მისემ ძმის ეს ეჭვი ადვილად განაქარვა და უთხრა: „მოციქული ხომ ბრძანებს, რომ ერთმანეთს ვეუთხრათ ცოდვები“.

ამრიგად, წინამძღვარი თავიდან თითქოს ოდნავ გადაიხარა ახალგაზრდა ბერის, მამა ამბროსისაგან. ეს ერთი. მეორე – მღვდელ-მონაზვნები, ბერ-დიაკვნები და სხვა უფროსი ძმები ახლაც, როგორც ადრე, აღსარებას აბარებდნენ სამრეკლოს მოძღვარს, სკიტის მშვიდ მღვდელ-მონაზონ პაფნუტს. და მესამე, საერობისთვის მამა ამბროსი ნაკლებად ცნობილი იყო. ასე რომ, მამა ამბროსის თავის წილად რჩებოდა ზოგიერთი ახალგაზრდა ძმა, ის ბერები, რომლებიც მამა მაკარმა ჩააბარა და ახალმოსული მორჩილები, ოღონდ არა ყველა.

საერობოდან ვინც კარგად იცნობდა მამა მაკარს, ზოგიერთმა ახალ ბერს მტრულადაც კი დაუწყეს ყურება. ერთ მანდილოსანს, რომელსაც მამა მაკარის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება მოჰგვარა, უთხრეს, რომ ოპტინაში არის ახალი ბერი, რომელსაც ძალიან აქებენ და რომ მას ჰქვია ამბროსი. „როგორ, – შესძახა მან ყვეყრებით, – მამა მაკარის მერე იმ ბერთან მიეიდეს, რომელიც მუდამ მაშაოს სენაკებში ტრიალებდა და ტომრით დადიოდა?! ეს შეუძლებელია!“ ის მხოლოდ ერთხელ როგორღაც შემთხვევით გამოელაპარაკა მამა ამბროსის და მისგან ლმობიერქმნილი გამოვიდა და, როგორც ადამიანები ვარდებიან ხოლმე უკიდურესობაში, – აღრე თუ მას აძაგებდა, ახლა მაკარი ბერზე მაღლა აიყვანა. „მე ორიქეს ვიცნობდი, – ამბობდა იგი, – მაგრამ ეგრძნობ, რომ მამა ამბროსი თავიდან შეგნებულად იყო ხინჯად დატოვებული, რომ მისი ღირსება დრო'ში გამოჩენილიყო თავისი საქმით“.

მაგრამ აი მონასტერში გარემოებები მალე შეიცვალა. ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1892 წლის 16 იანვარს, გარდაიცვალა ოპტინის პატივცემული წინამძღვარი, რის შემდეგაც, საერთო სამონასტრო წესის მიხედვით, საძმოს ახალი წინამძღვარი უნდა აერჩია. არქიმანდრიტ მოსეს დაკრძალვაზე ჩამოსულმა კალუგის მღვდელმთავარმა გრიგოლი II-მ დაკრძალვისთანავე აკურთხა საძმო დაუყოვნებლივ დაეწყოთ ახალი წინამძღვრის არჩევა კალუგის მონასტრების ბლაგოჩინის არქიმანდრიტ გერასიმეს გამგეობით, რომელიც ამ დროს კალუგის სემინარიის რექტორი გახლდათ (შემდგომში ასტრახანის ეპისკოპოსი). მამა ამბროსისთვის, რა თქმა უნდა, დიდი ხნის წინ იყო გასაგები, რომ არქიმანდრიტ მოსეს მემკვიდრე სკიტის მღვდელ-მონაზონი ისააკი ანტიმონოზი უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი, რომელიც თვითონაც ხვდებოდა რომ ეს ხვედრი ემუქრებოდა, ცრემლიანი თვალებით ევედრებოდა მამა ამბროსის, აეცილებინა მისთვის ეს მძიმე ჯვარი, რასაც წინამძღვრობა ჰქვია, ამიტომ ბერმა ჩათვალა – უკეთეს დრომდე დადუმებულიყო მასზე. შეიძლება ის ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ განსვენებული მამა მაკარის პირით ნაუწყები ყოფილიყო ღვთის ნება არქიმანდრიტ მოსეს მემკვიდრეზე, მაშინ გარემოება, რომელიც ღვთის განგე-

ბულებით წყდებოდა, თვითონ დაიწყებდა მამა ისააკის წინამძღვრად არსებას. მაგრამ საქმემ სხვა სახე მიიღო, ძმების ხმები არსებებზე გაიყო. უმრავლესობამ უხუცესი მღვდელ-მონაზონი პაფნუტი აირჩია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მართავდა სკიტს და საძმოს მოძღვრად ითვლებოდა. საკანის უფრო დაფასებული ნაწილი მამა ისააკის მხარეს იყო, მაგრამ ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ. მას პირველმა – მღვდელ-მონაზონმა ილარიონმა მისცა ხმა, რომელიც მამა მაკართან ძალიან ქცევაზე დაახლოებული პირი იყო, შემდგომში კი სკიტის მმართველი და მთელი ოპტინის საძმოს მოძღვარი. ის მამა ამბროსისთან ერთად მამა მაკარმა ხსნის მიებნელთა სულების დამპურებლად დააყენა, მოკლედ რომ ვთქვათ, მონაზვნად. მათთან ერთად მამა ისააკის მომხრეები იყვნენ: მღვდელ-მონაზონი ლეონიდე კაველინი, შემდგომში არქიმანდრიტი; სერგიევის სამების ლავრის არქიმანდრიტის მოსაყდრე – მღვდელ-მონაზონი ფლავიანე, შემდგომში ოპტინის მონასტრის ხაზინადარი (მოლარე); მღვდელ-მონაზონი გაბრიელი და სხვები. როდესაც მამა ამბროსიმ გაიგო, რომ არსებებში მამა პაფნუტიმ გაიმარჯვა (როგორც გადმოგვცემდა ოპტინის ყოფილი წინამძღვარი არქიმანდრიტი დოსითეოსი), მაშინვე წავიდა მონასტერში მეუფესთან. გზად ძმები შეხვდნენ და მათ პირდაპირ განუცხადა: „მამა მაკარმა სიცოცხლეში დანიშნა მამა ისააკი არქიმანდრიტ მოსეს მემკვიდრედ, ამიტომ მე მივდივარ მეუფესთან ამის ასახსნელად“. ბერს არავინ შეეწინააღმდეგა. მეუფის კითხვაზე მამა ამბროსიმ სკიტის სქემოსანი ბერის მამა გენადის სიტყვების მიხედვით უპასუხა, რომ მამა ისააკი თვითონ ითხოვდა მისთვის ხმები არ მიეცათ. მაგრამ იცოდა რა მამა მაკარის ანდერძი იმის თაობაზე, რომ მამა ისააკი უნდა ყოფილიყო არქიმანდრიტ მოსეს მემკვიდრე, მან გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა. როდესაც მეუფემ განსვენებული მამა მაკარის ნება შეიტყო, როგორც ეს აღნიშნულია იღუმენ მარკოზის ჩანაწერებში, და მას ახალი წინამძღვრის არჩევა აუწყეს, თქვა: „მიუხედავად იმისა, რომ მამა ისააკს არ ჰყოფნის ხმები, ჩემი ნებით და მამა მაკარის არჩევით, საკანის წინამძღვარი გახდეს მამა ისააკი. ღმერთმა დალოცოს!“ შემდეგ მიმართა მამა პაფნუტის და უთხრა. „თქვენ კი, მამა პაფნუტი, მე არ დაგივიწყებთ; თქვენ

თქუენსას მალე მიიღებთ". ამის შემდეგ მწერმსთავარმა სამწო დალოცა და კალუგაში გაემგზავრა. ასე აღსრულდა განსვენებული ბერის, მამა მაკარის ნება, უცრო სწორად, აღსრულდა ბერის პირით ნაუწყები ღვთის ნება. და მღვდელ-მონაზონმა ისააკმა, რომელიც არასოდეს ნატრობდა წინამძღვრობას, ცხარე ცრემლებით მიიღო ოპტინის მონასტრის აღმაშენებლის ტიტული.

თავიდან, როგორც კი მამა ამბროსი დამოუკიდებელი ბერი გახდა, მას მხოლოდ ერთი შინამომსახურე ჰყავდა, მორჩილი ს. დ. სმოლენსკის გუბერნიიდან, რომელიც დროდადრო მის მწერლადაც (გადამწერი) მსახურობდა[96]. მაგრამ როდესაც მომსვლელთა და მიღებულ წერილთა რიცხვმა ზრდა დაიწყო, მაშინ ბერს სჭიროება თანაშემწეებიც დასჭირდა, რომლებიც უფალმა დაუკოუნებლად გამოუგზავნა. 1862 წლის ბოლოს ან 1863 წლის დასაწყისში[97]. ოპტინაში ჩამოვიდა განათლებულ სამყაროში ცნობილი ვინმე კონსტანტინე კარლოს ძე ზედერგოლმი, შემდგომში მღვდელ-მონაზონი კლიმენტი, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. იგი იყო ბერძნულის ენებული მეცნიერი, გარკვეული დროის განმავლობაში ობერპროკურორის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ მსახურობდა გრაფ ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოისთან ერთად სინოდში. აქ იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ სკიტის საძმოში სამუდამოდ დარჩენილიყო, და დარჩა კიდეც. ამ დღიდან საკუთარ აღსასრულამდე, 1878 წლამდე, მამა ამბროსისთან მთავარი მწერლის თანამდებობაზე იმყოფებოდა. ამ ადამიანზე მამა ამბროსი განსაკუთრებულად ზრუნავდა. უნდა აღინიშნოს, რომ მღვდელ-მონაზონი კლიმენტი, მიუხედავად კეთილი გულისა და სუფთა მისწრაფებებისა, ძალიან ფუთქებადი იყო და ყოველგვარ წერილმანზე გული სწყდებოდა. ასეთ შემთხვევაში მამა ამბროსი, შეიძლება ასე ითქვას, ეფერებოდა მას როგორც დედა შვილს. დაკეტილი კარის მეორე მხრიდან ხმირად და ხანგრძლივად ისმოდა

---

[96] თავის მწერლებს მამა ამბროსი სხვანაირად ეახლა გადამწერებს, რაც ჩვენლებრივი სიმბლის მოძველი ბერული სახელია.

[97] მამა კლიმენტის ზედერგოლმის საყანეში მოსვლა მის ცხოვრებაში ასეა აღნიშნული: 1862-1863.

ხმები, ერთი მხრივ, მტირალი მამა კლიმენტისა, ხოლო მეორე მხრივ – გამომაფხიზლებელი და დამამშვიდებელი საუბრები მონასწინისა მამა ამბროსისა. ერთი შინამომსახურის მაგიერად, რომელიც მანამდეც ჭანჭრობელი არ იყო, სკიტში ერთდროულად გამოჩნდა ორი ახალგაზრდა კაცი, რუსეთის ორი სხვადასხვა მხრიდან, მაქსიმე – მოსკოვიდან, შემდეგომში მღვდელ-მონაზონი მიხეილი*, და მალორიოსისიდან – იოანე, ახლა მღვდელ-მონაზონი იოსები, სკიტის მონაზონი. პირველი ოცი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ბერთან, მეორე კი – ოპტინიდან შამორდინოში გადასვლამდე. ამ იოანესე მამა ამბროსიმ ოდესღაც სხვების თანდასწრებით მიუთითა, და თქვა: „ეს იოანე ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება და თქვენთვისაც“. ამ უჟრის შინამომსახურეებს შემდგომში ეხმარებოდა კიდევ ერთი ან ორი ახალგაზრდა მორჩილი. საქმე ქეცელასთვის ბლომად იყო.

1862 წელს მამა ამბროსის ახალი ავადმყოფობა ეწვია. ამ წლის ბოლოს, ზამთრის პერიოდში, იგი სკიტიდან მონასტერში ახალაღკვეცილი ბერების მოსანახულებლად წავიდა, რომლებიც მან, რიგორც მოძღვარმა, სახარებისეულად მიიღო. ამ დროს აღკვეცილთა შორის იყო ბერი ანტონი, კალუგის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, შემდგომში სკიტის მმართველი და მონაზონი (ბერი). მსვლელობისას მამა ამბროსი მარხილიდან აებედითად გადმოვარდა და ხელის ამოვარდნილობით დაზიანდა. ცუდი მკურნალობის გამო ის დიდხანს და მძიმედ წვალობდა. მისი ჭანჭრობელობა ისედაც სუსტი იყო, ახლა კიდევ უჟრო დასუსტდა, იმდენად, რომ ამ დღიდან ტაძარში ვერ დადიოდა საეკლესიო მსახურებაზე, ზიარებასაც სენაკში იღებდა. ამ დღიდან მთელი ცხოვრება სიკვდილამდე ზამთრობით ჰაერსაც კი ვერ გამოდიოდა.

1865 წელს ბერი ამბროსი გამოემშვიდობა ოპტინის უკანასკნელ დიდ სულიერ მამას იღუმენ ანტონს, რომელმაც (თავის ლვიძლ ძმასთან არქიმანდრიტ მოსესთან ერთად) დააარსა და აღაშენა ოპტინის სკიტი. ის ამ წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა. მისი სულიერი შვილები, სასულიერო თუ საერო პირები, ახლა მამა

* 1897 წლის 21 დეკემბერს გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კანონური წესით აღიკვეცა დიდ სქემაში.

ამბროსისთან გადმოვიდნენ. ამრიგად, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა მასთან სულიერი საზრდოსთვის მომსვლელთა რიცხვი და აგრეთვე წერილების რიცხვი. მასთან მოდიოდნენ და წერილებს წერდნენ სხვადასხვა ჩინისა და მდგომარეობის, სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანები. მისი დიდება უკვე შორს გახდა ცნობილი. ის ცნობილი გახდა მოსკოველი მნათობის, მიტროპოლიტ ფილარეტისთვისაც, რომელმაც იმავე 1865 წელს მოსკოვში მყოფ ერთ ოპტინელ ბერს მამა ამბროსისთვის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი გამოატანა საკურთხებლად. ამით, საფიქრალია, მნათობმა თავისი სურვილი გამოხატა, რათა ყოვლადკეთილმა ღმერთმა გააძლიეროს ახალი ბერი ამბროსი ოპტინის საძმოს ერთსულოვნების შენარჩუნებაში, როგორც ადრე ამას წერდა იგი სერგიევის სამების ლავრის წინამძღვრის მოსაყდრეს არქიმანდრიტ ანტონს.

როგორც სკიტის მატიანეებში წერია, მამა ამბროსის ცხოვრების ბოლოსთვის რამდენჯერმე დაუბრუნდა სასტიკი ავადმყოფობა – ჰერმორროიდალური სისხლდენა. 1868 წლის 28 აგვისტოს ავადმყოფობა საშიში გახდა. სისხლდენა გრძელდებოდა ყოველდღიურად, ხუთი კვირის განმავლობაში. კოზელსკის მაზრის ექიმის არეოფნის გამო ის ცხრა დღე სამედიცინო დახმარების გარეშე რჩებოდა, მხოლოდ 6 სექტემბერს ჩამოვიდა ბელევოდან ექიმი კუნიავსკი მიწვევით, რომელმაც რალაც დახმარება გაუწია ენებულს. მოკლედ, ბერის გამუდმებული ავადმყოფობა არ წყდებოდა. ამის გამო იმ დროს ოპტინაში ჩამოსული იყო მამა ამბროსის სულიერი შვილი და თაყვანისმცემელი – გრაფი ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოი. ძვირფასი ბერის სხვა სულიერ შვილებთან ერთად იგი იღუმენ ისააკს სთავაზობდა – გაეგზავნა ბერი სოფელ კალუჟინკაში (ოპტინიდან 70 ვერსში), იქაური მღვდლისთვის კი ეთხოვათ ჩამოებრძანებინა მონასტერში ცნობილი სიწმინდე – კალუგის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რათა მამა ამბროსის სულიერ შვილებს ელოცათ მის წინაშე მოძღვრის გამოჯანმრთელებისათვის. წმინდა ხატი მალე ჩამოაბრძანეს და ბერის სენაკში გადაიხადეს ზეციური დედოფლის პარაკლისი და აკათისტო, შემდეგ

საკლიო ლამისთვეა. ამის შემდეგ ცოტა ხანი ისევ წვალობდა ბერი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ოპტინელებში გაიღვიძა იმედმა ღვთის-მშობლის წყალობითა და შეწევნით, რომელმაც არ გააწბილა მსახიობებლნი. 17 სექტემბერს ხეთი სცხეს, ხოლო იმავე თვის 22 რიცხვში კალუგიდან მოწვეულ იქნა ექიმი ბაბუშკინი, რომელმაც შეუმსუბუქა ბერს ავადმყოფობა.

ბერმა ვერც კი მოასწრო თავისი მკაცრი დაავადებისაგან გამოკეთება, რომ 1 ნოემბერს, გაუფრთხილებლობის გამო, აბანოს მიღების შემდეგ გაცივდა და კვლავ ავად გახდა. გაცივებამ და ბუასილმა მარჯვენა თვალზე იმოქმედა, სადაც ანთებითი პროცესი დაწყო და ორი თვის განმავლობაში ვერც კითხულობდა.

ზაფხულის პერიოდში მამა ამბროსი რამდენიმე დღით დასასვენებლად სამონასტრო აგარაკზე მიდიოდა, სადაც თევზაობდა. ახლა კი 1869 წელს, ის ძალიან დასუსტებული იყო ძლიერი ავადმყოფობისგან, მას ახლაც სჭირდებოდა დასვენება. დასახლებული აგარაკი ათი ვერსით იყო მონასტრიდან დაშორებული და მდებარეობდა მდინარე ჟიზდრაზე. მას შესანიშნავი ადგილმდებარეობა აქვს: ერთი მხრიდან ფიჭვნარი, გიგანტური ხეებით, ხოლო სხვა დანარჩენ მხარეს გაშლილი ადგილია, სამონასტრო სარწყავი ველები, მდინარეები, ხოლო იმის იქით მინდვრები და გლეხებით დასახლებული სოფელი.მეუდაბნოების მოყვარული ბერი ამბროსისთვის ასეთი მდებარეობა შეიძლება არ ყოფილიყო მაინცდამაინც მისაღები. ამიტომ, როდესაც იღუმენმა ისააკმა სამოციანი წლების ბოლოს ვიღაც ხანში შესული ქალისგან შეიძინა ტყის სიღრმეში მისი კუთვნილი მიწა ტყით მონასტრისთვის და გადაწყვიტა იქ კიდევ ერთი აგარაკის აშენება, ცნობილი არისტარხოვის[99] სახელით, ბერმა დაიწყო იქით სიარული და გამოყო ცალკე განსაკუთრებით პატარა სენაკი მომსვლელთა მისაღებად, რომლებიც ახლა ყველგან იპოვიდნენ მას, სადაც არ უნდა წასულიყო. მაგრამ ეს ჟართი

[99] ასე ეწოდება აგარაკს ბერი არისტარქის სახელობისა, რომელიც მონასტრის მშართველთა განკონებით პირველი მივიდა იქ და შრომობდა. იქვე იყო სკიტის კერძო აგარაკი, მაგრამ ბერს იქ უჭირდა ცხოვრება, იმიტომ, რომ იქ ხშირად მიდიოდნენ იღუმენი ისააკი სკიტის მშართველ მამა ილარიონთან ერთად.

აღმოჩნდა ეიწრო და მოუხერხებელი. ამიტომ რამდენიმე სულიერმა შეილმა მამაის მისიის განსაკუთრებული სენაკის აშენება შესთავაზა, რათა მომავალში დროდადრო მასთან შესაძლებელი იქ საფხულობით დასასვენებლად წასვლა და მოსვრებული ცხოვრება. ბერი დათანხმდა. ტყის სიღრმეში – არისტარხოვის აგარაკიდან შვიდი წუთის სავალზე იყო პატარა მინდორი, რომელიც ირგვლივ ყოთლოვანი ტყით იყო შემოსაზღვრული. სწორედ აქ გადაწყვიტა ბერმა აეშენებინა თავისთვის სენაკი. იმავე წლის 2 სექტემბერს, როდესაც კალუჟსკის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის დღესასწაული აღესრულება, მამა ამბროსი იმყოფებოდა არისტარხოვის აგარაკზე. აქ მისიე კურთხევით იმავე დღეს მონასტრიდან ჩამოვიდნენ მისი მწყრალი ბერი კლიმენტი ზედაგოლმი და ახალი მორჩილი მიხეილ ეკგენის ძე სტრუკოვი[100]. მას თან ჰქონდა პატარა ბიჭი ეკგენი. ბერმა მიიყვანა ისინი სენაკის მშენებლობის ადგილას და უთხრა: „აკურთხეთ, ძმებო, აქ სენაკის აშენება". ყველა ჩუმად იყო. მაშინ ბერმა აიყვანა ხელში ერმა ეკგენი, მისით ჯვარი გადასახა დანიშნულ ადგილს და თან გაამეორებინა მას შემდეგი სიტყვები: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა. ამინ. უფალმა გვაკურთხოს აქ სიკეთისთვის ვიცხოვრით". ამრიგად, თავმდაბალმა ბერმა, რომელიც შეჩვეული იყო ეცხოვრა მუდამ საკუთარი ნების უარყოფით, ეკეთებინა ყველაფერი უფროსების კურთხევით, რომელსაც ახლა არ ჰყავდა გვერდით არავინ, ვინც მომავალ საქმეს აკურთხებდა, გადაწყვიტა კურთხევის მიღება უბიწო ერმისაგან; მიძღვრებითი მაგალითია! მალე, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულისთვის, კალუჟიდან ჩამობრძანდა ყოველდღიურ ლიტურგიაზე გრიგოლი. მონასტერში სალოცავ ლიტურგიის შესრულების შემდეგ მეუფემ მიაკითხა სკიტს და მამა ამბროსის. ამ დროს, მეუფესთან საუბრისას, ბერმა ითხოვა მწყემსმთავრული კურთხევა განმარტოებული სენაკის აშენებისა. იმავე 8 სექტემბერს გადაცემულ იქნა პირველი თანხა სენაკის ასაშენებლად მისატანი ხეტყის საყიდლად მუცელე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისთვის, რომლის

[100] შემდგომში მოკითხის ღვთისმოსის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მაკარი. გარდაიცვალა 1900 წლის 10 აპრილს.

სახლიც სამონასტრო აგარაკის ახლოს იდგა. ბერის ერთგული ნიკოლოზი ყურადღებით აღევნებდა თვალყურს სენაკის აშენებას. მან თქვა: „რითიორ არ ეი'სრუნო, რიცხა მამა ამბროსის უნდა ჩვენი მხარის განათლება!"

შემდეგ, 1870 წლის ზაფხულში, მამა ამბროსის გეგმით, მის მიერ ნაშენებ ადგილზე, აშენდა მისთვის პატარა კორპუსი თავისი აუცილებელი ნაგებობებით და შემოღობა დაწნული სალუდარით. ერთ მხარეს კორპუსის ახლოს, ააშენეს ვრცელი „ხიბარკა" მონაშენი მომსვლელებთან სასაუბროდ, სადაც, სხვათა შორის, ბერის მომლოდინეებს შეეძლოთ დამსხდარიყვნენ. ღობის შიგნით ამოთხარეს დიდი ორმო და შიგ ჩადეს დახერეტილი დიდი ხის ქუთი. წყალში ჩადგმული ცოცხალი თეზუსის შესანახად, ღობის გარეთ კი მეორე, და ორივეში ჩაყარეს თევზი, ბერის გულისხმიერმა მორჩილებმა იქნეს. კორპუსთან ახლოს, დარგეს მარწყვი, ჟოლო, მოცხარი და მოცვი; ღობის მეორე მხარეს დათესეს კარტოფილი. და, ამრიგად, მამა ამბროსის ახალი აგარაკიც მზად იყო. ახლად აშენებული კორპუსის ერთი ნაწილი დიდია, მაღალჭერიანია, რომელიც ბერმა თაყვისთვის განიკუთვნა მის განუყრელ თანამგზავრთან ბერ იოსებთან ერთად საცხოვრებლად. ბერი იოსები შემდეგ ოპტინის მონაზონი გახდა. მეორე, მცირე ნაწილში, პატარა სამსარეკლო და საკუჭნაო განალაგეს. სამსარეკლოს თავზე მოაწყეს პატარა სენაკი მწერლისა და მომსვლელთა მოსასვენებლად. 13 იელისის ღამე და დღეც მამამ არისტარხოვის აგარაკზე გაატარა, ხოლო საღამოსკენ გადავიდა მის მიერ აშენებულ საზაფხულო სენაკში. პირველ რიგში მას უნდა ეკურთხა ახალი ადგილსამყოფელი ლოცვით. ამ დროისთვის აქ ჩამოვიდა ოპტინელი სქემოსანი მღვდელ-მონაზონი თეოდოტი, რამდენიმე მგალობლის თანხლებით, რომელმაც იმავე ღამეს იმსახურა ღამისთევით ღვთისმშობლის, წმინდა იოანე წინამორბედისა (მის სახელზე იყო დაფუძნებული ოპტინის სკიტი) და წმინდა ამბროსის მედიოლანელის სახელზე. ღამისთევის დასრულებისთანავე მამაო მასთან ერთად ჩამოსულ ბერებთან ერთად პირველად მოეწყო მის ახალ სენაკში ღამის გასათევად. დილით 14 რიცხვში იმავე მამა თეოდოტიმ გადაიხადა მაცხოვრის

პარაკლისი, შემდეგ წმინდა კეთილმორწმუნე მეფის ალექსანდრე ნეველისა[101]. შემდეგ ჩამოიღებენ მონასტრიდან ხასინისმცველი მამა ფცლაციანე და მამა ამბროსის მოძღვარი მღვდელ-მონაზონი პიმენი. ახალჩამოსულმა, მამა თეოდოტისთან ერთად, კიდევ ერთხელ გადაიხადეს ღვთისმშობლის პარაკლისი, შემდეგ წმინდა იოანე წინამორბედისა და წმინდა ამბროსისა. წესის კურთხევასთან ერთად, რის შემდეგაც მამა პიმენის მიერ წაკითხულ იქნა ლოცვა და მამა ანატოლისთან ერთად სენაკს და მთელ აგარაკს ასხურებს ნაკურთხი წყალი. ეს სულიერი დღესასწაული დაასრულეს მწირი ბერული ტრაპეზით აქ მოსულ სტუმრებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ სკიტის მმართველი მღვდელ-მონაზონი ილარიონი და კათოლიკოსიდან მოქცეული სერგო (სტანისლავ) მიხეილის ძე ბარანიეცკი.

ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა განმარტოების მოყვარულებზე მამა ამბროსის ტკბილ აგარაკმა, განსაკუთრებით მაისის თბილ და წყნარ დღეებში! დილა. ხეების თავზე ამოცურდა სასიამოვნო მზე. მისი ნათელი სხივები ნაირფერად აკიაფებენ მწვანე საფარზე და ნამის კრისტალური წვეთებით ბრჭყვიალებენ. ირგვლივ ტყის უშფოთველი სიმშვიდეა. ყოველი მხრიდან ტყის ურიცხვი პატარა ჩიტის სტვენა და გალობა ისმის. ყველაფერი ეს უსტვენს, რეკავს, ჭრიალებს, ჭიკჭიკებს და იღერება შემოქმედის ერთ საერთო დაუდუმებელ სადღესასწაულო-სადიდებელ საგალობელში, რომელიც მოაქვს ზეციურ სამყაროში და აქ კვლება შორეულ საგალობელში, შორეულ ეკოში. მთლიანად გაიწყლება მიწიერი შფოთი. ან აქ, ამ განმარტოებულ ადგილას, რამდენიმე წელი დადიოდა ბერი ამბროსი სკიტიდან. ის ირჩევდა კვირას სამუშაო დღეებით და სტუმრობდა აქ ხუთი-ექვსი დღე. სადღესასწაულოდ ბრუნდებოდა სკიტში, სადაც ისმენდა ჩვეულებრივ საკელიო სადღესასწაულო ღამისთევას და მღვდელმსახურებისგან აღსარებას იღებდა. ესენი იყვნენ: წინამძღვარი, მღვდელმონაზვნები, ბერდიაკვნები და სხვა აღმსარებლებიც თუ იყვნენ. შემდეგ ისევ მიდიოდა თავის აგარაკზე.

[101] ციხისი მაკარი ეგვიპტელის სახელზე სკიტში არის მინაშენი; ხოლო წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელი, როგორც ჩანს, იყო ნახსენები, მამა ამბროსს ერქვა ნათლობით.

განსაკუთრებული გულისხმიერებით იღებდა ის აქ მისულ ახალგაზრდებს და ბერებს. ზოგჯერ სალამოს მოეწყობოდა ერთობრივი კაკაო. მათ აქ აჭმევდნენ მოკრძალებულ ვახშამს. დაბინდებულნენ დაღლილი მგზავრები და ბერიც არ გაალევებდა მათ ადრე, დილით კანონების მოსასმენადაც კი. როდესაც სტუმრები აღგებოდნენ, მოისმენდნენ ბერთან ერთად ვამნებს, მივიდოდნენ კურთხევის ასაღებად და ბიძიშს მოუხდიდნენ, რომ ცისკარზე ეძინათ. ის კი მამობრივი მოწყალებით ეტყოდა: „არა, ჩვენ სტუმრებს არ ვაწუხებთ“[ფ]. ოვითონ კი იჯდა თავის ლოგინზე კეთილსახიერად: ნათელი სახით, მოღიმარი, მოსიყვარულე: ან რაიმეს მოიკლას დაიწყებს ანდა ზოგჯერ იჯდა რალაცნაირად საკუთარ თავში ჩაღრმავებული. თუ რაიმეს შეკითხებოდნენ, მას თითქოს არ ესმოდა ბოლომდე: „ააა? რაა? — გაიმეორებ“.

ბერთან ხშირად ჩამოდიოდა დიდი ოპტინელი მოღვაწე, მორჩილი ელისე, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ამ წმინდა ადგილში. იგი თავისი სიმდაბლით ყოველთვის უარს ამბობდა მონასტრულ ყოველგვარ ხარისხებსა და მღვდელმოქმედებებზე. ის ცხოვრობდა ბერის აგარაკიდან ერთი ვერსის დაშორებით პატარა ქოხში და ტყეს დარაჯობდა. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იღებდა მაშა ამბროსი ამ უხუცეს მორჩილს!

სამახსოვროდ მოვიყვან მისი ცხოვრებიდან რომელიღაც მაგალითს. საიცარი სიმდაბლის პატრონი გახლდათ მონა ღვთისა ელისე. ერთხელ იღუმენმა ისაკმა შესთავაზა აღეკეთილიყო მანტიაში ან თუნდაც მცირეში და ითხოვდა ამას მუქარით. „თუ არა, — ეუბნებოდა ის, — მე შენ სამწარეულოში გაგიშვებ“. — „აი ჩემი ბერობა“, — უპასუხებდა ელისე, — „მე შენ მეტანიებს დაგინიშნავ“. — აგრძელებდა მუქარას იღუმენი. — „აი ესეც მანტია“, — უპასუხებდა თავმდაბალი მოღვაწე. მან დიდი ხანი გაატარა ტყეში მარტო და

ფ სამონასტრო აგარაკზე ყოფნისას ერთხელ მოვიდნენ მასთან ოპტინიდან რომელიღაც ბერები. დილით აგარაკის მთავარმა დაიწყო მათი გაღვიძება კანონების შესასრულებლად. მაშა ამბროსიმ თითქოს წყენით უთხრა: „ბრიყვო! აქ შენთან ლოცვაზე კი არ მოდიან. ისინი მონასტერში ლოცულობენ და დასვენება სჭირდებათ“. ასეთი სიყვარული ჰქონდა დაუფიქრებლობის მაშას.

ჭეშმარიტად ბუნების ნაჩუქარი შეილი გახდა. ის სამთარში ტყის ფრინველებს ხელითაც აჭმევდა. გამოედიდება ჰაერზე, დაიჭიდა თავზე, წვერზე და ხელებზე კანაფის თესლს და რიგორც კი იტყოდა: ბიტებიო, ბიტებიო, ბიტებიო! მაშინვე ყოველი მხრიდან მოფრინდებოდნენ: ზოგი თავზე დაადგებოდა, ზოგი წვერზე, ზოგიც ხელებზე და მთლიანად დაფარავდნენ მას. ოპტინელი ბერები არაერთხელ გახდნენ ამ სურათის მოწმე. მას ტყის შემოქლისას მგლებთანაც მოუწია შეხვედრა. მაგრამ ისინი მას არ ერჩოდნენ და გვერდს უქლიდნენ. ღრმა სიბერეში, 75 წლის ასაკში, მას დამბლა დაეცა თაეისი ტყის სენაკში. იგი გადაიეანეს მონასტრის საავადმყოფოში. ასე გადმოგვცემდა ერთი ბერი მის მცირ ავადმყოფი ელისეს მონახულებას: „სამშაბათს (1877 წლის 26 აპრილი) მოეკდი ავადმყოფ მამა ელისესთან (სანამ პატიოსანცემით მას მამას ეახდა), რომელიც დიდი სისუსტის მიუხედავად დიდი მოთმინებით და კეთილსულიერებით ეპყრობოდა თაეის სნეულებას. ჩემს შეკითხვაზე, თუ რიგორ გრძნობდა ის თაეს,მიპასუხებდა,რომ სისუსტეს გრძნობს, საჭმელს ვერ ჭამს და კერის შემდეგაც არაფერი უჭამია. ამბობდა, რომ ის ნანუგეშებია იმით, რომ უფალმა ღირსეო ზეთისხეებისა და ხიარების მიღებისა. ჩემს სიტყვაზე, რომ შესაძლებელია მალე დასრულდეს წვალება და უფალი ანუგეშებს მას იქ მოთმინებისათეის, მითხრა. „დიდება უფალს! ის აქაც მანუგეშებს მე – მომცა სიყვარულის ნიშა, რათა ვაქო და ვაღიდო ის! უფალთან, აქაც და იქაც, ყველგან კარგია. ჩვენთან არის ღმერთი, შეიტყეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!“ გამოთქვამდა სურეელს, რომ დაეცემარხა ახალ სასაფლაოზე, სამლოცველოს გვერდით, სამლოცველოსა და ეკლესიას შეინდათა სახელობის ტაძარს შორის: – „მე იქ ეცხოვრობდი, – დაამატა მან, – მიყვარს იქაური ადგილი და სამლოცველო“. მე მას წმინდა ლოცვებს ეუხოვდი, მან მითხრა. „მე ელოცულიბ და თქვენც არ დამიეიწყოთ. იარეთ ჩემს საფლავზე. სულით ყოველთეის თქვენთან ვიქნები; მე მესიამოენება, რომ თქვენ ჩემს საფლავზე ივლით“. 30 მაისს, ორშაბათს, ადრეული წირვის მერე მონასტერში, სადაც ახლანდელმა ხაზინადარმა სქემოსანმა მღვდელ-მონაზონმა მამა საბამ იმსახურა, მამა ფლავიანემ წესი აუგო მორჩილ ელისეს

მეუდაბნოეს. ის მისიც ანდერძის თანახმად ყოფილთა წმინდაია ტაძრის სასაფლაოზე დაკრძალეს. იმ პერიოდში, როდესაც ელისე მორჩილებას გადიოდა უფროსი მზარეულის თანამდებობაზე სამების სამხარეულოში, სქემოსანი მღვდელ-მონაზონი საბა მისი თანაშემწე იყო[103].

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი თხრობის მთავარ თემას. 1871 წლის თებერვალში მამა ამბროსი თავისი ჩვეული დაავადებით ისევ მძიმედ გახდა. მაგრამ აი ამ თვის 24 რიცხვში მან მიიღო ათონის მთიდან პანტელეიმონ მკურნალისა და დიმიტრიამის ხატი[104], რომლებიც კიპარისის დაფაზე იყო დაწერილი. ეს ხატი ბელევეის მონაზონმა დარია პეტრეს ასულ ბელეტნოვამ სხვა დედებთან ერთად შეუკვეთა მამა ამბროსისთვის. იმავე დღეს ბერის სენაკებში ღვთის რჩეულის პანტელეიმონის სახელზე ლამისთვეა ჩაბარდა, ხოლო მეორე დღეს გადაიხადეს პარაკლისი და წაიკითხეს აკათისტო. ამ დღიდან ბერის ავადმყოფობა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში აწუხებდა და არაფითარ სამედიცინო მკურნალობას არ ექვემდებარებოდა, შეწყდა.

ზაფხულის დადგომისთანავე ბერმა ისევ განაახლა სიარული თავის ტყის სენაკში. ხშირად სტუმრობდა იქაურობას თავისი მწერალი მამა კლიმენტი სკვერცოლში. ის თავისუფალ დროს რომელიღაც წმინდა მამის წიგნით ხელში ლერწმის ჯოხზე დაყრდნობილი, რომელიც იშლებოდა და სკამის მაგიერობას წევდა, სეირნობდა ტყეში. სიარულისაგან დაღლილი დაჯდებოდა ხის ტოტების ქვეშ თავის ხელოვნურ სკამზე და წიგნის კითხვით ერთობოდა. ამასობაში მამა ამბროსი მისულებთან შრომობდა, რომლებმაც ძალიან მოუხშირეს აგარაკზე სიარულს. ასე გამოცოცხლდა ეს უკაცრიელი ადგილი. ამ სიცოცხლის შემქერე მამა კლიმენტი აღტაცებით იმეორებდა: აქვაყდა ასე უდაბნო, ვითარცა შრომანი.

---

[103] მიღებულ ცნობებზე თხრობის პირველი ნაწილი ზეპირი გადმოცემაა, ხოლო მეორე ნაწილი სკიტის მატიანიდანაა აღებული.

[104] ეს ხატი ამჟამად სკიტის წინამორბედის ტაძარშია დაბრძანებული, კარგ წითელი ხის კიოტში, მარცხენა მხარეს.

მაგრამ რამდენადაც ეს ყველაფერი ანუგეშებდა ბერსაც და მომსვლელსაც, იმდენად, შეიძლება ითქვას, მათი საერთო განსაცდელის მიზეზიც იყო. ამ ზაფხულს მრევლთან დაუღალავი შრომით ბერი ისევ ავად გახდა. 8 აგვისტოს მას ისევ გაეხსნა ჰემარიოიდული (ბუასილი) სისხლდენა, რომელიც მთელი თვე გრძელდებოდა. ავადმყოფობაში მამა ამბროსი უბირატესობას სულიერ მკურნალობას ანიჭებდა, ხელცივი დეკოლოფლის ყოველდღიურად ღვთისმშობლის შეწევნით. 17 აგვისტოს მის სენაკში მოაბრძანეს თაყისი მონასტრიდან კალუჟნის ღვთისმშობლის ხატი და აღაყლინეს პარაკლისი აკათისტოსთან ერთად, ხოლო 18 რიცხვში ბერს კახელებმა სამოუტანეს ასტირიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი და ისევ პარაკლისი და აკათისტო გადახადეს. ბოლოს 30 აგვისტოს მეშჩევსკის გეორგიევსკის მონასტრიდან სამოაბრძანეს „განსაცდელში მყოფთა მანუგეშებელი“ ღვთისმშობლის ხატი და ყველა გულშემატკივარი გულისხმიერად ლოცულობდა ბერთან ერთად მის გამოჯანმრთელებაზე. 10 სექტემბრისთვის ტკივილები შეუწყდა. აი, ასე წერდა შემდგომში თეოთონ მამა ამბროსი ტომსკის ეპისკოპოსს პეტრეს[105]: „ჩემი ჯანმრთელობა ახლა აღრინდელზე უკეთესად არაა. ზაფხულში, განვლილი წლების მსგავსად, რამდენჯერმე წავედი ჩემ მიერ სამოცდაათ წელს აშენებულ სანაფხულო სენაკში. მიუხედავად იმისა, რომ იქ დილის და საღამოს ჟამნებზე თავისუფლება მქონდა მომსვლელებისგან, სხვა დროს ისინი ისე მაძიძებდნენ, რომ ზაფხულის ბოლოს ძალა დაეკარგე და აგვისტოში ისევ ავად გავხდი: გამეხსნა ჰემარიოიდალური სისხლდენა, რომელიც მთელი თვე გრძელდებოდა. შემდეგ, ღვთის წყალობით, ცოტათი გამოვკეთდი, მაგრამ ამ ავადმყოფობის მერე შეღარებით სუსტი გავხდი“. ნამდვილად, მამა ამბროსი, როგორც აღნიშნული იქნა, ძალიან უძლურად იყო მძიმე დაავადების გამო. ექიმებმა აუკრძალეს

[105] 60-იანი წლების ბოლოს უფის ეპისკოპოსი იყო, შემდეგ ტომსკის. სიცოცხლის ბოლო წლებში მოსკოვის ნოვოპასხის სტავროპეგიალური მონასტრის წინამძღვარი გახლდათ, სადაც გარდაიცვალა 1889 წლის 27 მაისს (სააკლ. ცნობ. 1889. 23). ის მამა ამბროსს კარგად იცნობდა, იმიტომ რომ, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში, თავისუფალ დროს როდესაც ლექციები არ ჰქონდათ, ის ჩამოდიოდა ოპტინის მონასტერში და დადიოდა იქაურებთან ერთად სათიბზე.

მომსვლელთა მიღება, ვინც არ უნდა ყოფილიყო და რა აუცილებლობითაც არ უნდა მისულიყვნენ მასთან: რადგან თვითონ ბერი, მაცხოვრის მცნების შესაბამისად დადებდა საკუთარ სულს მოყვასისთვის და იმისათვის, რომ ქრისტიანთა ყველასთვის ბერის უკიდურესი მდგომარეობა და შეწუხებული მის კარებზე მომსვლელთა კაკუნი, მათ გააკეთეს კარებზე წარწერა: „ექიმები უკრძალავენ ბერს ხალხის მიღებას“. შემდეგ იყო ექიმების ხელმოწერა: „ოვსიანნიკოვი და ბაზალეევი“. მალე რაღაც აუცილებელი საქმის გამო ბერთან მოვიდა საეკლესიო წინამძღვარი იღუმენი ისააკი, მაგრამ ისიც არ შეუშვეს. მან წაიკითხა წარწერა კარებზე და მწარე ღიმილით ჩაილაპარაკა: „ჰმ! მტრები ექიმების მაგივრად უკრძალავენ ბერს მიღებას“, – და დაუყოვნებლივ წავიდა.

იმ წლის ბოლოს, დეკემბერში, ბერს ისევ მოაკითხა საშინელმა ავადმყოფობამ, რის შესაწყალებლადაც, თავისი ანგელოზის დღეს 7 დეკემბერს, მან სტუმრებიც ვერ მიიღო და მამა კლიმენტის სენაკში გაუშალეს სუფრა. მაგრამ ღიდება და მადლობა გულმოწყალე ღმერთს, მამა ამბროსი ამჯერადაც მაინცდამაინც ისე ხანგრძლივად არ წვალობდა, როგორც ადრე.

მიუხედავად ამ აღწერილი პერიოდის განმავლობაში სკიტის მმართველი მამა ილარიონი მამა ამბროსის გამოჩენილი თანამშრომელი იყო ბერულ საქმეში. მაგრამ 1879 წლის 18 სექტემბერს ეს მოძღვარი და სულიერი ექიმი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მშვიდად წარდგა ღვთის წინაშე. ამის შესაწყალებლად ავადმყოფ ბერს, მამა ამბროსის დაემატა ტვირთი, რადგან მამა ილარიონის სოგიერთი სულიერი შვილი მისი გარდაცვალების მერე მოვიდნენ მამა ამბროსისთან. გარდა ამისა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, საჭირო იყო მამა ილარიონის მწუხარე სულიერი შვილების ნუგეშისცემა, რომლებმაც სულიერი მამა და მოძღვარი დაკარგეს. მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილის ადგილას მოვიდა სხვა მღვდელ-მონაზონი – მამა ანატოლი (ზერცალოვი), იგი გახდა კიდეც სკიტის უფროსი, მაგრამ ამ მძიმე თანამდებობის მიღების შედეგად მას თვითონ სჭირდებოდა მამა ამბროსის ხელმძღვანელობა, ზოგჯერ გამხნევება და ნუგეშიც. გარდა ამისა, საჭირო იყო არცთუ მცირე დრო იმისათვის, რომ

შეჩვეულიყვნენ ახალ მოძღვარს ისინი, ვინც მოინდომებდა ჰქონოდა მასთან სულიერი ურთიერთობა.

ამრიგად, მამა ილარიონის გარდაცვალებამდე, როგორც ეხედავთ, ბერი ამბროსი მზიმედ ამაღმყოფობდა, რამაც იმდენად დააუძლურა, რომ მას დიდხანს არ შეეძლო სენაკიდან სენაკში თვითონ გადასულიყო, არამედ სხვებს გადაჰყავდათ ხელმოკიდებული.

ეს ყველაფერი, როგორც იტყვიან, ყველას დასანახად, გარეგნულად ხდებოდა. მაგრამ რას გრძნობდა ბერი შინაგანად, ეს სათქმელადაც ძნელია. ერთხელ საერთო კურთხევისას მან აუხსნა მოსულებს, რომ მთელი ღამე არ ეძინა. ყველამ დაუწყო კითხვა, რისგან და როგორ. ბერმა კი უთხრა: „აი ყველას შეუძლია თავის დაავადებებზე ილაპარაკოს. მე კი არ ვამბობ: დაიწყება ღრტყინება, ცრემლები; ამიტომ, სოგჟერ რომ ვთქვა, მხოლოდ ნაწილს ვიტყვი: ყველაფერი რომ იცოდეთ, რას ვგრძნობ... სოგჟერ ისე მომიჭერს, რომ ეჟიქრობ, – აი დადგა აღსასრული“. სხვა დროს კი თქვა: „მუდამ ვმალავდი ჩემს ავადმყოფობას, ახლა კი უნდა ვთქვა, შეიძლება გამიადვილდეს.“

VIII თავი

მღვდელ-მონაზონი ამბროსის ბერული მოღვაწეობის საერთო სახე (მისი გარეგნული ვითარება და აღთქმითი ცხოვრება)

„სიყვლისა სძლეა აღძრულ-არს, ლტოლვათა ცოდვისათა საშინლად დათქმის მე და მოყვასტი შერყა, ნაეთ-საკუდელისა, და ესრეთ გაღაღადებ, დანთქმისაგან მიხსენ მე მრავალ-მოწყალე.“[106]

ბერი ამბროსის ყოფა ძალიან ჩვეულებრივი იყო. მას პატარა კორპუსი, როგორც ყველა იყო აღნიშნული, სკიტის შესასვლელთან, მარჯვენა მხარეს, წმინდა კარებთან ჰქონდა დაკავებული, რომელიც სამრეკლოს ქვეშ მდებარეობდა. კორპუსი არაფრით განსხვავდებოდა სხვა სახლებისაგან, პირიქით, ზოგიერთთან შედარებით პატარაც კი იყო. სკიტის შიგნით ცენტრალური კარით პატარა დერეფანში იყო შესასვლელი, სადაც ორივე მხარეს უბრალო სკამები იყო ჩამწკრივებული ბერებისა და მხოლოდ მამრობითი სქესის საერო მრევლისთვის. მარჯვნივ პირველი კარი მისაღებ სენაკში შედიოდა, სადაც ბერი საპატიო პირებთან ურთიერთობდა, ამ სენაკს ასეც ეწოდებოდა „საპატიო ადგილი“. ამ სენაკის წინა კუთხე წმინდა ხატებით იყო დაკავებული. კედლებზე რამდენიმე სურათი ეკიდა, რომელთა შორისაც ხელმწიფე – იმპერატორ ალექსანდრე მეორის, აგრეთვე მოსკოველი მიტროპოლიტების – ფილარეტისა და ინოკენტის, ფილარეტი, არსენი და იოანიკე კიეველების, კალუგის იერარქების – (მღვდელმთავრების) გრიგოლი II-ის, ელადიმერისა და ანასტასის, მოლდაველი ბერის პაისი ველიჩკოველის და სხვა ოპტინელი და არაოპტინელი სულიერი ბერების პორტრეტებს შენიშნავდით. აქვე იყო საკარძელი, სკამები, მაგიდა და წიგნების თარო სასულიერო წიგნებით, რათა მოსულებს ბერის ლოდინის დროს შეძლებოდათ კითხვა. ამ სენაკში განსაკუთრებული სისუფთავე შეინიშნებოდა. მისაღების გვერდით მომსახურე მამა

---

[106] კვირის სალისპირი მე-6 ხმისა.

მიხეილის პატარა სენაკი იყო, მისაღების პირდაპირ — მამა ამბროსის, რომელიც ყოველთვის რაზით იყო დაკეტილი და იღებოდა მხოლოდ ღამისთევის ან ზოგიერთ განსაკუთრებული შემთხვევის დროს. ბერის სენაკს შესასვლელში პატარა წინკარი ჰქონდა, სადაც მისი უბრალო, ზოგი დაკერებული სამოსი: ორი თბილი კაბა, ორი საზაფხულო კაბა, მდაბიური კაბა და ანაფორა იყო ჩამოკიდებული. აქვე ინახებოდა მისი მანტია კაბა და ბარტყელი. კარს ზემოთ, თაროზე საღმრთისმსახურო და სხვა წიგნები იდო. იქვე კუთხეში, თაროზე, წამლების ბოთლები იყო განლაგებული. თვითონ ბერის სენაკის კედლები მთლიანად ხატებითა და სასულიერო პირების პორტრეტებით იყო დაფარული. მათი უმრავლესობა თაყვანისმცემლების მიერ იყო საჩუქრად მოტანილი. ხატებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა: ა) ღვთისმშობლის პატარა ხატი, „ტამბოვის“ ხატად წოდებული, რომელიც ბერს მშობლებმა აჩუქეს. მის წინ მუდმივად ჩაუმქრალი კანდელი ენთო. ბ) ღვთისმშობლის ხატი „მსწრაფლშემსმენელი“, რომელიც ბერს მოსკოვის ათონის მთის სამლოცველოდან გამოუგზავნეს, სადაც ეს ხატი, როგორც ამბობენ, ოცდაათიოდე წლის განმავლობაში ინახებოდა; გ) ზემოთხსენებული წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის დიდი ხატი, მის წინაშეც მუდმივად ენთო კანდელი, დ) დიდი სურათი ტილოზე ღირსი ანტონი და თეოდოსი პეჩორელებისა, რომელთა შორისაც ოდნავ მაღლა ღვთისმშობლის გამოსახულებაა გაშლილი ხელებით, ხოლო დაბლა ეკლესია. ეს ხატი იდგა ბერი ამბროსის ლოგინის თავზე, მის თავთან (ის ახლაც დგას იმავე ადგილას). ე) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მხატვრული ნამუშევარი. ორივე სკუფიაში პორტრეტებს შუა ორი ფილატერის — მოსკოვისა და კიევის მიტროპოლიტების — პორტრეტების ხილვა შეიძლებოდა. აქვე ეკიდა ტროეკუროვოს დაყუდებული ილარიონის პორტრეტი, ეპისკოპოს თეოფანე დაყუდებულის, დეკანოზ თეოდორე ალექსანდრე ძე გოლუბინსკის, კრონშტადტელი დეკანოზ მამა იოანე ილიას ძე სერგიევის, ოპტინელი ბერების — ლევისა და მაკარისა, არქიმანდრიტ მოსესა და მისი ძმის იღუმენ ანტონის და მრავალი სხვა შესანიშნავი სასულიერო პირის პორტრეტები.

აღმოსავლეთის კედელთან მწერლის არცთუ ისე დიდი მაგიდა იდგა, სადაც მწერალს ბერის კარნახით წერილები უნდა დაეწერა. წმინდა კუთხეში კარადის მაგვარი ანალოღია იდგა, სადაც ფსალმუნნი და კანონების შესრულებისას წასაკითხი საჭირო წიგნები იდო. სამხრეთის კედლის გასწვრივ იდგა მეორე მაგიდა, რომელსაც სოგიერთი ხატი იყო დაბრძანებული, იქვე – სასანთლეები ცვილის სანთლით და რამდენიმე სასულიერო წიგნი. დასავლეთის კედლის გასწვრივ იდგა ლოგინი, სადაც მამა ამბროსი თავის მრავალტანჯულ სხეულს ასვენებდა. ლოგინის უკან იდგა ღუმელი, რომელიც სამოარში მთლიანად წინდებითა და პერანგებით იყო შემოფენილი. ჩრდილოეთისკენ მიდგმული კარადა წმინდა მამების მიერ შექმნილი სასულიერო-სნეობრიეი წიგნებით იყო სავსე. კარადასა და ღუმელს შორის გაჭრილი კარის შემდეგ სამოთხი სკამი და ორი ძველებური საკარიჭილი იდგა საპატიცემულო სტუმრებისათვის. ბერის სენაკის გეერდით მეორე მომსახურის, მამა იოსების, სენაკი იყო, ისიც სულ ხატებითა და პორტრეტებითაა მორთული. ამ სენაკზე მიეშენებინათ პატარა სამსარეულო, სადაც ბერისთვის საკვებს ამზადებდნენ და იქვე იყო მოთავსებული მორჩილი მზარეული. შესასვლელი კარის პირდაპირ მთელი დერეფნის გავლით გადიოდა კარი მინაშენში, სადაც მანდილოსნებს იღებდნენ. ის შედგებოდა რამდენიმე ოთახისა და დერეფნისაგან, რომლის ბოლოც გადიოდა ქუჩაში. აქაც ხატების სიმრავლეს შეამჩნევდით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ათონის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც „ღირს არსი“ ეწოდება, ასევე მრავალი სასულიერო პირის პორტრეტი. მინაშენის გვერდით იყო საკუჭნაო ადგილი წიგნებისა და სხვა ნივთების შესანახად. ამგვარად იყო მოწყობილი მამა ამბროსის სენაკი. ახლა შევხედოთ მის მოღვაწეობას.

ერთხელ, მძიმე ავადმყოფობისას, მან მიმანიშნებელი სიზმარი ნახა. „მეგონა, – ასე უამბობდა ბერი მის ახლობელ სულიერ შვილებს, ბერებს ანტონსა და კლიმენტის, – თითქოს ჩემს სენაკში ვიმყოფები. შემოდის ჩემთან ვიღაც კაცი დიდებული სახით და ხელმწიფებრივად მიბრძანა გავყოლოდი მას. გამოვედი სენაკიდან. ქარბუქიანი ბნელი ღამეა, თითქოს ჩემს წინ სღება ან დიდი ტბა ღელავს. ნაპირზე ნავია,

რომელშიც მუნიბეები სხედან, მაგრამ სიბნელეში მათი გარჩევა შეუძლებელია. ჩემი წინამძღოლის სურვილის მიხედვით ჩავჯექი ნავში და წყალში შევცურეთ. არეული ტალღები ბუმბულივით ათამაშებენ ნავს. მე ძალიან მეშინოდა სიკვდილისა, მაგრამ აი, შორს, პირგახსნილი უფსკრულის მიღმა, გაურკვეველ სიბნელეში, მოშენებულა არაჩვეულებრივი სინათლე და დავინახე ისეთი საკვირველი სილამაზის ქალაქი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს. მას მიეჯაჭვა მთელი ჩემი ყურადღება. ზღვა, ტალღები, ქარიშხალი – ყველაფერი დამავიწყდა; და მე ვიყავი რალაც ტკბილ სიმთვრალეში მანამდე, სანამ ნავმა არ მიაღწია მეორე ნაპირს. ნავის ნაპირზე შეხებამ გამომიყვანა თავდავიწყებიდან. ნაპირზე გამოსული ჩემი წინამძღოლის მითითებით შევედი რომელიღაც სახლში, სადაც ჩემთვის უცნობი ორი კაცი იმყოფებოდა. ერთმა, მიიღო ჩემგან კურთხევა, განაცხადა, რომ არის ჩვენთის მთავარი ეიაჩესლავი, მეორე კი რუსი მთავრის, ბორის ვლადიმერის ძედ მიეჩნიე. მალევე გამეღვიძა".[107] ბერის მიერ ამ სიზმრის მოთხრობის შემდეგ მამა ანატოლი და მამა კლიმენტი თრთოლვით ხვდებოდნენ წმინდა მთავრების ეიაჩესლავისა და ბორისის[108] ხსენების დღეს, ფიქრობდნენ, რომ რომელიმე ამ დღეს მამა ამბროსი გარდაიცვლებოდა. თუმცა ეს შიში არ გამართლდა.

რას ნიშნავდა ბერი ამბროსის ეს საიდუმლო სიზმარი? ეტყობა, ამით გამოიხატა მთელი მისი ბერული მოღვაწეობა. ღღე მისთვის ლოცვით იწყებოდა. მომსახურებები თავის დროზე რიგრიგობით კითხულობდნენ სკიტის კანონებს,ხოლო ბერი ისმენდა ან ლოგინზე მდგარი, რომელზეც წვებოდა დასასვენებლად, ან უმეტესად, უძლურების გამო, იჯდა მისთვის მოწყობილ დასაჯდომელზე, ღუმელისკენ ზურგით, რომელსაც ეხებოდა მისი ლოგინის უკანა მხარე. როცა ავად იყო, კითხვისას იწვა, ხოლო კანონებს მაინც არასოდეს გამოტოვებდა. დილის კანონის მოსასმენად დილის ოთხ

---

[107] ბერი ამბროსის ამ სიზმარს ჰყვებოდა სკიტის მმართველი სქემოსანი მღვდელმონაზონი ანატოლი.

[108] ჩვენთის მთავრის, წმინდა ეიაჩესლავის ხსენებას ეკლესია ზეიმობს ორჯერ წელიწადში – 28 სექტემბერს და 4 მარტს, ხოლო წმინდა ბორისისას – 24 იულისს.

საათზე დგებოდა, რეკდა ზარს, რომლის ხმაზეც მოდიოდნენ მასთან მოიმსახურეები და კითხულობდნენ დილის ლოცვებს, თორმეტ ამოირჩეულ ფსალმუნთა და პირველ ჟამნს. მოკლე შესვენების შემდეგ ბერი ისმენდა მესამე და მეექვსე ჟამნებს და დღის მიხედვით კანონს მაცხოვრის ან ღვთისმშობლის დაუჯდომელთან ერთად. ასეთ დაუჯდომელებს ის ყოველთვის ფეხზე დგომით ისმენდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონები დაუჯდომელთან ერთად, სკიტის კანონით, უნდა წაკითხულიყო საერთო საძმო სენაკში მწუხრისას, მაგრამ რადგან ამ დროს ბერს განსაკუთრებულად ბევრი ხალხი ჰყავდა მისაღები და მას დრო არ ჰქონდა ჩაეტარებინა მწუხრი თავის შინამომსახურეებითურთ, ამიტომ ის ყოველნაირად ცდილობდა ყოველდღიურად დილით გამოუტოვებლად მოესმინა ისინი. კითხულობდნენ მკაფიოდ, გასაგებად. თავად ბერი ამბრიოსის სიტყვით, მას ყოველთვის კარგი კითხვის მოსმენა უყვარდა და სხვებსაც აჩვევდა ამას. კანონების შესრულებას დიდი დრო ესაჭიროებოდა და შესვენებით აღესრულებოდა. დილის კანონის ნახევრის მოსმენის შემდეგ ის იგრძნობდა თუ არა სისუსტეს, გაუშვებდა მკითხველებს, ოდნავ დასვენებული ისევ დაუახლებდა და დაასრულებდა მოსმენას. ასევე ხდებოდა ჟამნობის დროსაც. შეიძლება სხვა, უფრო აუცილებელი მიზეზები აიძულებდა ბერს კითხვისას შეესვენათ. განმარტოებულად უხმო ლოცვის ყარჯინში, სწორედ ესაა უფრო სავარაუდო და დამაჯერებელიც.

დაწესებული ლოცვების მოსმენის შემდეგ ბერი პირის ბანვას იწყებდა. რომელიმე შინამომსახურე მისი ლოგინის გვერდით,სკამზე სპილენძის ტაშტს დგამდა და დიდი ჩაიდნიდან ასხამდა ხელზე ოდნავ თბილ წყალს, ის კი, მუხლებზე მდგარი, ყოველთვის უსაპნოდ იბანდა და შემდეგ იმშრალებდა. ამ დროს შინამომსახურეების მხრიდან იწყებოდა შეკითხვები: „მამაო! აი ის ასეთ მდგომარეობაში იმყოფება, რის გასაკეთებლად აკურთხებთ მას? ან, აი ის ითხოვს კურთხევას ასეთ საქმეზე. აკურთხებთ თუ არა?“ და სხვა. ბერი თავის საქმესაც აკეთებდა და კითხვებზეც პასუხობდა. აქ ნახსენებია ისიც, რომ ის არასოდეს იბანდა აბანოში, რადგან ექიმ ბაბუშკინის რჩევით წელიწადში მხოლოდ ერთხელ ბანაობდა. იშვიათად იბანდა

თავს თბილი წყლით. დაბანეის მერე სვამდა ჩაის და ამ შუალედში კარნახობდა მწერალს დაწერა წერილები. ამის შემდეგ გამოდიოდა მომსვლელებთან (მრევლთან) და საღამომდე მოძღვრაედა მათ.

თუმცა, ასე იყო სამოცდაათიან წლებამდე, მაშინ ბერს მეტი ძალა ჰქონდა. ამის შემდეგ, ყოველწლიურად იზრდებოდა მისი მრევლი და გადაღლილობის გამო, დილის კანონებზე უფრო გვიან, ხუთ საათზე დგებოდა. მოისმენდა ჟამნებს, კანონებს, დაუჯდომელს, რომლის დროსაც ხანმოკლე დასვენებისათვის ხშირად მიწვებოდა ლოგინზე. ზოგჯერ ასეც ხდებოდა, რომ შინამომსახურეები გააღვიძებდნენ მას და ძალით ააყენებდნენ. ის კი ზოგჯერ ჩაიბუტბუტებდა: „ოხ! ყველაფერი მტკივა“... სამთარში ხშირად ციყდებოდა, ადგებოდა შეშუპებული სახით, ციებ-ცხელებით შესიებული ან რევმატიზმით შეწუხებული. დაიბანდა, დაიწყებდა სხეულის მასაჟს სპირტით ან რომელიმე მალამოთი. შინამომსახურეები მაინც ეკითხებოდნენ, ხოლო ბერი ძლივს გასაგონი ხმით პასუხობდა. ამასთან ერთად იწყებდა ბერი ტანსაცმლისა და წინდების გამოცვლას, რომელიც დღის განმავლობაში რამდენჯერმე მეორდებოდა. თავისი უძლურების შესახებ არაერთხელ წერდა ის ახლობელ ადამიანებს შემდეგნაირად: „ჩემზე გეტყვი, რომ დილაობით ღიდ სიმძიმეს ვგრძნობ. თითქოს რამდენიმე ფუთი მაქვს ჩამოკიდებული“.[109] ანდა: „ამ დღეებში ჩვეულებრივზე უფრო გამიჭირდა. მომსვლელებთან ურთიერთობისას ოფლიანობით გაეცივეე სახე. გაცივება გადაეიდა დაავადებულ შიგნეულობაზე და გადამექცა კუჭის ციებ-ცხელებად და ჯერ კიდევ არ მომირჩა“.[110] ანდა ასე: „სისუსტე და ავადმყოფობა გამიძლიერდა, სამოსის გამოცვლა გამისამკცდა. სიცხეს და სიცივეს ერთნაირად ვერ ვიტან. მხოლოდ ჩვიდმეტი გრადუსია ნორმალური, მეტიც და ნაკლებიც ცუდად მოქმედებს. უნდა მოვახერხო ერთი და იმავე გრადუსის დაცვა, მუდმივად მოდიან ადამიანები და თავისი უაზრო სწავლებით უმატებენ სიცხეს“.[111]

---

[109] „ № სასოგადოების წინამძღვრის წერილიდან. კრებული, მოსკოვი, 1895 წ., გვ. 26.

[110] „სულისსარგებელი საკითხაეები“. იანვარი, 1895 წ., გვ. 79.

[111] რომელიღაც დედათა მონასტრის წინამძღვრისადმი მიწერილი წერილი 1884 წ. 8 მარტს. „სულისსახსენებელი საკითხაეები “, 1895 წ., აპრილი, გვ. 671.

პირისპირის, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ჩაის სმა მიჩვეულებოდა. ბერი, როგორც ლოგინიდან გამოუსვლელად იბანდა, ასევე იქვე სურგით ბალიშს მიერდნობილი ჯდებოდა ჩაის დასალევად, ფეხები აღმოსავლურად ჰქონდა მოხრილი. შინამომსახურე მიართმევდა ლანგარზე სავარაუდოდ, პატარა ჭიქით კაკაოს და ფრანგული ფუნთუშის მომცრო ნაჭერს, რომელსაც ჯანმრთელი ადამიანი ერთ ლუკმად შეისანსლავდა. შემდგომში კაკაო შეიცვალა ურძო ყაყით. ბერი დაიღვიძებდა ლანგარს მეხლებზე და იწყებდა ჭამას. ამ დროს, მისგან შორიახლოს, საწერ მაგიდასთან უნდა მჯდარიყო რომელიმე მისი „მწერალი". სანამ მამა კლიმენტი ზედერგოლმი ცოცხალი იყო, ის ამ საქმეში თითქმის შეუცვლელი გახლდათ. ბერი თან ჭამდა და ამავდროულად კარნახობდა ვინმესთვის საჭირო წერილს. კაკაოს მერე მას მიართმევდნენ კიდევ ორ ასეულ პატარა ჭიქა არცთუ ისე მაგარ ჩაის. მიუხედავად თავისი ავადმყოფობისა, ბერს ჰქონდა ჩვეული, ოდნავ ტკბილი ჩაი დაელია. მას განსაკუთრებული ბრიოლის პატარა ლამბაქით მიართმევდნენ წერილად დატეხილ შაქრის ნატეხებს, რომლითაც ის აყსებდა სიტკბოს ზომარისობას. უნდა აღინიშნოს, რომ ოპტინის სკიტში, ბერების გადმოცემის შედეგად დამყარდა ჩვეულებად, ყველა ოპტინელ ბერს დაესმია ჩაი დილას და სალამოს არა უმეტეს სამი ჭიქისა. ბერი ამბროსი მტკიცედ იცავდა ამ წესს, მაგრამ ზოგჯერ წერილის კარნახისას დაავიწყდებოდა რამდენი ჭიქა დალია, მხოლოდ მოამზენებდა ყველას, რომ დაავიწყდა. შეეკითხებოდა შინამომსახურეს: „რამდენი დავლიე?" უპასუხებდნენ სამით. – „ჭეკი ორი". – დაუწყებდა კამათს ბერი მომსახურეს. „მაშინ კიდევ დაგისხამთ", – ეტყოდა მომსახურე. – „არა, გამომართვი, შენ სულ გააჟრინე". – დაასკვნიდა ბერი. ამას ყველაფერს ის აკეთებდა სნეობრივი მიზნით, რათა მის მოწაფეებს, მასწავლებლის მაგალითის შემყურეთ, დაეკვათ ბერული კანონები. დილის ჩაის შემდგომ, კუჭის ავადმყოფობის გამო, ბერს ეწყებოდა ბოყინი, მიღებულ საკვებთან ერთად მსუბუქი პირღებინების მსგავსი, ასე რომ, რასაც ჭამდა და სვამდა, მალე ყველაფერი უკან ამოსდიოდა.

სანამ ბერი წერილებს კარნახობდა, ნელ-ნელა მოდიოდნენ მის

საცხოვრებელთან სკიტის მხრიდან მამაკაცები, ხოლო გარეუდან – მანდილოსნები. იგი ვერც კი ასწრებდა საჭირო წერილის დამთავრებას, რომ ხალხი კარებზე კაკუნსა და მის სენაკში გარეუდან შემოყვანილი ზანზალაკის რეკვას იწყებდა. გამოვიდოდა მომსახურე, მას სთხოვდნენ, რომ მათ შესახებ მოეხსენებინათ. ის ჩვეულებრივ პასუხობდა: „ბერი დაკავებულია“. მალე ისევ იწყებოდა მოუთმენელი ხალხის მხრიდან კაკუნი და რეკვა. ისევ იგივე თხოვნა და ისევ იგივე პასუხი. რაც დრო გადიოდა, მომსვლელების მოუთმენლობა იზრდებოდა და დრტვინვამდე მიდიოდა. კაკუნი და რეკვა უფრო და უფრო ხშირად მეორდებოდა. გამოსულ მომსახურეს უკვე ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ეუბნებოდნენ: „რატომ არ მოახსენებთ?“ ან „თქვენ არ გინდათ, რომ მოახსენოთ“ და მისთანანი. „მინაშენი“ საერო მანდილოსნებითა და სხვადასხვა მონასტრებიდან ჩამოსული მონაზონი ქალებით გაიჭედებოდა. ზოგი ამბობდა: „მე უკვე აქ ვცხოვრობ და დავდივარ ბერის სანახავად მთელი კვირა, მაგრამ ვერაფერით მოვხვდი მასთან“; სხვა კი ამბობს: „მე კი – ორი“. გამოვა თუ არა მათთან მომსახურე, ასი ხმა ერთად შესძახებს: „მოახსენეთ, მოახსენეთ“. მას სურს, ოდნავ მაინც დაამშვიდოს ისინი და ჰკითხავს: „თქვენზე რა მოვახსენო?“ ყოველი მაიცანი ეუბნება თუ სად ჩამოვიდა, მაგრამ სად დამახსოვრებდა ამ არეულობაში ის ყველას? თავისებურად მოახსენებდა მათზე მამა მიხეილი: მოვიდოდა ბერთან და ეუბნებოდა: „მამაო, მინაშენში გელოდებიან“. – „ვინ არის იქ?“ – ჰკითხავდა ბერი. – „მოსკოველი, ვიაზემსკელი, ტულელი, ბელევსკელი, კაშირელი და სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული ადამიანები“. – „უთხარი, დამელოდონ“. ისევ გამოვიდოდა. „მოახსენეთ?“ – შეეკითხებოდნენ. – „მოვახსენე“. – „მერე რაო?“ – „მიცდა ბრძანა“. – „თქვენ, ალბათ, არ მოახსენეთ“. ზოგიერთები ასე სულმოკლეობდნენ და ბუზღუნებდნენ თვით ბერზეც იმიტომ, რომ დიდი ხნის განმავლობაში უწევდათ ლოდინი. ფიქრობდნენ, რომ მას არ უნდოდა მათი მიღება და ისინი ტყუილად კარგავენ ლოდინში დროს. ამასობაში სნეული ბერი ემზადებოდა მათთან შესახვედრად. გამოიცვლიდა ტანზე, თან რომელიმე ძმასაც ესაუბრებოდა, ან ერთს, ან რამდენიმეს ერთად, თუ საერთო სასაუბრო ჰქონდათ. ძმები თან

სამოსის გამოცვლაში ეხმარებოდნენ და თან ბერის მოძღვრებას ისმენდნენ. ხდიდნენ ჩექმებსა და დანესტიანებულ წინდებს, აძლევდნენ მშრალს და ასე იყო ყოველთვის. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება უკვე ათ საათზე, თუ უფრო გვიან არა, გამოდიოდა ღიდი ხნის მომლოდინე ხალხთან. გაიცლიდა ღერეფანს, სადაც მამაკაცები ელოდნენ. ზოგს გზადაგზა აკურთხებდა, ზოგს რამდენიმე სიტყვას ეტყოდა, განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში იღებდა მათ ცალკე და მუშაობდა მათთან რამდენიმე ხნის განმავლობაში. შემდეგ გადავიდოდა „მინაშენში“ და იქ უკვე დიდხანს რჩებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საქმეზე კი არ მოდიოდა ბერთან. ზოგიერთები მხოლოდ დროს ართმევდნენ და ამით ამხიბლებდნენ მას. ამიტომ ის იხსენებდა იღუმენ ანტონის სიტყვას, რომელიც ამბობდა: „ქრისტეს მოწაფეების განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ სიყვარული ჰქონდეთ ერთმანეთში, ხოლო სხვა მოწაფეების განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ მტრობა და შეუთანხმებლობა ჰქონდეთ ერთმანეთში“. და დაამატებდა: „აი, დადიოდნენ ჩემთან გოგოები ღიდი განსაცდელებით, ხოლო ეს განსაცდელები მხოლოდ იმად ღირს, რომ მათ შეაფურთხო და ფეხით გათელო“.[12] რის გამოც მამა ამბროსი ახლობლებთან მიწერილ წერილებში ჩიოდა ასეთ სიმსიმეებზე. მაგალითად: „სიბერე, სისუსტე, უძლურება, ბევრი მსრუნველობა, ბევრის მიყიწყება და ბევრი უაზრო, უშედეგო საუბრები არ მაძლევს გონს მოსვლის საშუალებას. ერთი ამბობს, რომ მას სუსტი თავი და ფეხები აქვს, მეორე ჩივის, რომ ბევრი განსაცდელია, სხვა კი მიხსნის, რომ ის მეტისმიერად დაბაბულია. შენ ქველაფერი მოისმინე და პასუხიც გაეცი, დემილით ვერ მოიშორებ, რადგან სწყინთ და თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. ტყუილად არ იმეორებენ ანდაზას: ალაპარაკე ავადმყოფი მკურნალთან. ავადმყოფმა უნდა აუხსნას თავისი მდგომარეობა, ხოლო ექიმს მოსწყინდა მოსმენა, მაგრამ უსმენს, რადგან არ სურს უფრო გაალიზიანოს ავადმყოფი“.[13] თუმცა ასე წერდა თავმდაბალი ბერი

[12] „სულისსარგებელი საკითხავები“. 1895 წლის მარტი, გვ. 445. ამას ამბობდა სქემახსენებული იღუმენი ანტონი, ოპტინის მონასტრის წინამძღვრის, მოსეს, ძმა.

[13] „სულისსარგებელი საკითხავები“. 1895 წლის აპრილი, გვ. 666.

თაყის განსაკუთრებით საკმე მდგომარეობაზე, მაგრამ შეძლებისდაგვარად ცდილობდა მიეღო ყველა, მომომენინიც და მცირეძღვნილებისაც; უკანასკნელნი ბერის საუბრის მოსმენის და ნუგეშის მერე ძალიან ნანობდნენ თაყის მოუმენლობას. სოგვერ ის მათ სახუმარო სიტყვებით ხვდებოდა: „ითმენდა ელისე, ითმენდა მოსე, ითმენდა ილია, ასევე მოვითმენ მეც“.

შეადღეც დადგა. უკვე თორმეტ საათზე მეტია – სადილის დროა. ის არ უშვებდა ხალხს, ისე შედიოდა მომიჯნავე სემოხსენებულ მამა იოსების სენაკში, სადაც პატარა სამზარეულო ჰქონდა და იქ, მაგიდასთან, ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში იღებდა მცირედ საკვებს, რომელიც შედგებოდა ორი კერძისაგან: ახალი თევზის უქონო უხა და კარტოფილის ფქვილისა და მოცხარის წვენისგან დამზადებული კისელი. ამას ემატებოდა თეთრი, ნოყიერი პური. თევზს კუჭის ტკივილის გამო არასოდეს ჭამდა, არც ახალს, არც დამარილებულს (მხოლოდ ჰოლანდიური ქაშაყის რამდენიმე ნაჭერი გამოირიცხებოდა), არც მოხარშულს, არც შემწვარს. საკვების მიღებისას ის ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, საეკლესიო წესით ეხელმძღვანელა. ამიტომ მარხვის დღეებში, როცა თევზი არ შეიძლებოდა, მას უმზადებდნენ უხის მაგივრად ფაჩლაყას ან კარტოფილის სუპს, რომელსაც ის განსაკუთრებულად დამზადებულ წიწიბურას ურევდა. ეს ყველაფერი შეკმაზული იყო მზესუმზირის ზეთით. უეჭველია, რომ არა შიგნეულობის ტკივილი, ბერი უსეთოს შეჭამდა ეკლესიის მიერ დაწესებულ მარხვის დღეებში.

ერთხელ მოუყიდა აზრად უსეთოდ მიეღო სამარხვო კერძები, მაგრამ ძალიან მძაფრი არ უნდა ყოფილიყო და ბრძანა, შეეკმაზათ ის ნიგვზით. შემთხვევით აქ ბერის ნაცნობი იღუმენია მოხვდა და მამაომაც იფიქრა მისთვის ემასპინძლა ამ ნაკლებარით. „ეს რა არის, მამაო? – თქვა მან. – ეს ამოიმარწყვეინებს“.

სამოციანი წლების დასაწყისში მიღებაწე ბერი, ხორციელი სისუსტის გამო, იძულებელს ხდიდა თავს, მიეღო კანაფის ზეთით დამზადებული საკვები. შემდეგ, როდესაც კუჭმა უარი თქვა ამ საჭმლის მიღებაზე, მაშინ დაუწყეს შინამომსახურეებმა ზემოთხსენებული სუპის დამზადება მზესუმზირის ზეთითა და კანაფის ზეთით.

დაბოლოს, უკვე ავადმყოფობის გაძლიერების გამო, მხოლოდ მსუსუქმხირის ხეთით. შემდეგ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა მისი შიგნეულობა, რომ ბერი ვეღარ ირჩენდა საკვებს. ამაზე თვითონ ასე წერდა: „მთელს ორგანიზმში ტკივილები სიცივისგან და უნებლიე შიმშილისაგანაა. ბეჯერი რამის ჭამა არ შეიძლება. სუსტი კუჭი და „ურჩი“ ნაწლავები ამის საშუალებას არ მაძლევენ. ძველი ჩვეულების მიხედვით, მე მაინც ვაიძულებ თავს, ვჭამო მოუხედავად იმისა, რომ შემდეგ დიდი სიმძიმის გადატანა მიწევს. პირღებინებისაგან თავი მტკივა. გარდა ამისა, მინაშენში ხალხი გაბეზრებული მიცდის ხოლმე დიდხანს. ასე ვცხოვრობ, დღეს დღეზე ვაგორებთ და უსამართლო მქვია მომსვლელთათვის. დამნაშავე კი ჩემი უძლურება და ღვთისა და ადამიანების წინაშე ჩემი გამოუსწორებლობაა“.[114] მიუხედავად ამისა, ბერი არასოდეს განიცდიდა თავის ავადმყოფობას, პირიქით, ყოველთვის სულიერად მხიარულ ხასიათზე იყო და ხშირად ხუმრობდა კიდეც. ერთხელ მას წაუკითხეს, თუ როგორ უმღერდა ერთი ოჯახის მამა თავის პატარას დასაძინებლად: „დრი-ტა-ტა, დრი-ტა-ტა, მისთხოვდა კატა კატას“. და აი, ერთხელ ავადმყოფ ბერს ვიღაცამ თანაგრძნობით მიმართა და უთხრა. „რაა, მამაო, კატა გაწუხებთ?“ მომღიმარმა ბერმა კი უპასუხა. „დიახ, ძმაო, დრი-ტა-ტა, დრი-ტა-ტა“.

ბერი იღებდა საკვებს არა უმეტეს სამი წლის ბავშვისა. მისი სადილი გრძელდებოდა ათი ან თხუთმეტი წუთი, რომლის განმავლობაშიც მომსახურეები მრავალ კითხვას უსვამდნენ სხვადასხვა პიროვნებაზე და პასუხსაც იღებდნენ. სოგჯერ იმისათვის, რომ ერთფეროვანი არ ყოფილიყო დრო და ამით შეება მიეცა მოღრუბლული თავისთვის, ბერი რომელიმე მათგანს უბრძანებდა სადილობისას რამე წაეკითხათ. უყვარდა ხოლმე, მაგალითად კრილოვის ერთი ან ორი იგავ-არაკის მოსმენა. ეს წიგნი თითქმის ყოველთვის მის გვერდით მომსახურის მაგიდაზე ედო. ვიღაცამ მოუტანა როგორღაც ვინმე ბატონის თხზულება რუსეთის მონასტრებზე, სადაც, სამწუხაროდ, პატივცემული ავტორი სიბინძურის

[114] “სულისსარგებელი საკითხავები“. 1895 წლის მარტი, გვ. 449.

მეტს ვერაფერს ამჩნევდა. ბერმა მოწყენილი სერიოზული სახის გამომეტყველებით მოისმინა ეს თხზულება და არანაირი აზრი ამის თაობაზე არ გამოთქვა.

სადილის შემდეგ ბერი, თუ სუსტად იყო, იქვე, ლოგინზე მწოლი, იღებდა ვისაც უფრო სჭირდებოდა ან იღებდა ყველას ერთად საერთო კურთხევას, ჯერ მამაკაცებს, შემდეგ ქალებს. გაიცვლებოდა სენაკი. ამ საერთო მიღებაზე ბერი შეაგონებდა სხარტი სიტყვით, ხშირად ანდაზებით იმათ, ვინც ამას საჭიროებდა. ან ჰკვებოდა ისეთ რამეს, რაც პასუხს აძლევდა ვინმე იქ მყოფის დაფარულ აზრს. ზოგჯერ რომელიმე მანდილოსანთაგანს დააძალებდა კრილოვის იგავ-არაკის წაკითხვას, შემდეგ ხუმრობით იტყოდა რამდენიმე სამოძღვრო სიტყვას, ბოლოს აკურთხებდა ყველას და წაიღოდა თავის სენაკში. უკან ასობით ხმა მისდევდა: „მამაო! მამაო! მე ერთი სიტყვის თქმა მინდა, მე ორის". მაგრამ დაღლილი, ავადმყოფი ბერი ძლივძლივობით, მომსახურეების დახმარებით გაჭრელებოდა ბრბოში, შეკიდოდა თავის სენაკში და შიგნიდან კაუჭით ჩაკეტავდა, რომ იქაც არ შეეცვნილიყო ხალხი. მომსახურეებს კი ძალაუნებურად ყველა გარეთ გაჰყავდათ.

თუ სადილის მერე საკმარისი ძალა გააჩნდა, მაშინ ბერი „მინაშენში" გადიოდა საერთო კურთხევაზე. წინასწარ მომსახურე გამოჰნდებოდა და ყველა ფანჯარას დაკეტავდა, რომ გამჭოლი ქარი არ ყოფილიყო. ვინც იჯდა, ყველა დგებოდა ადგილიდან, ჩამწკრიედებოდნენ ორიენ მხარეს და ტოვებდნენ მცირე ადგილს, რომ მამას გაეცლო. ბოლოს და ბოლოს კარი იღებოდა და ზღურბლზე გამოჰნდებოდა თეთრ კაბაში შემოსილი ბერი, რომლის ზემოთაც, ზამთარ-საფხულ მსუბუქბეწვიან ანაფორას ატარებდა და ბამბის ქუდი ესურა. გარეთ გამოსვლისთანავე ჩერდებოდა კიბის საფეხურზე, იღოცებდა იქ დაბრძანებულ ღვთისმშობლის „ღირს არს"-ის ხატთან და გაიელვიდა. ყურადღებით ათვალიერებდა კურთხევის მთხოვნელებს და ჯვარს გადასახავდა ყველას. ბრბოდან ისმოდა კითხვები, რომლებსაც ის უბრალო და ბრძნულ პასუხს აძლევდა. ზოგჯერ ბერი დაჯდებოდა და მაშინ ყველა დამსწრე დგებოდა მუხლებზე მის ირგვლივ. დიდი ყურადღებით უსმენდნენ მის საუბარს, რომელიც ყოველთვის

შეიცავდა სასარგებლო ნივთიერივ სწავლებას ან ვინმეს მხილებას. ყველაზე ხშირად ის იძლეოდა რჩევებს მოთმინებაზე, მოყვასის სისუსტის მოწყალებით შეხედვასა და საკუთარი თავის სიქველისათვის იძულებაზე. ამბობდა, „რომ ცათა სასუფეველი იძულებით მოიმუშაკება“,[115] რომ „მრავალი ჭირის დათმენა გვამართებს ღვთის სამეფოში შესასვლელად“.[116] და: „ვინც ბოლომდე მოითმინის, ის გადარჩება“.[117] ხოგჯერ ეს დამრიგებლური საუბრები დასვენების საათს ართმევდა და მომსახურეც გაახსენებდა ხოლმე ამის თაობაზე. მაშინ წმინდა მამა მოიხდიდა ქუდს, ქუდს მოიხრიდა და ჩვეულებრივ სახუმარო ტონით იტყოდა: „დიდად მადლობელი ვარ, რომ მობრძანდით, მამა „N ამბობს„ რომ დროა წავიდე...“ ხოგჯერ მომსახურე ეტყოდა: „მამაო, უკვე ორი საათია“; ის კი უპასუხებდა: „შენ საათი უკან დააბრუნე და პირველი საათი იქნება“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბერს კიდევ რაღაც სასარგებლო სიტყვის თქმა სურდა. ხაჯხულში, თბილ დღეებში, ის ხალხის საკურთხებლად ჰაერზე გამოდიოდა და მისი გამოჩენა ყველასთვის ნამდვილი სიხარული იყო. ხლურბლიდან დაწყებული ორივე მხარეს მოწყობილი იყო ხის ბოძებზე დამაგრებული მოაჯირები, რომელთა ერთ მხარეს ხალხი იდგა, ხოლო მეორე მხარეს მოხრილი ბერი მოდიოდა, აკურთხებდა ყველას და დროდადრო შესჩერებული პასუხობდა შეკითხვებზე. შემოსაღვრულს ბერის ნებართვის გარეშე არავინ გადააბიჯებდა. თუ ვინმე ასეთ გმირობას გამოიჩენდა, მას ბერი რამდენიმე მეტანიას დაუნიშნავდა.

ყოველთვის ასე თავისუფლად და დიდი ძალისხმევის გარეშე ვერ საუბრობდა ბერი ხალხთან. ხშირად ის არა მარტო იღლებოდა, არამედ გადაიღლებოდა ხოლმე, განსაკუთრებით, როცა დილიდან თავს ცუდად გრძნობდა. ასე, მაგალითად, ერთ პიროვნებას წერდა: „ჩემს ჯანმრთელობაზე არც კი ვიცი, რა გითხრა. გწერდი სიძნელეებზე. მე განსაკუთრებით ბოლო სამი კვირა ვგრძნობ სხეულში რაღაც სიმძიმეს, ასე რომ, დილას ძლივს ვდგები, რომ

[115] მათე, 11,12.
[116] საქმე, 14,22.
[117] მათე. 10,22.

ჩვეულებრივ მრავალეთმეტქველი ხალხთან. იმდენს ელაპარაკობ, რომ ბოლოს ძლივს მიაღწევ ხოლმე ლოგინთან. აი, შენ განსაჯე ჩემი ბრძოლა მართლებთან და დამნაშაულებთან. შეგხვდეს არაფის ა"ერია, თუ ვინ არის ის, ხოლო იმის თქმა, რომ მას უნდა ურჩიო და იმის გაგებაც არ უნდა, რომ მე არ მცალია. უძლურების და დაღლილობის გამო მ"ყინს. ასეთი ანდაზაა: რაგორც არ უნდა დააგდო, მაინც სიდი გამოვაო. არ მიეიღებ – არ შეიძლება, ყველას მიღება კი არ შემიძლია, ძალა არ მყოფნის".[118] მიუხედავად იმისა, რომ მის ძალებს აღემატებოდა, ის მაინც ყველას აკურთხებდა და შემდეგ გაემართებოდა დასასვენებლად. ხალხი ჩვეულებრივ გროვდებოდა მის გვერდით. იყო ხმაური და არეულობა. ზოგი მისი სამოსის ნაპირს სჭიდებდა ხელს, რომ ერთი სიტყვა ეთქვა მათთვის. ბერი ძლივს გაასწრებდა ხოლმე ბრბოს, ხშირად ანაყოფას უტოვებდა მათ ხელში, რომელიც შემდეგ მომსახურეებს შემოჰქონდათ სენაკში. ხშირად გეხვდებოდნენ ისეთი ეგოისტები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ბერს მათთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია და სხვებისგან გამოერჩია. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე ნაწყენი რჩებოდნენ. ასე, ერთხელ არაქათგამოცლილმა ბერმა, რომელიც ძლივს ლუღლუღებდა ბრბოში, გაიგო ვილაცის ხმა: „ამისთანა ბოროტება! გაიარა და არ შემოიხედა".

ხდებოდა, თუმცა ძალიან იშვიათად, რომ ბერი სადილის შემდეგ სულ არ ისვენებდა. შეიძლება იმიტომ, რომ ხედავდა საკუთარ თავში ამის ძალას, ან არ ეძინებოდა. მაშინ ის დაუხახებდა მწერალს და ვინმესთვის მისაწერ წერილს კარნახობდა. ამრიგად, მას ერთი დასვენების წუთიც კი არ ჰქონდა. დასვენებისას მას არავინ აწუხებდა. ხალხი სასტუმროში მიდიოდა. ირგვლივ კარები იკეტებოდა, ცენტრალური შესასვლელიდანაც და „მინაშენიდანაც". იქვე იყო მამა მიხეილის წარწერა: „გთხოვთ კარის ანჯამები არ დაგვიმსხვრიოთ". შუადღის მოკლე შესვენების შემდეგ, სამ საათზე, ბერი ისევ ფეხზე იყო. თუ თავს კარგად გრძნობდა, ისევ მიდიოდა ხალხთან სასაუბროდ. თუ სუსტად იყო, იღებდა ხალხს მამა იოსების სენაკში,

[118] „სულისშარგებელი საკითხავები". 1895 წ იანვარი გვ. 81.

მის ლოგინზე მწოლარე. აქ საუბრისას ხუთი საათისთვის ჩაის სვამდა, ისევე იღებდა ხალხს და საუბრობდა მათთან. რადგან დღის განმავლობაში სენაკთან მუდმივად ხალხი იყო მოსულ-მოსული, იმდენი ჭუჭყიანი ფეხსაცმელით შემოდიოდა და იმდენი ტალახი გროვდებოდა, რომ მეორე დღეს მომსახურე დიდხანს წმენდდა მას.

სადამოს რვა საათზე ბერი ვახშმობდა – მაგიდაზე გამოჰქონდათ იგივე საკვები, რაც სადილზე. ვახშმობისას მომსახურეები ვილაცაზე და რალაცაზე ეკითხებოდნენ მას, ის კი შეუჩერებლივ პასუხობდა. ზოგჯერ დააძალებდა რაიმეს წაკითხვას. ნავახშმევს, თუკი ბერის ძალები ბოლომდე ამოიწურებოდა, ის შემოიფარგლებოდა ყველას საერთო კურთხევით. თუკი ძალა ოდნავ შემორჩენილი ჰქონდა, მაშინ ისევ იწყებოდა ჩვეულებრივი მიღება და საუბრები, რომლებიც ღამის თერთმეტ საათამდე გრძელდებოდა. ამისთვის ის საჩქაროდ გადიოდა მინაშენში ან იქიდან ბრუნდებოდა დერეფნით, სადაც ამ დროს მის მოლოდინში მოსასტრის ძმები ისხდნენ. ისინი ერთმანეთში საუბრობდნენ. ბერი გაუღიმებდა: „ხალხო! ნუ ამთქნარებთ“, – ამით შთააგონებდა, რომ უქმად არ ეიმეტებელოთ და უქმად არ ვიაზროვნოთ. ზოგიერთ უქმად მოაზროვნესთან პირდაპირ მყოფი შენიშნავდა ხოლმე: „შენ, იმის მაგივრად, რომ დაჯდე, გულოცა სკვნილზე იყოს ლოცვა“. თუკი ის შენიშნავდა, რომ ბერები უსარგებლოდ ჩაფიქრებულნი სხედან, გაჩერდებოდა ცოტა ხნით და რომელიმე სასაცილო ანეკდოტს მოუყვებოდა, რათა მათგან სევდიანობის წვეთიადი განედევნა. მაგალითად, ასეთი: რომელიღაც მონასტერში ცხოვრობდა მღვდელ-მონაზონი, რომელიც ხელს ამგვარად აწერდა, – დაწერდა ჯერ ასო „ლ“-ს, შემდეგ მიუმატებდა – „ბერი“, და გამოდიოდა „ლ ბერი“(„ლ ბერი“ - ცრუ ბერი (რუს) – (მთარგმნელის შენიშვნა.). – ანდა: რომელიღაც წინამძღვარმა ჩააბარა ბერს ერთი ბიჭი, რომ მისი ყოფაქცევისათვის შეეხედა. შენიშნა, რომ ბიჭი დილის ლოცვებს აცდენს და ბერმა ჰკითხა ბიჭს; „ცისკარზე რომ მოდიხარ, იქ რა გალობენ?“ – „იქ გალობენ, – პასუხობდა ბიჭი, – ღმერთო ჩემო! ოხ, ღმერთო ჩემო!“ ეკლესიაში კი, დიდმარხვაში იგალობება: „ცისკარზე მოისმინე ჩემი ხმა, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო“. ზოგჯერ მოუყვებოდა ცნობილ ანეკდოტს

იმაზე, თუ როგორ დაიბნია კაცმა ერთი საწყალი ბარდა და შეაგროვა ორი და მისი. ბერის მიერ მოთხრობილი მსუბუქი ანეკდოტი, რა თქმა უნდა, ყველას სიცილს ჰგვრიდა. ძმები ბერთან ნებისმიერ დროს დადიოდნენ, როცა დასჭირდებოდათ, განსაკუთრებით, სალამოს კანონების მერე, როცა მორწმუნეებიდან თავისუფალნი აღმოჩნდებოდნენ.

სამთარში ხალხთან შეხვედრისას, სენაკიდან გამოუსვლელად, ბერი, როგორც ვიცით აღვნიშნეთ, ხშირად ძლიერ გაციცდებოდა ხოლმე ციცი ჰაერის ერთი ნასუნთქვიდანაც კი, რადგან მოსულები არ ფრუნავდნენ მასზე და ქუჩიდან პირდაპირ მასთან შედიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსახურეები ბერის ბრძანებით ფრუნავდნენ იმაზე, რომ მოსულები წინასწარ დერეფანში გაეხმნენ. მიუხედავად ამისა, ყველას ყურადღების მიქცევა შეუძლებელი იყო. მთელი დღის დაძაბული შრომით შეწუხებულ ბერს, გაციების შედეგად, სალამოს თაებრუსხვევები ჰქონდა, ხოგჯერ პირღებინების შეგრძნებით. პრობლემა ის იყო, რომ პირღებინების შეგრძნება კი ჰქონდა, აწუხებდა, მაგრამ ღებინება არ აღენიშნებოდა, რადგან კუჭი ცარიელი ჰქონდა. შეეძლო გრძნობდა, თუ ოდნავ მაინც ამოაღებინებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წუხილი გრძელდებოდა.

მიუხედავად ბერის ავადმყოფობისა და უძლურებისა, დღე ყოველთვის სალამოს ლოცვით და კანონების შესრულებით მთავრდებოდა, რომელიც მცირე მწუხრისაგან, მფარველი ანგელოზის კანონისაგან და სალამოს ლოცვებისაგან შედგებოდა. მთელი დღის შეუსვენებელი მოხსენებებისაგან და ბერთან ხალხის შემოყვანისა და გაყვანისაგან, მომსახურეები ისე იღლებოდნენ, რომ ფეხზე ძლივს იდგნენ. მიუხედავად ამისა, ისინი მონაცვლეობით მაინც კითხულობდნენ აღნიშნულ ლოცვებს. ხშირად, მიუხედავად გაძლიერებული დაძაბულობისა, თვალები ეწებებოდათ, ბაგეები უშეშდებოდათ. კითხვისას ხოგჯერ წაიბორძიკებდნენ კიდეც. ბერი კი თითქმის უგრძნობლად იწვა ლოგინზე. კანონის დასრულებისას ის ჩვეულებრივ შენდობას ითხოვდა, თუკი საქმით, სიტყვით და გონებით შესცოდა. ბოლოს მომსახურეები კურთხევას იღებდნენ ბერისგან და გასასვლელისაკენ მიემართებოდნენ. ხოგჯერ საათი დაიწყრია-

ლებდა. სუსტი, ძლივს გასაგონი ხმით შეეკითხებოდა ბერი: „რომელია?“ უპასუხებდნენ: „თორმეტი“. – „დავაგვიანეთ“, – იტყოდა ხოლმე.

დასაძინებლად ყოველთვის ჩაცმული წვებოდა. საფხულობით თხელ, ზამთარში კი ბამბის კაბაში და აუკილებლად ტყავის ქამრით. თავზე მუდმივად ბერული ქუდი ეხურა, ხელში კი სკვნილი ეჭირა. მხოლოდ ჩექმებს იხდიდა და წინდების ამარა რჩებოდა. ღმერთმა უწყის, თუ როგორ ატარებდა ბერი ღამის საათებს. მხოლოდ დილის კანონებზე მოსული მომსახურეები ამჩნევდნენ, რომ ღამის პერიოდში მან რამდენიმე პერანგი გამოიცვალა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უწყვეტი ძილი არ ჰქონია. ამით მთავრდებოდა ბერის სადღეღამისო შრომა. მეორე დღეს მას ისევ ელოდა შეუსვენებელი საუბრები, შრომა, მტკივნეული მეტვეები, სნეულება და სხვა.

IX თავი

კვირა და სადღესასწაულო დღეები და განსაკუთრებული შემთხვევები

„შრომითა და რულუნებითა, მღვიძარებისა მრავალჯ ზის.[119]“

ყოველი კვირისა და დღესასწაულის წინა ღამეს ბერი ამბროსი თაყის სენაკში ღამისთევით ისმენდა ლოცვას. თაყიდან, სამოციან წლებში ღამისთევებს მისი ერთგული სულიერი შვილი მღვდელ-მონაზონი გაბრიელი[120] ატარებდა. იქვე, კარებთან სამი-ოთხი მგალობელი იდგა ხოლმე. სკიტის მმართველი მამა ანატოლი, რომელიც მაშინ უბრალო ბერი იყო, ბანით გალობდა. მომსახურეები მკითხველების როლს ასრულებდნენ, ხოლო მწერალი მამა კლიმენტი – მეტიპიკონე იყო. სოვჯერ მღვიმარეობა იცელებოდა. რადგან სკიტის საერთო მღვიმარეობით საეკლესიო მსახურება კვირაში ორჯერ – შაბათს და კვირას აღესრულებოდა, ამიტომ ავადმყოფი და უძლური სკიტელები იმის მაგივრად, რომ წასულიყვნენ ღამისთევაზე მონასტერში, ითხოვდნენ მამა ამბროსის კურთხევას დარჩენილიყვნენ მის საკელიო ღამისთევაზე. ბერიც, რა თქმა უნდა, აკურთხებდა. ამრიგად გამრავლდნენ მლოცველები, რომელთა შორის იყვნენ მგალობლებიც. იმისათვის, რომ ბერის სენაკში სივიწროვე და უხაერობა არ ყოფილიყო, მგალობლებს მიეცათ კურთხევა დამსხდარიყვნენ შემოსასვლელში, ბოლოს კი – დერეფანში, საითაც მსახურებისას სენაკის კარები იღებოდა. თვითონ სენაკში მომსახურე მღვდელ-მონაზონი და შეიძლება ვინმე მასთან დაახლოებული რჩებოდა. შემდგომში კი სოგიერთები მინაშენშიც რჩებოდნენ, ბერის კურთხევით, რათა კარებს მიღმა მოესმინათ მისი მსახურება და ელოცათ. საფხულობით ოპტინის მონასტერში ხშირად ჩამოდიოდა აწ გარდაცვლილი გრაფი ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოი, წმინდა

---

[119] 2 კორ. XI, 27.

[120] სემოხსენებული ბერი გაბრიელი, რომელმაც ბერ-დიაკვან ამბროსთან ერთად იმგზავრა კალუგაში ხარისხის მისაღებად.

სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი. მას ყოველთვის უყვარდა ბერის მსახურებაზე ყოფნა. გრაფის მსგავსი მომლოცველებიც მომრავლდა. თვითონ ბერი მსახურებისას უსაქმოდ არასოდეს რჩებოდა. საეროსწარმეტყველოსა და კანონების კითხვისას ის ან ვინმესთან ახსარებას იღებდა მაშა იოსების სენაკში, ან შორიდან მისულებს ესაუბრებოდა, ვისი მაღებაც დღისით ვერ მიასწრო, ან კიდევ ვახშამს მიირთმევდა. ის მხოლოდ ექსფსალმუნების, დიდებამაღალიანის და სახარების კითხვას ისმენდა ლოგინზე მყოფარი. აღვილად შეამჩნევდით, რომ დიდი ყურადღებით ისმენდა. დიდებამაღალიანზე თვითონაც გალობდა. მას, მიუხედავად სიბერისა, სუფთა და სასიამოვნო ტენორის ხმა ჰქონდა. ის ყოველთვის მთელი გულით და ჭმინდა წერილის სტუდიასამებრ გონიერულად[21] (მეცნიერებით) გალობდა. თუ ახმარებლები და სტუმრები არ ჰყავდა ლამისთვისას, მაშინ მსახურების დიდ ნაწილს ისმენდა, საკუთარ თავში ნაღრმავებული იჯდა, სოგჯერ დაღლილობისგან იწვა. ასეთ დროს ხშირად ნახავდით მის სახეზე ცრემლებს. თუ ბერმა თავისი საქმეები ვერ მიასწრო, ხოლო ლოცვა ექვსფსალმუნებამდე უკვე იმსახურეს, ასეთ შემთხვევაში მსახურება რამდენიმე წუთით ჩერდებოდა და ბერს ცლიდებოდნენ. საკვლიო მსახურების დამთავრების შემდეგ, რომელიც შესვენებებით სამი საათი გრძელდებოდა და ტაძრის დამისთვისთან ერთდროულად სრულდებოდა, დაღლილი მომსახურეები დაღლილი ბერისთვის სალამოს ლოცვების დასასრულს კითხულობდნენ „მეუფეო კაცთმოყვარეობდან“ და მიდიოდნენ რა კურთხევას, მიდიოდნენ დასასვენებლად.

დილას, თუ სკიტში იყო ლიტურგია, რომელიც ჩვეულებრივ ექვს საათზე ადრე არ იწყებოდა, ბერი და მისი მომსახურეები ერთი

[21] ფსალმ. XLVI, 7. ის არ იყო, რომ ამას ზოგიერთები შეკლიმით ფიქრობენ, დახელოვნებული გალობდა. ზოგჯერ ტონსაც ვერ არჩევდა, როგორც ამას თვითონ ჰქვიდა თავის თავზე. მას ბერდიაკონობისას მიუწია სამღვდელმთავრო წირვაზე მონაწილეობა და მრისხანე კერექის მერე სხვა კერექების თქმა. მეუფის გუნდის რეკვიემმა მოიცილა მისი ტონის მიკვლა. მაგრამ ვერ მოახერხა. ბერდიაკან აბრალის კარგად ესმოდა რეკვიემის ხმა. მაგრამ მის ტონში ვერ ჩაჯდა და ვერცა კერექი „რომელი ქერუბიმთამცე“ თავისებურად ჩაამთავრა.

ან ნახევარი საათით ადრე დგებოდნენ მსახურების დაწყებამდე, მოისმენდა ჟამნებს და უშვებდა მომსახურეებს ეკლესიაში, თვითონ კი მარტო რჩებოდა ღმერთთან. მხოლოდ ეს გახლდათ ის დრო, როცა მას შეეძლო მდუმარებაში ყოფილიყო. როგორ ატარებდა ის ამ დროს, არავინ იცის. ეკლესიიდან მწერალთან ერთად დაბრუნებული მომსახურეები ყოველთვის ლოგინ'სე მჯდომს შეუსწრებდნენ ხოლმე. მას ფესვები მოხრილი ჰქონდა და მოციქულთა ეპისტოლეებს, ფსალმუნებს, საონოებათმოყვარეობას, ღირს მაქსიმე აღმსარებელს, ან სულაც ისააკ ასურის წიგნებს კითხულობდა. უცილობლად ყველა ამ წიგნს ის სლავურად კითხულობდა, იმიტომ, რომ, როგორც 'სემოთ აღვნიშნეთ, ძალიან უყვარდა სლავური ენა. ზოგჯერ წიგნებ'სე აკეთებდა მინიშნებებს. მაგალითად, როგორც მახსოვს, პავლე მოციქულის სიტყვების ქვეშ: „ეკალი მომეცა სხეულში, სატანის ანგელო'სი, რომ დამქეჯნოს, რათა არ გავმედიდ'ერდე", ბერის მიერ მიწერილი იყო: „ალექსანდრე მჭედელი".[22] საონოებათმოყვარეობაში და წმინდა ისააკ ასურის წიგნში ბევრგან იყო ბერის მინაწერები. ეკლესიიდან დაბრუნებული მომსახურეები და მწერალი წინასწარი ლოცვის წარმოთქმის მერე შედიოდნენ ბერთან და მისგან კურთხევას იღებდნენ. ბერი კი, წიგნთან მჯდომი, იქვე მიუთითებდა რომელიმე მათგანს განსაკუთრებულ სამოძღვრო მოკლე მონაკვეთს წიგნიდან და წააკითხვინებდა, შემდეგ ყველას უშვებდა ჩაის დასალევად და თვითონაც მიირთმევდა. მალე მწერალი ბერთან ბრუნდებოდა და იწყებოდა ჩვეულებრივი წერილების კარნახი. ამ დროისათვის კი უკვე ხალხიც მოდიოდა და იწყებოდა კაკუნი, რეკვა, ხმაური, არეულობა. ამის მერე კი გვიან საღამომდე ჩვეულებრივი დღე გრძელდებოდა. ზოგჯერ სადღესასწაულო დღეებში ხალხის მოსვლების გამო ბერი უფრო ილლებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. თუ სკიტში მსახურება არ ტარდებოდა, მაშინ ბერი ერთ მომსახურეს იტოვებდა ჟამნების წამკითხავად, ხოლო სხვებს მონასტერში უშვებდა ადრეული წირვის დასასწრებად, რომელიც დღესასწაულებ'სე ყოველთვის ხუთ საათზე იწყებოდა.

---

[22] 2 კორ. XII, 7.

რალაცნაირი განსაკუთრებულობით ხედებოდა და ატარებდა ბერი დიდ დღესასწაულებს – ქრისტეს შობას და აღდგომას. ორი კვირით ადრე ბერი უკარნახებდა ეგრეთ წოდებულ „საერთო მოლოცვას“, რომელიც დიდ ეგზემპლარში გადაიწერებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ საერთო მოლოცვებს აქვთ თავისი ისტორია. სამოციანი წლების დასაწყისში ეს მოლოცვები ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაგრამ აი, მთავარმა მწერალმა მამა კლიმენტიმ შესთავაზა ბერს ასეთი აზრი, რომ ამ დიდ დღესასწაულებზე ზოგიერთი, განსაკუთრებით ერთგული ადამიანებისთვის, სულიერი შვილებისთვის, ღედათა სავანეებში გაეგზავნათ საეზიტო ბარათების მსგავსი მოკლე მოსალოცები. საფოსტო ქაღალდის პატარა ნაჭრებზე იწერებოდა ასე: „ღვთისშიერო დაო, დედაო– გილოცავ ქრისტეშობის დღესასწაულს“, ან „აღდგომას“. ეს მოლოცვა მთავრდებოდა ბერის ხელმოწერით: „მღვდელ-მონაზონი ამბროსი“. მაგრამ ასეთი მოკლე მოლოცვები მალე აღარ მოსწონდა წმინდა მამას. 1869 წლის შობის და 1870 წლის აღდგომის მოსალოცები თვითონ უკარნახა მოკლედ. ამის მერე ისევ ახლოვდებოდა შობის დღესასწაული. დადგენილი ჩვეულების მიხედვით საჭირო იყო ისევ მოსალოცი წერილების მომზადება. ახლა ბერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და თქვა: „თუ წერ, უნდა დაწერო რაიმე სასარგებლო და სამოძღვრო“, – და უკარნახა პირველი ღრმა-მოძღვრებითი საერთო მოსალოცი, რომელშიც, დამდგარ დღესასწაულის საიდუმლოების ახსნით, მოუწოდებდა მწუხარეებს სიმშვიდით და საკუთარი თავის კიცხვით, გულიანი მოწიწებით შეისმინონ საეკლესიო კითხვა და გალობა, და მათგან, კითხვის სიცხოველის წყაროდან და უკვდავებიდან მიიღონ ნუგეში, სხნა და მოწყალება ძე ღმერთის კაცთმოყვარეობით. ამ დროიდან სიკვდილამდე ბერი საოცარი სიღრმის საშობაო და სააღდგომო მოლოცვებს ამზადებდა.[23] საოცარი მეხსიერება ჰქონდა მას. ოცდაერთი წლის განმავლობაში კარნახობდა ის ამ მოსალოცებს და მიუხედავად ამისა, არასოდეს იმეორებდა უკვე ნაკარნახევს,

[23] ეს საერთო მოლოცვები გამოსცა ოპტინის მონასტერმა ბროშურაში სათაურით: „მამა ამბროსის სწავლებანი საერთო სადღესასწაულო მიმართვებში. 1870-1891 წწ. მოსკოვი, 1892 წ.

ყოველთვის სხვადასხვა თემაზე საუბრობდა.

დღესასწაულის წინა დღე დგებოდა. მომსახურეები ცდილობდნენ ბერის სენაკი სუფთა ყოფილიყო. მომსვლელების რიცხვი შედარებით მცირდებოდა, რადგან დღესასწაულის შეხვედრა ყველას სახლში უნდოდა. ბერი ამ დროს უფრო აღმსარებლებით იყო დაკავებული თავისი საძმოდან. ზოგჯერ აუხსნებლად გადადიოდა რაღაც საჭიროების გამო სენაკიდან სენაკში, სახე გაბრწყინებული ჰქონდა. შესამჩნევი იყო, რომ მიმადლებული სამყარო და აღუშფოთებელი სიწყნარე ავსებდა მის სუფთა სულს. მისი მოსიყვარულე გული ყველასთვის ღია იყო. მისი მამობრივი – ამო სიტყვა, შეხედვა ან ხელით შეხება გულის ამაჩუყებელ ცრემლს იწვევდა. ბერი ჩვეულებრივზე უფრო ადრე წვებოდა დასასვენებლად, ხოლო შუაღამეს, როდესაც მონასტერში ცისკარზე უმხობდნენ და ზარს რეკდნენ, დგებოდა. მომსახურე მღვდელ-მონაზონი და მგალობლები მზად იყვნენ. საკელიო მსახურებისთვის ორი სამღვდლო შესამოსელი ჰქონდათ. დღესასწაულზე უკეთესით იმოსებოდნენ. ხატების წინ აინთებოდა სანთლები და იწყებოდა ცისკარი, რომელიც უფრო ადრე მთავრდებოდა, ვიდრე მონასტერში. შემდეგ სნეული ბერი ისევ დასასვენებლად წვებოდა, რომელიც მალე წყდებოდა. იმიტომ, რომ ჯერ მონასტრის მგალობლები მოდიოდნენ ცისკრის დასრულებისთანავე დღესასწაულის მოსალოცად სკიტში მამა ამბროსისთან, შემდეგ კი სკიტის მთელი საძმო. შობას ადიდებდნენ ქრისტეს, ხოლო აღდგომას სააღდგომო კანონის მეცხრე საგალობელს გალობდნენ, შემდეგ საჯანმრთელო კვერექსს ბერს. რის შემდეგაც ბერი თავის ლოგინზე მჯდომარე ყველა მოსულს წითელ კვერცხს ურიგებდა. ლიტურგიის წინ ბერი ჩვეულებრივ ისმენდა საღღესასწაულო ჟამნებს და უშვებდა ყველა მომსახურეს მონასტერში წირვაზე, რომელიც ადრე იწყებოდა. ამ დღესასწაულების წინა დღეებში სკიტში წირვა არ სრულდებოდა. ლიტურგიის დასრულების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ სტუმრები თითქმის არ იყო, მაგრამ ბერთან ბევრი იყო მოსული დღესასწაულის მოსალოცად, ამიტომ ის ამ დიდ დღეებში მუდმივ ზრუნვაში იყო. შობისა და აღდგომის დღესასწაულების მეორე დღეს – სკიტში ყოველთვის

მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ისააკი ატარებდა ლიტურგიას კრებულით. შემდეგ თანამომსახურე მღვდელ-მონაზვნებთან და ბერდიაკვნებთან ერთად მიდიოდა მამა ამბროსისთან დღესასწაულის მოსალოცად. ბერი სიყვარულით იღებდა ძვირფას სტუმრებს და თვითონ ლოგინზე ფეხმოკეცილად მჯდომარე მიირთმევდა სტუმრებთან ერთად ჩაის. ახლობლებთან მსუბუქი საუბარი რაიმე თემაზე განსაკუთრებით უფროს იმებთან, მისთვის ერთგვარი გართობა გახლდათ. მას ახალი საეკლესიო და საზოგადო ამბების მოსმენა უყვარდა. ზოგჯერ თვითონაც მოჰყვებოდა ხოლმე რაღაცას. ჩაის მირთმევის შემდეგ, არქიმანდრიტი დიდი დღესასწაულებისას ყოველთვის სადილობდა სკიტში, ბერი კი იღებდა უბრალო მომსვლელებს და მათ, ვისაც მისთვის უნდოდა დღესასწაული მოელოცა.

ცხოვრების ჩვეული დინებისას ზოგჯერ განსაკუთრებული შემთხვევებიც ხდებოდა, რომლებიც ბერის სიცოცხლეს ნაირფეროვნებას აძლევდა. ასე მაგალითად, ფოსტით მიიღებდა შესანიშნავ ხატებს. პირველი ასეთი ხატი წმინდა ამბროსი მედიოლანელისა იყო, შემდეგ კი განსაკუთრებული პატარა კიდობნით მისი წმინდა ნაწილები. შემდეგ ათონელებმა სხვადასხვა დროს გამოუგზავნეს რამდენიმე ხატი. ზემოთხსენებული წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის და ღვთისმშობლის „ღირს არსის“ ხატები, ორიგე დიდი ზომისა და შესანიშნავი ხელოვნებით დაწერილი, კიდევ მოსკოვის ათონის სამლოცველოდან „მსწრაფლშემსმენელის“ ხატი. ყოველივე ამას ბერი როგორც ღვთის დიდ წყალობას იღებდა, როგორც განსაკუთრებული მადლმოსილების გამოვლინებას მის მიმართ ღვთისმშობლისა და წმინდანების მხრიდან. ეკლესიებში პირველივე სალამოს, როგორც კი ხატებს მიიღებდა, სრულდებოდა საკლესიო ღამისთევა ღვთისმშობლის ან იმ წმინდანისა, ვის სახელზეც იყო ხატი მიღებული. ამ ხატების წინაშე ბერი განსაკუთრებული გულაჩუყებული მოწიწებით ლოცულობდა და ეამბორებოდა მათ. დროდადრო, როგორც ნათქამი იყო, სოფელ კალუჟინკიდან მოაბრძანებდნენ ოპტინის მონასტერში განსაკუთრებულად პატივცემულ სასწაულთმოქმედ ღვთისმშობლის ხატს, რომელიც კალუგის ეპარქიაში ყველა ღვთისმოსავი ადამიანის მიერ პატივდებული

გახლდათ და „კალუჟენკის“ ღვთისმშობლის ხატი ეწოდებოდა. როდესაც პარაკლისს ან ღამისთევას ისმენდა ბერი ამ ხატის წინაშე, ძლივს იკავებდა ცრემლს და ხშირად თავისდა უნებურად ღაღადებით ჩამოსდიოდა. ამის თვითმხილველია სოფელ კალუჟენკის დეკანოზი – მამა ალექსანდრე სოკოლოვი, რომელიც ყოველთვის მიაცილებდა ოპტინის მონასტერში ხატს. რაღაც სადღესასწაულოდ – შემძერელი იგრძნობოდა ამ დროს იმ ადამიანთა გულებში, ვინც მლოცველ ბერს ეხვია გარს. ცოცხლად სწამდათ ღვთისმშობლისა და სხვა წმინდანების მეოხება ღვთის წინაშე მაროლმადიდებელთათვის.

განსაკუთრებული სიმხიარულითა და დიდებულებით გამოირჩეოდა მამა ამბროსის ანგელოზის დღე, შვიდი დეკემბერი, წმინდა ამბროსი მედიოლანელის ხსენების დღე. ბერი პატივს მიაგებდა თავის სულიერ მფარველს. საღამოდან როგორც მონასტერში, ასევე სკიტში და, განსაკუთრებით, ბერის სენაკში იწყებოდა ღამისთევა წმინდა ამბროსის სადიდებლად. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში სკიტის მღვდელ-მონაზონმა ანტონმა[24] შეადგინა განსაკუთრებული, სრული მსახურება დაუჯდომელთან ერთად წმინდა ამბროსი მედიოლანელის სახელზე, და ამ დღიდან ბერი ამბროსი თავის სენაკში მუდამ ისმენდა ამ მსახურებას. თვითონ წმინდა მამის ანგელოზის დღეს მონასტერში და სკიტში ასრულებდნენ ლიტურგიას წმინდა ამბროსის პარაკლისით, რასაც მრავალრიცხოვანი მოჰყვებოდა, რომელიც მამა ამბროსის უსურვებდნენ. სკიტში მსახურობდა წინამძღვარი იღუმენი ისააკი. ბერის ჯანმრთელობაზე ლოცვის შემდეგ, სკიტის საძმო იღუმენთან და სკიტის მმართველთან ერთად მიდიოდა ბერის სენაკში, გალობდა წმინდანის ტროპარსა და კონდაკს. დიაკვანი ამბობდა კვერექსს და მრავალჟამიერს უსურვებდა ბერს. შემდეგ პატივისცემით ულოცავდნენ ანგელოზის დღეს. სნეული ბერი ნელ-ნელა თავის უბრალო, ხოგჯერ გაკერილ კაბაში იჯდა თავის ლოგინზე და მთელი საძმო, სკიტის მმართველთან ერთად, გარდა, რა თქმა უნდა, იღუმენი წინამძღვრისა, მიდიოდა

[24] შემდგომში არქიმანდრიტი, პერეიასლავსკის დანიელოვის მონასტრის წინამძღვარი. 1889 წელს აღესრულა ოპტინის მონასტერში. სქემაში აღკვეთა აბრაამის სახელით.

მასთან, მუხლს იყრიდა და კურთხევას იღებდა, მღვდელმონაზვნებთან ხელ'ხე ურთიერთკოცნით, ხოლო სხვებს უბრალოდ აკურთხებდა. შემდეგ ყველა სკიტელი, მოსიყვარულე ბერის მიერ დაპატიჟებულნი, მისი სენაკის სხვადასხვა კუთხეში თავსდებოდნენ. იღუმენი და სკიტის მმართველი მღვდელმონაზვნებთან ერთად რჩებოდნენ ბერის სენაკში, სხვები კი — ზოგი პატარა მისაღებ ოთახში, ზოგი მომსახურეების სენაკებში, ზოგიც მინაშენში, სადაც ამ დროისათვის ქალებს არ უშვებდნენ. ყველას ტკბილი ჩაითა და ერბოკერცხიანი ბატონით უმასპინძლდებოდნენ. სკიტის ხაძმოს შემდგომ ბერთან მონასტრის მგალობლები მოდიოდნენ მოსალოცად და იმათი გამასპინძლებაც ასეთივე განრიგით მიმდინარეობდა. სკიტის და მონასტრის ტრაპეზ'ზე დიდი ნუგეში იყო. იმ დროს, როცა ხაძმოს უნდა ეტრაპეზ'ა, უფროსები, მღვდელ-მონაზვნები და ბერდიაკვნები იღუმენის მეთაურობით, აგრეთვე ზოგიერთი საპატივცემულო სტუმარი მამა ამბროსისთან იკრიბებოდა წასახემსებლად, რომელსაც შეიძლება ბრწყინვალე სადილი დავარქვათ. თვითონ ბერი ღუმელთან და საპატივცემულო სტუმრებთან მისაღებ ოთახში ჯდებოდა, სტუმრები — მაგიდასთან, ხოლო ბერი რბილ სავარძელ'ში მისთვის წეწული მოკეცილი ფეხებით მჯდომი, რადგან იატაკის სიცივეს ვერ იტანდნენ მისი ფეხები. სადილობისას სხვადასხვა. იმ დროისთვის საჭირო, თემა'ზე მიდიოდა საუბარი. თვითონ ბერი ხუმრობდა. მიიტანეს, მაგალითად, მწვადი, რომელსაც ბერი არასოდეს ჭამდა, როგორც თვითონ ამბობდა, კუჭის სისუსტის გამო. ზოგიერთის აზრით, ის თავს იკავებდა სქემა'ში აღკვეცისას მიცემული აღთქმის გამო. შეხედა ბერმა თევზ'ს და ჩაილაპარაკა: „ეჰ, კარგი საჭმელია! მომეცი, ვუსუნებ მაინც, თუ ჭამა არ შეიძლება„. მომსახურემ მწვადი ბერის ცხვირთან მიიტანა. მან დასუნა. „კეთილი, ახლა წაიღე". ყველამ გაიცინა. ორმოცდაათამდე სტუმარი იყო, თუ მეტი არა. მაგიდები ერთიმეორის მიყოლებით ივსებოდა. შემდეგ ივსებოდა მთლიანად მინაშენი მონაზვნებითა და საერო პირებით, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი ძვირფასი მამისთვის ანგელოზის დღის მოსალოცად. ყველა მათგანს მიართვეს ჩაი და თითო ნაჭერი ნამცხვარი. ასეთი პურობისას ზოგჯერ უსიამოვნებებიც ხდებოდა. ამ ალიაქოთში

დაღლილ მომსახურეებს სოგჯერ გამორჩებოდათ ვინმე ჩაის მიურთმევლად; ან კიდევ რაიმე მოხდებოდა. გაისმოდა დრტვინვაც. ანდაზის მსგავსად – პატარძალს შურისძიებაც სჩვევია. მომსახურეები მოახსენებდნენ ბერს, მაგრამ ის ყოველთვის მოწყალებით უყურებდა მოუთმენელ მეამბოხეებს. სამხრობის შემდეგ გამოდიოდა მათთან კურთხევის მისაცემად და ისევ მათგან ითხოვდა შენდობას თავისი საქციელისათვის. ერთხელ როგორღაც გამოვიდა და ასეთი ლმობიერი ტონით ჩაილაპარაკა: „მაპატიეთ, დედებო და დებო! სიყვარულით მ'სად ვარ ყველა თქვენ ყველაფრით დაგაკმაყოფილოთ, მაგრამ თქვენ ხომ იცით ჩემი უძლურების ამბავი. ეს ყველაფერი თქვენ მამა მიხეილმა (მომსახურე), სოგი ჩაით, სოგიც „სადიდებლით". ბელევოს დედათა მონასტერში საწყალ მონა'სვნებს, რომლებიც აქ ვერ ჩამოვიდნენ, თეთრ პურსა და ნამცხვარს უგ'ავნიდნენ. სადილის შემდეგ მონასტრის მთელი სამრო, 300 კაცამდე, რიგრიგობით მოდიოდა ანგელო'ზის დღის მოსალოცად, შემდეგ კი სკიტის სატრაპე'სოსკენ მიემართებოდნენ, სადაც მათ ჩაისა და თეთრ პურს მიართმევდნენ. მსმელებს გამოყოფდნენ და თითო ჭიქა ლუდს მიართმევდნენ.

ამ პურმარილის თანხებს ყოველწლიურად თავის თავ'ს ბერის ერთ-ერთი ყველა'ზე ეროვ'ული სულიერი შვილი, სემოთხსენებული მდიდარი მემამულე ალექსანდრა ნიკოლო'ზის ასული კლუ'არიოვა იღებდა, რომელმაც ბერის განსაკუთრებული სიყვარ'ულისა და პატივისცემის გამო აღკვეცისას ამბროსია დაირქვა სახელად. დასახ'ულ, თვითონ დედა ამბროსია უმ'საღებდა ვახ'შამს თავის სახლ'ში თავის ანგელო'ზის დღეს, სადაც ასევე მრავალი სტუმარი იყო დაპატიჟებული. ამრიგად, ბერი ამბროსის ანგელო'ზის დღეს, შეძლების-დაგვარად არც ერთი ბერის ახლობელი არ იყო ხოლმე დავიწ'ყებ'ული.

განსაკუთრებ'ულ შემთხვევებს შეიძლება მივაკუთვნოთ ბერი ამბროსის ცხოვრება'ში კალ'უგის ეპისკოპოსების მობრძანება. ეს ძირითადად 'საფხ'ულის პერიოდში ხდებოდა, როდესაც მღვდელ-მთავრები ჩვეულებრივ დადიან ეპარქიის მოსანახულებლად. თავისი მწყემსმთავრის შესახვედრად ბერი იმოსებოდა მთელი მღვდელ-მონა'ზნული შესამოსლით – კაბა, მანტია და კუნკული. გამოდიოდა

თავისი სენაკის კიბე'სე და 'შესასელელთან მუხლმოდრეკით ხვდებოდა მეუფეს, იღებდა კურთხევას და შეჰყავდა მისაღებ ოთახში. აქ სოგჯერ მღვდელმთავართან პირდაპირ გარკვეულ დროს საუბარში ატარებდა. მეუფეს ის ყოველთვის ჩვეული ბავშვური უბრალოებით ხვდებოდა. თუ მღვდელმთავართან საუბრისას მას ფეხები გაუოფლიანდებოდა, – რის გამოც მას ყოველთვის საშინელი თავის ტკივილები აწუხებდა, – მაშინ ის, ყოველგვარი მორიდების გარეშე, მაშინვე აიღებდა კურთხევას მეუფისგან და იქვე მის წინაშე გამოიცვლიდა წინდებს. განსაკუთრებულ მოწიწებას იჩენდა ბერი მთავარეპისკოპოს გრიგოლის წინაშე. ის ყოველთვის მოიხსენიებდა მეუფეს შემდეგი სიტყვებით: „ჭკვიანია და წმინდა". ამიტომ ამ მღვდელმთავრის ყოველ სიტყვას ბერი ღვთის ნებად მიიჩნევდა და იღუმენი ისააკის მეშვეობით, რომელიც ხშირად დადიოდა საქმეებზე კალუგაში, მიმართავდა მას აუცილებელი საქმეების გადაწყვეტისას, რაც სავანის საგარეო და საშინაო ცხოვრებას ეხებოდა. თუ თვითონ უძნელდებოდა რაიმე გადაწყვეტილების მიღება და ვერ იღებდა თავის თავ'სე, მაშინ იღუმენსაც ურჩევდა ასეთ შემთხვევებში მიემართა მწყემსმთავრისათვის, როგორც ღვთის მიერ დადგენილი პიროვნებისთვის და მოქცეულიყო მეუფის ნების თანახმად. საოცარი თავმდაბლობა ჰქონდა თვითონ მეუფე გრიგოლს. მოისმენდა ოპტინის წინამძღვრისგან ბერის შეკითხვას, და მაშინვე არ წყვეტდა ამ საკითხს. ჯერ იღუმენს შეეკითხებოდა. „თვითონ ბერი რა აზრისაა ამის შესახებ?" ის ითვალისწინებდა თავად ბერის აზრს და ამის შემდეგ წყვეტდა საკითხს. სოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ ამბობდა: „ამას როგორც თვითონ ბერი გადაწყვეტს, – მე ამას ჩემს თავ'სე არ ავიღებ".

ეს მადლიანი და მონაზონომოყვარე მეუფე იმდენად ყურადღებიანი იყო ბერი ამბროსის ღვაწლმოსილი საქმეების მიმართ, რომ 1870 წელს წარადგინა იმპროისათვის იშვიათ ჯილდო'სე – ოქროს სამკერდე ჯვარ'სე, რომელიც მან მიიღო ფოსტით ამავე წლის 13 სექტემბერს. სევასტოპოლის კამპანიის გამო ბრინჯაოს ჯვარი ბერს უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა. ის მეუფეს ყოველთვის ამ ჯვრებით ხვდებოდა. ის მათ სხვა ღირს'შესანიშნავ დღეებშიც

იკეთებდა. სამკერდე ჯვრის მიღებამ ძალიან იმოქმედა ბერზე. თვალცრემლიანი, სიმდაბლით, თავის თავს არ თვლიდა ასეთი ჯილდოს ღირსად და დიდი ხანი არ იკეთებდა მას. ბოლოს და ბოლოს ბერის პატივისმცემელთა თხოვნით დაემორჩილა ეკლესიაში მილებულ წესს. რა სიხარული სუფევდა ბერისა და მისი თაყვანისმცემლების გულში, ადვილი წარმოსადგენია.

1887 წელს ოპტინის მონასტრის მონახულება ინება დიდმა თავადმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ, რომელმაც დიდი ხანი დაჰყო ბერთან სულისთვის სარგებელ საუბარში, დიდი სიყვარულით ეპყრობოდა მას.

ამავე წლის ივლისში, რის შემდეგაც ოპტინაში ჩამობრძანდა მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მოსკოველი მიტროპოლიტი იოანიკე, რომელსაც ეპარქიის მღვდელმთავარი ელადიმერი ახლდა. ბერი სკიტის საძმოსთან ერთად უნდა დახვედროდა სტუმრებს ეკლესიაში, რისთვისაც ის მოვიდა ტაძარში, მაგრამ მიტროპოლიტმა ეს არ იცოდა,სკიტის ტაძრის მოლოცვისა და წმინდა ხატების წინ ლოცვების აღსრულების შემდეგ თქვა: „ახლა ბერთან წავალ“. როგორც კი მოიხედა უკან, მაშინვე დაინახა მის წინ მდგარი ბერი ამბროსი. ასეთი მოულოდნელობით გაკვირვებულმა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მოწყალებით შენიშნა: „რატომ შეიწუხეთ თავი აქ მოსვლით? მე თვითონ უცილობლად მოვალ თქვენთან“. და სთხოვა, ახლავე წასულიყო სენაკში. მიტროპოლიტმა ნამდვილად მიაკითხა მას სენაკში. დიდი ხანი ისაუბრა მასთან პირდაპირ და გამოსვლისას ღრმა პატივისცემით დაემშვიდობა მას.

1888 წლის 24 აგვისტოს ოპტინაში წირავდა კალუგის ახალი ეპისკოპოსი ანასტასი,[25] რომელიც ლიტურგიის მერე სავანის წინამძღვრისა და ‘სოგიერთი ძმის თანხლებით ათვალიერებდა მონასტერსა და სკიტს, შემდეგ კი ინახულა ბერი ამბროსი. გვიანი დროის გამოცოცხლა ხნით დარჩა მეუფე ბერთან და უთხრა, რომ ისიც მოაკითხავდა მას. 26 აგვისტოს დილით, ადრეული წირკის მერე, კალუგაში გამგზავრების წინ მართლაც მოვიდა. მეუფის გაცილების შემდეგ

[25] ბროშურიდან „მამამე დანაკარგი“. გვ. 88-89.

ბერი ჩვეულებრივ გამოვიდა მინაშენში, რათა დაელოცა მომლოდინენი. მათ შორის ბევრი მონაზონი იყო შამორდინოდან. მოიარა, ყველა დალოცა, დაბრუნდა და დაჯდა ღვთისმშობლის „ღირს არს“-ის ხატის წინ კომოდზე, ფეხები დააწყო სკამზე და დაიწყო ლაპარაკი. „ალბათ, გინდათ გაიგოთ, თუ რა მითხრა მეუფემ? აი, რა მითხრა: ‘უთხარი შამორდინოს წინამძღვარს, რომ მან ყველა ახალმოსულს ჰკითხოს: რისთვის მოვიდნენ ისინი, – ხსნისა და შრომისთვის, თუ იმისთვის, რათა პური ჭამონ უფასოდ? მაცხოვარმა უთხრა ხალხს. „თქვენ იმისთვის კი არ მოხვედით და მხიარულობთ, რომ მნახეთ და მომისმინეთ მე, არამედ იმიტომ, რომ ჭამოთ და გაძღეთ“. მერე მეუფემ კიდევ მითხრა: „ჭირვეულები საერთოდ არ უნდა მივიღოთ, ჯერ უნდა გამოვცადოთ; ხოლო ვინც ადრე უკვე მიიღეს, არ იცოდნენ და ჭირვეულები აღმოჩნდნენ, ასეთები გავაგდოთ. თორემ მონასტერში ყველას თვითნებობა უნდა, ხოლო „ჩვენი ნება მეუფეს სტკივა“. ოპტინაზე კი ასე თქვა: „აქ მე ვხედავ, რაღაც ვერ არის რიგზე, ახლა მოუჭერენ, არ მისცემენ თავისუფლებას, – ზოგი საკნობში წავა, ზოგი სასეფისკვერეში, ზოგი ბოსტანში – შებოჭავენ“. ძმები კი მეუფეზე ამბობენ, რომ ის „უბრალო და გამჭრიახია“. „როგორია მეუფე ურთიერთობაში?“ ჰკითხეს ბერს. – „ძალიან უბრალო, მაგრამ ბრძენი“, – უპასუხა ბერმა. „როგორ მოეწონა შამორდინო?“ – ჰკითხეს კიდევ. „მეუფემ ღიმილით თქვა, რომ კარგად გალობენ“, – უპასუხა ბერმა და შემდეგ დაუმატა: „ის ნამდვილი მონაზონია, არ ანგარებს და არ გაქებს“. – აი, თქვენც, მამაო, არასოდეს გვაქებთ“, – უთხრა ვიღაცა ქალმა. – „რატომ უნდა გაქოთ“, – უპასუხა ბერმა, – „როცა თქვენ თვითონ აქებთ თავს“.

ნაირსახოვანი გახდა ბერი ამბროსის ცხოვრება მას შემდეგ, რაც მას სულიერმა ბერმონაზვნებმა მოაკითხეს. ერთი ასეთი სტუმარი გახლდათ კალუგის მონასტრების ბლაღოჩინი, ტიხონის მონასტრის წინამძღვარი, პატივცემული არქიმანდრიტი მოსე, რომელიც თითქმის მამა ამბროსის დროს მოვიდა ოპტინის მონასტერში, და მასთან ერთად ცხოვრობდა კარგა ხნის განმავლობაში, თუმცა ერთი მონასტერში, მეორე კი – სკიტში. ამ წინამძღვართან გასაუბრებას ბერი სიამოვნებად მიიჩნევდა. ორნი ჩაიკეტებოდნენ სენაკში ერთი-

ორი საათით და არაკის იღებდნენ ამ პერიოდში, არც შინაურს, არც ჩამოსულს.

ბერს საერო კეთილმორწმუნეებთან გასაუბრება უყვარდა, განსაკუთრებით განათლებულებთან. ასეთი ბევრი მოდიოდა მასთან. ბერთან მოდიოდნენ საერო მწერლებიც, როგორც, მაგალითად, დოსტოევსკი და ვიღაცა B.C.C.[126] მასზე ბერმა მისთვის ჩვეული შორსმჭვრეტელობით თქვა: „ეს მონანულია“, ხოლო მეორეს გაკიცხვით გამოეხმაურა. მამა ამბროსის ჰყავდა ცნობილი მ. პ. პოგოდინი და იურკევიჩი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. ბერთან კარგი ხანი იცხოვრა აგრეთვე კ. ნ. ლეონტიევმა. ხშირად მოდიოდნენ მასთან გრაფინია პროტასოვა, იმპერატორის სეფექალი და თაყვანების ოჯახები. მასთან სხვა ერის წარმომადგენლებიც მოდიოდნენ. მაგალითად, გრაფ ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოისთან ოპტინის მონასტერს სტუმრობდნენ ხოლმე ბერძნები, რომლებიც გრაფის ანგარიშით იყვნენ რუსეთში გაწირდილი ბერქმესები, რომლებიც მართლმადიდებლობაზე იყვნენ მოქცეულნი. სკიტს სტუმრობდა ორი დანიელი, რომელთაგანაც ერთმა მართლმადიდებლობა მიიღო. მოდიოდა ხოლმე აბისინიის მეფის შვილი და სხვები. ყველა მათგანს ბერი, როგორც ახლობლებს, შინაურებს იღებდა და მათ მდგომარეობას თანაგრძნობით უყურებდა. ასევე უყურადღებოდ არ ტოვებდა მათ ხალხურ ღირსშესანიშნაობას. საერთო სიყვარულის შედეგად ბერთან ოპტინაში ჩამოდიოდნენ კათოლიკური და სხვა არამართლმადიდებლური აღმსარებლობის ადამიანები, რომლებიც, მისი კურთხევით იქცე იღებდნენ მართლმადიდებლობას. მათგან განსაკუთრებით ცნობილია ზემოთხსენებული სერგი (სტანისლავი) მიხეილის ძე ბარანიოვი, ყოფილი კალუგის ვიცე-გუბერნატორი, რომელმაც მართლმადიდებლობა 1868 წლის 7 ნოემბერს მიიღო ოპტინის მონასტერში. ლიბავის მოქალაქე ფერდინანდ ქრისტიანის ძე როსინი, რომელიც ორიოლში ცხოვრობ-

[126] დოსტოევსკი ოპტინაში გახლდათ ერთხელ, მკრთე ხნით, რაზეც დამკვირვებელი. ბერს არასოდეს ჰქონია მასთან ურთიერთობა და მიმოწერა. გამოხმაურებაზე მამა ამბროსისა დოსტოევსკის იხილეთ სულისსარგებელ საკითხავებში, იანვარი, 1892 წ., გვ. 46.

და, 1868 წლის 26 იელისს გახდა მართლმადიდებელი და მისი ნათლია თვითონ ბერი ამბროსი გახლდათ. შვედი მარია კოროლინა ორი გელსინგფორსიდან, რომელიც მართლმადიდებლობას შეუერთდა 1869 წლის 23 თებერვალს. ის ამბობდა, რომ მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ მან დიდი სულიერი ნუგეში იგრძნო. ქალაქ ბელეევის ლუთერანი ვილჰელმინა კარლოვნა თავისი ქალიშვილი მარიამით, პოლონელი კათოლიკე, რომელიც რუსის მეუღლე გახლდათ, ელენა ტიტოვა 1869 წლის 15 მარტს გახდა მართლმადიდებელი. მანაც მართლმადიდებლობის მიღების მერე დიდი სულიერი სიხარული მიიღო. შემდეგშიც მრავალი ადამიანი შემოუერთდა ბერის მოღვაწეობის შედეგად მართლმადიდებლობას.

სედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ის, რომ ბერ ამბროსის გრაფი ლ. ნ. ტოლსტოიც[127] სტუმრობდა. ის ოპტინაში სამოცდაათიანი წლების ბოლოს მოვიდა ფეხით, გლეხის სამოსით, ქალამნებითა და ზურგზე გუდაგადაკიდებული. მალე ცნობილი გახდა მისი საგრაფო ღირსება. ის მივიდა მონასტრის ჯიხურში რაღაცის საყიდლად და დაინახა ყველას წინ ფულით გატენილი საფულის გახსნა. ამიტომ მალე მიხვდნენ, თუ ვინ იყო ის. გარეგნულად გლეხური იერით და ჩაცმულობით ის მოეწყო უბრალო სახალხო სასტუმროში. ერთ უბრალო ადამიანს ჰკითხა მამა ამბროსიმ, სად გაჩერდა. „იქ, – უთხრა მან, – გრაფთან უბრალო სახალხოში“. ეს კაცი თვითონ მივიდა მამა ამბროსთან და თავის სამოსზე მითითების შემდეგ უთხრა, თუ როგორ ცხოვრობს: „მერე რაა?“ წამოიძახა ბერმა, ღიმილით შეხედურებდა მას, უცნობია ბერის ზუსტი პასუხი გრაფის მიმართ. მაგრამ აზრი ასეთია: მარტო გარეგნობა შინაგანის გარეშე იგივეა, რაც სხეული უსულოდ. ყოველნაირი შრომა და ამქვეყნიური მოღვაწეობა თვითმოკვდინებაა, თუ ის მიმართული არ არის სახარებისეული მცნებების აღსასრულებლად და სათნოებების, განსაკუთრებით, სიმდაბლის მოსაპოვებლად, არა მარტო ვერ ამაუტანენ ადამიანის სულს სარგებელს, პირიქით, მოუტანენ უდიდეს ზიანს – ბოლომდე დაღუპავენ მას.

[127] გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი ბერთან მხოლოდ ერთხელ იყო. ამას მოწმობენ ბერი იოსები და სხვა ოპტინელი ძმები და შამორდინოელები. ზოგიერთების თქმით ტოლსტოი ოპტინაში ორჯერ იყო.

დაბოლოს, განსაკუთრებული დღე მთელი წლის განმავლობაში ბერისთვის 7 სექტემბერი იყო. მისი მოძღვრის, მამა მაკარის, გარდაცვალების დღე, რომლის მიმართაც მას უშურველი სიყვარული ჰქონდა. რადგან ამ დღეს, ბერი მაკარის გარდაცვალების დღიდან დაუშვეს სკიტში ქალთა შემოსვლა, ამიტომ ამ რიცხვში ყოველწლიურად ბევრი მონასონი ქალი და საერო მანდილოსანი იყრიდა თავს, რათა პატივი მიეგოთ ლოცვით მისი ხსოვნისთვის და მოეხსნებინათ მათი ძვირფასი სკიტი.[128] ამიტომ 7 სექტემბერს ამ განსაკუთრებული შემთხვევის გამო მამა ამბროსი გარშემორტყმული იყო ქალბატონებით, რომელთაც მთელი დღე გარშემორტყმული ჰქონდათ წმინდა მამის კორპუსი.

ამრიგად, დაულალავ შრომასა და ყოველდღიურ მოუსვენრობაში, სხვადასხვანაირ განსაცდელებში, უბედურებასა და ავადმყოფობაში – ამ ცხოვრებისეულ ტალღებსა და არეულობაში მიცურავდა მშვიდი ნავსაყუდელისკენ მამა ამბროსის ნავი. მაგრამ ცოცხალი რწმენით ფრთებშესხმული ღვთის განგებულებითა და დაუგმობელი იმედით, ის თავისი მოსიყვარულე გულით იმდენად იყო მიჯაჭვული ზეციური იერუსალიმის ენით აუწერელ სილამაზეს, რომ, როგორც მის ახლობლებს ეგონათ, თითქმის ანდა საერთოდაც, ის განსაცდელებს ვერც ამჩნევდა.

---

[128] 1899 წლიდან სკიტში ქალების შეშვება ისევ აიკრძალა.

X თავი

ბერი ამბროსის ზოგიერთი საერთო მოძღვრებანი, რომელთა უმრავლესობა მინაშენში მოსული ქალბატონების მიერაა ჩაწერილი

„ამო საუბარი გოლეული თაფლია.“[29]

როგორი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ბერის მინაშენმა მომსვლელებზე, ამაზე ერთი ამ ქალბატონთაგანი გვიამბობს ამგვარად: „რა სიხარულით დაიწყებს გული ძგერას, როდესაც ამ დაბურულ ნაძვნარში მიმავალი გზის ბოლოს სკიტის სამრეკლოს, ხოლო მარჯვენა მხარეს სიმდაბლით მოლვაწე ბერის ღარიბ სენაკს დაინახავ! რა სულის სიმსუბუქეს გრძნობ, როდესაც ზიხარ ამ ვიწრო და დახუთულ მინაშენში. და რა ნათელი გგონია ყველაფერი მის იდუმალ, ნახევრად განათებულ ოთახში! რამდენმა ადამიანმა გაიარა აქაურობა! აქ მოდიოდნენ განსაცდელთაგან ცხარე ცრემლებით მტირალნი და დაუღვრიათ სიხარულის ცრემლიც; სასოწარკვეთილები ნუგეშცემულნი და გამხნევებულნი მიდიოდნენ; ურწმუნონი და ეჭვნეულნი – ეკლესიის ერთგული შვილები ხდებოდნენ. აქ ცხოვრობდა „მოძღვარი“ – მრავალი სიკეთისა და ნუგეშის წყარო. ადამიანის ჩინსა და მდგომარეობას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას მხოლოდ ადამიანის სული აინტერესებდა, რომელიც იმდენად ძვირფასი იყო მისთვის, რომ ის, თავს ივიწყებდა და მთელი ძალით ცდილობდა ეხსნა და დაეცნებინა ადამიანი ჭეშმარიტ ჭ'სა'სე. დილიდან საღამომდე უძლურებით შეურყეველი ბერი იღებდა მომსვლელებს და ყველას სათანადოდ ანუგეშებდა. მისი სიტყვები რწმენით მიიღებოდა და ყველასთვის კანონი იყო. მისი კურთხევა და განსაკუთრებული ყურადღება დიდ ბედნიერებად ითვლებოდა და კურთხევის ღირსქნილნი პირჯვრის წერით გამოდიოდნენ მისგან და მადლობდნენ ღმერთს ნუგეშისათვის“.

თავის რჩევებსა და მოძღვრებას, რომლებითაც მამა ამბროსი

---

[29] სიბრძნე სოლ. XVI. 24

სარგებლობდა მასთან მოსულების სულიერი რწმენის გამო, იძლეოდა ან განმარტოებული საუბრისას, ან საჯაროდ, ყველას‘ე მარტივი ფორმით, მოკლედ და ხშირად სუმრობით. საერთოდ უნდა შეუნიშნოთ, რომ სახუმარო ტონი სამოძღვრებო საუბრისას ბერის თავისებურება იყო.

„როგორ უნდა ვიცხოვროთ?“ – ესმოდა ბერს ეს საერთო და ძალიან საჭირო კითხვა ყოველი მხრიდან. ის თავისებურად, ხუმრობით პასუხობდა: „ცხოვრება არაა ჭმუნვა, არავინ განიკითხო, არავინ გაამწარო და ყველას ჩემი პატივისცემა გექნებათ“. ბერის ასეთი ტონი ხშირად ღიმილს იწვევდა მსუბუქად მოაზროვნე ადამიანებში, მაგრამ თუ უფრო სერიოზულად ჩაუფიქრდებით, მაშინ ძალიან ღრმა აზრს დაინახავთ მასში. ჭმუნვის გარეშე ცხოვრება, ესე იგი აუცდენელი განსაცდელებითა და წარუმატებლობებით გული რომ არ უნდა დაიმძიმო, არამედ წარმართო ის ერთი ჭეშმარიტი, მუდმივი სიტკბოებისაკენ – უფლისკენ; რით შეიძლება დაიმშვიდოს ადამიანმა თავი ურიცხვი და სხვადასხვანაირი უკეთურობებისას, შეურიგდეს მათ თუ „დაიმდაბლოს“ თავი. „არ განიკითხო“, „არ გაამწარო“. არაა ჩვეულებრივი განკითხვა და გამწარება, ესენი მომაკვდინებელი სიამაყის შვილებია. ესენი საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანის სული ჯოჯოხეთის ფსკერზე მოაქციონ: ამასობაში მათ ადამიანების დიდი ნაწილი ცოდვად არ იყალის. „ყველას ჩემი პატივისცემა“ – მიუთითებს მოციქულის მცნებაზე; „ერთმანეთისადმი გულთბილი სიყვარულით, პატივისცემაში ერთმანეთს დაასწარით“.[130] ამ აზრის განსოგადებითა და მასთან თანხმობით ჩვენ ვხედავთ, რომ ზემოთმოყვანილ მოძღვრებაში ბერი ქადაგებდა, პირველ რიგში, სიმდაბლეზე – ეს სულიერი ცხოვრების საფუძველია, წარია ყველა სათნოებისა. წმინდა იოანე ოქროპირის სწავლებით, მის გარეშე, როგორც წინათ ვახსენეთ, შეუძლებელია გადარჩენა.

ზოგჯერ ბერი კითხვაზე: – „როგორ ვიცხოვროთ?“, – ასეთ პასუხს აძლევდა: „უნდა იცხოვრო არა თვალთმაქცურად, არამედ

[130] რომ. XIV. 17.

სამაგალითოდ, მაშინ ჩვენი საქმე მართალი იქნება, თუ არადა – ბილწი". ანდა ასე: „ერშიც შეიძლება ცხოვრება, მაგრამ არა ჯოგში, არამედ – მშვიდად". ბერის ეს მოძღვრებაც სიმდაბლის მომუშაკებისკენ მოგვიწოდებდა.

„ჩვენ, – ამბობდა ბერი, – უნდა ვიცხოვროთ მიწასე ისე, როგორც ბორბალი ბრუნავს, მხოლოდ ერთი წერტილით ეხება მიწას, სხვა ადგილებით (წერტილებით) კი უცილობლად მიილტვის ზემოთ, ჩვენ კი დაგწვებით მიწასე და ადგომას ვერ ვახერხებთ". სიმდაბლეზე კი ამბობდა: „მონასტერში რომ იცხოვრო, უნდა დაითმინო არა ერთი ურიის, არამედ მთელი ქარავნის (ურმების) სიმძიმე". და კიდევ: „მონაზონი რომ იყო, უნდა იყო ან რკინის, ან ოქროსი". ამას ბერი ასე ხსნიდა: „რკინის, ესე იგი უნდა გქონდეს დიდი მოთმინება, ოქროსი – დიდი სიმდაბლე".

„თუ ვინმე გაწყენინებს, არავის მოუყვე, გარდა ბერისა და იქნები მშვიდად. ყველას თავი დაუხარე და არ მიაქციო ყურადღება, თავდახრით გაპასუხობენ თუ – არა. სიმდაბლე ყველას წინაშე საჭიროა და თავი ყველასაზე ცუდი უნდა გეგონოს. თუ ისეთი დანაშაული არ გაგვიღებია, როგორიც სხვამ ჩაიდინა, ეს იმიტომ, რომ იმ მდგომარეობაში არ ჩავვარდნილვართ, ჩვენი გარემოება სხვანაირი იყო. ყველა ადამიანში არის რაღაც კეთილი და კარგი; ჩვენ ხომ ჩვეულებრივ მხოლოდ სიბილწეს ვხედავთ ადამიანში, ხოლო კარგს არაფერს ვამჩნევთ".

ერთხელ საეროო კურთხევაზე ბერმა თქვა: „ღმერთი თავისი მოწყალებით მიდის მხოლოდ თავმდაბლებთან". ამის შემდეგ ცოტა ხანი დუმდა, ჭკვად დაამატა: „მზად იყავით, არავინ უწყის არც დღე და არც საათი"– რამდენიმე წუთის შემდეგ, იქვე საეროო კურთხევაზე, მოახსენეს მამაოს სკიტის მორჩილის (ალექსი კრონშტადტელის) სიკვდილი.

იმის შესახებ, რომ სიმდაბლის გარეშე ხსნა შეუძლებელია, ბერი ჰყვებოდა მაგალითს: „ერთმა ქალბატონმა სიზმრად იხილა იესო ქრისტე. მის წინ ხალხის ბრბო იდგა. ღვთის მოწოდებაზე პირველი გლეხის გოგონა მივიდა, შემდეგ ქალამნიანი კაცი და ყველა, ვინც მივიდა, გლეხური წარმომაგლობის იყო. ქალბატონმა იფიქრა, რომ

მისი სიკეთისა და სათნოებისათვის მასაც წაიყვანდა. როგორი გაკვირვებული დარჩა ის, როცა დაინახა, რომ უფალი უკვე არავის ეახლდა! მან გადაწყვიტა თვითონვე შეეხსენებინა თავი ღვთისთვის, მაგრამ ის მისგან სხვა მხარეს მიტრიალდა. მაშინ ის დავარდა მიწაზე და სიმდაბლით აღიარა, რომ ის ყველაზე ცუდია და არ არის ზეციურ სასუფეველში ყოფნის ღირსი " შემდეგ კი დაამატა: „აი, ასეთები არიან ვარგისნი, ასეთებისაა ის ადგილი".

ბერის ახლოს მდგომმა თქვა: „სიამაყე მიწლის ხელს ყველაფერში". ბერმა უპასუხა: „შენ კი სიმდაბლე შეიმოსე მაშინ, ცაც რომ მიწაზე დაემხოს, არ შეგეშინდება".

ბევრს საამაყოც ბევრი არაფერი აქვს. ამის თაობაზე ბერი ასეთ რალაცას ჰყვებოდა: „ერთი ალმსარებელი ქალი ეუბნებოდა მოძღვარს, რომ ის ამაყია. „რით ამაყობ? – ჰკითხა მოძღვარმა, – დიდგვაროვანი ხარ?" -„არა",- უპასუხა მან. -„ალბათ, ნიჭიერი?" -„არა". -„ალბათ, მდიდარი?" -„არა". -„ჰმ!. მაშინ შეგიძლია იამაყო", - უთხრა ბოლოს მოძღვარმა.

კითხვაზე: „ეს მართლები, რომლებიც ღვთის მცნებებით ცხოვრობენ, რატომ არ ამაღლდებიან თავისი სიმართლით", ბერმა უპასუხა: „მათ არ იციან, თუ რა ელით ბოლოს. ამიტომ ჩვენი ხსნა შიშსა და იმედს შორის უნდა იქმნებოდეს. არასოდეს არ უნდა ჩავეარდეთ სასოწარკვეთილებაში, მაგრამ უსომო იმედიც არ არის საჭირო".

კითხვა: „შეიძლება თუ არა სულიერ ცხოვრებაში სრულყოფის სურვილი გექონდეს?" ბერის პასუხი: „მხოლოდ სურვილი არა კმარა, უნდა ცდილობდე სრულყოფას სიმდაბლეში, ე. ი. იმაში, რომ თავს ყველა ადამიანზე და ყველა დაბადებულზე უფრო ცუდად თვლიდე".

ცოდვილ ადამიანს, ბუნებრივია, სჭირდება სიმდაბლე. თუკი ის თავს არ დაიმდაბლებს, მაშინ მას დაამდაბლებენ გარემოებები, რომლებიც განგებულებითად მიეწყობა მისი სულის სასარგებლოდ. ბედნიერებაში ის დავიწყებას მიეცემა და ყველაფერს თავის თავს მიაწერს, მაგრამ როგორც კი მის თავს უბედურება მოიწევა, შენდობას სთხოვს მოწვენებით მტერსაც კი. ამ ჭეშმარიტებას ბერი იგავით გადმოსცემდა: „კაცი ხოჭოს ჰგავს. როდესაც თბილი ამინდია და

მ'სე აცხუნებს, დაფრინავს, ეამაყება თავი: ყველა ტყე ჩემია, ყველა მინდორი ჩემია! – მაგრამ როგორც კი მ'სე ჩავა, სიცივით კვდება, ავარდება ქარი, დაივიწყებს ხოჭო თავის შემართებას, ჩაეხუტება ფოთოლს და წუწუნებს: „არ მიმატოვო, არ დამაგდო!“

ბერი კიდევ ჰყვებოდა იმას, თუ როგორ დაამდაბლებენ ადამიანს სოგჯერ გარემოებები: „ერთხელ ეიღაცამ მოაწყო დიდი სადილი და გაგზავნა თავისი მომსახურეები სტუმრების დასაპატიჟებლად. ერთი დაპატიჟებულთაგანი ეკითხება მასთან გამოგზავნილ არააკურატულ მომსახურეს: „ნუთუ შენმა ბატონმა შენზე უკეთესი ვერავინ გამოაგზავნა ჩემთან“? ამაზე გამოგზავნილმა უპასუხა: „კარგები კარგების დასაპატიჟებლად გაგზავნეს, მე კი თქვენთან გამომიშვეს“.

თავის სულიერ მოსწავლე ქალბატონების დასამოძღვრად ბერი ამბროსი ამბობდა: „ერთხელ წინამძღვარ არქიმანდრიტ მოსესთან ვილაცა მოვიდა, მაგრამ, სახლში რომ არ დახვდა, წავიდა მის ღვიძლ ძმასთან, სემოხსენებულ იღუმენ ანტონთან. საუბრისას სტუმარმა ჰკითხა იღუმენს. „მითხარი, მამაო, რომელ კანონს ემხრობით?“ იღუმენმა უპასუხა: „მე ბევრი სხვადასხვა კანონით მიცხოვრია, ვცხოვრობდი უდაბნოშიც და მონასტრებშიც, ამიტომ სხვადასხვა კანონები მქონდა, ახლა კი მხოლოდ მესვერული დამრჩა; ღმერთო, მოწყალეო, გამამღვიძე მე ცოდვილი!“

ამასთან ერთად ბერი ჰყვებოდა, რომ „ერთ ქალს სულ მოგზაურობა უნდოდა, იქით-აქეთ – კიევში, სადონსკოში, ხოლო ბერი ეუბნებოდა მას: ეს შენთვის სასარგებლო არ იქნება, სჯობს დაჯდე სახლში და მესვერის ლოცვა შეასრულე“.

„როგორც კი ადამიანი თავს დაიმდაბლებს, – ამბობდა ბერი, – მაშინვე სიმდაბლეს სჯერი სასუფევლის კარებთან მიჰყავს ის“. დავამატებთ ამას მოციქულის სიტყვას: „რადგან ღვთის სამეფო საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში“.[131]

„ღვთის სასუფეველი, – ამბობდა ბერი, – სიტყვებში კი არაა, არამედ ძალაში: ნაკლებს უნდა იმეტყველო, ცოტა დაჯდე, არავის

[131] რომ. XIV, 17.

განიკითხო, და ყველას ჩემი პატივისცემა გექნებათ“.

მოთმინების შესახებ: „როდესაც გულს გტკენენ, არასოდეს ჰკითხო - რატომ და რისთვის. წმინდა წერილში ეს არსად წერია. იქ პირიქითაა ნათქვამი: თუ ვინმე მარჯვენა ლოყაში გაგარტყამს, მას მეორე მიუშვირე. მარჯვენა ლოყაში დარტყმა ნამდვილად უსერხულია. ეს კი ასე უნდა გავიგოთ: თუ ვინმე ცილს დაგწამებს ანდა უდანაშაულოდ გულს გატკენს – ეს ნიშნავს მარჯვენა ლოყაში დარტყმას. ნუ დრტვინავ, არამედ გადაიტანე მოთმინებით ეს დარტყმა, ამით მარცხენა ლოყა მიუშვირე, ე. ი. გაიხსენე შენი უსამართლო საქმენი და თუ შენ ახლა უცოდველი ხარ, წარსულში ბევრს სცოდავდი და ღირსი ხარ დაისაჯო“.

„მამაო! მასწავლეთ მოთმინება“, – უთხრა ერთმა დამ. „ისწავლე, – უპასუხა ბერმა, – და დაიწყე არსებული და შემხვედრი უსიამოვნებების მოთმინება“. – „ვერ გამიგია, როგორ შეიძლება არ აღშფოთდე უსამართლობასა და წყენაზე“. ბერის პასუხი: „თვითონ სამართლიანი იყავი და არავის აწყენინო“.

თუ რომელიმე ძმათაგანს, რომელიც სულმოკლეობით ან მოუთმენლობით, განიცდიდა იმას, რომ მას მალე არ აღკვეცენ ბერად, ბერდიაკვნის ან მღვდელ-მონაზვნის ხარისხში არ აიყვანენ, ბერი ჩვეულებისამებრ ასე მოძღვრავდა: „ძმაო, თავის დროსე ყველაფერი მოვა, ყველაფერს მოგცემენ; კეთილ საქმეებს არავინ მოგცემს“.

მონაზვნური მორჩილების შესახებ: ერთმა ქალბატონმა ჰკითხა: „მამაო, რატომ აქვს იღუმენიას მოცემული ამხელა უფლება მონაზვნებზე, თითქმის ბატონყმური?“ ბერმა უპასუხა: „უფრო დიდი, ვიდრე ბატონყმური. მათ შეუძლიათ ხელგს უკან იბუტბუტონ თავის ბატონზე და ლანძღონ იგი; მონაზვნებს ეს უფლებაც წართმეული აქვთ; მონაზონი თვითონებურად აძლევს საკუთარ თავს ბატონყმური უფლების ქვეშ“.

მრისხანებაზე: „არავინ არ უნდა გაამართლოს თავისი მრისხანება რაიმე აკადემიურობით, ეს სიამაყიდან გამომდინარეა. კაცის გულის წყრომა კი წმინდა იაკობ მოციქულის სიტყვით, არა ქმნის ღვთის სამართლიანობას.[ლდ] რომ არ მიეცეთ მრისხანებას, არ უნდა ყოფილიყო“.

[ლდ] თაკი I. მუხლი 20.

შურ'სე და ავმეხსიერება'სე საუბრისას ბერმა თქვა: „უნდა დაახლო თავს, თუნდაც ნების წინააღმდეგ, გაუკეთო რაიმე სიკეთე შენს მტერს; მთავარია, შური არ იძიო და იყო ფრთხილად, რათა არ აწყენინო მათ შეურცხყოფითა და დამცირებით".

ერთმა ქალმა ჰკითხა: „ჩემთვის გაუგებარია, მამაო, რომ თქვენ არათუ არ მრისხანებთ იმათ'სე, ვინც თქვენ'სე აუგს ამბობს, არამედ აგრძელებთ მათს სიყვარულს". ბერმა ამა'სე ბევრი იცინა და თქვა: „შენ პატარა ბიჭი გყავდა; უბრა'სდებოდი მას, რიცა ის რაიმე ცუდს აკეთებდა ან ამბობდა? თუ ცდილობდი დაგეფარა რაღაცნაირად მისი უარყოფითი მხარეები?"

სიყვარულ'სე: „სიყვარული, – ამბობდა ბერი მოციქულის სიტყვებით, – ყველაფერს პატიობს, ბევრ ხანს ითმენს, არ განიკითხავს, არაფერი სხვისი არ უნდა, არ შურს".

„სიყვარული ყველაფერს ფარავს. და თუ ვინმე უკეთებს ახლობელს სიკეთეს გულის კარნახით და არა ვალის გამო, ასეთს ეშმაკი ვერ შეუშლის ხელს; ხოლო სადაც მარტო მოვალეობით კეთდება სიკეთე, იქ ბოროტი მაინც ცდილობს ხელი შეუშალოს".

„მშრომელს უფალი წყალობას უგზავნის, ხოლო მოსიყვარულეს – ნუგეშს".

„სიყვარული, რა თქმა უნდა, ყველაფერ'სე მაღლაა. თუ შენ შეამჩნიე,- რომ შენში არ არის სიყვარული, მაგრამ გინდა გქონდეს, მა'მინ გააკეთე სიყვარულის საქმე, თუნდაც თავიდან უსიყვარულოდ. უფალი ნახავს შენს სურვილს და მცდელობას და ჩადებს შენს გულ'ში სიყვარულს. მაგრამ მთავარია, რომ შეამჩნიე, რომ შესკდე სიყვარულის წინაშე, მა'შინვე აღიარე ბერის (მოძღვრის) წინაშე. ეს შეიძლება ხოგჯერ უშვერი გულის ბრალი იყოს, ხოგჯერ კი მტრის (ეშმაკის). შენ თვითონ ვერ შეძლებ გაარჩიო ეს და რიცა აღსარებას ჩააბარებ, მტერი (ეშმაკი) განგეშორება".

„ვისაც უშვერი გული აქვს, სასოწარკვეთილება'ში არ უნდა ჩავარდეს, რადგან ღვთის შეწევნით და დაჸმარებით ადამიანს შეუძლია გამოასწოროს თავისი გული. ამისათვის აუცილებელია მიხედო თავს და არ გაუშვა ხელიდან შანსი, არცა მოყვასს. ხშირად უნდა გაიხსნა მოძღვართან და შეძლებისდაგვარად იყო მოწყალე

ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, უკბად შეუძლებელია, მაგრამ უფალი დიდხანს ითმენს. ის მხოლოდ მაშინ წყვეტს ადამიანის სიცოცხლეს, როცა ხედავს მის მსადგურნას, გადავიდეს მარადიულ ცხოვრებაში ანდა რიდესაც მისი გამოსწორების არავითარი იმედი არ აქვს ".

„თუ ადამიანებს ღვთისგან მოვლენილი სტუმარივით მიიღებ, მაშინ, დამიჯერე, ყველა შენ მიმართ კეთილად განეწყობა".

„ადამიანმა თავი რომ გამოასწოროს, არაა საჭირო უკბად დაჯახება, არამედ როგორც დიდ ნავს ეწევიან: მოწიე-მოწიე-მოწიე, მიეცი-მიეცი! – ყველაფერი უკბად არა, არამედ ნელ-ნელა. იცი რა არის ანძა გემზე? ეს ისეთი ნაწილია, რასეცაა მიბმული გემის ყველა თოკი; თუ მას გამოწევ, მაშინ ნელ-ნელა ყველა მოიწევა; თუ სწრაფად გამოწევ, მაშინ დაძვრისგან ყველაფერს გააფუჭებ".[13]

„უნებლობის მიღწევა მკისიერად შეუძლებელია, ამიტომ ყოველთვის, როცა ცდილას გრძნობ, თქვი: ღმერთო, მომიტევე! უფალი ერთადერთია, ვისაც შეუძლია დააკანოს ადამიანის გულში სიყვარული".

მოწყალებაზე ბერი ამბროსი ამბობდა: „წმინდა დიმიტრი როსტოველი წერს. თუ შენთან მოვიდა ცხენზე ამხედრებული ადამიანი და დანაყრებას გთხოვს, მიეცი მას საკვები. როგორ გამოიყენებს და შეიშნოებს ის შენს მოწყალებას, შენ ამაზე პასუხს არ აგებ".

კიდევ. „წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: დაიწყე უქონელებზე იმის მიცემა, რაც შენ არ გჭირდება, შემდეგ შეძლებ შენთვის მოიკლო და გასცე. ბოლოს კი მსად იქნები მისცე ყველაფერი, რაც გაგაჩნია".

კითხვაზე, როგორ გავიგოთ სახარების სიტყვები: „იყავით ბრძენნი, ვითარცა გველნი", ბერმა ასე ახსნა: „გველი, როდესაც ძველ ტყავს ახლით იცვლის, გაძვრება ძალიან ვიწრო ხვრელში და ამრიგად მისთვის ადვილი ხდება ძველი ტყავის დატოვება: ასეა ადამიანიც, თუ მას სურს განიძარცვოს ძველისაგან, უნდა იაროს ვიწრო გზით, სახარებისეული მცნებების აღსრულებით. ყოველი თავდასხმისას გველი ცდილობს დაიცვას თავი. ადამიანი ყველაზე უფრო თავის

მსგავსი მოსაზრება აქვს წმინდა სერაფიმ საროველს. „ყველაფერი აკეთე ნელ-ნელა, ფრთხილად და არა ნაჯაბიანად, სათნოება მსხალი არ არის – მას უკბად ვერ შეჭამ" (სერაფიმო-დივეევოს მონასტრის მატიანე. მღვდელი ლ. მ ნიკაგოვი, 1896 წ., გვ. 344).

სარწმუნოებას უნდა გაუფრთხილდეს. სანამ რწმენა შენარჩუნებულია, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება“.

„მე როგორღაც ვეუბნებოდი წმინდა მამას, – წერს მისი სულიერი შვილი, – ერთ ოჯახს, რომ მე ისინი ძალიან მეკოდება – მათ არაფერი სწამთ, არც ღმერთი, არც მომავალი ცხოვრება. მეკოდება იმიტომ, რომ ისინი, შეიძლება, ამაში თვითონ არ იყონ დამნაშავე – ისინი ასეთ ურწმუნოებაში გაჰყარდეს, შეიძლება სხვა მიზეზებიც იყო“. ბერმა გააქნია თავი და მრისხანედ თქვა: „ულმერთოების გამართლება არ შეიძლება. ყველას, წარმართებსაც, ხომ გადაჭრით უქადაგეს სახარება. ბოლოს და ბოლოს ბუნებით ყველა ჩვენგანს დაბადებიდანვე ჩანერგილი აქვს იმის გრძნობა, რომ ღმერთი არსებობს, ეტყობა, თვითონ არიან დამნაშავე. შენ მეკითხები, შეიძლება თუ არა ასეთებზე ლოცვა. რა თქმა უნდა, ლოცვა ყველაზე შეიძლება“. – „მამაო! – ეუბნებოდი ამის შემდეგ, – ხომ ვერ იგრძნობს მომავალ ცხოვრებაში სრულ ნეტარებას ის, ვისი ახლობლები და ნათესავები ჯოჯოხეთში დაიტანჯებიან?“ ამაზე კი ბერმა მითხრა: „არა, იქ ეს გრძნობა უკვე არ იქნება, – მაშინ ყველას დაივიწყებ. ეს იგივეა, რაც გამოცდაზე. როცა გამოცდაზე მიდიხარ, ჯერ კიდევ გეშინია, და სხვადასხვანაირი აზრები გაწუხებს. მოხვედი, აიღე ბილეთი (რაზეც უნდა უპასუხო) და ყველაფერი დაგავიწყდა“.

მოვიდა ბერთან რომელილაც ბატონი, რომელსაც ეშმაკების არსებობა არ სჯეროდა. ბერი მოუყვა შემდეგს: „მოვიდა ერთი კაცი სოფელში სტუმრად თავის ნაცნობებთან და ღამის გასათევი ოთახი თვითონ აირჩია. მას უთხრეს: აქ არ დაწვე, ამ ოთახში უსიამოვნებაა. მან არ დაუჯერა და დასცინა მათ. დაწვა. ‘უცბად ესმის ღამით, რომ ვილაცა პირდაპირ მელოტ თავზე სულს უბერავს. მან საბანი დახურა. მაშინ ეს ვილაცა მის ფეხებთან გადავიდა და დაჯდა თეთრეულზე. სტუმარს შეეშინდა, გაიქცა იქიდან და საკუთარი გამოცდილებით დაიჯერა, რომ ბნელი ძალები არსებობენ“. მაგრამ ამ მონაყოლის შემდეგაც იმ ბატონმა თქვა: „თქვენი ნებაა, მამაო, მე არ მესმის. ვინ არიან ეს ეშმაკები“. ამაზე ბერმა უპასუხა: „მათემატიკაც ხომ არ ესმით ყველას, მაგრამ ის არსებობს“. და კიდევ დაამატა: „როგორ არ არსებობენ ეშმაკები, როცა სახარებიდან ვიცით, რომ თვითონ

უფალმა უბრძანა შესულიყვნენ ღორების კოლტში?“ ბატონი შეეწინააღმდეგა: „ეს ხომ ალეგორიულადაა? -„ალბათ, - აგრძელებდა რწმუნებას ბერი, – ღორებიც ალეგორიულნი არიან და ღორებიც არ არსებობენ. მაგრამ თუ ღორები არსებობენ, მაშინ ეშმაკებიც არსებობენ“.

„სოგიერთები, ამბობდა ბერი, უარყოფდნენ ღვთის რწმენას სხვების მიბაძვით და ცრუ სირცხვილით. და აი, შემთხვევა: ერთს არ სწამდა ღვთისა, მაგრამ როდესაც კავკასიაში ომში ყოფნისას მის გვერდით ტყვიებმა დაიწყეს კაკანი, ჩაიკუსა, ჩაეხუტა თავის ცხენს და შეუწყნარებლივ ამბობდა: „ყოველადწმიდაო ღვთისმშობელო, გვიხსენ ჩვენ!“ შემდეგ კი, როდესაც ამის გახსენება‘ზე ამხანაგები დასცინოდნენ მას, მან უარყო თავისი სიტყვები“. შემდეგ კი ბერმა დაამატა: „თვალთმაქცობა ურწმუნოება‘ზე უარესია“.

სი‘სარმაცესა და სეცდიანობა‘ზე (გ‘ულგატეხილობა‘ზე): „მოწყენილობა გ‘ულგატეხილობის შვილიშვილია, ხოლო სი‘სარმაცე – ქალი‘შვილი. ის რომ განდევნო,‘უნდა ი‘შრომო, ლოცვაში ნუ ი‘სარმაცებ: მაშინ მოწყენილობაც გაივლის და გ‘ულმოდგინებაც მოვა. და თუ ამას სიმდაბლესა და მოთმინებას მიუმატებ, მა‘შინ თავს მრავალი ბოროტებისაგან იხსნი“.

როდესაც სევდა მოგეძალება, ამხილე თავი: გაიხსენე, რამდენი დანაშა‘ული გაქვს ღვთისა და საკუთარი თავის წინა‘შე და ალიარე, რომ უცთომის ღირსი არა ხარ და მაშინვე იგრძნობ სიმსუბუქეს. ნათქვამია: ბევრი განსაცდელი – მართლებს და ბევრი ჭრილობა – ცოდვილებს. ასეთია ჩვენი ცხოვრება აქ – სულ განსაცდელი და მწუხარება, მაგრამ მათი მეშვეობით მოიმუშაკება ცათა სასუფეველი. მოუსვენრობისას ხშირად გაიმეორე: „ქრისტე მშველობა და მოიპოვებ მას“.

უგრძნობლობასა და უშინა‘შობა‘ზე, უცაბედი სიკვდილის შესახებ ბერმა თქვა. „აი, სიკვდილი. შორს არ არის, არამედ მხრებს უკანია. ჩვენ კი აინუნ‘შიც არ ვაგდებთო“.

კიდევ ამბობდა: „სოფლის ერთ ბოლო‘ში რომ ძვლ‘ს ჭიდებდნენ. მეორე ბოლოში ცოდვას არ წყვეტენ: ჩვენამდე ჯერ კიდევ კარგა ხანი ვერ მოაღწევენ“.

მონანიებაზე (სინანულზე): "შესაბამისად რომ გაეანალიზებინათ სინანულის ძალა და აუცილებლობა, ბერი „სინანულზე" ღირსი მარკოზს მოლეაწისა ბროშურებს არიგებდა. სხვათა შორის, ის ამბობდა: „რა დრო დაგვიდგა! ხშირად, თუ ვინმე გულწრფელად მოინანიებდა ცოდვებს, უკვე აღარ გაკვლიდა თავის ცოდვილ ცხოვრებაზე სიკეთეს; ახლა კი ხშირად ასე ხდება: კაცი მოჭედება ადსარებაზე ძირფესვიანად თავის ყველა ცოდვას, მაგრამ მერე ისევ თავისას აკეთებს, ისევ სცოდავს".

ბერი სამოძღვრო მოთხრობას გადმოგვცემდა: „იჯდა ეშმაკი ადამიანის სახით და ფეხებს აქანავებდა. ამის სულიერი თვალით მხილველმა ჰკითხა მას: რატომ არაფერს აკეთებ? – ეშმაკმა უპასუხა: არაფერი საქმე არ მაქვს, გარდა ფეხების ქნევისა – ადამიანები ყველაფერს ჩემზე უკეთესად აკეთებენ".

მონანიების ძალაზე შემდეგს გვიყვებოდა: „ერთი მთელი ცხოვრება სულ სცოდავდა და ინანიებდა. ბოლოს მოინანია და მოკვდა. ბოროტი სული მოვიდა მისი სულის წასაყვანად და თქვა: ის ჩემია. უფალი ეუბნება: არა, ის ინანიებდა. – ინანიებდა, მაგრამ ისევ სცოდავდა – აგრძელებდა ეშმაკი. მაშინ ღმერთმა მას უთხრა: თუ შენ, ბოროტო, იღებდი შენთან მას მერე, რაც ის ჩემთან ინანიებდა, მე რატომ არ უნდა მივიღო ის იმის მერე, რაც მან შესცოდა და ისევ მოდიოდა ჩემთან სინანულით? შენ გაივწყდება, რომ შენ ბოროტი ხარ, მე კი – კეთილი".

„თვითგამართლება, – ამბობდა ბერი, – დიდი ცოდვაა. წმინდა წერილში ნათქვამია: „რაჟამს მოვიღო ჟამი, მე სიწრფოებასა ესჯიდე.[14]"

„ცოდვები, კაკალს ჰგავს, – ნაჭუჭს დაამტვრევ, ნიგვზის გამორჩება კი, ძნელია".

„ხსნისთვის სამი საყუჩერი უნდა გაიარო. წმინდა იოანე ოქროპირი წერს: ა) არ შესცოდო, ბ) თუ შესცოდე, – მოინანიე. გ) ვინც ცუდად ინანიებს, მან განსაცდელი უნდა დაითმინოს".

„ასე ხდება, – ამბობდა ბერი, – რომ თუმცა სინანულის შემდეგ ცოდვები მოგეტევება, მაგრამ სინდისი მუდმივად გასაყვედურობს.

[14] ფსალმუნი. 124. 3.

ბერი მაკარი შედარებისათვის ხოგჯერ საკუთარ თითს გვაჩვენებდა, რომელიც ოდესღაც გაიჭრა: დიდი ხანია, არ სტკივა, მაგრამ იარა დარჩა. ზუსტად ასევეა ცოდვების მიტევების მერე, ნაიარევი რჩება, ე. ი. სინდისის ქენჯნა.“

„თუმცა უფალი პატიობს ცოდვებს მონანულებს, მაგრამ ყოველი ცოდვა ითხოვს განმწმენდელ სასჯელს. მაგალითად, კეთილგონიერ ავაზაკს თვითონ უფალმა უთხრა: „დღესვე ჩემთან იქნები სამოთხეში“ სხვათა შორის, ამის შემდეგ გადაუტეხეს მას წვივის ძვლები. როგორია, ოდენ ხელებით წვივგადატეხილი ჩამოეკიდო ძელზე სამი საათი? ესე იგი იმას მოწამეობრივი განწმენდა სჭირდებოდა. ცოდვილები, რომლებიც მალე კვდებიან მონანიების მერე, მათს განწმენდას ემსახურება საეკლესიო და პირადი ლოცვები; ხოლო ისინი, ვინც ისევ ცოცხალნი არიან, თვითონ უნდა განიწმინდონ ცხოვრების გამოსწორებითა და მოწყალებით, რომელნიც ცოდვებს ფარავენ“.

„ადამიანისთვის ჯვარს (ე. ი. სულისა და ხორცისა განმწმენდელი ტანჯვა) უფალი არ ქმნის. რაც არ უნდა მძიმე ჯვარი ჰქონდეს ადამიანს, რომელსაც ის ატარებს ცხოვრებაში, მაინც ხე, რომლისგანაც ეს ჯვარია გაკეთებული, ყოველთვის ადამიანის გულის ნიადაგს ჰგავს აღმოცენებული“.

ხოგჯერ ნათქვამი ჭეშმარიტების დასტურად თავის თავს იტყოდა: „აი, მე, მაგალითად, ყოველთვის მოლაყბე ვიყავი, მიყვარდა ადამიანებთან გასაუბრება, გართობა; უფალმაც ასე მოაწყო, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ხალხთან მესაუბრა. ახლა გამიხარდებოდა მდუმარება, მაგრამ არ მიწევს“.

„როდესაც ადამიანი მიდის სწორი გზით, – ამბობდა ბერი, – მისთვის ჯვარიც არ არსებობს. მაგრამ, როდესაც გადაუხვევს მისგან და ხან ერთ მხარეს ეცემა, ხან – მეორეს, მაშინ გამოჩნდებიან სხვადასხვა გარემოებანი, რომლებიც ებიძგებენ მას ისევ პირდაპირი გზისკენ. ეს ბიძგები წარმოადგენენ ადამიანისთვის ჯვარს. ისინი, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირი არიან, კისაც როგორი სჭირდება“.

„მიდი, საითაც წაგიყვანენ: უყურე, რასაც განახებენ და სულ იმეორე: იყოს ნება შენი!“

„არსებობს ასრიობრივი ჯვარი, შეაძრწუნებენ ხოგჯერ ადამიანს

ცოდვიანი ა'სრები; მაგრამ ადამიანი მათში დამნა'შაეც არ არის, თუ არ დართავს ნებას მათ". ბერი მაგალითებს ამბობდა: „ერთი მოლვაწე ქალი, ეკატერინე სინელი დიდი ხნის განმავლობაში უწმინდური ა'სრებით იყო მოცული. როდესაც უფალმა გამოცხადებით განდევნა ისინი მისგან, მან შესძახა: სად იყავი აქამდე, ჩემო ტკბილო იესო? – უფალმა უპას'უხა: შენს გულ'ში ვიყავი. – მან უთხრა: ეს როგორ შეიძლება ყოფილიყო? ჩემი გული ხომ უწმინდური ა'სრებით იყო სავსე. მა'მინ ღმერთმა უთხრა: ამიტომაც დაუკვირდი, რომ მე ვიყავი შენს გულ'ში, შენ კუდი განწყობა გქონდა ბილწი ა'სრების მიმართ. ცდილობდი გათავისუფლებულიყავი მათგან, მაგრამ არ გქონდა შესაძლებლობა, გტკიოდა ეს, და ამით მომიმ'სადე მე ადგილი შენს გულ'ში".[135]

„სოგჯერ ადამიანს ვნებანი უმი'ს'ოდ ეძლევა, იმისათვის, რომ ის, ქრისტეს მაგალითის მიხედვით, ეცნოს სხვების მაგივრად. თვითონ მაცხოვარი ევნო ადამიანებისათვის. მისი მოციქულებით ასევე წვალობდნენ და მოწამეობდნენ ეკლესიისთვის და ხალხისთვის. გქონდეს სრულყოფილი სიყვარული, ნიშნავს ევნო მოყვასისთვის".

ადამიანს ყველა საქმე'ში სჭირდება ღვთის შეწევნა. ბერი ამბობდა: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შ'ერებიან მა'შენებელნი მისნი".[136] ეს ნიშნავს, თუ ღმერთმა არ აკურთხა რაიმე, ტყუილად შრომობენ, ცუდად შერებიან მაშენებელნი; და ტყუილად აღდგება ის ადამიანი დილააღრიან – არ წავლენ მისი საქმეები კარგად ღვთის კურთხევის გარე'შე".

ამიტომაა საჭირო ყველაფერ'ში ღვთის შეწევნის თხოვნა, საჭიროა გულისმიერი ლოცვა.

„რატომ სცოდაენ ადამიანები?"- სცამდა სოგჯერ კითხვას ბერი და თვითონვე ხსნიდა მას: „ან იმიტომ, რომ არ იციან, რა უნდა აკეთონ და რას უნდა ერიდონ, ანდა თუ იციან, აცდუნებათ, თუ არ ავიწყდებათ, სარმაცობენ. პირიქით: რადგან ადამიანები ღვთისმოსა-

---

[135] ეკატერინე სინელი, რომელსაც ახსენებს წმინდა დიმიტრი როსტოველი მისი ქრონიკების პირველ ნაწილში, სტატიაში „სულიერი ჩვენებანი არეულნი ა'სრებისა. სხვადასხვა სამამულო წიგნებიდან მოკლე ნაკრები".

[136] ფსალმუნი. CXXVI. 1.

ობაში ძალიან სარმაცები არიან, ამიტომ ძალიან ს'მირად აკი\'ყდებათ მთავარი ვალდებ'ულება – ემსახ'ურონ ღმერთს; სი'სარმაცისა და დაკი\'ყბისაგან დაეცემიან უკიდ'ურეს უგონობამდე და სიბრმავემდე. ეს სამი გმირია – სასიო\'არკვეთილება და სი'სარმაცე, დაკი\'ყება და სიბრმავე, რომლებითაც შეკრ'ულია მთელი კაცობრიობა გადაუჭრელი ნასკვით. ამას მოსდევს გარეშ'რობა ბოროტი ენებების მთელ კრებ'ულთან. ამიტომაც ვეეედრებით 'სეკიურ დეედოფალს: ყოვლადწ'მინდაო დეედოფალო, ჩემო ღვთისმშობელო, სი\'წმინდითა შენითა და ყოვლადძლიერი ლოცვებით განდევნე თავმდაბალი და უბადრ'უკი 'შენი მონისგან სეედიანობა, დაკი\'ყება, უგნ'ურება, გარეშ'რობა და ყოველივე სიბილწე, ბოროტი და მგმობელი 'სრახვა[137] და სხვა".

ბერი ამბროსი, რჯ'ულად უკეებდა წერილობითაც და სეპირადაც, ელოცათ იესოს მოკლე ლოცვა. „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემი\'ყალე მე ცოდვილი".

აი, ასე წერდა ის ერთ პიროვნებას: „უფალი გაკ'ურთხებს, მიატოვო ჩვე'ულებრივი კანონები და მ'უდმივად იესოს ლოცვა'ში იყო,რომელსაც შე'უძლია უფრო დააშ'ვიდოს სული, ვიდრე დიდი საკელიო კანონის აღსრ'ულება. ერთი ძველი გამოცდილი ბერი, სახელად ვასილი, ასე ხსნიდა ამას: ვინც დიდ საკელიო წესს აღასრ'ულებს, ხ'შირად აღეძრავთ მას ამპარტავნებით; როდესაც რატომღაც ვერ შეძლებს კანონის აღსრ'ულებას, მაშინ შეძრ\'უნდება. ხოლო ვინც იესოს ლოცვას მ'უდმივად აღასრ'ულებს,მიაღწევს სულის სიმდაბლეს თითქოს არაფრის გამკეთებელი და თავს ვერაფრით აიმაღლებს".[138]

ბერი ამატებდა: „რით უნდა ამაღლდეს ნამდვილად ადამიანი აქ? გაცვეთილი, დაწალიკებ'ული ითხოვს წყალობას: შემი\'ყალე, შემი\'ყალე! მიეცემა თ'ე არა წყალობა, ეს ჯერ კიდეე არავინ იცის".

ბერი ამასაც ამბობდა: „ერთმა ძმამ ჰკითხა მეორეს: ვინ გასწავლა იესოს ლოცვა? – მან კი უპასუხა: ე'მშაკებმა. – ეს როგორ? – აი,ასე. ისინი მა\'უხებენ ცოდვიანი 'სრახვებით, მე კი ელოც'ულობდი და ელოც'ულობდი[139] – ასე შეეეხვეე".

---

[137] ბოლო ლოცვა დიდის ლოცვებ'შია.

[138] ბერი ამბროსის წერილები .. სა'სიცოცხლოების წინაშ'ლვარიათ.

[139] წ'შინდა იოანე კიბისაღმ'წერელი ამბობს: „ერთ'ელ მოხ'ლებს იესოს სახელით,

როდესაც მტერი კაცისა დაგიწყებს ძირის გამოთხრას,(როცა ლოცვისას ვინმესე გალიზიანდები) ასე ილოცე: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი!“

ერთი ძმა ჩიოდა ბერთან,რომ ლოცვისას მრავალი სხვადასხვანაირი ზრახვა აწუხებდა. ბერმა უთხრა: „მიდიოდა მამაკაცი ბაზარში, მის ირგვლივ ხალხი ირეოდა. საუბარი. ხმაური. ის კი თავის ცხენს ეუბნებოდა: არუ-აჩუ!აჩუ-აჩუ! – ასე ნელ-ნელა გაიარა მთელი ბაზარი. შენც ასე მოიქეცი, რაც არ უნდა თქვან ზრახვებმა, შენ მაინც შენი საქმე აკეთე – ილოცე!“

იესო ქრისტესადმი ღუმილით ლოცვის სახელმძღვანელოდ ბერი ბროშურებს არიგებდა ასეთი სათაურით: „უფალო, შეგვიწყალეს“ განმარტება.

რათა აღეძრა ზარმაცები და გულგატეხილები ამ ლოცვაში გასავარჯიშებლად, მამა ამბროსი იესოს სახელზე შემდეგ ამბავს მოგვითხრობდა: „ერთ ღმრთისმოყვარე ადამიანს ჰყავდა ნასწავლი შაშვი,რომელიც მუდმივად ისმენდა პატრონისგან ნათქვამ ლოცვას: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“, – და თვითონაც შეეჩვია ამის გამეორებას. ერთხელ ზაფხულში ღია ფანჯრიდან გაფრინდა ქუჩაში, იქვე უნდა დაფრენოდა მას ქორი, მაგრამ შაშვმა, ჩვეულების გამო, შეშინებულმა ამოჭიკჭიკა იესოს ლოცვა და მაშინვე ქორი განეშორა მას. ამრიგად, უაზროდ ნათქვამმა ლოცვამაც კი გადაარჩინა მოწეული უბედურებისაგან“.

უსრულველად რომ არ დარჩნენ ადამიანები და იმედები სრულიად არ დაამცარონ სხვის ლოცვაზე,ბერი ჩვეულებრივ ხალხურ ანდაზას იმეორებდა: „ღმერთო, მიშველე, – ხელი გაანძრიე და გიშველი“. და კიდევ ამბობდა: „სიბრძნემ აიშენა სახლი და თქვა, ვინც უგნურია (უკაცო), მომაკითხეთ აქ! და გონებანაკლულებს პატიჟებდა: მოდით, ჭამეთ ჩემი პური და სვით ღვინო, რათა გაძლიერებულებმა ითხოვოთ გონების განათება“. ა. ტ-ძ. უთხრა: „მამაო! ვისი ბაგით ვთხოვოთ, თუ არა თქვენით?“ ბერმა უპასუხა: „შენც ითხოვე; გაიხსენე, თორმეტი მოციქული თხოვდა მაცხოვარს ქანაანელი ქალისთვის, მაგრამ

რადგან ამაზე უფრო ძლიერი იარაღი არ არსებობს. არც ცაზე, და არც მიწაზე (სიტყვ. XXI, განყ. 7).

მათ არ მოუსმინა, თვითონ კი ითხოვა – გამოითხოვა".

რადგანაც ლოცვა უძლიერესი იარაღია უხილავი მტრის წინააღმდეგ, ამიტომ ის ცდილობს ადამიანის ყურადღება ყოველნაირად მოარიდოს ლოცვას. ბერი ასეთ მოთხრობას გადმოგვცემდა: „ათონ'სე ერთ ბერს მოლაპარაკე შაშვი ჰყავდა, რომელიც მას ძალიან უყვარდა და ერთობოდა მისი ლაპარაკით. მაგრამ საოცარია, როგორც კი ბერი თავისი კანონების შესრულებას დაიწყებდა, შაშვი მაშინვე დაიწყებდა ლაპარაკს და ლოცვის საშუალებას არ აძლევდა ბერს. ერთხელ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულ'ზე ბერი მივიდა გალიასთან და ეუბნება: „შაშვო, ქრისტე აღსდგა!' – შაშვმა უპასუხა: „სწორედ ესაა ჩვენი უბედურება, რომ აღსდგა", – და იქვე გაშეშდა (მოკვდა); ბერის სენაკში საშინელი სუნი დატრიალდა. მაშინ მიხვდა ბერი თავის დანაშაულს და აღიარა ის".

ღმერთი ყველაზე უფრო ადამიანის სულის ლოცვით შინაგანწყობას უყურებს. ამის შესახებ ბერი ამბობდა: „მოვიდა ერთხელ ზემოთ ხსენებულ იღუმენ ანტონთან ავადმყოფი, რომელსაც ფეხები სტკიოდა და უთხრა: „მამაო, მე ფეხები მტკივა, არ შემიძლია მეტანიების გაკეთება და ეს მაწუხებს". მამა ანტონმა უპასუხა მას: „წმინდა წერილში წერია: „ძეს ჩვენი გულები უნდა და არა ფეხები".

ერთმა მონაზონმა უთხრა ბერს, რომ ნახა სიზმრად ღმრთისმშობლის ხატი და მისგან მოისმინა: „შესაწირი შემომწირე". ბერმა ჰკითხა: „მერე, შესწირე?" მან უპასუხა: „რა უნდა შევწირო? მე არაფერი მაქვს". მაშინ წმინდა მამამ მიუგო: „ფსალმუნში წერია: მსხვერპლმან ქებისამან მადიდოს მე".[140]

ჯვრის სასწაულ ძალაზე ბერი ასეთ მოთხრობას ჰყვებოდა: „ერთს ზედმეტის დალევა უყვარდა. ასეთ მდგომარეობაში ის სადღაც დაიკარგა და მოელანდა, თითქოს ვილაცა მოდის მასთან, გრაფინიდან ჭიქაში არაყს ასხამს და სთავაზობს მას დალევას. მან წინასწარ, ჩვეულებისამებრ პირჯვარი გადაიწერა და უცბად ყველაფერი გაქრა, ხოლო შორიდან ძაღლის ყეფა მოესმა. ახლოს რომ მივიდა, ნახა, რომ ჭაობში იყო შესული და ძალიან სახიფათო ადგილას იმყოფებოდა. ძაღლის ყეფა რომ არა, ვერც გამოაგნებდა იქიდან".

[140] ფსალმ. XI IX. 23.

სიმდაბლითა და უბრალოებით ნაცხოვრებ ადამიანზე: „მივიდა ერთი ახალგაზრდა კაცი მოსკოვის რომელიღაც მონასტერში და წინამძღვარს სთხოვა მიეღო საძმოში. წინამძღვარმა იხილა რა მისი სიმშვიდე, ურჩია მას, რომ უკეთესი იქნებოდა წასულიყო ოპტინის მონასტერში. ახალგაზრდა კაცმა დაუჯერა, ჩამოვიდა ოპტინაში. აქ არქიმანდრიტმა მოსემ დაუყოვნებლივ მიიღო და უთხრა მის შესახებ ბერ მაკარის. მოათავსეს ის ცალკე, მწერლის ოთახში. ეს მორჩილი ბერივით იქცეოდა. ტაძარში წყნარად, მკაცრი მოწიწებითა და სიმდაბლით თვალებდახრილი იდგა. წინამძღვრის კურთხევის გარეშე ტაძრიდან არ გადიოდა. და როცა კედებოდა, სულ ილიმებოდა“. აქვე ბერმა დაამატა: „ეტყობა, მას გამოცხადება ჰქონდა და მშვიდად მოკვდა. ღვთის რჩეულები ყოველთვის ასე იქცევიან, მათ განსაკუთრებულად მფარველობს უფალი. ვინც თავს უფალს მიანდობს, მას ღვთისგან განსაკუთრებული მზრუნველობა აქვს“.

მწირ-დარიუშკაზე საუბრისას ბერმა ღრმად ამოისუნთქა და თქვა: „დიახ, უფალი უბრალო გულებში განისვენებს. ოქრო ყველგან ჩანს და ყველგან გამოიანათებს, მიუხედავად მისი ფორმისა; სხვა კი, როგორც არ უნდა ახუჭუჭო, ოქრო არ იქნება“. შენიშნაზე, რომ დარიუშკა კარგად გარდაიცვალა, ბერმა თქვა: „ბოლო იმიტომ ჰქონდა კარგი, რომ კარგად ცხოვრობდა. როგორც იცხოვრებ, ისე მოკვდები“.

იმის თაობაზე, თუ როგორ მძიმედ ამოიძირკვება ცოდვიანი ჩვევები ადამიანში, და როგორ ძლიერად მოქმედებს მასზე სხვისი მაგალითი, ბერი ამბობდა: „როგორც ცხენების რემაში დაჭერილი გატყეურებული ცხენი, როდესაც მას ქამანდს მოსდებენ და წაიყვანენ, პირველად ეწინააღმდეგება და გვერდულად მიდის, ხოლო შემდეგ, როცა მიმოიხედავს და მიხვდება, რომ სხვა ცხენები მშვიდად მიდიან, თვითონაც მწყობრით წავა: ასეა ადამიანიც“.

ეშმაკის ბადეებზე: „სარმაცი ობობა ზის ერთ ადგილას, გამოუშვებს ძაფს და უცდის, როგორც კი გაებმება ბუზი, მაშინვე თავს მისგან შორს იჭერს: ბუზი კი ბზუის“. ამასთან ბერმა მრავალმნიშვნელოვნად დაამატა: „ვიბზეებთ! ასევე აბამს ჩვენი მტერი ბადეებს და როგორც კი ვინმე გაებმება, ვაი მას“. შემდეგ ბერი მიუბრუნდა ეილაცას და თქვა: „ჭკვიანად იყავი, – არ აღმოჩნდე ბუზის როლში,

თორემ ისევე იბზუებ, როგორც ის“.

რა უნდა ექნათ? თავისთავად წამოიჭრება კითხვა: ადამიანი უძლურია, მტერი კი ვერაგი. ამის თაობაზე ბერი ამბროსი, სხვათა შორის, სამოძღვრო თხრობას გვაწვდის: „რომელიღაც მამამ გააგზავნა ბიჭი ტყეში საქმეზე. ბიჭმა კი უთხრა. „მამა, როგორ უნდა ვიყო იქ მარტო? – მე არაფერი ვიცი“. – „არა უშავს, წადი, – პასუხობს მამა, – საჭიროება ყველაფერს გასწავლის. შვილი წავიდა, მაგრამ ტყეში მარხილი (ციგა) დაემტვრა. გაახსენდა მამის სიტყვა – საჭიროება ყველაფერს გასწავლისო და დაიწყო ყვირილი: საჭიროებაა! ის კი (ეშო) პასუხობს მას: ააა! უცადა, უცადა, იყვირა, იყვირა და არავინ მოვიდა მის დასახმარებლად. მაშინ ჩამოვიდა, თვითონ შეაკეთა მარხილი, მოვიდა მამასთან და ეუბნება: მომატყუე, მამა, საჭიროება არ მოსულა ჩემს დასახმარებლად. – „აბა, რა მოახერხე შენით? – „აი, ასე ძლივძლივობით“. – „აი, ის რომ შენ ძლივძლივობით გამოასწორე, ეს ნიშნავს, რომ საჭიროებამ გასწავლა, როგორ მოქცეულიყავი“.[11]

ერთხელ ბერი გამოვიდა კურთხევის მისაცემად მინაშენში და თქვა: „პატრონს ჰყავდა ბატები. ის მოეფერებოდა მათ: ტე-ჟა, ტე-ჟა; ისინი კი ისევ ბატებად რჩებოდნენ“.

ბერი ავად გახლდათ და საერთო კურთხევისას თქვა: „დღეს ძალიან დავეძლურდი! თუ ასე რამდენჯერმე გამიმეორა, მაშინ დიდხანს ვერ გავიტან. ოდესმე ხომ იმქვეყნადაც უნდა წავიდე“. – „მხოლოდ ახლა არა, მამაო, – ეწინააღმდეგებიან მას, – ჩვენ უთქვენოდ რა გვეშველება? თქვენ ჯერ კიდევ უნდა იცხოვროთ ჩვენთან“. ამაზე ბერმა უთხრა: „თქვენთან ხოგჯერ ძალიან მიჭირს. მე თქვენ გმოძღვრავდით, სულ გეუბნებოდით, ყველაფერს გასწავლიდით, მაგრამ არ ვიცი, ისწავლეთ რამე თუ არა. აი, ამ კითხვას ეუსვამდი ჩემს თავს ავადმყოფობისას. ყოველ შემთხვევაში, მშვიდობა გქონდეთ ერთმანეთში“.

კიდევ ბევრი დამრიგებლური საუბარი ჰქონდა მამა ამბროსის. ზოგიერთი მათგანი აქვე, მისი ცხოვრების აღწერაში სხვადასხვა ადგილასაა მოთხრობილი.

---

[11] ამ მოთხრობით ბერი მიუთითებდა იმაზე, რომ ღვთის განგებულების ასე მოეწყო ადამიანის ცხოვრება, რომ უნებლიეთ და ცხარედ იღლიქებს, დაეხმარის და აკითხავს გამოჯდილ მოძღვარს, რა უნდა აკეთოს ამა თუ იმ შემთხვევაში, საჭიროება გასწავლის

XI თავი

ბერი ამბროსის მიერ შამორდინოს ყაზანის ქალთა სავანის დაფუძნება

„გარლა სხვათა– ზრუნვა ყველა ეკლესიისაჲ."[142]

რუსეთის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ მამა ამბროსისთან რჩევებისათვის, ზოგი წერილობით, ზოგიც სიტყვიერად: მონასვნებიც და ერისკაცებიც, ყოველნაირ საქმეზე. ზოგი სულიერ ნუგეშს ეძებდა, ზოგი სარწმუნოებაში ეჭვიანობის დასაძლეველად, ზოგი დარიგებისთვის, თუ როგორ ეცხოვრა. ვისაც ბერული ცხოვრება სწადდა, იმაზე თხოვდნენ ბერს კურთხევას, თუ რომელ სავანეში მოწყობილიყვნენ და როგორ ეცხოვრათ იქ, როგორი ურთიერთობა ჰქონოდათ ნათესაებთან და როგორ მოეწყოთ ოჯახური საქმეები. განსაკუთრებულ მზრუნველობას ბერი იჩენდა ქვრივი ქალების, ღარიბი ქალიშვილების და ობოლი ბავშვების მიმართ, რადგან ძალიან ბევრი ასეთი ქალი და ქალიშვილი იყო, რომლებიც ღვთივსათნოდ ცხოვრობდნენ, მაგრამ არ ჰქონდათ საშუალება ქალთა სავანეში მომხვდარიყვნენ. მათ არ იცოდნენ სად ეცათ თაყვანი ღვთისთვის.

რუსეთის თიოქმის ყველა დედათა მონასტერი მონაზონთა რიგში იღებდა მხოლოდ ისეთებს, რომელთაც საშუალება ჰქონდათ ეყიდათ თავისი სენაკი, გაეკეთებინათ თუნდაც მცირედი ფულადი შენატანი სავანეში და შეენახათ თავი საკუთარი საშუალებებით და შრომით, რადგან ამ მონასტრებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ შეენახათ მონაზვნები. ძალიან იშვიათად თუ სადმე მიიღებდნენ მონასტერში ქალს ფულადი შენატანის გარეშე. თუ ჯანმრთელი და ძლიერი იყო, მაშინ გათვლიდნენ მის შრომას და მიიღებდნენ იმ იმედით, რომ მონასტრის მძიმე მორჩილებას გაუძლებდა. ამიტომ ბევრი მათგანი ცხოვრობდა სოფლებში თავიანთ სენაკებში და შრომობდა, რომ მარტო თავი ერჩინათ, ხოლო ვინც სავანეში მოახერხა ცხოვრება, ისინი შეუსვენებლივ შრომობდნენ. ჯანმრთელი ადამიანებისთვის

[142] 2 კორ. XI, 28.

ასეთი ცხოვრება არცთუ ისე ძალიან დამამძიმებელია: ისინი თვითონაც დარწმუნებული იყვნენ, რომ უფალს უყვარს შრომა, და რომ ისინი ამით შეამდგომლობას მოიპოვებენ გადარჩენისთვის. სულ სხვა საქმეა სნეული ქალბატონი. მას არც ერთ ქალთა მონასტერში არ მიიღებდნენ, საშუალებაც რომ ჰქონოდა, რადგან ხანგრძლივი ავადმყოფობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში მან შეიძლება დაამძიმოს მონასტერი. აი ასეთ ღარიბებზე და უბედურებზე ხრუნავდა მამა ამბროსი და მუდამ ცდილობდა მოეწყო ისინი სადმე.

შეძლებისდაგვარად მიუბიძგებდა ის ზოგიერთ ღვთისმოსავ შეძლებულ ადამიანს ქალთა სავანეები მოეწყოთ და თვითონაც მონაწილეობდა ამ საქმეში. მისი მხრუნველობით მოეწყო ქალთა სავანე ორლოვის გუბერნიის ქალაქ კრომახში. განსაკუთრებით დიდი მზრუნველობა გამოიჩინა მან სარატოვის გუბერნიის გუსევსკის ქალთა სავანის ჩამოყალიბებაში. მისივე კურთხევით მოაწყვეს ქველმოქმედებმა პოლტავის გუბერნიაში კოსელშჩანსკის და ვორონეჟის გუბერნიაში პიატნიცკის სავანეები. ბერს არა მარტო გეგმების გადახედვა, რჩევების მიცემა და საქმეზე ხალხის კურთხევა უხდებოდა, არამედ იცავდა როგორც კეთილისმქმნელებს, ასევე სავანის მკვიდრ ქალებს მრავალი დაბრკოლებისაგან, რომელსაც მათ არაკეთილგანწყობილი ერისკაცები უქმნიდნენ. ასეთი შემთხვევების გამო მას უხდებოდა მიმოწერა ეპარქიის მღვდელმთავრებთან და წმინდა სინოდის წევრებთანაც.

უკანასკნელი (ბოლო) ქალთა სავანე, რომელსაც მამა ამბროსიმ განსაკუთრებით იშრომა, შამორდინოს ყასანის მთის სავანე იყო. ამ სავანის დაფუძნება თითქოს შემთხვევით მოხდა. მამა ამბროსის ბევრმა გულისხმიერმა პატივისმცემელმა, იმისათვის, რომ მასთან უფრო ხშირი შეხვედრის საშუალება ჰქონოდა, გამოთქვა სურვილი ეცხოვრათ მასთან ახლოს. გამოჩნდა ერთი მოსკოველი მდიდარი ბატონი, რომელმაც თხოვა ბერს ეყიდა მისთვის ოპტინასთან ახლოს პატარა აგარაკი, რაშიც თვითონ, რა თქმა უნდა, ფულს გადაიხდიდა, რათა მას ჰქონოდა შესაძლებლობა ეცხოვრა თავისი ოჯახითურთ. ბერი, რომელსაც ყველა გულწრფელად უყვარდა. ცდილობდა

დაეკმაყოფილებინა ღეთივსათნო სურვილი და ამ ბატონსაც დაეხმარა.

დიდი კალუგის გზაზე, ოპტინიდან 12-იოდე ვერსით მარცხნივ მდებარეობს პერემიშლის მაზრის სოფელი შამორდინო. იქიდან ოდნავ შორს ერთ ვერსში ცხოვრობდა ბერიკაცი, ღარიბი მემამულე, ვასილი პოლიევქტოვის ძე კალიგინი თავის მოხუცებულ მეუღლესთან ერთად. ის ხშირად დადიოდა ოპტინის მონასტერში. მასთან პირისპირ შეხვედრისას ბერმა ჰკითხა, ხომ არ დათანხმდებოდა თავისი ქონების გაყიდვაზე. კალიგინი დათანხმდა იმ პირობით, რომ მას და მის მეუღლეს მიეცემოდათ საცხოვრებელი ადგილი ოპტინის სამონასტრო სასტუმროში და აქ გაეტარებინათ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. სასწრაფოდ შესყიდული იქნა კალიგინის ქონება. ბერის კურთხევით ფული ცნობილმა ყოფილმა მემამულემ, მონაზონმა ამბროსია კლუჩარევამ გადაიხადა. თვითონ ბერს არ შეეძლო ფულის გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი ფული შემოსდიოდა სხვადასხვა მხრიდან, ასევე სასწრაფოდ გადიოდა სხვადასხვა დანიშნულებით. ხან სკიტის მმართველს აძლევდა პანაშვიდებისთვის, ხან ღატაკებს ურიგებდა. ფულის ყველაზე პატარა ნაწილს ის ხმარობდა კანდელის ზეთისა და ცვილის სანთლის საყიდლად, რომელიც მას სენაკში მსახურებისას სჭირდებოდა.

კალიგინის ქონების შესყიდვა მოხდა 1871 წლის შემოდგომაზე. შესანიშნავია, რომ ქონების გაყიდვამდე კალიგინს ჰქონდა განსაკუთრებული ხილვა – მას წარმოუდგა თვალწინ მის ადგილმამულზე მდებარე ეკლესია ღრუბლებში. ქრისტესშობის დღესასწაულის შემდეგ დღეებში მამა ამბროსიმ გააგზავნა მისი შინა მომსახურე მამა მიხეილი შესყიდული ქონების დასამოწმებლად. 200 დესეტინა მიწის გარდა ფასეული ამ ქონებაში არაფერი აღმოჩნდა. მაღალი მთის წვერზე იდგა კალიგინების ერთი პატარა ხის ერთსართულიანი სახლი, 26 აღლი სიგრძისა და 12 აღლი სიგანის. ერთ ნახევარში ბებერი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. შიგნით ის ჩვეულებრივი გლეხის ქოხს ჰგავდა, რუსული ღუმელით და პატარა ფანჯრებით. მისაღებშიც იყო სარდაფიც და საკუჭნაოც. მეორე ნახევარი უიატაკო იყო და ბელელის მაგივრობას სწევდა. აქ

სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ინახავდნენ. იქვე ახლოს იდგა ძნის გასახმობი ფურნე და რამდენიმე საქონლის დასაბმელი. გასაგები იყო, რომ დრომ უკვე დიდი ხანია დაადო ყოველივე ამას ნგრევის ბეჭედი. ჩალის სახურავი დროთა ვითარებაში გაშავებულიყო. ზოგიერთ ადგილას კუთხეები უკვე დამპალი იყო. მაგრამ ხედი აქედან მშვენიერი გახლდათ. მთის მთელი ფერდობი დაფარული იყო მწვანე ფოთლოვანი ტყით. მთის ძირას ზურმუხტისფერი ტყის შუაში მიიკლაკნება ვერცხლისფერი მდინარე სერენა. იმის იქით მინდვრებია. მარჯვნივ სამხრეთ-დასავლეთით მთაგორიანი ადგილმდებარეობაა,რომელიც ლურჯ ცას უერთდება. ყველაფერი ეს ზაფხულში მწვანდება და მშვენდება სხვადასხვა პატარა ყვავილებით, რომლებიც გაფანტულია შემოქმედის უხვი ხელით. მარცხნივ სამხრეთ-აღმოსავლეთით დიდი სივრცეა 10 ვერსის მანძილზე, თუ მეტით არა. და იქ ბოლოს ჩანს ოპტინას ხუტორი მდინარე ჟიზდრაზე. შემდეგ აღმოსავლეთით სოფელი შამორდინო. კიდევ იქით - ირგვლივ მინდორ-ველები და საოიბებია.

დადგა გაზაფხული. ბერმა ისევ გააგზავნა მამა მიხეილი შეძენილი ქონების მისახედად და დაშლილი სახლის ოდნავ შესაკეთებლად. ბერის განკარგულება შეძლებისდაგვარად აღსრულებული იქნა. მაგრამ მოსკოველმა ბატონმა, რომლისთვისაც მამაომ ეს ქონება შეიძინა, რაღაც ოჯახური მდგომარეობის გამო უარი თქვა ამ სახლზე და ბერმა მას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია. ამრიგად, შეძენილი ქონება მადლმოსილი ბერის კისერზე რჩებოდა. „რა ვქნა? რა მოვიმოქმედო?“ გაოგნებული ეკითხებოდა საკუთარ თავს. დედა ამბროსიასთან შეხვედრისას, რომლის ფულითაც იყო შეძენილი კალიგინების ქონება, ასეთი სიტყვებით მიმართა მას: „აი დედაო, წილისყრით შენ შეგხვდა ამ ქონების ყიდვა. იქ როგორც აგარაკზე ისე იცხოვრებ შენს შვილიშვილებთან ერთად, ჩვენ კი, — ჩამოვალთ ხოლმე სტუმრად“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლუჩარევას ერთადერთი ბიჭი ჰყავდა, რომელიც თავის დროზე ცოლიანი იყო. პირველი ცოლი, რომლისგანაც ტყვეში გოგონები დარჩა, მალე გარდაიცვალა. მაშინ მამამ მეორე ცოლი მოიყვანა, ხოლო ნახევრად ობოლი ტყუპები ბებიასთან

ცხოვრობდნენ. მათი ნათლიმამა, კლუჩარევას სურვილით, მამა ამბროსი გახლდათ, რომელიც საგანგებოდ ზრუნავდა მათზე. შვილიშვილების მომავლის უზრუნველყოფის მიზნით და მამა ამბროსის კურთხევით დაიტოვა კლუჩარევამ ეს შენაძენი. ის ახლა ქერიი იყო და უფლებამოსილება ჰქონდა განეკარგა თავისი მდიდარი ქონება ისე, როგორც მას უნდოდა.

ისევე მამა მიხეილი გაგზავნეს სახლის უკეთ შესაკეთებლად. საქმის დასრულებისთანავე, ზაფხულის დასაწყისში, დედა ამბროსიას თავისი შვილიშვილებითა და მომსახურე ქალებით უკვე შეეძლო გადასულიყო იქ საცხოვრებლად. კალიგინების სახლი ისე შეაკეთეს, რომ თვითონ პატრონი დარჩა გაოცებული, რა იყო და რა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ უბრალოების ბეჭედს ატარებდა აქ ყოველივე, მაინც ძალიან მოხერხებული საცხოვრებელი იყო. ახალი მაცხოვრებლების შემოსახლებამ ახალი სიცოცხლე და სიმხიარულე შემოიტანა ამ სახლში. პირველ ზაფხულს, ე. ი. 1872 წელს, მამა ამბროსი ჩამოვიდა კლუჩარევასთან ადგილის დასათვალიერებლად. დედა ამბროსიას მისცა კურთხევა აეშენებინა აქ ახალი კორპუსი მისთვის და მორჩილი ქალებისთვის (ნასყიდობის წერილით დამტკიცებული), რომელთა რიცხვიც არცთუ ისე მცირე იყო. ამასთანავე ჩაილაპარაკა: „ჩვენ აქ მონასტერი გვექნება“. – მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო ეს? ქონების კანონიერი მემკვიდრეები, დედა ამბროსიას შვილიშვილები, ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, რომელთაც წინ ხანგრძლივი და ოჯახური ცხოვრება ელოდათ. ასე უნდა ეფიქრა ნორმალურ ადამიანს და ასე ფიქრობდა ბებია, დედა ამბროსია.

ამასობაში მამა ამბროსის კურთხევით და მისივე მითითებით დედა ამბროსიამ მეორე წელსვე დაიწყო ახალი ერთსართულიანი ხის დიდი სახლის შენება, რომელსაც ქვის მაღალი საძირკველი ჰქონდა. ამ სახლში წინასწარ გათვლილი იყო ძვირფასი სტუმრის, მამა ამბროსის მისაღები სენაკის მოწყობა. ის კი აქ ჩამოდიოდა თავის მომსახურესთან (ახლანდელ ბერთან მღვდელ-მონაზონ იოსებთან) ერთად ყოველ ზაფხულის ერთხელ და სტუმრობდა აქ ჯერ ორი-სამი დღე, შემდგომში კი კვირითაც. ბერი უეჭველად მაშინაც დარწმუნებული იყო, რომ აქ წმინდა სავანე იქნება, სწორედ

ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ამ ადგილის მიმართ. ის დადიოდა იქ და ყველაფერს ათვალიერებდა. უცბად გაჩერდებოდა რომელიმე ადგილას, დააცალებდა სიგრძნე-სიგანის გაზომვას და მონიშვნას. ეტყობა ის მაშინ ფიქრობდა და მონიშნავდა, რომელი ნაგებობა სად უნდა ყოფილიყო.

აი კლუბარეევების ახალი სახლიც მზად იყო. შესანიშნავია, რომ დიდი დარბაზი (სალა), ბერის მითითებით, აღმოსავლეთის მხარეს იკავებდა, ხოლო დედაოს შვილიშვილების სენაკები (ოთახები) ჩრდილოეთის მხარეს იყვნენ განლაგებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ოთახების ასეთი განლაგება კლუბერევას ძალიან არ მოსწონდა. არაერთხელ იხსენებდა შემდგომში მამა ამბროსი, თუ როგორ განიცდიდა დედა ამბროსია, რომ მამაოს გეგმა არ ეთანხმებოდა მის სურვილს. „ის ბაავშვებისთვის სახლს აშენებდა, – ამბობდა ბერი, – ჩვენ კი ეკლესია გვჭირდება“.

ასეთნაირად გამზადებულმა კლუბარეევების სახლმა დაიტია არა მარტო შვილიშვილები, არამედ მათთან ერთად მორჩილი დებიც (ყოფილი მსახურები), რომლებიც მათ დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდნენ. ამ ქალბატონებს თანდათან შემოუეროდნენ ნათესავები,ახალგაზრდებიც კი,რომლებიც ლოცვას და სიმშვიდეს ეძებდნენ. დედა ამბროსიას ღვთისმოსაობა მოეფინებოდა ყველაფერს, რაც კი მის სიახლოვეს არსებობდა. ახალ შენაძენში მაშინაც მონაზვნურს მიმსგავსებული ცხოვრება მიდიოდა. თვითონ კლუბარევა ჯერ კიდევ ოპტინის მონასტრის სასტუმროში აგრძელებდა ცხოვრებას. ის თავის შვილიშვილებს არ შორდებოდა. ხან მამულში იყო დიდხანს მათთან, ხან კიდევ სასტუმროში მოჰყავდა ისინი.

ის ყოველნაირად ცდილობდა, რომ მათთვის კარგი აღზრდა მიეცა. ამისათვის, როცა ბავშვები წამოიზარდნენ, მან სთხოვა ბერს კურთხევა მოენახა მათთვის ფრანგი ქალბატონი, ფრანგული ენის უკეთესად შესწავლის მიზნით და ამასთან ერთად ჩაეცვა მათთვის უკეთესად. მაგრამ მისი წუხილის მიუხედავად ბერმა უარი განუცხადა. კლუბარევას ამჯერად არ ესმოდა ბერის და თავს ძალას ატანდა, რომ მისი რჩევები შეესრულებინა, მაგრამ ეს მისთვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა და ბევრი იწვალა.

გოგონები კი მოლვაწეობდნენ. ისინი იმდენად თავშეკავებულნი იყვნენ, რომ ხორცსე უარს ამბობდნენ და მხოლოდ მამაოს რწმუნების შემდეგ იღებდნენ მას. ისინი ხშირად ლოცულობდნენ. ძალიან უყვარდათ ოპტინის ხანგრძლივი მსახურებები და ისე მტკიცედ იცოდნენ მათი გაწრიგი, რომ თვითონ მსახურებდნენ ღამისთევას მღვდლებთან ერთად ასამაღლებლებთან. როცა ბებია, ამ შემთხვევის გამო, გამოთქვამდა მამა ამბროსთან გულისტკივილს, ის ეუბნებოდა: „ილოცონ – სუსტები არიან". მაგრამ ბებიას არ ესმოდა, თუ რისი თქმა უნდოდა ამით ბერს. სხვებს კი ბერი პირდაპირ ეუბნებოდა. „არა უშავს, მათ იციან, რომ ემსადებიან იქით წასასვლელად–"

ერთხელ ოპტინაში ბერის სულიერი შვილი მოქალაქე ა.ა. შიშკოვა მოვიდა.[143] მან შეიარა კლუჩარევებთან, ბებია წუხილით უამბობდა მას, რომ მამა ამბროსი არ აძლევს კურთხევას აიყვანოს შვილი შვილებისთვის ფრანგი ქალი. „თქვენ იცით, – ეუბნებოდა დედა ამბროსია, – შეიძლება ჩვენ გარემოცვაში უცხო ენის არ ცოდნა? ბავშვები ხომ მოიგლიან ქვეყანას, იმასაც მირჩევს, რომ მათ უბრალოდ ჩავაცვა. თქვენ ალბათ ნახავთ მამაოს, – თხოვეთ კურთხევა მოუნახო ბავშვებს უცხოელი მასწავლებელი ქალი. ჰკითხეთ კაბებსეც".

„მოვედი მამაოსთან, – ასე გადმოგვცემდა მოქალაქე შიშკოვა, – და სხვათა შორის ვეუბნები: „ახლა მე მოსკოვში ვცხოვრობ და ძალიან ადვილი და ხელსაყრელი იქნება ჩემთვის მოვძებნო უცხოელი ქალი კლუჩარევების გოგონებისთვის. მე სიხარულით შევასრულებდი ამ დავალებას, – არ გვაკურთხებთ?" იქვე შევახსენე კაბებსეც. მაგრამ მამა ამბროსიმ ასე მიპასუხა: „არა, შენ ეს არ გააკეთო; ბავშვებს არ სჭირდებათ ფრანგი ქალი. მე მათთან მოვათავსე კეთილმორწმუნე რუსი ქალბატონი (პიროვნება), რომელიც მათ უწინამძღვრებს და მოამზადებს მომავალი ცხოვრებისათვის. იცი, ბავშვები არ იკოცხლებენ და მათ ადგილზე მამულში მათზე ლოცვები აღევლინება. შენ ოღონდ ეს დედა ამბროსიას არ უთხრა". კლუჩარევა რომ დამემშვიდებინა მე მას ვუთხარი, რომ მამაომ

[143] ამ ქალბატონზე შემდეგშიც იქნება საუბარი. მისი ამბავი აღებულია „სულისსარგებელი საკითხავებიდან" 1893 წლის მაისის ნომრიდან.

მიბრძანა ცოტა ხანი დამეცადა. მაგრამ ყველაფერი, რაც მოვისმინე მოჯუჯეი ჩემს ქმარს". ამასობაში, კლუჩარევამ, შვილიშვილებზე ზრუნვაში გართულმა, კალიგინის მამულის გარდა, მათთვის შეიძინა იქვე ახლოს კიდევ აგარაკი – რუდნოვო, შემდეგ კი კიდევ ორი აგარაკი პრეობრაჟენსკოე აკატოვო, მას არ ესმოდა ბერის ნამდვილი მიზანი, თუ რატომ ურჩევდა ის აგარაკების ირგვლივ ტყის შესყიდვას,

თითქოს მთელი ქალაქის შენებას აპირებდა. ბავშვებისთვის განაჩინა თავისი კაპიტალის ნაწილი მისი შემთხვევით სიკვდილის შემთხვევაში. კალიგინის მამულში სოფელ შამორდინოს ახლოს მოეწყო ქალთა სავანე და სხვა შენაძენით და კაპიტალით მან მოაწყო ეს სავანე. ეტყობა, ეს მან ბერის რჩევით გააკეთა, რომელმაც ბავშვების მოახლოებული გარდაცვალება წინასწარ განჭვრიტა.

მშვენივრად ცხოვრობდნენ მორჩილი დები ახალ ადგილას. მხოლოდ ერთს განიცდიდნენ, რომ ეკლესია მათგან შორს სოფელში იყო. და აი, დედა ამბროსიამ, სურდა რა დაეკმაყოფილებინა მათი არსებითი მოთხოვნილება, ბერის კურთხევით, დაიწყო ზრუნვა საშინაო ეკლესიის მოწყობაზე. 1881 წელს მიიღეს მეუფე გრიგოლის თანხმობა, მაგრამ აქ მოხდა წინდაუხედავი გარემოებანი. 1881წ 1 მარტს თვითმჭვრობელი მეფე მოკლეს. ამ გარემოებამ, კალუგელების თქმით, იმდენად იმოქმედა ხანში შესულ მეუფე გრიგოლ'ზე, რომ მან ვერ მოასწრო შამორდინოს საშინაო ეკლესიის მოწყობის გაფორმება ოფიციალურად და იმავე წლის 13 მარტს გარდაიცვალა. ამავდროულად ავად გახდა დედა ამბროსიაც. იავადმყოფა მთელი 'საფხული და 23 აგვისტოს ისიც გარდაიცვალა. ტყუილად კი არ ამბობდა ბერი ამის წინ: „გამოჭედეთ რკინა, სანამ ცხელია" ამრიგად, როცა ახალი მეუფე ვლადიმერი პირველად 1 აგვისტოს სამოციქულო ოპტინაში, ახალ საშინაო ეკლესიაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მემკვიდრეობის კანონის და გარდაცვლილის ანდერძის მიხედვით, ახალ'შენებული კლუჩარევების მამულის პატრონი მკვირედ კაპიტალთან ერთად მისი შვილიშვილები გახდნენ, რომლებიც ათ-ათი წლის იყვნენ. ისინი თავიანთი ძიძებით და მორჩილი დებით აგრძელებდნენ ახალ სახლში ცხოვრებას. მამა ამბროსის კურთხევით სახლს და ქონებას მკვირე ხნით მოხელებული მოსაყვანი ოლიმპია

განაგებდა, რომელიც დაახლოებული იყო განსვენებულ კლუჩარევასთან.

ამის მერე კიდევ ერთი წელი გავიდა. გოგონები ძველებურად სადად ცხოვრობდნენ. ისინი მშვიდნი და წყნარნი სათუთად ინახავდნენ ურთიერთსიყვარულს და არასოდეს შორდებოდნენ ერთმანეთს. არასოდეს ანცობდნენ, იცვამდნენ უბრალოდ, უყვარდათ მოხასტრის ხანგრძლივი მსახურების მოსმენა, უყვარდათ წყნარი განმარტოებული ცხოვრება. ხანდახან სეირნობდნენ კეთილ და ღვთისმოსავ ძიძებთან, რომლებმაც მშობლიური დედის ადგილი დაიკავეს. იმდენად არ მეცადინეობდნენ საგნებში, რამდენადაც ემსადებოდნენ მომავალი ცხოვრებისათვის. ღვთის სიყვარულის ცეცხლი უფრო და უფრო ნათლად ინთებოდა მამა ამბროსის ნათლულების გულში. მათ ცოტა ხნის სიცოცხლე დარჩათ, მაგრამ მათ სიკვდილის არ ეშინოდათ. არა ერთხელ ეუბნებოდნენ ძიძებს: „ჩვენ 12 წლის მერე არ გვინდა სიცოცხლე; რაა ამ ცხოვრებაში კარგი“. საფიქრალია, რომ მათი მოახლოებული გარდაცვალების შესახებ ისინი გაფრთხილებულნი იყვნენ ბერის მიერ და მისი სულიერი მოძღვრებით წინასწარ მომზადებულნი იყვნენ ამისათვის. გოგონების ასეთი ცხოვრება არ მოეწონა მათ მამას, რომელიც მეორე ცოლთან ერთად ცხოვრობდა კალუგაში და უნდა აღინიშნოს, რომ მისგან შვილი არ ჰყავდა. მან გადაწყვიტა წაეყვანა ისინი თავისთან და მოეწყო პანსიონში. მას დედის, დედა ამბროსიას მსგავსად აწუხებდა ის აზრი, რომ მათ უნდა მოიარონ ქვეყანა და აუცილებელია მიიღონ საერო განათლება და აღსრდა. მამა ამბროსი, რომელსაც ახალგაზრდა კლუჩარევმა აუხსნა თავისი სურვილი, არ შეეწინააღმდეგა მას. მისი თანადგომითა და კურთხევით გოგოები მოაწყვეს ქ. ორლოვის პანსიონში, სადაც უფროსის მოვალეობას ბერის ერთგული, გულჩვილი და ღვთისმოსავი პიროვნება მოქალაქე ქალბატონი ჩიბისოვა ასრულებდა. სამთრის გაკვეთილებისა და სწავლის მერე საღამოსულო არდადეგებზე უნდა დაეტოვებინათ მათ პანსიონი. მამა სახლში წაყვანას აპირებდა, რათა ისინი გაცნობოდნენ საერო ცხოვრებას და მათთვის აგარაკიც კი იქირაა. კეთილმორწმუნე გოგოებს ეს სრულიად არ მოსწონდათ და მთელი გულით იწვნენ ოპტინაში მამა ამბროსის,

ნათლიას ფრთებქვეშ შესაყუჟებლად, რომელსაც ისინი უსახლეროდ უყვარდა. ყოველდმოწყალე და ყოვლისმხედველმა უფალმა დაინახა ბავშვების გული და ისე მოაწყო, რომ ისინი მამის ნებართვით წინასწარ ჩამოვიდნენ ოპტინაში მამა ამბროსის სანახავად. ეს 1883 წლის გაზაფხულზე მოხდა. ოპტინაში ჩამოსულები 31 მაისს უცბად ორივე დიფტერიით დაავადდა, – ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, – და ერთმანეთისგან უფრო ძლიერ რომ არ დაავადებულიყვნენ ისინი დააშორეს ერთმანეთს, ერთი ერთ ოთახში იწვა, ხოლო მეორე – მეორეში. ორივემ ჩააბარა აღსარება და ეზიარა, ეტყობა ახლოვდებოდა მათი აღსასრული. სანამ შეეძლოთ ხშირად სწერდნენ მამა ამბროსს წერილებს, სადაც წმინდა ლოცვებს და კურთხევას ითხოვდნენ მისგან. 4 ივნისს ჯერ ვერა გარდაიცვალა. მომვლელმა მორჩილმა დამ არ უთხრა მეორე დას ლუბას ამის შესახებ, რათა არ დაემძიმებინა მისი მდგომარეობა და არ დაეჩქარებინა სიკვდილი. მაგრამ ძილბურანში მყოფი უცბად ახრზე მოვიდა და ჰკითხა მის გვერდით მჯდომ დას: „ვერა მოკვდა?“ მან უპასუხა, რომ ცოცხალია, მაგრამ ის შეეწინააღმდეგა: „როგორაა ცოცხალი? მე ახლა ძიძამ მითხრა, რომ გარდაიცვალა“. იქ კი ძიძა არ იყო საერთოდ. ასე რომ, ის თავის ახრზე დარჩა. 8 ივნისს ლუბაც განთავისუფლდა ამ მრავალგანსაცდელიანი ცხოვრებიდან და შეუერთდა თავის ძვირფას დას- ვერას. რადგან, როგორც ერთად დაიბადნენ და გაიზარდნენ, ასევე ერთად წარსდგნენ მათ მოსიყვარულე ზეციურ სასიძოსთან. შვიდი წლით ადრე ესაუბრებოდა ქალბატონ შიშკოვას მამა ამბროსი მათს სიკვდილზე.

გარდაცვლილი დედა ამბროსია კლუჩარევას ანდერძის მიხედვით, ახლა კალიგინებისგან ნაყიდ მამულში უნდა ჩამოყალიბებულიყო ქალთა სავანე. ბერი ამბროსი, რომლისთვისაც ღვთისგან ნაუწყები იყო ამ სავანის ბედი, და რომლის კურთხევითა და განკარგულებით იქ კეთდებოდა ყველაფერი, გასაგებია, რომ სავანის გახსნაში დიდ მონაწილეობას იღებდა. ამასთან ერთად ბერის წინ დიდი ქველმოქმედების სიერცე გაიხსნა. მემკვიდრე გოგონების გარდაცვალებისთანავე, ჯერ კიდევ სავანის გახსნამდე, მათ მამულში გაისალდა მუშაობა. ერთი მეორის მიყოლებით შენდებოდა საცხოვრებლები.

სავანეში ცხოვრების მსურველი იმდენი იყო, რომ აშენდებოდა თუ არა სახლი, მაშინვე ორი იმდენი ახლის აშენებას ელოდა. ვის აწყობდა ბერი ახალ აშენებული სავანის საცხოვრებლებში? დიდი ნაწილი შეადგენდა ღარიბ ქვრივებსა და ობლებს, აგრეთვე ბრმებს, კოჭლებს, სნეულებს, და საერთოდ, ყველაზე გაჭირვებულ ქალებსა და გოგონებს. მოვიდოდა მაგალითად ბერთან ახალგაზრდა ქალი, რომელიც სხვის ოჯახში დარჩა ავადმყოფობაში ქვრივად. დედამთილი მას აგდებს სახლიდან და ეუბნება: „შენ კი, უბედურო, რომც დაიხრჩო, ცოდვა არა ხარ“. ბერი ყურადღებით მოუსმენდა, დააცქერდებოდა და ბოლოს ეტყოდა: „წადი შამორდინოში“.[1] ან კიდევ ასეთი მაგალითი: ოპტინის ყოფილი ბლაღოჩინი, სქემოსანი მღვდელმონაზონი ილარიონი გვიყვებოდა: „ჩემი გათხოვილი და ძალიან დაუძლურდა და ქმარმა ბეჭდის ანაბარა მიატოვა. ჩამოვიყვანეთ ოპტინაში ბერთან. საფხული იდგა. მამა ამბროსი გამოვიდა მის სანახავად და კურთხევის მერე ხუმრობით ჩაჩურჩულა: „ეს ნაფოტი ჩვენ გამოგვადგება, წაიყვანეთ შამორდინოში!“ ათი წელი დაჰყო მან იქაური სავანის ლაზარეთში (დავრდომილთა თავშესაფარში) და შემდეგ გარდაიცვალა. ის სიკვდილის წინ დიდ სქემაში აღიკვეცა“. ან კიდევ: მოვიდა ერთი ღარიბი ციმბირელი ბერთან, აძლევს მას მცირეწლოვან გოგონას და ეუბნება: „აიყვანეთ, დედა არ ჰყავს, მე რა უნდა გაუკეთო მას?“ ბერმა ისიც შამორდინოში გააგზავნა. ასეთი ობოლი ბავშვებისგან იქ დაარსდა ბავშვთა სახლი. მათ შორის იყო ერთი გოგონა, რომელიც ბერმა ორი წლის ასაკში აიყვანა. მაშინ მამამ ჰკითხა მას: „ვინ გახდები?“ ბავშვმა, რომელმაც ძლივს იცოდა ლაპარაკი, მკაფიოდ წარმოთქვა: „ნამდვილი მონასონი“. – „იცოდე, არ მომატყუო“, დააბოლოვა მამა ამბროსიმ. ღატაკი ქალწულებისაგან და ქალებისაგან შეიქმნა დავრდომილთა თავშესაფარი, რომელიც თხუთმეტ ოდე ადამიანს იყო გათვლილი. რამდენი იყო სენაკებში და სავანის აგარაკებზე! „მამაო, იქვენ აქ მონასტერი გაქვთ“, – ცდილობს ხუმრობას ზოგჯერ ამის თაობაზე მამა ამბროსთან მისი მოძღვარი, თავმდაბალი ბერი მამა თეოდორე.

---

[1] სოფლის სახელის გამო დაარქვეს და დღემდე ჰქვია სავანეს „შამორდინო“.

– „რატომ?“ – „რომელ სენაკშიც არ უნდა შეხვიდე – იქ ბრმაა, იქ კოჭლია, აქ კი სულ უფეხო, ძალაუნებურად ყველა მარტოობაშია“.[145] – „კარგი! ნუ დაიწყებ...“ – აწყვეტინებდა ხუმრობას მამა ამბროსი. „არ უყვარდა მას როცა მოინდომებდი „კარგი“ სიტყვის თქმას“, – იხსენებდა მამა თევდორე.[146] სხვათა შორის, აქ ნახსენებია, რომ ბერს კოსელსკში ნაქირაევები ჰქონდა სახლი იმ ქალებისთვის, რომლებიც სრულ ჭკუაზე ვერ იყვნენ.

დადგა დრო ისევ ეწრუნათ კლუჩარევების მამულში ეკლესიის აშენებაზე, და სხვათა შორის, ქალთა სავანის გახსნაზეც. მეუფე გრიგოლის მემკვიდრემ, ეპისკოპოსმა ელადიმერმა გაიხიარა ბერი ამბროსისა და შამორდინოს დების სურვილი. ოპტინაში ყოფნისას ის ჩავიდა ადგილის დასათვალიერებლად, სადაც უნდა განლაგებულიყო სავანე, რის შემდეგაც მამა ამბროსს უთხრა: „თქვენ კარგი ადგილი შეგირჩევიათ; მე შევეცდები ამ საქმეს შევუდგე“. მალე საშინაო ეკლესია მოეწყო განსვენებული მფლობელის ახალ სახლში. იქ ბევრი საქმე არ იყო გასაკეთებელი. დიდ დარბაზს, რომელიც აღმოსავლეთით იყო მიმართული, მოაშენეს მხოლოდ საკურთხეველი, ხოლო ძველი კანკელი, რომელიც ოპტინიდან მართალი ანასა და ღირსი მარიამ ეგვიპტელის ტაძრიდან ჩამოიტანეს.[147] განაახლეს და აი საშინაო ეკლესიაც მზად იყო.

ცოტა ხნით ადრე 1882 წელს ბერთან ჩამოვიდა ტულელი მემამულე,- შუახნის ქვრივი, სოფიო მიხეილის ასული იანკოვა. მან თავისი ნებითა და ბერის კურთხევით მალე მეორედ იქორწინა ოპტინასთან ახლოს მცხოვრებ ხანში შესულ მემამულე ნიკოლოზ ივანეს ძე ასტაფეევთან. ისიც ქვრივი გახლდათ. ახალდაქორწინებულებმა ერთად ცოტა ხანი იცხოვრეს. ასტაფეევი ქორწილის

---

[145] ბერი ნიშნავს– მარტო მყოფელს, მარტოს.

[146] დიდი ხანია ბრმაა. მამა ამბროსის სიცოცხლეშიც და ახლაც ცხოვრობს ქალთა სავანეში, რათა გასაზე დაეკვნებინა და დაემოძღვრა დედები. ზოგჯერ იხდიდა პანაშვიდებს.

[147] წმინდა ანასი და ღირსი მარიამ ეგვიპტელის ეკლესია-მონასტერში მამა ამბროსის მრწუნველობით გადაკეთდა და შიგ ორი ახალი კანკელი დაიდგა, მარჯვენივ ზემოთ ხსენებული წმინდანების სახელზე, ხოლო მარცხნივ წმინდა ამბროსი მილიოლანელის და წმინდა მთავრის ალექსანდრე ნევსკის სახელზე. ბერი ამბროსის ორი ანგელოზის ანუ ორი მფარველისა.

მერე ავად გახდა და ერთი წლის მერე გარდაიცვალა. სოფია მიხეილის ასული კი ამის შემდეგ გახდა ყველაზე ერთგული მორჩილი ბერი ამბროსისა. როდესაც კლუჩარევების მამულში ქალთა სავანე იხსნებოდა, სადაც უფროსობდა ზემოთხსენებული დედა ოლიმპია და სიბერის გამო ვერ მართავდა იქაურობას. აქ კი საჭირო იყო საქმეებსე კალუგაში, მოსკოვში და სხვაგან სიარული, ამიტომ მამა ამბროსი ყოველთვის დავალებასე სოფია მიხეილის ასულს აგზავნიდა, როგორც ჭკვიან, ნიჭიერ და სიტყვა შემართულ ქალს. ამრიგად, ახალნაკურთხი საშინაო ეკლესიისა და ახლად-გასახსნელი სავანის პირველ წინამძღვრად ამზადებდა ამ პიროვნებას მამა ამბროსი, რომელსაც ის თავის მარჯვენა ხელს უწოდებდა. 1884 წლის 1 ოქტომბერს მეუფე ვლადიმირმა აკურთხა ტაძარი ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულზე. ამ დღეს მამა ამბროსი მთელი დღე ჩაიკეტა თავის სენაკში და ლოცულობდა.

როდესაც ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მამა ამბროსი პირველად შევიდა კლუჩარევების ახალაშენებულ სახლში და დარბაზში დაინახა ყაზანის ღვთისმშობლის დიდი ხატი, გაჩერდა მის წინ, დიდხანს უყურებდა და ბოლოს თქვა: თქვენი ყაზანის ღვთისმშობლის ხატი უეჭველად სასწაულთმოქმედია, ევედრეთ მას და შეინახეთ იგი". ამ ხატის სახელზე ეკურთხა საშინაო ეკლესია კლუჩარევების მამულში. ამიტომ აქ გახსნილ ქალთა სავანესაც ყაზანის ეწოდა; სავანე მალალ მთაზეა განლაგებული და ამიტომ მთის სახელი დაერქვა. ხოლო სოფელ შამორდინოს სიახლოვის გამო კი – შამორდინოს სავანე.

XII თავი

სქემოსანი მღვდელ-მონაზონი ბერი ამბროსის ზნეობრივი სახე

„ამისთჳს შევიყუარენ მცნებანი შენნი,
ყოველნი გზანი სიცრუისანი მოვიძულენ“[448]

წინა თავებში ჩვენ მიერ თქმული მხოლოდ ნაწილობრივ დაგვანახებს, თუ როგორი ადამიანი იყო ბერი ამბროსი. ამას დავამატებთ კიდევ რაღაცას.

როდესაც მის ირგვლივ მყოფი ბერები დაიწყებდნენ საუბარს წმინდა მამების დიდ გმირობებზე, მას ჩვევად ჰქონდა თქმა: „ჩვენ უკვე ისე ვერ ვიცხოვრებთ, როგორც ისინი ცხოვრობდნენ.“ თუკი ბერის ნათელ სახეს ახლოდან თვალს შევაყრებდით, გაკვირვებით შეგვეძლო გვეთქვა: რომელი მცნების შესრულება არ შეეძლო მას, რომელი სათნოება არ განხორციელდა მასში! მაგალითისთვის ყურადღება შევაჩეროთ ნეტარების შესახებ მცნებებზე, რომელთა აღმსრულებელი ჭეშმარიტად აღასრულებს ყოველივე სიმაროლეს ან მთელ სჯულს.

მამა ამბროსის მოღვაწეობის საფუძველი სულიერი სიგლახაკე და სიმდაბლე გახლდათ. როგორც სემოთ ვახსენეთ, ის ბრძნულ რჩევებს აძლევდა ცნობილ და ძალიან ცნობილ პირებს. ბერი თვითონაც ეძიებდა მათს რჩევებს, რადგან მხოლოდ საკუთარ მონებას არ ეყრდნობოდა.

მამა მაკარის გარდაცვალების შემდეგ მას სენაკში არ ჰყავდა ისეთი ვინმე, ვისთანაც შეეძლო რჩევისთვის მისულიყო. მას შემდეგ, რაც ბერი გახდა, რჩევისათვის თავის მწყემს მთავარს მეუფე გრიგოლს მიმართავდა ხოლმე. გაიგო რა სარწმუნო ადამიანებისგან ვიღაც ფარული მოხეტიალე ბერის შესახებ, მაშინვე დაუახლოვდა მას, და უკვე ძალიან ხშირად საიდუმლო წერილებსაც სწერდა მას, რათა ყველაფერი სხვისი რჩევით ეკეთებინა; ამაში ის უფხლის ნებას ხედავდა, რადგან ეშინოდა თვითნებობისა.

[448] ფს. 68, 127-128.

ბერი საკუთარ შრომასა და გმირობას ცნობისმოყვარეთაგან სიმდაბლით ფარავდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო; ხან სახუმარო საუბრით, ზოგჯერ არცთუ ისე კეთილსანახავი ჭრილებით, ხან კიდევ დუმილითა და თავშეკავებით. ასე რომ, ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი ზოგჯერ მას უყურებდნენ, როგორც ყველაზე ჩვეულებრივ ადამიანს. იგი ინახავდა წმინდა ისააკ ასურის მცნებას: „გადააღწარე ყველას შენი მოწყალება და იქნები ყველასაგან დაფარული“[19]. მოსკოვის მიტროპოლიტის ფილარეტის გარდაცვალების შემდეგ ბერი მას იხსენიებდა და საკუთარი თავისა და სხვების დასამოძღვრავად ჰყვებოდა, ეს მნათობი თუ როგორი დაფარულობით ცხოვრობდა. მისმა მომსახურეებმა არათუ არ იცოდნენ, ვერც დაინახავდნენ თუ როგორ იბანდა პირს. „მოიტანე წყალი და წადი,“ – ეტყოდა მომსახურეს. ხდებოდა ისეც, რომ მომსახურე რჩებოდა, რათა ბერს პირის დაბანვაში დახმარებოდა. მაგრამ ბერი გაიმეორებდა: „შენ ხომ გითხრეს წადი!“ სამაგალითოდ ამ სათნოებისა იგი მამა მაკარს, აწ განსვენებულ ბერს წარმოიდგენდა ხოლმე და იტყოდა: „ბრძენი იყო ბერი მაკარი, მე ოთხი წელი ვემსახურებოდი მას. მისი ხელმძღვანელობით ვსარგებლობდი, მაგრამ მისი ცხოვრების შესწავლა მთლიანად მაინც ვერ შევძელი“. ზუსტად ასე იქცეოდა ბერი ამბროსიც: დღე-ღამის ნებისმიერ დროს მომსახურეები მასთან მხოლოდ სარის შემდეგ, ლოცვით შედიოდნენ, ამიტომაც ვერასოდეს ვერ შეძლეს შეემჩნიათ მასში გამოვლენილი რომელიმე განსაკუთრებულობა.

აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი ბერის თავმდაბლური სიბრძნისა: ერთხელ მოღვაწე ვასილისკოს პორტრეტს ათვალიერებდნენ, რომელიც მის ცხოვრებას თან ახლდა. ვიღაცამ თქვა, რომ მას ტუჩებზე რაღაც ნათელი ეფინა. ალბათ, იმიტომ, რომ იგი იესოს ლოცვის თქმის მომენტში აღესრულა. „დიახ. ეს შეიძლება ასეც იყოს, – თქვა მამა ამბროსიმ, – აი. გლინის უდაბნოშიც გარდაიცვალა ერთი ბერი, რომელიც სიკვდილის შემდეგ სამი საათის განმავლობაში ხელით სკვნილს ათამაშებდა. მე კი ვიდევილს, არც მახსოვს, როდის ელოცულობდი სკვნილით. – დაამატა ბერმა, ღრმად ამოისუნთქა

[19] წმინდა ისააკ ასურის სასულიერო-სამოღვაწეო სიტყვები. მე-9 სიტყვა.

და მწუხარედ ჩაიქნია ხელი. — მე რომ მონასტერში მხოლოდ ერთი წელი ვიცხოვრე, როგორც კი მამა მაკართან გადამიყვანეს მსახურად, იმის შემდეგ სულ ბაზარში ვცხოვრობ. „არა მამაო, თქვენ ხელით თუ არა, გულში მაინც ხომ ათამაშებთ და ლოცულობთ სკვნილზე?“ — უთხრა ვიღაცამ. „არა, ბაზარში ვერ ვლოცულობ,“ — უპასუხა ბერმა და საუბარი უცებ სხვა თემაზე გადაიტანა.

ერთხელ ჩამოსულმა ქალბატონმა მამაოს უთხრა: „მამაო, ჩვენ თქვენზე ბევრი კარგი რამ მოგვისმენია“. მან კი უპასუხა: „მთებს იქით განთქმულია აგური, მაგრამ როგორც კი მიხვალ, ბოყვები შეგრჩება ხელში“.

ერთმა თანამოსაუბრე ქალმა უთხრა: „მამაო, თქვენ ჰგავხართ წმინდა ალექსანდრე ნეველს, რამდენი იშრომა მან! თქვენც ბევრი გიშრომიათ!“ „დიახ, მან იშრომა, მე კი სულ ვლაყბობ,“ — უპასუხა ბერმა.

სხვა დროს მამაოს უთხრეს: რა ბრძენი ხართ! ყველანი ღმერთის და რწმენისკენ მიგყავთ, ყველაზე სასოწარკვეთილნი და დაუმორჩილებელნი“. მამაომ ამაზე უპასუხა: „მე რა შემიძლია, გლახაკს?“

ბერს ასევე ეუბნებოდნენ ეკლესიის სასარგებლოდ მის ნაყოფიერ მსახურებაზე. იგი კი უპასუხებდა: „მე არაფერს ვაკეთებ, მე მხოლოდ ვწევარ. ყველა ტკუილად მაქებს. ვაი იმ კაცს, ვისაც ყველაზე მეტად აქებენ“.

ერთხელ ბერს ჰკითხეს: „ვინ იქნება ასეთი მოწყალე ჩვენთვის, ძვირფასო მამაო, თუკი უფალი წაგიყვანს?“ ბერმა უპასუხა: „ჩემზე ბევრად უკეთესი ძალიან ბევრი ადამიანია“.

1879 წლის 8 ოქტომბერს მამა ამბროსის მონასტერში მოსვლიდან ორმოცი წელი შეუსრულდა. წირვის შემდეგ მასთან სეყვისკვერებით მივიდნენ, რათა მიელოცათ. ბერმა თქვა: „სეყვისკვერები იმ ოთახში შეიტანეთ, საკითხავია, რის მოსალოცად მოხვედით“. შემდეგ ყველა დალოცა და თქვა: „მე აქ ორმოცი წელი ვიცხოვრე და ორმოცი თალგამიც კი ვერ გავახარე: ჭეშმარიტად, სხვის ჭერს ვხურავდი და ჩემი კი ღიად დამრჩა: ახლა უკვე 67 წლისა ვარ“.

1860 წლის 31 დეკემბერს ერთი პიროვნებისადმი რომელმაც მამა ამბროსის, როგორც ბერს, ისე მიმართა – მიწერილ ბარათში

ალნი'შნავდა: „დიდი ხანია თქვენი დამშვიდება მინდა, დიდად მ'სრულელო NN. თქვენი შიშის თაობაზე, რომ მე მიგატოვებთ და არაფერს მოგწერთ. თუკი მე, ჩემი სუსტი ხასიათის გამო, არ ვთქვი უარი თქვენს წინადადებაზე, ეს იმიტომ, რომ არ მსურდა თქვენი შეურაცხყოფა და თქვენც საჭიროებდით სულიერ საზრდოს. ახლა შემიძლია მიგატოვოთ თქვენ მაშინ, როცა მე ჭეშმარიტი განსჯის უკმარისობისას უგულებელვყავი ჩემი სული და საკუთარი ხსნა ბედის ანაბარა დავტოვე, ხოლო მოყვასის სულის სახსნელად გავითელე. არ ვიცი, არის თუ არა ვინმე ჩემზე უგუნური. სულით და ხორცით უძლური ვიღებ იმათ საქმეს, ვინც სულით და ხორცით ძლიერია. ოო, თუკი მიმიტევებს ყოვლადკეთილი უფალი ჩემს უგუნურებას ჩვენი ნეტარი მამის (მაკარი) ლოცვით!"[150]

სხვა პირებისადმი მიწერილ წერილებში ბერი ხშირად ითხოვდა მისთვის ლოცვას,ვინც ლაპარაკობს და არ აკეთებს ან არ აღასრულებს იმ სნეობრივ გაკვეთილებზე მიღებულ სწავლებას. საერთოდ, ის თითქოს ვერ ხედავდა ან არ უნდოდა დაენახა თავისი შრომა და მუდმივი ღვაწლი სიცარულისა და თვითუგულებელყოფისა აგრეთვე მოთმინებით გადატანა მუდმივი, ხშირად მკაცრი, სნეულებისა. იგი ამ ყველაფერს იღებდა, როგორც დამსახურებულ სასჯელს თავისი ცოდვების გამო. ხშირად სხვადასხვა პირებისადმი მიწერილ წერილებში ამ შემთხვევის გამო იმეორებდა სასარებისეულ სიტყვებს: „მიუსაჯეს თითოეულს მისი ნამოქმედარის მიხედვით".[151]

თვითონ ბერი სიმდაბლით ცხოვრობდა, რის გარეშეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია ხსნა. ამიტომ ბერს მასთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანები უნდოდა ამ აუცილებელი სათნოების მქონედ დაენახა. თავმდაბლების მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი იყო. ამპარტავნებს კი ვერ იტანდა; ასეთებს ხშირად სცემდა, ზოგს ჯოხით,ზოგს მუშტით,ზოგს ლანძღავდა. ერთი ქალბატონი ჩიოდა ბერთან, განსაცდელებისაგან კინაღამ გავგიჟდიო. „ბრიყვო! – იყვირა ყველას თვალწინ ბერმა, – გიყვებიან ჭკვიანი ადამიანები, შენ კი

[150] იაკუნელი ბერის ამბროსის წერილების კრებული. მცირე გამოცემა. მოსკოვი. 1897 წ. გვ. 36.

[151] მათე. XVI, 27

როგორლა გაგიჟდები, როცა ტვინი საერთოდ არ გაგაჩნია?“ კიდევ ერთი ქალბატონი ჩიოდა ბერთან, სიგიჟე მომპარესო. მან კი ღიმილით უპასუხა: „სიგიჟე წაიღეს, მაგრამ სიბრიყვე ხომ დაგრჩა?!“ ბერი ხშირად აერთიანებდა ცნებებს „ბრიყვი“ და „ამაყი“. მას არ უყვარდა აგრეთვე ამპარტავნობიდან გამოუჯნილი კეკლუცობა. მოვიდა მასთან სულიერი შვილი, ახალგაზრდა ქალი, მძივებით მორთულ კაბაში. მამამ ჩაიცინა და ჩაიბუტბუტა: „როგორი გამხდარხარ,რა ლამაზი სათამაშოები ჩამოგიკიდია!“ – „ეს მოდაა, მამაო,“ – უპასუხა მან. – „ეეხ, ნახევარი წელია მხოლოდ თქვენი მოდა“.

მიუხედავად თავისი თავშეკავებულობისა და მხიარული ხასიათისა, მამა ამბროსი ხშირად ტიროდა ღრმა თავმდაბლობის გამო საკუთარი ნების წინააღმდეგ. ის ტიროდა ისე, როგორც ხემოთ იყო ნახსენები, შუა მსახურებისა და ლოცვისას, რომლებიც რომელიმე შემთხვევის გამო მის სენაკში აღესრულებოდა: განსაკუთრებით, როდესაც მთხოვნელთა სურვილისამებრ აღესრულებოდა პარაკლისი და აკათისტო ხსეციური დედოფლის ყველასგან აღიარებული ხატის – „ღირს არსის“ – წინ. აკათისტოს კითხვისას ის იდგა კართან, ხატთან ახლოს და მთხოვნელი უმზერდა ღვთისმშობლის მადლიან სახეს. ყველა ხედავდა, თუ როგორ ჩამოედინებოდა მის ღაწვებზე ცრემლები ღაპაღუპით. ის მუდამ განიცდიდა, ძლიერ სტკიოდა თავისი სულიერი შვილების უძლურებანი. ტიროდა საკუთარ თავზე, ტიროდა კერძო პირებზე, განიცდიდა მშობლიური ქვეყნის უძლურებას და კეთილშობილი რუსი მეფეების ბედს. იმპერატორ ალექსანდრე II-ის სიკვდილის გამო ღრმად დამწუხრებული ერთ-ერთ პიროვნებას სწერდა: „არ ვიცი, რა მოგწეროთ ამ საშინელ თანამედროვეობასა და რუსეთის საგალალო მდგომარეობაზე. წმინდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვებში არის ერთი სანუგეშო რამ: „უფალმან განაქარვის ზრახვანი წარმართთანი და შეურაცხყვნის გულისსიტყუანი ერთანი და შეურაცხ-ყვნის ზრახვანი მთავართანი: ხოლო ზრახვა უფლისა უკუნისამდე ჰგიეს.“[152] ღმერთმა დაუშვა ალექსანდრე II-ის მოწამებრივი აღსასრული: მას

[152] ფსალმ. XXXII, 10-11.

ძალუძს მისცეს ძალა ალექსანდრე III-ს დაიჭიროს ბოროტმოქმედები, რომლებიც ანტიქრისტეს სულით არიან დაავადებულნი– ანტიქრისტე, წმინდა წერილის განმმარტებლების სიტყვებით უნდა მოვიდეს უმთავრობის ჟამს დედამიწაზე. ახლა კი, სანამ ის ჯერ კიდევ ჯოჯოხეთის ფსკერზე ხის, მოქმედებს მისი წინამორბედებით. ჯერ სხვადასხვა ერეტიკოსებით მოქმედებდა.., ახლა განათლებული ნიჰილისტებით დაიწყო მოქმედება, 'სღვარგადასულად და უხეშად'.[93] როდესაც ზოგიერთი ადამიანი, ბერს დაახლოებული, გაუგონარი ბოროტებით იყო შეპრწუნებული, ბერი მათ სანუგეშოდ, რომ ტახტზე ავიდა იმპერატორი ალექსანდრე III, კეთილიმედიანად სიხარულით იტყოდა: „ცოცხალია ღმერთი, ესე იგი ჩვენი სულებიც ცოცხალია!“

ბერის თვალებზე გამოჩნდებოდა ხოლმე სულიერი სიხარულის ცრემლიც. ეს განსაკუთრებით საეკლესიო საგალობლების კარგად შესრულებისას შეინიშნებოდა. ის თავს ვერ იკავებდა და არამიწიერი სიხარული ანათებდა მის სახეს.

თაეის ცოდვილიანობას უნდა განიცდიდეს ყველა ადამიანი, და თუ ბერი შენიშნავდა, რომ უყურადღებოდ ექცევიან საკუთარ თავს, თითს ატაკებდა სახეში და ეტყოდა: „უჰ, უმტკივნეულო გულო!“ სოგჯერ კი მიწაფეების დასარიგებლად იმეორებდა ღირსი ეფრემ ასურის სიტყვებს: „ტკივილისთვის ტკივილი უფრო მტკივნეულია, და თანაწარეხდები ამაო ტკივილთა ტკივილით“.

ჭეშმარიტი ტირილისაგან, რომელიც სიმდაბლით იყო შესაძენელი, წმინდა კიბისაღმწერლის სწავლებით, წარმოიშობა სიბრძნე. ეს ღვთივსაყვარელი შემადგენლობა დაკანებული იყო ბერის სულში, როგორც ამბობენ, სათნოებების ბუნებრივი შეკავშირებით. რამდენი სხვადასხვა სახის განსაცდელის გაევლა მოუხდა, უბედურება და ტკივილი, მაგრამ ვერაფერმა გაუტეხა მას ხასიათი, ის მუდამ მხიარული და მშვიდი იყო. ტკივილის არცკვლეს მწოლარე დროდადრო ჩვეულებრივ ხუმრობდა ბერებთან. უკიდურეს უძლურებაში მყოფი ანუგეშებდა სუსტი სულის მქონეთ ან ძალით ამოღერღილი სიტყვით, ან მამაბრივი ალერსიანი გამოხედვით, ან დასუსტებული

[93] წერილები ახის აღმატებულებას NN. გვ. 22-23.

ხელის შესებით. ჩვეულებრივ. როცა ბერი ძლიერ ავად იყო – ეს კი ხშირად ხდებოდა – მთელი სკიტის საძმო, განსაკუთრებით ახალი მორჩილები, სასოწარკვეთილნი იყვნენ. – სკიტში იყო ერთი ხანდაზმული მორჩილი, მელოტი. ბერის მძიმე ავადმყოფობის ჟამს ის ცუდ ხასიათზე მყოფი მოვიდა სენაკში იმ იმედით, რომ უხმოდ მაინც მიეღო მისი კურთხევა. იმედი არ გაუცრუვდა. ის მიუახლოვდა ლოგინზე მწოლარე სნეულს, ჩაიმუხლა ჩვეულებრივ და ხელი გაუწოდა კურთხევის მისაღებად. როდესაც ბერი მას აკურთხებდა, მან ოდნავ ჩაარტყა ხელი თავში და ძლივს გასაგონი ხმით წაიხუმრა: „ოხ, შე, მელოტო იღუმენო!“.. – „თითქოს მთა ჩამოიტვირთა ჩემი მხრებიდან. – თქვა შემდეგ მორჩილმა, – ისე მომეშვა გულზე“. თავის სენაკში დაბრუნებული კი სიხარულით ადგილს ვერ პოულობდა; დადიოდა სენაკში და ამბობდა: „ღმერთო ჩემო! ეს რა არის? მამაო ძლივს წევს და მაინც სუმრობს!“ ასეთი მაგალითები ბლომად იყო. რადგან ბერი ხშირად ავადმყოფობდა და მოლად ჯანმრთელიც არასოდეს ყოფილა. ამიტომ ახლობლების შეკითხვებზე: როგორია თქვენი ჯანმრთელობა? – გამოიმუშავა საერთო პასუხი: „ის მხიარულია“. ასე რომ, ბერის სული ყოველთვის წყნარ და მშვიდ მდგომარეობაში იყო. უნდა აღინიშნოს, რომ სოგიერთის ჭირვეულობა და ახირება, გამოიყვანდა ხოლმე მდგომარეობიდან და ამის გამო დრტვინავდა.

ვისაც სიმდაბლის მომუშაკება უნდოდა ცრემლით, ნათლად ხედავდა, როგორ ეკვეთებოდა ცოდვა მის სულს და იყენებდა მის წინააღმდეგ ყველაზე ნამდვილ მკურნალობას, სულ უფრო და უფრო ხარბად დაეწაფოს სიმართლეს ღვთის წინაშე და ასე ამაღლდებოდა სულიერ ცხოვრებაში. თავმდაბალი და მტირალი ბერი ამბროსი, როგორც ამას ქვემოთ ვიხილავთ, ნათლად ხედავდა მცირე ლაქებსაც კი თავის სულში და იბანდა ამ ლაქებს საკუთარი ცრემლით და სინანულის ქსოვილით იმშრალებდა. მისთვის აშკარა და ცხადი იყო სხვების ლაქებიც, რომლებიც მასთან მოდიოდნენ. ამიტომაც ღვთის წინაშე არანაკლებ ხარბად სწყუროდა მოყვასის სულის გამართლება. ვინც თავისი უგუნურებით და დაუდევრობით არ ამბობდა მასთან თავიანთ ზრახვებს და არ იხსნებოდნენ მის

წინაშე თავიანთი ცოდვებით, რადგან სიწრფელე ხსნის სულს და ადვილად იკურნება სნეულებისგან. „ჩვენი მტერი უხილავია, – ეუბნებოდა ასეთებს ბერი, – თვითონ ჩადებს ადამიანის აზროვნებაში ცოდვიან სურათებს და იქვე ჩაიწერს მას, რათა შემდეგ ღვთის საშინელ სამსჯავროსე დაადანაშაულოს იგი". ამ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად და ასეთების დასარიგებლად მოჰყავდა ფსალმუნთმოქმედის სიტყვები: „ყოველნი გზანი უფლისანი – წყალობა და ჭეშმარიტება მათთვის". ბერი ამბროსი ამ სიტყვებს ასე განმარტავდა: „მოყვასის მიმართ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ყოველგვარი მოწყალება, ხოლო საკუთარი თავისაგან მოვითხოვოთ ყოველგვარი ჭეშმარიტება და სიმართლე". ეს ეხებოდა გარეგნულ დამოკიდებულებასაც ძმებისა და მრევლის მიმართ. ბერი მკაცრად ინახავდა სამართლიანობას და უენებობას ყველას მიმართ, არავის ანებივრებდა და არავის აძლევდა დაუმსახურებელ უპირატესობას. ერთხელ თავის სულიერ შვილთან საუბრობდა. ამ დროს მოვიდა ვიღაცა წარჩინებული ქალბატონი, რაც მაშინვე მოახსენეს. „ჩემთვის ყველა ერთნაირია, – თქვა ბერმა, – თაგვი პატარაა, მაგრამ მიდი და დაიჭირე, თუ მაგარი სარ". სოგიერთები განიკითხავდნენ მას, რომ ის მდიდრებს იღებდა და ღარიბებს უარით ისტუმრებდა. დიახ, ის იღებდა მდიდრებს, მაგრამ არა ფულით, არამედ სიმდაბლით. ამიტომ ხშირად თავმდაბალი მდიდრები მცირე ხანი ელოდნენ მამაოს, რომ მიეღო, ხოლო ღარიბი მოლაპარაკეები კვირაობით უცდიდნენ და ხშირად სოგიერთი ვერც შედიოდა მასთან. გარდა ამისა, ბერი ასე განსჯიდა: „ღარიბს, ღატაკს, რომელიც შეწეულია მოთმინებას, უფრო უადვილდება ლოდინი, ვიდრე მაღალ მდგომ ადამიანს". ყოველივე ამის მიუხედავად მომსვლელთა სიმდაბლე ყოველთვის გადასწონიდა ხალხმე.

საჭიროა თუ არა ბერი ამბროსის მოწყალებაზე ლაპარაკი? ყველა მისი ნაცნობი გახდა ღირსი მისი მოწყალებისა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოიხატებოდა. ის, მისი სემოთმოყვანილი სიტყვების მიხედვით, ცდილობდა ყველა ყველაფრით დაეკმაყოფილებინა. ამაზე იქნება საუბარი ქვემოთ შიგნით თავებში „ბერის სიყვარულის შესახებ". რადგან, მოლაპარაკე მამები შენიშნავენ, რომ მოწყალება და სიყვარული მარტო სახელებით განსხვავდებიან. აქ კი გავიხსენებთ

მარტო იმას, რომ ბერმა გამოცდილებით შეიმეცნა გულმოწყალების ფასი და მოყვასის თანაგრძნობა. ის განამხნევებდა თავის სულიერ შვილებს ამ სათნოების აღსრულებაში და აიმედებდა მათ, რომ დიდ წყალობას მიიღებდნენ ყოველადმოწყალე ღვთისგან მოყვასის დახმარებისათვის. მონასონთან, რომელიც ბავშვთა სახლის გამგე გახლდათ და სულ მათზე სრუნავდა, ჩამოვიდა ნათესავი. იგი ბევრს ლაპარაკობდა ღმერთსა და სულიერ ხსნაზე, მონასონი გონს მოვიდა, რადგან სულ ბავშვებზე სრუნავდა, მათზე ფიქრობდა, სულზე ცოტას ფიქრობდა და ნაღვლიანად უთხრა მამა ამბროსის: „აი მამაო, საერო დედაკაცი მოვიდა, იგი სულ სულზე ფიქრობს და ლაპარაკობს, მე კი – სულ მაშკებსა და ტანიებზე“. მის დასამშვიდებლად ბერმა ღიმილით უპასუხა: „ეტყობა მე და შენ იმქვეყნადაც მაშკებთან და ტანიებთან აღმოვჩნდებით,“ – ამით მან დააიმედა მონასონი, რომ მოწყალება, წმინდა წერილის მიხედვით, განგვაშორებს მარადიული სიკვდილისაგან.

რა ვთქვათ მამა ამბროსის გულის სიწმინდეზე? „რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია.“[154] მაგრამ ღმერთი, რომელიც განადიდებს მის რჩეულებს, ზოგჯერ მათი ნების წინააღმდეგ, გახსნის საიდუმლოს, მისი სახელის დიდებისა და მისი ერთგულების განსადიდებლად. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბერი, მიუხედავად უძლურებისა და მუდმივი შრომისა, ზიარებისთვის ყოველთვის ლოცვით და მარხვით ემზადებოდა. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მან მთელი მონასენური ცხოვრება მკაცრ მარხვასა და დაუღალავ ლოცვაში გაატარა, მაგრამ ამავდროულად ის ცდილობდა, რამდენადაც მისი სუსტი ორგანიზმი აძლეიდა ამის საშუალებას, გაეღრმავებინა მარხვა და ლოცვა. თუმცა თავისი ღრმა თავმდაბლობის გამო ზოგიერთ წერილში წერდა, რომ ის არაფრად ყოფილა მმარხველი, ხოლო რაც შეეხება ლოცვას, სინანულით ასე გამოთქვამდა: „აი მე ცოდვილმა ისიც არ ვიცი, ბოლოს რისდის ვილოცე სკვნილში“. ის ხშირად ეზიარებოდა, სამ კვირაში, ორ კვირაში, ხან კიდეც ყოველ კვირას, თუ ძალიან სუსტად იყო, ხშირად აბარებდა

[154] I კორ. II. 11

აღსარებას. ამაზე მოგვითხრობს ოპტინის მღვდელ-მონაზონი მამა პლატონი, რომელიც გარკვეული პერიოდი მამა ამბროსის მოძღვარი გახლდათ: „როგორი დამრიგებლური იყო ბერის აღსარება! როგორ სიმდაბლესა და გულისმიერ წუხილს გამოაჩენდა იგი თავისი ცოდვების შესახებ! და როგორ ცოდვებზე? ისეთებზე, რასაც ჩვენ ცოდვად არ მივიჩნევთ. მაგალითად, სნეული კუჭის გამო მას უხდებოდა წმინდა ეკლესიის კანონით ოთხშაბათს ან პარასკევს ორი-სამი ნაჭერი ჰოლანდიური ქაშაყის მიღება. აი ამ ცოდვას ინანიებდა ბერი ღვთის წინაშე ცრემლით! ის ამ დროს იდგა ხატების წინ მუხლებზე, როგორც ბრალდებული განკითხვის დღეს. მოელოდა შეწყალებას მოწყალების მიმცემისაგან, ეფიქრობ სიმდაბლით ფიქრობდა – მოეკვეთოდა თუ არა მოწყალება, შეუნდობდა თუ არა ცოდვას.[55] ეუმსერდი, ეუმსერდი მტირალ ბერს და თვითონაც ავტირდებოდი“. დადგენილ დღეს, ძირითადად კვირას, ლიტურგიის ბოლოს ბერის სენაკში მოაბრძანებდნენ სანაწილეს წმინდა ნაწილებით და განსაკუთრებულად მომზადებულ მაგიდაზე დააბრძანებდნენ. ბერი ასეთ დროს ყოველთვის მამა იოსების სენაკში იმყოფებოდა. რამდენიმე წუთში ის გამოჩნდებოდა თავის სენაკში სქემაშემოსილი და წმინდა ნაწილების წინ მუხლს მოიდრეკდა. შემდეგ მღვდელ-მონაზნისაგან მოისმენდა საგალდებულო ლოცვას, რომელიც საჭიროა ავადმყოფის ხიარებისას. ბერი ამბროსი, ოლარისა და სამაგურებში შემოსილი, შენდობას ითხოვდა მამებსა და ძმებს, რომლებიც აქ არ იყვნენ. თვითონ კი, ჯვრისებურად დაიწყობდა მკერდზე ხელებს და კითხულობდა ჩვეულებრივ ლოცვას: მწამს უფალო და აღვიარებ... – და უდიდესი მოწიწებით ეზიარებოდა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ყველაფერი ეს მთავრდებოდა სამადლობელი ლოცვის მოსმენით. ნუთუ ყველაფერი ეს არ მეტყველებს ბერის გულის სისუფთავეზე? მისი მომსახურეები აღნიშნავდნენ, რომ ის ხიარების მერე თითქოს ახლად იბადებოდა არა მარტო სულიერად, არამედ ხორციელადაც.

ჩამოთვლილი სათნოებებისა შემდგომ ვკითხოთ, იყო თუ არა ის მშვიდობისმყოფელი? „მამაო! – ეკითხებოდნენ ზოგიერთები, –

[55] მსგავს მასალებს იხილავთ ილიანის „კიბეში“ სიტყვა 5, მუხლი 17 განსაკუთრებით

რისგანაა ეს, რომ სიმშვიდე არაა სულში?“ ბერი ამას ფსალმუნის სიტყვებით პასუხობდა: „მშვიდობა მრავალ არს მათ თანა, რომელთა უყვარს შჯული შენი.“[156] ის ამას საკუთარი გამოცდილებიდან ამბობდა. რადგან მთელი თავისი ცხოვრება განკარგა ღვთის კანონებითა და სახარებისეული მცნებების აღსრულებით, შეეძლო ამის მერე არ ჰქონოდა სულში სიმშვიდე? სწორედ ამიტომ ხედავდნენ მას ყოველთვის მხიარულსა და მშვიდს. ღვთის შეწევნით მოიპოვა მან მშვიდობა თავის თავთან და იცრძნო სულში ამ ქვეყნის სიტკბო. შეიძლება ამის მერე ის ყოფილიყო მშვიდობის მქადაგებელი? წმინდა წერილში წერია: „იქმნა მშვიდობით ადგილი მისი.“[157] შესაბამისად, სადაც მშვიდობაა, იქაა ღმერთი, ხოლო მასთან კი ყოველივე კეთილი. ამიტომ ბერი მთელი ძალებით ცდილობდა დაემყარებინა მშვიდობა მოკამათეთა შორის. და რას არ აკეთებდა ის ამ შემთხვევებში! ხან მამობრივად არწმუნებდა, ეუბნებოდა, რომ მოჩხუბარნი და მოკამათენი შეურაცხყოფას აყენებენ ღმერთს – კეთილისმყოფელს, შეურაცხყოფენ მფარველ ანგელოზს, მხოლოდ მტრობის შემოქმედ ეშმაკს ახარებენ. ხან ღვთის მართალი სამსჯაეროი აშინებდა. ხან მომავალი მარადიული სიკეთის აღთქმით ათბობდა კაცთმოძულე გულს. როგორი მოხარული იყო ბერი, როცა შეარიგებდა არაკეთილმოსურნე მხარეებს. ერთხელ, მტრის მხაკვრობით, ორი უფროსი მღვდელ-მონაზონი გადაეკიდა ერთმანეთს. ხანგრძლივი ძალიხმევისა და,რა თქმა უნდა, ლოცვის შემდეგ, მან, როგორც იქნა, შეარიგა ისინი. განათებული სახით აღფრთოვანებული ბერი უმეორებდა ყველას და .თითოეულს: „დიდება უფალს! როგორც იქნა, შერიგდნენ. ცუდი მშვიდობა კარგ ომს სჯობია“.

შეიძლება ითქვას, რომ მამა ამბროსი დეცილი იყო სიმართლისათვის. იომენდა ძვირის თქმას, დასმენას, ცილისწამებას, რადგან, როგორც ‘სქემით ვთქვით, ყოველდღიურად მოითმინებით იტანდა მკირე სულიერების მქონე მომსვლელთა დრტვინვასა და განკითხვას, ზოგჯერ ეპისკოპოსისაც, თავისი მომსახურეებისაგანაც კი, რომელთაც

[156] ფსალმ. CXVIII. 165.
[157] ფსალმ. LXXV. 3.

არასოდეს აწლევინებდა პირადი წყენის გამო. ერთხელ ასეთი კაციც გამოჩნდა: იგი დღისით მოვიდა სკიტ'ში, რევოლვერით ხელ'ში და დაჯდა ბერის 'სღურბლ'ს; ელოდებოდა, რათა მოეკლა იგი. მონასტრის მჭედლის მოსერხებულობით იგი განაიარაღეს. მაგრამ ბერს არასოდეს სწყინდა 'მკურაცხმყოფელებისაგან, პირიქით, მათ გულისხმიერად ეპყრობოდა. ერთი ქალბატონი ბერს აბრა'სებდა, ის კი ითმენდა. მას ჰკითხეს, როგორ უთმენ მას? ბერმა უპასუხა: „თუ აქ, სადაც მე ვცდილობ დავამშვიდო იგი, მას კი მაინც უმძიმს, რა იქნება მისთვის იქ, სადაც მას ყველა შეწინააღმდეგება? როგორ არ უნდა მოუთმინო მას?“ ხშირი მძიმე ხორციელი უძლურებანი არ იქნებოდა ბერისთვის ყველა დევნა'ზე უფრო მძიმე? მოკლედ, ბერმა ბევრი მოითმინა, დევნილობის მსგავსიც კი პირდაპირი გაგებით. ამ თემაზე, ღმერთმა მოგვცეს შეწევნა, რათა ვრცლად ვისაუბროთ შემდეგში.

ყოველგვარი სათნოების გვირგვინი სიყვარულია. სწორედ ამაზე იქნება საუბარი შემდეგ თავებში.

XIII თავი

ბერი ამბროსის სახარებისეული სიყვარული, რომელიც გამოიხატებოდა მოყვასთან მიმართებაში მატერიალური დახმარებით და ბრძნული რჩევებით

„ხოლო ვინც იცავს მის (უფლის) სიტყვას,
მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიტყვა."[158]

ყველა სათნოების ნაყოფად და გვირგვინად, რომლებიც მამა ამბროსიმ სახარებისეული მცნებების აღსრულებით შეიძინა, გვეელინება სიყვარული ღვთისა და მოყვასისა. ეს არ არის ის სიყვარული, რომელსაც დიდი თუ პატარა დოზით გრძნობს ყოველი ჩვენგანი. ჩვენი სიყვარული არ არის მუდმივი. ერთხელ, როდესაც ბერისთვის იგალობეს მოციქულის მიერ დაწერილი მუხლი: „ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს" და სხვა[159], ბერმა გასაგონად თქვა: „ვინ განგვაშორებს? ყველაფერი გვაშორებს უფალს". სიმდაბლით საკუთარ თავსაც სხვებთან აყენებდა. მაგრამ მისი სიყვარული მუდმივი იყო, უანგარო და ყოვლისმომცველი, ისეთი სიყვარული, რომელზეც ნათქვამია: რადგან ძლიერია სიკვდილივით სიყვარული[160]. მამა ამბროსის ეს სიყვარული ღმერთთან მიმართებაში გამოიხატებოდა სახარებისეული მცნებების გადაუხრელი აღსრულებით, როგორც უფალი ბრძანებს: „ვისაც ეუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს"[161], რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი: მოყვასთან მიმართებაში ჩანდა თანაგრძნობა და გულმოწყალება ყველას მიმართ. ყველას სიყვარული და მცდელობა მიენიჭებინა მათთვის ბედნიერება, – იყო მისი ცხოვრება და სუნთქვა. ის ადამიანს უყურებდა როგორც ღვთის ხატს და ყოველთვის ახსოვდა, რომ მოწყალება განწმენდს ცოდვებს[162]. ის ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეკმაყო-

---

[158] იოანე. II, 5
[159] რომ. VIII, 35
[160] ქებათა-ქება VIII
[161] იოანე. XIV, 23
[162] სიბრძნე სირაქისა III. 30

ფილებინა ყველა მთხოვნელის სურვილი, რა თხოვნითაც არ უნდა მიემართათ მისთვის. აქეთ იყო მომართული: ა) ყველა ნივთიერი შემოწირულობა, რომელთაც უფალი უგზავნიდა ქველმოქმედთა ხელით, ბ) თავისი გამოცდილებითი ცოდნა და გ) სულიერი ნიჭი, რითაც ღმერთმა დაავჭილდოვა. ამრიგად, ბერი გაჭირვებულებს ეხმარებოდა ა) ფულით და ნივთებით, ბ) რჩევებით და დარიგებებით – ზეპირად და წერილობით, და ბოლოს გ) თავის მოქმედი, ლვთისთვის სასურველი ლოცვით.

ა) ბერის ნივთიერ დახმარებას ყველა ხედავდა. მასთან მოტანილ ნივთებს ის მომსახურეების ხელით ურიგებდა იმ ბერებს, რომელთაც ის სჭირდებოდა. გამოგზავნილ ფულს კი სამ ნაწილად ჰყოფდა, – ერთ ნაწილს უგზავნიდა სკიტის მმართველს სკიტის საჭიროებისთვის და კეთილისმყოფელთა მოსაგონებლად; მეორე ნაწილს ღატაკებისთვის განკარგავდა, მესამე – ყველაზე მცირე ნაწილს გამოჰყოფდა საკანდელო ხეთის და ცვილის სანთლის შესაძენად, რათა სენაკში აღესრულებინათ მსახურებები და ლოცვები. ყველა ღატაკს მოწყალება მომსახურეების ხელით გადაეცემოდათ. ზოგიერთ აუცილებელ შემთხვევაში თვითონ აძლევდა. ერთხელაც საჩქაროდ გამოდიოდა მინაშენიდან თავის სენაკში და ეუბნება თავის მწერალს: „აი იქ გაიარა ქვრივმა ობლებით, ბავშვები ერთი მეორეზე უფრო პატარები არიან. ხუთი ობოლი ჰყავს და საჭმელი არაფერი აქვთ. ქვრივი მწარედ ტირის და დახმარებას ითხოვს. ყველაზე პატარა არაფერს ამბობს, მხოლოდ თვალებში მიყურებს. ოო! როგორ არ უნდა მისცე მას!“ ბერმა მაშინვე ამოიღო ფული. ნერვიულობისგან ხელები აუკანკალდა, სახე აუთამაშდა, ცრემლები უნებურად ითხოვენ თვალებიდან გადმოსვლას. ამასობაში თითქოს ტკბილად იღიმება სიხარულისგან რომ ყოველადმოწყალე ღმერთმა ღირსი გახადა შეემშრალა უბედურებისთვის ცრემლები.

ეხმარებოდა რა მამა ამბროსი ხალხს, ცდილობდა შეძლებისდაგვარად მიეცა მათთვის ის, რაც დაკარგეს; კარგად ესმოდა, რომ თუ ღატაკს სჭირდება პურის ნაჭერი და სხვა ყველაფერი დაკარგული აქვს, მას დიდი დახმარება სჭირდება. გ. ს. დიდი ოჯახის უფროსი იყო და ეკუთვნოდა ძველ რუსულ გვარს, ახალგაზრდობაში

ბექთაროსნებში მსახურობდა, შემდეგ სამოქალაქო სამსახურში. მან ცხოვრებაში სიკეთის გამო ბევრი დაკარგა, რის გამოც აღმოჩნდა უადგილოდ და საარსებო წყაროს გარეშე. ამ დროს შამორდინოს წინამძღვარმა, მათი უბედურების შეტყობინებისთანავე, დაითანხმა ამ მოქალაქის მეულლე და ურჩია წასულიყო მამა ამბროსისთან. მასთან შეხვედრისას ბერმა თქვა: „ის ჩვენთან მოვიდა და დიდი ხანი არ წავა ჩვენგან“. ბერთან პირველმა შეხვედრამ ქალბატონი შეაძრწუნა როდესაც იგი თავის ქმარზე ლაპარაკობდა, უნდოდა ეთქვა: „მას დიდი ნაკლი აქვს – ზედმეტი სიკეთე“. ბერმა, რომელიც სიმელოტეს მიიწნევდა სიკეთის გარეგნულ გამოხატულებად, უცბად გააწყვეტინა მას და ღიმილით აღმოხდა: „მელოტია?! მეც მელოტი ვარ“. ამავე დროს ქუდიც მოიხადა. ამ ქალბატონის ქმარი ნამდვილად მელოტი იყო, მაგრამ ბერის მხიარულება არ მოეწონა, თუმცა მალე დაინახა საქმით, თუ ვინ იყო ეს მხიარული ბერი: მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა მან საკუთარ თავზე აიღო, უზრუნველყო ისინი საცხოვრებელი ფართით და საკვებით. ერთმა კიეველმა ქალბატონმა, რომ გაიგო ამ ოჯახის შესახებ, სპეციალურად ჩამოვიდა შამორდინოში, რათა თვითონ დარწმუნებულიყო მონათხრობის სიმართლეში. ეკლესიის გვერდით ის კარგად ჩაცმულ ქალბატონს გაესაუბრა და ჰკითხა ამ ოჯახის შესახებ. „ეს ჩვენ ვართ, მე ვარ ს., – უთხრა კარგად ჩაცმულმა ქალბატონმა. კიეველი ქალბატონი გაკვირვებული დარჩა. მან დაინახა, როგორ გამოიყურებიან ის ადამიანები, ვისაც მამა ამბროსი ესმარება.

ერთმა ბატონმა კარგა ხანი დაჰყო ოპტინაში. ის სულით კეთილი იყო, ძველი ჩვეულებებით. მას ჰქონდა განსაზღვრული და არცთუ ისე მცირე შემოსავალი, მაგრამ შენახული არაფერი გააჩნდა. ბერმა დაინახა, რომ ის უნდა დაბრუნდეს ერში ყოფილი სასარგებლო მოღვაწეობის აღსასრულებლად და უეცრად შეეკითხა: „როდის მიდიხართ?“ ბატონმა ბერის სიტყვა პირდაპირ მიიღო, რომ დროა წავიდეს. „იცით, მამაო, – უპასუხა მან, – რომ ჩემი ისევ აღდგომა ძვირი ღირს და ზედმეტი ფული არ გამაჩნია.“ ბერმა, თითქოს არც მოუსმენია პასუხი, ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა. რამდენიმე დღეში მასთან მოვიდა მამაოს ნდობით აღჭურვილი პირი და

ეუბნება: „მე გავიგე, რომ თქვენ გსურთ ფული იშოვოთ. მე შემიძლია გასესხოთ“. ბატონმა ძლივს მიაღწია იმას, რომ მისგან ხელწერილი აეღოთ.

ბერი ღარიბებს ეხმარებოდა, როგორც პირადად, ისე მომსახურების ხელით. ის არც წერილობით მომმართველებს ივიწყებდა. ყოველწლიურად, შობისა და აღდგომის დიდ დღესასწაულებზე, ის ათეულობით წერილს აგზავნიდა სხვადასხვა კუთხეში, მათთან, ვისაც მასთან ჩამოსვლა არ შეეძლო. ამ წერილებში ფული იდო. აგზავნიდა სამ-სამ მანეთს, ხუთ-ხუთს და მეტსაც. ბერის სიცოცხლის ბოლო ხანებში ასეთი წერილების რიცხვი ორასამდე გაიზარდა. მაგრამ ამ დროს უკვე სიმრავლის გამო ის მხოლოდ თითო მანეთს აგზავნიდა. იყო შემთხვევები, როცა ის ერთ პიროვნებას ასამდე მანეთს უგზავნიდა, სოგჯერ მეტსაც. სოგიერთი ღარიბი მონაზვნები, შეიძლება ითქვას, სულ მის კმაყოფაზე იყვნენ.

გიყვარდეს, ნათქვამია, და ყველაფერს აიტან (1 კორ. XIII.7). ამიტომ მამა ამბროსის სჯეროდა ყოველგვარი ‘ებედურების არსებობისა და როცა სთხოვდნენ, ის არ იწყებდა დაკითხვას – ატყუებენ თუ არა. იმ პერიოდში კოზელსკი სავსე იყო ღარიბი კონკიაჟღარუნა ახალგაზრდა ბოგანიოებით, რომლებიც ხშირად დადიოდნენ ბერთან და სთხოვდნენ პასპორტის გასაკეთებელ ფულს. ერთი მათგანი იცინოდა და პირდაპირ ამბობდა: „ჩვენ მამა ამბროსის მუდამ ვატყუებთ: ვეტყვით, რომ პასპორტისთვის გვინდა: ის თითო მანეთს გამოგვიყოფს, ჩვენ კი სასმელს ვყიდით და დავლევთ“. ამის გამგონენი კი ეუბნებოდნენ: „ვერ მოატყუებთ, ბრიყვებო, მამაოს. მან ყველაფერი იცის. მაგრამ იმისთვის გაძლევთ, რომ დიდ გზას არ დაადგეთ“. ის ცდილობდა, ასეთი ადამიანები გამოეფხიზლებინა ყოვლადძლიერი ლტოლვისაგან რწმენით და იმედს უნერგავდა, რომ მათაც შეეძლიათ დაადგნენ ახალ გზას.

ბოლოს, შამორდინოს ხალხმრავალი სავანე, სადაც ბერი მრავალ ღარიბსა და ავადმყოფს იღებდა, არის ხილული მტკიცებულება იმისა, რომ ის მოყვასის სიყვარულსა და მოწყალებას აფრქვევდა. ყოველ მათგანს იღებდა და ამშვიდებდა. როგორც კრუხი აგროვებს თავის ფრთებქვეშ წიწილებს: თითოეულ მათგანს სიყვარულით

ათბობდა, როგორც ძიძა ათბობს თავის შვილებს.

ბ) ახლა წარმოგიდგენთ მაგალითებს, თუ როგორ ეხმარებოდა ბერი მოყვასს თავისი ბრძნული რჩევებითა და მოძღვრებით, რაც მისი გამოცდილების ნაყოფი იყო. მთავარი მიზეზი ამისა იყო ის, რომ მას ღვთისგან ჰქონდა მონიჭებული მადლიანი განსჯა და წინასწარი ხედვა. მაგალითად, რამდენი მშენებლობა იქნა ჩატარებული მისი გეგმით სკიტში, სამონასტრო აგარაკებზე და, განსაკუთრებით, შამორდინოს ქალთა სავანეში, – და ყოველთვის ეს შენობები აღმოჩნდნენ ვარგისიანი და მოხერხებული. ასე რომ, ასეთ შემთხვევებში ბერს შეცდომები არ მოსდიოდა.

ერთი გარეშე დამკვირვებელი წერს: „ვინც შამორდინოში მამაოს სანახავად ჩამოდიოდა, უპირველეს ყოვლისა, სავანის არაჩვეულებრივი წყობით იყო აღფრთოვანებული. აქ არ არის არც ჯიხურები, არც ყიდვა, არც გაყიდვა, არც უფროსები, არც დაქვემდებარებულები, აქ ყველაფერი მამაოსგანაა. ეს ის ცენტრია, რომლითაც ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი ცოცხლობს. პირველივე ჩამოსვლაზე გამაოცა ასეთმა უსიტყვო მორჩილებამ მის ყოველ სიტყვაზე. ბევრს ვეკითხებოდი: რატომ ასრულებთ ყველა მის ნებას ასეთი ხალისით? – და სხვადასხვა პირებისგან ვიღებდი ერთსა და იმავე პასუხს, რომ ყველამ თავის თავზე გამოცადა, რომ კარგია მხოლოდ ის, რაზეც მამაო გვაკურთხებს: და თუკი ვინმე ‘სოგჯერ მაინც გადაწყვეტდა არ შეესრულებინა მისი რჩევა, თვითონვე დაინახავდა, რომ ბრიყვულად, წარუმატებლად და უსარგებლოდ გამოუვიდა“[163].

აი კიდევ კერძო შემთხვევები მამა ამბროსის ბრძნული ბერული რჩევებისა: მოვიდა ბერთან მდიდარი ორლოველი მემამულე და სხვათა შორის გაიკვირვა, რომ უნდა მოაწყოს წყალგაყვანილობა თავის ერცელ ვაშლის ბაღებში. „ადამიანები ამბობენ, – დაიწყო ბერმა მსგავს შემთხვევებში მისთვის ჩვეული სიტყვების თქმა, – ადამიანები ამბობენ, რომ ყველაზე უკეთესია“. და ძირფესვიანად აღწერა წყლის გაყვანილობა. მემამულე დაბრუნდა თუ არა სოფელში,

[163] ბროშურა: „მამაჩემ დანატოვრა“. გვ. 21, 22.

დაიწყო ამ საგნის ირგვლივ კითხვა. აღმოჩნდა, რომ ბერმა აღწერა ბოლო გამოგონება ამ სფეროში. მემამულე ისევ დაბრუნდა ოპტინაში. „რაა წყალგაუვანილობა?“ და ეკითხება ბერი. წყალგაუვანილობა მოაწყვეს ბერის მითითებით და დიდი სარგებელიც მოიტანა. მე'სობელ მებაღეებს ცუდი მოსავალი მოუვიდა, ამ მემამულეს კი – ვაშლიც საუკეთესო და უხვი მოსავალი.

ერთმა ახალგაზრდა კაცმა რაღაცეების ახსნის შემდეგ ბერს უთხრა, რომ სურს სახლში შხაპის გაკეთება. ბერი თანაუგრძნობს მას. „შენ გინდა, რომ პატარა ადგილი დაიკაეოს? ეს შეიძლება, გააკეთე ახ ასე–“ გავიდა რამდენიმე წელი. გამოკრულია განცხადება, რომ გამოჩნდა ახალი სრულყოფილი შხაპი. აღმოჩნდა, რომ ისინი მოწყობილია ისე, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინ აუხსნა მამა ამბროსიმ ახალგაზრდა კაცს.

მამა ამბროსის წინასწარხედვის შემთხვევები მრავალრიცხოვანი და ხშირად შემაწუხებელი იყო. გაეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

ყოვლადუსამღვდელოესმა კალუგის ეპისკოპოსმა მაკარმა ინება გადმოეცა საკუთარ თავზე შემდეგი. ის ჯერ კიდევ თეთრი მღვდელი და ორლოვის კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტის მასწავლებელი იყო, როცა ორლოვის სასულიერო სემინარიის რექტორთან არქიმანდრიტ N-თან ერთად მოუწია ოპტინის მონასტერში ჩამოსვლა და მამა ამბროსთან მისვლა. სტუმრებთან გასაუბრების შემდეგ ბერმა ორიგენეს ერთნაირი წიგნი აჩუქა – მონაზვნობაზე. „მე როგორც მღვდელმა, – ამბობდა მეუფე, – ვიფიქრე მაშინ, რისთვის დამჭირდებოდა ასეთი წიგნი?“ ბერმა, თითქოს გონსმოსულმა, მითხრა: „თქვენ ეს კი არა, – მაგრამ შემდეგ დაკურთო, – დიახ, ასეც იქნება“. შემდეგ ის დაქვრივდა და ყოფილი მღვდელი და კანონების მასწავლებელი, გახდა ბერი.

ამას კი ოპტინის ყოფილი ბლაღოჩინი და მღვდელ-მონაზონი ილარიონი ჰყვებოდა: „ერისკაცობაში ყოველწელს დავდიოდი ოპტინის მონასტერში, სადაც საიმოში იმყოფებოდა ჩემი ძმა, ბერდიაკონი პაფნუტი. ყოველ მისვლაზე თავს ვალდებულად ვთვლიდი, მივსულიყავი მამა ამბროსისთან და ამელაპარაკა მისგან კურთხევა. ერთხელაც ბერმა მითხრა: „დროა, ჩვენთან წამოხვიდე“.

მე ვუპასუხე: „ულელი მაკავებს, მამაო, ცოლიანი ვარ“. ამაზე ბერმა თქვა: „ვეღარ მომწიფებულა!“ იმავე წელს გარდაიცვალა დედაჩემი, ორი წლის მერე კი მოვედი მონასტერში. ასე აღსრულდა მამა ამბროსის მიწვევა - „დროა, მოხვიდე ჩვენთან“. ჩემთან ერთად ჩამოვიდა ჩემი მეულლე და 13 წელი იცხოვრა მონასტრის კუთვნილი საქონლის მომვლელებთან. გარდაიცვალა 1882 წელს, მას შემდეგ, რაც კელიური წესით ადიკვეცა სქემაში.

ოპტინის მონასტრის მღვდელ-მონაზონმა პაისმა გადმოგვცა ორი ამბავი:

1) 70-იან წლებში ზოგიერთი ძმა წმინდა საკანისათვის შემოწირულობების შესაგროვებლად იგზავნებოდა. მაგზავნიდნენ მეც. ერთხელ, წასვლის წინ მივედი მამა ამბროსისთან მისი წმინდა კურთხევის ასაღებად. მაკურთხა და იქ მყოფ ძმებს მიმართა: „იცით, ეს დიდი კაცია – მას ერში აფასებენ. ხუთ კაპიკ ნახევარს ის მოგვიტანს“. დაბრუნებულმა წინამძღვარს მოვუტანე 550 მანეთი. მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა მამა ამბროსის ხუთ ნახევარი კაპიკი.

2) მღვდელ-მონაზონ ანატოლისთან ერთად უნდა გადავეყვანე მე ოპტინის მონასტრიდან ლიხვინის მონასტერში. მამა ანატოლი განწესებული იყო იმ მონასტრის წინამძღვრად. ჩვენ გარდა კიდევ რამდენიმე ძმა იყო ამ მონასტერში ოპტინიდან განწესებული. მე არ მინდოდა იქ წასვლა. მივედი ბერთან და ჩემი განკვეთების შესახებ ვუთხარი. მან კი მიპასუხა: „ახლა ხელი მოაწერე იქ წასვლაზე, ხვალ კი უკან დაბრუნდები“. ბერის სიტყვამ ჩამაფიქრა. მოვაწერე ხელი კეთილ მონასტერში გადასვლაზე და მეორე დღესვე გავემგზავრე იქით. ჩამოვედი. შემხვდა მამა ანატოლი და მკუბნება: „არ არის ძმაო, აქ ჩვენი ადგილი; წაიდეთ უკან ოპტინაში“. იმ დღესვე ამგვარად დავბრუნდით იმ მონასტრიდან ოპტინაში.

ოპტინის მონასტრის მღვდელ-მონაზონი კეთილი[14] გვიამბობდა: ბავშვობიდან მქონდა სურვილი წავსულიყავი ათონზე და იერუსალიმში. 1838 წელს, როდესაც მე 22 წლის ვიყავი, მე გავემგზავრე კიევში და გზად ოპტინის მონასტერში შევიარე, სადაც მაშინ ბერი

[14] გარდაიცვალა 1899 წლის 26 აპრილს

მამა ლევი გახლდათ. მან არ მაკურთხა კიევში წასვლაზე და მითხრა, რომ ჩემი ადგილი ოპტინის მონასტერშია. ასე დავრჩი აქ, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი სახლში, რადგან ჩემი მშობლები არ იყვნენ თანახმა დავრჩენილიყავი მონასტერში. ამის შემდეგ ერში 40 წელი ვიცხოვრე, შვილი და გამიჩნდა შვილები. 1874 წელს ისევ ჩამოვედი მთელი ოჯახით ოპტინაში. მეუფეროსე ბერი ახლა მამა ამბროსი გახლდათ. ავუხსენი მას ჩემი აღთქმული სურვილი, რომ ათონზე და იერუსალიმში მინდოდა წასვლა. ამაზე მან მითხრა: „იქით წასვლა შეიძლება, მაგრამ შენი ადგილი მაინც ოპტინაშია". ბერის სიტყვა მალე გამართლდა. ორ წელიწად-ნახევრის შემდეგ ჩემი მეუღლე გარდაიცვალა და მე მოვედი ოპტინის მონასტერში და გავხდი ბერი.

ორი ამბავი გადმოგვცა ოპტინის მონასტრის მღვდელ-მონაზონმა დოროთემ.

1) მოვედი ერთხელ ბერთან და დიდი ხანი ველოდებოდი, სანამ მიმიღებდა. უკვე საღამოს ათი საათი იყო. ვსვიარ და ვფიქრობ უსაფუძვლოდ ჩემთვის: „აი მუდამ წმინდანს ეძახიან ბერს. ეს რა სიწმინდეა, როცა გაიძულებს ელოდო ამდენი ხანი მის გამოსვლას. ამის გამო საღამოს კანონის გამოტოვება მომიწევს, ხოლო ცისკარზე ვიძინებ. ყველას მაგივრად მას მოეთხოვება. იმავე წუთს მომესმა ბერის ხმა მისივე სენაკიდან: „ახლავე! ახლავე!" შევხედე, მამაო გამოდის. მაკურთხა,მომკიდა წვერში ხელი,ოდნავ დამარტყა ლოყაზე და თქვა: „აი ბერები სიოგჯერ ოვეობით ცხოვრობენ სასტუმროში და მელოდებიან, სანამ არ მივიღებ. სხვა, შეიძლება ათასი ვერსის სიშორიდანაა ჩამოსული და მელოდება მოთმინებით. ისინი წინ უნდა გავუშვათ. მათ გამო სიოგჯერ ძმებს უარს ვეუბნები მიღებაზე. ყველას ერთად მიღება არ შეიძლია. შენ კი ცოტაც არ გინდა მოიცადო. მე ერთს მომეხოჭკა ყველას მაგივრად!" ბერის სიტყვებით შთაგონებული, მშვიდი და გახარებული წავედი მისგან ჩემს სენაკში და არასოდეს ვკადნიერდებოდი აქეთ მეთქვა მასზე. მაშინაც კი, როცა მიხდებოდა დიდი ხანი ლოდინი. საერთოდ შევნიშნავ,რომ სიოგჯერ ყოფილა შემთხვევა. როცა არ მიმიღებდა ბერი, მაგრამ

მისგან მაინც დამშვიდებული და გახარებული წამოვიდოდი, ხოლმე.

2) შემდგომში მორჩილებას გავდიოდი უფროს ეკონომად საჭინიბოში. ზოგჯერ ნაკელს დადიხარ, ასევე მოუცლელობის გამო პირდაპირ წახვიდოდი ეკლესიაში. ზოგიერთი ძმა მეხუმრებოდა კიდეცაც: „ოო, დროთი, შენგან ნაკელის სუნი მოდის“. ეს სიტყვები განსაცდელში მაგდებდა. ერთხელ ვუთხარი ეს ბერს, მან კი მითხრა: „იცინონ, შენ კიდევ გაუსწრებ მათ, მათ შეშურდებათ შენი“. და რა მოხდა? ბერის სიტყვა ახდა. დიდი ხანია სამღვდელო ხარისხში ვარ, ხოლო ვინც მე დამცინოდა, ისინი უკან დარჩნენ.

სკიტის მღვდელ-მონაზონი ბენედიქტი სამ ამბავს გადმოგვცემს.

1) საკუთარ თავზე. სმოლენსკის სასულიერო სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ მე დავიკავე მღვდლის ადგილი დოროგობუჟის მაზრის სოფელ ჩებოტოვში. ჩემი სახელი ვიქტორ დიაკონოვი იყო. მალე ჩემი მეუღლე ავად გახდა, ეტყობა არცთუ ისე მძიმედ. ამ დროს ჩვენს სახლში შემოვიდა მწირი, რომელიც ოპტინის მონასტერში მიემგზავრებოდა. მე გავატანე მამა ამბროსისთვის ფული და ვთხოვდი მას ავადმყოფზე ელოცა. როცა მწირი მონასტერში მივიდა და შეხვდა მამა ამბროსის, მან ჰკითხა: „შენ იმავე გზით დაბრუნდები, რა გზითაც მოხვედი?“ მწირმა უპასუხა: დიახ. „შეიარე ისევ მამა ვიქტორთან, – ეუბნება მას ბერი, – და მადლობა უთხარი ჩემგან, რომ ვახსოვარ. უთხარი, რომ მეც მახსოვს“. იქვე შევნიშნავ, რომ სემინარიაში სწავლისას ვიყავი პირადად მასთან კურთხევის ასაღებად. მღვდლად კურთხევის მერე სულ ვიხსენებდი კვეთაში. ბერმა ეს დაიმახსოვრა. „მას ღვაწლი ელოდება, – აგრძელებდა ბერი, – დაიბრუნოს ბაღი და ხშირად მორწყას, ბევრი ხილი მოუვა. ივლისის თვე განსაცდელებით სავსე იქნება მისთვის: ჩვენ შევხვდებით ერომანეთს“. იმავე წლის 29 ივლისს გარდაიცვალა ჩემი მეუღლე და მე გავემგზავრე ოპტინის მონასტერში. მიველი ბერთან, მან მომცა სკვნილი და წიგნი „უფლის ჯვრის სამეუფოზე“. მიბრძანა მოვმსადებელიყავი ბერობისათვის – გამეყიდა ყველაფერი, რაც მებადა და მიმემართა მეუფისთვის განცხადებით გაკეთავისუფლებინე შტატიდან ავადმყოფობის გამო: მე შევასრულე ყველაფერი. შემდეგ მოველი მამაოსთან სკიტში და მალე აღვიკვეცე ბერად ბენედიქტეს სახელით.

2) გარეშე პირ'ს. სმოლენსკის გუბერნიის, იუხნოვის მაზრის სოფელ ფედოტოვკის მცხოვრებმა პაველე სიმონის ძე სოკოლოვმა სმოლენსკის სასულიერო სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ დაიკავა სოფლის მასწავლებლის ადგილი. მან რამდენჯერმე სთხოვა მამა ამბროსის კურთხევა მღვდლობა'ზე. მაგრამ მამა ამბროსი ყოველთვის უარს ეუბნებოდა და ურჩევდა მოეცადა. ასე გავიდა ორი წელი. პაველემ კვლავ მიმართა მამა ამბროსის წერილობით, სადაც გამოთქვამდა სურვილს გამხდარიყო ქალაქ ვიაზმის მღვდელი. ამჯერად ბერმა ასე უპასუხა: „შენს თავზე ეკლიანი გვირგვინი ჰკიდია, და ის მალე შენ'ზე გადმოვა – მოიცადე". ასეც მოხდა. ორი თვის მერე პაველე ავად გახდა და გარდაიცვალა.

3) მეორე გარეშე პირ'ს. სმოლენსკის გუბერნიის ქალაქ დოროგობუჟში ერთ კეთილშობილ ქვრივს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, რომლის შერთვაც ბევრ სასიძოს სურდა. ისინი ხშირად მოდიოდნენ ბერთან პირადად, რათა გამოეთხოვათ მისგან კურთხევა ქორწინება'ზე. მაგრამ მამაო სულ ეუბნებოდა: „მოიცადეთ". ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ძალიან კარგი სასიძო, რომელიც დედასაც მოსწონდა და შვილსაც: ამიტომ დედამ პირადად სთხოვა კურთხევა ბერს ქალიშვილის დაქორწინება'ზე. მაგრამ მამაომ უბრძანა ამ სასიძოსთვისაც უარი ეთქვათ, და დაუმატა: „მას ისეთი შესანიშნავი სასიძო ეყოლება, რომ მისი ბედნიერება ყველას შეშურდება. აი ჯერ შევხვდეთ აღდგომას. ხომ იცით, რა მშვენივრად ანათებს მზე ამ დღეს!" დადგა ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ქალიშვილს პირველს გაახსენდა ბერის სიტყვები: „დედა! გახსოვს რომ გვირჩია მამა ამბროსიმ, შეხედეთ ამომავალ მზესო!" გამოვიდნენ. გოგომ უცებ გადაიჯვარედინა ხელები და წამოიყვირა: „დედა! დედა! მე ვხედავ დიდებაში აღმდგარ ღმერთს. მე მოვკვდები ამაღლებამდე". დედა ძალიან დამწუხრებული იყო ამით და თქვა: „რას ამბობ, შვილო, უფალი შენთანაა. ეს შეუძლებელია. შენ არაფერი გტკივა, შენ ჯანმრთელი ხარ". მაგრამ გოგო განაგრძობდა მტკიცებას: „მე თქვენ გეუბნებით, რომ მოვკვდები, იმიტომ რომ ტყუილად არ წერია ღვთის ნათქვამი სიტყვა: „უკეთუ იხილოს კაცმან ღმერთი, ცოცხალი იქნება!" ქალიშვილის სიტყვები გამართლდა: ქრისტეს ამაღლებამდე

ერთი კვირით ადრე მას კბილები ეტკინა და ეტკობა ამ ავადმყოფობით ის გარდაიცვალა.

სკიტის მღვდელ-მონა'სონი ნექტარი გვამცნობს ოთხ ამბავს თავის თავ'სე.

1) სკიტ'ში მოვხვდი 1876 წელს. ერთი წლის მერე მამა ამბროსიმ მაკურთხა მოძღვრად მყოლოდა სკიტის მმართველი მღვდელ-მონა'სონი ანატოლი. 1894 წლამდე, ანუ მის გარდაცვალებამდე, მე ვაგრძელებდი მასთან, როგორც მოძღვართან ურთიერთობას. მამა ამბროსის მივმართავდი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მე მისდამი დიდი სიყვარული და რწმენა მამოძრავებდა. მივიდოდი მასთან და რამდენიმე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ის აღმომიჩენდა გულისნადებს. ყოველგვარ გაუგებრობას ამიხსნიდა და დამამშვიდებდა. მისი მსრუნველობა და სიყვარული ჩემს მიმართ ხშირად მაოცებდა, რადგან მე ვგრძნობდი, რომ არ ვიყავი ამის ღირსი. ამ კითხვა'ზე ჩემი მოძღვარი მამა ანატოლი მიპასუხებდა, რომ ამის მიზე'ი ბერისადმი ჩემი სიყვარული და რწმენა იყო: მერე რა, რომ ის ასეთი სიყვარულით არ ექცეოდა სხვებს, როგორც მე, ეს მათი ბერის მიმართ სიყვარულის უკმარისობის ბრალია, მერე რა, რომ ასეთია საერთო კანონი: ვინც როგორ ექცევა ბერს, ს'უსტად ისე ექცევა ბერი მათ.

2) მახსოვს, ორი წლის მერე, მას შემდეგ რაც სკიტ'ში მოვხვდი, გამოვიდა უფროსობის დადგენილება სკიტიდან მორჩილების გასახლებისა, ვინც დაუწესებელი იყო და სამხედრო სამსახურში უნდა წასულიყო. მეც, სხვებთან ერთად, მონასტრის მწერალმა გამომიცხადა სკიტიდან ჩემი გასახლების შესახებ. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ბერის წმინდა ლოცვებით, ეს საშ'შროება გაქრა. მწერალმა მალე ისევ გამომიცხადა, რომ მხოლოდ ოცდახუთი დღე უნდა განვდგე. მიველი მამაოსთან და მადლობა შევწირე ლოცვითი თანადგომის გამო: მან კი მითხრა: „თუ ბერულად იცხოვრებ, მაშინ შემდგომშიც არაფინ შეგაწუხებს და დარჩები სავანეში სამუდამოდ". ბერის სიტყვები გამართლდა. ღვთის წყალობით მე დღემდე სკიტ'ში ვცხოვრობ.

3) მერის შთაგონებით მე დაველაპარაკე მამა ამბროსის წინასწარ-

ხედვაში და საქმის სულიერ ცხოვრებაში მეუფეროსე ბერობის აუცილებლობაში. ეს აზრი გულში დავიმარხე და არავის ვეუბნებოდი. ეჭვი მომეძალა და ბერისადმი რწმენა შემერყა. მაგრამ უფალმა სასწაულებრივად გამომაფხიზლა. ჩვენს სკიტში დადიოდა კოსელსკის მცხოვრები ვინმე კაპიტონი. ის მომიყვა, თუ როგორ ურჩევდა ბერი თავისი წინასწარჭვრეტით, გამეშვა შვილი კურსკში რაიმე საქმის საშოვნელად, მაგრამ დაუმორჩილებლობის გამო მამაშვილი ორივე დავისაჯეთ. (ამ შემთხვევის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით იქნება საუბარი). ამ შემთხვევამ ძალიან გამაკვირვა და გონს მომიყვანა, მივხვდი, რომ ბერში დიდი მადლიანი ძალაა დავანებული.

4) საერთოდ, იყვნენ საქმოში ადამიანები, რომლებიც განიკითხავდნენ მას. მე ხოგჯერ მიწევდა ასეთი უარყო საუბრების მოსმენა, თუმცა სულ ვცდილობდი დამეცვა ბერი. მახსოვს, ერთი მსგავსი საუბრის შემდეგ დამესიზმრა ჩემი მოძღვარი მღვდელმონაზონი ანატოლი და მრისხანედ მითხრა: „არავის აქვს უფლება განსაჯოს ბერის მოქმედება. ბერი თავის საქციელზე ააბარებს ანგარიშს უფალს, ჩვენ მათ მნიშვნელობას ვერ ჩავწვდებით“.

სკიტის ბერი ოთხი გვიყვებოდა ორ ამბავს.

1) თავის თავზე: ერისკაცობაში ვიყავი ცოლიანი, მაგრამ ოთხი წლის მერე დაქვრივდი. ამ დროისთვის ჩემი ძმა ოპტინაში გაემგზავრა მამა ამბროსისთან, მე მოვისურვე ძმის საშუალებით, გამეგო, თუ როგორ ცხოვრებაზე მაკურთხებდა ბერი: „ერთი წელი მოითმინოს, ცოლს ნუ მოიყვანს, ჩამოვიდეს ჩვენთან“. მე ვიფიქრე: ჩემი ბერობა ხომ არ უნდათ? მონასტერში ცხოვრება მაშინ არ მქონდა განსრახული. ერთი წელი გაიცდა და მე ისევ შევირთე ცოლი,რომ ოპტინაში არ წავსულიყარ ბერისგან ლოცვა-კურთხევის ასაღებად. გაიცდა სამთვენახევარი და მეორე ცოლიც მომიკვდა. ამ ამბიდან ორი თვის შემდეგ წავედი ოპტინაში. მიველი ბერთან. ის მეუბნება: „მოდი აქ. სადაა შენი ცოლი? რატომ არ მომისმინე?“ მე ვუპასუხე: „მაპატიეთ, მამაო! აი მოვედი იმის შესაკითხად, კიდევ შევირთო ცოლი თუ დავრჩე მონასტერში?“ ბერმა მიპასუხა: „მესაძლ ქორწინება არ არსებობს. შენი პირდაპირი ვალია დარჩე მონასტერში

და გახდე ბერი". ამის შემდეგ დავბრუნდი სახლში, ორი თვის მერე კი სამუდამოდ ჩამოვედი ოპტინაში და შევუერთდი სკიტის საძმოს.

2) გარეშე პირსე: მყავდა ერთი ნაცნობი ვაჭარი. ის ღვთივსათნოდ მსახურობდა, მოწყალებას გასცემდა და ბეჯითად ესწრებოდა საეკლესიო მსახურებას. ის მამა ამბროსისთან მივიდა და ჰკითხა, თუ როგორ უნდა ეცხოვრა. ბერმა ასეთი პასუხი გასცა: „იცხოვრე, როგორც ცხოვრობ. მხოლოდ ყოველ მარხვაში ეზიარე". ვაჭარმა მოუსმინა ბერის რჩევას და რამდენიმე ხნის მერე გარდაიცვალა. ის ქრისტიანულად აღესრულა ყოველნაირი საგზლით წარსდგა ღვთის წინაშე.

ხუთი ამბავი გადმოგვცა სკიტის ბერმა გურიმ.

1) სამი წლის მერე, მას შემდეგ, რაც 1887 წელს მოვხვდი სკიტში, ჩემთან ჩამოვიდა ძმისშვილი. ის მივიდა მამა ამბროსისთან დაქორწინებაზე კურთხევის ასაღებად. ბერმა მოთმინებით ურჩია და უთხრა, რომ მას გარკვეული დროის განმავლობაში მოუწევდა ბელელში ცხოვრება. ბერის წინასწარმეტყველება ახდა. ერთი წლის შემდეგ ჩემი ძმის სახლი დაიწვა და მას ოჯახთან ერთად, სანამ ახალ სახლს ააშენებდა, ბელელში მოუწია ცხოვრებამ. ამ ხანძარმა ძმა ვალში ჩააგდო. ამ ამბის გაგება ძალიან განვიცადე და მოვუყევი ამის შესახებ ბერს. მან კი დამამშვიდა და მითხრა: „ნუ განიცდი, შენი ძმა მოეწყობა და კიდევ უკეთესად იცხოვრებს, ვიდრე მანამდე". ნამდვილად, ძმამ ააშენა ახალი სახლი და დღეს ცხოვრობს უფრო კმაყოფილი, ვიდრე უწინ.

2) სკიტში მოსვლისას მამაომ მაკურთხა და დაამატა: „არქიმანდრიტ ისააკს თვალით არ დაენახვო, თორემ, როგორც კი დაგინახავს, მაშინვე გადაგიყვანს მონასტერში. მონასტრის ცხოვრებას შენ ვერ გაუძლებ და ამან შეიძლება დაგაბრკოლოს". მე მახსოვდა ბერის ნათქვამი და გავურბოდი არქიმანდრიტთან შეხვედრას. მაგრამ ოთხი წლის მერე, აღდგომას, როცა მონასტერში საძმოს საერთო ტრაპეზი იშლებოდა, მე სხვებთან ერთად ტრაპეზობის შემდეგ მივედი არქიმანდრიტთან კურთხევის ასაღებად, რადგან თავის არიდება და მასთან მიუსვლელობა ამ დროს უხერხული იქნებოდა. შეხედვისთანავე ბრძანა გადავეყვანეთ მონასტრის სასეყისკვერეში

და შემპირდა, რომ მე იქ უფროსი ვიქნებოდი. ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბერმა მიიღო მონაწილეობა სკიტში ჩემი დატოვების საქმეში და დამტოვეს კიდეც.

3) თითქმის იმ პერიოდში სიცხე მომცა და ავად გავხდი. სნეულება ძლიერდებოდა და მე უკვე ჩემს სიცოცხლეზე დავიწყე ზრუნვა. ჩემთან მოსულმა ძმებმა შეამჩნიეს, რომ თითების გაშავება დამეწყო. მათ იფიქრეს, რომ სიკვდილი მომიახლოვდა და წავიდნენ ბერთან, რათა მას ჩემი სქემაში აღკვეცის კურთხევა მიეცა. მაგრამ ბერმა არ აკურთხა და უთხრა, რომ მე მეორე დღეს გამოვკეთდებოდი. მამაოს წმინდა ლოცვების წყალობით მე მეორე დღესვე უკეთესად ვიგრძენი თავი. უკვე შეძელი ლოგინიდან ადგომა და მთლიანად გამოვჯანმრთელდი. ჩემი ავადმყოფობა ერთი თვე გრძელდებოდა.

4) შესანიშნავი შემთხვევის მომსწრე გახდა სკიტის მორჩილი მაქსიმე. მის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მამაომ უთხრა: „ამ ქვის ქვეშ წევს მაქსიმე ლარინი: მან უნდა იცხოვროს და იმხიარულოს, მაგრამ იმ ქვეყნად გადასახლება იქნება“. მაქსიმემ ბერის სიტყვა ისე გაიგო, თითქოს მას მონასტერში გადაიყვანდნენ და დამწუხრდა. მე მაშინ მწარეული ვიყავი, ხოლო მაქსიმე – ჩემი თანაშემწე. დავიწყეთ სატრაპეზოში იატაკის მორეცხვა. მაქსიმემ რატომღაც თავი ანება ამ საქმეს და თავის სენაკში წავიდა. ეს დილას მოხდა. სადილის დრო დადგა, მაგრამ მაქსიმე არ ჩანდა. გავიდა კიდევ სამი საათი. სოგიერთი ძმა წავიდა მასთან სენაკში, მაგრამ ის ცოცხალი არ დახვდათ.

5) სკიტში ცხოვრობდა მგალობელთა მეტროპოლიტენ მღვდელმონაზონი პალადი. ერთხელ კვირა დღეს სკიტის ტაძარში ლიტურგიისას იმსახურა, თავს კარგად გრძნობდა. მაშა ამბროსიმ იმ დღესვე გამოუცხადა მომსახურეთაგანი და უბრძანა დაუყოვნებლივ ეცხო სეთი და აღკვეცილიყო სქემაში. მამა პალადი ამით გაკვირვებული იყო და უთხრა მომსახურეს, რომ ის ჯანმრთელია. მამაომ კიდევ ორჯერ გამოუცხადა მსახური იმავე წინადადებით, მაგრამ ის წინააღმდეგობას განაგრძობდა. დადგა ორშაბათი. დილით მამა ამბროსიმ მეოთხეჯერ და უკანასკნელად გამოაცხადა მსახური მამა პალადისთან იმავე წინადადებით. სანამ ის სეთის-

ცხებისთვის ემზადებოდა, ინსულტი დაემართა, ენა წაერთვა, მაგრამ გრძნობაზე იყო. მოასწრეს მისი ზეთისცხება და ზიარება. იმავე დღის საღამოს გარდაიცვალა.

მონასტრის ბერმა გენადიმ გადმოგვცა სამი ამბავი.

1) ძლიერ შემაძრწუნებდა ხოლმე დასაძრახი აზრები. ამ შემთხვევის გამო მოცედი გვიან საღამოს მამა ამბროსისთან, უკვე ბნელოდა. მამაო დერეფანში გამოვიდა და დაიწყო რიგრიგობით ძმების დალოცვა, რომლებიც მუხლებზე იდგნენ. მოვიდა ჩემთან. სიბნელის გამო ჩემი სახის დანახვა მას არ შეეძლო და მომმართა: „შენ რაა?“ და დამიწყო სახეზე ხელით მოფერება, თითქოს ჭუჭყს მაშორებდა. შემდეგ დამლოცა და არაფერი მითხრა. მე უცბად ვიგრძენი, რომ გულზე მომეშვა, სული შემიმსუბუქდა. დასაძრახმა აზრებმა დამტოვეს და სიხარულმა აავსო ჩემი გული.

2) იყო კიდევ ასეთი შემთხვევა: ათი წლის შემდეგ, რაც სავანეში მოვეწყვე. ბოსტანში მორჩილებას ვასრულებდი. უფროსი ბერი ნაუმი იყო. მე მაშინ ხშირად მიწევდა ქალებთან ურთიერთობა, რომლებიც ბოსტნის მოსავლის ასაღებად მოგვყავდა. მე ვიგრძენი, რომ უწმინდურმა აზრებმა დამიწყეს შეწუხება. ისევე მიცედი მამა ამბროსისთან. ისევე გამოვიდა ის დერეფანში და დაიწყო ხმამოს დალოცვა, ამავდროულად მე მიყურებდა და თვალებს იდაყვით იფარავდა. ასე გაიმეორა მან რამდენჯერმე. მე მივხვდი, რომ ბერმა გაიჭერიტა ჩემი შინაგანი ბრძოლა და მიჩვენა მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, – თვალების დაფარვა.

3) ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ, მამა ამბროსის კურთხევით სახლში გავემგზავრე და ორი ობოლი ბავშვი წამოვიყვანე: 10 წლის ბიჭი და 7 წლის გოგო. ბიჭი მონასტერში დანაწესს, ხოლო გოგო შამორდინოს ბაშვთა სახლში. წელინახევრის შემდეგ შამორდინოდან მივიღე ცნობა, რომ გოგონა საშინლად დააავადდა. მოცედი ბერთან და ვეუბნები ჩემს მწუხარებას. ამის შესახებ ბერმა დებს ჰკითხა, რომლებიც იმ დღეს წამოვიდნენ შამორდინოდან; მაგრამ მათ უპასუხეს, რომ გოგონა უკვე გრძნობს თავს და არავითარი საშიშროება არ ემუქრება. ასე წავედი მამაოსგან, მაგრამ შემდეგ სხვებისგან გავიგე, რომ იმავე დროს, ჩვენი წასვლისთანავე,

საღამოს 11 საათზე ბერი მისულა ხატთან და დაუწყია გალობა: „წმინდათა შორის განუსვენე“. აღმოჩნდა, რომ ამ დროს გარდაიცვალა ჩემი ძმისშვილი შამორდინოში.

მონასტრის ბერი პაესინე ორ ამბავს გვიყვება საკუთარ თავზე.

1) ბავშვობიდან ბერულ ცხოვრებაზე კარგად ვიყავი განწყობილი და ყოველნაირად ვცდილობდი მონასტერში მოვხვედრილიყავი, მაგრამ არ მქონდა იმედი, რომ ჩემი მშობლები ამაზე დამთანხმდებოდნენ, რადგან მე ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი ვიყავი. ერთ-ერთ ამხანაგთან ერთად გავემგზავრე ოპტინაში მამა ამბროსისთან იმისათვის, რომ მიმეღო მისი კურთხევა ჩემი გადაწყვეტილების შესრულებისათვის – აღვკვეცილიყავი ბერად. მაშინ 18 წლის ვიყავი. ბერის სენაკში რომ მივედი, მისი პირველი კითხვა იყო: „მშობლებმა გაგიშვეს მონასტერში?“ მე გამაოცა ბერის მიხვედრილობამ, რომელმაც ამჯერად ბევრი რამ მითხრა ჩემი წარსული ცხოვრების შესახებაც, რაც მას არავითარ შემთხვევაში არავისგან არ სცოდნია. ამასთან ერთად რაღაც მიწინასწარმეტყველა კიდეც რაც შემდგომში ამიხდა კიდეც. მითხრა, რომ მეკლო ოპტინაში, როგორც კი მოვიხდიდი სამხედრო სამსახურს. მე იმედიც კი არ მქონდა, რომ სამხედრო ვალდებულებისგან გამათავისუფლებდნენ; მაგრამ მოხდა ისე, რომ ბერის წმინდა ლოცვების წყალობით გამიშვეს ჯარიდან და მალე ოპტინის საძმოს მკერთდი. ეს მოხდა 1882 წელს.

2) ბერი ამბროსის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მასთან, შამორდინოში, ვიყავი. მან მაკურთხა და მითხრა: „იმის გამო, რომ შენ არ გამიმხილე შენი ზოგიერთი აზრი, შენზე განსაცდელი დაიშება“. ასეც მოხდა. იმავე წელს, შეშის ხიდვისას გავცივდი და კინაღამ მოვკვდი. ჩემს გამოჯანმრთელებას მარტო ბერის წმინდა ლოცვების ძალას მივაწერ, თუმცა ის უკვე ცოცხალი აღარ იყო.

მონასტრის ბერი მელეტი მოგვიყვა: ოცდაათი წლის წინათ, შეიძლება უფრო ადრეც, ერთი ჩემი ნათესავი გოგო, 17-18 წლისა, ჩამოვიდა მამა ამბროსთან ჩემს დასთან ერთად და სთხოვა ლოცვა, რომ კარგი საქმრო გამოეგზავნა უფალს. ამაზე ბერმა უპასუხა: „არ ინერვიულო, შენ გეყოლება კარგი საქმრო. შენი ქორწინებისა ყველას შეშურდება“. გოგონამ ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნე-

ლობით გაიგო და ძალიან გაუხარდა. მაგრამ რა მოხდა? სახლში დაბრუნებიდან ერთი თვის შემდეგ ის დააავადდა და გარდაიცვალა. მისი კუბო, ყვავილებით შემკული, ქალწულებს მიჰქონდათ. სუსტად რომ სასძლო იყო! საფხული იდგა და ნათელი ამინდიც გამოვიდა. მიცვალებულს ბევრი ადამიანი აცილებდა. შესაშური იყო ასეთი დაკრძალვა, როგორც ეს ბერმა უწინასწარმეტყველა.

ორი ამბავი გადმოგვცა ოპტინის მონასტრის ბერმა მისაილმა.

1) ერში ცხოვრებისას ერთხელ ძალიან ავად გავხდი. გამოვიწერე კიევა-პეჩორის ლავრის სასულიერო წიგნების კატალოგი, იმ განსრახვით, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ გამოვიწერდი წიგნებს და წავიკითხავდი. გამოჯანმრთელებულს დამავიწყდა კატალოგიც და წიგნებიც. 15 წლის შემდეგ მე მოვედი და მოვეწყვე ოპტინის მონასტერში, მინდოდა გამომეწერა ახალი კატალოგი. მიველდი მამა ამბროსისთან იმისათვის, რომ ამა'სე კურთხევა მოეცა. როგორ გავოცდი, როცა ბერმა მიპასუხა: „იცხოვრე ძველი კატალოგით". ამის შესახებაც მას არ შეიძლებოდა რომ რაიმე სცოდნოდა.

2) ბერის წინასწარხედვის სხვა შემთხვევა: 1881 წელს მოვედი, მოვეწყვე ოპტინის მონასტერში და ჩავიცვი მორჩილის კაბა. მიველდი მამა ამბროსისთან, რომ დავლოცე და, სხვათა შორის, ვკუთხარი: „თუმცა მორჩილის კაბით შევიმოსე, მამაო, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ წავიდე ათონის მთა'ზე და იქ, სამოში, დავრჩე." ამა'ზე ბერმა მიპასუხა: „მოვა დრო და ათონ'სეც მოხვდები". ოთხი წლის შემდეგ მე ნამდვილად წავედი ათონზე, მაგრამ ორი თვის მერე ისევ დავბრუნდი ოპტინა'ში. ძნელად მომეჩვენა ათონის ბერული ცხოვრება. ასე რომ, მომიწია მხოლოდ მცირე ხნით ყოფნა ათონ'ს, როგორც მამამ თქვა.

მონასტრის ბერი გაბრიელი გვიამბობს სამ ამბავს.

1) ჩემს ნათესავ ქალს ჰყავდა ქალწული გოგო, რომელიც ოპტინა'ში დადიოდა და მამა ამბროსისთან იყო მისული კურთხევის ასაღებად, ისიც მის წმინდა ლოცვებს ითხოვდა, რომ კარგი სასიძო გამოეჩინა უფალს. ბერმა მას უპასუხა, რომ სასიძო ეყოლება, მაგრამ არა ახალგა'სრდა, არამედ ორმოცამდე წლის. ნამდვილად, ამ გოგონას ხელს ითხოვდა ორმოცამდე წლის სასიძო და ქორწილიც შედგა. ეს 1869 წელს მოხდა.

2) ეფრემოვსკის მაზრის სოფელ პერეეესოეეში ორი ერთმანეთის ნათესავი გოგო ცხოერობდა. ერთი ოდნაე უფროსი იყო და მან გადაწყვიტა არ გათხოვილიყო, მეორე კი სასიძოს ელოდა: ის 24 წლისა ხდებოდა, მაგრამ სასიძო არ ჩანდა. ორივემ გადაწყვიტეს წასულიყვნენ ოპტინაში მამა ამბროსისთან იმის საკითხავად, თუ როგორ იცხოვრონ. უფროსს მამაომ მისცა კურთხევა ქალწულად დარჩენისა და სწავლისა, უმცროსს კი უთხრა, რომ მას გამოუჩნდება სასიძო, ძალიან ახალგაზრდა. ასეც მოხდა. პირველი ქალწულად დარჩა, ხოლო მეორე გათხოვდა ახალგაზრდა კაცზე.

3) ზემოთ ხსენებულ მამა გაბრიელს უყვებოდა ოპტინელი ბერი ალექსანდრე, ყოფილი მესტუმრე: ქალაქ ნოვოსილოში, საიდანაც იყო წარმოშობით, ერთი სასულიერო პირი მოღვაწეობდა, რომელსაც არ უყვარდა მონოზვნები. მისი მეუღლე, რომელსაც მამა ამბროსის სჯეროდა, ჩუმად, ისე რომ მეუღლეს არ გაეგო, ზოგჯერ ჩამოდიოდა ოპტინაში. მოხდა ისე, რომ მათს სახლში იმდენი ვირთხა გაჩნდა, რომ შეუძლებელი იყო იქ ცხოერება. ქმარმა ცოლი გაუშვა ვინმე მაწყეართან, რომ მას განედევნა მათი სახლიდან ვირთხები. მაგრამ ცოლმა ვერ ნახა სახლში მაწყეარი და გაემართა ოპტინის მონასტერში მამა ამბროსისთან. როგორც კი მიუახლოვდა ბერის სენაკს, ბერმა დანახვისთანავე დაუძახა და უთხრა: „რა, ვირთხებმა ცხვირი ჯერ ვერ მოგაჭამეს?“ ეს ქალბატონი დავარდა მუხლებზე ბერის წინ და უთხრა, რომ ნამდვილად შეესივნენ ვირთხები და ჩამოვიდა მისი წმინდა ლოცვების სათხოვნელად, რათა ეხსნა ამ განსაცდელისაგან. ბერი შეეცადა მის დამშვიდებას. სახლში რომ დაბრუნდა, ქმარმა უთხრა, რომ მისი არყოფნისას ვირთხები უცებ სადღაც გაქრნენ სახლიდან და ამის მიზეზად მან მაწყეარი ჩათვალა. მაგრამ როდესაც ცოლმა უთხრა, რომ მაწყეარმა კი არ განდევნა ვირთხები, არამედ მამა ამბროსის წმინდა ლოცვებმა, ვისთანაც ის იმყოფებოდა. ქმარმა აღიარა მის წინაშე თავისი შეცდომა და ამის შემდეგ დაიწყო მამა ამბროსისა და მონაზვნების წინაშე კეთილ-კრძალულება.

ოპტინის მონასტრის მოწესემ, მღვდელ-მონაზონმა ნიკონმა, სიკვდილის წინ ჰქითხა მამა ამბროსის: „მამაო, საცაა მომიწევს

სიკვდილი და სად მომიწევს? – „შენ დაწვები დიდ ადამიანებთან“, – უპასუხა ბერმა. ბერის გარდაცვალებიდან სადღაც სამ წელიწადში გარდაიცვალა წინამძღვარი არქიმანდრიტი ისააკი, რომლის თანამდებობაც არქიმანდრიტმა დოსითემ დაიკავა, რომელიც ადრე მაშჩევსკის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. მამა ნიკონმა წინამძღვრისგან საჭიროების გამო პეტერბურგში წასვლა ითხოვა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ამჟამად იგი ალექსანდრე ნეველის ლავრაშია დაკრძალული გამოჩენილ ადამიანებთან. ბელევოს მონასტრის მონაზონმა დედა ბარბარე ნიკოლოზის ასულ ტერეხოვსკაიამ გვამცნო სამი ამბავი საკუთარ თავზე.

1) მე, პეტერბურგელ ქალბატონს, 18-დან 50 წლამდე მქონდა სურვილი მოვწყობილიყავი მონასტერში, მაგრამ სურვილის შეუსრულებლობა მეტად მიქანცავდა გულს. ზაფხულობით ხშირად დავდიოდი წმინდა ადგილებზე: ღვთის განუსაზღვრელი განგებულებით მოვხვდი ოპტინის მონასტერშიც. ეს მოხდა 1876 წელს. გავჩერდი სასტუმროში. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ იქ ცხოვრებისა შევიტყვე ვიღაც მონაზონი ქალისგან, რომ ოპტინის მონასტრის სკიტში არის არაჩვეულებრივი ბერი. „ჩვენ (ე. ი. მე და მომსახურეს) არავინ გვჭირდება, ჩვენ მოვედით მხოლოდ სალოცავად“, – ვპასუხობდი მე. – “თქვენ მარტო შეხედეთ მას, რა მადლიანია!“ – ჩაილაპარაკა მონაზონმა. მე გადავწყვიტე მენახა ბერი. ვხედავ, ჩვეულებრივი ბერი კურთხევას აძლევს ხალხს ღობის მიღმა. მე არაფერი გამეგო ჯერ კიდევ მეუფროსე ბერებზე და მიველი უფრო ახლოს მის სანახავად. მამამ ჩემამდეც, პეტერბურგელ ქალბატონამდე, მოალწია, მაკურთხა და ღიმილით ჩამჩურჩულა: „შენ მონასტერში ცხოვრება გჭირდება“. მე ისარიკით მომხვდა ეს სიტყვები და ენებლიეთ იქვე, ყველას წინაშე ეუთხარი: „ეს უბრალოდ სამყაროს საოცრებაა როგორ შეეძლო ჩემთვის უცნობ ადამიანს ზუსტად გაეგო ჩემი მუდმივი ფიქრი და გამოეცხადა ჩემთვის ჭეშმარიტება, რომელსაც საიდუმლოდ ვინახავდი ჩემს გულში, რაც უწყოდა მხოლოდ ყოველისმცოდნე, გულთამხილავმა უფალმა“. მისი წმინდა ლოცვების წყალობით მალე ყველაფერი დაჩქარდა. ჩემი აღთქმული სურვილი. მეცხოვრა მონასტერში, აღსრულდა.

2) როცა ოპტინიდან ჩემი წასვლის დრო დადგა, გამომშვიდობებისას ბერმა მითხრა: „შენ არცთუ ისე ახალგაზრდა, სუსტი და ავადმყოფი ხარ. შენ ორი ექიმი გჭირდება, რომ გიმკურნალონ“. მე გაკვირვებულმა ვუპასუხე: „რა ორი ექიმი? თქვენ ცდებით: მე აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ“. და ბერის სიტყვებზე გამეცინა. 16 აგვისტოს დავბრუნდი შინ. მაგრამ აი, რა შემემთხვა: 8 სექტემბერს, წირვის შემდეგ ყავა დავლიე. მინდოდა მეორეც მომეთხოვა, მაგრამ უცბად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე ავად გავხდი დამქანცველი ციებ-ცხელებითა და ფილტვების ანთებით. მოიყვანეს გერმანელი ექიმი და სასახლის კარის ექიმიც. დილას მოდიოდა გერმანელი ექიმი, საღამოს კი სასახლის ექიმი დიდი მოთავრინასაგან (რომელმაც დააფუძნა კიევის სათავადო მონასტერი). მე ისევ დავინახე ამაში ბერი ამბროსის წინასწარხედვის უნარი.

3) მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, მე მაინც საკმარისად არ მჯეროდა ბერის. მაშინ მამა ამბროსიმ მოინდომა კიდევ უფრო ძლიერად დავერწმუნებინე მე იმაში, რომ ყოველი მისი სიტყვის საფუძველი ჭეშმარიტებაა. მას უნდოდა განემტკიცებინე იმის რწმენაში, რომ ის ლაპარაკობს და მოქმედებს მადლით, რომელიც მასში მყოფობს. ერთი წელი ვიცხოვრე ერთ-ერთ დედათა მონასტერში. ჩემთან ჩამოვიდნენ დედაქალაქელი სტუმრები, რომლებიც ოპტინიდან ტიხონოვის მონასტრის გავლით მოსკოვში აპირებდნენ წასვლას. მამა ამბროსიმ მაკურთხა გამეცილებინა ისინი ტიხონოვის მონასტერში. მე უარს ვიდექი, რადგან იქ არავის ვიცნობდი და არც არაფერი მესაქმებოდა, უფრო იმიტომ, რომ უკან მარტო მომიწევდა დაბრუნება. ბერი მეუბნება: „იქ არის, ვინც აქეთ გამოგაცილებს – სამი ვიაზემსკელი ვაჭარი, რომელთაც ძლიერ სურთ ჩემთან მოსვლა და ვერ გადაუწყვეტიათ. ისინი ღვთის წყალობას ელიან, რომ ვინმემ ჩემამდე მოიყვანოს: შენ კი იმათი მეგზური იქნები“. „დაუწერეთ წერილი, რომ გაიფრთხილდნენ“ – ამოვილუღლუღე მე. მამაომ კი ყველას თანდასწრებით, ვინც მინაშენში იყო, მიპასუხა: „მე იმათ საერთოდ არ ვიცნობ და არც არასდროს მინახავს ისინი“. აი, ასე წაველი პეტერბურგელ სტუმრებთან ერთად ტიხონოვის მონასტერში, თან ვიცინოდი და

არ მჯეროდა მამაოს სიტყვების. როგორც შეუძლია მოკვდავ, სუსტ ადამიანს, იცოდეს 65 ვერსის დაშორებით უცნობი ადამიანების არსებობის შესახებ, ფიქრობენ ისინი, რა სურთ მათ, და რის გაკეთებას აპირებენ! თუმცა მისი წინასწარმეტყველური სიტყვები სუსტად ახდა. ჩემი სტუმრები ტიხონოვის მონასტრიდან წავიდნენ. დავრჩი მარტო. როცა მე უნდა დავბრუნებულიყავი, არც ერთი მომლოცველი არ იყო დარჩენილი. ფეხით მოსიარულეებიც კი არ დარჩნენ. არც ერთი მეურმე არ ჩანდა. „რა ვქნა, რა ვიღონო? აი რა გამიკეთეს, ვერც დავბრუნდები ჩემს წმინდა სავანე'ში", – ჩავილულღულე და ტირილი დავიწყე. მოვიდა ჩემთან მამა ნიკოლოზი (ამჯერად მამა ნათანაილი, მღვდელ-მონა'სონი), ტირილის მიზე'ზი გამომკითხა და დამამშვიდა, რომ აქ არიან მომლოცველები და მე'ხობელი სოფლიდან ეკიპაჟის ჩამოყვანის იმედი მომცა. ჩემი წარმოდგენილი განსაცდელიდან დამშვიდებულმა ვკითხე: „ვინ არიან ის მომლოცველები,– დიდგვაროვანნი არიან?" – არა,– მიპასუხა მამა ნიკოლოზმა, – უბრალო ვაჭრები". ჩემს კითხვაზე: „საიდან არიან?" – მიპასუხა: ესენი აქვე ახლოს, ვიაზემსკში, ცხოვრობენ. მამა ამბროსის წინასწარმეტყველება ახდა. „რამდენი არიან? 5-6 კაცი? – არა მხოლოდ სამნი". მე დავთანხმდი წავსულიყავი მათთან ერთად წმინდა, წინასწარმხედველ, მადლმოსილ ოპტინელ ბერთან – მამა ამბროსისთან და მიმეყვანა ისინი მასთან. თან მათთვის გზაში უნდა მომეთხრო, თუ როგორ იგრძნო მამა ამბროსიმ, სულით მათი კეთილი განსრახვა და წინასწარ თქვა მათ'ზე ყველაფერი ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო! „როდის დადგება, – ბჭობდნენ ვაჭრები, – ის ბედნიერი წუთი, რომ სამივემ ენახოთ მადლმოსილი ბერი, დავტკბეთ მისი საუბრით და გადმოვცვაროთ მასთან ყველა გულისმიერი განსაცდელი და ცხოვრებისეული გაჭირვებანი!" ბერთან საუბრის შემდეგ ისინი დამშვიდებულნი და გახარებულნი გამოვიდნენ.

ბელევოს მონასტრის მონა'სონი დედა ბარბარა ენგელგარდტი გვიყვება:

1875 წელს ჩემმა ძმამ დაამთავრა მიხაილოვსკის საარტილერიო სასწავლებელი და დაიწყო სამხედრო სამსახური არტილერიაში.

1877 წელს ის დაინიშნა თურქების წინააღმდეგ მოქმედი არმიის რიგებში. მაშინ ის ოციოდე წლის იყო, მე კი მოსკოვის გუბერნიის, ვერეისკის მაზრაში მდებარე სასიმოვსკის მონასტერში ვცხოვრობდი. ერთხელაც მივიღე წერილი ჩემი ძმის ამხანაგებისაგან, სადაც ის მწერდა საშინელ ამბავს, რომ ჩემმა ძმამ თავი მოიკლა. საშინელი ვაებით გაეცნობა ერე ოპტინაში მამა ამბროსისთან. მასთან გამოეწვდი თვალცრემლიანი და ყველაფერი მოუყვევი. მამაომ მანუგეშა, როგორც შეეძლო. მე ვკითხე: „შემიძლია თუ არა ვილოცო ძმაზე?“ მან მიპასუხა: „ეკლესია რომ თვითმკვლელებზე არ ლოცულობს?“ მითხრა, რომ მომცემდა ლოცვას, რითაც შემეძლებოდა სენაკში ძმისთვის ლოცვა. მასთან მეორე დღეს მივედი. მამაო მხიარული დამხვდა და მაცნობა, რომ ჩემი ძმა ცოცხალი და ჯანმრთელია. მე ვკითხე: ვნახავ თუ არა მას? მამაომ მიპასუხა,რომ მის შესახებ ათი წლის მერე გავიგებ ამბავს. მამაოს ნათქვამი აღსრულდა. ათი წლის მერე მივიღე ამერიკიდან ჩემი ძმის წერილი, სადაც მამცნობდა, რომ ის ცოცხალია და შენდობას ითხოვდა ამდენი ხნის მოუკითხაობის გამო.

ბერი ხშირად პასუხობდა ხალხის აზრებს. ამის მაგალითები ხშირი იყო საეროო კურთხევაზე. ერთმა მონაზონმა ქალმა იფიქრა, თუ როგორ ახერხებდა მამაო ამდენი ხალხის ხელმძღვანელობას, – ოპტინელების, შამორდინოელებისა და საეროების. ყველას თავისებური გადახრები აქვს და ყველას უნდა უწევნო თავისი გზა. იმ დღესვე ბერმა დაიწყო ასეთი საუბარი: „აი, რა მესმოდა მე ძველებისგან: დედოფალმა ეკატერინე II-მ ჩაიფიქრა მეცხოვნეების გათავისუფლება და თათბირზე დაიბარა სახელმწიფოს უმაღლესი პირები. ყველა რომ შეგროვდა, დედოფალი გამოვიდა მათთან: ელოდებიან მხოლოდ მიტროპოლიტს, რომელიც არ გამოდიოდა. დიდი ხნის შემდეგ ისიც გამოვიდა, მოვიდა და დაიწყო პატიების თხოვნა, რომ დროულად ვერ მოვიდა – ყანის ღვთისმშობლის ტაძართან ერლი გაფუჭდა. „დავჯექი, – ამბობს ის, – ეკლესიის კარიბჭესთან, სანამ მეორეს ეძებდნენ და ბრძნული სიტყვა მოვისმინე. ჩემ გვერდით ვიღაც კაცი ბატებს მიერეკება. ისინი ბევრია, ის კი მხოლოდ ეროი, წკნელით. ბატები მიდიან სწორად – არც ერთი არ

ჩამორჩება. მე გაოცებულმა ვკითხე ამ კაცს, მან კი მიპასუხა: ამიტომაც ვახერხებ მარტო მათს მწყემსვას, მამაო, რომ მათ ყველას ფრთები შეკრული აქვთ". მოისმინა დედოფალმა მისი სიტყვა და ამბობს: „საკითხი გადაწყვეტილია – არ ვაუქმებ მეცხოველეების რანაირს".

მეორე მონანახი, რომელსაც მამაო შამორდინოში გადასცლას ურჩევდა, ეშინოდა, რომ ბერის სიკვდილის შემდეგ აქ გაუჭირდებოდა. ის დიდხანს ინახავდა გულში ამ აზრს და მამაოს არ ეუბნებოდა. მან კი (მამა ამბროსიმ) საერთო კურთხევაზე, ამ მონაზვნის თანდასწრებით, თქვა: „იცით თუ არა თქვენ, რომ ბერები სიცოცხლეში თავის სავანეს არ ტოვებენ, ნუთუ განდგებიან ისინი სიკვდილის მერე? არა, – სულ იქ იქნებიან, როგორც მანამდე".

ზოგიერთ მონაზონს, მიუხედავად იმისა, რომ მათს სენაკებში არ იყო ნამყოფი, ბერი საფუძვლიანად უყვებოდა, სად რა იდგა და სად რა ეგო – ერთი სიტყვით, მთელი სენაკის მდგომარეობა იცოდა.

XIV თავი

ბერი ამბროსის წინასწარხედვის კიდევ რამდენიმე შემთხვევა, მოყოლილი საერო პირების მიერ და მისი წერილობითი რჩევები და დარიგებები

უპირველეს ყოვლისა, აქ შემოთავაზებული იქნება ღვთისმოყვარე ადამიანებისთვის, ბერის ერთგული სულიერი შვილის, ღრმად-პატივცემული ა.ა. შიშკოვას სტატიიდან ამოღებული სიტყვები.

„ერთხელ ბერთან ყოფნისას მან მაკურთხა, რომ წამეკითხა წიგნი „უფლის ჯვრის სამეუფო გზა, რომელსაც მარადიულ ცხოვრებაში შეუყვარართ“. და თან დაამატა: „ხშირად იკითხე ის“. მე ვუთხარი: „თქვენ მე ასეთი წიგნი წინათ უკვე მომეცით“. – „მერე წაიკითხე?“ – „მე მგონი, წავიკითხე“, – ვუპასუხე მე. „შენ გგონია, არც გაგიმლია, ისე გააჩქარე“. მე გამახსენდა, რომ მე ეს ნამდვილად ჩავიდინე და შენდობა ვთხოვე. მამაომ, მისთვის ჩვეული სიკეთით, ისევ მომცა წიგნი და მითხრა: „ეს ხშირად წაიკითხე“. მე უკვე არ ველაპარაკობ მისი წინასწარსვლის ბევრ შემთხვევაზე, რომლებიც რამდენჯერმე აისახა მთელს ოჯახზე“. ტამბოვის გუბერნიაში, – წერს იგივე ქალბატონი შიშკოვა, – გამართლებული იყო მამა ამბროსის წინასწარმეტყველება. მისი ნათესავი ტროეკუროვის დედათა მონასტრის მღვდლის ცოლი იყო. (სულ მამკლიდან 20 ვერსში). როდესაც ნათესავის ქმარი აღინიშნული მონასტრის მღვდლად განაწესეს, ქალბატონი მივიდა მამა ამბროსისთან კურთხევის ასაღებად, რათა იქ სახლი აეშენებინათ. რადგან მანამდე ისინი უხერხულად ცხოვრობდნენ ქირით. მამაომ არ მისცა კურთხევა და უთხრა: „მოიცადე კიდევ ათი წელი და მერე ენახოთ, ღმერთი რას მოგცემს“. მღვდლის ცოლი მოუთმენლად ელოდა ათი წლის გასვლას. მას მოსწყინდა სხვის სახლში ცხოვრება და არაერთხელ უთქვამს მონაზვნებისთვის: „ამ წელს რაღაცა იქნება, ეს ხომ მეათეა. ნეტა რამე არ მოხდეს ჩვენს თაყს და ჩემი ქმარი არ მოკვდებოდეს! ის ავადმყოფი იყო. აი მოახლოვდა მე-10 წელი და მღვდლის ცოლი თვითონ გახდა ავად: უცბად სიცხე მისცა და მესამე დღეს გარდაიცვალა. მღვდელს, როგორც ქვრივს, დედათა სავანე უნდა

დაეტოვებინა, და აი, ასე ათი წლით ადრე გააფრთხილა ბერმა იმ დანაკლისზე, რომელიც უნდა განეცადა მღვდელს სხვა ადგილას გადასვლისას. ამგვარად შეჩერდა მათი მშენებლობის სურვილი.

ახლა მოვისმინოთ ერთი ქალბატონის, პელაგია გლაგოლევას, მონათხრობი. იგი 1892 წლის 30 იელისს სკიტ'ში წერდა:

„დავქვრივდი 22 წლის ასაკში და დავრჩი ყოველგვარი ცხოვრებისეული საშუალების გარეშე. ჩავსახლდი დედასთან. ისიც ქვრივი გახლდათ და დამძიმებული იყო მრავალრიცხოვან ოჯახზე ზრუნვით, რადგან საშუალება შეზღუდული ჰქონდა. პირველ ხანებში არც კი ვიცოდი, რა მექნა. კეთილი ადამიანების რჩევით მივმართე მამა ამბროსის. ეს მოხდა 1880 წელს. ბერთან ჩემს კომპანიონ გოგონასთან ერთად მივედი. მამაომ დაუყოვნებლივ მიგვიღო. ის ლოგინზე ნახევრადმწოლარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც კი შევედით, პირველივე შეხედვით მადლიანი გრძნობა დამეუფლა და თვალებიდან ცრემლები წამომივიდა. მამაო მისთვის ჩვეული სიკეთით მოგვეფერა და მითხრა, რომ სასტუმროში დავწყნარებულიყავი და თუ ვერ შევძლებდი იმის თქმას, რაც მაწუხებდა, მაშინ დამეწერა და მისი მომსახურის ხელით გადამეცა მისთვის. ასეც მოვიქეცი: საფოსტო ქაღალდი მთლიანად შევავსე და დავწერე ჩემი გვარი – გლაგოლევა. მე გაოცებული დაერჩი, როცა საღამოს საერთო კურთხევაზე მამაომ ამდენ ხალხში გამომარჩია და დამიძახა: „ნუ, გლაგოლევა, მე შენ იმდენი მომწერე, რომ მთელი კვირა უნდა ვცემდე შენს კითხვებზე პასუხს. შენ ქვრივი ხარ, ჩვენ კი პური მექანად გვაქვს. იცხოვრე ჩვენს სავანეში, მე კი ყოველდღე ეუპასუხებ შენ მიერ დასმულ ერთ შეკითხვას“. ამ ყველაფერს იგი პუნქტუალური სიზუსტით ასრულებდა. სხვათა შორის მამა ამბროსის ვთხოვე კურთხევა მონასტრის გახსნაზე, რისი გაკეთებაც მხოლოდ ღვთისადმი ბავშვური რწმენით შეიძლებოდა, – არც მე და არც ჩემმა ოთხმა დამ ნემსის ხელში აღება არ ვიცოდით. მამაომ კი მითხრა: „ყოველგვარ სინდისიერ შრომას ღმერთი აკურთხებს“. მე გამოვიწერა ოსტატი ქალი მოსკოვიდან და მას ყოველთვიურად, 15 მანეთის ეუხდიდი. ღვთის კურთხევა იყო ჩვენზე მამა ამბროსის წმინდა ლოცვების წყალობით. თვეში, 40-50 მანეთს ვაკეთებდით, რაც ორი

წელი გრძელდებოდა, სანამ მე და ჩემი და არ გავთხოვდით. ბერთან ყოფნის დროს შევუყვარდი ერთ ბატონს, მაგრამ მამაომ თქვა: „რა დროს მაგის ცოლის შერთვაა? მას სულ სხვა გ'სა მოელის", – და ახდა. – ის მონასტერში წავიდა. მერე სხვა შეძლებულმა ბატონმა შემომთავა'სა წინადადება. ამის თაობა'ზე მე მივწერე ბერს და ავუხსენი, რომ ჩემს საქმროს სმა უყვარს, რა'ზეც მან ასე მიპასუხა: „მას'ზე გათხოვება შეიძლება, თუ ის მდიდარი, კეთილი და ჯანმრთელი კაცია". მე გადავწყვიტე მივთხოვილიყავი მას და ემდლობდი მოწყალე ღმერთს – მასთან მშვიდად და ბედნიერად ვცხოვრობდი. მე შემეძლო დავხმარებოდი დედას იმით, რომ ჩემთან წავიყვანე უმცროსი დაიკო გასა'სრდელად. ახლა, როდესაც ის უკვე ერთი წელია დავკარგე, მე მაქვს პატარა საშუალება ცხოვრებისა და მის ანგარიშ'ზე გავათხოვე ორი ობოლი დაიკო.

მე ახალგა'ხრდა ქალი ვიყავი და ისე ენებიანად მიველჩვიე კარტის თამაშს, რომ ნამდვილად ვკლავდი ჩემს ჯანმრთელობას, რადგან უძილოდ ვატარებდი ღამეებს ამ უა'სრო გართობით. ეთამაშობდი, რა თქმა უნდა, ფულ'ზე და ბევრს ვაგებდი. ოპტინიდან გამგ'ზავრებამდე ცოტა ხნით ადრე დავდექი მუხლებ'ზე მამა ამბროსის ლოგინთან და მისი მაკურთხეველი ხელების კოცნისას, ვთხოვე ბარათი. ეს საერთო კურთხევა'ზე იყო. მან მხოლოდ ერთხელ გამკიცხველად შემომხედა და თქვა: „ტყუილად ირჯები და მთხოვ ბარათს. ჩვენ აქ მონასტერში კარტს ვთამაშობთ?" ამის მერე გავიდა თორმეტი წელი, მე კი თითქოს ახლა ყოფილიყო, ისე მესმის ეს წყნარი საყვედური, რის გამოც მა'მინ მთელმა სისხლმა სახე'ზე ამომასხა. შეუძლებელია იმის თქმა, რასაც მა'მინ ვგრძნობდი. მე, რა თქმა უნდა, დავუწერე იმის ახსნა, რომ მისი ფოტოსურათი მინდა. მა'მინ მან მიიღო, მხოლოდ მისთვის შესაძლებელი თავისებური გამჭოლი გამოხედვა და მიპასუხა: „ოო! ეს შესაძლებელია, მე კი ვერ გავიგე". ამ სიტყვებით გაწია მან ყუთი, რომელიც ლოგინის ბეღერდით იდგა, ამოიღო ფოტოპორტრეტი და მომცა. ყველამ გაი'ცინა ხელი, ვინც იქ იყო და მოსთხოვეს ყოტოები, მაგრამ მამაომ თქვა: „მოიცათ, თქვენ რა? მთელი ჩემი ქონება არ ეყოფა, თქვენ რომ ყველას ჩემი ფოტოები დაგირიგოთ". მთელი ამ ბრბოდან კიდევ ერთმა გოგონამ მიიღო

ფოტოსურათი. და რა? წყეული ჩემი სული! ამ მხილების შემდეგაც, ამ გულისმიერი ბიძგის შემდგომაც არ დაიძრა უკეთესობისკენ. მე ისევ ვთამაშობდი და ვთამაშობდი, რადგან მტერს უხაროდა, მე რომ ხელში ვყავდი. და მხოლოდ ძლიერმა ავადმყოფობამ, რომელიც მე ყოვლადმოწყალე უფალმა გამომიგზავნა, მიხსნა ამ უაზრო მომაკვდინებელი ჩვევისაგან. ვმადლობ ყოველად უხვ მეუფეს და განსვენებულ მლოცველს მამა ამბროსის. მის მიერ გამოგზავნილმა წერილებმა კეთილი შედეგი გამოიღო. ვუფრთხილდები ბერის ფოტოს. ის ხშირად, როცა განსაცდელში ვარ, მახსენებს იმ სიყვარულს და მოთმინებას, როგორიც მამა ამბროსის ჰქონდა, მიუხედავად მისი ავადმყოფობისა, რადგან არც ერთი ქრისტიანი არ წასულა მისგან სიხარულისა და ნუგეშის გარეშე. მთელი იმ კვირის განმავლობაში, რომელიც მე ოპტინის სინათლეში გავატარე, საუკეთესო იყო ჩემთვის ის წუთები, რომლებსაც განსვენებული მამის გვერდით ვატარებდი. რამდენი სიკეთე, გულმოწყალება, სიყვარული იმალებოდა ამ საოცარ, ძლიერ, მორწმუნე სულსა და შესახედავად სუსტ სხეულში! ყველაფერი ცოცხლად წარმომიდგება. ერთხელ მამაოსთან წავედით კურთხევაზე, სალამო იყო. მასთან მონაზონი მივიდა და უთხრა: „დაგვლოცეთ მამაო, ნომერში ღამის გათევის გვეშინია“. მამაომ შიშის მიზეზი ჰკითხა, მან კი უპასუხა: „აი, მამაო, ჩემი ლოგინის თავზე ისეა ჭერი ჩამოკიდებული, რომ სიკვდილით მემუქრება“. მამაომ გულკეთილად ჩაიცინა და უთხრა: „მიუხედავად იმისა, რომ შენ მონაზონი ხარ, მაინც უნდა გითხრა ჭეშმარიტება, შენ ბრიყვი ხარ, გაბერილი. აი, რას მოგიყვები ამის თაობაზე: ერთი ახალგაზრდა კაცი სახლში გვიან დაბრუნდა და დაინახა თავის ბინაში შუქი. ამან ის საშინლად გააოცა, რადგან ბინის გასაღები ჯიბეში ჰქონდა. ცნობისმოყვარეობა რომ დაკმაყოფილებინა, ის მივიდა ფანჯარასთან, და რას ხედავს? ოთახში თვითონ დადის. ამან ისე შეაშინა, რომ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა მდინარის გაღმა მცხოვრებ ძმასთან, სადაც გააღწია კიდეც. დილით ძმასთან ერთად მივიდა სახლში, და რას ხედავს? თავისი ლოგინის თავზე ჭერი ჩამოგრეხილიყო! აი როგორ იცავს და იხსნის ღმერთი იმათ, ვინც ჯერ კიდევ არ არის მზად წარსდგნენ გულმოწყალე ღვთის

წინაშე. გირჩევ წახვიდე და მშვიდად დაიძინო. თუ ღმერთს ნებავს, ის დაგიფარავს შენ". ასეთი მონათხრობები რწმენა არა მხოლოდ კეთილად გაზრდილი ადამიანების მეხსიერებაში, არამედ მათ ადვილად იმახსოვრებენ სხვებიც, ისინი ბუნების ჭეშმარიტი შვილები არიან. და ასეთი პატარა მონათხრობები სულიერად ერთიდან მეორეს გადაეცემა, როგორც მამა ამბროსის ნათქვამი და, რა თქმა უნდა, უეჭველად მოაქვთ სარგებელი. მონაზონი ამ შემთხვევაშიც წავიდა დამშვიდებული.

ნახევარი წლის განმავლობაში მე დავკარგე მამა და ქმარი. იმდენად შეირყა ჩემი ჯანმრთელობა და ნერვები, რომ ვერც სიმღერას ვუსმენდი და ვერც გალობას, ცუდად მხდიდა. ჩამოსვლისთანავე შევხვედრივარ მამაოს ჩემი მდგომარეობა. მან მირჩია ღვთის რწმენით – ტიხონთან მივსულიყავი და მებანაცა სამკურნალო ჭაში, რაც აღვასრულე. თუმცა შემდეგ მე ავად ვიყავი სხვა დაავადებებით, მაგრამ ნერვების დამღლელი დაძაბულობა, ღვთის წყალობით, აღარ მქონია.

ერთხელ მამაომ მკითხა: „რა საარსებო პირობები გაქვს?" მე ვუთხარი, რომ არავითარი, გარდა მომგებიანი ბილეთისა. მე მისი მოგების იმედი მაქვს. მან თავში ყავარჯენი ჩამარტყა და მითხრა: „ცერასოდეს ვერ მოიგებ, ბრიყვო, თუ დაგჭირდა, გაყიდე ის". ის მალე დამჭირდა, კერძოდ, დედაჩემს სახლის გადასახადი უნდა გადაეხადა და ჩემი ბილეთის გარდა გადახდის სხვა წყარო არ ჩანდა. ასე რომ, იგი ამ საჭიროებისათვის ჩავდე, რაც, რა თქმა უნდა, ვერ გამოვისყიდე. მაგრამ, როგორც შემოთ ვთქვი, მე გავთხოვდი და არაფერი გამჭირვებია. როდესაც მონასტრიდან წასასვლელად ვემზადებოდი, მამაოს ვთხოვე, ვეკურთხებინე იმასზე, რომ ცხოვრებაში კიდევ ერთხელ ჩამოსულიყავი მასთან,რაზეც მან მიპასუხა: „სად, შე ბრიყვო? შენ ფულის შეკრებება არ იცი" (ისევ კარტის თამაშზე მიქარაგმებდა) მთელი ჩემი ძალისხმევის მიუხედავად თორმეტი წლის განმავლობაში ვერ შევძელი ოცდახუთმანეთიანი ბილეთის ყიდვა. რომ მამაოსთან მივსულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ სულით მივისწრაფოდი მისკენ. ასე აღსრულდა მისი სიტყვები. ახლა კი მსურს, თუ ეს შემოქმედს ნებავს მოვინახულო დაკეთილშობილი და

მოსიყვარულე ბერი ამბროსის საფლავი. მტკიცედ მწამს, რომ ჩვენთან ყოფნისას ვუყვარდით მას და ახლაც ყოველისშემძლე უფლის ტრაპეზთან სულით მღვიძარე არ დაგვტოვებს. გული და სინდისი გვიკარნახებს მის საფლავზე ჩვენი თხოვნის პასუხს. ამას მოსდევს მის შესახებ კიდევ რამდენიმე მონათხრობი.

პეტერბურგიდან ორი და ჩამოვიდა ბერთან. უმცროსი მხიარული ხასიათით, ხოლო უფროსი – წყნარი, ჩაფიქრებული, მლოცველი. ერთი გათხოვებისთვის ითხოვდა კურთხევას, მეორე კი – მონასტერში ცხოვრება‘ს. ბერი უმცროსს აძლევს სკვნილს, უფროსს კი ეუბნება: „რისი მონასტერი? შენ გათხოვდები, არც იფიქრო, აი ასე!“ – და დაასახელა ის გუბერნია, სადაც ისინი არასოდეს ყოფილან. ორივე დედაქალაქში დაბრუნდა. უმცროსმა შეიტყო, რომ საქმრო ღალატობს. ამან ძლიერ გარდაქმნა იგი, რადგან ძალიან იყო მასზე შეყვარებული. მას აღელვებდა ის, რომ ადრე ამით იყო დაკავებული. მისი ა‘სრულები წარემართნენ ღვთისკენ, მალე მონასტერში მოხვდა და იქ დარჩა. ამასობაში უფროსმა შორეული გუბერნიიდან წერილი მიიღო თითქმის დავიწყებული მამიდასაგან, ღვთისნიერი ქალისაგან, რომელიც დედათა მონასტრის გვერდით ცხოვრობდა. მან დაპატიჟა, რათა მონა‘სონთა ცხოვრება გაეცნო, მაგრამ სხვანაირად გამოვიდა: მამიდასთან ცხოვრებისას მან გაიცნო არცთუ ისე ახალგა‘სრდა კაცი, რომელიც ძალიან შეეფერებოდა მას ხასიათით და მისთხოვდა კიდეც მას.

მამაოს ახლობელ ბერს, პეტერბურგელს, ჰყავდა მემამულე‘სე გათხოვილი და, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ოჰტინა‘ში. ერთხელ მამა ამბროსიმ ამ მემამულესთან საუბრისას მას უთხრა: „ამბობენ, რომ შენს ახლოს მომგებიანი მამული იყიდება – იყიდე“. ბერს უყვარდა „ამბობენ“ სიტყვის ხმარება თავისი \‘ინას\‘არხედვის უნარის დასაფარაჯად. მემამულე გაოცდა: „იყიდება, მამაო, კარგი იქნებოდა იმის ყიდვა, რაც ჩემი ოცნებაა. დიდი მამულია, სუფთა ფულს ითხოვენ და თან იაფია, მაგრამ მე ფული არ გამაჩნია“. – „ფული?“ – გაიმეორა წყნარად ბერმა, – ფული იქნება. შემდეგ ისინი სხვა საქმეზე საუბრობდნენ. გამომშვიდობებისას მამა ამბროსიმ უთხრა: „გესმის, მამული იყიდე“. მემამულე სახლში ფეხით გაემგზავრა.

გზად ბიძა ცხოვრობდა – მდიდარი, მაგრამ ძალიან ძუნწი ბერიკაცი, რომელიც მთელს ნათესაობას გაურბოდა. მოხდა ისე, რომ გასაჩერებელი ადგილი არ ჰქონდა და ბიძასთან შევიდა. საუბრისას ბიძა ეკითხება: „რატომ არ შეიძენ მამულს, რომელიც შენს გვერდით იყიდება? კარგი შენაძენი იქნება“. მან კი უპასუხა: „რას მეკითხები, ბიძია? საიდან მოვიტანო ამდენი ფული?“ – „ფული რომ მოიძებნოს? ვალად მოგცემ, გინდა?“ ძმისშვილმა ხუმრობად მიიღო, მაგრამ ბიძა არ ხუმრობდა. მამული იყიდეს და ახალი ბატონიც მოვიდა განსაკარგავად. არ გასულა ერთი კვირა, რომ ბატონს მოახსენეს, რომ მოვიდნენ ვაჭრები ტყით სავაჭროდ. ისაუბრეს ფასზე და მათ ხელად დაადეს ტყეს ის ფასი, რა ფასითაც მთელი მამული შეიძინა.

სიცოცხლის ბოლო დროს მამა ამბროსიმ თავისი მოძღვრული რჩევით, გარეგნულად ერთობ უწვეულო, დიდი დახმარება გაუწია თავადიშვილ ლ-ის საქმეს. ეს შემთხვევა შესანიშნავია სასიამოვნო გარემოებების სირთულით, რომლის სათავეც ბერი ამბროსის მოძღვრებაში იდო.

ბერის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მასთან კურთხევის ასაღებად შეიარა მმართველმა, რომელიც პეტერბურგში მიემგზავრებოდა მცირედი მემკვიდრეობისათვის. უცბად მამაო ეუბნება: „შენ პეტერბურგში კი არ უნდა წახვიდე: წადი კურსკში“. ბერის ამ სიტყვებმა გააოცა. ამიტომ კალუგიდან ბილეთი კურსკის მიმართულებით აიღო და გაემგზავრა. ვაგონში ის ერთ მემამულეს გამოელაპარაკა. მას ჰქონდა მონასტერში წასვლის სურვილი და ეძებდა ადამიანს, რომელიც მის მამულს აიღებდა არენდით, რათა ყოველწლიურად გადაეხადა მისთვის მცირედი გადასახადი. და თუკი მის ნდობას დაიმსახურებდა, მემამულე დაუთმობდა მას თავის მამულს ძალიან ხელსაყრელ პირობებში. ვაგონშივე მოილაპარაკეს მათ ყველაფერი.

ღარიბ გოგონას სილამაზის გამო მდიდარმა ვაჭარმა დაადგა თვალი. ბერი კი ეუბნებოდა ქალიშვილის დედას: „თქვენს სასიძოს უარი უნდა ‘უთხრათ’“. დედა კი მოვარდა: „შენ რა, მამაო? ჩვენ სიმარშიც არ დაგვისმრებია ასეთი, ეს ღმერთმა გამოუგზავნა ობოლს, შენ კი მეუბნები უარი ეუთხრა“. მამაო პასუხობს: „ამას

უარი უთხარით, თქვენი ქალიშვილისთვის კი სხვა სასიძო მყავს, ამაზე უკეთესი". – „ამაზე უკეთესი გვინდა? თავადს ხომ არ გავაყოლებ". – უსინის ისევ დედა. „ისეთი სასიძო მყავს, რომ სიტყვითაც ვერ იტყვი: უარი უთხარით ვაჭარს". ვაჭარს უარი უთხრეს. გოგო კი ავად გახდა და მოკვდა. მაშინ კი მიხვდნენ, თუ რომელ სასიძოზე ეუბნებოდა ბერი.

ერთი ახალგაზრდა გოგონა საერთო კურთხევის წინ ნათესავ მონაზონს ეუბნებოდა, „მე ხელში კანფეტები მიჭირავს, ძალიან მინდა მივცე მამაოს, მაგრამ მეშინია – უხერხულია ყუთის გარეშე". მალე ბერიც გამოჩნდა. ყველამ ჩაიმუხლა. ბერი გაჩერდა ახალგაზრდა გოგოს წინ და უხმოდ გააშვებინა ხელები, აიღო კანფეტები და უხმოდ გააგრძელა საქმე.

ბერისთვის არ არსებობდა წერილმანები. მან იცოდა, რომ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ფასი და შედეგი ჰქონდა. ამიტომ არ არსებობდა არანაირი კითხვა, რომელსაც მას არ ეპასუხა თანაგრძნობითა და კეთილი სურვილით. ერთხელ ბერი გააჩერა ქალმა, რომელიც მემამულემ აიყვანა ინდაურების მომვლელად, მაგრამ ინდაურები იხოცებოდნენ და დიასახლისი ცდილობდა გამოექვითა მათი საფასური. „მამაო! – მიმართა ამ ქალმა ტირილით, – დამეხმარე, ძალა არა მაქვს, თვალის ჩინივით ვუფრთხილდები, მაგრამ მაინც იხოცებიან. დიასახლისს ჩემი გაგდება უნდა, შემობრალე, მშობლიურო". იქ მყოფნი დასცინოდნენ ქალს. ბერმა კი თანაგრძნობით გამოჰკითხა, როგორ აჭმევდა და მისცა რჩევა, სხვანაირად თუ როგორ მოუაროს, დალოცა და გაუშვა. მათ კი, ვინც მას დასცინოდნენ, მიანიშნა, რომ ამ ინდაურებში იყო ამ ქალის მთელი ცხოვრება. შემდეგ გაირკვა, რომ ამ ქალს ინდაურები აღარ უკვდებოდა.

ბერი რჩევებს კი იძლეოდა, მაგრამ ჩვეულად არ ჰქონდა მკეთხოვა მათგან რჩევის აქცილებლად შესრულება. და არასოდეს უკრაულა ხელ-ფეხს რაიმე აკრძალვებით. როცა ხედავდა, რომ მისი რჩევა ცხოვრებას არ მოუწორა, ყოველთვის დაამატებდა, როგორც საუბრებში, ასევე წერილებში: „თვითონ ნახეთ, თუ ნახავთ თქვენთვის უფრო ხელსაყრელ პირობას, მოიქცეთ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლით". ბერი მუდამ მოწყალებით ეპყრობოდა ადამიანურ უძლურებებს.

მხოლოდ ‘სოგჯერ დაამატებდა რჩევის მთხოვნელთა დასარიგებლად: „როცა ელაპარაკობ, საჭიროა პირველივე სიტყვიდან მოსმენა, მაშინ მორჩილება ღვთის ნებით იქნება. მე მსუბუქი ხასიათისა ვარ, დაგითმობ, მაგრამ ეს თქვენი სულისთვის სასარგებლო არ იქნება“. მაგრამ, როგორც ანდა‘ხა გვეუბნება, „ჩემი ნება მეფის ტკივილია“. ის ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია, მაგრამ ბერს ხ‘შირად უხდებოდა დათმობა. ამ შემთხვევაში ის ამბობდა: „როგორც გინდა“ ანდა „შეიძლება ასე მოიქცე“, მაგრამ საქმე‘ზე კურთხევას არასოდეს აძლევდა. ისეთი ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ, საქმე თავისი ნებით წარემართათ და ამასთან ერთად ბერს კურთხევას სთხოვდნენ. რითაც აწუხებდნენ მას: როგორ მაკურთხებთ, მამაო? რას მეტყვით? გამწარებული ბერი სახუმარო ტონით ‘სოგჯერ ასე უპასუხებდა: „რა ვუთხრა ახირებულ კაცს, ანდა რა ველაპარაკო თავისი ნების აღმსრულებელს?“ ასეთი და მსგავსი სახუმარო პასუხებით ის ძლივძლივობით იშორებდა უადგილო მოთხოვნებს კურთხევა‘ზე. ხოლო ‘სოგ თვითნებურ მოძალადეს ეტყოდა: „ასე, ძმაო, ჩვენ ხარივით ჩვეცა გვაქვს, ტვინი კი ხბოსი“. აქ თვითონაც გაიცინებდა მათთან ერთად და შეიძლება ვერც შეემჩნიათ, რომ ბერისგან საყვედური და დარიგება მიიღეს. მხოლოდ შემდგომ ხვდებოდნენ ბერის სიტყვის აზრს და არც სწყინდათ მისი.

აქ შეიძლება ისიც დაემატოს, რომ ვინც ითხოვდა ბერისგან რჩევას და იღებდა მას, ‘მეუსრულებლობის შემთხვევაში უბედურება არ ასცდებოდათ.

‘სემოთხსენებული ოპტინელი ბერის – გაბრიელის ყოფილი სიდედრი მოვიდა მამა ამბროსისთან, თან თავისი ქალი‘შვილი ახლდა. ამ გოგოს ჰყავდა საქმრო და დედასაც უნდოდა მას‘ზე გათხოვილიყო, არადა ეს გოგო მონასტერში წასვლა‘ზე აკერთხა. როგორც კი სახლში მოვიდნენ, ბერის სიტყვის საწინააღმდეგოდ, მაინც მისთხოვდა თავის საქმროს. მათი ოჯახური ცხოვრება უიღბლო აღმოჩნდა: ქმარმა სმა დაიწყო და ამის გამო ოჯახ‘ში სიღარიბე და აჟიოტაჟი იყო.

სხვა მაგალითი: ტიხვინის მონასტრის ახლოს მცხოვრებმა ახალგა‘სრდა გლეხმა მოინდომა დაქორწინება, რადგანაც დედა

დაბერდა და სხვა ქალი ოჯახში არ ჰყავდა. მიეიდა ბერთან ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, მან კი ურჩია საფარველის დღესასწაულამდე (1 ოქტომბრამდე) მოეთმინა. დედა ძალიან უკმაყოფილო იყო ბერის პასუხით. მოვიდა საფარველის დღესასწაულიც. მამაო კი ეუბნება: „მოითმინე ნათლისღებამდე, მაშინ ვნახოთ“. დედა ძალიან გაბრაზდა. დადგა ნათლისღება და ბერს განუცხადა, რომ დედის მოთმინების ფიალა აივსო. მამაომ კი უპასუხა: „მეშინია, რომ არ დამიჯერებ, მე კი გირჩევ: არაფრით არ მოიყვანო ცოლი, მოიცადე“. მაგრამ გლეხი წავიდა და შეირთო ცოლი, ქორწილიდან ორ თვეში კი გარდაიცვალა.

ახლა მოგიყვებით ზემოხსენებულ კოზელსკში მცხოვრებ კაპიტონზე. მას ერთადერთი ბიჭი ჰყავდა. ის მოხერხებული და ლამაზი იყო. მამამ გადაწყვიტა მისი ხალხში გამოყვანა და მოიყვანა ბერთან, რათა მისგან კურთხევა მიეღო ჩაფიქრებულ საქმეზე. ორივე დერეფანში ზის და მათ გვერდით რამდენიმე ბერიც. გამოდის მამა ამბროსი. კაპიტონმა ძესთან ერთად აიღო კურთხევა და უხსნის, რომ შვილის ხალხში გაყვანა უნდა. ბერმა მოუწონა ჩანაფიქრი, ურჩია შვილის კურსკში გაგზავნა. კაპიტონმა დაუწყო ბერს დავა: „კურსკში ჩვენ ნაცნობები არ გვყავს და გვაკურთხეთ მამაო, რომ მოსკოვში წავიდეს“. ბერმა ხუმრობით უპასუხა: „მოსკოვი წიხლს ურტყამს და ფიცრებით ჭედავს: წავიდეს კურსკში“. კაპიტონმა მაინც არ მოუსმინა ბერს და გააგზავნა შვილი მოსკოვში, სადაც ის მალე კარგ ადგილას მოეწყო. პატრონი რაღაც შენობას აშენებდა იქ, სადაც ყმაწვილი იმყოფებოდა. უცბად ხემოდან რამდენიმე ფიცარი ჩამოვარდა, რომელმაც ბიჭს ორივე ფეხი დაუმსხვრია. მამას მაშინვე უდეპეშეს. იგი ცხარე ცრემლებით მტირალი მოვიდა ბერთან თავისი უბედურების სათქმელად, მაგრამ შველა უკვე აღარ შეიძლებოდა. ავადმყოფი შვილი მოსკოვიდან ჩამოიყვანეს. ჭრილობები შეუხორცდა, მაგრამ ინვალიდად დარჩა და არავითარი სამუშაოს შესრულება აღარ შეეძლო.

ხოგიერთ მომსვლელს ბერი ამხელდა. მოვიდა ბერთან ახალგაზრდა მდაბიო კაცი, რომელსაც ხელი შეხვეული ჰქონდა და დაიწყო ჩივილი, რომ ვერაფრით ვერ მოიორჩინა. ბერთან ამ დროს

იმყოფებოდა სხვა ბერი და რამდენიმე ერისკაცი. ვერც მოასწრო მან წინადადების დამთავრება: „სულ მტკივა, მაგრად მტკივა“, რომ მამაომ შეაწყვეტინა: „კიდევ გეტკინება. დედას რატომ აწყენინე?“ მაგრამ, ეტყობა, მას'ში უხერხულობა და სიმდაბლე შენიშნა და მაშინვე შეცვალა საუბრის ტონი: „შენ კარგად იქცევი და კარგი შვილი ხარ? არ აწყენინე?“ უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავს შემთხვევებში არ ჩქარობდა დახმარებას და თვლიდა, რომ ავადმყოფობა ერთგვარი შურისგება იყო ადამიანისათვის მოვლენილი ზეციური მართლმსაჯულების მიერ, რათა დროებითი დასჯით ეხსნა ის მარადიული სასჯელისაგან. ასე წერდა ბერი ერთ მონას'ონ ქალს, რომელიც ვილაც უძლურ და'ზე ზრუნავდა. მის ავადმყოფობას ჰქონდა თავისი მი'ზე'სი უ'ნ'ნეო ცხოვრება'ში: „შეხედე ჰაელე მოციქულს, რას ამბობს ის. განა ის არ ბრძანებს, რომ მივცეთ სატანას სატანჯველად ხორცი და სული კი გადარჩება ქრისტეს მოსვლის უამს? აი ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობის მაგალითი. შენ კი ცდილობ გაათავისუფლო ადამიანი ხორციელი ტანჯვისაგან, რათა მას დროებით სიმშვიდე მიანიჭო და შეიძლება სძალავ საოცნებო სულიერ სარგებელს[165].

სიტყვიერი რჩევების გარდა, რომელსაც პირადად იძლეოდა მამა ამბროსი, ის ბევრ წერილს აგ'ზავნიდა იმ ხალხთან, რომელთაც სხვადასხვა მდგომარეობის გამო ყოველთვის არ ჰქონდათ მასთან მოსვლის საშუალება. ის განასხვავებდა მათს სახეებს, მდგომარეობას და სულიერ დამოკიდებულებას. ამიტომ ბერის წერილების შინაარსი სხვადასხვანაირია. ბერებთან მი'წერილი წერილები თითქმის ერთნაირია: უდრტვინველობა, სიმდაბლე, თვითმხილება, განსაცდელების მოთმინება და საკუთარი თავის ღვთის ნებისათვის მინდობა. ერისკაცების მიმართ მი'წერილ ბარათებში ან მართლმადიდებლური სწავლების დეტალები ირკვეოდა. ანდა მითითებები ხდებოდა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ცხოვრებისეულ საქმეებში, აიხსნებოდა 'სოგიერთი გამორჩეული სი'სმრები და სხვა. ამ წერილების ღირსებაზე ლაპარაკი 'სედმეტია. ის ყველამ ალიარა,

---

[165] „დუშეთის ეპარქიის ცნობები“ 1898 წ. მარტი გვ. 552.

ვინც კეთილა'სროვნებით ეძებს სულიერ სარგებელს. (მაგალითისათვის №3 დანართში არის ბერის ოთხი წერილი სხვადასხვა პირების მიმართ მიწერილი.)

ბერის კურთხევითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც 'სრუნავდა ხსნის მაძიებელ მართლმადიდებელ ქრისტიანთა სულიერ სარგებელ'სე, 'სოგიერთი ოპტინელი ბერი მუშაობდა ბერძნული და ლათინური ენებიდან რუს'ულ ენა'ზე მამათა წიგნების გადმოთარგმნა'ზე,რითაც ქმნიდნენ სულის სარგებელ ლიტერატურას. მის დროს ითარგმნა შემდეგი წიგნები: 1) თორმეტი სიტყვა ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა, 2) ოთხმოცდაოხუთმეტი სიტყვა ანდერძით ღირსი თეოდორე სტუდიტის, 3) ამას მოჰყვა მე-2 შესწორებული გამოცემა „კიბისა" რუს'ულ ენა'ზე. გამოიცა: 4) ოპტინელი ბერის მღვდელ-მონა'ხონ ლეონიდეს ცხოვრება (სქემაში ლეონი), 5) მალოიაროსლავეცის მონასტრის წინამძღვრის იღუმენ ანტონის ცხოვრება (ყოფილი ოპტინის სკიტის უფროსი, რომელიც ოპტინის მონასტერში მიიცვალა), 6) იგიეე ანტონის წერილები სხვადასხვა პირებისადმი, 7) უფლის ჯვრის სამეუფო გზა და 8) მე-2 შესწორებული და შევსებული გამოცემა ოპტინის მონასტრის ისტორიისა. (არქიმანდრიტი გრიგოლი ჩამოთვლის სხვა წიგნების გამოცემასაც, მაგრამ მამა ამბროსი სხვებთან ერთად შრომობდა მათ'ზე ბერი მაკარის ხელმძღვანელობით.) ყველა ეს წიგნი, ისევე როგორც ახლანდელები, მაგ: ღირსი აბბა დოროთეს სწავლანი, კიბე და სხვა. მამა ამბროსის ყოველთვის საკმარისი რაოდენობით ჰქონდა. ის მათ აწუქებდა ხოლმე საპატიო და გამორჩეულ მომსვლელებს.

ამის გარდა მას მუდამ ჰქონდა პატარა ბრო'შურები დასარიგებლად. მათგან განსაკუთრებით აღსანი'შნავია: 1) ღირსი მარკო'ს განწირულის რჩევები სულიერ გონებას, 2) ბერი 'სოსიმეს სულის სარგებელი საუბრები და 3) „უფასლო შეგვიწ'ყალეს" განმარტებანი. ამ ბრო'შურების ღირსება'ზე ბერი ასე სწერდა ოდესღაც გრაფ ა. პ. ტოლსტოის: „ხილ'ულად ეს წიგნები არცთუ ისე დიდია, მაგრამ 'შინაარსით დიდია, ძალიან დიდია. მათში თ'ემცა მოკლედ, მაგრამ ნათლად და პრაქტიკ'ულადაა ახსნილი, თუ როგორ უნდა მოერგოს

ყოველი ქრისტიანი სახარებისეული სწავლებას ცხოვრებაში, რათა ღვთის წყალობა მიიღოს და მიიღოს მარადიული სასუფეველის მემკვიდრეობა. არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა თქვენ ეს წიგნები, მაგრამ ვინც ეს სულიერი წყალობანი მიიღო, დიდი გულისხმიერებით ეპყრობიან და კმაყოფილი არიან."[166]

ამ ბრიშურების გარდა ბერი ბევრს არიგებდა: 1) სემოთხსენებული „წმინდა მარკოს განმორებულის სიტყვა სინანულზე", 2) „ღირსი იოანე დამასკელის სიტყვა ენებებზე და სათნოებებზე" და 3) „წმინდა ანასტასი სინელის საუბარი მეექვსე ფსალმუნზე".

ოპტინის მონასტერში შესრულებული თარგმანებისა და გამოცემული სულისთვის სასარგებლო წიგნების, მთავარი მონაწილენი იყვნენ: ენათმეცნიერი ბერი კლიმენტი ზედერგოლმი (შემდგომში მღვდელ-მონასხინი) და ბერი ანატოლი სერცალოვი (შემდგომში სკიტის მმართველი და მეუფროსე ბერი). მათ სამწერლო საქმიანობაში ცოტას ეხმარებოდა სკიტის კიდევ ერთი ახალგაზრდა მორჩილი.

აღნიშნულ პირებს ამ სამწერლო საქმეზე ბერი ამბროსი აკურთხებდა და თავისებურად უქეზებოდა სახუმარო, სხვათა შორის, სამოძღვრო ანეგდოტს: „ერთი ბერი დაიხრჩო. მისი საქმე მოხვდა სასამართლოზე. შეიკრიბნენ მოსამართლეები და დაიწყეს ბჭობა, თუ როგორ დაესათაურონ ეს საქმე. ერთი ძველი მწერალი სთავაზობს ასეთ სათაურს: „ბერის დახრჩობაზე". მას ეუბნებიან: ეს უხერხულია. მეორე ბერიკაცი ასეთ სათაურს სთავაზობს: „ბერის დახრჩობის შესახებ". მას ეწინააღმდეგებიან: მაგრამ ბერი ხომ არავის დაუხრჩვია. ბოლოს და ბოლოს ერთმა ახალგაზრდა თანამედროვე მეცნიერმა თქვა: „დამხრჩვალ ბერზე". ყველა დათანხმდა". ამ ანეგდოტით ბერი მწერლებს იმის შეგნებას აძლევდა, რომ უფროსები სამწერლო საქმიანობაში არ უნდა უგულებელყოფდნენ ახალგაზრდების აზრს. როგორც წმინდა მოციქული გვასწავლის: „თუ სხვას გამოეცხადება იქ მჯდომთაგან, პირველი გაჩუმდეს"[167].

---

[166] ოპტინელი ბერის მამა ამბროსის წერილების კრებული 7. 1. აკ 28 მოსკოვი

[167] კორ. XIV. 30

XV თავი

მამა ამბროსის სიყვარული მოყვასის მიმართ, რომელიც გამოიხატებოდა მის მოქმედ ლოცვაში ღვთის წინაშე, ზებუნებრივი დახმარებით, სულიერი და ხორციელი სნეულებების კურნებით

„ბევრი შეუძლია მართლის ლოცვას“[144].

მამა ამბროსის მრავალი ადამიანი მიმართავდა თხოვნით, რათა ელოცა მძიმე სნეულებებისაგან განსაკურნებლად. უმეტეს შემთხვევაში მაშინ, როცა სამედიცინო დახმარება უძლური იყო. ასეთ შემთხვევებში ბერი ურჩევდა ესარგებლათ ხეთის კურთხევის საიდუმლოთი, რის შედეგადაც ავადმყოფები ხშირად იკურნებოდნენ. ამასთან ერთად როგორც პირადად, ისე წერილებშიც ის ხსნიდა, რომ ამ წმინდა საიდუმლოთი ადამიანი ყოველგვარი სნეულებისაგან იკურნება და არა აღქმული ცოდვებისაგან, და რომ ამ საიდუმლოს შესახებ ბევრს არასწორად ესმის და სიკვდილამდე გადადებენ ხოლმე მისი მადლის მიღებას. ნებისმიერი დაავადების მოსაცილებლად ბერი ურჩევდა ადგილობრივი სასწაულმოქმედი ხატების წინ პარაკლისის გადახდას ან ტიხონოვის მონასტერში აგზავნიდა (კალუგიდან 18 ვერსის დაშორებით) ღვთის რჩეულის ტიხონ კალუგელის თაყვანისაცემად და მის მკურნალ ჭაში განსაბანად. ღვთის რჩეულის წმინდა ლოცვებით იქ მისული მრავალი ადამიანი უმეტესად გამოჯანმრთელებულა. აღსანიშნავია, რომ აქ ნახსენებმა კალუგის ტიხონოვის მონასტერმა ახლახან სახელი გაითქვა ღვთის რჩეულის მიერ აღსრულებული სასწაულებით. 60-იან წლებში ამ სასწაულებზე არაფერი ისმოდა, ამიტომაც მომლოცველები იქ ცოტანი იყვნენ, მაგრამ აი, მამა ამბროსიმ უფრო ხშირად დაიწყო ღირს ტიხონთან ხალხის გაგზავნა, რომელთაც სხვადასხვა სახის – ფიზიკური თუ სულიერი – უძლურებანი ჰქონდათ.

უეჭველია, რომ იგი მთელი გულით ილოცებდა ღირსი მამის წინაშე, რათა მისი მეოხებით უფალს მათთვის წყალობა მოეცა.

---

[144] იაკობი V, 16.

სასწაულებრივი კურნებანი უფრო და უფრო გახშირდა, ასე რომ, ბევრი ავადმყოფი უკვე მამა ამბროსის მითითების გარეშე მიდიოდა ტიხონოვის მონასტერში, რათა ელოცათ და განბანილიყვნენ. თავმდაბალი ბერი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ ხალხში თავისი განდიდება შეესუსტებინა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ კერძო შემთხვევას:

ეიღაც მაღალჩინოსანმა, რომელიც 1897 წლის ზაფხულში ჯერ ოპტინის მონასტერს, შემდეგ კი სკიტის ბერს მამა იოსებს ესტუმრა, ამ უკანასკნელს მოუთხრო შემდეგი: ჯერ კიდევ მამა ამბროსის სიცოცხლეშივე ეიღაც სტუმარს ფეხების საშინელი ტკივილი ჰქონია. რადგან არავითარმა სამედიცინო დახმარებამ არ უშველა, ვინმე ნაცნობი მემამულის კუკოლევსკის მეშვეობით, რომელიც მაშინ ოპტინის მონასტრის სასტუმროში ცხოვრობდა, წერილობით მიმართა მამა ამბროსის რჩევისათვის, რა უნდა ელონა მძიმე ტკივილის შესამსუბუქებლად. ამ პერიოდში გავარდა ხმა – ზადონსკში იგეგმება მოღვაწე პახომის ნაწილების გახსნა და ამიტომ იქ მიწას თხრიან იმ იმედით, რომ მის სხეულს ნახავენ. ბერმა კუკოლევსკის მეშვეობით წერილითვე ურჩია ავადმყოფის ზადონსკში წასვლა და იქ პანაშვიდის გადახდა მოღვაწე პახომის სულის საოხად; აგრეთვე ურჩია მისი საფლავიდან ამოთხრილი მიწა აეღო და მტკივანი ფეხები იმით დაეზილა. სნეულმა ზუსტად შეასრულა ბერის რჩევა და სამედიცინო მკურნალობას დაუქვემდებარებელი ავადმყოფობა მთლიანად გაუქრა: ზადონსკში კი ამასობაში ვერანაირი ნაწილები ვერ იპოვეს.

მამა ამბროსი ყოველთვის ასე დაფარულად არ მოქმედებდა; ღვთისგან ბოძებული მადლით ის უშუალოდაც კურნავდა, რისი მაგალითებიც, შეიძლება ითქვას, რომ ბევრი იყო. აქ მოვიყვანთ ნაწყვეტს ზემოთ ნახსენები ა. ა. შიშკოვას სტატიიდან.

„ეკითხულობ რა სხვადასხვა წერილებს ოპტინელ ბერ მამა ამბროსიზე, არ შემიძლია ვდუმდე მის წინასწარხედვასა და იმაზე, თუ როგორ განმკურნა, რისი მოწმეც პირადად გახლდით. მსგავსი მაგალითები შეიძლება ათასზე მეტი იყოს, რადგანაც ბერი თავის ძალას არცთუ იშვიათად ავლენდა მასთან მიმსვლელებთან. ღვთის

ამ რჩეულმა სახელი სწორედ ამით გაითქვა: წმინდა სულით, ძლიერი რწმენით და ღვთისა და მოყვასის სიყვარულით. როგორი სიხარული სუფევდა მის პატარა, ვიწრო სენაკში, ოპტინის სკიტსა თუ შამორდინოში! ცრემლების გარეშე არ შემიძლია მოწყალე და მხიარული ბერის სახის გახსენება. 1877 წელს ძალიან დაეუძლურდი, ყელის ძლიერი ტკივილი თითქმის ერთი წელიწადი მაწუხებდა მას შემდეგ, რაც პირინეის თოვლიან მთებში გაცივებამ ისეთ მდგომარეობაში ჩამაგდო, რომ სითხეს ძლივს ვყლაპავდი. მაშინ სოფელ'ში ვცხოვრობდი და იქ ვმკურნალობდი. ექიმებმა როცა შემამჩნიეს ავადმყოფობის გაძლიერება, მირჩიეს წავსულიყავი მოსკოვში, მომეწვია კონსილიუმი და საზღვარგარეთ მეცხოვრა თბილი კლიმატის პირობებში. ამ დროისთვის მე'სობელი ტროეკუროვსკის დედათა მონასტერში ჩამოვიდა მოქალაქე კლუჩარევა, რომელიც თავის შვილიშვილებთან ოპტინის მონასტრის სასტუმროში ცხოვრობდა და მამულიც ახლოს ჰქონდა. მან გაიგო ჩემი ავადმყოფობის შესახებ და იმ მონასტრის დედებს შესთავაზა გადმოეცათ ჩემთვის მისი რჩევა – წერილობით მიმემართა ოპტინელ ბერ ამბროსისათვის და მისი ლოცვა გამომეთხოვა,იცოდა რა ბერის ლოცვის სასწაულთმოქმედება. მის სიტყვებს თავიდან ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ვხედავდი ჩემი ჯანმრთელობის გაუარესებას და გადავწყვიტე მიმეწერა ბერისთვის (თუმცა მე მას პირადად არ ვიცნობდი). წერილში ვთხოვდი ლოცვა ჩემთვის, სნეულისათვის. მამაომ მალე მიპასუხა: „ჩამოდი ოპტინაში,არ დაეჭვდე,გადაახდევინე მაცხოვრის პარაკლისი, ასევე ღვთისმშობლისა, წმინდა იოანე მეომრისა და წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისა“. ოპტინაში წასვლის წინადადებამ ძალიან შემაშინა, რადგან ვიცოდი, რა შორი და ძნელი გზის გავლა იყო საჭირო. მე ხომ უძლურებისგან ვერც ვდგებოდი. „როგორ წავალ,“ – ვფიქრობდი, – მაგრამ სიტყვებმა „არც დაეჭვდე“ განამტკიცეს ჩემი სული, ჩემი ძალა, და მიუხედავად შვილების თხოვნისა და ექიმის მტკიცებისა, რომ არ წავსულიყავი, მოვიწყვე მღვდელი, გადავიხადეთ პარაკლისი და მეორე დღესვე წავედი ეფრემოვაში ნავით; იქიდან რკინიგზით ქალაქ კალუგამდე, შემდეგ კი ცხენებით ოპტინის მონასტერში. ყველგან ვისვენებდი სისუსტისა

და დაღლილობის გამო. ოპტინაში მოსვლისთანავე ვთხოვე გაეგოთ სკიტში მამა ამბროსისგან, როდის შემეძლებოდა მასთან მისვლა. მან მიბრძანა დღეს დამესვენა, მეორე დღეს წირვა'ზე წავსულიყავი და იქიდან კი წირვის მერე მასთან მივსულიყავი. ძლივს დავდიოდი, მაგრამ ყველაფერი შევასრულე მამაოს ლოცვებით, რომლებიც, ეტყობა, მაძლიერებდნენ. როდესაც მე ქალბატონ კლუჭარევასთან ერთად შევედი მამაოს ოთახში, მან (კლუჭარევამ) მეხლებ'ზე მდგარმა ტირილით დაუწყო თხოვნა: „მამაო! განკურნეთ ის, როგორც თქვენ იცით.“ ამ სიტყვებ'ზე ბერი ძლიერ გაბრისხდა და უბრძანა კლუჭარევას დაუყოვნებლივ დაეტოვებინა იქაურობა. მე კი მითხრა: „მე კი არ ვკურნავ, არამედ ზეციური დედოფალი; მას მიმართე ლოცვით“. ოთახის კუთხეში ღვთისმშობლის ხატი ეკიდა. მერე მკითხა სად მტკიოდა ყელი. მეც ვაჩვენე მარჯვენა მხარე. ბერმა ლოცვით სამჯერ გადასახა ჯვარი მტკივნეულ ადგილს. მეც თითქოს რაღაცნაირად გამოვეფხი'სლდი. ავიღე ბერისგან კურთხევა და მადლობის გადახდის შემდეგ წავედი იქიდან. მიველი სასტუმრო'ში, სადაც ქმარი და ერთი ნაცნობი ქალბატონი ვ. დ. მუსინი-პუშკინა მელოდებოდნენ. მათ წინ ვკადე პურის ნაჭერი გადამეყლაპა, რომ დავრწმუნებულიყავი, უკეთესად გავხდი თუ არა ბერის დალოცვის მერე. აქამდე არ შემეძლო რაიმე მყარი გადამეყლაპა. და უცებ – რა გახარებული ვიყავი! – მე უმტკივნეულოდ, ძალიან ადვილად შემეძლო მეჭამა ყველაფერი და დღემდე ტკივილს არ შევუწუხებივარ, – აი უკვე 15 წელი გავიდა იმის მერე. როგორ არ გამოვთქვა სამადლობელი ასეთ სათნო, კეთილმყოფელი ბერისადმი ამ საოცარი განკურნების შემდეგ, რათა განეკადიდო უხვადმოსიყვარულე ბერი!“

ახლა მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ისმოთხსენებელი შიშკოვას ნაცნობის ქალბატონ ბარბარე დიმიტრის ასულ მუსინ-პუშკინას მოსაზრებ'ზე. აი მისი სიტყვები: „თავს ნებას ვაძლევ გამოვხატო რაც შემიძლია და ვისაუბრო ღვთის მადლმოსილება'ზე, რომელიც ალიარებული ოპტინელი ბერის, მამა ამბროსის წმინდა ლოცვებით შეეწია ჩემს ვაჟიშვილს. ულრმესი გრძნობით გ'ულანთქმებული ვიხსენებ ამ მოსიყვარულე განსვენებულ მლოცველს. 1878 წლის 27 მაისს ჩვენი თოთხმეტი წლის ბიჭი ავად

გახდა ჩვენთვის გაუგებარი სნეულებით. მას ყურის, თავისა და ნიკაპის ტკივილი ჰქონდა, მარჯვენა ყურიდან სისხლი სდიოდა და სიცხე ჰქონდა 40 გრადუსამდე. ამასთან ერთად მან ყურთასმენაც დაკარგა. ის ღამით კვნესოდა, ყვიროდა და ტკივილისაგან ბოდავდა. ღამით ზოგჯერ არც ეძინა. ჩვენ ეს ყურის შიგა დაჩირქებას მივაწერეთ და მძიმე შედეგის გვეშინოდა. მოვიწვიეთ ყურის ექიმი გ. ბელიაევი, რომელმაც ავადმყოფის ძირფესვიანად გასინჯვის შემდეგ გამოგვიცხადა, რომ ჩვენს შვილს ძალიან სერიოზული შემთხვევა აქვს, რაც გამოიწვია შუა ყურის ანთებამ და რამაც ყურის ბარაბანი გახვრიტა. ექიმმა დაგვიწყო დამშვიდება, ამბობდა, რომ მისი ახალგაზრდა ორგანიზმი იმედის მომცემია, მაგრამ დიდი მოთმინებაა საჭირო და შორეულ მომავალში იმედია განიკურნება. დაჩირქებას კი ის გამორიცხავდა. ხან გაუძლიერდებოდა ტკივილი, ხან დაუმდებოდა და ორი კვირის შემდეგ ექიმმა გვირჩია შვილი სოფელში გადაგვეყვანა სუფთა ჰაერზე, რადგან ავადმყოფი სისხლნაკლული იყო, საშინლად ფერმკრთალი და უძლური; არ ჰქონდა მადა, რამაც გამოიწვია უხასიათობა და სიბრაზე. ექიმის რჩევას დავუჯერეთ და ვაჟი გადავიყვანეთ სოფელში (მოსკოვის გუბერნიის, მოჟაისკის მაზრაში) და სუფთა ჰაერის ზემოქმედების იმედი გვქონდა. ჩამოსვლის დღესვე ავადმყოფს ტკივილები ისე გაუძლიერდა, რომ მას სახე მთლიანად შეეშალა, თვალებს ძლივს ახელდა და მთელ სახლში ისმოდა მისი ყვირილი. სიცხე, რომელიც მოსკოვში ხშირად ჰქონდა, თითქმის არ განმეორებია, მაგრამ მისი წვალება და სისუსტე ყოველდღიურად იზრდებოდა იმდენად, რომ ავადმყოფს ბალიშიდან თავის აწევაც კი უჭირდა, პატარა ხმაურიც კი უკიდურესად აღიზიანებდა. მისი მდგომარეობა უიმედო ჩანდა, მაგრამ უფალი დიდია და მოწყალე. 24 ივნისს მოსკოვიდან სოფელში ჩემი ქმარი ჩამოვიდა და შემომთავაზა მთელი ოჯახით ოპტინის მონასტერში წავსულიყავით, მოგველოცა და მამა ამბროსისაგან კურთხევა და წმინდა ლოცვები გვეთხოვა. როდესაც წავედით, შვილზე ზრუნვა დავაკალით მასწავლებელსა და ძველ ძიძას. ჩვენი შვილი ორივეს უყვარდა და ჩვენც გვჯეროდა მათი.

26 ივნისს ჩამოვედით ოპტინაში მე, ჩემი ქმარი, ორი ქალიშვილი,

ძმის შვილი, ჩვენი გაზრდილი და მოახლე. ყველანი წაველით სკიტში მამა ამბროსისთან და მას ჩვენი შვილის მდგომარეობა მოვახსენეთ; ვთხოვეთ ლოცვა ავადმყოფისათვის. მამაომ ღიმილით მშვიდად გვიპასუხა: „არა უშავს,– დაწყნარდით, ყველაფერი ჩაივლის, მხოლოდ ილოცეთ“. ჩვენ ყოველდღიურად მივდიოდით მამა ამბროსისთან და ისეთ გულმოწყალებას იჩენდა, რომ ჩვენთან დიდხანს საუბრობდა და ყველას განგებამტკიცებდა, ამბობდა, რომ „მშობლების ლოცვა მიდის ღმერთამდე; გჯეროდეთ მისი გულმოწყალებისა და ილოცეთ. ის კი თქვენ გაგიგებთ“. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ჩვენი ცოდვილი ლოცვების იმედი არ გაგვაჩნია და მხოლოდ მის წმინდა ლოცვებს ვესასოებით. მან შეგვაგონებინა, რომ უფალი ჩვენ გაგვახარებდა. ბერის რჩევითა და კურთხევით ჩვენ ოპტინაში კიდევ სამი დღე დავყავით, რათა გვემსახურა და შემდეგ სიარებაც მიგვეცა. მისმა აღსარებამ ჩვენსე შთაბეჭდილება დატოვა. მარხულობისა და სიარების შემდეგ, წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების ხსენების დღეს, ჩვენ ჯერ კიდევ მამაოსთან ვიყავით, მისი კურთხევით მასთან ისევ სამი დღე დავრჩით, მიუხედავად იმისა, რომ შვილსე არადამაკმაყოფილებელ ამბებს ვიგებდით. მამაო ყოველდღე გვიმეორებდა: „ნუ გეშინიათ, უფალი გაგიგებთ, ირწმუნეთ მხოლოდ მისი გულმოწყალებისა“.

1 ივლისს მივიღეთ ცნობა შვილსე, რომ მისი აუტანელი მტკივნეული მდგომარეობა ყოველდღე უარესდება და ახლოსაა მისი აღსასრული. ჩვენ გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ, მამაოს კურთხევის შემდეგ, გავდგომოდით გზას. მაგრამ მამაომ გვაკურთხა გავმგზავრებულიყავით მხოლოდ მეორე დღეს. 2 ივლისს, წირვის დამთავრებისთანავე, დილის 9 საათსე მივედით ბერთან. მან ყველა დაგვლოცა და ალერსიანი სიტყვებით მე და ჩემს ქმარს გვითხრა: „არ შეუხდეთ და ნუ ღელავთ, იმგზავრეთ მშვიდობით: ღვთის გულმოწყალების იმედი გქონდეთ და ნუგეშცემულნი იქნებით. ილოცეთ, ილოცეთ ღვთის წინაშე! თქვენ გაიხარებთ!“ შემდეგ ორი პატარა ჯვარი მომაწოდა, რომლებიც ქამრებზე იყო ჩამოკიდებული და ამოძერწილი იყო ლოცვებით: ერთი წმინდა ტიხონ ზადონელისა, მეორე კი – წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისა, – ჩემთვის და ჩემი ვაჟისთვის.

სიტყვებით: „გადაეცი შენს ვაჟს ჩემი ლოცვა-კურთხევა. წასვლისას ჩვენ ისევ გულმხურვალედ ვთხოვდით ლოცვებს. „კარგი, კარგი,– გვიპასუხა მან და მაშინვე დაამატა,– და თქვენც ილოცეთ“. დაგვლოცა ყველა და შემდეგ გამოგვისტუმრა.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ სახლისკენ გავუდექით გზას, შვილთან. სადგურზე (10 ვერსშია ჩვენი მამულიდან) ჩამოვედით 3 ივლისს, დილის 4 საათზე. მეურმეებმა, რომელნიც ჩვენ ეკიპაჟით გველოდებოდნენ, გადმოგვცეს, რომ ჩვენი წასვლის მერე შვილის ტანჯვა ძლიერდებოდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ყოველდღე უარესდებოდა. განსაკუთრებით 2 ივლისს ის აუტანლად წვალობდა და მისი ყვირილი ყველას აწუხებდა, ვინც კი გაიგონებდა. მთელი დღე არ უძინია, ისევე როგორც წინა ორი ღამე, ძალა მთლიანად გამოეცალა. მასწავლებელსა და ძიძას გადაწყვეტილი ჰქონდათ გაეგზავნეთ მოსკოვში ექიმის მოსაყვანად, როცა მიიღეს დეპეშა ჩვენი ოპტინიდან დაბრუნების შესახებ. ენითაუწერელი მთრთოლვარებით გულდაწყვეტილნი წაველით სადგურიდან. მე ირგვლივ არაფერს ვგრძნობდი. შინაგანად თითქოს ყველაფერი მოკვდა, რალაცნაირმა საშინელმა გრძნობამ სულში შეძრომა დაიწყო და შემიპყრო. მე არ მჯეროდა, რომ ის უარესად იქნებოდა, მაგრამ ამავდროულად მეშინოდა არ მომკვდარიყო, რითაც შეწყდებოდა კიდეც მისი წვალება, ამას მიემართებოდა მამაოს სიტყვა: „ყველაფერი გაივლის“. ორი ვერსის დაშორებით ჩვენს მამულში მისვლამდე ეკიპაჟი გაჩერდა და ფიქრიც შეეწყვიტე. ჩვენი ბიჭის გამსრდელი მთელი სისწრაფით მოექანებოდა ჩვენსკენ და მე ვიფიქრე, რომ ყველაფერი დამთავრდა, ის უკვე აღარ იყო ცოცხალი... მაგრამ გამსრდელმა, რომელსაც ჩვენი ავადმყოფი ჩავაბარეთ, უსიტყვოდ სიხარულით გამოგვიცხადა, რომ ჩვენს შვილს რალაც არაჩვეულებრივი ან კრიზისი (მან ასე დაარქვა) შეემთხვა და ის ახლა სრულიად ჯანმრთელია. „ჯანმრთელი?“ – ყურებს არ ვუჯერებდი. – „დიახ, – გაიმეორა მან, – დიდება უფალს, დიმიტრი აბსოლუტურად ჯანმრთელია“. მან მოკლედ გადმოგვცა, სასწაულებრივად თუ როგორ გამოჯანმრთელდა: წვალებით გატარებული 2 ივლისის დღე-ღამის შემდეგ მომაკვდავმა ბიჭმა, დაუძლურებულმა და

დაძაბუნებულმა, ღამის 11 საათისათვის ღრმად დაიძინა. ეძინა მშვიდად და წყნარად. დაახლოებით საათ-ნახევარი. როდესაც გაიღვიძა, სრულიად ჯანმრთელი, მღვიძარე და ძლიერი იყო. ყურიდან დენა შეუწყდა და სმენაც დაუბრუნდა, მხოლოდ სიფერმკრთალე შერჩა: „ახლა ის უკვე დგება, – დაამატა დასასრულს გამსრდელმა, – თავისით იცვამს და უნდა ფეხზე დაგხვდეთ. ის ძალიან გახარებულია, რომ თქვენ დაბრუნდით“. ძნელი გადმოსაცემია ის, რაც დაგვემართა ამ ამბის შეტყობის შემდეგ. სიხარულისა და ღვთისადმი მადლიერების ცრემლები იღვრებოდა ჩვენი თვალებიდან. სულში მხურვალედ ვადიდებდით ღმერთს და სიყვარულით მლოცველ მამა ამბროსის. ყველაფერი გაგვახსენდა: ჩვენი შვილის საშინელი ტანჯვა სუთი კვირის განმავლობაში. მას ადგომა კი არა, ბალიშიდან თავის აწევაც კი არ შეეძლო; სმენის დაკარგვა, უძილო ღამეები, კვნესა და მტკივნეული ყვირილი, და ბოლოს, ჩვენი მოწამბრივი ყოფნა მისი სიცოცხლის გამო. სწორედ აქ გაგვახსენდა დამამშვიდებელი, მანუგეშებელი სიტყვები მამა ამბროსისა, ჩვენი კეთილისმყოფელისა. ენითაუწერელი მადლიერება ავსებდა ჩვენს გულებს. ეს არ ყოფილა უბრალო გრძნობები, მაგრამ იყო აუხსნელი სულიერი აღტაცება: ჩვენ გვეჩქარებოდა სახლში. ჩვენ კი არ მივდიოდით, მივფრინავდით. როდესაც ჩვენი სახლის დიდ დარბაზში შევედით, მიტიას კარი გაიღო და სღურბლზე გამოჩნდა ჯერ კიდევ ფერმკრთალი, მაგრამ ჯანმრთელი და მხიარული ჩვენი შვილი. მას თეთრი ნაჭრებით ჰქონდა თავი შეხვეული. ამ წუთებში ის მაგონებდა მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს. ის მხიარულად გადაგვეხვია და ერთმანეთისადმი შეკითხვები არ მთავრდებოდა. მე გადავეცი ჩამოტანილი ჯვარი, რომელიც მას მამა ამბროსიმ გამოუგზავნა. მიტია ემთხვია მას და მოკრძალებულად გაიკეთა. ამ დღიდან მისი ძალები უფრო და უფრო მტკიცდებოდა, მადაც დაუბრუნდა, ყურიდან დენა არ განმეორებია, სმენაც ორივე ყურში ერთნაირად მოუვიდა და კარგი ჰქონდა. ერთი კვირის შემდეგ მას უკვე შეეძლო გონებრივად დატვირთულიყო და ცხენსაც შემჯდარიყო. დაიწყო გამოცდებისთვის მომზადება, რომელიც ავადმყოფობის გამო აგვისტოსთვის გადაიდო. აგვისტოს დასაწყისში ჩვენმა ვაჟიშვილმა კარგად ჩააბარა

გამოცდა (სამხედრო გიმნაზიის IV კლასში). იმავე თვის 25-ში ჩვენ ვაჟიშვილთან ერთად გავემგზავრეთ ოპტინის სავანეში და მასთან ერთად ჩავედით მამა ამბროსისთან, ჩვენს ძვირფას ბერთან. იგი ჩვენს შვილს მოეფერა და რამდენიმეჯერმე საკუთარ სენაკში შეიყვანა. იმავე წელს ჩვენ მოვიწვიეთ ექიმების კონსილიუმი და გ. ბელიაევმა დიდი ხნის განმავლობის მერე ვერ გაიგო, თუ რომელ ყურში ჰქონდა ბარაბანი გაჭედილი. მხოლოდ იმის მერე, რაც ჩვენ მივუთითეთ მარჯვენა ყურზე, მან შენიშნა პატარა ნაჭდევი და აღიარა, რომ ეს ზებუნებრივი საქმეა. აი, სრულიად ჭეშმარიტი, თუმცა შეიძლება არასრულყოფილი გადმოცემა იმ სასწაულისა, რომელიც ჩვენს ოჯახში მოხდა ძვირფასი ოპტინელი ბერის, მშობლიური ადამიანის, მამა ამბროსის ლოცვებით. მისი ხსოვნა არასოდეს ამოიშლება ჩვენი მადლიერი გულებიდან. ბარბარე მუსინა-პუშკინა".[69]

გთავაზობთ კიდევ რამდენიმე ამბავს, რომლებიც სხვადასხვა პირებისგან მოვიპოვეთ. მათ სნეულებათა კურნება მიიღეს მამა ამბროსის წმინდა ლოცვების შედეგად. ეს სნეულებები ან უკიდურესად საშიში, ან მოურჩენელი იყო.

მოსკოველი მასწავლებელი მ. პ., რომელსაც ბერისადმი დიდი რწმენა ჰქონდა. მისი ერთადერთი ვაჟიშვილი, მუცლის ტიფით დაავადებული, სიკვდილის მოლოდინში იყო. დედა წავიდა ოპტინაში და შეეხვეწა მამა ამბროსის, რათა ელოცა მისი ვაჟიშვილისათვის. „ვილოცოთ ერთად", – უთხრა მას ბერმა და ორივე მუხლებზე დადგა. რამდენიმე დღის შემდეგ დედა დაბრუნდა შვილთან, რომელიც მას ფეხზე დახვდა, იმ მომენტში, როდესაც ბერი მასზე ლოცულობდა. მყისიერად გამოჯანმრთელდა. ისევ იგივე ქალბატონი, უკვე გამოჯანმრთელებული ვაჟიშვილით, 1881 წლის საფხულში წავიდა ოპტინაში და იქ უფრო დიდი ხანი დაჰყო, ვიდრე ყოველთვის. მისი ქმარი, რომელიც სამხრეთის გუბერნიებში იმყოფებოდა, წუხდა მათზე. ბოლოს და ბოლოს, დეპეშით შეატყობინა, თუ როდის გამოუგზავნიდა სადგურზე ცხენებს. მ. პ. წავიდა ბერთან გამოსამშვიდობებლად. მამა ამბროსი განსაკუთრებული მისუსის გარეშე არავის

[69] „დეშევოლესნოე ჩტენიე" აგვისტო. 1893 წ.

არ აყოვნებდა და უთხრა, რომ წასვლაზე არ აკურთხებს. მან დაიწყო იმის დამტკიცება, რომ არ შეუძლია ოპტინაში ცხოვრება. ბერმა კი უთხრა: „მე დღეს წასვლაზე არ გაკურთხებთ, ხვალ დღესასწაულია, წირვაზე დადექით და მერე ენახოთ“. ქალბატონი დაბრუნდა სასტუმროში, სადაც მისი მომლოდინე ბიჭი ძალიან უკმაყოფილო იყო მამაოს გადაწყვეტილებით, მით უმეტეს, არანაირი მიზეზი დარჩენისა არ ჰქონდა. მაგრამ დედამ ბერს დაუჯერა. მეორე დღეს მამაომ უთხრა: „ახლა, ღვთით, გაემგზავრეთ“. კურსკთან გაიგეს, რომ ის მატარებელი, რომლითაც ისინი გუშინ უნდა გამგზავრებულიყვნენ, კუკუევსკის კატასტროფაში მოხვდა.

ქალაქ ლივნის მემამულე ვერა ლეონტის ასული ვასილიევამ წერილით ამცნო ოპტინის არქიმანდრიტ ისააკს, რომ სამი წელია მარცხენა გვერდი სტკივა. ექიმებიც მკურნალობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. 1887 წლის ივნისში ოპტინაში ყოფნისას მან მამა ამბროსის ჰკითხა: „რით იმკურნალოს?“ ბერმა უბრძანა – მიეცათ მისთვის ქაღალდი და ფანქარი და იქვე ჩაუწერა რომელიღაც ბალახი, რომელიც მას აფთიაქში უნდა შეეძინა და დაელია. მან დაუჯერა ბერს და გამოჯანმრთელდა. იმავე წერილში ვასილიევამ დაამატა, რომ ის კიდევ იყო ერთ დროს ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ ბერის ლოცვებმა გადაარჩინეს. კიდევ: მის ქმარს შიგნეულობის დაავადება ჰქონდა: კუჭის და ნაწლავებისა და აი ნახა მან (ცოლმა) სიზმარში, თითქოს მოვიდა ბერთან და ითხოვდა, თუ რით ემკურნალა მის ქმარს. მამაომ სამჯერ უთხრა დაელია კამის ნაყენი. სიზმარში მილებული რწყევის მიხედვით მისმა ქმარმა კამის ნაყენის სმა დაიწყო და უკეთესად გახდა.

ტამბოვის გუბერნიის ლებედიანსკის მაზრის სოფელ მოინაენკოვაში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი ანისია მონაენკოვა წელისა და მუცლის ქექვა ნაწილის ტკივილით იტანჯებოდა. მას არც სიარული შეეძლო და არც წოლა. სამედიცინო საშუალებები არ შველოდნენ. აკუშერების აზრით, მას ძირნაგანი კიბო ჰქონდა და ურჩევდნენ მოსკოვში წასულიყო ოპერაციის გასაკეთებლად. თუ მას, რა თქმა უნდა, სიცოცხლე უნდოდა. მაგრამ ის უკვე მამა ამბროსისთან წავიდა, რომ მისი კურთხევით წასულიყო. მამაომ

მალე მიიღო. „ბრიყვო! – უთხრა ბერმა, – რა გინდა მოსკოვში? მე ბალახებს მოგცემ“. მალე ვილაც ბერის ხელით გამოუგზავნა ბალახები. მან დაიწყო მათი მიღება და გამოჯანმრთელდა.

1898 წელს ოპტინელი მღვდელ-მონაზონი ბენედიქტეს სიცოცხლეში რიაზანელმა თავადიშვილმა ქალწულმა მარიამ ტიმოთეს ასულმა ტურჩანინოვამ გადასცა წერილი, სადაც ის წერდა, რომ ბავშვობიდან აწუხებდა ცხვირიდან სისხლდენა, მაგრამ 1890 წელს განკურნა მამა ამბროსიმ.

ერთხელ საფხულში, ჰყვებოდა ოპტინელი ბერი პამვო, მომიხდა კიევში ყოფნა. უკან დაბრუნებისას დამეწია მღვდელი თავისი მეულლითურთ და 11-იოდე წლის ბიჭით. მამა ამბროსიზე საუბრისას მღვდელმა მამა იოანემ თქვა, რომ მისი სამრევლო სადგურ პოდბოროკიდან არცთუ ისე შორსაა, სოფელ ალოპოვოში, და რომ მისი ბიჭი მამა ამბროსის წმინდა ლოცვებითაა დაბადებული. მღვდლის ცოლმაც დაადასტურა ქმრის ნათქვამი. „სრული ჭეშმარიტებაა, – მითხრა მან, – ჩვენ შვილები არ გვყავდა. დამწუხრებული ვიყავით და ხშირად ჩავდიოდით მამა ამბროსისთან, რომელიც გვანუგეშებდა და გვეუბნებოდა, რომ ლოცულობს ჩვენზე. შემდეგ შეგვეძინა ეს ბიჭი, სხვა შვილი არ გვყავს“. მღვდელი კი მოჰყვა შემდეგი: „ერთხელ ჩვენს ვაჟიშვილს თვალი ასტკივდა. მე და ჩემმა ცოლმა კოსელსკში წავიყვანეთ, წინასწარ ოპტინაში შევიარეთ და მამა ამბროსისთან მივედით. ბერმა დალოცა ბიჭი და დაუწყო მტკივან თვალში მსუბუქად ჩარტყმა. მე შიშით თმა ყალყზე დამიდგა, მეგონა, ბერი თვალს დაუსიანებდა. დედამ ტირილი დაიწყო. და რა მოხდა? ბერის შემდეგ სასტუმროში მივყვით და ბიჭმა გამოგვიცხადა, რომ თვალი აღარ სტკივა. მადლობა მოვახსენეთ მამაოს და ღვთის დიდებით დავბრუნდით სახლში“.

სკიტის ბერი ნესტორი თავის თავზე ჰყვებოდა:

„1873 წლის 1 დეკემბერს ზოსიერთ ძმასთან ერთად აღვიკვეცე. ამ დღიდან თავისი სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ ამიყვანა მარადმოსახსენებელმა ბერმა, ნექტარმა მამა ამბროსიმ. იმავე წლის მაისში მე მინდოდა წავსულიყავი სამშობლოში. ამ საქმის მშვიდობიანად წარმართვისათვის წავედი ჩვენი მარადმოსახსენებელი

ბერების საფლავზე,რომელთა ლოცვასაც ჩემი სულიერი მოძღვრის რჩევით ყოველთვის ვითხოვდი საჭიროებებსა და განსაცდელებში, განსაკუთრებით ავადმყოფობისას. შემდეგ წაველი წინამძღვართან იღუმენ ისააკთან და მივმართე მას ჩემი მოკრძალებული თხოვნით. მან ყურადღებით მომისმინა და მითხრა: „კარგი, ბერთან იყავი?“ ვუპასუხე: „არა, მამაო, ჯერ არ ვყოფილვარ“. – „მაშ მიდი მასთან და ერთი რას იტყვის! მე, ძმაო, გადაწყვეტილს ვწყვეტ. თუ ის გაკურთხებს და ნახავს, რომ ეს მგზავრობა შენ ზიანს არ მოგაყენებს, მაშინ მე არ გაგაჩერებ; მხოლოდ დიდხანს არ გაჩერდე იქ: რაც უფრო მალე დაბრუნდები შენს სენაკში, მით უკეთესი. ბერისთვის ერში დიდი ხნით დარჩენა სასარგებლო არ არის; იქ კარგია, მხოლოდ არა ჩვენი საძმოსთვის“. ბერთან ძალიან შემაროებული მივედი, მაგრამ იმ დღეს ვერ ვნახე – ბევრი ხალხი ჰყავდა, მონაზვნებიც და საერონიც. ის დილიდანვე მუშაობდა მათთან და ძალიან დაღლილი იყო. მე ასე მჯეროდა: თუკი იღუმენმა უფლება მომცა, არც მამა ამბროსი იქნება წინააღმდეგი, ალბათ აკურთხებს ჩემს მგზავრობას-მეთქი. ამიტომ ‘სოგიერთ ძმას ვუთხარი, სამშობლოში ვაპირებ წასვლას და ეს თითქმის გადაწყვეტილია-მეთქი. სინამდვილეში კი სულ სხვანაირად გამოვიდა ეს ყველაფერი. მე ადრეც მქონდა გაკერით ნათქვამი ბერისთვის, მაგრამ ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩემს სიტყვებს, თითქოს ეს აუხდენელი ან არასაჭირო ყოფილიყო. ასე დავდიოდი მასთან თითქმის ერთ კვირაზე მეტი, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე მასთან მარტო მესაუბრა. ბოლოს, მასთან იმ განწყობით წავედი, რომ საბოლოოდ გადამეწყვიტა, საძმოში უკვე კითხვებითაც მომაბეზრა თავი, რატომ არ მიდიხარო. ამ აზრით შევედი მამაოსთან სენაკში. ვილოცე ხატებთან და მასთან მისულმა ჩავიმუხლე კურთხევის ასაღებად. მან დამლოცა და მითხრა: „უფალი გაკურთხებს სიკეთისათვის“. სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი. მინდოდა დამეწყო რაღაცის თქმა და ის უკვე ჩემს აზრებს პასუხობდა: „შენ მოხვედი წასვლის შესათანხმებლად“. – „დიახ. მამაო“, – ვუპასუხე.

„აი ძმაო, არ მეუწყა მე ‘შენი გაშვება: ‘მენ როგორც გინდა. თვითონ ნახე, რომ მერე, როცა გვიან იქნება, არ ვინანოთ“. მე ამ მოულოდნელობით აღფრთოვანებული ვიყავი და მას ვეუბნები:

„რატომ, მოწყალე მამაო, ეტყობა ჩემს მგზავრობას რაიმე ცუდი ელოდება? მან მითხრა: „მე, ძმაო, წინასწარმეტყველების ნიჭი არა მაქვს: არ ვიცი, რა შეიძლება დაგემართოს, ამიტომ რაც მეუწყა შენ'სე, ის გითხარი. სიმართლე გითხრა, არ მინდა შენი გაშვება“. ეს სიტყვები მამაომ ისეთი მამობრივი მოწყალებით მითხრა, რომ მე ცრემლები ვერ შევიკავე. ისე დაიკავა ჩემი გული, რომ ბერთან განშორება გამიჭირდა. ვეუბნები: „მამაო, მე გადაწყვიტე დავრჩე – არ წავალ“. – „სიკეთე შენ, – მითხრა ბერმა, – სამშობლო არსად წავა, იქ მომავალ წელსაც შეიძლება წასვლა, თუკი ცოცხლები ვიქნებით“. მე ვეუბნები: „მაპატიეთ, მამაო, ჩემი გულწრფელობა: ძმების წინაშე ვიქნები უხერხულად, ამდენი ხანი ვემზადებოდი, ვიყავი იღუმენთანაც და ახლა კი დარჩენა გადავწყვიტეთ“. ამაზე მამაომ დადებითად უპასუხა: „მერე რა? სირცხვილი კეთილი არაა, თვალს არ მოგჭრის. ბერისთვის, ძმაო, სირცხვილი საკუთარი ნების აღსრულებაა, ასე რომ, ჯობია მოსწავლის მოსწავლე იყო, ვიდრე მარტო საკუთარი ნებით იცხოვრო, სირცხვილია არა სხვების, არამედ ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე. ის ისეთი მოსამართლეა, რომელსაც ვერ მოისყიდი და თან უანგაროა. სულიერი მოძღვრის რჩევის დაჯერება კი სირცხვილი არ არის, არამედ სულის მხსნელი და აუცილებელია. და ვინც არ უსმენს კეთილ რჩევას, ის ისჯება. არავინ არაფერს შეგეკითხება – არავის ეს არ სჭირდება, და თუ ვინმემ გკითხა, უთხარი: ეტყობა არ არის ნება ღვთისა, რომ წავიდე, კეთილი ადამიანები გზის ფულის გამოგზავნას შემპირდნენ, მაგრამ რატომღაც არ გამომიგზავნეს, ამიტომ ვერ წავალ; მოკლედ და გასაგებად“. ამ ბრძნული და სიყვარულით სავსე სიტყვების შემდეგ, რომლებიც მის ანგელოსებრივ გულში თანამყოფობდნენ, შვება ვიგრძენი. მე მ'სად ვიყავი მადლიერება გამომეხატა ბერის მიმართ, რადგანაც არ გამიშვა, თითქოს რომელიღაც უბედურებას გადამარჩინა. მე თვითონ მიკვირდა და ვფიქრობდი, თუ სად გაქრა ჩემი გადაულახავი სურვილი, უკანასკნელად ჩაესულიყავი სამშობლოში, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ვოცნებობდი. ეს იყო სი'სწარო და არა სინამდვილე. მამაომ მომცა ახალი თხელქერქიანი ფორთოხალი და მითხრა: „აი ეს შენ წყურვილის მოსაკლავად!“

ამით სულის სიღრმემდე მანუგეშა. ოდესმე ვიფიქრებდი, რომ ისეთი წყურვილი მექნებოდა ერთ კვირაში, რომლის მოკლებაც შეუძლებელი იყო? ამრიგად, წამოვედი და დავტოვე ბერი, თითქოს ყოფილიყო რომელიმე დღესასწაული, როცა ის თავდაუზოგავად გვანუგეშებდა ყველას, როგორც მსრუნველი დედა, რომელსაც უყვარს თავისი შვილები. მთელი დღე მხიარულად გავატარე. ნივთები, რომლებიც გასამგზავრებლად მქონდა მომზადებული, დავმალე იმის შიშით, რომ გამახსენებდა წასვლას. მაგრამ მეორე დღეს თავს დამეცა რაღაც უსაზღვრო მოწყენილობა და სასოწარკვეთილება. მე ველოდი ამ უბედურებას და ის მთელი კვირა გრძელდებოდა, რის შემდეგაც ყოველგვარი მისვლის გარეშე, მოულოდნელად გავხდი ავად ტიფოზური ხურვებით. სად უნდა გავცივებულიყავი, არ ვიცი. ამ დროს, მაისის პირველ რიცხვებში, ამინდი ყველაზე საამო და თბილია. ავადმყოფობა სწრაფად ვითარდებოდა და მკურნალობას არ ექვემდებარებოდა. უცებ გამომელია ძალა. სიცხე მქონდა მთელ ორგანიზმში და განსაკუთრებით ტვინი მიხურდა, მთელ ორგანიზმში ჩამექცა ნაღველი. თვალები, როგორც შემდეგში მეუბნებოდნენ, ჩაქცეული მქონდა ნაღვლით. ფრჩხილები გამიშავდა, როგორც მიცვალებულს. ეს ტკივილები დააგვირგვინა იმან, რომ ათი დღის მერე კისერზე ორი შავი ლაქა გამიჩნდა,რომლებიც მალე შეერთდნენ და ერთ მთლიან დიდ ლაქად იქცა. ენით აუწერელი ტკივილები მქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ექიმები ოპერაციას მიკეთებდნენ; ამბობენ, რომ მომაკვდავივით ვკვნესოდი. მე სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ვიყავი. ექიმებმა: სამონასტრო მამა ნიფტონიმ და კოსელისკელმა კუსტოვმა განაცხადეს, რომ ჩემი გამოჯანმრთელების არანაირი იმედი არ იყო. სხეთი მცხეს და ყოველდღე მასიარებდნენ, შეაღამისას კიდევ მასიარეს, როცა ძალიან ავად გავხდი. შემდეგ, წინამძღვრისა და მეუფეროსე ბერის კურთხევით სქემაში აიყვანეს, როგორც ამას ჩვეულებრივ უკეთებენ ბერებს სიკვდილის წინ. მე მაშინ მხოლოდ 28 წლის ვიყავი. მამები და დაძმები გამოსამშვიდობებლად მოდიოდნენ. გოჩუბა არ მღალატობდა და ყველას ვცნობდი, მაგრამ ისე სუსტად ვიყავი, რომ თვალებს ვერ ვახელდი, საუბარიც ძალიან მიჭირდა და სმენაც. ბოლოს გამოსამშვი-

დობებლად მოვიდა ჩვენი იღუმენი, რათა იმქვეყნიური ცხოვრებისათვის დაეცველოცე. აქვე იყო ჩვენი ექიმი მამა ნიფონტი. სუსტად, მაგრამ მაინც მესმოდა – იღუმენი ეუბნებოდა ექიმს: „აი, მამაო, ჩვენი ცხოვრება! სულ ახლახან მოვიდა ის ჩემთან სრულიად ჯანმრთელი და სამშობლოში წასვლა მთხოვა. კიდევ კარგი, რომ ბერმა ასე კეთილგონივრულად, – რა თქმა უნდა, ღვთის შთაგონებით, – ქნა, და გადაათქმევინა წასვლა, მე კი ვფიქრობდი, რომ გაუშვებდა და კიდევაც გაეუშვებდი იმ ქვეყნად! მერე კი სინდისი არ მომასვენებდა“. ექიმი ეუბნებოდა: „მამაო, ის ახლა კი არ გაციებდა, მას დიდი ხნის გაციების ეტყობა. ის დიდ მარხვაში რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან წამლის სათხოვნელად და თავის ტკივილებს უჩიოდა. ამბობდა, რომ მას ხან სცხელა, ხან სცივა. ღამით ოფლიანობა აწუხებდა, რამაც სხეული დაუსუსტა. ეს ციებ-ცხელებითი მდგომარეობაა, რისგანაც მე მას ემკურნალობდი, მაგრამ არა ძირფესვიანად. ამიტომ მისი ავადმყოფობა იმალებოდა და მწიფდებოდა. ახლა კი მოვიდა დრო და მიუხედავად იმისა, რომ მაისის თვეა, მაინც თავისას აკეთებს. ის გზაში, ალბათ, მოკვდებოდა, ოღონდ უფრო ადრე. აქ ჩვენ მას მაინც ემკურნალობთ, გზაში კი ეს არაფერი არ იქნებოდა. მას აქ ყოველდღე ასიარებენ, რის შემდეგაც ის უფრო მხიარულია ხოლმე. ჩვენ კოსელსკულ ექიმთან ერთად არც გვინდოდა ოპერაციის გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აუცილებელი იყო; ვფიქრობდი, რომ ვერ გადაიტანდა, მაგრამ ბერმა დარწმუნებით მითხრა: გადაიტანს, შეიძლება გამოჯანმრთელდეს კიდეც. ჩვენი საერთო ასრით ეს შეუძლებლად გვეჩვენებოდა“. იღუმენი მოვიდა ჩემთან, დამლოცა და მითხრა: „შემინდე, მამა ნესტორ! შენ რამდენადმე მომსადებული ხარ. იქ კი ღვთის ნება იყოს! ჩვენ ოდესმე ყველანი დავიხოცებით. ეს აუცდენელი გზაა, მხოლოდ უფალმა ინებოს, რომ სუფთა სინანულით მივიცვალოთ.“ შემდგომში მე მოვუწოდებდი ჩემს სულიერ მოძღვარს,მამა ამბროსის და მის ლოცვებს დასახმარებლად. როცა აუტანელი ტკივილები მქონდა, მასთან ვინმეს ვაგზავნიდი და ვითხოვდი მისგან შეწევნას, ან უნდა მოვკვდე, ან ოდნავ უნდა შემიმსუბუქდეს, რომ მოთმინება შესაძლებელი იყოს. იქიდან მიბრუნებულნი ბერის პირით მეტყოდნენ: „მამაო შენსე ლოცუ-

ლობს და ლოცვა-კურთხევას გიგზავნის"; მე ეს მიმსუბუქებდა ტკივილს და ოდნავ მამხიარულებდა. მახოვს, ერთხელ, ეს ადრიან დილით მოხდა და ალბათ ბერი ამ დროს, დილის კანონების მერე, ისვენებდა. მე ისე მიჭირდა, რომ მისი შეწუხება გადავწყვიტე და მისი წმინდა ლოცვები ვითხოვე. გაგზავნილი კაცი მალე დაბრუნდა და მომიტანა დაბეჭდილი პატარა ბოთლი, რომელშიც პოსაევოს ნაკურთხი წყალი ესხა. მან ბრძანა ეს წყალი ჩაგვესხა ბოთლში. დაგვემატებინა სუფთა წყალი, აგვევსო და მიმელო ცოტ-ცოტა, ამ წყლით აგრეთვე დამესველებინა თავი. ის კეთილი საქმო, ვინც მე მიველიდა (განსაკუთრებით ერთი მათგანი, ღმერთო უშველე მათ და შეიწყალე),ამ დავალებას გულით ასრულებდნენ. ბერის ლოცვით ამ დღიდან უკეთესად გავხდი. სიცხე, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ იკლებდა და ხოგიერთის გასაოცრად, განსაკუთრებით ექიმებისა, დავიწყე გამოცოცხლება. ისინი ბოლო დროს უკვე არც მმკურნალობდნენ და ღვთის ანაბარა დამტოვეს. ქალაქის ექიმი ამის მერე ჩემთან არ მოსულა. ჩემი ჯანმრთელობა უმჯობესდებოდა: ორ თვეზე მეტი დავყავი საავადმყოფოში, იქიდან კი გამოვედი, მაგრამ სუსტი და ყრუ. ჩვენი ექიმი მამა ნიფონტი გაუგებრობის გამო შემდგომში ეკითხებოდა მამა ამბროსის, თუ რა სასწაულმა დამტოვა ცოცხალი, როცა, იმათი აზრით, როგორც ამას მეცნიერებაც უმტკიცებდა, ეს შეუძლებელი იყო. ამაზე ღვთივგანბრძნობილმა ბერმა უპასუხა: „ადამიანთაგან შეუძლებელი, ღვთისთვის შესაძლებელია, რომელიც აცოცხლებს და კლავს, დააგლახაკებს და გაამდიდრებს. ასეთი უიმედო და მძიმე ავადმყოფებზე აღსრულება წინასწარმეტყველი დავითის სიტყვა, რომელიც ამბობს: დასჯით დამსაჯე მე, ღმერთო, მაგრამ სიკვდილს არ შემამთხვიო მე. შეიძლება მისი უსიტყვო მორჩილების გამოა ის ცოცხალი. რომ არ დამმორჩილებოდა, მაშინ შეიძლება მართლაც მომკვდარიყო. მას გზაში სიკვდილი ელოდა სადღაც. ეტყობა არ დადგა მისი დრო ღვთის ნებით. მორჩილება, ძმებო, დიდი საქმეა".

'შამორდინოს ქალთა საკანის მონაზონი დედა აგრიპინა ჰყვებოდა. „1882 წლის გაზაფხულზე საბოლოოდ აბრკოლდა ყელი – მასში ჭრილობა გაიხსნა და მე ჭამა არ შემეძლო, არც სმა. ექიმმა

გამომიცხადა, რომ მე ყელის ჭლექი მქონდა და სიკვდილის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი. გავემგზავრე მამა ამბროსისთან. მან მითხრა: „სკიტის უკან რომ ჭაა, იქიდან აიღე წყალი და ყოველდღიურად ყელი სამჯერ გამოირეცხე“. სამი დღის მერე თვითონ დამიბარა. ბალიშის ქვემოდან ამოიღო სამი კენჭი, გულები შეჭამა და ცილები ერთმანეთში ჩააწყო. ამის შემდეგ მომსახურე მამა იოსებს ჭიდან წყალი მოატანინა. აკურთხა წყალი და მიბრძანა, სენაკში ამ წყლით ორგანიზმი დამეწილა და კენჭის ცილები შემეჭამა. სენაკში მოსვლისთანავე სხეული წყლით დამიწილეს და მომცეს ცილები, რომლებიც უმტკივნეულოდ გადავყლაპე. ამის შემდეგ მთელი დღე-ღამე მეძინა. გაღვიძებისთანავე ვიგრძენი, რომ ტკივილმა დამტოვა და სრულიად გამოვჯანმრთელდი. მაშინვე ბერთან წავედი. მონაზვნებმა ვერ მიცნეს, იფიქრეს, რომ ეს ჩემი და იყო. მამაო კი შემხვდა, დამლოცა და მითხრა, რომ მე წმინდა ტიხონ კალუგელმა განმკურნა. ამის მერე ყელი არ მტკივებია. როცა მე ექიმს გამოჯანმრთელებაზე ვაუწყე, მან თქვა, რომ ჩემზე მოხდა სასწაული, რომ ჩემი ავადმყოფობა ჩვეულებრივი საშუალებებით არასოდეს განიკურნებოდა“.

სოგჯერ მამა ამბროსი ხალხის მიერ მისი განდიდების შიშით, მისი წინამორბედი ბერი ლევის მსგავსად, სალოსობდა. თუ ვინმეს წინასწარ რამეს აუწყებდა, მაშინ ხშირად, როგორც სემოთ ვახსენეთ, სახუმარო ტონით, ისე რომ მსმენელნი იცინოდნენ; თუ ვინმე ავადმყოფისთვის დახმარება უნდოდა, სცემდა, როგორც ბიჭს მტკივნეულ თვალზე, სცემდა ხელით ან ხშირად ჯოხით მტკივნეულ ადგილზე, და ტკივილიც ქრებოდა. მაგალითად: ერთხელ მოვიდა ვიღაც ბერი, რომელსაც კბილი საშინლად სტკიოდა. გვერდით რომ ჩაიარა ჩაარტყა მთელი ძალით კბილებში მუშტი და მხიარულად ჰკითხა: „მარჯვედ იყო?“ – „დიახ, მამაო“, – უპასუხა ბერმა, – „მაგრამ ძალიან მტკივნეულია“. მაგრამ იქიდან გამოსულმა ბერმა იგრძნო, რომ ტკივილი გაქრა და ამის მერე არც დაბრუნებია.

ამის მსგავსი მაგალითი მოხდა სემოხსენებულ ბერ პამბოიუსთან. „ერთხელ, – ასე ჰყვებოდა ის, – ძალიან ამტკივდა კბილები. მოვედი მამა ამბროსისთან საკელიო მსახურებაზე, როგორც ეს ალრეც

ხშირად ხდებოდა, რათა დავხმარებოდი კითხვასა და გალობაში. ამასობაში კბილის ტკივილიც შეუწყნარებელ. მამაომ ოდნავ დამარტყა ლოყაზე. ძმებმა, რომლებიც სერაკში იყვნენ, სიცილი დაიწყეს, ალბათ იფიქრეს, რომ მე რაიმე შეცდომა დავუშვი კითხვისა და გალობისას. იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ კბილის ტკივილი დამიამდა. მივედი ძმებთან და ვეუბნები: „თქვენ იცინით და მე კი მიკვირს, კბილის ტკივილი გაქრა“. ასეთი მაგალითები უამრავი იყო. გლეხები, რომელთაც თავის ტკივილი აწუხებდათ, მიდიოდნენ მამა ამბროსისთან, დაუხრიდნენ თავს და ეუბნებოდნენ: „მამაო, დამარტყი, თავი მტკივა“.

კიდევ უფრო გასაოცარი შემთხვევებიც იყო. ავადმყოფობის გამო საკანიდან გამოუსვლელად, ასეულობით ვერსის დაშორებით გამოეცხადებოდა ადამიანებს, რომელთაც ის ცხოვრებაში არ ენახათ და არც გაეგოთ მასზე და საშიშროებიდან იხსნიდა მათ: ან სნეულებს დაარიგებდა, თუ როგორ განკურნებულიყვნენ, ან იქვე კურნავდა. აი რას ჰყვებოდა ზემოთ ხსენებული ბელევოს მონასტრის მონაზონი ბარბარა ნიკოლოზის ასული ტერეხოვსკაია. 1883 წელს ჩამოვიდა მამა ამბროსისთან რომელიღაც სოფლის მღვდლის ცოლი (ფოფოდია) და მინაშენში მამაოს კურთხევის მოლოდინში მსხდომარე მონაზვნებს ეკითხება: „სად შეიძლება ვნახო ჩემი კეთილისმყოფელი, ბერი ამბროსი, რომელმაც ჩემი ქმარი სიკვდილისაგან იხსნა? მე მისი ფეხების საკოცნელად ჩამოვედი“. – „ასეთი რა მოხდა თქვენს თავს? როგორ გადაგარჩინათ? როდის? – მოაყარეს კითხვები ყოველი მხრიდან, – გეთაყვა მოგვიყევით“. „მამა ამბროსი დასასვენებლად წამოწვა და ახლა ვერ მიგიღებთ თქვენ, თქვენ კი მოგვიყევით რაც მოხდა“. ფოფოდიამ დაიწყო: „ახლაც ძლივს მოვდივარ ანრზე იმ საშინელი თავდასხმის შემდეგ. ჩემი ქმარი მღვდელია და ემზადებოდა სალვთო ლიტურგიის მსახურებისთვის და წინა ღამით თავის პატარა კაბინეტში ეძინა. მე ი ჩემს საძინებელში ღრმად ჩამეძინა. უცბად ვიგრძენი, რომ ვილაცა მაღვიძებს. მესმის ასეთი ხმა: „მალე ადექი, თორემ ქმარს მოკლავენ“. თვალები გავახილე და დგას ბერი. – „ჭუ, რა ბოღვაა, ეშმაკი მაცდუნებს“. – ჩავილაპარაკე მე. პირჯვარი გადავიწერე და გადავბრუნდი მეორე მხარეზე. ხახინება ვერ მოვასწარი, მეორეჯერ მაღვიძებს ვილაცა და იმეორებს იმავე სიტყვებს: „ადექი,

თორემ ქმარს მოკლავენ". გავიხედე – იგივე ბერი დგას. მე ისევ პირჯვარი გადავიწერე, გადავტრიალდი და ისევ დაძინება ვცადე. მაგრამ ბერმა ისევ გამაღვიძა და მეუბნება: „ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა, გაიქეცი, აი ახლა მოკლავენ". მე ავხტი ლოგინიდან, შევედი დარბაზში, რომელიც ჰყოფს ქმრის კაბინეტსა და ჩემს საძინებელს და რას ვხედავ? ჩემი მსარეული უშველებელი დანით მიდის ჩემი ქმრის კაბინეტში და უკვე კარებთანაა. გავიქეცი, გამოვსტაცე უკნიდან ეს უშველებელი დანა და ვეკითხები, თუ რას ნიშნავს ეს. „მე მინდოდა,– მიპასუხა მან,– შენი ქმრის მოკვლა იმის გამო, რომ ის უმოწყალო მღვდელია, ხალხი არ ეცოდება. მე ჩემი ცოდვები მასთან მოვინანიე, მან კი ბევრი მეტანიები დამინიშნა ყოველდღიურად: მე ვთხოვე შეეწყალებინე და ჩამოეკლო მეტანიების რიცხვი, მაგრამ არა – არ უნდა. მან არ შემიწყალა, მეც არ შევიწყალებ". მაშინ მე გავეცი განკარგულება ურიადნიკის მოყვანისა და მალე დამნაშავე პოლიციაში წაიყვანეს. ჩემს ქმარს კი არც კი გაუგია, რაც მოხდა, იმსახურა, წირვა გადაიხადა, რის შემდეგაც წავედით ჩემს დასთან მეზობელ სოფელში. მისი ქმარიც მღვდელია. ჩემს დას იქვე მოეწყო, თუ ვინ იხსნა ჩემი ქმარი. დამ შემიყვანა თავის საძინებელში და მე უცბად დავინახე კედელზე სურათი იმ ბერისა, რომელიც მე გამომეცხადა. ვეკითხები: „ეს შენ საიდან გაქვს?" – „ოპტინიდან". – „რა ოპტინა? ეს რა არის, მალე მითხარი, სად ცხოვრობს ეს ბერი, ეს ღვთის ანგელოზი, რომელიც ზეკიდანაა გამოგზავნილი მკვლელობისაგან დასახსნელად?" ვტაცე მის სურათს, ვკოცნიდი, ვამთხვევდი ქმარს და ვემთხვეოდი მეც. გადავწვიტე პირადად მისთვის აუცილებლად გადამეხადა მადლობა და მის ხელებსა და ფეხებს ვმოხვეოდი. და აი, მადლობა ღმერთს, მე ახლა აქ, ჩემი ქმრის მხსნელთან ვარ!"

კიდევ მონასონ ტერეხოვას ნაამბობი: „1881 წელს გენერალ სოკოლოვის ცოლს, რომელმაც ქალაქ მცენსკის სადგურზე მატარებელზე დააგვიანა, ესმის გულამოსკვნილი ტირილი და მოთქმა, შემდეგ კი ხედავს ორლოყიან ქალბატონს, რომელიც მდიდრულადაა ჩაცმული და ცრემლად იღვრება. „შემიძლია შეგიმსუბუქოთ მწუხარება?" – ეკითხება ქალბატონი სოკოლოვა. მომტირალმა

ქალმა უპასუხა: „მე ამ ქალაქში არავის ვიცნობ, საქმე კი სერიოზული მაქვს. ჩემი ქალიშვილი სამი წელია ავადაა. ექიმებს არ შეუძლიათ რაიმეთი დაეხმარონ მას. გამოეცხადა სიზმარში ბერი და უთხრა: „შენ ღვთის რჩეული, წმინდა ნიკოლოზს სასწაულთმოქმედი, მოატყუე შეპირდი, რომ წახვიდოდი მასთან მოსალოცად და სთხოვე ვინმეს, რომ შენს მაგივრად შენი ზომის სანთელი აანთოს. როგორც კი ეს სანთელი დაიწვება, მაშინვე გამოჯანმრთელდები. აი მე, დედამისი, ამისთვის ჩამოვედი აქ, ქალაქ მცენსკში“. გენერლის ცოლმა ეს ქალბატონი თავისი ეტლით წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მიიყვანა, შეუკერეს იმ ქალის ქალიშვილის ზომის სანთელი, რომელიც რკინაში ჩასვეს და იატაკზე მიაჭედეს. სანთელი დაიწვა და ბერის წინასწარმეტყველებისამებრ ავადმყოფი გამოჯანმრთელდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალბატონმა სოკოლოვამ ზემოხსენებულ ქალბატონთან და მის გამოჯანმრთელებულ ქალიშვილთან შესვედრისას უწვენა მათ მამა ამბროსის სურათი. გოგონამ და დედამისმა განაცხადეს, რომ ეს ის ბერია, რომელიც ამ სურათზეა გამოსახული - მამა ამბროსი.

ზემოხსენებული სკიტის მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე გადმოგვცემს: „ქალბატონი ა.დ. კარბონიერი ძალიან ავად გახდა და რამდენიმე დღე სარეცელზე იწვა. ერთხელ მან დაინახა, რომ მის ოთახში შემოვიდა მამა ამბროსი, მივიდა ლოგინთან,მოჰკიდა მას ხელი და ეუბნება: „ადექი, გეყოფა ავადმყოფობა!“ და თვალთახედვიდან გაქრა. ქალბატონმა მაშინვე იმდენად უკეთესად იგრძნო თავი, რომ ადგა და მეორე დღესვე ფეხით გაემართა ქალაქ კოზელსკიდან შამორდინოში (სადაც მაშინ მამა ამბროსი ცხოვრობდა) რათა მადლობა გადაეხადა მისი განკურნებისათვის. მამამ ის მიიღო, მაგრამ მის სიკვდილამდე ამ ამბის გახმაურებაზე არ აკურთხა“.

ზემოხსენებულმა ბერმა გაბრიელმა ეამბო შამორდინოს მონაზონს ანასტასია კარპოვას: ერთ მდიდარ მემამულესთან ჯამაგირზე მსახურობდა ღარიბი ახალგაზრდა, რომელსაც დიდი ოჯახი ჰყავდა. როდესაც მემამულემ თავისი მამული გაყიდა, ახალმა პატრონმა ახალგაზრდა დაკავებულ თანამდებობაზე. ახალგაზრდა ძალიან გაუჭირდა რადგან არაფერი ჰქონდა იმისათვის, რომ თავი და ოჯახი ერჩინა. სასოება უფალს მიანდო და გადაწყვიტა

წასულიყო ოპტინაში მამა ამბროსისთან. მალე მან ფანჯრიდან დაინახა ვიღაც ხელჯოხიანი მწირი, რომელსაც კუნკული ეხურა. უყვარდა მას მწირების მიღება და მაშინვე შემოიპატიჟა იგი. გაუმასპინძლდა იმით, რაც ღმერთმა მისცა, მოუყვა თავის გაჭირვებას და ისიც ახსენა, რომ მამა ამბროსისთან წასასვლელად ემზადება. მწირმა უთხრა, რომ მამა ამბროსი ოპტინიდან შამორდინოში გადავიდა და ურჩია არ გადაეყო. ამასთან ერთად უთხრა, რომ თუ დააყოვნებდა, მაშინ ვერ მოუსწრებდა მამა ამბროსის. მწირი წავიდა თავის გზაზე. ბინდდებოდა. დიასახლისმა ურჩია ქმარს დაწოლოდა მას და ღამის გასათევად მოებრუნებინა, მაგრამ მწირი არც ეზოში და არც ქუჩაში არ აღმოჩნდა. ის ვერსად ვერ ნახეს, რამაც ისინი ძალიან გააოცა. მალე აზნაური მოვიდა შამორდინოში და მისდა გასაოცრად მამა ამბროსიში ის მწირი ამოიცნო, რომელიც ცოტა ხნით ადრე მასთან სტუმრობდა. აზნაური დაეარდა მის ფეხებთან და უნდოდა იმის მოყოლა, თუ როგორ ნახა მან ის თავის სახლში, მწირის ფორმაში, მაგრამ ბერმა უთხრა: „გაჩუმდი! გაჩუმდი!“ შემდეგ კი მიუთითა ერთ ქალბატონზე, რომელიც იქვე მისი სენაკის მისაღებში იდგა და უთხრა: „აი იმასთან იმსახურებ და დამშვიდდები“. ეს ქალბატონი მდიდარი მემამულე გახლდათ და საქმეც კარგად მისდიოდა მამულში.

ტულის გუბერნიის კაშირსკის დედათა მონასტრის მონაზონი ილარიონა პონომარიოვა (სკიტის ყოფილი მმართველის, მღვდელ-მონაზონ ილარიონის დისშვილი) წერილობით გადმოგვცემს საკუთარ თავზე შემდეგ ამბავს: „1888 წელს ნიკოლოზობამდე (6 დეკემბერი) ორი დღით ადრე ავადმყოფობით ვიტანჯებოდი და ვტიროდი იმაზე, რომ ამ დღესასწაულზე ავადმყოფობის გამო სენაკში ვიქნებოდი და ღვთის ტაძარში წასვლის შესაძლებლობა არ მექნებოდა. ისე ძლიერ მტკიოდა ყველაფერი, რომ სალამოს ცხრა საათზე დავწექი და ჩამეძინა. სიზმარში ვხედავ, რომ მოდის ჩემთან მამა ამბროსი და მეუბნება: „შენ ვადაზე ადრე რატომ სწუხხარ?“ ამასთან ერთად ისე ძლიერად გამაწნა სილა მარჯვენა ყურში, რომ სისხლი წამომიყოდა. „წადი, – დაამატა მან, – ეკლესიაში, დღესასწაულზე, ბრიყვო!“ როცა გავიღვიძე, დავინახე, რომ ბალიში,

რომელ'სეც თავი მედო და ხალათი, რომელიც მეცვა, სისხლში იყო ამოსვრილი. მაგრამ მა'შინვე თავი სრულიად ჯანმრთელად ვიგრძენი და ავადმყოფობის კვალიც კი არ დარჩა ჩემ'ში".

მამა ამბროსის ლოცვებით ხალხს ცხოვრების წლები ემატებოდა და როგორც ჩემოთ იყო მაგალითი მოყვანილი, უშვილოებიც იკურნებოდნენ. ოპტინის მღვდელ-მონა'ხონი ლეონტი – მოლარე ჰყვებოდა შემდეგ: „ლივენელი ვაჭარი სერგო მარტინეს ძე აბრა'შინი, რომელიც კალუგის გუბერნიის, ჟი'სდრის მა'ხრის სოფელ პლოხო-ვო'ში ცხოვრობდა და მეორე ცოლი ჰყავდა, ამ უკანასკნელისგან მას ათი შვილი ეყოლა, მაგრამ ყველა პატარაობის ასაკ'შივე უკვდებოდა. ხოგი მათგანი ერთ წელს აღწევდა, ხოლო დანარჩენი რამდენიმე თვეში კვდებოდა. აბრა'შინის ცოლი (ჩემი მკვიდრი და) მარიამი მამა ამბროსისთან წავიდა თავისი განსაცდელებით აღსავსე. ერთხელ დამიძახა ბერმა და მითხრა: „აი შენი და მუდამ განსაც-დელ'შია, რადგან შვილები უკვდება. აი შენ ხატი და გა'უგზავნე მას". ეს 5 თებერვალს მოხდა, წელი ხუსტად არ მახსოვს. ხატ'ზე გამოსახული იყო დედა ღვთისა – „მიცვალებულთა განკითხვა" (იდღესას'წაულება 5 თებერვალს). მამაოს მადლობა გადაე'უხადე და მის მიერ მოცემ'ული ხატი გავუგზავნე ჩემს დას, თან ავუხსენი რა შემთხვევის გამო ეგზავნება მას ეს ხატი. ამის შემდეგ ჩემს დას გოგო შეეძინა, რომელსაც მან პელაგია დაარქვა. იმავე წელს ხაფხულ'ში კი ჩემი და ჩამოსული იყო მამაოსთან მადლობის სათქმელად და ახალ'შობილიც ჩამოიყვანა. ამის შემდეგ ის ყოველწ'ლიურად ჩამოდიოდა ოპტინა'ში, რათა მამაოს დაელოცა. როდესაც პელაგიას 16 წელი შეუსრულდა, მამა ამბროსის კურთხევით მიათხოვეს ბელევსკელ ვაჭარს, ვინმე ვ. ნ. რიბაკოვს. ისინი დღემდე ორივე ცოცხლები არიან და ბედნიერად გრძნობენ თავს. ჰყავთ ორი შვილი. უნდა აღინიშნოს, რომ პელაგიას გათხოვებიდან პირველი ოთხი წელი შვილი არ ჰყავდა. ის ამას ძალიან განიცდიდა და ჩამოვიდა მამა ამბროსისთან ამ შემთხვევის გამო. ისიც მუდამ აიმ'ულებდა მას, რომ ეყოლება შვილები. ნამდვილად ოთხი წ'ლის მერე ბიჭი გაუჩნდა, რომელსაც ბერის პატივის'ცემით ამბროსი დაარქვა. შემდეგ გა'უჩნდა გოგო, რომელსაც მარიამი დაარქვეს.

ბავშვებიც დღემდე კარგად არიან“.

გატანჯული კაცობრიობის სიყვარულით სავსე, ღვთისგან მრავალმხრივი ნიჭითა და მადლით დაჯილდოებული ბერი ამბროსი თავისი წმინდა ლოცვებით ზოგიერთებს დამღუპველი ჩვევებისაგან განაშორებდა.

ოპტინის მონასტრის ბერი პორფირი ჰყვებოდა: „ერთხელ ბერთან ტულის გუბერნიაში მცხოვრები გლეხი მოვიდა, რომელიც ლოთობდა და რადგან ამ დამღუპველი ჩვევის მიტოვება არ შეეძლო, რამდენჯერმე გულზე ხელების დაკრეფა მოისურვა. მოვიდა მამაოსთან და ეერაფერი თქვა. მაგრამ ბერმა სამსხილებლად უთხრა მას, რომ ის ღვინის სმით იმიტომაა დაავადებული, რომ პატარაობისას ბაბუას, რომელიც ეკლესიის მნათე იყო, ფუნელს ჰპარავდა და ამ ფუნელით ღვინოს ყიდულობდა. მისცა მას ბალახები, რომ სახლში დაელია. მე ამ გლეხს ვიცნობ; მან ლოთობა მიატოვა და დღემდე ცოცხალია“.

პეტერბურგში მცხოვრები ალექსი სტეფანეს ძე მაიოროვი ზედმეტად მიეჯაჭა თამბაქოს, მაგრამ გრძნობდა, რომ ჯანმრთელობისათვის ეს ცუდი იყო. როდესაც პეტერბურგელი მეგობრების რჩევები უშედეგო აღმოჩნდა, მაშინ მან წერილობით მიმართა მამა ამბროსის და დაუსწრებლად სთხოვდა, თუ როგორ დაემარცხებინა ეს ვნება. ამ თხოვნის საპასუხოდ ბერმა მაიოროვს 1888 წლის 12 ოქტომბერს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც შემდეგი სიტყვები ეწერა: „თქვენ წერთ, რომ ცერ მიგიტოვებიათ თამბაქოს მოწევა. ადამიანისთვის შეუძლებელი – შესაძლებელია ღვთის დახმარებით: მხოლოდ მტკიცედ უნდა გადაწყვიტო მიტოვება. უნდა აღიქვა თუ რა ვნება მოაქვს მას სულისა და ხორცისათვის. რადგან თამბაქო ასუსტებს სულს და ამრაყლებს და აძლიერებს ვნებას, აბნელებს გონებას და არყევს ხორციელ ჯანმრთელობას, მოაქვს ნელი სიკვდილი. მრისხანება და მოწყენილობა – ესენი თამბაქოს მოწევის შედეგად დაავადებული სულის მოქმედება და შედეგია. გირჩევთ ამის წინააღმდეგ გამოიყენოთ სულიერი მკურნალობა. ძირფესვიანად მოიხანიეთ ყველა ცოდვა აღსარებისას – ჩადენილი შვიდი წლიდან და ეზიარეთ. ყოველდღიურად ფუძეზე მდგომმა წაიკითხეთ სახარების

ერთი ან რამდენიმე თავი. როგორც კი მოწყენილობა დაგეუფლებათ, ისევე წაიკითხეთ, სანამ არ გაიცლის მოწყენილობა. კიდევ მოიწყინეთ – კიდევ წაიკითხეთ სახარება. ანდა ამის მაგივრად მარტო გააკეთეთ 33 დიდი მეტანია, მაცხოვრის მიწა'ხე ცხოვრების გასახსენებლად და წმინდა სამების სადიდებლად". წერილი მიღებისთანავე წაიკითხა ალექსი სტეფანეს ძემ და მოუკიდა თამბაქოს, მაგრამ უეცრად ძლიერი ტკივილი იგრძნო თავში, ამასთან ერთად – თამბაქოს მიმართ 'ხი'სღი და ღამით არც მოუწეცია. მეორე დღეს ჩვეულებისამებს ავიღებდი პაპიროსს, მაგრამ კვამლს ვერ ვყლაპავდი თავის ძლიერი ტკივილის გამო. ეს შემთხვევა ოთხჯერ განმეორდა. მოწევას ძალიან ადვილად დავანებე თავი, არადა, მანამ მთელი ორი წლის განმავლობაში ყველანაირად ვცდილობდი მოწევა მიმეტოვებინა, მაგრამ ვერ შევძელი და მიუხედავად ავადმყოფობისა, დღეში 75-ჯერ ვეწეოდი. „სწორედ მაშინ, როდესაც ავადმყოფობა ყოგრძენი და აღვიქვი ჩემი უძლურება ამ ვნების წინაშე, – წერს მაიოროვი, – მაშინ მივმართე კეთილი ადამიანების რჩევით მამა ამბროსის, ისე რომ მე არ მივსულვარ მასთან, გულწრფელი სინანულით და იმის თხოვნით, რომ ელოცა ჩემთვის, შემდეგ, როდესაც ჩავედი მასთან, რათა პირადად გადამეხადა მადლობა, ის ჯოხით შეეხო ჩემს სნეულ თავს და ამის შემდეგ თავში არავითარი ტკივილი არ მიგრძვნია".

ბორისოვის დედათა მონასტერში, კურსკის გუბერნიაში, საკანის დედათა შორის იყო ერთი ახალგა'სრდა მორჩილი, რომელიც ერთ საერო ოჯახს ისეთი ვნებით მიეჯვია, რომ მიუხედავად იღუმენიის აკრძალვისა, მაინც მიდიოდა მათთან, საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც კი. 'სიგიერთი დის რჩევით მან წერილობით მიმართა მამა ამბროსის, სადაც აღიარა თავისი უძლურება და ითხოვდა მის წმინდა ლოცვებს. მამაო მას სი'სმარში გამოეცხადა,თითქოს ვიღაც გასხივოსნებულმა ბერმა მიიყვანა ის ღვთისმშობლის ხატთან და უთხრა: „ეეეეკლრთი 'სეციურ დედოფალს!" ამ სიტყვებ'ხე მორჩილმა გაიღვიძა და დებს ხილვა მოუყვა. მას აუხსნეს, რომ მან იხილა მამა. ამბროსი, რომელიც მანამდე ნანახი არ ჰყავდა. მალე მან მიიღო პასუხი მამა ამბროსისგან, რომელიც ამ'შვიდებდა. ამის შემდეგ, როდესაც წასვლა მოუნდებოდა იმ ოჯახ'ში, გადაიკითხავდა ბერის

წერილს და სურვილიც უქრებოდა; შემდგომში ის მთლიანად განთავისუფლდა ამ ჩვევისაგან და მონასვნური ცხოვრება დაიწყო, ამასთან ერთად შეწყვიტა ახლო ნაცნობობა ხალხთან.

ახლა კი მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ორ შემთხვევაზე, თუ როგორ ათავისუფლებდა მამა ამბროსი ადამიანებს ეშმაკისეული ცდუნებებისგან. სემოსსენებული მღვდელ-მონასონი დოროთე გვიამბობდა: „1874 წელს ოპტინის მონასტერში ჩემი მოსელისთანავე სამსარეულოს მორჩილება დამავალეს. გავიდა ნახევარი წელი და ჩემს სენაკში ღამღამობით ეშმაკისეული საშინელებანი დაიწყო. მეჩვენებოდა, თითქოს ჩემთან მოდის ვილაც ბერიკაცი, რომელიც გაუფრთხილებლად წარმოთქამდა ლოცვას. სენაკში ჭურჭელი გრუხუნებდა ყოველგვარი მი'ხე'სის გარეშე. ლოგინი ირწეოდა და მტერი ზემოდან დამეცემოდა. თუ შიშის გამო ამოვისუნთქავდი ან ვიყვირებდი, მაშინ აშკარად მესმოდა სიტყვები: „ამა'ხე უარესი არ შეიძლება რომ იყოს, ოხ!" მე ჯერ მამა ანატოლისთან წავედი და მოვუყევი ამ საშინელებებზე. მან მამა ამბროსისთან გამი'შვა. ბერმა მომისმინა და მითხრა, რომ მე არ უნდა მეშინოდეს და მის განსადევნად უნდა მეთქვა იესოს ლოცვა. ამის მერე ყველა შიში გაქრა და ყოველთვის მშვიდად ვრჩებოდი სენაკში.

1898 წელს კიევის გუბერნიის რუ'შჩევის მონასტრის მონა'სონი დედა პაისია წერდა ოპტინელ ბერს მამა იოსებს შემდეგს: „მე საძრახისი აზრები მქონდა წმინდა ეკლესიასა და წმინდა ხატებზე. მე ვწერდი მამაოს, რომ გონებით ვცოდავდი, მაგრამ კონკრეტულად რას ვცოდავდი – არ ეუხსნიდი. როდესაც მამა ამბროსისთან ჩამოვედი, მან მაშინვე დამიძახა, თითქოს უნდოდა ჩემთვის ყურადღება მოექცია. მე ჩვეულებრივ დავდექი მის წინაშე მუხლებზე. მან კი ჯერ მარცხენა ხელი მოიქნია და მარცხენა ლოყაზე ოდნავ გამარტყა, შემდეგ მარჯვენა გამარტყა მარჯვენა ლოყაზე უფრო ძლიერად. ბოლოს თითქოს თავისთვის რაღაცა ჩაილაპარაკა და ისე მტკივნეულად დამარტყა მარცხენა ლოყაზე,რომ თვალთ დამიბნელდა და დავეკი. საიდან ჰქონდა მას ამხელა ძალა! 'შემდეგ ის წავიდა, მე კი ძლივს ავდექი და გავედი მინა'შენიდან. ჩემთვის ვფიქრობ: „არა უშავს! აი მესმის, ბერი! რისთვის გამლახა? მარტო მე მნახა. ალ'ი მე

მასთან ალარ წაველ". მოვედი ნომერში, გავიხადე და დავწექი. ციებ-ცხელებამ და სიცხემ ამიტანა. მოდის ამხანაგი, რომელიც ჩემთან ერთად ჩამოვიდა. „რა გჭირთ? რატომ წახვედით?" – „ავად გავხდი", – ვუპასუხე მე. ის მეორე დღეს მიდის მამაოსთან, მე კი ვწევარ. მესამე დღეს კი ის მეძახის ბერთან. მე კიდევ არ მინდოდა წასვლა. მაგრამ ჩემში რაღაც მოხდა, თითქოს შემეცოდა ბერი და წავედი. შეხვედრისას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, თუ რატომ არ მოვდიოდი წინა დღეებში და რატომ ვარ ავად. მეც არაფერი მითქვამს. სახლში მშვიდი და გახარებული დავბრუნდი მიკვირდა: სად გაქრა ჩემი საძრახისი აზრები? მარტო მაშინ მივხვდი, ბერი მცემდა იმისათვის, რომ მტერი განეღევნა ჩემგან. მე მიხარია, რომ მამაო წმინდანებშია, როცა მე თქვენთან ეს წერილი გამოვაგზავნე. გამახსენდა მისი მამობრივი სიყვარული და ისეთი ძლიერი ძალა დამეუფლა, რომ ავად გავხდი და სამი კვირა სიცხე მქონდა. მე მახარებს. ჩემს სიცოცხლეს ხელი ჩაიქნია. ამ დროს ვნახე სიზმრად მამაო, თითქოს ეკლესიაში ხალხს ესაუბრებოდა და ისე სასწრაფოდ მითხრა: „მე ვცოცხლობდი, და ახლაც ვცოცხლობ, მე შენ არ დამივიწყებიხარ და მალე დაგიძახებ". ახლა კი, მადლობა ღმერთს, გამოვკეთდი.

'სემოხსენებული წინასწარხედვისა და სხვადასხვა სასიკვდილო სნეულებების მკურნალობის მაგალითების მოყვანის ბოლოს საჭიროდ ვთვლით ვთქვათ, რომ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, იმიტომ, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში მისი ბერობისა მსგავსი მაგალითები, როგორც სემოთ აღნიშნა ლ. ა. შიშკოვამ, თითქმის ყოველდღე მეორდებოდა. სწორედ ამიტომ იპტინელი ბერის, მამა ამბროსის სახელი ცნობილი გახდა არა მარტო რუსეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

XVI თავი

ბერი ამბროსის სიტყვის ძალა, მისი ურთიერთობა მომსვლელებთან და გარეგნული სახე

„რადგან იგი ასწავლიდა მათ, როგორც ხელმწიფების მჭვრეტი“
(მათე. VII, 29)

ის, რაც ზემოთ იყო გადმოცემული მამა ამბროსიზე, ნათლად გვიჩვენებს, რომ თავისი სათნო ცხოვრების გამო ღვთისგან მაღალი სულიერი ნიჭით იყო დაჯილდოებული. მისი სიტყვა ღვთის მადლით იყო გაზავებული, ჰქონდა განსაკუთრებული ძალა და ძლიერ-მოქმედიც გახლდათ. არ ვსაუბრობთ უკვე იმაზე, რომ მასთან რწმენით მოსულები თავმდაბლად ხრიდნენ თავს მის წინაშე და მზად იყვნენ შეესრულებინათ ყოველი მისი სიტყვა. ბევრი არაკეთილგანწყობილიც იყო მის მიმართ, მაგრამ პირველივე გაცნობისთანავე მრისხანე ზნეობის ადამიანები კრავივით უწყინარი ხდებოდნენ.[170]

გაცნობამდე მამა ამბროსის ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებდა. ზოგს ეშინოდა კი ეშვენებოდა, რადესაც მათ ოპტინაში წასვლას ურჩევდნენ. „რა უნდა გექონდეს ჩვენ საერთო? ალბათ ვიღაც ფარისეველია, რომელიც დიდებას ეძებს. ნაცნობი არქესია (მახეა), მაგრამ მასში მხოლოდ ეგრალიო ადამიანები გაებმებიან“. ასე განსჯიდნენ ზოგიერთები და მათ ამიტომ არ უნდოდათ ოპტინაში წასვლა. თავისი სინდისის დასამშვიდებლად ცდილობდნენ არ დაეჯერებინათ ის, რასაც ბერზე ჰყვებოდნენ. მაგრამ თუ ვინმე ცნობისმოყვარე შეიქცეოდა ოპტინაში, უმეტეს შემთხვევაში იწყებდა განკითხვით. ოპტინის ბერებთან მიღებული, მეუფრესაც ბერის წინ მუხლებზე დადგომა. ასე იქცეოდნენ თავიანთი კეთილი ნებით ზოგიერთი საერონიც. თითონ ბერი ეცნობებოდა და საერო პირებს ყოველთვის თავის პირდაპირ სკამზე დასვამდა, ზოგჯერ ეხვეწებოდა კიდეც მუხლებზე არ დამდგარიყვნენ. რამდენი არაასურველი

---

[170] აქ მოყვანილი მაგალითები, ერთის გარდა, ალებულია პოსელიანინის სტატიიდან „მამა ამბროსი“.

საუბარი იყო ამის გამო! „რატომ უნდა დავდგე ბერის წინაშე მუხლებზე! აი სადაა მათი სიმდაბლე“. ზოგს ნამდვილად სწყინდა, რომ ხალხი დადიოდა ბერთან და სთესდნენ ცილისწამებას. როგორც კი ბერთან შესვედრის წუთი დადგებოდა, ზოგიერთები უკმაყოფილო გულით უყურებდნენ და იმის სურვილი ჰქონდათ, რომ განემოსათ ბერი. მაგრამ ზოგჯერ ეს უნდობლობა ერთი ხელის მოსმით ქრებოდა და ყველაზე თბილ გრძნობას უთმობდა ხოლმე ადგილს.

ზაფხულობით ბერს ბევრი ხალხი ჰყავდა. ერთი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც დაიყოლიეს წასულიყო მამაოსთან, ძალიან გაღიზიანებული იყო, რადგან მას ლოდინი უწევდა. უეცრად კარი ფართოდ იღება, ზღურბლზე გამოჩნდა ნათელი სახის ბერი და ამბობს: „ვინ არის აქ მოუთმენელი, მოვიდეს ჩემთან“. მიუახლოვდა ამ ახალგაზრდა ქალბატონს და თავისთან წაიყვანა. მასთან საუბრის შერე ეს ქალბატონი ოპტინის ხშირი სტუმარი გახდა.

ერთი ქალბატონი, რომელიც დიდი მემამულის ოჯახიდან იყო და ხშირად დადიოდა მამა ამბროსისთან, დიდხანს ეხვეწებოდა თავის ძალიან ცოცხალ და მოუთმენელი ხასიათის დას წასულიყო მასთან ერთა ოპტინაში. ისიც, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი დისთვის ესიამოვნებინა, მაგრამ მთელი გზა ბუზღუნებდა, ბერთან მისვლისა და ლოდინისას კი შფოთავდა: „მე მუხლებზე არ დავდგები, რა საჭიროა ეს დამცირება?“ ის აჩქარებული დადიოდა ოთახში კუთხიდან კუთხეში. ამ დროს ისე გაიღო კარი, რომ ეს გოგო მთლიანად დაფარა კუთხეში. ქვესლამ ჩაიძუხლა. ბერი პირდაპირ კართან მივიდა, გააღო და მხიარულად შეეკითხა: „ვინ არის ეს გოლიათი„ აქ რომ დგას?“ შემდეგ კი ახალგაზრდა გოგოს ჩურჩულით ეუბნება: „ვერა ფარისეველის სანახავად მოვიდა“. გაცნობაც შედგა. ვერა გაუხარდა, დაქნიეს და დაბრუნდა მამა ამბროსის ფრთებქვეშ შამორდინოში. ის ხშირად ახსენებდა მას, თუ როგორ მივიდა ვერა ფარისეველთან და კიდევ სხვა ა'ხრს, რომელიც მათი გაცნობის პირველ დღეებში ჰქონდა მას. კერძოდ: მაშინ ეს ახალგაზრდა გოგონა მინისტრის ჯიხურში შეცვიდა ბერის პორტრეტის საყიდლად. მას ეუბნება, რომ ყიდია 20 კაპიკად შეიძლება: „ღმერთო ჩემო, – გაიფიქრა მან, – მე ბევრ

მანეთსაც მივცემდი. რა იაფი მამაოა!“ იმავე დღეს, საერთო დალოცვისას, ბერმა გვერდით ჩაუარა, შეხედა, მოეფერა თავ'ზე და წ'ყნარად ჩაიბ'უტბ'უტა: „ასე, მამაო იაფია, იაფი!“

ერთი კარგი განათლებ'ული გოგონა მამა ამბროსისთან შემთხვევით მოხვდა, მოიხიბლა მისით და შეეხვე'ა მიელო შამორდინოში. მისი დედა ჩამოვიდა, მისივე სიტ'ყვებით რომ ვთქვათ, რათა გამოეგლიჯა „ამ საშინელი მონასტრ'ული სამყაროდან“ თავისი გოგო. აღშფოთებ'ული, საყვედ'რებით შევიდა ბერთან. მამაომ სკამი შესთავა'ა. რამდენიმე წ'უთი ილაპარაკეს და განრისხებ'ული დედა უნებლიეთ, თვითონაც ვერ გაერკვა თ'უ რა მოხდა მის თავს, ადგა სკამიდან და ჩაიმ'უხლა ბერის წ'ინ. საუბარი გაგრძელდა. მალე შვილ-მონაზონს დედა-მონაზონი შეუერთდა.

აი ბერი დადის სკიტ'ში საკ'უთარ ჯოხ'ზე დაყრდნობილი. ბევრი მამაკაცი მოდის მასთან. ოდნავ უკან მომსახ'ურე მოჰყვება. ერთ მღვდელ-მონაზონს მამაოსთან ორი ახალგაზრდა ადამიანი მოჰყავს. ისინი ძალიან კარგად არიან ჩაცმ'ული და აქვთ კარგად აღ'სრდილი ადამიანის გარეგნობა. მაგრამ უფროსი ძალიან გ'ულგრილია რწ'მენისა და ღვთის შესახებ, მეორე კი საკმაოდ მორწ'მ'უნე. ერთს მამა ამბროსი სულ არ აინტერესებს, მეორე კი განიკითხავს მას, როცა მას'ზე ჰყვებიან, ახლა კი უკმაყოფილოა იმით, რომ 'სედი'ზედ რამდენიმე დღე ბერმა ვერ შეძლო მათი მიღება. ის მთელი ძალისხმევით აკვირდება ბერს და ცდილობს ამოიცნოს, თ'უ რა კაცია ის. მღვდელ-მონაზონი სთხოვს დალოცოს ისინი. მამაომ მალე, ისე რომ არც შეუხედავს, დალოცა და გააგრძელა გ'სა. რამდენიმე გლეხი სხვა გ'უბერნიებიდან ელოდებოდა. „ჩვენ შენთან მოვედით მ'უხლმოდრეკით, – ამბობენ ისინი. – გავიგეთ, რომ შენ ფეხები გტკივა, აი მს'უბ'უქი ჩექმები შეგიკერეთ, ჯანმრთელობაში ატარე“. ბერმა აიღო მათი ჩექმები და ყველას რაღაცა უთხრა. იმ ორი ახალგაზრდა კაციდან მეორე ამ ყველაფერს ხედავდა. მან უცბად წარმოიდგინა მამაოს შრომა: სულ სხვისი ტვირთის შემს'უბ'უქება და რწ'მენა, რომლითაც მას უყ'ურებდა ეს ხალხი, და გლეხების სიყვარული, რომლებმაც ჩექმები მოუტანეს, და ეჭვი, რომელიც მას გ'ულზე ლოდივით აწ'ვა,გაქრა. ის ისევ მოხვდა მამაოსთან ახლოს

და გაუბედავად თქვა: „მამაო! დამლოცეთ“. ბერი შემობრუნდა, მხიარული სახით შეხედა მას და დაიწყო მასთან ლაპარაკი მის ცხოვრებაზე. ის მთელი გზა მამაოზე ფიქრობდა და მეორე ზაფხულსაც ჩამოვიდა მასთან, უკვე გულით ისწრაფვოდა მისკენ.

მოვიდა მამა ამბროსისთან გაწვალებული კაცი, რომელმაც ვერავითარი ჩანაფიქრი ვერ აისრულა და ცხოვრების მიზანი ვერ იპოვა. ის ამას დიდ შრომასა და საუბრებში ეძებდა – და ვერაფერს მიაღწია. მან უთხრა მამაოს, რომ მის სანახავად მოვიდა. „რა გაეწყობა, მიყურეთ! – უპასუხა ბერმა. შემდეგ ადგა თავისი ლოგინიდან, გასწორდა და ჩახედა ამ კაცს თავისი ნათელი მზერით. ამ შეხედვიდან რაღაც სითბო მოდის, რომელიც შერიგებას ჰგავს და იღვრება მტკივან სულში. ეს ურწმუნო მამაოს ახლოს დასახლდა და მასთან ყოველდღე დიდხანს საუბრობდა. მას უნდა ირწმუნოს, მაგრამ ჯერ არ შეუძლია. გადის კარგა ხანი, ერთ დილას ის ეუბნება მამაოს: „მე ვირწმუნე“.

მოვიდა მამა ამბროსისთან ვიღაც მაღალი და ძლიერი აღნაგობის ბატონი (ამას ოპტინელი მღვდელ-მონაზონი პაისი ჰყვება) და სთხოვა ეცნობებინათ ბერისთვის მისი მოსვლა. როცა ბერი გამოვიდა დერეფანში, ეს კაცი კინაღამ მივარდა მას და დიდი გააფთრებით დაუწყო ლანძღვა. მამაომ იხმარა მისაღებში მისი შეყვანა. ეს კაცი უყვიროდა ბერს და მოჰყავდა რაღაც ტექსტები სახარებიდან და მოციქულთა ეპისტოლეებიდან. საპასუხოდ კი მამაო ეუბნებოდა: „რა იქნება, თუ მე თქვენ ერთ ჭიქაში ნაგისხამთ სუპს, ფაფას, ბორშჩს და ასე შემდეგ და გკითხავთ, რა შეჭამეთ? – რას მიპასუხებდით?“ ბატონი ეტყობა დააბნია ამ სიტყვებმა და უთხრა მას: „ვხედავ, რომ თქვენ ბაგეებში მადლია, ჩემში კი ეშმაკი“. ბერი პასუხობს: „შენში ეშმაკი არ არის, მაგრამ ვხედავ, რომ შენს ირგვლივ ბევრი ეშმაკია და ისინი ნაგსურსულებენ“. ამის მერე ბატონმა ისევ ხმამაღლა დაიწყო რაღაცის ლაპარაკი. ბერმა იხმარა მისგან წასვლა და მომსახურის პირით გადასცა, რომ მეორე დღეს წირვის მერე მოსულიყო. თუმცა ამ ბატონს არ სურდა წასვლა. ის მხოლოდ მაშინ წავიდა, როცა ბერმა რაღაც წიგნი გაუგზავნა. ამის მერე ის ბერთან არ გამოჩენილა. გახმაურდა, რომ ის დინიდან იყო ჩამოსული.

უფრო განათლებულ ხალხთან ბერს მეტი ჯაფა ჰქონდა. ერთი ძალიან კეთილი ბერი, რომელსაც ერში უმაღლესი საგანმანათლებლო ხარისხი ჰქონდა, გაკვირვებული იყო იმით, რომ მიუხედავად დიდი სიყვარულისა რომელიც მას ბერის მიმართ გააჩნდა, მაინც ცუდად ექცეოდა. მიუხედავად ამისა, მამა ამბროსი მასთან მიმართებაში ყოველთვის მოწყალე იყო, თუ მეტი არა. ბერმა იცოდა, რომ მამა ამბროსისთან ათასობით ვერსით დაშორებული ადგილებიდან ჩამოდიოდნენ და მის ერთ სიტყვას ელოდებოდნენ, თვითონ კი, მოდიოდა მამაოსთან და მომზადებული არც ყოფილა, არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის, ამიტომ ეუბნებოდა: „მინდოდა, მამაო, რაიმე მეკითხა, მაგრამ დამავიწყდა“. ბერმა ურჩია ჩაეწერა კითხვები, მაგრამ ის ძველებურად აგრძელებდა და ერთხელაც უთხრა, თითქოს დანაშაულს ბერს აბრალებდა: „მე ვხედავ, მამაო, რომ ჩვენ ყველა მოუმზადებელი ველაპარაკობთ შენთან“. – „კარგი, – უპასუხა მამა ამბროსიმ, – არ შეგიძლია მომზადება – ასე იარე“. მეორეჯერ კი ბერმა უთხრა: „მე მგონია, რომ თქვენთან უშედეგოდ დავდივარ“. მამა ამბროსიმ, კი უპასუხა: „მაინც იარე“.

როგორი ზემოქმედების ძალა ჰქონდა მამა ამბროსის სიტყვას. ამაზე მოვუსმინოთ აწ განსვენებულ მოსკოველ ვ. ე. იაშეროვს.[1]

„მამა ამბროსის გაცნობა, – წერს ის, – ძალზე თავისებურ გარემოებაში მოხდა. 1882 წელს, ჩემი შვებულების ჟამს შევხვდი და გავიცანი ერთი ქალი, რომელიც ჩემი ძალიან ახლობელი ოჯახის ნათესავი იყო. სწორედ ეს ქალი იყო მიზეზი ჩემი და წმინდა მამა ამბროსის გაცნობისა და დაახლოებისა, რადგან ის იყო ამ ქალის მუდმივი მოძღვარი წლების განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქალი იყო ძალიან რელიგიური პიროვნება. მარხვებში ის ყოველდღიურად ესწრებოდა საეკლესიო მსახურებას, მოდიოდა ეკლესიაში ცეკლაზე ადრე და მიდიოდა ცეკლაზე უფრო გვიან. მე მაშინ სულ სხვა მიმართულების კაცი ვიყავი და ცეკლაფერი ეს ფარისეველობად და სულიერ უძლურებად მენეკნებოდა. მაგრამ მალე ჩემი აზრების გარდაქმნა მოხდა.

[1] ეს მოთხრობა ამოღებულია ჟურნალ „რუსი მომლოცველიდან“ 1896 წლის №№ 34. 35. 36.

სხვათა შორის ჩემი ნაცნობი, იმდენად ემორჩილებოდა ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობ ოპტინელ ბერს, რომ მხოლოდ იყო აღესრულებინა მისი ნებისმიერი თხოვნა და სურვილი. ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს ამ ქალმა ვიღაც მონაზვნის მიერ მოტანილი მამა ამბროსის ჩანაწერი მიჩვენა, რომელიც ფანქრით იყო დაწერილი. ამ ჩანაწერის მიხედვით მას ებრძანებოდა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ყველაფერი და წასულიყო ოპტინაში მამაოსთან. იქვე იყო მინაწერი, რომ თან უნდა წაეღო საჭირო წიგნაკი, რაც მას ყველაზე უფრო აღელვებდა. „ქმრობა დიდი ხნით გამომშორებია მამაომ“ – ამბობდა ის მოწყენილად. მე მინდოდა დამერწმუნებინა ის, რომ არ დაეჯერებინა არავითარი „ბერებისა“ და „სალოსებისთვის“ და დარჩენილიყო სახლში, მაგრამ ამაოდ. მეორე დილით სამოქალაქო ფოსტით მე მივიღე მისი ჩანაწერი, რომ თავს უფლებას არ აძლევს არ დაემორჩილოს ბერს და მიემგზავრება ოპტინაში. რვა დღის შემდეგ მომივიდა შეტყობინება, რომ მამა ამბროსის კურთხევით მთელ საშობაო მარხვას ის ოპტინაში გაატარებს, ახლა კი მას ბელევოს დედათა მონასტერში აგზავნის.

ამ წერილმა მე ძალზე გამაღიზიანა, მეტი თუ არა. ჩავთვალე, რომ ჩემი ნაცნობი ქალის მოქცევა და მისი სულიერი მოწყენილობა მამა ამბროსის ბრალი იყო. ავიღე საფოსტო ქაღალდის ორი ფურცელი და ძალიან გრძელი წერილი მივწერე მას, სადაც ბევრგან მძაფრი გამონათქვამიც ვაეროე. წერილი შევაბავე წმინდა წერილის ტექსტებით და ამ ტექსტებს ჩემებური განმარტება გავუკეთე. არც წამიკითხავს ჩემი წერილი, ისე გავაგზავნე ფოსტით და რა? ხუთი დღის მერე ჩემი ნაცნობი დაბრუნდა და მომიყვა, რომ მისდა გასაკვირად მამა ამბროსი ჩემი წერილით არა მხოლოდ კმაყოფილი დარჩა, არამედ უბრძანა მას დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო მოსკოვში. მე სეფისკერი გამომიგზავნა და გამოთქვა სურვილი ვეხილე ოპტინაში. მე გაოგნებული დავრჩი ჩემი წერილის ასეთი შედეგით და გადავწყვიტე ამესრულებინა ბერის სურვილი პირველივე შესაძლო შემთხვევაში. ამავდროულად თავს დამნაშავედ ვგრძნობდი მის წინაშე ჩემი კალმის თავხედურობის გამო.

1883 წლის დიდმარხვის მეოთხე კვირას ოპტინაში, ტულისა და კალუგის გავლით, გაემგზავრე. კალუგიდან 60 ვერსის გავლა

ფოსტის ცხენებით მომიხდა. გამოვედი ორშაბათ დილას და გვიან საღამოს მივედი ოპტინაში. გზით გადაღლილმა ჩაი მივირთვი და დასაძინებლად დავწექი. დილას, როცა ჩაის ვსვამდი, გამოჩნდა მამა ამბროსის მომსახურე და მითხრა: „მობრძანდით მამაოსთან“. მე არც გამკვირვებია ეს, რადგან წარმოვიდგინე, რომ ყველა ჩამოსვლელს ატყობინებენ მას.

ოპტინის მონასტერი ორი ნაწილისაგან შედგება: მონასტრისა და ტაძრებისაგან, კორპუსებისაგან, სადაც ბერების სენაკებია განთავსებული; პირუტყვისა და ცხენების ეზოებისაგან, რომლებსაც სამაგალითოდ უვლიან; სასტუმროებისა და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებისაგან და სკიტისაგან, სადაც იმ პერიოდში მხოლოდ მკაცრი მოღვაწეები ცხოვრობდნენ. სკიტის შიგნით ქალებს არ უშვებენ. ჩვენ მორჩილთან ერთად ტაძრის გვერდით გავიარეთ, ასევე – ხეხილის ბაღი, გადავკვეთეთ მონასტრის მთელი ფართობი და ბოლოს სკიტში შევედით. ჩვენ ირგვლივ სამთრის სუსხით გაშიშვლებული ტყე გადაიშალა, მხოლოდ პირდაპირ ბილიკი იყო გაკვალული, რომელიც მამა ამბროსის თაყვანისმცემლებმა გაკვალეს. სწორედ ამ ბილიკს მიჰყავდი ტყის გავლით სკიტში, რომელიც მონასტრიდან ნახევარი ვერსით იყო დაშორებული. ჩვენ გავედით პატარა მინდორზე და ჩვენ წინ თეთრი გალავანი გამოჩნდა. შესასვლელის მარჯვნივ გამოჩნდა პატარა ფლიგელი, თეთრი ქვით აშენებული, რომლის ნახევარი გარეთ რჩებოდა, ხოლო მეორე ნახევარი გალავნის შიგნით იყო განთავსებული.

სახლის გარეთ ნაწილის პარმაღთან, რომელსაც ქალები რატომღაც „ხიბარკას“ უწოდებდნენ, იდგა ორმოცდაათიოდე ქალბატონი, დიდგვაროვნებიც და მდაბიონიც, მამა ამბროსის მოლოდინში. მათი დიდი ნაწილი შორიდან იყო ჩამოსული და ყოველი მათგანს მტკიცედ სწამდა, რომ მამაოსგან ისინი ნუგეშს, კეთილ რჩევებსა და სენთა კურნებას მიიღებდნენ. სოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ შორიდან ჩამოსული მომლოცველი რამდენიმე დღე დადგებოდა ამ პარმაღთან, ბერი ვერ მიიღებდა და მის უნახავად უნდა წასულიყო.

შევედით გალავანში, მოვუხვიეთ მარჯვნივ ფლიგელის შიდა პარმაღთან, რომელიც უფრო ფართო აღმოჩნდა, ვიდრე გარედან

წარმოიდგენდი. პარმაღიდან პირდაპირ დერეფანში შედიოდი, რომელიც ამ ფლიგელს შუასე ჰყოფდა: მარჯვნივ მამაკაცების პატარა მისაღები ოთახი იყო, მარცხნივ კი – მამა ამბროსის საკუთარი ფართი, გაყოლებასე მორჩილებისათვის რამდენიმე ოთახი და ქალების მისაღები. მორჩილმა ჩამომართვა პალტო და მითხრა შევსულიყავი მისაღებში მარჯვნივ, სანამ მამაოს მოახსენებდა. ერთი წუთის მერე ის გამოვიდა და მითხრა, რომ მამაომ ცოტა ხნით დაცდა მთხოვა, სანამ საუბარს არ დაამთავრებდა ვილაც მოსულთან. მე მისაღების დათვალიერება დავიწყე, რომელიც მორჩილის მამაოსთან მიწვევამ გაწყვიტა და გავემართე მის კვალდაკვალ დერეფნის გაყოლებასე, რომლის ორივე მხარესაც სკამები იყო განლაგებული და ათეულობით ადამიანი იჯდა მამა ამბროსის მოლოდინში.

მარცხნივ გადავუხვიეთ და შესასვლელი პატარა ოთახის გავლით გავედი ვიწრო კარში, აღმოვჩნდი ოთხიოდე არშინი სიგრძის და სამიოდე არშინი სიგანის დაბალჭერიან ოთახში კარის პირდაპირ ამ ოთახს პატარა ფანჯარა ჰქონდა და მის ქვეშ იდგა არცთუ პატარა მაგიდა, რომელსაც გამოსაწევი თარო და პატარა კარადა ჰქონდა. მარჯვენა მხარე არ მახსოვს, რადგან მარცხენა მხარემ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ორ-ნახევარი არშინი სიგრძის ლოგინზე, რომელიც ფიცრებისგან იყო გაკეთებული და ნოხებით და მატრასებით იყო შემოკერილი, მარცხენა მხარეზე ნახევრად-მწოლიარე მდგომარეობაში, შავ გაცვეთილ კაბაში და ასეთივე სკუფიაში, მარცხენა ხელზე დაყრდნობილი, სკვნილით ხელში იწვა პატარა ბერიკაცი სოლისებური წვერით. მას გამჭვირვალე და კეთილი თვალები, ასევე სიმპათიური სახე ჰქონდა. ეს იყო ჩემს ცნობიერებაში დახატული ბერის კონტრასტი! მე გაჩერდი და მიახლოების მოპატიჟებას ველოდი. ბერიკაცი ყურადღებით და გაუნძრევლად მიყურებდა ერთი წუთი. შემდეგ ის ოდნავ წამოიმართა, ჩაიცინა და ხელით მანიშნა მივსულიყავი. მე მივედი და უნებლიეთ უნდა ჩამემუხლა, რათა მისი კურთხევა ამეღო. მან მაკურთხა, ხელი ხელში მომკიდა, ისევ შემომხედა თვალებში და მხიარული ხმით წარმოთქვა: „აი რიგორი ყოფილა ის, თავისი ბედის მრისხანე

დამცველი!“ მე ბოდიშის მაგვარი რაღაცა ჩავილუღლუღე, მაგრამ მან გამანერა, მიმანიშნა მაგიდასე, სადაც ჩემი წერილი იდო და გააგრძელა: „ბოდიში საჭირო არ არის! მე ძალიან კმაყოფილი ვარ ამ წერილის, ამიტომაც გამიჩნდა შენი ნახვის სურვილი. ეს რა ფორმა გაცვიათ თქვენ?“ მე ვუპასუხე, რომ სამხრეთ ბულგარეთის დრუჟინის მეთაური ვარ და ეს ფორმა აღმოსავლეთ-რუმინელი სამხედროებისაა. „პირველი დასახელება კარგია, მეორე კი არც უნდა ყოფილიყო!“ – სერიოზულად წარმოთქვა მან. „მე ძალიან მსიამოვნებს, მამაო, რომ თქვენ სრულიად ეთანხმებით თქვენი ხელვით აწ განსვენებულ სკობელევს და ყველა ჭეშმარიტ რუსს!“ – ვუპასუხე მე მოწიწებით, თავდახრით. „თქვენ ხომ სერბეთშიც იყავით ნებაყოფლობით, როგორც ეს მე მითხრა სმ? სხვათა შორის, როგორაა ის? მე გავიგე, რომ პეტერბურგში მგზავრობის მერე ის ავადმყოფობდა“. – „მადლობა ღმერთს, გამოკეთდა“ – ვუთხარი მე. ბერმა ისევ გაიცინა და თქვა: „მე მეტს ალარ გაგაწერებთ. თქვენ ნახეთ, თუ რამდენი ადამიანი ელოდება გარეთ ნუგეშს. წადით, ჩვენ მერე ვილაპარაკებთ. თქვენ რამდენი ხნით ჩამოხვედით აქ?“ – „მე მე ვფიქრობ წავიდე და დავათვალიერო თქვენი სახელგანთქმული ქალაქი კოსელსკი და ხუთშაბათს გავემგზავრო ოპტინიდან“. – „მშვენიერია! თქვენ აქ მარხვასა, აღსარებას და ზიარებასაც მოასწრებთ“. – „მამა ამბროსი! დღეს სამშაბათია, როდის მოასწრებ ამას? ხვალ ხუთშაბათია!“ – შეეწინააღმდეგა ოდნავ გაკვირვებული ტონით. – „ჭეშმარიტი სინანულისთვის წლები კი არ არის საჭირო და არც დღეები, არამედ მხოლოდ წამი“, – შენიშნა მან სერიოზულად, თითქმის მკაცრად, – დღეს იქნებით საღამოს მსახურებაზე, მწუხრის მერე მოხვალთ ჩემთან აღსარებაზე, სუთშაბათს კი (ეტყობა იმ დღეს შეკვეთილი ლიტურგია იყო, როგორც ეს ხდება ხოლმე ოპტინის მონასტერში. მაგ.: ვიღაც გარდაცვლილის სახელზე) ეზიარეთ და საღამოს წადით“

იქიდან გამოსვლისთანავე, ჩემი ყურადღება მიიპყრო რაღაც განსაკუთრებულმა მოძრაობამ. ქალების ჯგუფში რომ შეინიშნებოდა. მიეუახლოვდი მათ და მსურდა გამეგო რა მოხდა. ვიღაც ხანში შესული ქალი, რომელსაც სახე სულ დააკადებული ჰქონდა,

იჯდა ჯირკზე და ჰყვებოდა, რომ ის ავადმყოფი ფეხებით მოდიოდა ვორონეჟიდან იმ იმედით, რომ მამა ამბროსი განკურნავდა, მონასტრამდე შვიდი ვერსის დაშორებით ის ტყეში დაიკარგა და ამ თოვლში დავარდა წაქცეულ ხეზე ცრემლიანი. მასთან მივიდა ვილაც ბერიკაცი ანაფორით, სკუფიაში. მან გამოჰკითხა ტირილის მიზეზი და შემდეგ უწვენა გზა. ისიც წავიდა მითითებულ მხარეს და ნახა მონასტერი. ქველამ იფიქრა, რომ ეს ან მონასტრის მეტქველე ან ვინმე მონასტერში მომსახურე იყო. სწორედ ამ დროს გამოვიდა ჩემი ნაცნობი მომსახურე და ხმამაღლა იკითხა: „სად არის აქ ავდოტია ვორონეჟიდან?“ ქველა დუმდა. მან გაიმეორა კითხვა უფრო ხმამაღლა და დაამატა, რომ მამაო ეძახის. „ვორონეჟელი ავდოტია ხომ მე ვარ!“ – ამოიძახა ამ ქალმა და ადგა ჯირკიდან თავისი სნეული ფეხებით. ქველა გვერდზე გადგა უხმოდ, ეს გზირი მიფრფხდა სენაკთან და კარს მიღმა მიიმალა. მე უცნაურად მომეჩვენა, როგორ მოასწრო მამა ამბროსიმ სცოდნოდა ამ მზირის შესახებ თუ საიდან ჩამოვიდა ის. მე გადავწვიტე მის გამოსვლას დაველოდებოდი.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ის თვალცრემლიანი გამოვიდა და შეკითხვებზე გულამოსკვნილი პასუხობდა. რომ ბერიკაცი, რომელმაც ტყეში გზა მიასწავლა, მამა ამბროსი იყო, ან ვინმე ძალიან მისი მსგავსი. ჩაფიქრებული დავბრუნდი სასტუმროში. რა არის ეს ქველაფერი, ვფიქრობდი. დავუშვათ მსგავსება, მაგრამ მონასტერში მამა ამბროსის მსგავსი არავინ არის, მეორე, ორი უცნაური დამთხვევა: როგორც ცნობილია, მამა ამბროსის ავადმყოფობის გამო ზამთარში სენაკიდან გამოსვლა არ შეეძლო გაზაფხულამდე, აქ კი, ამ ცივ ზამთარში, გამოჩნდა ტყეში მზირის გზის მაჩვენებლად, შემდეგ კი რაღაც ნახევარ საათში, „მინაშენთან“ მისი მისვლისთანავე მან იცის მასზე (იმ ქალზე) ქველაფერი.

მე გადავწყვიტე მოკლე მარხვა რელიგიის ქველა წესის დაცვით შემენახა: შეკინახე მარხვა მონასტრულად და ქველა ეკლესიურ მსახურებას დავესწარი. ოთხშაბათს საღამოს მსახურების მერე პირდაპირ სკიტში წავედი. ბერმა ჩემი მოსვლიდან ნახევარ საათში მიმიღო. ოთახში შესული იმავე ფორმაში შევეგებე მამაოს,

როგორც პირველად. მუხლებზე დამდგარი დამლოცა: „აი ახლა შემიძლია ვისაუბრო შენთან უფრო მეტხანს, ახლოს მოიწიე," – მითხრა ბერმა მოფერებით. მე ვფიქრობდი, რომ აღსარებაზე მივიღებდი საყვედურს მამაოსგან, რადგან მოელი ექვსი წელი არ მიმარხულია და მოვემზადე რისხვის მისაღებად. მამა ამბროსიმ დამიწყო გამოკითხვა ჩემს ბავშვობაზე, ალბრდაზე, სამსახურზე, უფრო შესანიშნავ პირებზე, ვისთანაც მე მიხდებოდა ურთიერთობა ცხოვრებაში, ჩემს უიღბლო ქორწინებაზე, სერბეთზე, ბულგარეთზე, თურქეთზე და შენიშვნებითა და ღიმილით მავსებდა. მე, რომელსაც ტაძარშიც კი არ შემეძლო მუხლებზე დავმდგარიყავი ფეხების ტკივილის გამო, ვერც კი შევნიშნე, რომ ჩვენი საუბარი ერთი საათი და შვიდი წუთი გაგრძელდა – იმდენად მოწყალე, მიმზიდველი და გონებრივ-დამრიგებლური იყო ბერის საუბარი! მის მიერ გამოთქმული ყოველი ფრაზის შემდეგ მე მეგონა, რომ უფრო და უფრო მშობლიური ხდებოდა ის ჩემთვის სულით და გულით. „მომეცი ოლარი და ჯვარი", – მითხრა უცბად მამა ამბროსიმ ორი წუთის დუმილის მერე. მეც მივაწოდე ერთიც და მეორეც. მან შეიმოსა ოლარი და მითხრა მოვხრილიყავი. დამაფარა ოლარი და შენდობის ლოცვა წამიკითხა. მე გამოვყავი თავი და აღმოვხდა: „მამაო! აღსარება? მე ხომ დიდი ცოდვილი ვარ!" ბერმა შემომხედა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ალერსიან-მოფერებითი ხედვით, დამახურა ისევ ოლარი, დაამთავრა შენდობის ლოცვა და მამთხვია ჯვარზე. „შეგიძლია წახვიდე, შვილო ჩემო! ხვალ, ლიტურგიის მერე, შემოდი ჩემთან". და მოფერებით გამიშვა.

ცხოვრებაში ასეთი სასწაულებრივი გასეირნება არ მქონია. როგორც ამჯერად გასეირნება სკიტიდან მონასტრამდე. რალაცნაირი უსარმაზარი შვება იგრძნობოდა მთელს ჩემს არსებაში. ჩემს ირგვლივ თოვლზე არეკლილი მთვარის ლამაზი სხივები თამაშობდნენ აქაიქ შიშველ ხეებზე. მე ვერც შევნიშნე, როგორ მივკვდი ჩემს ნომერში და როგორ ჩავიძინე.

მეორე დღეს, ნახსიარები, ლიტურგიის შემდეგ წავედი ჩემს ახალ სულიერ მამასთან. ბერი ალერსიანად შემხვდა. დამლოცა სეფისკვერით და ნახევარ-საათიანი საუბარი მარჯვე. მიმითითა ჩემი

ცხოვრების გასაზე, დამრიგებლური სიტყვებით, რომლებიც მე არასოდეს დამავიწყდება, რომლებიც დღემდე მანუგეშებენ მძიმე წუთებში. გამომშვიდობებისას მან ისევ დამლოცა, მაკოცა და ქაღალდში შეხვეული სეფისკვერი გადმომცა თავისი სულიერი შვილისთვის გადასაცემად.

სკიტიდან გამოსასვლელში შემხვდა მონასტრის იღუმენის მორჩილი და ჩაისე დამპატიჟა. მხცოვანი ბერი ალერსიანად შემხვდა. მომილოცა სიარება. ასევე დამლოცა სეფისკვერით და გამომშვიდობებისას წიგნი მაჩუქა.

სასტუმრო‘ში დაბრუნებულს ჩემთვის მომზადებული სოკოს მშვენიერი სადილი დამახვედრეს. განკარგულება გავეცი ცხენების თაობაზე, ვიტრაპეზე სასტუმროს უფროსთან, მოვისმინე მწუხრი და ფოსტის ეტლით გავემართე კალუგის მიმართულებით. თან საუკეთესო მოგონება მიმყვებოდა ალერსიანი ოპტინის მონასტრისა, გულში კი ბერი ამბროსის, ამ მშვენიერი მოძღვრისა და სულისა და გულის მკურნალის, სიყვარული და პატივისცემა მქონდა.

აი კიდევ ამის მსგავსი მოთხრობა. შამორდინოს მონაზვნის ეკატერინე ლებედევას მშობელი მისი სიტყვებით ურწმუნო იყო. ის შემთხვევით ჩამოვიდა ოპტინაში და გაჩერდა სასტუმრო‘ში, სადაც განმკარგველი მამა თეოდოსი (შემდგომში მღვდელ-მონა‘სონი) იყო. ახლახანს ჩამოსულმა სტუმარმა სულში რაღაც შეცბუნება იგრძნო და მოინდომა წასულიყო სავანიდან. „ცხენები, ცხენები ჩქარა!“ – ჰმაურობდა იგი. რამდენიმე სტუმარმა დააშვიდა, რომ ახლავე გააგზავნიდნენ ცხენებს. ბერმა კი ცხენების მოყვანამდე მონასტერში გავლა შესთავაზა. „მე ბერთან არ წავალ“, – გადაწყვეტილად თქვა სტუმარმა – „მე არც გთხოვთ თქვენ ამას“, – უპასუხა მამა თეოდოსმა. გაიარ-გამოიარეს მონასტერში. „ახლა კი ენახოთ სკიტი. იქაური საფუტკრე, ბაღი, ყვავილები“– წავიდნენ სკიტში და იქაც გაიარეს. სხვათა შორის მიადგნენ იმ კორპუსს, სადაც მამა ამბროსი ცხოვრობდა. „არ გნებავთ ბერის სენაკი დაათვალიეროთ?“ ეკითხება ისევ მამა თეოდოსი. შევიდნენ. მისაღებში რამდენიმე კაცი იმყოფებოდა და სხვათა შორის ის ბატონი, რომელთანაც გაისაუბრა. ამ საუბარმა ის მისაღებში დააკავა და ამ დროს შემოვიდა მამა

ამბროსიც. მაშინვე ყველა მიუახლოვდა მას, მაგრამ შემთხვევით შემოსული სტუმარი გვერდზე გადგა, რადგან არ სურდა კურთხევის აღება. ბერმა ყველა რომ დალოცა, პირდაპირ გაემართა შორს მდგართან, დაუინებით შეხედა მას, დალოცა და ხელი დაადო თავზე. მაშინ იმანაც ჩაიმუხლა და აიღო კურთხევა. მამაომ მაშინვე მოჰკიდა ხელი, შეიყვანა თავის ოთახში და თვითონ დაუწყო ლაპარაკი. სტუმარი აღფრთოვანებული იყო მამაოს წინასწარხედვით, რომელიც მას ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებს ახსენებდა, თითქოს მუდამ მასთან ერთად ეცხოვრა. საუბარი დიდხანს გაგრძელდა და ძალიან იმოქმედა მოსულზე. მან თვითონ გამოთქვა სურვილი ემარხულა და აღსარება ჩაებარებინა, მაშინ როდესაც აქამდე 16 წლის განმავლობაში უსიარებელი იყო. მან თითქმის ორი თვე იცხოვრა ოპტინაში და სინანულით ტოვებდა იქაურობას. მამა ამბროსის მიმართ მთელი ცხოვრება მოკრძალებული იყო და მას წმინდანად აღიარებდა.

ბერი ამბროსის სიტყვის ძალაზე საუბრისას, უადგილო არ იქნება ითქვას რამდენიმე სიტყვა ჩამოსულებთან მის ურთიერთობაზე, მის გარეგნულ მხარეზე. მისი გარეგნული მოქცევა მთლიანად თანხმობაში იყო შინაგან მადლიან, მოსიყვარულედ განწყობილ სულთან. ის ყველას სიკეთეს, სულიერ სარგებელს უსურვებდა, მაგრამ ყველას აძლევდა იმდენს, რამდენსაც ყოველი მათგანი იტევდა თავისი სულიერი განწყობით. ადამიანები, რომელთაც არ ესაჭიროებოდათ მისი სულიერი რჩევები, არამედ უნდა ენახათ ის, რასაც საქმის გამო, ყველა ერთხმად ამბობდა: „ძალიან ჭკვიანი კაცია!“ ბერს შეეძლო ნებისმიერ საკითხზე ესაუბრა და საუბარს ზუსტად იმდენ ხანს უთმობდა, რამდენსაც საქმე ითხოვდა და შემდეგ განეშორებოდა მოსულებს. ამ შემთხვევაში ის ძალიან მიმთმენი და საოცრად თავაზიანი ადამიანი იყო. ის ცდილობდა ამ შემთხვევაში არ გამოეთქვა არაფერი იმ შინაგან მხარეებზე, რომელბიც ამ ხალხს ნაკლებად აინტერესებდა. მისი ერთგული ხალხისთვის კი მამაო სულ სხვანაირი გახლდათ. ის მუდამ კეთილი და ალერსიანი რჩებოდა, მაგრამ ამ ურთიერთობებში ის დებდა ყველაზე გულწრფელ სულიერებას. აქაც, გააჩნია ვისთან, მას განსხვავებულობა ჰქონდა:

დიდგვაროვნებთან ის ინარჩუნებდა უკიდურეს შესაბამისობას, უბრალოებთან კი უბრალო იყო და ხშირად უძახდა მათ, როგორც სემოთ ვნახეთ, ბრიყვებს. ეს კი მის სულთან ახლოს მყოფ ადამიანებს არ სწყინდათ, არამედ ქებად მიიჩნევდნენ, სოგჯერ კი თვალცრემლიანნი ხარობდნენ, რადგან მათი გული გრძნობდა, რომ ეს სიტყვები კეთილისმსურველ, მოსიყვარულე ბერის გულიდან ამოდიოდა.

მოიმუშაკა რა ღვთისგან წინასწარხედვის ნიჭი, ბერს არ ჰქონდა ჩვეულად პირდაპირ და უხეშად ემხილებინა ვინმე ხალხის წინ, მაგრამ ისე ოსტატურად, გამოცდილად ამხელდა, რომ ეს მხილება, მიუხედავად ხალხის სიმრავლისა, მხოლოდ იმისთვის ხდებოდა გასაგები, ვისაც ეხებოდა. მრისხანედ კი არა, სიყვარულით შეეძლო მამაოს ადამიანები გამოსწორების გზაზე დაეყენებინა, ჩაუსახავდა მათ გულში რწმენას, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და ღვთის შეწევნით შეიძლება ძტრის დამარცხება. ბერმა ბილომდე შეინარჩუნა თავისი ხასიათის ბუნებრივი სიცოცხლე, რომელიც მისი სიკეთისა და მზრუნველობის გამოხატულება იყო. როდესაც ადამიანები, ვინც მას იცნობდა, შედიოდნენ მამაოსთან თავიანთი განსაკუთრებითა და უძლურებებით, მათ სულს უცბად თავისუფლება და შვება ეუფლებოდა. ყველაფერი რიგორღაც გაირკვეოდა და ენითგამოუთქმელი ნუგეში იგრძნობოდა. არაფერი შეედრებოდა იმ ბედნიერებას, რომელსაც ბერის სულიერი შვილები გრძნობდნენ დიდი ხნის უნახაობის შემდგომ. ეს ერთი იმ წამთაგანია, რომლის აღწერაც შეუძლებელია, ის უნდა განიცადო.

გარეგნულად მამა ამბროსი კეთილსახიერი ბერი იყო, საშუალოზე ოდნავ უფრო მაღალი და სიბერისგან ოდნავ მოხრილი. ის ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იყო, როგორც ამას გადმოგვცემენ ისინი, ვინც მას იცნობდა პირადად ახალგაზრდობაში. მას არც სიბერეში დაუკარგავს სიმშვენიერე სახეზე, მიუხედავად მისი სიგამხდრისა და ფერმკრთალებისა. თავი წინიდან ოდნავ მელოტი ჰქონდა, რომელიც მას არანაირად არ აუშნოებდა. პირიქით, თითქოს უხდებოდა. უკან მუქი ფერისა და ჭაღარა შერეული რამდენიმე მოკლე შრე ჰქონდა. შუბლზე ორი-სამი ნაოჭი, რომლებიც ზოგჯერ მთლიანად ქრებოდა: მუქი ღია თვალები, ცოცხალი, გამჭოლი, რომლებიც მეორე მხარეზე ხედავდნენ სულს: ტუჩები ჩვეულებრივი;

წერი საკმაოდ გრძელი, თხელი, ჭაღარა, ბოლოში გაორებული.

შეუძლებელია მამაოს წარმოდგენა მისი თანამონაწილე ღიმილის გარეშე, რითაც უცბად გამხიარულდებოდი და გათბებოდი. მას მსრუნველი გამოხედვა ჰქონდა, რომელიც გეუბნებოდა, რომ აი ახლა ის შენთვის რაიმეს მოიფიქრებს და გეტყვის რაიმეს ძალიან სასარგებლოს. ის გაგაცოცხლებდა ყველაფერში, მის მოძრაობებში, ანთებულ თვალებში, რომლითაც ის თქვენ გისმენთ და თქვენც კარგად გესმით, რომ ამ წუთში ის მთლიანად თქვენით ცოცხლობს, რომ თქვენ უფრო ახლო ხართ მასთან, ვიდრე საკუთარ თავთან.

მამაოს მხიარულების გამო მისი სახის გამომეტყველება მუდმივად იცვლებოდა: ხან ალერსით შეგხედავდა, ხან იცინოდა შენთან ერთად ახალგაზრდული სიცილით, ხან მხიარულად გითანაგრძნობდა, თუკი შენ კმაყოფილი იყავი, ხან ჩუმად დახრიდა თავს, თუკი შენ რაიმე სამწუხაროს ჰყვებოდი, ხან წუთიერად ჩაფიქრდებოდა განსასჯელად, როდესაც შენ გინდოდა, რომ მას ეთქვა, თუ როგორ მოქცეულიყავი რომელიმე კონკრეტულ საქმეში, ხან გადამწყვეტად აქნევდა თავს, როდესაც არ გირჩევდა რაიმეს გაკეთებას, ხან ჭკვიანურად და ძირფესვიანად, თან გიყურებდა, იგებდი თუ არა ყველაფერს, იწყებდა იმის ახსნას, როგორ უნდა მოგეწესრიგებინა ეს საქმე.

ზოგჯერ მამაოს სახეზე მწუხარება გამოიხატებოდა. მას უნდოდა შენთვის რაღაცის თქმა, მაგრამ არ უნდოდა იმის გაგებინება, რომ ეს იცის, და ცდილობდა, რომ შენ თვითონ გეკითხა მისთვის. მაგალითად, მამაომ გაკურთხა რაიმე საქმის დაწყებაზე და მას უნდა დაასახელოს ამ საქმისთვის სასარგებლო კაცი, რომლის შესახებაც შენ მისთვის არ გითქვამს, რომელიც მას არ უნახავს, არ მოუსმენია, მაგრამ მის შესახებ იცის წინასწარხედვის ნიჭით დაჯილდოებულმა. „როგორ, შენ მართლა ვერ შეძლებ, შენ გაგეცნო კაცი გჭირდება". – „აჰ, დიახ, – იხსენებ შენ, – მე დამავიწყდა მეკითხა: მე მყავს მხედველობაში კაცი." თქვენ რამდენიმე სიტყვით განუმარტავთ ამ კაცის შესახებ. „აი, აი, – შეგაქებს სიხარულით მამაო, ჯერ კიდევ ბოლომდე მოუსმენლად, – ის, ის! შენ ამბობ, რომ ის მკვირცხლია, სწორედ ასეთი სჭირდება ამ საქმეს". საუბრისას გამჭრიახად გიყურებენ მამაოს მეტყველი თვალები. შენ გრძნობ, რომ ეს თვალები

ყველაფერს ხედავენ, რა არის შენში კარგი და ცუდი, და შენ გიხარია, რომ ეს ასეა, და რომ შენ არ შეიძლება გქონდეს მისთვის საიდუმლო რამე.

სოგჯერ კი ეს კეთილი, მომფერებელი და სასიამოვნო სახე მამა ამბროსისა რაღაც განსაკუთრებულად იცვლიდა ფერს და მადლიან სინათლეს აფრქვევდა. ასე ხდებოდა უმეტესად ლოცვისას ან ლოცვის მერე, განსაკუთრებით დილის საათებში. ერთხელ ბერმა საღამოდანვე დაუნიშნა ცოლ-ქმარს, რომელთაც სერიოზული საქმე ჰქონდათ. მან დაიბარა ისინი დილას, როცა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღება დაწყებული. ისინი შევიდნენ მასთან სენაკში. ბერი იჯდა ლოგინზე თეთრ ანაფორაში გამოწყობილი და ქუდი ეხურა. ხელში სკვინილი ეჭირა. მისმა სახემ ფერი შეიცვალა; ის როგორღაც განსაკუთრებულად გაუნათდა და სენაკში ყველაფერმა საღღესასწაულო იერი მიიღო. მოსულები თრთოდნენ და ისინი ენით-გამოუთქმელმა სიხარულმა შეიპყრო. მათ დიდხანს ხმა ვერ ამოიღეს და იდგნენ, გაშტერებულნი უჭვრეტდნენ ბერის სახეს. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, მამაოც დუმდა. ისინი კურთხევის ასაღებად მივიდნენ. მან უსიტყვოდ გადასახა ჯვარი. მათ კიდევ ერთხელ შეხედეს ამ სურათს, რათა სამუდამოდ დამახსოვრებოდათ. ბერი გაბრწყინებული სახით იჯდა და ძილღვიძილში ჭვრეტდა. ისე გამოვიდნენ ისინი იქიდან, რომ სიტყვა არ უთქვამთ ბერისთვის.[172]

მსგავსი მაგალითი. ჩვეულებრივ მოვიდა ბერთან დილის კანონების მერე მისი საქმის მწარმოებელი, ხშირად ხსენებული სკიტის მღვდელ-მონაზონი მამა ბენედიქტე. ბერი კანონების მოსმენის მერე დაჯდა თავის ლოგინზე. მამა ბენედიქტე კურთხევის ასაღებად მივიდა და მისდა გასაოცრად ხედავს, რომ ბერის სახე ანათებდა. მაგრამ როგორც კი მიიღო მან კურთხევა, მაშინვე ეს საოცარი ნათება გაქრა.

რამდენიმე ხნის მერე მამა ბენედიქტე ისევ მივიდა ბერთან, როდესაც ის უკვე სხვა სენაკში იმყოფებოდა და ხალხს ესაუბრებოდა და თავისი უბრალოებით ჰკითხა: „მამაო, რაიმე იხილეთ?“

[172] პოსელიანინის სტატიიდან „მამა ამბროსი“

ბერმა ერთი სიტყვაც არ უპასუხა, მხოლოდ ოდნავ ჩაარტყა მას თავში ხელით. ნიშნად ბერის განსაკუთრებული კურთხევისა!

კიდევ სემოხსენებული იღუმენ მარკოზის მონათხრობი. „ბერის შამორდინოს სავანეში ყოფნისას, – წერს ის, – ერთ პერიოდში, ზუსტად ვნების შვიდეულში, მე ზიარებისთვის ვემზადებოდი. შევდივარ მის სენაკში აღსარების ჩასაბარებლად. ჩემდა გასაკვირად მის სახეს შევნიშნე რომ რაღაცას ღრმად აკვირდებოდა, მას თვითონ ჭვრეტდა და კრძალულებით თრთოდა. მისი სახე დაფარული იყო სასიხარულო ფერით. ამის შემხედვარემ უკან გავიწიე და მხოლოდ გარკვეული დროის მერე მოვედი ა'სრ'ს, და შევედი ბერთან. როცა ეს ჩვენება მახსენდება, ახლაც გაკვირვება მეუფლება“.

შამორდინოს მონაზვნები კი ამბობენ, რომ მათ ხშირად უხდებოდათ ბერის არამიწიერი დიდებით განდიდებული სახის დანახვა.

ყველა ამ მონათხრობის, განსაკუთრებით კი ბოლო თავების გაცნობის შემდეგ მკითხველები აშკარად დაინახავენ, თუ რა სულიერი ნიჭით დააჯილდოვა უფალმა სულიერი ცხოვრების მოძღვრები (მასწავლებლები) და მამა ამბროსის ხელმძღვანელები, მღვდელმონაზვნები ლეონი და მაკარი. იმავე ნიჭებით იყო საესე ბერი ამბროსიც, განსაკუთრებით წინასწარხედვის, კურნების და მაღალი სულიერი განსჯის ნიჭით. ოპტინელი ბერების სინთეზური სახე ერთია და განუყოფელი, შეუპოვარი და მსგავსი (ისინი დაკრძალულნიც გვერდიგვერდ არიან, ერთად). როგორც ჩვენ გვწამს, ისინი წარდგნენ უფლის საკურთხეველთან, ლოცულობენ თავიანთ სულიერ შვილებზე და მთელ მსოფლიოზე.

პირველი ნაწილის დასასრული

I თავი

მღვდელ-მონაზონ ამბროსის მიერ რამდენიმე პირის სულიერი მესაჭეობა

(სამი მოთხრობა)

მამა ამბროსის ცხოვრების ალწერის პირველ ნაწილში, როგორც ეს აღნიშნული იყო წინასიტყვაობაში, გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ როგორი იყო ეს ბერი, როგორ და რა სულიერ სიმაღლეს მიაღწია მან. მეორე ნაწილში კი, სურვილი გვაქვს, შესაძლებისდაგვარად, წინასწართხრობით გამოვხატოთ მისი სულიერი მესაჭეობა იმ პირების მიმართ, რომლებიც სრულიად მიენდნენ და დაემორჩილნენ მას. თუმცა მრავალი მაგალითი იყო წარმოდგენილი მისი წინასწარხედვის და ლოცვითი შემწეობისა როგორც სულიერი,ისე ხორციელი საჭიროების ჟამს, მაგრამ ეს მხოლოდ კერძო შემთხვევები გახლდათ. ახლა კი წარმოგიდგენთ მაგალითებს, თუ როგორ ხელმძღვანელობდა და განაგებდა ბერი მისი ერთგული ადამიანების ცხოვრებას; რა გულმოდგინებით უღრმავდებოდა მათს ქცევლა სულიერ საჭიროებას, უყურადღებოდ არ ტოვებდა ძველ ბრძნულ ანდაზას: „ერთგრო'შიანი სანთლით მოსკოვი გადაიწვაო". ამით აგრძნობინებდა, რომ ნებისმიერი დიდი სიკეთე და ბოროტება მუდამ მცირედით, თითქმის შეუმჩნეველით იწყება. აქვე წარმოგიდგენთ, თუ როგორ მამობრივ სიყვარულსა და მოწყალებას გამოიჩენდა ხოლმე მორჩილთან; 'სიგვ:ერ მკაცრი და შეუბრალებელი იყო. ასე რომ, ვინც მასთან გულწრფელი იყო, მამასავით უყვარდა ის, მაგრამ ამავდროულად ღრმა პატივისცემითა და შიშით იყო მისდამი გამსჭვალული. ისე მოწყალედ ამხელდა მათ ხალხში, რომ ვერავინ მიხვდებოდა მხილებელის გარდა. 'სიგვ:ერ მჭვრეტელობის წყალობით დაცივწებულ ცოდვებსაც კი ახსენებდა აღსარებისას. კურნავდა მათ ხორციელ (სხეულებრივ) სნეულებებს. წინასწარ აძლიერებდა მოსალოდნელ ხიფათს და ღრმა ლოცვით აარიდებდა ხოლმე და

სხვ. ყოველივე ამის გადმოცემაში ჩვენ დაგვეხმარება ზეპირი გადმოცემები იმ ბერების, მონაზვნებისა და საერო ადამიანისა, ვინც გულწრფელად ურთიერთობდა მამა ამბროსისთან. სწორედ მათ მონათხრობს წარმოგიდგენთ და დავამატებთ, რომ მათი რიცხვი მხოლოდ ექვსია, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად დავანახოთ მკითხველს ის ბერული გზა და სულიერი მესაჭეობა, რომელიც შემოიღო ოპტინის მონასტერში ბერმა ლეონიდემ და შემდეგ ამ გზით მიჰყავდა სულიერი შვილები მამა ამბროსის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთები ათასობით ჰყავდა.

1) ოპტინელი მღვდელ-მონაზონი მელქისედეკის ჩანაწერი.

„ოპტინის მონასტერში 1860 წლის სექტემბერში ჩამოვედი. ჩემს ჩამოსვლამდე გარდაიცვალა ბერი მაკარი, რომელიც სკიტში ცხოვრობდა. დავესწარი მის დასაფლავებას. საკანეში მოსვლის დღიდან ჩემი მოძღვარი მამა ამბროსი იყო. მხოლოდ სიკვდილამდე ხუთი წლით ადრე მან სხვა მოძღვარს – მამა ანატოლის ჩააბარა ჩემი თავი, რომელიც სკიტის უფროსი გახლდათ. მამა ამბროსი კი ჩემს მეუფროსე ბერად რჩებოდა.

საკანეში მოხვედრიდან ექვსი თვის მერე ბოროტი ძალის ზემოქმედებით დამწყო მღელვარება და ჩავიფიქრე მონასტრიდან წასვლა. მივედი მამა ამბროსისთან და ავუხსენი ჩემი მღელვარება. მან მიპასუხა: „საჭიროა ამბა დოროთეს წიგნის წაკითხვა და ისე უნდა იცოდე ის, როგორც ჯარისკაცმა იცის სამხედრო წესების მუხლები. ამის გარეშე სულიერ ცხოვრებაში სიმტკიცე არ არსებობს და მონაზონს არ შეუძლია სწორად ცხოვრება. თუკი მონასტრიდან წახვალ და მერე ისევ დაბრუნდები, შენი ფასი იქნება ერთი გროში“. ამის შემდეგ მოვუხშირე მამაოსთან სიარულს ჩემი აზრების ასახსნელად და მისი სიტყვებით ვიმოძღვრებოდი. ორი-სამი თვე ისევ გრძელდებოდა ჩემში მღელვარება და შემდეგ საბოლოოდ გაქრა.

ერთხელაც როგორღაც მითხრა: „ბერის დახმარების გარეშე მონასტერში ვერ იცხოვრებ. შენ ჩემზე ესაუბრებოდი სხვებს. რაც არ უნდა გითხრა, სხვებს ნუ ეტყვი. თუკი შენებურად მოიქცევი, მაშინ ჩემთან არ მოხვიდე“. ოპტინაში ახალმოსულმა ერთხელ

ვუთხარი ბერს, რომ ამ სავანეში გვიან ხდებოდა აღკვეცა. ამაზე მან ასე მიპასუხა: „სულიერზე უნდა იზრუნო, გარეგნულზე არ უნდა იდარდო“.

პირველ წელს ჩემი მორჩილება სკიტის ბიბლიოთეკაში წიგნების დალაგება იყო, რაშიც მე ვეხმარებოდი მამაოს. მე იქ ერთი წიგნი ავილე, მაგრამ მამაომ გამომგლიჯა ის ხელიდან და მითხრა, რომ ბერის კურთხევის გარეშე არ შეიძლება წიგნის წაკითხვა. მეც მივედი ბერთან და მოვუყევი ჩემი განსაცდელი. მან მიპასუხა: „თუ შენ მიერ აღებული წიგნის წაკითხვაზე უარი გითხრა მამაომ, მაშინ არაა საჭირო მისი წაკითხვა. იკითხე წმინდა მამების შემოქმედება“.

მამაო ძმების საკუთარ სენაკში აუცილებლობის გარეშე მიღებას მიკრძალავდა. მე ეკითხე, თუ რა უნდა მეპასუხა ძმებისთვის, როცა ისინი ჩემი ამ უწვეულო მოქცევით შეძრწუნდებოდნენ. ბერმა მითხრა: „ასეთებს უპასუხე, რომ მამა არქიმანდრიტმა არ დამრთო-თქო სენაკებში სიარული ნება“.

მონასტერში მოსვლიდან თორმეტი წლის მერე მივიღე მამაჩემის, პენზის გუბერნიის სოფელ ლეშჩანოვის მღვდლის წერილი, რომ ის სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა. მეც მოვემზადე სამშობლოში წასასვლელად. მივედი ბერთან და აეუხენი ჩემი განზრახვა, მან კი მიპასუხა: „წმინდა წერილში წერია: აცალე მკვდრებს მკვდრების დამარხვა, – არ წახვიდე“. მეც დავრჩი.

ვეკითხები ბერს: ‘სოგჯერ ძალიან სევდიანი ვარ და რისი ბრალია? ის მპასუხობს: “რა ‘უნდა ქნა? არ უყლი თავს. გარეგნული ცხოვრების წესი გაქვს მოუწესრიგებელი“.

და კიდევ: „რატომაა მამაო, რომ მშვიდად არ ვარ?“ ბერმა ამის მისაბუდად ჩემი განვლილი ცხოვრება ჩათვალა.

ერთხელაც ვეკითხები: „კლირში დგომისას მეშინია, რატომ?“ ბერმა მიპასუხა: „ამპარტავნების გამო“.

კიდევ ვეუბნები: „ცისკარზე ადგომა მიჭირს, რა ვქნა?“ ბერი მპასუხობს: „მოშურნეობისა და ღვთის შიშის უქმარისობამ სიმძიმე იცის. თუ არ იქნი, შეგრცხვება და ცოდვაშიც ჩავარდები. თუ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებ საეკლესიო მსახურებაზე ყოფნას,

ამის თაობაზე მე უნდა მითხრა“.

ჩაის სმას პურთან ერთად არ აკურთხებდა. მირჩევდა, მუდამ სატრაპეზოში მეცლო. ვეუბნებოდი მას: „მამაო! დილას ჭამა მინდა, რა ვქნა?“ მამაო მპასუხობდა: „დაცემული ბუნება ითხოვს. მიატოვე ეს. ჩაის დალევა შეიძლება, მხოლოდ უპუროდ. სამ ფინჯანზე მეტი არა, ოთხი მხოლოდ ავადმყოფობისას“. ერთხელ ხუთი ფინჯანი ჩაი დავლიე. ავუხსენი მას. ბერმა გაბრაზებულად მითხრა: „თავი არ დაიივიწყო“.

ვეუბნები მას, რომ ზოგჯერ არ ვასრულებ ხუთასეულს[13]. „ბერი მპასუხობს: „როცა სიკვდილი მოგიახლოვდება, ამას მწარედ ინანებ, მაგრამ გვიან იქნება.“ ვეუბნები, რომ ამასთან ერთად დიდი მეტანიების კეთებაც მიჭირს. ბერი მპასუხობს: ვერ ასრულებ დიდ მეტანიებს, გააკეთე მცირე. ესეც თუ არ შეგიძლია ტუჩებით იესოს ლოცვა თქვი. წმინდა წინასწარმეტყველი დავითი ამბობს: „პირითა ჩემითა ვაქებდე (ვადიდებდე) მას“. უძლურებისას ეს დაშვებულია.

ამბობდა: „ღვთის წინაშე მხოლოდ თავის თავზე აგებს კველა პასუხს“.

2) შამორდინოს სქემმონაზონ პარასკევას მონათხრობი.

„ჩემს მონაზვნობას ტულის გუბერნიის ბელევოს დედათა მონასტერში ჩაეყარა საფუძველი, სადაც 1854 წელს 15 წლის ასაკში მოვედი. აქ ვცხოვრობდი 17 წლის განმავლობაში და ვიყავი სრულიად ჯანმრთელი. მორჩილებას კლირში გავდიოდი. პირველი ექვსი წელი ოპტინელი ბერი მამა მაკარი გახლდათ ჩემი მოძღვარი. 1860 წელს, შემოდგომაზე ჩამოვიდა ის უკანასკნელად ჩვენს მონასტერში, რადგან კველა ჩვენგანი მისი სულიერი შვილი იყო, მათ შორის მეც. შემოვიდა ის ჩემს სენაკში. ყავარჯენი გვერდზე გადადო, წამოწვა ჩემს ლოგინზე და მეუბნება: „შენ ავად გახდები და დიდხანს მოგიწევს წოლა“. მე ავტირდი და ვუთხარი: „მამაო! ვის უტოვებთ ჩემს თავს? ვისთან მტოვებთ?“ მამა მაკარიმ მიპასუხა: „ნუ განიცდი. ჩემს მერე ასეთივე ბერი გეყოლება მოძღვრად, უკეთესიც კი. ყიდრე მე“. ჩვენგან წასვლის მერე სამ კვირაში მოვიდა ცნობა

---

[13] ხუთასეული ბერის კანონია, რომელიც 500 მოკლე ლოცვისგან შედგება: 300 იესოსი, 100 ღვთისმშობლის, 50 მფარველი ანგელოზისა და 50 კველა წმინდანის.

მის გარდაცვალებაზე (1860 წ. 7 სექტემბერი). მამა მაკარის გარდაცვალების მერე ჩემი მოძღვარი გახდა მამა ამბროსი.

ახლა კი მოგითხრობთ იმის თაობაზე, თუ რატომ სრულიად მამა ამბროსი განსაკუთრებულად ჩემზე და მიფარავდა მე ულირსს. დედა 14 წლის ასაკში გარდამეცვალა. ის ღვთისმოსავი ქალი იყო, განსაკუთრებით ქველმოქმედებდა უქონლების მიმართ და უხვ მოწყალებას გასცემდა მათთვის. ჩვენ დიდი ფულადი სახსრები გვქონდა. დედაჩემიც ღვთის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ იყენებდა მათ. გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა, რომ წმინდა აღდგომის პირველ დღეს მოკვდებოდა. დედამ ამ უწყების შესახებ ყველას გამოგვიცხადა და ვნების შვიდეულიდან დაიწყო მზადება მარადისობაში გადასასვლელად, მიუხედავად იმისა, რომ ის სრულიად ჯანმრთელი გახლდათ. არავის სჯეროდა, რომ მისი ჯანმრთელობის პატრონი, მალე გარდაიცვლებოდა. დიდ შაბათს ეზიარა. დადგა 1853 წლის აღდგომის დღეც. წირვიდან მოსულებმა გაეცინცინლეთ. დედამ არ გაიხსინილა და ხატების წინა კუთხესთან მიწვა. ჩვენ, ბავშვები და ნათესავები, შევიკრიბეთ მის ირგვლივ. მან ბრძანა ყველას სამ-სამი მეტანია გაგვეკეთებინა მისი სულის საოხად, გამოგვემშვიდობა და მხიარული სახით, მშვიდად და უმტკივნეულოდ შეჰვედრა თავისი სული ღმერთს. ასეთი გახლდათ მისი ნეტარი აღსასრული. მრავალი ღატაკი მოაჭენებოდა მის ცხედარს ეკლესიამდე და შემდეგ სასაფლაომდე. როცა მე პირველად მოვედი მამა ამბროსისთან, შევნიშნე, რომ ბერი სკიტიდან გამოსული იდგა კუთხის კოშკთან (რომელიც მინაშენის მარჯვნივაა) და ვიღაცას ელაპარაკებოდა, თუმცა მის გვერდით არავინ იდგა. სკიტის კარებთან მას ხალხი ელოდა. ბოლოს მამაო შევიდა მინაშენში. მეც ველოდებოდი მას, რადგან გამგზავრებაზე კურთხევა უნდა ამელო. მაშინ ბერი ჯერ კიდევ არ მიცნობდა. უცბად გამოდის ჭიშკრიდან მისი მომსახურე და კითხულობს: „სად არის ბელეცკის მონასონი ასეთი და ასეთი?“, და ჩემი სახელი წარმოთქვა. მეც მივედი მასთან და მან შემიყვანა მინაშენში. მამამ დამლოცა და მითხრა, რომ მას გამოეცხადა აწ განსვენებული დედაჩემი (ეს დღის ორ საათზე მოხდა) და მას

ელაპარაკებოდა კოშკთან. ამასთან ერთად მითხრა თუ რიგორ გამოიყურებოდა დედაჩემი და რა ემოსა მას (რაშიც დავმარხეთ). მითხრა მისი სახელი – „ხიონია', და ისიც, რომ დედამ სთხოვა ვყოლოდი მისი მფარველობის ქვეშ. მე გავოცდი და ემადლობდი ღმერთს. ამის შემდეგ მამა ამბროსი მის ნეტარ სიკვდილამდე, 1891 წლის ოქტომბრამდე, მუდამ მფარველობდა.

მას შემდეგ, რაც მამა მაკარიმ ავადმყოფობა მიწინასწარმეტყველა, თერთმეტი წელი ჯანმრთელად ვცხოვრობდი. ერთხელაც მონასტრიდან საპყრობილეში მოწყალების მისატანად გაეცემა სავრე. ალმართზე ასვლისას სისუსტე ვიგრძენი და დავეცი. ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ძლივს დავდიოდი. სამი წლის მერე, დიდ მარხვაში, უცბად წამერთვა არა მარტო ფეხები, არამედ ხელებიც. 1882 წლამდე, რვა წლის განმავლობაში ვერ ვამოძრავებდი ხელფეხს.

ერთხელაც მამა ამბროსი მიგზავნის წერილს და კურთხევას მაძლევს ჩავიდე ოპტინაში. ეს 1882 წელს მოხდა. დებმა ჩამიყვანეს ოპტინაში და მიმიტანეს ხელით მამაოსთან. მომტირალი რომ მნახა, მითხრა: „რა'ზე ტირიხარ? იმიტომ ხომ არა, რომ ღმერთმა ამ ავადმყოფობით მოგინახულა?" ვუპასუხე: „იმიტომ ვტირიკარ, რომ ხელფეხი არ მემორჩილება, – ვერც ვჭამ, ვერც ვსვამ". მამაო მეუბნება: „სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდე, უფალი არ მიგატოვებს. შენ დიდხანს მოგიწევს ავადმყოფობა (ლოგინად ჩავარდნა)." ამავდროულად დამიწყო ორივე ხელის დაზელვა მტევნიდან დაწყებული მხრების ჩათვლით, რასაც ორიოდე საათის განმავლობაში აგრძელებდა. შეხედა მამაომ საათს და თქვა: „ახლა უკვე ოთხი საათია, წაიყვანეთ ის სასტუმროში". სასტუმროში რომ მიმიყვანეს და ჩაიდანი დადგეს, მე უცბად თავისუფლად ავიღე ჩაის კოვზი, რაც თვითონ გამიკვირდა. მეორე დღეს ზიარების მერე ისევ ვიყავი მამაოსთან. მან მომილოცა წმინდა ზიარების მიღება და ისევ ორი საათის განმავლობაში მიზელავდა ხელებს, მაგრამ უცბად მიატოვა და თქვა: „შენ ექიმები კი არა ღვთის ღირსნიც ვერ მოგარჩენენ. შენ ღვთისგან გაქვს დანიშნული ავადმყოფობა, მაგრამ ხელებს დაიმორჩილებ". ამის შემდეგ დამლოცა და გამიშვა. იმავე დღეს,

მამაოსგან წასვლისთანავე, ორიენ ხელი ამიმოქმედდა. ფეხების ტკივილი კი დამრჩა და გრძელდება დღემდე. ვერ დავდივარ. ამის შემდეგ დავბრუნდი ბელევოში და დავყავი იქ ორი წელი. უნდა აღვნიშნო, რომ ბელევოს მონასტერში მთელი ავადმყოფობის განმავლობაში დიდი განსაცდელები მქონდა. მხოლოდ ღვთის წყალობა,მამა ამბროსის ლოცვები და აწ განსვენებული იღუმენია პაველინას, რომელიც სულიერი ადამიანი გახლდათ, კარგი დამოკიდებულება მიფარავდა უხილავი ბოროტი მტრისაგან. ის მონაზვნებიც, ვისაც სულიერი გონება გააჩნდათ, კარგად მეპყრობოდნენ. მამაომ იცოდა ჩემი განსაცდელების შესახებ და მოთმინებას მირჩევდა. მე მას ვეუბნებოდი, რომ სოგიერთები საცდურად აღმიქვამდნენ. ის კი მირჩევდა არ მიმექცია ყურადღება და ყოველივე მომეთმინა. განსაცდელების ჟამს მამაოს წმინდა ლოცვებით უფალი მანუგეშებდა, რასაც მე ხელად ვამცნობდი მას, რათა მტრის მიერ არ მოვტყუებულიყავი. სხვანაირად დიდ განსაცდელებს ვერ გადავიტანდი და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდებოდი. უფალმა შემინახა. შემდეგ მეორეჯერ მოვიდა მამა ამბროსის წერილი. ის ისევ მეპატიჟებოდა ოპტინაში. ჩავედი. ძალიან თბილად მიმიღო და შემთავაზა ჩაესახლებულიყავი ახალმოწყობილ შამორდინოს სავანეში. 1884 წელს გადავედი კიდეც. ცამეტი წელია აქ ვცხოვრობ. აქ მამაომ შესანიშნავი სენაკი ამიშენა, სადაც დღემდე ვიმყოფები, ვადიდებ უფალს და ვლოცულობ ნეტარი მამა ამბროსის სულის საცხონებლად.

ახლა კი ერთ შესანიშნავ შემთხვევაზე მოგითხრობთ, რომელმაც თვითონ ბერიც კი გააოცა. ერთხელაც კვლავ სენაკში, ამ დროს უკვე ფეხები არ მემორჩილებოდა. დღის ორი საათი იქნებოდა და სენაკში სრული სიბნელე სუფევდა. ნათლად ვხედავ, რომ შემოდის სიკვდილი (როგორც ეს აღწერილია ღირსი თეოდორეს ხილვაში) ადამიანის ჩონჩხის სახით. ჩამოკიდებულია მასზე ხერხები, ჩაქუჩები და სხვა იარაღები, მხარზე კი ცული აქვს გადადებული. მომიახლოვდა და ხერხემალზე ჩაქუჩი ჩამარტყა. ვგრძნობ რომ სურვილი გამიბრუა. ამ დროს გაისმა: „დაანებე ამას თავი! მან ჯერ კიდევ უნდა იცხოვროს მის(ა)ს“. სიკვდილმა ისევ მოიქნია ხელი, რათა

მეორედ დაერტყა. მაშინვე გაისმა უხილავი ხმა, და აუკრძალა ჩემი შესება. სიკვდილმა მესამედ მომიქნია ხელი. ისევ ისმის ხმა: „დაანებე თავი! მან უნდა იცოცხლოს, ის ჯერ არაა მზად. მიდი მონაზონ გლაფირესთან, ის მზადაა გადავიდეს მარადისობაში“. ამის შემდეგ სიკვდილი გაქრა. მახსოვს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ფხიზლად ვიყავი და დღემდე ჩემს მეხსიერებაში დარჩა ყველა დეტალი სიკვდილის მოსვლისა და ისიც, თუ როგორ გადავურჩი მას. შემოვიდა სენაკში დედა აგრაფინა და მეც მოვუყევი მას ყველაფერი, რაც მოხდა. მეორე დღეს, წირვის მერე, დედა აგრაფინა გაემგზავრა მონასტრის საავადმყოფოში მონაზონ გლაფირეს მოსანახულებლად, რომელიც გარდაცვლილი დახვდა. ის დილის 4 საათზე გარდაცვლილა და უკვე გაპატიოსნებული და კუბოში ჩასვენებული დაახვედრეს. შამორდინოში ყოფნისას მამა ამბროსი ხშირად მახსენებდა სიკვდილის ამ საკვირველ მოსვლას.

3) კურსკის გუბერნიის ბორისოვის დედათა მონასტრის სქემ-მონაზონ დედა ლეონიდას მონათხრობი.

„ბორისოვის დედათა მონასტერში ცხრა წლის ცხოვრების მერე ერთ მოხერხებულ მონაზონთან, სქემმონაზონ ლავრენტიასთან ერთად, გაემგზავრე ოპტინის მონასტერში. ეს იყო 1857 წელს და ბერი მაკარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მან დამმოძღვრა, დამლოცა და მითხრა, რომ ღირსი აბბა დოროთეს წიგნი მეკითხა. შემდეგ დაამატა, რომ გამოაგზავნიდა ჩემთან მამა ამბროსის და აბბა დოროთეს წიგნს გამოატანდა. მალე მოვიდა მამა ამბროსი ჩემთან სასტუმროში. დედა ლავრენტია ნათესავებთან იმყოფებოდა და მე მარტო გახლდით. მამა ამბროსიმ პირველივე შეხვედრისთანავე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მისი საუბარი მონაზონობის შესახებ განსაკუთრებულად მზრუნველობითი იყო ჩემთვის. ის ჩემთან თითქმის მთელი კვირა დადიოდა და მმოძღვრავდა თავისი სიტყვებით. მან თითქოს ხელახლა მშვა სულიერი ცხოვრებისთვის. სხვათა შორის, მითხრა, რომ მონასტერში დაბრუნების შემდეგ ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება, არა მარტო სულიერად, არამედ მატერიალურადაც, რაც ნამდვილად ახდა. ამის შემდეგ არ შემიწყვეტია მიმოწერა მამა ამბროსისთან. მამა მაკარიმ

ბორისოვის მონასტრის დედებს შორის პირველად მე მაკურთხა, მამა ამბროსის სულიერი მესაჭეობის ქვეშ ვყოფილიყავი. შემდგომში, განსაკუთრებით მამა მაკარის სიკვდილის შემდეგ, სხვა დედებიც მამა ამბროსის სულიერი შვილები გახდნენ. ყველა სერიოზულ საქმეზე მამა ამბროსის მიმართავდი რჩევისათვის. ჩვენი მიმოწერა არ შეწყვეტილა 1891 წლამდე, ბერის სიკვდილამდე. რამდენჯერმე ვიყავი მასთან და მუდამ დიდ სულიერ სარგებელს ვიღებდი მისი ბრძნული საუბრებიდან. მალე შემეყარა რალაც ამოუცნობი ნერვული დაავადება და 21 წლის განმავლობაში ვიწექი სენაკიდან გამოუსვლელად. მამა ამბროსიმ ეს დაავადებაც მიწინასწარმეტყველა. 21 წლის მერე განვიკურნე ამ ავადმყოფობისაგან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის, „კაზანსკაიას“ წოდებულის, წყალობით. მახსოვს, კაზანშჩინაში ჩამოსვლის და ტაძარში შესვლისთანავე დამადეს ეს წმინდა ხატი და მაშინვე ვიგრძენი ფეხებში სიმყარე, იმდენად, რომ დახმარების გარეშე თვითონ მივედი სასტუმრომდე. მონასტერში დაბრუნებულს სიხარულით დამხვდნენ დები და დედა იღუმენია. მალე მტრის ბოროტების შედეგად დიდი განსაცდელი მეწვია. ერთმა მონაზონმა დამიწყო ყოველნაირად შევიწროება. მივწერე მამა ამბროსის, მაგრამ ბერმა მოთმინება მიბრძანა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელი. აქ მოხსენიებული მონაზონი განსაკუთრებით მამა ამბროსის წინააღმდეგი იყო. ყოველნაირად ამცირებდა მას დედებთან, მაგრამ მამაო ისეთიერ გულმოწყალე და მოსიყვარულე რჩებოდა სიკვდილის შემდეგ, როგორიც სიცოცხლეში იყო. მამაოს სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ მონაზონს შეეყარა ყელის საშინელი სენი. ექიმებმა სიკვდილის დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ აი მას მამა ამბროსი გამოეცხადა ძილში და განკურნა. მონაზონმა ყველას უთხრა ეს ამბავი და დაამატა, რომ ჩემი განაწყენებისათვის კვერთხით ემუქრებოდა. ამ შემთხვევის შემდეგ მონაზონი განიმსჭვალა მამა ამბროსის პატივისცემით. მახსოვს, როცა ვიწექი სემოხსენებული ხანგრძლივი სნეულებით, სიზმარში გამომეცხადა მამა ამბროსი და მითხრა: „გამაგრდი, შვილო!“ მე ვიფიქრე, რომ მაფრთხილებდა რომელიღაც დიდი განსაცდელის გამო. რაც სინამდვილეში გამართლდა. მამაოს ლოცვებმა ამარიდა

ეს განსაცდელი. ის მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო."

ოპტინაში ბერ ამბროსისთან უკანასკნელად ყოფნის და ბორისოვის მონასტერში დაბრუნების შემდეგ დედა ლეონიდა ავად გახდა. ის წერდა სკიტში თავის ღვიძლ ძმას, მღვდელ-მონაზონ იოსებს, ახლანდელ სკიტის მმართველს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ჩიოდა და წუწუნებდა ბერთან. მან კი უთხრა: „ჩვენ ავადმყოფობაში ვერ გაცხდით 38 წლის, მსგავსად სახარებისეული დავრდომილისა". აღსანიშნავია, რომ სქემმონაზონი ლეონიდა 38 წლის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

II თავი
ოპტინელი ბერი ამბროსის სიტყვები
(ჩანაწერები)[174]

1879 წლის 20 აგვისტო. ჩემი პირველი შეხვედრა მამა ამბროსისთან დაიწყო მისი მისასალმებელი სიტყვებით: „მკვდრეთით აღდგომილო, მოდი, მოდი!" შემდეგ იგავი მომითხრო ყვავილ'სე (უასმინ'ს), თუ როგორ უყვარდა მას ერთი ბერი. ნოემბერ'ში მთლიანად გასხლავს და დაღგამს ბნელ კუთხეში. შედეგ ეს მკუნარე მთლიანად დაიფარება ფოთლებით და ყვავილებით. იგივე ხდება ადამიანებთანაც: ჯერ უნდა დადგე სიბნელე'ში და სიცივეში, რომ ნაყოფი გამოიღო. საღამოს დამიბარა და მითხრა, აღსარება დამეწერა ექვსი წლის ასაკიდან. ვერ გადმოგცემთ როგორ დამალიონა ამან. ძალიან უსიამოვნო ასახსნელი იყო ეს ჩემთვის და რაღაც უსიამოვნო სიმძიმემ და გაღიზიანებამ მომიცვა.

23 აგვისტო. ამ დღეს, მადლობა ღმერთს, ჩავაბარე აღსარება მამა ამბროსის. სიმძიმე მომეხსნა. კარგად და მსიარულად ვიგრძენი თავი. მან ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვის დაკვეთა დამავალა. კარგად ამიხსნა, თუ რას წარმოადგენს მარხვა. მე ვეუთხარი: — „სულ

[174] ჩანაწერების საფუძველი ორიგინალია.

ერთი არაა უფლისთვის,რას შეჭამ?“ მან მიპასუხა: „საჭმელს კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ მცნარეს. ადამი სამოთხიდან ღორმუცელობის გამო კი არ გამოაძევა ღმერთმა. არამედ აკრძალულის მილების გამო. ახლაც სამშაბათს და ხუთშაბათს შეგვიძლია ვჭამოთ რაც გვინდა და არ ვისჯებით, ხოლო ოთხშაბათისა და პარასკევის გამო ვისჯებით. ეს იმიტომ, რომ მცნებას არ ვემორჩილებით. მთავარი კი ისაა, რომ მორჩილებით ჩვეულებას გამოვიმუშავებთ.“ „შენი გ'სა, — მითხრა ბერმა, — მწირობაა. მწირი! გიყვარს ღმერთი? ის კი რას აკეთებდა? მწირობდა. შენც იყავი მწირი მასთან ერთად“. მე ვუთხარი მას ჩემი მცირედი ფულადი სახსრების შესახებ, მან კი დაამატა: „მწირობისთვის გეყოფა. ასეთი ცხოვრებით სიმდაბლე მოიმუშაკება. ერთნაირი პატივისცემით შეხედავ ყველას მაღლებსაც და დაბლებსაც“. მე შევწუხდი და ვთქვი, რომ მწირობისას ძნელია მარხვის შენახვა. ყველგან ხომ არ ამზადებენ სამარხო საკვებს. ამის საპასუხოდ მან მითხრა: „სთხოვე რომ შენთვის ფაფა მოხარშონ და საკმარისია. თუ არ მოინდომეს, არ დარჩე იქ, რათა ღვთის მცნება არ დაარღვიო“.

25 აგვისტო. მამა ამბროსის ყურამდე მივიდა ჩემი ღარიბი ნათესაურების ამბავი, რომლებიც შეჭირვებულნი არიან ჩემგან დახმარების მილებას. მან კი მითხრა: „შენ რომ არაფერი გქონდეს მისაცემი, ასეც უთხარი — არა მაქვს“. მე შევნიშნე, რომ მინდა მეტი მქონდეს, რაითა დავარიგო, მან კი ამოიძახა: „ოჰ, სიამაყევ! აი, თურმე სად ყოფილა. იცი რა ძნელად შედის მდიდარი სასუფეველში?!“

როდესაც მე ვუამბე ექვსი წლიდან მოყოლებული ცოდვები, მან წამიკითხა შენდობის ლოცვა,თუმცა შენიშნა,რომ „საჭიროა ცოდვებზე აქვე მიწაზე ვაგოთ პასუხი და დავისაჯოთ“. ამას დაამატა: „ბევრნი ამბობენ — რა საჭიროა სასჯელი? ეყვალი მოწყალეა. მან მოინანულ ავაზაკსაც აპატია და მაშინვე შეიყვანა სამოთხეში. წმინდანები კი სხვაგვარად განმარტავენ: ავაზაკი უკვე ისჯებოდა. ის ჯვარზე კიდა და წვეთებიც კი გადაუხეხეს. ესე იგი, სიკვდილი მისი მოწამეობრივი იყო. ან, რაკიგორ დაისაჯა ის ცოდვების გამო. ასევე შენც დაგსჯი ეპიტიმიით და ყოველდღიურად თორმეტი მეტანია გააკეთე მთელი წლის განმავლობაში. მთელი შენი წარსული ცხოვრების გამო, რათა იქ მომავალ ცხოვრებაში მეტად არ დაისაჯო“.

მამაოს ვთხოვე,რომ მინდა გავსარდო გოგონა. მან კი მიპასუხა: „არც იფიქრო, არაა საჭირო, მხოლოდ გიყვარდეს ის და დადებითი ზემოქმედება მოახდინე მასზე“. მომითხრო ერთი მონაზონის ამბავი, რომელმაც გაასარდა ობლები და ისე მიეჯაჭვა მათ, რომ საკუთარ გადარჩენაზე უკვე ნაკლებად ზრუნავდა. „უნდა გიყვარდეს, – ამბობდა ბერი, – მაგრამ ვნებითად არ უნდა მიეჯაჭვო. მცნება გვავალდებულებს პატივი მივაგოთ მშობლებს და ამისთვის ჯილდოსაც გვიწესებს. მაგრამ იგივე ღმერთი ამბობს, რომ თუკი შენ მასზე უფრო მამა, დედა ან ვინმე გიყვარს, მაშინ მისი მოწაფეობის ღირსი არა ხარ. ესე იგი, სიყვარული კი არა, მიჩვეულია დაუშვებელი“.

1880 წლის 20 მაისი. ერთხელ მარტო მივედი ოპტინის მონასტერში და 21 რიცხვში მივაშურე სკიტს მამა ამბროსის სანახავად. მან რომ დამინახა, ამოიძახა: „ა! საფრანგეთიდან! როგორაა იქ საქმე?“ – „კუდად,“ – ვუპასუხე მე. შემდეგ შემიყვანა სენაკში და როცა ცხოვრებაზე ჩივილი დავიწყე, ბრძანა ჩაეკეტათ კარი. სხვათა შორის კი მითხრა: „შენ დიდი მოწყალება და მოთმინება გაქვს. არა უშავს, ყველაფერი ჩაივლის“.

26 მაისი. ამ დღეს მამაომ ისევე მიმიღო. მე მას განრისხებასა და სხვების განკითხვაზე ვესაუბრებოდი. „თავმდაბლობაა საჭირო, – თქვა მან, – განრისხება და განკითხვა სიამაყიდანაა გამომდინარე.“ ბეჭდების ჯაჭვი დახატა და მიმითითა, რომ ცოდვები ამ ჯაჭვს ჰგავს, ერთმანეთს უკავშირდებიან და ერთი მეორისაგან გამომდინარეობენ. ვაუწყე მამაოს, რომ მინდოდა დამოუკიდებლად, განმარტოებით ცხოვრება. მან მიპასუხა: „როცა ლოთი სოდომში ცხოვრობდა, წმინდა იყო. ხოლო, როცა განმარტოვდა, დაეცა. განკითხვა არაა საჭირო, რადგან სხვის სულს არ იცნობ. საკუთარ თავს უფრო შეხედე. წმინდა წიგნებს რომ წაიკითხავ, შენი თავი გამოაასწორე, შენზე გამოიყენე და არა სხვაზე, თორემ ბევრი გეცოდინება, მაგრამ სხვებზე უარესი იქნები“. შემაწუხებელი მაგალითი მოიყვანა: „მოციქული იუდა კი მუდამ მასწავლებელ უფალთან იყო და ბოლოს გასცა ის“. კიდევ რამდენიმე მაგალითს მიყვებოდა თანამედროვე ადამიანების ცხოვრებიდან. რომელიღაც გრაფ ტოლსტოიზე, რომელიც პირდაპირი და მართალი კაცი იყო. „ის გარდაიცვალა, –

ამბობდა მამაო, – და აი, მონა'სონი დოსითეოსი ხედავს სიზმარს: დგას ხალხი და ვიღაცას ელოდება. გამოჩნდა თუ არა ეტლი, მაშინვე ყველამ ჩაიმუხლა. ბერმა იუარა, მაგრამ უბრძანეს ღვთის მონა მობრძანდებაო. მან შეხედა და დაინახა, რომ გრაფი ტოლსტოი მოდიოდა". მესაუბრა ერთ მემამ'ულე'ზე, რომელმაც სამი მამ'ული გაანიავა. „სიცოცხლის ბოლოს ის მონასტერ'ში მოვიდა და მოკვდა ისე, რომ ღმერთმა ყველა ჩვენგანს ასეთი სიკვდილი არგუნოს. თუმცა ის ცხონებული მფლანგველი გახლდათ, მაგრამ არაჩვეულებრივად კეთილი და უბრალო სულის პატრონიც. მოდი და გაინკითხე ადამიანები! მეტი უბრალოებაა საჭირო". იმ ქალბატონის მაგალითიც მოიყვანა, რომელიც სულ ახლახან იყო მასთან და თქვა: „რა უბრალო სულის მქონეა! ესე იგი, დედამიწ'ა'ზეც არიან ღვთისნიერი ადამიანები". მე ვთქვი, რომ ცხოვრებისთვის მეტი სახსრების ქონა მსურს. მან კი მითხრა: „სიმდიდრეში კი არ არის საქმე, არამედ თვითონ ჩვენში. რამდენიც არ უნდა მისცე ადამიანს, მაინც ვერ დააკმაყოფილებ მას". მოიყვანა ერთი მდიდარი ქალის მაგალითი, რომელიც ოპტინაში სტუმრობდა: „ის ღარიბი დედ-მამის შვილი იყო და მისთხოვდა მდიდარს, რომელსაც მამამისმა დაოჯახებისას ბევრი გამოუყო. ანდერძ'ში კიდევ ბევრ თანხას უტოვებდა. ცოლი ამით კმაყოფილი დარჩა და აგულიანებდა ქმარს, რომ სიცოცხლე'შივე მიეცა მისთვის მამის ანდერძით აღთქმ'ული ქონება. ადრე ხომ მას სულ არაფერი გააჩნდა. აი, ასეთი დაუღლელია შემოქმის წ'ყ'ნარევილი!"

27 მაისი. დიდება ღმერთს! მე დღეს ისევ ჩავაბარე აღსარება მამა ამბროსის. მამაოს ლოცვებით მე სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობდი და ვ'ეთხარი კიდეც. როგორ ამ'ოფებს ის ჩვენს შინაგან მდგომარეობას! ჯერ ის მითხრა, თუ როგორ გრძნობდა თავს, შემდეგ კი მითხრა: „გონების შესაძარი მოშ'ურნეობა არ გვაქვს, დაანებე სხვებს თავი! შენ 'სოგჯერ მხოლოდ გარეგნ'ულად გგონია რაღაცა, ყოველი ადამიანის სული კიდევ ძალიან ღრმაა. ამიტომ უფალმა ორიენ აკრძალა – არა მარტო განკითხვა, არამედ გასამართლებაც". მე უფლის სიტყვები შევახსენე: „გარეგნ'ულად კი არ განსაჯოთ, არამედ სიმართლით". მან კი ეს სიტყვები ასე განმარტა: „სამართლიანი სამსჯავრო უნდა განვ'ც'უთვნოთ საკ'უთარ თავს

და არა სხვებს. გარეგნული საქმიანობის მიხედვით კი არ უნდა განვსაჯოთ თავი, არამედ შინაგანი მდგომარეობით და გრძნობით". მკითხა, რომელ ლოცვებს ეკითხულობდი, როცა გაიგო რომ ჩემებურად ვლოცულობ, მაშინ შენიშნა მომცა: „უნდა წაიკითხო ლოცვები, დაუჯდომელები, სოგჯერ ფსალმუნიც. თუ შინაგანი ლოცვა არსებობს, მაშინ უნდა გაჩერდე და სულით ილოცო. თუ ასეთი ლოცვა არ შეგიძლია, მაშინ უნდა წაიკითხო ლოცვები. აღსარებისას მოვახსენე მშობლებისადმი უპატივცემულობა. როგორც მეგონა დედაჩემი ყალბ მოწყალებას იჩენდა ჩემს მიმართ, რასაც აუღელვებლად ვერ ვეგუებოდი. „ადამიანი უნდა განსაჯო მისი ხასიათის მიხედვით, – თქვა ბერმა. შენ უფრო ძლიერი ხასიათი გაქვს, მას კი სუსტი და ისიც თავისებურად, როგორც შეუძლია ისე მოქმედებს. შენ სხვებს ამხელ, თავად კი ერთნაირად არ მოქმედებ. ყალბი ხარ, როცა სუსტს ეუბნები სხარტად მომთხოვნი ტონით, ხოლო უფრო ძლიერს და მაღალს – რბილი ტონით." შევეხეთ ბოროტების წილ ბოროტების მიგებას და მე ვთქვი, რომ ჩემში ეს არ არის. „თითქოს? – ამოიძახა მან. – მაგრამ ერთი სუსხიანი შეხედვით სოგჯერ ისე გადაეხდი, რომ დიდხანს არ დააციწყდებათ". მან ისე სწორად დამანახა ჩემი სუსტი მხარე, რომ უნებლიეთ ვითხოვე შენდობა. „შენ რა, – აგრძელებდა ის, – ქვცლა სამართლიანად გსჯის? სოგჯერ გაქებენ, რადგან შენი შინაგანი მდგომარეობა არ იცვიან". მეც ვიხარე შემჩნიშნა, რომ ჩემი უბედურებაც ესაა, იმასე მეტს მაქებენ, რასაც ვიმსახურებ. „გაქონ, – თქვა მან, – შენ ამას ნუ ეჯერებ. არც უპასუხო და არც ეკამათო, მხოლოდ შენ თავში ალიარე, ღირს შენი ქება თუ არა. თუ შეცდინააღმდეგები თვალთმაქცობა გამოგაცა, რადგან კმაყოფილების გრძნობას ქებისას მაინც გრძნობ. ისინიც კი, ვისაც შეცდინააღმდეგები. არ დაგიჯერებენ. ამიტომ, როცა გაქებენ, არაფერი თქვა, თვალები დახარე და იცქირე".

30 მაისი. ერთმა მონაზონმა თქვა, რომ წასვლა ეჩქარება, თორემ ილუმენია გაბრაზდებოდა. მამაომ კი უთხრა: „ღვთისა და საკუთარი სინდისის უნდა გეშინოდეს და არა დედა ილუმენიასი. ღვთის შიშია სინდისის განწმენდის დასაწყისი". ჩემს მკირედ სახსრებსე საებრისას მირჩია, გადაბესხვაფერებინა პროცენტიანი ქალალდები

და კაპიტალით მეცხოვრა. მე შევეწინააღმდეგე და ვთქვი, რომ დიდხანს არ მეყოფოდა ეს მცირედი კაპიტალი. ბერმა მითხრა: „შენ რა დიდხანს იცოცხლებ? იმდენი კი გაქვს, – დაამატა მან, – რომ მონასტერში გეყოფა, თუნდაც საერთოში“. მონასტერში ცხოვრებაზე მინიშნებამ გული გამიყინა. არასოდეს ვფიქრობდი ამაზე და მწარავდა მონასტრული ცხოვრება. მან კი შენიშნა: „ხომ უნდა მორჩე ამას, ერში მუდამ გვემაში იქნები“. „ჩემი სისუსტის პატრონს სად შემიძლია სამონასტრო მოღვაწეობა?“ – ვკითხე მე. – „მთავარი ღვაწლი სიმდაბლეშია. შენი სისუსტის გამო ფიზიკურ მოღვაწეობას არავინ მოგთხოვს“. – მიპასუხა მან. მე მაინც შევნიშნე, რომ სანამ დედა ცოცხალია მე ვერ შევძლებდი ამის გაკეთებას.

2 ივნისი. მინაშენიდან გამოსული ჩამოჯდა ჩვენთან და სხვადასხვა იგავები მოგვითხრო. სეკციურ სასუფეველში მიმავალ ვიწრო გზას შემდეგნაირად წარმოგვიჩინდა: აიღო თავისი ჯოხი და გვიჩვენა, რომ მასზე ორ ფეხს ვერ დადგამდი გვერდიგვერდ, მხოლოდ ერთი მეორის მიყოლებით. „საჭიროა იარო ასე და არ იფიქრო სხვა საქმეზე, არც ჰკითხო სხვას.“ მონასტერზე მე ისევ ძველებურად ვფიქრობდი, ვთხოვდი უფალს და სეკციურ დედოფალს, რომ მამაოს პირით გაეხსნათ ჩემთვის სეკციური ნება. მე კი მივიღებდი, რასაც მამაო მეტყოდა. ყოველივე ამის მერე მე მაინც მიჭირდა მონასტრის შეგუება.

3 ივნისი. დღეს მამაომ მიმიღო და შემდეგი სიტყვებით შემხვდა: „როგორაა საქმე, მოიფიქრე?“ ვუთხარი, რომ ამაზე ფიქრმა შემაწუხა და საშინელი სიზარმაცე მქონდა მონასტრის მიმართ. ის კი მაძალებდა, მეუბნებოდა, რომ სხვა საცხოვრებელი ადგილი არ მაქვს და რა ხანია უკვე იქ უნდა ვყოფილიყავი. ერისკაცობაში მხოლოდ ამპარტავნება იყო ჩემი ხელმძღვანელი. უმაღლეს საზოგადოებასთან ურთიერთობა დაშვებული იყო ჩემზე მხოლოდ იმიტომ, რომ დამენახა მისი არაერულობა და სიცარიელე. რაც შეეხება მონასტრის ფორმებს და რიტუალებს, – ისინი იმითაა კარგი, რომ ჩვენ დაუმორჩილებელ ბუნებას ამოსდით ალვირი და ცარი ვთქვათ ჩვენს ნებაზე. მამაომ მაკურთხა მიმემართა ღვთისმშობლისადმი ლოცვით, რომ მას მიეთითებინა გზა, რომელიც უნდა ამერჩია.

ამიტომაც მთლიანად მიეცნდე მის წმინდა ნებას.

4 ივნისი. დღეს დილიდან მტერი ძლიერ მიტევდა. ისე აღმაშფოთა თვითონ მამაოს წინააღმდეგ, რომ ბოლოს მუხლებზე დავეცი ღვთისმშობლის ხატის წინ და ტირილით ვითხოვდი მის შეწევნას, რათა დავეცავი უხილავი მტრისგან და ეხსენებინა, რომელი გზა ამერჩია. სკიტში მარტო იმისთვის წავედი, რომ საერთოდ კურთხევა მიმეღო მამაოსგან. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მამაომ მასთან დამიბარა. ვფიქრობდი, რომ დამტუქსავდა. მან კი გულმოწყალედ გამამხნევა, მითხრა, რომ ყველაფერი მომეფიქრებინა. უსათუოდ კი არ მაგზავნიდა მონასტერში, რადგან მონასტრული ცხოვრება მხოლოდ სრულყოფილებისთვის უნდა გამომერჩია, თუკი ეს მინდოდა. მე გამოვტყდი, რომ აღვშფოთდი მის წინააღმდეგ, მან კი მითხრა: „ეს განსაცდელი მტრისგანაა“. მამაო ამბობდა, რომ ყველა თავისი გზით დადის. ერთი უბრალო სული ცუდს არაფერს ხედავს, მეორე კი, პირიქით, ყველაფერს ამჩნევს და ხედავს. დედაჩემსე თქვა: „რატომ ოცნებობს იმაზე, რაც არ არის? გადაეცი მას ჩემი ლოცვა-კურთხევა და უთხარი, რომ განსაცდელებისაგან მოთმინება იხსნის“. მე ვუთხარი მამაოს, რომ მიჭირდა ნაცნობების დატოვება. მან კი მითხრა: „მოიცა, როგორც კი მიხვალ სახლში, ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯას მოგინდომებენ და შენ თვითონ მოინდომებ იქიდან გაქცევას. როცა შეგიძლია წაიკითხე ლოცვები,როცა არა – გამოტოვე და ილოცე ისე, როგორც აღრე ლოცულობდი“. გამომშვიდობებისას მითხრა, რომ უფრო საფუძვლიანად მეფიქრა მონასტერზე და რომ ის არ მაჩქარებს, მაგრამ სრულყოფილების მისაღწევად იქ ცხოვრებაა საჭირო.

1881 წლის 2 ივნისი. დღეს მამა ამბროსი განსასვენებლად გაემზადა. მაცხოვრის სიტყვებს: „როცა მარხვენა ლოცავს! სილას გაგაწნავენ, მარცხენა მიუშვირე. ჩვეულებრივ ხომ სახეში დარტყმისას მარჯვენა ხელით მარცხენა ლოყაში გვირტყამენ და არა მარჯვენაში. უფალს უნდოდა მარჯვენა ლოყის შეურაცხყოფით, დამცირებით, წყენით მართალი საქმე წარმოედგინა, რომელშიც დამნაშავე არ ხარ. მარცხენის მიშვერა კი ნიშნავს: მაშინ, როცა უდანაშაულოდ შეურაცხგყოფენ, გახსოვდეს შენი ცოდვები ღვთის წინაშე, რომლითაც

შენ მას შეურაცხყოფ. ამრიგად მიიღე შენდამი უსამართლო მოქცევა ვალის გადახდად.“

3 ივნისი. გუშინ, მოკლე შეხვედრისას, მამაომ მკითხა ჩემი სიგამხდრის მიზეზი. მეც ავუხსენი, რომ მთელი ზამთარი მძიმედ ავადმყოფ დის/შვილთან გავატარე. მან კი მოულოდნელად თავზარი დამცა სიტყვებით: „მაშ, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!“ მე მინდოდა მეთქვა, რომ ის თავს უკეთესად გრძნობს, (ივერიის ღვთის-მშობლის ხატმა სასწაულებრივად განკურნა იგი). მან ისევ გაიმეორა: „როგორ! ცათა სასუფეველშიც არ უშვებენ?“ მისმა სიტყვებმა საშინლად შემაშფოთა და საშინელი სევდა დამაწვა გულზე. ნუთუ, ვფიქრობდი მე, ეს გოგონას აღსასრულზე წინასწარმეტყველებაა? საღამოს კი საშინელი ცნობა მივიღე მისი გარდაცვალების შესახებ.

4 ივნისი. მეორე დღეს მივედი მამაოსთან ჩემ მიერ მიღებული ცნობის სათქმელად და იმის სათხოვნელად, რომ სახლში გაევშვი. მან უარი მითხრა: „აქ დარჩი: ახლა უკვე ყველაფერი დამთავრებუ-ლია და არსად გეჩქარება, – ხომ ვეღარ გააცოცხლებ“. მაშინ მოვუყევი საშინელი ავადმყოფობიდან ეს სასწაულებრივ განკურ-ნებაზე. მან კი მისაყვედურა, რომ მასთან არ მოვიყვანე. მიბრძანა აუცილებლად მომეყვანა, რადგან მას აღსარება სჭირდებოდა. „ეჭვობა, ის კეთილმორწმუნე გოგონაა და ინსტიტუტის სიბინძურეები მძიმედ აწევს, ამიტომ განწმენდა სჭირდება“. ვკითხე, როდის ჩამომეყვანა. მიპასუხა: „თუნდაც გაისაფხულზე“.

შესანიშნავად ამბობდა, როგორ უნდა მივიღოთ ადამიანების უმადურობა: „თუ სიკეთეს აკეთებ, უნდა გააკეთო მხოლოდ ღვთისთვის. ამიტომ ხალხის უმადურობას ყურადღება არ უნდა მიაქციო. ჯილდოს ნუ ელოდები აქ, არამედ ზეცაში ღვთისგან, მაგრამ თუ აქვე ელოდები, მაშინ აკრძალვებსაც ტყუილად ითმენ“. მოიყვანა მაგალითი, რომელიც აქ ოპტინაში მოხდა არქიმანდრიტ მოსეს დროს. ვილაცამ საგანეს დიდი თანხა შემოსწირა. ის სასტუმროში იყო გაჩერებული და იქ მომსახურე ბერისგან უყურადღებობა იგრძნო. ამით შეურაცხყოფილმა მამა მოსეს შესჩივლა და დაამატა, რომ ის, როგორც შემომწირველი არ განადიდეს. მამა მოსემ მას ასე უპასუხა: „თუ თქვენ შემოწირულობა გააკეთეთ იმისათვის, რომ აქ

გაგაღმერთონ და განგაღიდონ, და არა ღვთის სადიდებლად, მაშინ ტყუილად შეგიწუხებიათ თავი. რით გადაგიხადოთ ჩვენ ღარიბმა და ცოდვილებმა? ღვთის სადიდებლად მოესველი ადამიანი არ უნდა ეძებდეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმათგან, ვისთანაც ქველმოქმედებს". ეს ამბავი ჩემთვის ჭკუის სასწავლებელი იყო.

სხვის ცოდვას და ნაკლს კარგად ვამჩნევთ და განვიკითხავთ. ამის შესახებ მამაო თქვა: „საკუთარ შინაგან ცხოვრებას უნდა მიაქციო ყურადღება ისე, რომ ვერ შეამჩნიო, რა ხდება შენს ირგვლივ. მაშინ განკითხვასაც აიცილებ". მოიყვანა მეფის მოხელის მაგალითი, რომელიც მეფის კარზე ცხოვრობდა და მთელი საერო ამაოებით იყო გარემოცული, მაგრამ ისეთ ყურადღებას ამახვილებდა შინაგან ცხოვრებაზე, რომ ირგვლივ არაფერს ამჩნევდა. „ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთ. სხვების მხილება ყოველთვის საჭირო არ არის". ამასთან მოგვითხრო ეპისკოპოსი ბერების ცხოვრებიდან: „მოვიდა მათთან ვინმე მონაზონი და ტყუილის მოყოლა დაიწყო, თითქოს მან ვინმე ეპისკოპოსს მისცა ქრთამი სუთი ათასის ოდენობით, მეორეს კი სამი ათასის. ბერები კი მიწას დასცქეროდნენ და დუმდნენ – ამით გამოაჩინეს თავიანთი თავმდაბლობა და შეარცხვინეს ცბედი. მიწიერი უსამართლობის მიმართ გულგრილობაა საჭირო. მოციქულმა ხომ თქვა, რომ ჩვენ ახალ ცას და ახალ მიწას ველოდებით, სადაც სიმართლეა დავანებული. ესე იგი, ჩვენს მიწაზე არ სუფევს სიმართლე, ამიტომ ძალიან არ უნდა განრისხდე, როცა აქ, დედამიწაზე, უსამართლობას ხედავ".

7 ივნისი. მამაო გამოვიდა და დაჯდა მინაშენში. ყველას მოგვილოცა „ყოველთა წმიდათა" დღესასწაული და დააყოლა: „ქველა მათგანი, ისევე როგორც ჩვენ, ცოდვილი ადამიანი იყო, მაგრამ მოინანიეს, ილვაწეს გაღარჩენისათვის და უკან არც მოუხედავთ, როგორც ეს ლოთის ცოლმა მოიმოქმედა". მე შევნიშნე, რომ ჩვენ ქველაში ვიხედებით უკან. მან კი თქვა: „ამიტომაც გვერეკებიან რისგით და შიგნით. ე.ი. განსაცდელებით და უსამართლობით, რომ უკან არ მოვიხედოთ". ჩემს შემდგომ ცხოვრებაზე კი თქვა: „იცხოვრე ჯერ ასე. როგორც ცხოვრობ, მხოლოდ შენი ოთახის კარი უფრო ხშირად ჩარაზე".

9 ივნისი. დღეს აღსარებისას მამაომ მითხრა: „წესად გაიხადე არაფერი უთხრა არც დედას, არც დას, რიცა მათი უსამართლობით ხარ აღშფოთებული. წადი იქიდან და რაც არ უნდა გითხრას დედამ, ხმა არ ამოიღო. აიღე სახარება და, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერს გაიგებ იმ წუთში, იკითხე. აკეთე ყველაფერი ღვთისთვის. აკეთე იმდენი, რამდენსაც შეძლებ. ბევრი არ აიღო შენს თავზე, თორემ ვერ შეძლებ. ბევრის გაკეთება გსურს, მაგრამ ძალა ცოტა გაქვს. ამიტომაც შფოთავ, თითქოს არ აფასებენ შენს შრომას და მსხვერპლს. გააკეთე ღვთისთვის რამდენიც შეგიძლია და თუ არ დაგიფასეს, არ აღელდე. გახსოვდეს, რომ შენ მათთვის კი არ გააკეთე, არამედ ღვთის სადიდებლად. ჯილდოსაც უფლისგან მიიღებ და არა ადამიანებისგან.“

10 ივნისი. მადლობა ღმერთს, დღეს ზიარებას ველირსე. ხვალ მიედივარ და გვიან საღამოს მამაომ დამიბარა გამოსამშვიდობებლად. ის საშინლად გადაღლილი იყო და მე რომ შევედი - გულაღმა იწვა. ჩემს კითხვაზე,– თუ რატომ იღლის თავს ასე,– მიპასუხა: „რა უნდა ვქნა? ჩემი ძარღვები ისეა დაჭიმული და ამასთან ერთად ცივებცხელების შეგრძნებაც მაქვს მუცლის ტკივილთან ერთად, მაგრამ ხალხის დატოვება განა შეიძლება, თვითონ ხედავ, რა ხალხმრავლობაა! ეს არაფერი, მაგრამ მე ის მაღელვებს, რომ მაინც ბუსუნებენ ჩემზე. თითქოს ხედავენ კიდეც, რა მდგომარეობაში ვარ“ „ბევრნიც ტყუილად გაუხეხებს“, – შევნიშნე მე. ისინიც კი ვინც მუდამ მასთან იმყოფებოდნენ, ნაკლებად იყვნენ შინაგანი სულიერი ცხოვრებით გამსჭვალულნი. მან მკითხა: „ვინ ისინი?“ მე დავუსახელე ორი პიროვნება. „შენ რა იცი?“ – მკითხა მან. „ეს ხომ იგრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ცოდვილები ვართ, უფრო მალე დავდებთ თავს სხვისთვის. ვიდრე ისინი“. „მათ შეიძლება დაფარული სიკეთე აქვთ, რომელიც სხვა ნაკლს გამოისყიდის და შენ ამას ვერ ხედავ. შენ ხომ ბევრის გაუგრძა შეგიძლია, მაგრამ უფალი ბრძანებს: „მოუყალება მსურს და არა შესაწირი“. მოუყალება კი შენ ცოტა გაქვს, ამიტომაც განიკითხავ ყველას უმოუყალოდ. ადამიანში მხოლოდ ნაკლს ხედავ და არა დადებით მხარეს, საკუთარ მსხვერპლს ხედავ და ამით მოუაქვს თავი“. მე ვთქვი, რომ მინდოდა

სადმე მის ახლოს მეცხოვრა. მან კი გულში ჩამწედომი სიტყვებით პირდაპირ მითხრა: „არა, უმჯობესია შორს იყო, თორემ ჩემს განკითხვასაც დაიწყებ“. გუშინ აღსარებაზე ვითხოვე შენდობა სხვების განკითხვაზე და იმაზეც, რომ მასზეც ვეჭვობ. მან ისევ მოწყალებით,სიყვარულით და მშვიდად მიპასუხა: „მაშ,მე გაპატიებ, ღმერთი იყოს შენთან!“ ამ ორმა შენიშენამ სული შემიძრა და მივხვდი, რა მომაკედინებელ გზაზე ვიდექი. მივხვდი, რომ მუდმივად სხვის განკითხვამ, მათი ნაკლის გამო, მიმიყვანა მუდმივ აფორიაქებამდე და დაკავებული ვიყავი თავით, როგორც სხვათაგან შეუცნობელი მსხვერპლით. ესე იგი ვის ვემსახურები მე? რა თქმა უნდა, არა ღმერთს. ამაზე უნდა ვიფიქრო უფრო ღრმად.

11 ივნისი. დღეს დილით უკანასკნელად გამოვემშვიდობე მამაოს. მან ადრინდელზე უფრო ძლიერ მამხილა, რისთვისაც ვმადლობ უფალს. მან მამხილა თვალთმაქცობაში. დამარიგა, ვყოფილიყავი მოწყალე და ჭეშმარიტი, რაც იმას ნიშნავს, რომ დავხმარებოდი სხვებს, ხოლო ჭეშმარიტება და სიმართლე მომეთხოვება საკუთარი თავისთვის. რომ განმესაჯა ჩემი თავი სწორად და ჭეშმარიტად, სხვები კი – მოწყალებით. „შენ ხომ თვალთმაქცი ხარ, – მითხრა მან, – ყველაზე ხედმიწევნითი თვალთმაქცობა გახასიათებს, ისევე, როგორც თავმოყვარეობა. შენ ხომ ისე მოხერხებულად იგებ ყველაფერს და მოხერხებულად აიძულებ სხვებს გითხრან ყველაფერი, შენზე კი არაფერს ეუბნები და საიდუმლოს არავის უმხელ. უბრალოებაც ნაკლებად გაქვს. თავი დაანებე სხვას და შენს თავს მიხედე. შენ მათზე პასუხისმგებელი არა ხარ, არამედ მხოლოდ საკუთარ თავზე“. მითხრა, რომ სერიოზულად უნდა მემუშავა საკუთარ თავზე. წამეკითხა მათეს სახარების 5, 6, 7 და 8 თავები. მე ვთქვი, რომ ადრე უფრო ახლოს ვიყავი უფალთან, ვიდრე ამჟამად, მან კი მიპასუხა: „იცი,როცა მ'სის სხივი შემოაღწევს ოთახში,მაშინ გამოჩნდება მტვერი და ობობას ქსელი! როცა სხივის სინათლე არ იყო, გვეგონა, სუფთა ჰაერს ვსუნთქავდით“. იმის თაობაზე, რომ მე მიჭირდა კარგი, განათლებული საზოგადოების გარეშე ცხოვრება, რასაც ბავშვობიდან ვიყავი შეჩვეული, მან მითხრა, რომ ის, ეგრეთწოდებული კარგი საზოგადოება ჩემთვის ხელმისაწვდომი

მხოლოდ იმიტომ იყო, რომ მისი ამაოება შემეცნო. „შენ კი სხვანაირად გაიგე, ამიტომაც მისტირი მას. მაგრამ მაინც, – დაამატა მან, – შენ ამ საზოგადოების გარეშე სხვების მსგავსად რომ დარჩენილიყავი, უარესი იქნებოდა. შენ ისეთი შური და დრტვინვა გექნებოდა ადამიანების მიმართ, რომ, ღმერთო დაგვიფარე!“ მაშინელდა ყოველნაირად, მაგრამ სიყვარულით იყო ყოველი მისი სიტყვა გაჯერებული. ჩანს, რომ არ ერიდება ცოდვილის მხილებას. ამბობდა, რომ უფალმა ქვეყანას მშვიდობა კი არა, მახვილი მოუტანა, რათა ადამიანში ცუდი და კარგი ერთმანეთისგან გამოეყო. ისე ჩასწვდა ამჯერად მამა ამბროსი ჩემი სულის საიდუმლო სამალავებს, რომ მე უბრალოდ გამაოცა. მიუწვდომელია ბერის წინასწარხედვა! ღმერთო, შეეწიე და დაიფარე ის.

1882 წლის 24 მაისი. საღამოს 7 საათზე ჩამოვედით ოპტინაში და მოხარული ვიყავით იმით, რომ ეიშოვეთ სუფთა ნომერი ხის სასტუმროში დედაოს გვერდით, რომელიც ძალიან კეთილი იყო ჩვენ მიმართ და შემიმსუბუქა კიდეც შრომა ჩემი მეგობრის მიმართ. მეორე დღესვე ვნახეთ მამა ამბროსი და მისი ლოცვა-კურთხევაც მივიღეთ. ის შემდეგი სიტყვებით შეგვხვდა: „აა! მოხერხებულები ჩამოვიდნენ“. მოეფერა ჩემს მეგობარს. ის გამოდიოდა მინაშენში და სანამ გამოიცვლიდა, მას დააკავებინა ყავარჯენი. შემდეგ ცალკე მიგვიღო. მამაომ მასზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რამაც ძალიან გამახარა. მას ძალიან მოეწონა ცხოვრება ოპტინაში და მალე უკან დაბრუნებაც არ სურდა.

მხოლოდ გუშინ, 7 ივნისს შეეძელი გავსაუბრებოდი მამაოს ჩემს საქმეებზე. მირჩია მიენდობილიყავი მთლიანად ღვთის ნებას და მხოლოდ მისი შემწეობის იმედი მქონოდა, რადგან საჭიროების ჟამს, გამომიგზავნიდა უფალი შემწეობას ისე, როგორც მას სურს და არა ისე, როგორც ადამიანებს გვსურს. ამიტომ მირჩია გამეყიდა მომგებიანი ბილეთი და დაამატა, რომ ეს ადამიანური იმედია და არა – ღვთაებრივი. ბინის თაობაზე ლოდინი მირჩია, თუკი იქ გაიხსნებოდა ვაკანსია, უფრო მოხერხებული იქნებოდა გადასვლა. მირჩია, თუკი პროცენტები არ მყოფნიდა კაპიტალით მეცხოვრა, ქველა უსიამოვნება. რაც ჩემს თავს ხდებოდა, იმის ბრალი იყო, რომ

ბევრს ვიღებდი ჩემს თავ'სე. მომიყვანა წმინდა წერილის სიტყვები: „უფალი ბრძანებს, გ'ულდიად გასცე იმდენი, რამდენიც შეგიძლია და ეს მიღებ'ულია, მაგრამ თუ სრულყოფილება გსურს, მაშინ ყველაფერი მიეცი, შენ კი იარე გაწვდილი ხელით და ითხოვე მოწყალება. გ'ული კი არ დაგწყდეს, რომ არაფერი გაგაჩნია და ადამიანებიც უმადურები არიან. დამდაბლდი სულით – სიმდაბლე საქმეს ცვლის. ყველა უსიამოვნება მოითმინე და მიენდე ღმერთს“. ჩემს მეგობარ'სე კი მითხრა, რომ არ მე'სრუნა მას'სე, არამედ მიმენდო ღვთისმშობლისთვის და ის წარმართავდა მის ცხოვრებას. მისი ავადმყოფობა კი ღვთისმშობლის დაუჯდომელისა და ლოცვების უგ'ულისყურო და გაფანტულ კითხვას დააბრალა. „დაარიგე და მიმართულება მიეცი მას, – მითხრა მან, – ძალიან არ იდარდო და არ ი'სრუნო, მხოლოდ გაახსენე, როცა უარესად იგრძნობს თავს, რომ უყურადღებოდ კითხულობს“. მირჩია სულიერი სიმშვიდე მეძებნა. მაქინაციები ამიკრძალა: „რისთვის გჭირდება? – ამბობდა ბერი, – რომ უფრო დაიმატო საზრუნავი და საბოლოოდ წაგერთვას სულიერი სიმშვიდე?! მიენდე ღმერთს, ის კი მოგცემს და დაგეხმარება იქ, სადაც არ ელოდები“. ჩემს შენიშვნაზე, რომ ჩემს კაპიტალს მეგობარ ქალს ვუტოვებდი, მან მითხრა: „ნუ, თუ რაიმე დარჩა, იმისი იყოს“. მე ვუთხარი, რომ ეს ქალბატონი საფოსტო ურმით ჩამოვიყვანე, მან კი მითხრა: „მერე რა? უმჯობესია დაიწყო ურმით და შემდეგ დაასრულო ეტლით, ვიდრე პირიქით, – დაიწყო ეტლით და დაასრულო ურმით“.

III თავი

მამა ამბროსის სულიერი შვილის (ქალბატონის) მოგონებიდან[175]

ეს მოთხრობა განსაკუთრებით მრავალმხრივია და ამიტომაა საინტერესო. ის ერთი მხრივ გვიჩვენებს, რომ ღვთის მიმბაძველმა, ძისმცნარულად ჭეშმარიტმა ღვთის მონამ – მამა ამბროსიმ, „შეიცვარნა თჳსნი ამა სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინი“ (იოანე XIII, 1). მას არ შეუწყვეტია მათი ხელმძღვანელობა ხსნის გზაზე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მეორე მხრივ მიგითითებს იმაზე, თუ რა შეუპოვარი უნდა იყოს ძველი ადამიანის ბრძოლა, როცა ქრისტიანი ქრისტეს უღელში შებმას იწყებს. ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში მერყეობს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის: მას სჯერა და ამავდროულად არ სჯერა, ერთ შემთხვევაში მთლიანად ენდობა ბერს, მეორეში კი აბსოლუტურ უნდობლობას ავლენს. იოხოვს მისგან რჩევას და უნდა გულწრფელად დაუჯეროს მას, მაგრამ ამავდროულად შეეპოვრად სურს თავისი ნების აღსრულება. ეტყობა უსაზღვროდ უყვარს ბერი და იმავდროულად გაურბის მას. სულიერ სიმშვიდეს რომ ვერ იპოვის. ისევ მირბის ბერთან. ასეთი მერყეობა მეტნაკლებობით ყველასთან ხდება, ვინც ბერის ხელმძღვანელობით შეუდგა სულიერ გზას. აქ მოგითხრობთ მამა ამბროსის შამორდინოს ქალთა სავანეში გადასვლას და მის უკანასკნელ დღეებს.

როგორ მოვხვდი მამაოსთან.

– „არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიეთ თქუენ“ (იოან. XV, 16). სახარების ეს სიტყვები შეიძლება გამოვიყენოთ მამა ამბროსისთან მიმართებაში. ღვთის მადლის ძალით, ის იხიდავდა არა მხოლოდ იმათ, ვინც მას განსაკვდელების და საჭიროების ჟამს მიმართავდა, არამედ იმათაც, რომლებიც არც ფიქრობდნენ, არც თვლიდნენ საჭიროდ და შესაძლებლად მასთან მისულიყვნენ. ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთნებოდი მეც, ცოდვილი.

---

[175] საავტორო ორიგინალიდანაა.

მე ადრე გავთხოვდი და ოჯახური ცხოვრების მეტი არაფერი გამეგებოდა. მონასტრებსა, მონასვენებსა და ბერებსა მოსმენილიც მქონდა და ნანახიც მყავდნენ ბავშვობაში, მაგრამ ძალიან ბნელი და უკულმართი წარმოდგენა მქონდა მათსა, რაც ჩემნაირი გაუგებარი ადამიანებისაგან ავითვისე. უფრო დაწვრილებით მათსა რაიმეს ცოდნას არ ვთვლიდი საჭიროდ და არც ვფიქრობდი.

მიუხედავად მეულლესთან შეთანხმებული ცხოვრებისა, უყვალი ხშირად მომხვლენდა განსაცდელებს, ხან შვილების გარდაცვალებით, ხან კიდევ ავადმყოფობით.

მთელი ჩემი მრავალწლიანი ცოლ-ქმრული ცხოვრების მანძილსე არასოდეს ჭკოფილარ ისე მძიმედ, უნუგეშოდ, როგორც 1884 და შემდგომ წლებში. თითქოს რომელიღაც შაებნელმა ღრუბელმა მომაკითხა ყოველი მხრიდან და მყისიერად დაარღვია ჩემი ოჯახური ცხოვრება. ტყუილის შედეგად დაკარგე ცხონებული ჩემი მეულლის მიერ წლების განმავლობაში დანაგროვები მატერიალური საშუალება. ამან მასსე ისე იმოქმედა, რომ დასნეულდა, რაც ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს საუკუნეში. მან ტვინის თანმიმდევრული დაშბლა მიიღო, ამას დაემატა გულმკერდის ხუნაგი. გამოუთქმელი წვალება გადავიტანეთ ორივემ სხვათა შორის, მისი სამსახური და მდგომარეობა, რომელსაც თავიდან აგრძელებდა, აგრეთვე ქალიშვილიც, ითხოვდნენ ჩემს თანადგომას საერო ცხოვრებაში, რაც ჩემთვის ადვილი არ იყო. დიდი განსაცდელი გახლდათ ჩვენთვის ისიც, რომ ჩვენი მშობლიური არსებანი ქალიშვილის გაბედნიერებაში არ უნდა შემდგარიყო მისი თანხმობის გარეშე. ალბათ, არსებობდა იმის მიზეზი, რომ ეს შეუძლება წლიდან წლამდე იწყლებოდა. ახალგაზრდა სასიძოს საქმიანობა საცხოვრებელ ადგილსე ყოფნას ითხოვდა და ბრწყინვალე მომავალს ჰპირდებოდა. ისიც მოწუნებასაგით მისდევდა მის მომავალს და ამით იწყლებოდა დრო მისთვისაც და ჩვენთვისაც. ყველაზე მეტად ჩემი დედობრივი, მოსიყვარულე და თავმოყვარე გული წუხდა ქალიშვილის გამო.

ყოველივე ღვთის ნება გახლდათ. რომ არა ეს, ვერ მოვხვდებოდი ძვირფასს მამაოსთან, არასოდეს მეცოდინებოდა და ვერც ვნახავდი სხვა ცხოვრებას, იმის საპირისპიროს, რომლითაც იმ დროიდან ვცხოვრობდი.

ერთხელ (1884 წელს, ორი წლით ადრე ვიდრე მამაოსთან მოვხვდებოდი) დილაადრიან დავბრუნდი დიდი სეიმიდან, (კარიელი გულით და დამძიმებული თავით. ეს მუდამ ასე ხდება მსგავსი გართობების უკან. თითქმის არ მიძღოცია, დაქანცული ჩავვარდი ლოგინში და მაშინვე გავითიშე. და აი, ეხედავ სიზმარს: მოვხვდი სადღაც უდაბურ, საუკუნოვან ტყეში. ასეთი მხოლოდ პანორამებში მჭირდა ნანახი. გაკვალულ გზაზე მარტო მივდიოდი, რომელმაც შენობამდე მიმიყვანა. უცბად წმინდა ჭიშკარი ღია დამხვდა და მეც შევედი მშვენიერ ბაღში. მივდიოდი პირდაპირ ქვიშით მოყრილ გზაზე. ორივე მხარეს ყვავილები იყო დარგული. მალე ამ გზამ პატარა ხის ეკლესიამდე მიმიყვანა. კიბით ჩავედი კარიბჭემდე, რომელიც მიგნიდან დაკეტილი აღმოჩნდა. როდესაც მე მივუახლოვდი, ვიღაცამ გაწია რკინის ურდული და გამიღო კარი. დავინახე, ჩემს წინ იდგა ვიღაც მაღალი ბერი, უქუდოდ, კაბაში და ოლარით. მან ძლიერად მომკიდა ხელი მარჯვენაზე, შემიყვანა ტაძარში, მომაბრუნა მარჯვენა კედლისაკენ, დამაყენა ღვთისმშობლის ხატის წინ; მოკლედ და მკაცრად მითხრა: „ილოცე!“ მე სიზმარშიც აღფრთოვანებული ვიყავი ბერის გარეგნობით და ვკითხე: „ვინ ხართ თქვენ, მამაო?“ მან მიპასუხა: „მე ოპტინელი ბერი ამბროსი ვარ“, – და მარტოდ დამტოვა, თვითონ კი მოპირდაპირე კარიდან გავიდა. მარტოდ დარჩენილმა ვილოცე სეციური დედოფლის ხატის წინ, სადაც ბერძა დამტოვა. შემდეგ გავიხედე მარცხნივ, სადაც სარკოფაგი და გარდამოხსნა შევნიშნე (აქ ნამდვილად ასვენია გარდამოხსნა მთელი წლის მანძილზე, გარდა დიდი პარასკევისა და შაბათისა). მიველი, ვილოცე, შემდეგ კი მთელი ტაძარი შევათვალიერე. ეს იყო საოცარი პატარა ტაძარი აღსავლის კარებზე ჩამოფარებული ვარდისფერი ფარდით, რომელიც თითქოს მთლიანად მზის სხივებით იყო მოფენილი. საოცარია, უცბად აღმოვჩნდი მის შუაში თეთრ პერანგში, გაშლილი თმებით და ფეხშიშველი. ასე ველოცულობდი და ვტიროდი, რაღაც არასოდეს სინამდვილეში. ამის შემდეგ გამომელვიძა. ბალიში მთლიანად ცრემლით იყო დასველებული. უცნაურმა სიზმარმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ჩამაფიქრა. ის ვერ მოვიფიქრე, რომ წერილობით მიმემართა

ბერისთვის. ნანახი სი'სმარი კი არ ამოდიოდა მეხსიერებიდან. ამის შემდეგ კიდევ ორი წლის განმავლობაში იტანჯებოდა ჩემი ქმარი ფი'ზიკურად, მე კი სულიერად. წავიყვანე დედაქალაქში ცნობილ ექიმებთან, რასაც თან დიდი ხარჯები ახლდა, მაგრამ შედეგი არ გამოიღო. ბოლოს გადავწყვიტეთ აღარ წავსულიყავით.

მაგრამ ჩვენს გამოსაფხი'სლებლად ღმერთმა ინება ჩვენი ბოლომდე გამოცდა. მომსახურემ ტიფის ვირუსი შემოგვიტანა და ყველა დავავადდით. პირველად ქმარი გახდა ცუდად. მისი ძლიერი ორგანი'სმი სამი კვირის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს და გაუძლო კიდეც. 21-ე დღეს სიცხემ დაიკლო, მაგრამ ფეხის ჭრილობა გაურთულდა და ჭრილობის ზედა ნაწილი გაუსივდა, რომელიც პერიოდ'ულად ძალიან სტკიოდა, განსაკუთრებით ღამით. უძილოდ ათენებდა და მთელი ღამე ტრიალებდა გვერდიდან გვერდ'ზე. ფეხიც უფრო და უფრო უსივდებოდა. ექიმები ვერ იგებდნენ რა სჭირდა და, შესაბამისად, ვერც ეხმარებოდნენ. ენითგამოუთქმელი წვალების გამო გადაწყვიტეს შეეხვიათ მთელი ფეხი, რისთვისაც ქირურგი მოიწვიეს. მან ალმოაჩინა ჭრილობაში ჩირქი. გაუჭრა და ჩირქიც გამოუშვა. ავადმყოფმა მოისვენა, მაგრამ გამოჯანმრთელება ჯერ კიდევ შორს იყო. რამდენიმე დღეში ფეხი ისევ გაუსივდა და ახლა სხვა ადგილას გაუჭრეს. შემდეგში კი რამდენჯერმე გაუჭრეს და შეხორცება გაუჭირდა. მიეიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გაჭრა უკვე არ შეიძლებოდა. ყველა ჭრილობა დაჩირქდა და ექიმმა თქვა, რომ შეუძლებელია კიდევ ახალი ჭრილობის დადება. სამი თვის განმავლობაში იწვა სურგ'ზე ავადმყოფი და ფეხი მორს დაემსგავსა. ნერვები იმდენად მგრძნობიარე გაუხდა, რომ თეორე'ტიკოსის შეხებაც კი მტკივნე'ული იყო მისთვის. ხმაურსაც ვერ იტანდა. ოთახში მხოლოდ მე შევდიოდი, ისიც წინდებით. ფეხის სიმსივნე მაღლა და მაღლა იწევდა. მე ვერ მოვითმინე და ისევ გავაგ'ზავნე ექიმის მოსაყვანად. მან დახედა ფეხს და გამოჯანმრთელების ყველა იმედი გადამიწ'ურა. აი ახლა მომივიდა ა'სრად ბერის ლოკ'ებისთვის მიმემართა. რაც დაუყოვნებლივ აღვასრულე. ამის გაკეთება ჩემთვის ადვილად მისახერხებელი იყო. გავიგე, რომ ჩემი ნათესავი ქალი, ბერის სულიერი შვილი იყო და სტუმრობდა ოპტინაში. მე

ძირფესვიანად აეუხსენი მას ავადმყოფი მეუღლის მდგომარეობა, ვთხოვე გადაეცა მამაოსთვის,რომ მის წმინდა ლოცვას ვითხოვდი. მივწერე: „ვფიქრობ, უცნაურად მოეწვენება საერო ქალბატონის მიმართვა ბერის მიმართ“. ამ შემთხვევაში კი ვთხოვე, ჩემი სიზმარი მოეთხრო მისთვის. წერილის მიწერიდან რამდენიმე დღე'ში ფეხის მდგომარეობის შეცვლისას დავინახე, რომ სიმსივნე მუცლის ქვედა არემდე იყო მისული, ისეთი ტკივილები ჰქონდა, რომ არც კი ვიცოდი რით დავხმარებოდი და რატომღაც მოვიფიქრე, შემეხვია ფეხი სა'სარდულთან. ტკივილისგან ვერც გრძნობდა ჩემი სუსტი ხელების მოქმედებას. ხელები მიკანკალებდა. მაგრად მოჭერის მეშინოდა, მაგრამ სახვევის დადება რატომღაც ჩემთვის რაღაც ნუგე'ში იყო. ერთი საათიც არ გასულა და ავადმყოფმა ხმამაღლა დამიძახა: „ნახე, რაღაც სულ დამისველდა ირგვლივ ფეხები“. ფეხის გახსნის-თანავე ვნახე, რომ სამი თვის წინ გაჭრილი ჭრილობიდან შადრე-ვანივით მოდიოდა ჩირქი, სამი დღე-ღამის განმავლობაში ჩირქის გან'უწ'ყვეტელი დენის შემდეგ ავადმყოფმა გამოჯანმრთელება დაიწყო. ნათესავთან მიმოწერით შემდეგ გაირკვა, რომ ჩირქის დენის დაწყება დაემთხვა ბერის მიერ ჩემი წერილის წაკითხვის დღეს და საათს. დადგა გა'საფხული. მეუღლის ჯანმრთელობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ უკვე ჰაერზე გამოსვლა შეეძლო.

უფალმა ამჯამად ახალი განსაცდელი და სა'სრუნავი მოგვივ-ლინა. მოულოდნელად ჩამოვიდა ქალიშვილის საქმრო. მისმა ჩამოს-ვლამ გაგვახარა და რატომღაც შეგვაშინა კიდეც. მან გამოგვიცხადა, რომ ქონების შეძენას თავს ანებებს. 'უნდა 'შეირთოს ჩვენი ქალიშ-ვილი და დასახლდეს სადმე ჩვენთან ახლოს ქალაქში. მას ჰქონდა გარკვეული საშუალება, მაგრამ ოჯახის კაცისთვის ეს არ იყო საკმარისი. ამიტომ მას 'უნდა ეძებნა სამსახური, რა'საც მე და ჩემმა მეუღლემ დავიწყეთ ძრუნვა. ის კი წავიდა თავისი საქმეების მოსაგ-ვარებლად და ორი თვის შემდეგ სამ'ედამოდ დაბრუნდა ჩვენთან.

მისი წასვლის მერე პირველად მივწერე მამა ამბროსის. საქმის ვითარება ძირფესვიანად არ აღმიწერია, რადგან მასთანაც მეშინოდა საიდუმლოს გახსნის. მე მხოლოდ ქალიშვილის და სიძის სახელები მივწერე და ვთხოვე გულიანად ელოცა მათთვის. ძალიან მალე,

ჩემდა გასაკვირად, მივიღე ასეთი მოკლე პასუხი მამაოსგან. „მათ'სე, – მ'ერდა ის, – ვილოცებ. შენც ილოცე. ეს მოუტანს სარგებელს მათ და შენც. მრავალცოდვილი ბერი ამბროსი". მალე კი გადმომცეს, რომ საერთო კურთხევა'სე გამოსულმა ბერმა ყველას გასაგონად თქვა: „მე მივიღე წერილი (დაასახელა ჩემი გვარი). თავნება ქალი! ეტყობა მის ქალიშვილს საქმრო ჰყავს, ისინი კი ამას ჩვენც გვიმალავენ". გავიდა კალენდარული ორი თვე, მაგრამ ჩემი ქალიშვილის საქმრო'სე არაფერი ისმოდა. შეწ'უხებულმა მივწერე და ვკითხე, თუ რა იყო მისი ჩამოუსვლელობის მი'ზე'ზი. გვიან მივიღე პასუხი, მაგრამ როგორი! წერილის შინაარსი კი არა, კალიგრაფიაც შეცვლილი ჰქონდა. ეს ან მოურჩალის, ან გიჟის წერილი იყო. ამან მთელი ჩვენი იმედები დაანგრია და ჩვენს გ'ულებში ღრმა ჭრილობა დატოვა. მე არ მინდოდა მის წერილ'ზე მეპას'უხა, მაგრამ ჩემებმა მაიძ'ულეს. უშინაარსო იყო ჩემი პას'უხი იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც თითქმის შვილად ვთვლიდი. ვერ ვხვდებოდი, რა ემართებოდა მას. ამჯ'ერად სულიერმა სიმტკიცემ მიღალატა. არ ვიცოდი, როგორ მოვერეოდი თავს, მით უმეტეს, რომ ჩემი ახლობლებისგან მომიწ'ევდა განსაცდელის დამალვა. მივიყურე, ფეხით წავსულიყავი ადგილობრივ წმინდანთან მისალოცად, რათა სხეულებრივი დაღლილობით მომეკლა სულიერი ტანჯ'ვა. მე შეუგ'ვეველი ვიყავი ამ სიშორე'ზე ფეხით სიარულს. ამ წმინდანის ხსენების დღეს, დილით ადრე გამოვედი სახლიდან მომსახ'ურესთან ერთად. გავიარე ხუთიოდე ვერსი. შეუგ'ვეველობისა და ნერვიულობის გამო ძალა გამომეცალა. საღამოს ამტკივდა თავი, ხელები, ფეხები და ძლივს მივაღ'წიე დანიშ'ნულების ადგილს. სხეულში დამსიცხა და წ'ამერთვა მარჯ'ვენა ხელი. როდესაც იმ მონასტერს მივაღ'წიე, სადაც წმინდანის ნაწ'ილები ესვენა, პირველივე ქვა'ზე დავეცი 'ძლ'ერების გამო. გამოვტ'ყდი, რომ ვერ გავთვალე ჩემი ძალები ამ მგ'საცრობის საჭიროების შესაბამისად. მომსახ'ურე გავაგ'საგნე სასტ'უმრო'ში ადგილის მოსაძებნად. ისიც მალე დაბრ'უნდა და თქვა, რომ ხალხის დიდი ნაკადის ჩამოსვლის გამო ერთი კუნჭ'ულიც არსად იყო. წაველით მონასტრის ახლოს მდებარე სოფელ'ში ადგილის მოსაძ'ებნად. იქ, სხვა მომლოც'ველებთან ერთად, მოიძებნა ჩემთვის ადგილი. მე ერთი ცარიელი სკამი შემხვდა. დიასახლისმაც სისუტის გამო

შემიბრალა და ბალიში მომცა. ტკივილისგან გაუხდელად დაეცარდი სკამზე, მაგრამ სტუმრების ჟრიამული მთელი ღამე არ მასვენებდა. ისე მტკიოდა მთელი სხეული, რომ მოხერხებულად დაწოლას ვერ ვახერხებდი. დილისკენ დაწყნარდა ქუჩის ხმაური და მეც ჩამეძინა. სიჩუმემა სახლში დამაბრუნა. თითქოს სასტუმრო ოთახში სავარძელში ვიჯექი. იმდენად ცხადი სიზმარი იყო, რომ ტკივილს სიზმარშიც ვგრძნობდი. უცბად თითქოს ოთახების კარები გაიღო და შემოვიდა ბერმონაზონი. მან ხელი გამომიწოდა, ამაყენა, შემდეგ დამაჯინა და მწარენელი ტონით მკითხა: „რა გტკივა?“ მახსოვს, ვუპასუხე: „ხელები და ფეხები, მამაო, ყველაზე მეტად კი თავი“, – რომელიც ჩაეწედეო ხელებში. ბერმა ხელ-ფეხზე მომკიდა ხელი, ხოლო თავზე, იქ სადაც მტკიოდა, სამჯერ დამარტყა. მაშინ ბერის უკან მდგომ ვიღაცას ეკითხე: „ვინ არის ეს?“ მან კი მიპასუხა: „ეს ხომ ოპტინელი ბერი ამბროსია“. უცბად დიასახლისის ხმამ გამაღვიძა: „უკვე ხუთი საათია და წირვაზე გვიხმობენ: თქვენ წახვალთ, ქალბატონო?“ მე ავდექი. არც თავის და არც სხეულის ტკივილს არ ვგრძნობდი – ვიყავი ჯანმრთელი, ფხიზელი, რალაც გამოცოცხლებული. პირჯვარი გადავიწერე, პირი გადავიბანე ცივი წყლით და წავედი ეკლესიაში. დავესწარი წირვას, იმ წმინდანის პარაკლისს და დაუჯდომელს. უკვე ჩაის დალევას ვაპირებდი, რათა ძალა მქონოდა უკან დასაბრუნებლად. „როგორ, – მეუბნება ჩემი მომსახურე, – ნუთუ აქამდე სამოსელის მერე წმინდანის ჭაზე არ წავალთ დასაბანად?“ მინდოდა მეთქვა, რომ იქით და აქით რვა ვერსია, ჩვენ კი სადამოს სახლში უნდა ვიყოფილიყავით, რადგან მეუღლე ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოჯანმრთელებული და იღელვებდა ჩემზე. მაგრამ ღამით ბერის მიერ ჩემი სასწაულებრივად განკურნება გამახსენდა და წავედი და დავიბანე. რადგან ამას საკმაო დრო დასჭირდა, მე დაუკოუნებლივ შევედი ისევ ეკლესიაში, ვემთხვიე წმინდანს, გამოვემშვიდობე დიასახლისს და გავემგზავრე უკან სახლში. გზა იმდენად მკერდცხლად და ჩქარა გავიარე, რომ ყველა გავაკვირვე ადრე დაბრუნებით. ახლა კი გადაწყვეტილება არ მიმიღია არავითარ წინააღმდეგობაზე და წავსულიყავი ოპტინაში, მაშა ამბროსისთან, რომელიც ასეთი სასწაულებით მომიწოდებდა მე ცოდვილს.

ჩემი ჩასვლა ბერთან. პირველი ჩემი ვი'სიტი ოპტინაში 1886 წლის ივლისის პირველ რიცხვებში შედგა. მე ნათესავ ქალბატონთან და ჩემს ქალი'შვილთან ერთად გავემგზავრე, რადგან ეს ქალბატონი იცნობდა ბერს. საკმაოდ დილაადრიან მივედით ოპტინაში. საჩქაროდ დავლიეთ ჩაი ნომერში და წავედით სკიტში. მეუღლემ იმ პირობით გამიშვა, რომ მხოლოდ ერთი დღე დავრჩებოდი სავანეში. ნერვიულობისაგან, დაღლილობისაგან და სხვადასხვა შთაბეჭდილებებისაგან თავბრუ მეხვეოდა. სკიტში მიმავალი გზა, ოპტინის ტყე, სკიტის წმინდა კარიბჭე, – ყველაფერი ვიცანი, რადგან ის მე უკვე ნანახი მქონდა პირველ სიზმარეულ ჩვენებაში. ღია კარიბჭეში კი სიზმარში ნანახი ტაძარი ვიცანი. ყოველივე ამან აღმავსო მე.

მინაშენში შესულები ხალხმრავლობას შევესწარით. სივიწროვემ, დახუთულმა ჰაერმა და იქაურმა გარემომ შეუჩვეველობის გამო ძლიერ იმოქმედა ჩემზე. მამაომ მალე გამოგვიძახა სამივე ერთად: მე, ჩემი ქალიშვილი და ნათესავი ქალი. დაღლილობისგან ვქანაობდით, როცა მამაოსთან შევედი. ბერს რომ შევხედე, მაშინვე ვიცანი, მხოლოდ სახის გამომეტყველება ამჯერად სხვანაირი ჰქონდა, ვიდრე სიზმარში. მამაომ ისე მკაცრად და გამომცდელად შემომხედა, რომ შევწუხდი და შეშინებული სლურბლზე გავჩერდი. ჩემები პირველნი მივიდნენ და თითქოს არაფერი შეუმჩნევიათ. მამაომ კი მითხრა: „დიდხანს ემზადებოდი, რატომ აყოვნებდი?“ მე ვერაფერი ვუპასუხე, მივედი, ავიღე კურთხევა და მუხლი მოვიდრიკე. ნათესავმა ქალბატონმა რალაცის თქმა დაიწყო, მაგრამ მამაომ ჩემს ქალიშვილს მიმართა და ჰკითხა: „შენ რამე გაქვს ჩემთვის საოქმელი?“ მან კი მხოლოდ ეს უპასუხა: „დედაჩემი ყველაფერს გეტყვით“. ისინი გავიდნენ, მე და ბერი მარტო დავრჩით. ჩემი ქალიშვილის მსგავსად მეც შევწუხდი, დავიბენი და ბოლოდან დაცწყე ლაპარაკი, ის კი დამავიწყდა. რომ მამაო პირველად გეხედავდა და ჩვენი გარემოება მისთვის უცნობი უნდა ყოფილიყო. მე უსიამოვნო გარემოებას დავიწყე საუბარი. ჯუამბე იმ წერილის შესახებ, რომელიც სასიძომ მოგვწერა და ჩემს დამცირებულ თავმოყვარეობას. მამაომ არ დამასრულებინა თხრობა და მითხრა: „რატომ უპასუხე?“ მე დავიმორწმე, რომ ჩემებმა დამაძალეს. „სხვაფრივ, – დაამატა მან, – შენი წერილი

არაფერს ნიშნავს“. ორივე შემთხვევაში ბერმა სიმართლე მითხრა, მიუხედავად იმისა, რომ მე ვერ მოვასწარი თქმა და არც სასიძოს პასუხი მომიყოლია მისთვის. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს მან ჭვრეტით იცოდა. „ლმერთმა მოაშორა ის შენს ოჯახს, – განაგრძობდა ბერი, – ის არაღვთისნიერია, არ არის შენი ოჯახის შესაფერისი. ის ხომ... – აქ ბერმა მისი საქმიანობა დაასახელა, – ისინი ყველა ასეთი არაღვთისნიერნი არიან. ქორწინება რომ შემდგარიყო, ის ოთხი წლის მერე მიატოვებდა მას“. მე შევევწინააღმდეგე და ვთქვი, რომ ის კარგი ადამიანია, დადის ეკლესიაში და კარგი ოჯახის შვილია. მამაომ კი თქვა: „კარგი იყო, მაგრამ ხომ შეიძლება შეცვლილიყო. ეკლესიაში დადის, – რისთვის? ის შენი სისხლი და ხორცი არ არის, – რატომ იცავ? შენ ხარ ყველაფერში დამნაშავე. რა სისულელე იყო ამდენი წლის გაწელვა!“ მამაომ აუხსნელად ესეც იცოდა. „ყველაფერი მიატოვეთ, არ მისწეროთ და არც იკითხოთ მასზე! – თქვა ბერმა მკაცრად. – დაივიწყებ, – მანუგეშა მან, – ყველაფერი გაივლის. თუ სევდა მოგეძალა, სახარება წაიკითხე. წადი! გესმის! არაფერი გაიკითხო მასზე!“

გარეთ გამოვედი. სულში ყველაფერი გადამიტრიალდა. მეგონა, რომ მან იმედები ჩამიფუშა. დაუძახეს ჩემს ქალიშვილს, მაგრამ ისიც მალე გამოვიდა ბერის ოთახიდან. მე მას შევხვდე, რომ ბერს ვერაფერი ვუთხარი. მანაც მიპასუხა: „მეც არაფერი მითქვამს“. ამას კარხევდით და არც კი შეგვიმჩნევია, როგორ გამოგვეცა ბერი. ოდნავ ჩაგვარტყა ჩვენ ჯოხი თავში და თქვა: „ამ ახირებულ ხალხს ძალით ვერ გააგდებ აქედან“. ჩვენ კი ერთხმად ვთქვით: „მამაო, ჩვენ ვერაფერი გითხარით“. – „მაშინ ორ საათზე მოდით“, – დაასრულა მან.

მახსენდება, რომ მინაშენიდან გამოსული სკიტის ახლოს სკამზე დავჯექი და მწარედ ავტირდი. იმედგაცრუებისაგან გული მისკდებოდა. ის, რაც მამაომ მითხრა, 'შეუძლებლად მიმაჩნდა. ჩემი ქალიშვილი კი მშვიდად და მხიარულად იყო, თითქოს განსაცდელმა გადაუარა. შემდგომში მან მითხრა მამაოს ნათქვამი სიტყვები: „ღმერთს არ უთხრა. შენი საქმრო დაიკარგება“. ეს სინამდვილეში მალე მოხდა – მას მხიმე ხვედრი ერგო. გარდა ამისა, შემდგომში ოცდაათი ათასი ვალი აღმოაჩნდა.

ორ საათ'ზე მოსული, მოვემ'სადე რაღაცეები მეთქვა მამაოსთვის, მაგრამ ის არ მიღებდა. იქვე ღვთისმშობლის „ღირს არსის" ხატის წ'ინ ჩამოვჯექი და გადაც'ყვიტე მომეცადა. ხალხი ისევ მოვიდა. იყვნენ მონა'სვნები და საერონი, 'სოგი ადრე იყო მოსული, 'სოგიც ახლახან. ყველას უ'შვებდნენ, მე კი ისევ ვიჯექი. მამაო არც საერთო კ'ერთხევა'ზე გამოდიოდა და არც მე მი'შვებდა. მიუხედავად დაღლილობისა, მაინც ველოდებოდი. ჩემი ქალი'შვილი და ნათესაი ქალი დაისვენებდნენ და ისევ მოდიოდნენ. მე კი ვიჯექი. მიუ'ვეველი მდგომარეობის გამო თვალთ მიბნელდებოდა. ხალხ'ში გავიგე, რომ ჩამოსულებს შეუძლიათ ბერს აღსარება უთხრან, მხოლოდ 'სიარების გარე'შე. ბერს მომსახურის პირით გადავეკი ჩემი სურვილი და მანვე გამომიტანა პასუხი: „კარგი". ისევ დავრჩი და ველოდი. დრო გადიოდა, მაგრამ არავინ მეძახდა. 'სუსტად რვა საათი ველოდი და მამაო ვერ ვნახე.

საღამოს 10 საათ'ზე დაგვიძახეს მამაოს სენაკ'ში საერთო კ'ერთხევა'ზე. ყველა იქით გაიქცა. მე ერთ-ერთი პირველი მოვედი – ხალხის ტალღამ პირდაპირ მამაოს ფეხებთან მიმიყვანა. ის დაღლილობისაგან წვეულებრივ ლოგინ'ზე იწვა. როგორც კი დამინახა, თავი დამახრევინა ტყავის ბალი'შ'ზე, რომელ'საც თვითონ იწ'ვა და მარცხენა ხელი მთლიანად მე დამადო. იდაყვით თავი ბალი'შ'ზე დამადებინა და ასე დალოცა მთელი ხალხი. მე ვიხრჩობოდი. როგორც კი თავის აწ'ევას 'შეეცდებოდი, მაშინვე 'ეფრო მაგრად დამაჭერდა იდაყვს. როცა ყველა დალოცა, თავი ამაწ'ევინა, ჯვარი გადამსახა და მითხრა: „ხვალ დილას მოდი, 12 საათ'ზე, ნასადილევს კი დაზოგე მონასტერი". მეორე დღეს, დილით, 'ცმს ქალი'შვილთან ერთად რომ შევედი, მან მკითხა: „აქ ვინმეს აღსარება სურდა?" გამოვწ'დი: – „ყველაფრით ცოდვილი ვარ", ან კი მკითხა: „ცხენები მოგიპარავს?" – „არა". – „აი ხედავ ყველაფერი არ 'შეგიცოდავს",– მითხრა მან ღიმილით. მე ვთქვი, რომ არ ვიცოდი აღსარების თქმა, მან კი 'მკნი'ძნა: „აღსარებიდან, რაც გწ'მინდანი გამოდიხარ".

გამოსვლისას ბერმა მკაცრად გაიმეორა გ'უ'შინდელი და დაამატა: „ჩვენ ერთი ისეთი სიძველე გვჭირდა, რომელიც ქალი'შვილს მთვრალ ქმარს 'უმალავდა, რათა არ გაეცინცხა. ერთმა ქალბატონმა მოიყვანა

ქალიშვილი და მისი გათხოვების კურთხევა ითხოვა. თვითონ ლამაზი იყო ახალგაზრდობაში, მაგრამ ულამაზოს გაჰყვა ცოლად. შვილისთვის ლამაზი და ტანადი საქმრო მოძებნა. ის კი ჩემთან მოსვლის მერე, მონასუნებისა და მონასტრის ნახვის შედეგად, იქ დარჩა. შენს ქალიშვილს კიდევ ეყოლება საქმრო, – აგრძელებდა ბერი ჩემთან საუბარს, – მაგრამ ამჯერად არაფერი გამოვა, მისთვის სხვა რამ არის განკუთვნილი". მამაო პირდაპირ მელაპარაკებოდა, არ მალავდა მის საოცარ ხედვას ჩემს ახლანდელ და მომავალ ცხოვრებაზე. მაშინ ყველაფერი ვერ გავიგე და ვერ გავითავისე. აშკარას ბუნდოვნად ვხედავდი, მომავალი კი შემდეგში გავიგე. ბერმა გამიშვა იმ განსრახვით, რომ წასვლის წინ ისევ დამიბრუნდა.

ბერის ნათქვამიდან დავასკვენი და გადავწყვიტე, რომ ჩემს ქალიშვილს ეყოლებოდა ორი საქმრო და მესამეს მისთხოვდებოდა. ეს ჩანაფიქრიც ვერ დაიმალა მამაოს წინასწარ ხედვისთვის შეუმჩნეველი. როდესაც ბოლოს შევედი მამაოსთან ჩემს ქალიშვილთან და ნათესავიან ერთად; მან თქვა: „მისთვის არც ის არის დადგენილი და არც ის". დათხოვნისას ნათესავს მიმოთითა და თქვა: „ეს პირველი განყოფილებაა", – შემდეგ მიმითითა ქალიშვილზე, – „ეს – მეორე, ხოლო შენ - მესამე; იცი მესამე განყოფილებაში რას აკეთებენ? უთვალთვალებენ".

წამოსვლისას დაგვლოცა პატარა ხატებით და მოგვცა მე და ჩემს ქალიშვილს წიგნი: „ღვთის ჯვრის სამეუფო გზა". მე მისი ლოცვები ვითხოვე. მან კი მითხრა: „ნუ მითხოვ, ვილოცებ". მე დავამატე: „მამაო, თუკი ყველაფერი ჩემი სურვილისამებრ მოეწყო, მაშინ ჩემს ნებას თქვენ საგაბარებთ", – თვითონაც არ ვიცოდი, რას ვამბობდი. მამაომ გაიღიმა და თქვა: „ჩვენ კიდევ მოვასწრებთ საუბარს". მე ვთხოვე, რომ არაფის სცოდნოდა ჩემი ნათქვამი. მან ისევ გაიღიმა და თქვა: „შენი საიდუმლო მთელმა ქვეყანამ იცის". ჩვენ წავედით. ბორანზე შემთხვევით შეეხედე საათს და 12-ს უჩვენებდა. მაშინ გამახსენდა გუშინდელი ბერის სიტყვები: „მონასტრიდან 12 საათზე წახვალ".

IV თავი

ბერული მესაჭეობა

(*წინა მოთხრობის გაგრძელება*)

სახლში დაბრუნებული ნანახი და მოსმენილი შთაბეჭდილებებით თავიდან სულიერად მშვიდად ვიყავი, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვმძიმდებოდი. საშინელი სევდა დამეუფლა. გამახსენდა ბერის წინასწარუწყება სევდაზე და სახარების კითხვას შეუდექი, მაგრამ მოსლვავებული ასრების გამო ვერც ვიგებდი, რას ვკითხულობდი. ვიღაცის და რაღაცის შიში დამჩემდა. ბრძოლა იგრძნობოდა სულში. წარმომიდგებოდა, რომ ბერის მორჩილების გამო ჩემი ნებით ვანგრევდი ქალიშვილის ბედს. სულიერად დავსნეულდი. დღისით დაბნეულივით დავდიოდი. ღამით საშინელი სიზმრები მეჩეოდნენ. ერთმა მათგანმა განსაკუთრებით შემაძრწუნა, იმიტომ რომ ახდა. ცოტაც მოვითმინე და მივწერე ბერს, მაგრამ არა გულღიად, არამედ ხერელედ. პასუხიც არ მიმიღია. ოქტომბერში მცირე ხნით და მარტო გამოვითხოვე მეუღლის თანხმობა ოპტინაში წასვლაზე, რაზეც ის არცთუ ისე სიამოვნებით დამთანხმდა. სავანეში ჩამოსული, მივედი ბერთან. რატომღაც მრცხვენოდა, რომ ისევ ასე მალე ჩამოვედი. სენაკში შესულმა ვთქვი: „მამაო! თქვენ მე არ გამაგდებთ?“ მან მიპასუხა: „ჩვენ აქედან არავის ვაგდებთ“. მარტო დამიტოვა. როგორც კი მასთან მარტო დავრჩი, მაშინვე სულიერი სიმშვიდე, გულმავიწყობა და სიხარმაცე დამეუფლა. ჩემი განსაცდელები ისეთ არარაობად მომეჩვენა,რომ მათზე ლაპარაკით მამაოს შეწუხება შემრცხვა. ამრიგად, მე მისთვის თითქმის მართებულად, ნორმალურად არაფერი ამიხსნია, რასაც ცოტა ხნით ადრე განვიცდიდი. ყველაფერზე ერთი და იგივე პასუხი მივიღე ბერისაგან: „შენ ის გიყვარდა (ქალიშვილის საქმრო) და განსაცდელიც იქიდანაა“.

საღამოს გამოსამშვიდობებლად შევედი მასთან. მამაო იწვა, თითქოს არავინ ჩანდა და ისიც თავისუფალი იყო. სახლში გაშვება ვითხოვე. მანაც მითხრა: „ღმერთმა დაგლოცოს, გაემგზავრე“. ვთხოვე ლოცვა ესვლებინა; მამაომ მითხრა: „ასე ილოცე: უფალო იესო ქრისტე, შეგვიწყალე ჩვენ სამიცე და აღასრულე ჩვენში შენი ნება.

გესმის? სხვანაირად არ ილოცო". მე ისევე ძალიან არ მომწონდა, მე ხომ მუდამ ვთხოვდი ღმერთს ლოცვისას იმას, რაც მე მინდოდა.

როგორც შემდგომში მამაო ამბობდა, – „რითაც მოხვედი, იმით წახვედი", – ასე დავბრუნდი სახლში. ბერისგან ვერც ნუგეში მივიღე, ვერც დარიგება. იმის გამო, რომ გულწრფელი არ ვიყავი, ორმაგად დავსცდიანდი. შიშიც გამიორკეცდა.

ასეთი ცვალებადობა და უხასიათობა შემამჩნია ერთმა ახლობელმა ქალმა, რომლის ხელშიც გაი'სარდა ჩემი შვილი და იცოდა ჩვენი ოჯახური საქმეები. მან მთხოვა, მეთქვა ჩემი სასიძოს ამბავი. „დაგეშვათ, – მეუბნება ის, – თქვენ თვლით ბერს უკვე წმინდანად, სიტყვით ხართ მასთან დაკავშირებული, მაგრამ მე რა შუაში ვარ? ბოლოს და ბოლოს, თქვენი შვილი ასეთივე ახლობელია ჩემი და მე მინდა გავიგო რა შეემთხვა მას". დიდი განსაცდელი იყო ეს ჩემთვის. დავნებდი, გონება წამერთვა და ვთქვი: „რაც გინდათ, ის გააკეთეთ". მალე სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ის მისწერდა თუ მე. ეს მანაც მშვენივრად იცოდა.

ბერის დაუმორჩილებლობის გამო სასჯელმაც არ დააყოვნა: პასუხი მივიღეთ. სასოწარკვეთილების მომგვრელი იყო წერილი, სადაც დიდი თანხის გაგზავნას ითხოვდნენ სასიძოს უსახელო, საშინელი სიკვდილისაგან გამოსახსნელად. თხოვნით მომმართავდნენ მე. ახალგაზრდა კაცის გამოუცდელი მდგომარეობით შეწუხებულმა, დავიჯერე. გამოუცდელი და მიმნდობი ვიყავი, თან არ მქონდა სხვადასხვა რჯულის ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება. მისი წერილი მთლიანად წინასწარ გავაგზავნე მამა ამბროსისთან; ვთხოვდი ლოცვა-კურთხევას, რომ დავხმარებოდი გასაჭირში მყოფს, თან ვეკითხებოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ბერმა დეპეშით მიპასუხა, რომლის მნიშვნელობაც მაშინ ვერ გავიგე. კიდევ ერთხელ რომ მეკითხა, მომეწვენა, რომ დიდხანს გაიწელებოდა, თან მეშინოდა, რაიმე არ შემთხვეოდა სასიძოს. ჩვენი უკანასკნელი გროშები ხელზე გექონდა. ვეკითხე ჩემებს: გამეგზავნა თუ არა, ისინიც დამთანხმდნენ. ფული გავაგზავნე და არ დამიწერია არაფერი; ვიფიქრე, მილებისთანავე მაცნობებდნენ. არაფერი მოუწერიათ და ვიფიქრე, რომ მომატყუეს. მე წავედი ბერთან, დაველარდი მის წინ სინანულით და

ვთქვი: „შემინდეთ, მამაო, მე თქვენ არ დაგიჯერეთ“. რა სიყვარულით და სიბრალულით მომმართა მან! „რატომ არ დამიჯერე? თუმცა, ეს შენთვის საკვირველია – უფრო გაერკვეთი ადამიანებში“.

მე მაშინ ბერის ახლოს დავრჩი რამდენიმე ხნით საცხოვრებლად, რათა ყოველივე არეულობისაგან დამესვენა. ერთხელ, მახსოვს, დილით გამომიძახეს მასთან. როგორც კი მის წინ ჩავიმუხლე, მაშინვე ადგა და შეკიდა თაყვის საწოლ ოთახში. მე როგორც ვიდექი მუხლებზე,ისე დავრჩი მის ლოგინთან და ვფიქრობდი,სად წავიდა მამაო. ბერი დიდხანს არ გამოსულა. როგორც იქნა დაბრუნდა, მოვიდა ჩემთან, ჩამარტყა თავში და თქვა: „მონაზონი გახდები, მხოლოდ არ იწყარო“. მამაოს სიტყვებმა რაღაცნაირი სისარული და ამასთან ერთად შიში მომგვარა. მე ვერ ვხვდებოდი, როგორ შეიძლება მომხდარიყო ეს. ქმარი ცოცხალი მყავდა და ქალიშვილი გასათხოვარი. „მეშინია“, – იყო ჩემი ბრიყვული პასუხი. „მუნ შეეშინა შიში, სადა არა იყო შიში“ (ფსალმ. XIII – 5) – მითხრა მან ფსალმუნის სიტყვები. მე კი ვაგრძელებდი: „მე ისედაც, მას შემდეგ რაც თქვენთან დავიწყე სიარული,მშიშარა გავხდი. მეშინია ლოცვის,ვერ შევდივარ ბნელ ოთახში – თითქოს ვიღაცა მაშინებს: საერო წიგნებს ვერ ვკითხულობ – ყველგან რელიგიის საწინააღმდეგოს ვხვდები და ჩემს თავს სიტყვა მიეცი, არაფერი წავიკითხო. ადრე კი არაფერს ვამჩნევდი და მშვიდად ვკითხულობდი“. – „ეს განსაცდელებია და მალე გაიცლის, – მითხრა მამაომ, – 90-ე ფსალმუნი წაიკითხე დღეში სამჯერ. უსენაესის შეწევნით იცხოვრე“.

ერთხელ, ჩემი თანდასწრებით, მონაზვნებმა კითხვები დაუსვეს მამაოს მონაზვნურ ცხოვრებაზე. მე ამისი არაფერი გამეგებოდა და იმდენად ბრიყვული და წვრილმანი მომეჩვენა მათი შეკითხვები, რომ ვიფიქრე – რა უსინდისობა იყო ასეთ წვრილმანებზე მამაოს შეწუხება. მარტო რომ დავრჩი ბერთან, ვუთხარი კიდეც, მან კი მიპასუხა: „არ განიკითხო – წვრილმანებისგან შედგება მსხვილმანი“. და დაამატა: „თვითონ გახდები ასეთი მეწვრილმანე და ყველაფერს შემეკითხები“. მე კი ვიფიქრე: „მე აქამდე არ დავალ“.

ამჯერად, ჩემს გამგზავრებას წელავდა მამაო და მის გვერდით დამტოვა. მითხრა: „მიგიღებ მაშინ, როცა მომიხერხდება და

თავისუფალი დრო რომ მექნება, შენ კი იყავი მინაშენში, ჩემი „ხიბარკა“ ყველაფერს გასწავლის – მოთმინებასაც და თავმდაბლობასაც“. მამაომ მართალი თქვა. ამ მინაშენში ბევრი რამ გადავიტანე, მოვითმინე და ვისწავლე.

ამჯერად გამგზავრების წინ ვუთხარი მამაოს: „მამაო! მე რაღაც მოჯადოებული ვარ თქვენს“. მამაომ ასწია ხელი და რბილად გადამისვა შუბლზე. მე კი ვაგრძელებდი: „მხოლოდ განებივრების მეშინია, სახლში მძიმე ცხოვრება მაქვს, აქ კი კარგად ვარ“. „არა, – თქვა მამაომ, – შენ ჩემთან ვერ ინებივრებ“.

ამის მერე დიდხანს არ წავსულვარ მამაოსთან. სამ თვეზე მეტი ხანი გავიდა. უცბად გარდაიცვალა დედაჩემი. მან ჯერ მეტყველება დაკარგა. მღვდელმა ზეთის ცხება და ზიარება მოასწრო. იმის ასრი მღრღნიდა, იყო თუ არა ის ამ დროს სრულ გონებაზე. მისი დაკრძალვისთანავე გავემგზავრე მამაოსთან. გამომძიძახეს მასთან. სღვრბლზეც არ გადამაბიჯებინა, ისე დამწუხრებულმა მკითხა: „რა მოგვიდა?“ მეც ვუთხარი, რომ გარდაიცვალა დედაჩემი და რომ ხვალ მეცხრე დღე იყო. ამასთანავე ავუხსენი, რაც მაწუხებდა. „ის სრულ გონებაზე იყო, – დამაჯერებლად თქვა ბერმა, – სხვაგვარად მღვდელი არ ასიარებდა მას“. და გამახსენდა ერთი დეტალი, რომელიც ნათლად ამტკიცებდა, რომ ის გარდაცვალებისას სრულ ასრსე იყო. მე კი ეს დეტალი გამომრჩა მხედველობიდან. გამიკვირდა ბერის მჭვრეტელობა და დავემშვიდდი.

რაც უფრო დიდხანს ვრჩებოდი მამაოსთან, მით უფრო მეტი განსაცდელები მოდიოდა ჩემსე. მთელი დღეები მინაშენში ვიჯექი და ირგვლივ ყველაფრის მოსმენით შევწუხდი. სხვადასხვა სულიერი და უპატიო ასრები მომდიოდა თავში. მათი თქმა ბერთან მრცხვენოდა და შეუძლებლადაც მიმაჩნდა, რის გამოც უფრო და უფრო ემძიმებოდი და ყველაფერი საცდურად მიჩნდა. ვწვალობდი და ვდუმდი. გამჭრიახი ბერი მაკვირდებოდა და ერთხელაც მითხრა: „დაანებე თავი შენს ბრიყვულ ასრებს, თორემ თავი გეტკინება“. მან ისე გამაოცა, რომ მაშინვე ვითხოვე მასთან შეხვედრა და ვკითხე: „მამაო, საიდან იცით, რომ ჩე ბრიყვული ასრები მომდის?“ მან ალერსიანად ჩაიცინა და თქვა: „ღმერთმა კიდევ მეტი იცის“. რამდენს

მაძლევდა მამაო, მაგრამ მე, უტვინო, ვერ ვიგებდი და არ ვიცოდი, როგორ მოქცეულიყავი.

ამჯერად მამაომ მამხილა საერთო კურთხევა'სე; თანაც როგორ! ის, ჩვეულებრივ, გამოვიდა მინაშენში და საკარძელში ჩაჯდა. ჩვენ არცთუ ისე ბევრი ვიყავით. მასთან ყველა'სე ახლოს მუხლებ'სე იდგა ხანდა'სმული მონა'სონი, მამაოს დიდიხნის სულიერი შვილი. ბერმა მისი თავი მუხლებში ჩაირგო, ჩაარტყა თავში და ყველას გასაგონად ეუბნება: „დედაო! შენ გაგიჭირდება წმინდანებში მოხვედრა: არაფრის გჯერა, არაფერს ხედავ, არაფერი გესმის, რაც არ უნდა გავაკეთო შენთვის". – „მამაო, – უთხრა მან, გაკვირვებულმა, წყენით, – უფალი გფარავდეთ! რას მეუბნებით? როდის არ მჯეროდა თქვენი?" მამაოს თითქოს არაფერი ესმოდა, ისე აგრძელებდა მასთან საუბრით ჩემს მხილებას. მან თქვა ყველაფერი, რაც ჩემს გულში იმალებოდა. მისჯილივით გაწითლებული ვიდექი და არ ვიცოდი საით გავქცეულიყავი. მონა'სონი ისევ ცდილობდა თავი გაემართლებინა. შემდეგში გავიგე მისი ნათქვამი: „როგორ მითხრა მამაომ! რა გადამატანინა! და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას უნდა ემხილა ვიღაცა ხალხში. მან კი ეს ყველაფერი ჩემ'სე გადატეხა". ამასთან ერთად მამაომ იქვე თქვა: „ცურადღებით იყავით, ხელი მოჰკიდეთ ჩემს კაბას, რომ თქვენც არ მოგივიდეთ ისე: ერთხელ ვიღაცა მანდილოსანმა ჩააცლო ბერს კაბაში ხელი, მან კი ის უფსკრულს მიღმა გადაიყვანა. როდესაც მან დაინახა, რომ საკუთარმა ქალიშვილმა ჩასჭიდა მას ხელი, მო'მორება სცადა, მა'მინ ორივე მოწყდნენ და ჩავარდნენ უფსკრულში". ესეც ჩემს გასაფრთხილებლად იყო ნათქვამი.

ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი ყველაფერი მეთქვა ბერისთვის, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. მივიდოდი მასთან, ხან ერთი, ხან მეორე სათქმელი მავიწყდებოდა. საეროოდ კარგი მეხსიერება მქონდა და ვერ ვხვდებოდი, რატომ მავიწყდებოდა ბერთან ყველაფრის თქმა. ერთხელაც ნაცნობ ქალბატონს შევხვდი ოპტინა'ში. მას ბევრი ლაპარაკი უყვარდა და მის რჩევას არასოდეს დაეჭვერებდი, რადგან თავს მას'სე უფრო გონიერად ვთვლიდი. მასთან ლაპარაკისას ვთქვი, რომ ბერთან საჭირო სათქმელი მუდამ მავიწყდებოდა. მისგან

კი ასეთი პასუხი მოვისმინე: „ეს ყველას ასე ემართება; უნდა ჩაიწერო რა უნდა თქვა – მტერი იპარავს“. მე მას არ დავუჯერე, მაგრამ მამაოსთან საერთო კურთხევა‘ს ყოფნისას, ბერმა დამიძახა და სერიო‘ზულად მითხრა: „იფიქრე, ვინ იყო პეტრე მოციქული. იმანაც კი მოუსმინა მამლის ყივილს, და მოინანია. მამალი კი ვინ იყო – ფრინველი.“ მე კარგად გავიგე, რისი თქმაც უნდოდა ბერს ჩემთვის, რომ პეტრე მოციქულს მამლის ყივილმა გაახსენა ქრისტეს უარყოფის ცოდვა და მოინანია; მე კი ადამიანის მოსმენა (დაჯერება) არ მინდოდა, რომელიც სიმართლეს მეუბნებოდა, მისი რჩევის მოსმენა სიამაყის გამო არ მინდოდა. ხალხი რომ გაუშვა, მაშინვე ჩამარტყა ჯოხი მამაომ თავში და მითხრა: „შენ კი, ბრიყვო, ჩაიწერე“. ამის შემდეგ დავიწყე აღსარების ჩაწერა. ბერი მასწავლიდა, როგორი სიყვარულით და მოთმინებით უნდა ჩამეწერა.

მალე ა‘სრად მომიცვდა მთელი ჩემი ცხოვრება და ცოდვები, შვიდი წლიდან მოყოლებული, ერთბაშად გადამეშალა ბერისთვის. აღსარება‘ზე მისულმა გავანდე ჩემი სულიერი მოთხოვნილება და რწმენით ვუთხარი: „თქვენ, მამაო, თვითონ დამეხმარეთ: ბევრი რამ დამავიწყდა და ყველაფრის თქმა არ შემიძლია“. დაიწყო საშინელი, აქამდე გაუგებარი და ჩემს მიერ აღუქმელი აღსარება. ყველა დავიწყებული, უთქმელი და გაუგებარი თვითონ ბერმა მითხრა. მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი სული წიგნივით გაიხსნა მის წინ. ჩემ‘ზე უკეთესად იცოდა ყველაფერი. გარემოების მიხედვით ხან მამართლებდა, ხან კიდევ მამტყუნებდა. ისეთი ცოდვაც კი მითხრა, რომელშიც მეგონა , რომ არ ვმონაწილეობდი. შევწუხდი და ვთქვი: „მამაო! ამ შემთხვევაში მე არც მიფიქრია რაიმე ბრიყვული. მე ხომ ტყუილით არ მოვსულვარ თქვენთან!“ – „არა, – მითხრა მშვიდად ბერმა – ტყუილით არა. შენ ამა‘ზე არც იფიქრო, მე ისე ვთქვი – დაივიწყე“. ამასობაში შეეხედე ბერს და დავინახე მისი ფართოდ გაღებული თვალები, რომლებიც, არაჩვეულებრივი ცეცხლით ანთებულნი, პირდაპირ ჩემს გულ‘ში იხედებოდნენ. წავედი, მაგრამ ბერის მიერ ნათქვამ ცოდვა‘ზე ფიქრი არ მასვენებდა. მეორე დღეს ისევ შევხვდი და ვუთხარი: „მამაო, თქვენ გუშინ ამაფორიაქეთ და მე არ ვიცი ჩემს ‘უკან რა ხდება“. – „მე შენ კი არ აგაფორიაქე, –

მიპასუხა ბერმა, – მაგრამ მინდოდა... – და არ დაასრულა ისე გაიმეორა: დაივიწყე". ამის შემდეგ მკაცრად ვაკონტროლებდი ჩემს აზრსა და მოქმედებას. მალე აქამდე დაბრმავებული სულის თვალი გამეხსნა და დავინახე, რომ ის ნამდვილად ცოდვა იყო, რომელიც ბერმა გამახსენა და მე ვერ ვხედავდი. ამაში გამოვტყდი მის წინაშე.

ერთხელაც, უფრო დიდი განსაცდელი შემემთხვა. საზიარებლად ვემზადებოდი. აღსარება ჩავაბარე და,ჩვეულებრივ,დავრჩი ლოცვაზე ბერთან მინაშენში. რომელიღაც დღესასწაულის წინა დღე იყო. ქალთა განყოფილებაში ბევრი ხალხი მოვიდა. გონებაგაფანტული ვისმენდი ლოცვას, ვფიქრობდი ნანახზე და მოსმენილზე. უცბად გადამიტრიალდა თავში ისე, რომ წუთიერად ყველაფერი დამავიწყდა. რას მაძლევდა ჩემი მამაო, დავიჭედი ბერის მჭვრეტელობაში, რასაც არანაირი საფუძველი არ გააჩნდა. ყოველივე წუთიერად შემოიპარა ჩემს სულში. სულიერ ცხოვრებაში უფრო გამოცდილი ადამიანი მიხვდებოდა და განდევნიდა უპატიო აზრს, მე კი შემეშინდა და დაბნეული ვიდექი. უფრო და უფრო მერეოდა აზრები. დაიწყო კანონთა კითხვა. უცბად მომსახურის გაფრთხილების გარეშე სლურბლზე გამოჩნდა ბერი თეთრ ანაფორაში, მხრებზე გადადებული მოკლე მანტიით, ისე, როგორც იდგა ლოცვაზე. გამოვიდა, არა ისე, როგორც ადრე სჩვეოდა ხოლმე, როცა ჯერ „ღირს არსის" ან „მწყალობელი" სატის წინ ილოცებდა და შემდეგ ლოცავდა ხალხს – არა. გაჩერდა სლურბლზე, აიხედა ცისმოთ და დაახლოებით ერთი წუთი ასე იდგა. მისი თვალები არაჩვეულებრივი ცქცხლითა და მრისხანებით იყო სავსე. ყველანი შეეცბით, რადგან ეს ყველამ შენიშნა. შემდეგ ჩამოვიდა და დაიწყო ყველას კურთხევა – მარჯვნივ და მარცხნივ. ჩემამდე რომ მოაღწია, მოულოდნელად ჩემს გვერდით მდგომ სკამზე ჩამოჯდა. როგორც კი მის წინ ჩავიმუხლე, მაშინვე სინანულის გრძნობა დამეუფლა და განსაცდელებიც განმშორდნენ. მამაომ კი აწია თავისი ჯოხი, დაარტყა იატაკზე და თქვა: „მე გავაგდებ აქედან ამ შავ ჭილყვაცს". – და ადგა. მაშინ მე შევეხვეწე: „მამაო! საზიარებლად ვემზადები და ერთი წუთი დამითმეთ". ბერმა დიდი ჯავარი გადამხახა და მოყვერებით მითხრა: „არა, არ შემიძლია. სვალ მოხვალ".

დილით, სიარების შემდეგ წაველი მამაოსთან და მტკიცედ მჯონდა გადაწყვეტილი მეთქვა ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგ შამოძრახებდა. ყოველივე იმის მერე, რაც მან ჩემთვის გააკეთა, მე მრცხვენოდა და არ ვიცოდი, როგორ დამეწყო საუბარი. ბერმა მაშინვე მიმიხედა. ის თავის ლოგინზე იწვა. ძალიან ნათელი და მხიარული სახე ჰქონდა. მე მივედი, ჩავიმუხლე და ვთქვი: „შემინდეთ, მამაო“. მამაომ ჯვარი გადამსახა და მალევე მხიარულად მიპასუხა: „ღმერთი შეგინდობს“. სულში სიმსუბუქე ვიგრძენი. მამაომ არც მკითხა რაში ვიდანაშაულებდი თავს, არც მაიქმევინა. მომეფერა, ძლიერად ჩამოჰკრა ხარის და ოთახში შემოსულ მომსახურეს მისცა განკარგულება, შორიდან ჩამოსული მონახულნები შემოეყვანა. მე იქვე დამტოვა, თავი თაყვზე დამადო და ისე ესაუბრებოდა მათ და ბოლოს ყველანი გაგზავნა. გახარებული გამოვედი, მხოლოდ იმას ვერ ვიგებდი, ასე ადვილად რატომ გამოეძვერი. მამაო მანამდე სულ მეკითხებოდა, რაში ვჭრიანობდი თავს დამნაშავედ. ხოგჯერ ვეტყოდი: „მამაო, რა უნდა გითხრათ? თქვენ ხომ ყველაფერი იცით“. – „მე კი ვიცი, – მიპასუხებდა ის,– მაგრამ შენ თქვი“. ახლა კი პირდაპირ მაპატია და სული სინდისიც დამშვიდდა.

გავიდა სამი დღე და ყველაფერი დამავიწყდა. მამაო გამოვიდა საერთო კურთხევაზე და მეორე ოთახში ჩაჯდა სავარძელში. მე არ ველოდი იმის დაჯდომას, ამიტომ უკან დავრჩი. ხალხის სიმრავლის გამო ახლოს ვერ მოვხვდი და ჭერქვეშ დატანებული ნალის ქვეშ ვიდექი, იქიდან ვუმზერდი; თვალებით მომინახა ხალხში და ღიმილით დაიწყო თხრობა: „მყავდა ერთი ნაცნობი მლვდელი. მოვიდა მასთან სულიერი შვილი აღსარებაზე და აღსარების მერე შესცოდა – მოიხიბლა და მოჰპარა მღვდელს ძვირფასი ქუდი. სახლში დაბრუნებულმა იფიქრა – რითომ უნდა ვეზიარებო. მოვიდა ისევ მღვდელთან და შენდობა ითხოვა. მაგრამ ის კი არ უთხრა, რაც შესცოდა. მღვდელმაც არ ჰკითხა და შეუნდო ცოდვა. მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ მიხვდა, რომ გაქურდეს და ქუდი მოჰპარეს“. ამასობაში მამაომ დაახამხამა თვალები და მომაშტერდა. მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ვითხოვე მასთან შესვლა და გულწრფელად ვაღიარე ყველაფერი. მან გაიცინა ამაზე და მეორეჯერ შემინდო ყველაფერი.

დიდი ხნის უნახავი რომ მივიდოდით მე და ჩემი ქალი'შვილი, ის ყოველთვის ასეთი სიტყვებით გვხვდებოდა: „ჩამოვიდა ახირებული ხალხი, ალ'ი არ უნდა დაამთქნარო – ცოცხლად აგიტაცებს". 'სოგჯერ კი იტყოდა: „ერთი ქანდარაა, მაგრამ არაერთი ცნობა აქვს". თუ სულიერ წყობაში რაღაც გადასხვაფერება ხდებოდა, მამაო მაშინვე შენი'შნავდა. თუ დიდხანს მოგიწევდა მისი ლოდინი და შენ ამას განიცდიდი, გეტყოდა: „მე რომ მიგიღოთ, მეტი მოკრძალებაა საჭირო". უყვარდა, რომ ღვთისმსახურების უამს ჩვენ ტაძარში ვიმყოფებოდით და ამბობდა: „მლოცველებს მალე ვიღებ, ხოლო მოთმინების მქონეს ვაფასებ".

ხელი რომ მომკიდა და მითხრა: „შენ ჩემს ხელში ვერ განებივრდები", – ამის შემდეგ მამაო მ'უდმივად თვალყურს მადევნებდა. არცერთ ჩემს 'სრახვას და სულის მოქმედებას უყურადღებოდ არ ტოვებდა. ერთხელაც დიდხანს ვსტ'უმრობდი მასთან. ადრიანად მოვედი მამაოსთან, რომელიც ნასადილევს ისვენებდა. მინა'შენში თითქმის არავინ იყო. დავჯექი პირველ ოთახში. საავარძელ'ში შორიდან ჩამოსული მოხ'უცებული იღუმენია და კიდევ ორი სხვადასხვა მონასტრებიდან ჩამოსული მონა'სვნები ისხდნენ. მათ მონა'სვნურ ცხოვრება'ზე დაიწყეს საუბარი. სხვადასხვა შემთხვევებს ჰყვებოდნენ. მე, რა თქმა უნდა, მონაწ'ილეობას საუბარ'ში არ ვიღებდი, რადგან მონა'სვნური ცხოვრების არაფერი მესმოდა, მხოლოდ მათი მონათხრობით ვიყავი მოხიბლ'ული. ამის გამო ისინი გ'ულში განვიკითხე, გადავწ'ყვიტე განვ'შორებ'ულიყავი ცოდვას და გადავს'ულვიყავი მეორე ოთახ'ში, სადაც ღვთისმ'შობლის „ღირს არსის" და „მწ'ყალობელი" ხატები იყო დაბრძანებ'ული. ამ ოთახს პირველი ჩამოსვლიდან შევეთვისე. აქ გადმოს'ულმა კიდევ ვიყიქრე: „სხვა ოთახებ'ში არ უნდა დავჯდე – მ'უდამ ისეთ საუბრებს 'შეეჩეხები, ხასიათს რომ გაგიფ'უჭებენ". უცბად კარი გაიღო და მამა ამბროსი გამოჩნდა. ჩემი თავის დახრას მან მკაცრად შეხედა და თქვა: „შენ აქ რატომ ხარ? შენი ადგილი იქაა, – და მეორე ოთახ'ზე მიმითითა, – აქ მხოლოდ ჩემი კურთხევით სხდებიან, შენთვის კი ასეთი კურთხევა არ მომიცია". შევშინდი, რადგან ყველას გასაგონად და მკაცრად იყო ნათქვამი. მეორე ოთახ'ში მომისხდა გადასველა, სადაც მანამდე

ვიჯექი. იქ კი დიდხანს მომიწია ჯდომამ. მამაო არ მიღებდა და ყურადღებას არ მაქცევდა. ი'შვიათად მლოცავდა და, მიუხედავად ჩემი თხოვნისა, მასთან შესვლას არავინ მთავა'სობდა.

არ მახსოვს, რამდენი ხანი გრძელდებოდა, მაგრამ ნამდვილად ვიცი დიდხანს ვითმენდი. ამასთან ერთად, აქ ჯდომა გაცილებით ვიწროდ და ჩახუთულობაში მიხდებოდა, ვიდრე პირველ ოთახ'ში. აქ ჯდომით ყველას მაზოლები გავუჩინე თვალებზე, მაგრამ მე მაინც დაჟინებით ვითხოვდი ბერთან შეხვედრას. ჩემი დაღლილი და შეწუხებული სახის გამო დამცინოდნენ კიდეც. ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, პირში მეუბნებოდნენ, რომ ადრე ხშირად მიღებდა ბერი, ახლა კი დამტოვა; ამას თავისებურად განმარტავდნენ. ერთმა ქალბატონმა პირდაპირ მითხრა, რომ ჩემს სახე'ზე ხედავდა, მე ბერისთვის რაღაც გაუმჟღავნებელი მძიმე ცოდვა მაწევდა გულ'ზე. მაინც ვითმენდი, თავს ვიმაგრებდი, თუმცა ხშირად ჩუმ-ჩუმად მწარედ ვტიროდი. ამას ყველაფერს უფრო ადვილად გადავიტანდი, ჩემი ა'ხრით ბერისგან მიტოვებული რომ არ ვყოფილიყავი. ის თითქოს არ მხედავდა და არ მამჩნევდა. მხოლოდ მაშინ, როცა იმ ქალბატონმა ასეთი შეურაცხყოფა მომაყენა ჩემი მძიმე ცოდვის გარაუდით, ვითხოვე ბერთან შესვლა და მანაც დამიძახა. მე მას შეურაცხყოფის შესახებ მოვახსენე, ისე, რომ მთქმელის ვინაობას ემალავდი. მამაოსგან მას რომ მოხვედროდა – არ მინდოდა: „აა, ეს ისაა... ის ბრიყვია, შენ კი ვერ მიხვდი. წადი!' ისევე ცივად გამისტუმრა ძვირფასმა ბერმა. მე მუდამ ველოდი, რომ ეს გაიელვიდა. სევდა უფრო და უფრო მეუფლებოდა, ბოლოს გადავწყვიტე, წავსულიყავი აქედან და არასოდეს დავბრუნებულიყავი. ჩემთვის ვფიქრობდი: რაც უფრო დიდხანს ცხოვრობ აქ, მით უფრო მიეჯაჭვები მამაოს, საერო ცხოვრებას ჩამორჩები. ეს ცხოვრება კი ისე მძიმეა, რომ ვერაფერი გავიგე. ეტყობა 'უგარგისი ვარ სულიერი ცხოვრებისათვის, ამიტომაც მიმატოვა მამაომ. მეორე მხრივ, იმდენად ვიყავი მამაო'სე მიჯაჭვული, რომ სასო'არკვეთილი ვფიქრობდი ისე წავსულიყავი, მამაოს არ გაეგო, სამ'ედამოდ რომ ვემშვიდობებოდი, ისე გაემაგრებულიყავი, რომ არ მეტირა.

მოვიფიქრე მომსახ'ურის პირით გადამეცა მამაოსთვის, რომ

სახლში მეახლნენ და ვითხოვდი გამოსამშვიდობებლად მასთან შესვლას. ვფიქრობდი: ერთი წუთით შევალ, უკანასკნელად ავიღებ კურთხევას და აწი ალარ დავბრუნდები-მეთქი. ასე ცხოვრება უკვე შეუძლებელი იყო. ჩემი გეგმა მომწიფდა და გადაწყვეტილება მტკიცე იყო. მაგრამ გამბრიახ ბერს არ გამოჰპარვია ჩემი გადაწყვეტილება. საერთო კურთხევაზე გამოსულმა, ისევ ჩამიარა გვერდით, ჩემს მხარესაც კი არ გამოხედა, მაგრამ უკან დაბრუნებისას მან საჩქაროდ გამომიყვანა ხალხიდან, ხელში თავისი ჯოხი დამაკაკუნებინა და მითხრა: „შენ წადი წინ“. წამიყვანა, დამაყენა „ღირს არსის“ ხატის წინ და მოფერებით მითხრა: „ცოტა ხანს დამიცადე, მჭირდები, ახლავე დაგიძახებ“.

მამაომ ერთი წუთი მომცა გონს მოსასვლელად და დამიძახა. ჯერ არც კი მქონდა ნაოქვამი ჩემი გადაწყვეტილება წასვლის შესახებ, ისე მითხრა: „სახლში მიემგზავრები? გთხოვ – წაიყვანე ერთი ობოლი გოგო. ის გასათხოვარია და მზითევიც გასამზადებელია. მან არ იცის ვის მიმართოს. აიღე ეს შენს თავზე, გეთაყვა. აი ფული. შეუკვეთე მისთვის ყველაფერი, რაც საჭიროა და მიხედე, რომ ყველაფერი შეუკერონ. ჩამოსვლის მერე კი მეტყვი, რაც გააკეთე“. მე არაფერი მითქვამს მამაოსთვის ჩემს წუხილზე, რადგან ჯერ კიდევ არ ვიყავი მასთან ბოლომდე გახსნილი, მით უმეტეს, რომ ყველაფერმა მაშინვე გამიარა. ყერაფრით ისე ვერ დამამშვიდებდა ბერი, როგორც ამ წმინდა საქმის დავალებით. ეს დავალება კი, რა თქმა უნდა, სისრულეში მოვიყვანე.

ჩემს შეწუხებას შორს მყოფი ბერი დაესწრებლადაც ახსნიდა. ეს რამდენჯერმე განვიცადე. ერთხელაც, მახსოვს, დიდ განსაცდელში ვიყავი. განსაცდელის გამო დიდ გაუგებრობაში ვიყავი და არ ვიცოდი, როგორ მოქცეულიყავი საეალალო მდგომარეობაში. ბევრჯერ მივწერე ბერს. მაგრამ ის უპასუხოდ მტოვებდა. ვიფიქრე, რომ ბერი არც კითხულობდა და ისე ყრიდა ჩემს წერილებს. „ესე იგი, არ ღირს წერილების წერა,“ – ვთქვი ჩემთვის. მე, ცოდვილს, ის დამაკლდა, როგორ არსებედა ჩემს თვალწინ ბერი ფოსტას. ზოგ წერილს პირდაპირ იატაკზე ყრიდა გაუხსნელად და ამბობდა: „ეს სასწრაფოდ საჭიროებს პასუხს“, ზოგს პირდაპირ ჩანთაში დებდა,

თან ჩაილაპარაკებდა: „ამაზე მოითმენს პასუხი“. ბერმა წერილის წაკითხვად იცოდა ყველაფერი. ახლა კი საქმეზე ვისაუბროთ. როგორც კი ბერზე გავიაწყენდი, მაშინვე მომიხდა სინანულში ჩავარდნა. ოპტინიდან ჩემი ნათესავი ქალის წერილი მივიღე. აი, რას მწერდა ის: „დიდი ხანია არ ვყოფილვარ ბერთან. სულიერად დავმძიმდი. როგორც იქნა, მოვხედი აქ. მამაომ დამიძახა. შევედი, ჩავიმუხლე და დამლოცა. საუბრის დაწყება არ მაცალა ისე გამოიტანა ბალიშის ქვემოდან გრძელი წერილი და დაიწყო კითხვა. იმდენად იყო მასში ჩაღრმავებული, რომ მე სულ დავივიწყდი. წაიკითხა თავიდან ბოლომდე და მითხრა: „მივიღე (აქ ჩემი სახელი იყო ნახსენები) წერილი, უნდა წავიკითხო რას მწერს“. მე ძალიან მჭირდებოდა მასთან საუბარი, მაგრამ იმდენად სასიამოვნო იყო ჩემთვის შენდამი მისგან გამოვლენილი ყურადღება, რომ ვერ მოვითმინე და გწერ ამ წერილს“. აი, მეც მივიღე ჩემს ურწმუნოებაზე პასუხი, რომ ბერი კითხულობდა წერილებს და მივატოვე მასზე იჭვნეულობა.

კიდევ ერთ გარემოებაში შევხვდი სიძნელეს. ჩემი აზრით უნდა გამეკეთებინა ასე, ბერი კი სხვანაირად მაკურთხებდა. გონება დაუმორჩილებლობას მკარნახობდა, და აი, ვხედავ ბერს სიზმარში. თითქოს ოპტინაში ვიმყოფები, მინაშენის მისაღებში და მუხლმოდრეკილი ვარ მის წინ. ის მლოცავს და მეუბნება: „მე შენ მოგკვეთრები და დაგტუქსავ დაუმორჩილებლობისათვის“. სიზმრის შემშინდა. მამაოსთან ჩამოსვლისთანავე მოვუყევი სიზმარი. ის კი სიცილით მეუბნება: „შენ ხომ საერთოდ არ მემორჩილები“. ვეპასუხე: „არა, დაგემორჩილები“. – „მაშ, – თქვა მამაომ, – თუ მომისმენ და დამემორჩილები, კარგად იქნება შენი საქმე“. ასე შემაკავა სიზმარში მამაომ დაუმორჩილებლობისაგან.

ერთხელ მამაოს სახელით მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა გოგო, რომელსაც თითქოს მამაოს კურთხევით საცხოვრებელი ადგილის მოძიებამდე ჩემთან უნდა ეცხოვრა. ვკითხე, ჰქონდა თუ არა წერილობით მტკიცებულება მამაოსგან. მან მითხრა: „ბერმა ერთ თქვენს ნაცნობ მონაზონს უთხრა მტკიცებულებისათვის დაეწერა თქვენი მისამართი. მაგრამ მან რატომღაც მხოლოდ სიტყვებით

ამიხსნა“. ამასთანავე გოგონამ მითხრა, რომ ბერთან მშობლების დაუკითხავად დედაქალაქიდან იყო ჩამოსული. ყოველგვარი ბარგის გარეშე ასეთი ახალგაზრდა გოგონა რომ ვნახე, ძლიერ დავეჭვდი, გამოუშვა თუ არა ის მამაომ ჩემთან (ეს ნიჰილისტების დრო იყო). ვიცოდი, რომ ბერი წინასწარ გაფრთხილების გარეშე, არავის მიგზავნიდა. ამიტომ ვთხოვე მას რამდენიმე დღე მოეცადა, სანამ ჩემთან მოვაწყობდი და ბოლომდე უარიც არ მითქვამს. თვითონ კი დროის მოგებას ვფიქრობდი, რომ წერილობით მეკითხა ბერისთვის სიმართლე. გოგონა კი მცირე ხნით ერთ მოხუცებულ ქალთან დაბინავდა. ერთი დღეც არ გასულიყო და დილააადრიან დამადგა თავს. ამბობდა, რომ ის ქალი არ აჩერებს. რომელიღაც დიდი დღესასწაული იყო და მე ეკლესიაში წასასვლელად ვემზადებოდი, ამიტომ თვითონ არ გავსულვარ და მომსახურის პირით შევუთვალე, რომ სახლში არ ვარ. ის წავიდა. ათი წუთიც არ გასულა და ნათესავი მონაზვნის წერილი მივიღე. ის მწერდა: „წინა დღეებში ვიყავი ოპტინაში. ჩემი თანდასწრებით ბერმა ერთი მანდილოსანი – გოგონა გამოუშვა. ბერმა უთხრა მას: ჩაიწერე მისამართი და მიდი ამასთან (ჩემი სახელი). ის ჭეშმარიტ გზაზე დაგაყენებს ე. ი. ადგილსაც მოგიძებნის“. ისევ სასწრაფო პასუხი მივიღე მამაოსგან ჩემი იჭვნეულობის გამო. მაშინვე ეკლესიაში წასვლის მაგივრად გავეკიდე გოგონას, რომელსაც ამ დიდ დღესასწაულზე ვაწყენინე და არ მივიღე სახლში. ის დაუყოვნებლივ გადმოვიყვანე ჩემთან. შემდგომში, როცა თვალწინ დიდი ბავშვი ვიხილე, გაუგებრობაში ვიყავი – როგორი ადგილი მოაძებნინა მას ბერმა. ამიტომ, როგორც კი დრო მოვიხელთე, წავიყვანე მამაოსთან. მაშინვე ორივე დაგვიბარეს. აქვე ბერთან იმყოფებოდა შამორდინოს ქალთა სავანის წინამძღვარი. ბერმა დაგველაპარაკა და ჰკითხა გოგონას თუ სად და რაგორ აპირებდა მოწყობას. მან უპასუხა: დამტოვებო, მამაო, თქვენს სავანეში, გთხოვთ“. – „რა უნდა გააკეთო იქ?“ – ჰკითხა ბერმა. – „რასაც მეტყვიან“, – უპასუხა მან. ბერი დედაო წინამძღვარს მოუბრუნდა და უთხრა: „რაც ეფცრო მოხერხებულია, მით უკეთესია. აი შენ დედა, – შენ კიდევ ქალიშვილი“, – უთხრა შემდეგ წინამძღვარს. მეხსიერებით ვიდექი. მისთვის მოვლენების ასეთ განვითარებას არ ველოდი და

მეშინოდა მონასტრის. ასეთი გაოგნებული რომ მნახა, წამარტყა მამაომ ლოყაზე, რადგან მე უკვე შეჩვეული ვიყავი ამ გოგონაზე, მითხრა: „რამდენიმე დღე იყოს შენთან, შენ კი ჩემთან დარჩი“. მასთან მარტოდ დარჩენილი, ბერს მხოლოდ იმას ვთხოვდი, რომ გოგონა იღუმენიას კორპუსში დაიტოვონ და თვითონაც არ ვიცოდი, რატომ მსურდა ასე. ბერმა შემისრულა თხოვნა. ამრიგად მოვუძებნე გოგონას ადგილი, მაგრამ მე მაინც არაფერ შუაში არ ვიყავი.

კეთილმამსახურებდა ბერი თავისი მოწყალებით ჩემი ცოდვების გამო, და რაც მთავარია, მათი უთქმელობისთვის მსჯიდა.

განსაცდელები არ მტოვებდნენ. ერთხელაც გონებით საშინლად შევცოდე ბერის წინააღმდეგ. საქმე ამგვარად იყო: მამაომ მარტო კი არა, სხვა ნაცნობთან ერთად დამიძახა. არ მახსოვს, რაზე იყო საუბარი. ბერმა უცნაურად შემცბარმა შემომხედა. ეს ზუსტად იმის წინ მოხდა, მე რომ მის წინააღმდეგ ვიეჭვე. ვიცი, რომ ეს უეცრად მომაფრინდა. განსაცდელისაგან შეშინებულმა გამოსვლისას ჩავიმუხლე მამაოს ფეხებთან. გონებაში ვინანიებდი და ფეხებს ვუკოცნიდი, მაგრამ თქმა ვერ შევძელი. ერთი დღეც არ გასულა. ვწვალობდი და ვერაფრით ვერ ვიშორებდი, სინდისის ქენჯნა მღრღნიდა. ვწვალობდი, მაგრამ მამაოსთან მისვლა არ მინდოდა. ამასობაში ჩემი წასვლის დროც დგებოდა. საერთო კურთხევაზე ორჯერ შემომხედა მამაომ და წყნარად მითხრა: „ბრიყვო! თქვი, რა გაქვს სათქმელი?“ თითქოს ვილაცამ პირი ამომიკერა. ვწვალობდი და ვდუმდი. წასვლისას ჩემს თავს ვეუბნები: „სახლში ჩამოვალ და მივწერ ბერს,“ – ასე უფრო მოხერხებული იქნება. ამგვარად დავიმშვიდე თავი და გავემგზავრე.

სახლში დაბრუნებულმა ყველაფერი დაწერილებით მივწერე ბერს და ვთხოვე შენდობა. ორიოდე კვირა გავიდა. ჩემი სინდისი ოდნავაც კი არ დამშვიდებულა, არამედ უფრო მაწვალებდა და მიღრღნიდა სულს. ჩქმს სანუგეშოდ მოულოდნელად მომიხდა ბერთან წასვლა. მე ნათესავებთან ერთად მოსალოცად ვემზადებოდი. რადგან ჩვენ ოპტინიდან ორმოცდაათიოდე ვერსის მანძილზე ვიმყოფებოდით, მე სხვადასხვა შეთავაზებებით დავითანხმე ნათესავები გვენახა ბერი. ჩემთვის კი ვფიქრობდი: „მამაომ ალბათ

უკვე მიიღო ჩემი წერილი, წაიკითხა და ყველაფერი იცის. მე არაფრის ახსნა არ მომიწევს. გამოვითხოვ შენდობას და მორჩა".

ერთი ნათესავი ქალი, რომელიც ჩემთან ერთად მოდიოდა არასოლეს ეკლესიაში ბერთან და არ სჯეროდა მისი. ის გზაში ეკამათებოდა ერთ ქალს, რომ არაფერს ჰკითხავდა მამა ამბროსს, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შეხედავდა მას. ოპტინაში ჩამოსულები მივედით მამაოსთან. სალამო ხანი იდგა. ბერმა სენაკში არ დაგვიძახა, არამედ საერთო კურთხევაზე თვითონ გამოვიდა. შემხედა და თქვა: „უკუეთუ დაიძინო შორის ნაწილებსა, ფრთენი ტრედისანი ვერცხლითმოსილ, და ბეჭთაშუალი მისი ფერითა ოქროსაითა" (ფსალმ. XVII, 14). შეშინებული ვიდექი მის წინ და არ მესმოდა ფსალმუნის სიტყვების მნიშვნელობა, რამაც უფრო შემაძრწუნა. მე ასე განვმარტე ისინი: ყველას კარგი ეგონივარ, მოვერცხლილი, მაგრამ შინაგანი ჩემი მე საშინელია. ამიტომ სულ სასოწარკვეთილებაში ალმოვჩნდი. ძლივს გავათენე იმ იმედით, რომ ბერთან მარტო დავრჩებოდი, მაგრამ თურმე ამაოდ. ბერთან მისულნი ვისხედით, ველოდით, მაგრამ მამაო მიღებაზე უარს ამბობდა. შაბათი დღე იყო. ბერი თვითონაც ემზადებოდა ზიარებისთვის და სხვების აღსარებაც უნდა მიეღო. აღსარებისთვის მას ელოდნენ აწ განსვენებული არქიმანდრიტი ისააკი და კიდევ რამდენიმე მღვდელ-მთანაწილი.

ჩვენი თხოვნა იყო, სათითაოდ შეესულიყავით ბერთან, მაგრამ მან თქვა: „არ შემიძლია," და ორი საათისათვის ყველანი ერთად მიგვიღო. ისიც კი, რომელიც ამბობდა მამაოს არაფერს ეკითხავო, მწარედ ტიროდა. ისიც მარტო შესვლას ითხოვდა. მაგრამ მამაომ მოუკლებლობის გამო ყველას ერთი გვითხრა საათითაოდ შესვლა-ნი. ჩვენი დარჩენა კი ოპტინაში არ შეიძლებოდა. ეკან წამოსასვლელად ცხენები უკვე დაქირავებული იყო. ამასთან, ჩვენ ყველა ქრების დაუკითხავად წავედით ოპტინაში – მათ ეს არ იცოდნენ, ამიტომ მალე უნდა წავსულიყავით. მე გადავწყვიტე ყველას თვალწინ მეკითხა წერილის თაობაზე, მიიღო და წაიკითხა თუ არა მან ის. მან კი მიპასუხა: „არა,არ წამიკითხავს". ბერმა ეს ისე მიპასუხა,რომ მე ისევე ვითხოვე, ღვთის გულისათვის, ერთი წუთით მაინც დავეჩოქებინე. მამაომ ღრმად ჩამხედა და თავიდან თითქოს ყოყმანობდა, მაგრამ

მერე ხელი ჩაიქნია და თქვა: „არა, არ მიგიღებ“. ასე, მამაოსთან საუბრის გარეშე უნდა წაესულიყავი სახლში. ამა'ზე დიდი სასჯელი ჩემთვის არ შეიძლებოდა რამე ყოფილიყო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა აქამდე ჩამოსული ცალკე არ მიმიღო ბერმა.

ღამით გავემგ'ავრეთ. ჩემს იღბლად, გ'აში ჩემებს ყველას ეძინა, თან ბნელოდა და მეც ტირილს მივაძეხი. სახლში დაბრუნებულმა ისევ მივწერე მამაოს. ერთი კვირის მერე, 7 სექტემბერს (მღვდელ-მონა'სინ მაკარის ხსენების დღეს, სკიტ'ში დაშვებული იყო ქალების შესვლა) ისევ გავემგ'ავრე მამაოსთან. ჩემი ჩასვლით ძალიან გავაკვირვე ოპტინელი ნაცნობები. ამჯერადაც ვერ ვთქვი მამაოსთან მაშინვე მთელი ჩემი სიმართლე.

ჯერ ს'იარებისთვის მომ'სადება გამოვითხოვე მისგან, შემდეგ, ჩვეულებრივ, აღსარება ვთქვი, მაგრამ ისევ ვდუმდი და სალამოსთვის გადავდე საიქმელი. მამაომაც არაფერი მითხრა. სალამოს, ს'იარების წინა დღით, მწ'ხრის ლოკვის მერე წაველი მამაოსთან უკვე იმ გადაწ'ყვეტილებით, რომ ყველაფერს ვეტყოდი. მინა'შენში მისული მამა იოსებს შევხვდი და ვთხოვე, მიეყვანე მამა ამბროსისთან. მან მაშინვე მიმიყვანა. არასოდეს დამხვედრია მამაო ისე, როგორც ამჯერად. ის ლოგინის ნაპირ'ს იჯდა. მე რომ შევედი, მან ხელი გამომიწ'ოდა და ფერებ-ფერებით, მამობრივი სიყვარ'ულით მიმიღო. მე ფეხებ'ში ჩავუვარდი, მან კი შეწ'უხებულმა მკითხა: „რა მოგივიდა?“ მეც აგ'უხსენი, რომ არ ვე'სიარებოდი, სანამ არ ვიტყოდი, რაც შემემთხვა. ჩემი სიტ'ყვების საპასუ'ხოდ მამაომ მითხრა: „ბრიყვო, რამდენჯერ გითხარი, გეთქვა რა გაქვს იქ შენ, რა გიჭირს. რატომ არ მისმენდი და დუმდი? თ'უ ყველაფერს არ მეტ'ყვი, ხომ იცი, რომ გაწ'ყალდები“. მან ამიხსნა, როგორ უნდა გავარჩიო ს'ხვადასხვა ბრძანებები და ს'ხვებისთვის მათგანს ყურადღებაც რომ არ უნდა მიექ'ცია. მის მიერ ნათქვამი ფსალმ'უნის სიტ'ყვების შ'ესახებ მკითხა, თ'უ რიგორ გავიგე, შემდეგ კი ჩემს დასამ'შვიდებლად თავისებ'ურად განმიმარტა შემდეგნაირად. ნელა მომკიდა მხრებ'ზე ხელები და თქვა: „ეს სიტ'ყვები ნ'იშნავს: როცა ჩვენ ფრიად ამოგვწ'ურდება, მა'შინ კისერი ოქროსი გვექნება, როგორც მტრედს“. ასე დამამშ'ვიდა და გამი'შვა. რა სიხარ'ულით ვე'სიარე მეორე დღეს!

ამჯერად, ოპტინიდან წასვლისას, მამაომ თავისი თეთრი კაბა მარუქა, მხოლოდ მომსახურეს უბრძანა, ყველაზე ჭუჭყიანი და გარღვეული მოეცა ჩემთვის. თვითონვე ჩამაცვა და გარღვეული სახელოების შემხედვარემ, სიცილით მითხრა: „შენ როგორმე გაკერე ისინი“. დღემდე, როგორც სიწმინდე, ინახება ის ჩემთან ისეთივე, როგორიც მისი ხელიდან მივიღე.

ჩემს სულთამხუთავ განსაცდელების რიცხვს კიდევ ერთი რამ მიემატა – გადაულახავი ძილი მერეოდა მინაშენში ყოფნის ჟამს. მოვალ მამაოსთან, ვსივარ, ჩამეძინება და მავიწყდება სათქმელი. ბუნებით მძინარა არასოდეს ვიყავი. ჩემს ქალიშვილთან ერთად მცირე ხნით ჩამოსულმა, დაღლილობის თუ განსაცდელის გამო ჩამთვლიმა მამაოსთან. ჩანაწერიც მქონდა ჯიბეში, რომელიც არ ამომიღია და არ წამიკითხავს. საერთოდ, ოპტინაში ჩამოსვლისას, პირველ დღეს მეძახდა მამაო, ბოლო დღეებში კი – არა. შვილმა ბერი ინახულა და საერთოდ გაუშვეს. საღამოს ნერვიულობა დავიწყე იმის გამო, რომ მამაოს ვერ ვნახავდი და ვითხოვე მასთან შეხვედრა. საღამოს, ათი საათისთვის, როცა ყველას უშვებდა, მამაომ დამიძახა ჩემს შვილთან ერთად. ჩავიმუხლე მის წინ. ის კი შემობრუნდა ჩემსკენ და მითხრა: „იძინეთ და განისვენეთ, ღამე მშვიდობისა“. შეუშინდი: „ჩემო მამაო! გთხოვთ, ერთი წუთით მარტო დამტოვოთ თქვენთან – მე თქვენოვის არაფერი მითქვამს“. დამტოვა. მის სენაკში ენთო კანდელი და პატარა მაგიდაზე – პატარა სანთელი. ჩანაწერს დროისა და სინათლის სიმცირის გამო ვერ ვკითხულობდი. საჩქაროდ ვთქვი, რაც გავიხსენე. შემდეგ კი დავამატე: „მამაო! მეტი რა გითხრათ? რა მოვინანიო? დამავიწყდა“. ბერმა მისაყვედურა. მაგრამ უცბად ადგა ლოგინიდან,რომელსაც იწვა. ორი ნაბიჯი გადადგა და შუა სენაკში აღმოჩნდა. ‘ენებლიეთ მუხლმოდრეკილი შემოვტრიალდი მასთან ერთად. ბერი მთელი თავისი სიმაღლით გაიმართა წელში, აღმართა ზემოთ თავი და ხელები,როგორც ლოცვისას. მომეჩვენა, თითქოს ამ დროს იატაკიდან აიწია. შევცქეროდი მის განათებულ სახეს. მახსოვს, თითქოს სენაკში ჭერი გაქრა, გაირღვა, ხოლო მამაოს თავი წავიდა ზემოთ. ყოველივე ეს ნათლად წარმომიდგა. ერთი წუთის მერე დაიხარა ჩემს თავთან, ჯვარი გადამსახა და მითხრა:

„გახსოვდეს, სადამდე შეუძლია სინანულს ადამიანის მიყვანა. წადი!“ ბარბაცით გამოვედი იქიდან და მთელი ღამე ჩემს უგუნურებას და უხერხულობას დავტიროდი. დილით ადრე მოგეგვარეს საფოსტო ცხენები და ჩვენ წავედით. ბერის სიცოცხლეში ვერ გავბედე ამის თქმა. მან მე ერთხელ და სამუდამოდ ამიკრძალა მსგავს შემთხვევებზე ლაპარაკი და მუქარით მითხრა: „თორემ დაკარგავ მადლსაც და ჩემს თანადგომასაც“. ახლა კი, როცა ბერი გარდაიცვალა, მისი სახელის განსადიდებლად ვწერ.[176]

ერთხელაც, მახსოვს, მამაომ თავის სენაკში დაგვიძახა ყველას საერთო კურთხევაზე. ბევრი ხალხი იყო. ეს მოხდა სადილის წინ. მამაო პირდაპირ ლოგინზე იჯდა და ფეხები ჰქონდა ჩამოშვებული. მე მის გვერდით, ლოგინის ზურგის უკან მოვხვდი, ასე რომ, მის სახეს გვერდიდან ვხედავდი. მამაო ესაუბრებოდა ვიღაცას ხალხში და ვიღაცას პირდაპირ უყურებდა. უცბად ვნახე, რომ მისი თვალებიდან ვიღაცაზე მიმართული ორი სხივის მსგავსი რამ გამოვიდა. ადგილზე გავიყინე. ასე იყო, სანამ მას უყურებდა. მაშინ მისთვისაც ვერ გავბედე ნანახის თქმა – ვიყუჩე. დიახ! მან მშვენივრად იცოდა, ვის რას აძლევდა.

[176] ეს ჩანაწერები გაკეთებულია ბერის სიკვდილიდან ექვსი წლის შემდეგ.

V თავი
ბერის მესაჭეობა: სასწაულები და გამონათქვამები (წინა თხრობის გაგრძელება)

კურნების დიდი ნიჭი ჰქონდა მამაოს. ბავშვობიდან თავის საშინელი ტკივილები მაწუხებდა, რომელიც უკიდურეს უძლურებამდე მიმიყვანდა ხოლმე. ისინი სხვადასხვა მტკივნეული გამოვლინებებით იწყებოდა, შემდეგ რომელიმე წარბთან გაჩერდებოდა და ზოგჯერ სამი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. ერთხელაც, ბერთან ყოფნისას, ძალიან შემაწუხა ტკივილმა. საერთო კურთხევისას ჩუმად ჩავჩურჩულე მამაოს, რომ ძალიან მტკიოდა წარბი. მან მკვირცხლად ჩამარტყა იმ ადგილას და ტკივილი თვალის დახამხამებაში გაქრა.

ერთ გაზაფხულს ყბაყურით ავადმყოფები მომრავლდა. დიდ მარხვაში ჩამოვედი ბერთან მოსამზადებლად. ჩემთან ერთად პერემიშლელი ქალბატონი ჩამობრძანდა და ისიც დააავადდა ყბა-ყურით. მიუხედავად ამისა, ის მაინც დადიოდა ბერთან. არ ვიცი მან გადამდო თუ ჩემით, მაგრამ მეც მეწია ავადმყოფობა. სახის ქვედა ნაწილი და ყელი გამისივდა, რადგან სენს თან ახლდა სიცხე, ტკივილი და შესივება. მივედი ბერთან და გასივებული ნიკაპი ვაჩვენე. მან თავი მუხლებზე დამადებინა. მარჯვენა ხელით ხალხს ღოცავდა,ხოლო მარცხენათი კი მაგრად უჭერდა გასივებულ ადგილს. ჩამუხლული რომ ავდექი, ავადმყოფობა თითქოს არც ყოფილა. არ მტკიოდა და არც გასივებული მქონდა.

კიდევ ერთი სასწაული გადამხდა. ხალხმრავლობისას ხელი მკრეს გულ-მკერდის იმ არეში, რომელიც ადრეც მტკიოდა. ამ ადგილს, ქიმების რჩევით, განსაკუთრებით უნდა გაეფრთხილებოდი, რადგან კიბოს გაჩენას ძლივს დავაღწიე თავი. ტრავმამ კი ძლიერ მატკინა და შესივება და ტკივილი დამიწყო. მივედი ბერთან და ისე, რომ არც მიჩვენებია მტკივნეული ადგილი, უბრალოდ ვუთხარი, რაც შემემთხვა. მამაო თვითონ მიხვდა, საით და რა მტკიოდა. ჯვარი გადასახა ჩემს მტკივნეულ ადგილს და თქვა: „ხელები რატომ წინ არ გაქონდა?“

ეს სიმართლე გახლდათ. იმ მომენტში თავსაფარი გადავიწიე უკან და იმ დროს მატკინეს. მალე ტკივილიც გაქრა. მახსოვს ბერის შესანიშნავი წინასწარხედვა. იმ დღეს სახლში მოვემზადებოდი და რადგან ბერი სუსტად მომეჩვენა, ვწუხდი. კარებთან რომ მივიდა, უკნიდან ჩემად ჯვარი გადაესახე. უცბად ჩემკენ შემოტრიალდა და დაკვირვებით შემომხედა. მე კი უკვე ხელი ძირს დაშვებული მქონდა, თითქოს არაფერი გამიკეთებია.

შემდგომ ჩამოსვლასაც ძალიან ბევრი ხალხი იყო და მეც ბერის სისუსტის მეშინოდა, ამიტომ გულში ასე ვლოცულობდი: „უფალო იესო ქრისტე, შეეწიე ჩემს ბერს, მღვდელ-მონასონ ამბროსის და მისი წმინდა ლოცვებით შემიწყალე მეცოდვილი“. არ ვიცი,რამდენი ხნის განმავლობაში ვლოცულობდი. ერთხელაც გვიან საღამოს მივედი ბერთან. ხალხი თითქმის აღარ იყო. მამაო გამოვიდა მინაშენში და საეარძელში ჩაჯდა. მე მის გვერდით ვიდექი და გულში ჩემს ლოცვას ვიმეორებდი. მან მომიშვირა ფეხები და მითხრა: „გამომიცვალე ფეხსაცმელი“. როცა დავიხარე და წინდების ჩაცმა დავუწყე, მან ჩემი ასრების საპასუხოდ ყურში ჩამჩურჩულა: „რამეთუ ერთ არს ღმერთი და ერთ არს შუამდგომელ ღმრთისა და კაცთა, კაცი იესუ ქრისტე“ (1 ტიმ. II, 5).

მახსენდება მრავალი მსგავსი შემთხვევა, რომლებიც მე არ მეხებოდა და ბერის მჭერეტელობას ამტკიცებდა. ჩაწერ ყველაზე გამორჩეულებს.

ჯოხის დარტყმით ჩემს თვალწინ მან განკურნა ახალგაზრდა კაშირელი მონასონი, რომელიც ფეხებისა და მთელი სხეულის კრუნჩხვებით იყო დაავადებული.

ერთ ჩამოსულ ქალბატონს ჩემს თვალწინ ხალხმა ხელი ჰკრა. მან თაეი ვერ შეიკავა, დაეცა, დაეჯახა კარადას და ძლიერ დაშავდა. ის ბერთან მიიყვანეს. მან სწრაფად დაუწყო სერგზე ჯოხით ცემა. ის ქალბატონი 'შემდეგში ჰყვებოდა, რომ მას ეწყინა კიდეც მაშინ ბერის მოქმედება. იქიდან გამოსული არანაირ ტკივილს არ გრძნობდა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ბერმა ის განკურნა.

ბერთან შორეული მხრიდან ჩამოვიდა ვილაც ბატონი, ორ ახალგაზრდა გოგონასთან ერთად. უფროსი 20 წლის იყო, უმცროსი

კი – 17-ის. ორივე ძალიან ლამაზი იყო. ბერმა რამდენჯერმე მიიღო ისინი, მაგრამ ყურადღებას მარტო უფროსს აქცევდა და რჩევებსაც მხოლოდ მას ახლევდა,უმცროსს კი მხოლოდ ლოცავდა. დამშვიდობებისას ბერმა მამას და უფროს ქალიშვილს ხატები ანუქა, უმცროსს კი არაფერი მისცა. მამის კითხვაზე ბერმა უპასუხა: „მას არაფერი სჭირდება“. უმცროსმა ვერ მოითმინა და უთხრა მას: „მამაო! ჩემი და დაასაჩუქრეთ და სამახსოვრო მიეცით, მე კი არაფერი მომეცით?“ – „შენ არაფერი გჭირდება, – უთხრა ბერმა, – ეს ხომ არ მოგცე?“ და მამაომ მაგიდაზე რაღაც გრძელი, ვიწრო და ცარიელი პატარა ყუთი (კუბოს მსგავსი) მოძებნა და მისცა მას. ამ ცარიელი ყუთით გაემგზავრა ის. ოპტინიდან კალუგაში ჩასვლამდე ის გაცივდა და შეუძლოდ გახდა, ხოლო სამ დღეში კალუგის სასტუმროში გარდაიცვალა.

ერთხელაც ოპტინაში სასიარებლად ვემზადებოდი. ხალხი ბლომად იყო ჩამოსული. ჩემი თანდასწრებით ჩამოვიდა კურსკიდან ორი ქალბატონი. ერთი მემამულე გახლდათ, მეორე კი – ქალაქელი. ეს უკანასკნელი, ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე დაქვრივდა. დარჩა ექვსი შვილით და უზარმაზარი საქმით ხელში, რომლის თაობაზეც რჩევისთვის იყო მამაოსთან ჩამოსული. მემამულეს რატომღაც ოპტინაში დარჩენა უბრძანა, ხოლო ის ქვრივი რამდენიმეჯერ პირდაპირ შეხვედრის შემდეგ გაუშვა სახლში და უთხრა, რომ წასულიყო ტიხონოვის მონასტერში და ღირსი ტიხონის წმინდა საფლავი მოელოცა. მემამულეც ითხოვდა სახლში და შემდეგ წმინდა ტიხონთან წასვლას, მაგრამ მამაო არ უშვებდა. მე ძალიან მტკიოდა კბილი და ვიწექი მამაოსთან მინამენში სავარძელზე, ამიტომაც გავხდი მათი საუბრის მოწმე. ახალგაზრდა ქვრივი გაემგზავრა, ხოლო მემამულე დარჩა. ის ძალიან უკმაყოფილო იყო ბერით, რომ აქ დაიტოვა. გავიდა ორი დღე და მე შევამჩნიე, როგორც კი მამაო ჩვენს დასალოცად გამოვიდოდა, ის კანკალს იწყებდა და შიგნიდან რაღაც გაუგებარი ხმები გამოსდიოდა. მამაო უკან შევიდოდა და ისიც დამშვიდდებოდა. ის თვითონ არ ითხოვდა მამაოსთან შეხვედრას. როცა მამაო მომსახურის პირით დაიბარებდა, ისიც მოდიოდა. ერთხელაც გამოვიდა მამაოს ოთახიდან და ხელში

წმინდა პანტელეიმონის წმინდა ნაწილებიდან ჩამოტანილი სეთით სავსე პატარა ბოთლი ეჭირა, მამაოს სენაკიდან გამოტანილი. ეტყობა, მამაომ თვითონ მისცა მას, მაგრამ მან ხელად მე შემომაძლია, თან ჯიუტად, რომ მე თითქოს ავად ვიყავი და მას კი ეს არ სჭირდებოდა. ბოლოს ვერ მოითმინა. ორი დღის მერე ბერის კურთხევის გარეშე იქირავა ცხენები და ვიღაც ორ თანამგზავრთან ერთად ტიხონოვის მონასტერში წასასვლელად გაემზადა. იქიდან კი სახლში წავიდოდა. ეტლში ჩასხდომისას იკამათა ვიღაც თანამგზავრთან და ისეთი შეურცხვენელი ალმოჩნდა, რომ იმ ბატონმა კამათის გაგრძელება არ მოინდომა და გადაჯდა წინ. მას გაუმაროლა. როგორც კი ბორნით გადალახეს მდინარე ჟიზრდა, ყველასთვის მოულოდნელად უზარმაზარი ჯაჭვი რომლითაც ბორნის მორი იყო დამაგრებული, მოწყდა და ამ ქალბატონს მოხვდა თავში ისე მაგრად, რომ სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყლის გარეშე მოიყვანეს უკან სასტუმროში. თავი გატეხილი ჰქონდა. ცოცხალი დარჩა, მაგრამ – მეხსიერებადაკარგული. მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. მამაოსთან გაიქცნენ მომხდარის მოსახსენებლად. მან თავისი კაბა გამოიტანა, რათა ის დაეფარებინათ დაშავებულისთვის. ის მალე გონს მოვიდა. მამაომ აგვიხსნა მორის მოწყვეტის მიზეზი, რასაც ჩვენ ვერ ვიგებდით. მან თქვა: „ბევრი (ე.ი. ეშმაკი) დაჯდა მასზე“. ჩვენ, ვინც მონასტერში ვიყავით, ბერებთან ერთად მივდიოდით გაწყვეტილი მსხვილი ჯაჭვის სანახავად. ამრიგად ის ქალბატონი, რომელსაც თავისი ნებით არ უნდოდა დამორჩილებოდა ბერს – უნებლიეთ დარჩა მის გვერდით საცხოვრებლად. მე ამ დროს წავედი მონასტრიდან და არ ვიცი რამდენ ხანს დარჩა ის აქ საცხოვრებლად. რამდენიმე თვის შემდეგ გამოველაპარაკე ერთ კურსკელ არქიმანდრიტს, რომლის მამაც სემოხსენებული ქალბატონის მამულში მსახურობდა მღვდლად. მან მითხრა, რომ ის მემამულე თავის დროზე საშინელი მებატონე იყო და მრავალი მძიმე ცოდვა აწვა მათს ოჯახს, რის გამოც ის ეშმაკეულს დაემსგავსა. შვილებმა დატოვეს და აი, ისიც წავიდა მამა ამბროსის რჩევის მისაღებად.

მახსოვს მამაოსთან ორი და ჩამოვიდა, ერთი გათხოვილი და მეორე ახალგაზრდა გოგონა. ბერი საერთო კურთხევაზე გამოვიდა.

გათხოვილი ეკითხებოდა მას, აკურთხებდა თუ არა უმცროსი დის გათხოვებას მეზობელ გუბერნიაში, რომელიც ასორმოცდაათი ვერსით იყო დაშორებული: საქმრო ძალიან კარგი ადამიანიაო. მამაომ შეხედა გასათხოვარს და ჰკითხა: „შენ თავი გტკივა?“ მან უპასუხა: „დიახ“. – „მარცხენა გვერდი გტკივა?“ – „ძალიან მტკივა,“ – უპასუხა გოგონამ. მაშინ გათხოვილ დას მიმართა: „როგორ უნდა გაათხოვო? ერთი წყლი მოიცადოს“. მამაო რომ წავიდა, მათი საუბარი მომესმა. უფროსი და ეუბნებოდა: „შენ რა, გვერდი გტკივა? ჩემთვის არასოდეს გითქვამს ამის შესახებ“. მან კი წყნარად უპასუხა: „გიმალავდი“.

ერთხელ, გაზაფხულის წყალუხვობისას ვიყავი ბერთან. ჩემი თანდასწრებით ჩამოვიდა მასთან ვილაც ხე-ტყის მწარმოებლის ქვრივი, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ აგრძელებდა მეუღლის საქმიანობას. წყალდიდობამ ათასი მანეთის ხე-ტყის მასალა წაიღო. ისიც მოვიდა ბერთან იმის საკითხავად, რა უნდა ექნა. მამაომ საერთო კურთხევაზე ჩემი თანდასწრებით დამაჯერებლად უთხრა: „ამა და ამ ადგილას გაემგზავრე და იქ იქნება შენი ხე-ტყე. 500 მანეთის მასალას დაიბრუნებ, ხოლო ნახევარი დაიკარგა“. მან ჩაიმუხლა მამაოს ფეხებთან და წავიდა.

ოპტინის სკიტიდან 15 ვერსის მოშორებით ცხოვრობდა ტყის მცველი თავისი ცოლ-შვილით. ერთხელ, საფხულში, წირვის მერე შემოიჭრა მინაშენში ტყის მცველის მეუღლე ყვირილით და თვალცრემლიანი. მას უმცროსი ვაჟი დაჰკარგვოდა. თურმე ცოლი რალაც საქმეზე ცხენით წასულა ქალაქში, ხოლო ტყის მცველი – ტყეში. ბავშვები მარტო დარჩნენ. უფროსი გოგონა ხუთი წლის, ხოლო უმცროსი ბიჭი ერთი წლის იყო. ის დადიოდა, მაგრამ ჯერ ვერ ლაპარაკობდა. ის გაეკიდა დედას ყვირილით, მაგრამ მას იმედი ჰქონდა რომ უფროსი გოგონა გააჩერებდა და უკანმოუხედავად წავიდა. დიდხანს ესმოდა ბავშვის ტირილი. ქალაქიდან და ტყიდან დაბრუნებული ცოლ-ქმარს ვაჟი შინ არ დახვდათ. სახლში მხოლოდ გოგონა იყო. მთელი ღამე და მთელი დილა ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ. როცა ძალა გამოეცალათ და გადაწყვიტეს, რომ ბავშვი მგლების ლუკმა გახდა,მოვიდნენ ბერთან. დედა საცოდავი

შესახედაი იყო. ბერმა მაშინვე მიიღო ისინი და დაუყოვნებლივ ყანანის ღვთისმშობლის ხატთან პარაკლისის გადასახდელად გააგზავნა ისინი, შემდეგ კი ისევ ბავშვის საძებნელად უნდა წასულიყვნენ. პარაკლისი გადაიხადეს და ძებნაც შედეგიანი აღმოჩნდა. საყარაულო სახლიდან ოთხ ვერსში ნახეს უვნებლად თაეისი შვილი. ის ბუჩქის ძირას იჯდა. მიუხედაეად იმისა, რომ დღე-ღამეზე მეტი დრო უკვე გასული იყო, მას არც შიმშილი და არც ნამტირალევი ეტყობოდა. მას თითქოს ეძინა. ყველაფერი ეს ჩემს თვალწინ მოხდა. ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით მოეისმინე.

ერთმა შემთხვევამ საშინლად შემაწუხა. საფხულის თბილი დღეების ჟამს, როცა ხალხის დიდი ნაკადი მოდიოდა, ბერს ჩვეულებად ჰქონდა გარეთ გამოსვლა და იქ ლოცავდა მათ. ამისთვის მინაშენიდან ჭამდე სღუდე იყო გაკეთებული (ეს ჭა ბერის კურთხევით გათხარეს, რათა სტუმრებს წყურვილი მოეკლათ). სღუდის ერთ მხარეს გაიკლიდა ბერი თაეისი მომსახურეებით ერთ, ხოლო მეორე მხარეს კი ხალხი იდგა. ბერი ლოცავდა რიგში დამდგარ ხალხს და, ამავდროულად, პასუხობდა მათ შეკითხვებს. ჭიდან არცთუ ისე შორს იდგა მამაკაცი ხუთიოდე წლის ბიჭთან ერთად. ბერი რომ მიუახლოვდა, ამ მამაკაცმა ბიჭი ხელში აიყვანა, რათა ორიეეს მიეღოთ კურთხევა. ამ დროს ბავშვმა სულის შემძვრელი ყვირილი მორთო. ის საშინლად, ჩემთვის დღემდე ჯერ არნახულად, იკრუნჩხებოდა მამის ხელში. მისი სხეული რკალიეით მოიღუნა. მიუხედაეად იმისა, რომ მამა ძლიერი, სორბა კაცი იყო, ბიჭი ეერ მოიყეანა ბერთან. მამაო გაჩერდა, მკაცრად შეხედა მამას და ჰკითხა: „სხეისი მოგიპარავს?“ – „დიახ, შეცოდე, მამაო,“ – იყო პასუხი. – „აი შენ სასჯელი,“ – თქვა ბერმა. ამ სიტყვებით მოშორდა მამაო მას. ჟებედური კაცი კი შეილითურთ კურთხევის გარეშე დარჩა.

მამაო გელმოწყალე გახლდათ მომნანიებელი ცოდვილების მიმართ.

ერთხელ მასთან მოეიდა ეილაც ქალი, რომელსაც სიყრმის ცოდეა აწუხებდა. მას ძალიან ეშინოდა გამოესნილიყო წმინდა ბერის თვალწინ. რამის თქმასე ფიქრიც კი სელმძღვი იყო, მხოლოდ მისი

ნახვა და კურთხევის აღება სურდა. მას სენაკში დაუძახეს. მამაომ მოფერებით შეხედა მას და ასეთი სიტყვებით შეხვდა: „სიდორი და კარპი კოლომნაში ცხოვრობდნენ, ცოდვა და უბედურება ვის არ შეჰყრია“. მან მწარე ცრემლებით იტირა, ჩაუვარდა ბერს ფეხებში და აღიარა თავისი ცოდვა.

სრულიად საპირისპირო შემთხვევა მოხდა მეორე ქალბატონთან, რომელიც იგივე ცოდვით ჩემთან ერთად ჩამოვიდა ბერთან. ის სინანულით კი არ ჩამოვიდა, არამედ იმის საკითხავად, თუ როგორ მოეწყო თავის ცხოვრება. მამაო მას არ უშვებდა. ის თავიდან ძალიან თამამად ითხოვდა ბერთან შეხვედრას, შემდეგ კი უფრო და უფრო თავმდაბალი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ვთხოვდით, ბერი მაინც უარს იდგა. ის ქალბატონი ჩემი ნაცნობი გახლდათ და ბერს ვთხოვდით დახმარებას, მაგრამ მაინც უარით მისტუმრებდა. იქამდე მივიდა, რომ ქალმა გულიანად იტირა. მეც გამაწამა. უბედურება მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ბერი არ უშვებდა, არამედ ისიც, რომ ამას ყველა ხედავდა. ასე მიიყვანა მამაომ ის ცოდვის აღიარებამდე, რათა შერცხვენოდა. ამის მერე მიიღო გულწრფელი სინანულით და დაეხმარა კიდეც რჩევებით. ასე ეხმარებოდა წმინდა ბერი სულით სნეულებს.

საერთო კურთხევაზე მამაოს მიერ ნაიქვამი სიტყვებიდან ბევრი დამამახსოვრდა, ბევრიც დამავიწყდა. ის ხშირად ამბობდა ასე:

„კეთილის თქმა – ვერცხლის გაბნევაა, სოლო კეთილგონიერი დუმილი – ოქრო“.

„უმჯობესია წინასწარ ხედავდე და გაჩუმდე, ვიდრე თქვა და შემდეგ მოინანიო“.

„მე ვაგდებ ანკესს მრავალი კაუჭით. ყოველს მათგანზე ნადავლია, მხოლოდ მიღება უნდა იცოდეთ“.

„რის გამო შეიძლება იყოს ადამიანი ცუდი? იმის გამო, რომ დაავიწყდა ‘სემოთ ღმერთის ყოფნა“.

„ვისაც ჰგონია, რომ რალაცა აქვს, ის დაკარგავს“.

„ადამიანები ფარისეველური სიმართლით ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. ამ ‘შემთხვევაში ჩვენი სიმართლე მრუდია“. მსმენელთაგან იკითხეს: „რას ნიშნავს, მამაო, ეს?“ ბერმა უპასუხა:

„ესენი ის ადამიანებია, ვინც ლოცულობს და მოწყალებასაც გასცემს“. ამ დროს ბერს უკიდურესად სერიოზული სახე ჰქონდა.

შეუდარებლად ადვილია საქმის შესწავლა, თუ თვითონ აკეთებ. ამაზე ბერი ამბობდა: „თეორია – ხელმძღვანელის კარზე მომუშავე ქალია, ხოლო პრაქტიკა – როგორც დათვი ტყეში“.

„ასწავლო ადამიანს სულიერი ცხოვრება ძალიან ძნელია. ეს იგივეა, – აგრძელებდა ბერი ხუმრობით, – რომ ასწავლო გლეხკაცს სიტყვა „მდივნის“ თქმა. ის მაინც ვერ იტყვის.“ აქ ვიღაცამ ხალხიდან თქვა: „მამაო! თქვენ ხშირად იგავებით ლაპარაკობთ. ჩვენ არ ვიცით, როგორ გავიგოთ“. ბერმა უპასუხა: „ქვეყანა ჭკვიანებად და ბრიყვებადაა დაყოფილი. ერთხელაც შეხვდნენ ბრძენი და ბრიყვი. ბრძენმა ასწია ხელი და ცაზე მიუთითა, შემდეგ მიწაზე. მან იგულისხმა, რომ ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. ბრიყვმა კი ბრძენის მოქმედება თავისებურად ახსნა: აი, მე შენ მოგკიდებ თმებში ხელს, ამოგაგლეჯ და დაგცრი მოწაზე. მაშინ ბრიყვმაც ასწია ზემოთ ხელი, შემდეგ ქვემოთ და ბოლოს თითით ირგვლივ შემოხაზა. ამით ის მიანიშნებდა, რომ მე შენ აგწევ, შემდეგ დაგანარცხებ მიწაზე და თმებით გათრევ. ბრძენმა მისი მოქმედება ასე გაიგო: შემოქმედმა შექმნა ცა, მიწა და ყოველივე ჩვენს ირგვლივ“.[177]

„ჩვენთან ბრიყვულიც კარგია. ჩვენთან გაურეცხავი თეთრეულიც თეთრია ხოლმე“.

„აუსრულებელი დაპირება – იგივეა, რაც კარგი ხე უნაყოფოდ“.

„იყიდო – იგივეა, რაც ტილის მოკვლა, ხოლო გაყიდვა – იგივეა, რომ რწყილი დაიჭირო“.

გვისხსნიდა რა ფსალმუნის სიტყვებს: „მთანი მაღალნი ირემთა, კლდენი შესაფევრებლად კურდღელთა“ (ფსალმ. 103, 18), ბერი ამბობდა: „ირმები, ესენი მართლებია კლდეზე, ე.ი. მაღლა დგანან.

---

[177] ბერმა ბრძენში კეთილგონიერი კაცი იგულისხმა, რომელიც ცეცხლს და ცეცხლაფერს კარგი მხრიდან უყურებს. არ განიკითხავს მოცემას უხლურების გამო. თავის თავს ცეცხლზე უღირსად თვლის. ბრიყვში იგულისხმება ადამიანი, რომელსაც აქვს გონებრივი შესაძლებლობები. მაგრამ თავისი უგუნურებით მისცა მათ უკუღმართი მიმართულება. ამიტომ ცეცხლგან და ცეცხლაფერში უკუღმართი გულის კარნახით მხოლოდ ცეცხლს ამჩნევს და ცეცხლაფერს უკუღმა ხსნის, თავის თავს კი სხვებზე უფრო ღირსეულად თვლის.

კურდღლები კი – ცოდვილები. მათი თავშესაფარი – ქვაა. ეს ქვა კი თვითონ ქრისტეა, რომელიც მიწაზე მართალთა სახსნელად კი არ მოვიდა, არამედ – ცოდვილთა სინანულში მოსაყვანად" (მათ. IX.13).

ერთხელაც მარტო მე მითხრა: „მართლები ცათა სასუფეველში პეტრე მოციქულს შეჰყავს, ხოლო ცოდვილები – სეკიურ დედოფალს".[178]

ყოველი ადამიანი თვითონაა თავისი განსაცდელების მიზეზი. ამის თაობაზე ბერი ხშირად იმეორებდა ანდაზას: „ქველა თვითონაა თავისი ბედის მჭედელი".

„ძალით გამოთხოვილი ჯერის ტარება ძნელია. უმჯობესია უბრალო გულით მიენდო ღვთის ნებას." „სარწმუნო ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალს მოგცემთ, რომ შესძლოთ ატანა" (1 კორ. X, 13). „რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი. სცემს ყოველ შვილს, ვისაც ღებულობს. აიტანეთ წვრთნა, ღმერთი ისე გეპყრობათ, როგორც შვილებს. განა არის ისეთი შვილი, რომელსაც მამა არ წვრთნიდეს? ხოლო თუ დარჩებით წვრთნის გარეშე, რაშიც ყველა მოზიარეა, მაშინ თქვენ ნაბუშრები ყოფილხართ და არა შვილები" (ებრ. XII, 6, 8). და დაამატა: „ერთგან წვიმა ითხოვე ღვთისგან, სხვაგან კი – წვიმა რომ არ იყოს: გამოვა ის, რაც ღმერთს უნდა".

ერთ ქალს სიბერის გამო ეშინოდა მონასტერში ცხოვრების და სულ ამბობდა: „მონაზონური კანონების შესრულება არ შემიძლია". მამამ მას შემდეგი მოთხრობით უპასუხა: „ერთი ვაჭარიც სულ ასე ამბობდა: ეს არ შემიძლია, ის არ შემიძლია. ერთხელ მიდიოდა ღამით ციმბირში ორ ქერქში შეხვეული. უცბად შორს რაღაც სინათლე დაინახა. დააკვირდა და შენიშნა, რომ მგლების ხროვა უახლოვდებოდა. შეელის მოლოდინი არსაიდან იყო. ის გადმოხტა ციგიდან, დააგიწყდა სიბერე და სისუსტე და ერთ წუთში ახერა ახლოს მდგარ ხეზე. შემდეგში ამბობდა, რომ ადრე არასოდეს ამძვრალა ხეზე.[179] აი, შენი – „არ შემიძლია", – დაამატა ბერმა.

---

[178] ეს აზრი წმინდა დიმიტრი როსტოველი მიტროპოლიტის სწავლებაშია.

[179] ღვთის სამსჯავროს და გეენიის (ჯოჯოხეთის შიში უძლურებს ძლიერს ხდის

მამაოს ფსალმუნის შემდეგი სიტყვების განმეორება უყვარდა: „მშვიდობა მრავალ არს მათ თანა, რომელთა უყვარს შჯული შენი, და არა არს მათ თანა საცდური“ (ფსალმ. 118, 165).

მონაზვნები (დები) ჩიოდნენ, რომ მათ აჯავრებენ, ამხელენ და ებრძვიან. მამაო ჩვეულებრივ პასუხობდა: „მლოცველი (მაკურთხეველი) ტუსები არ ბრაზობენ“. მამაოს უყვარდა უბრალოება და ამბობდა: „სადაც უბრალოებაა, იქ ანგელოზები მრავლადაა, ხოლო, სადაც ხელოვნურობაა (ბრძნობა), იქ — არც ერთი“.

ერთი მონაზონი გამორჩეულ მორჩილებაში იყო. მან შესჩივლა ბერს, რომ ებრძვიან. მან უპასუხა: „ვინც გვაძაგებს, ის გვწუნის, ხოლო ვინც გვაქებს, ის გვპარავს“.

ჩემი ნაცნობი მონაზონი განსაცდელების გამო ჩიოდა. მამაო კი პასუხობდა: „მ'სე რომ მუდამ ანათებდეს, მაშინ მინდორში ყვავილაფერი გახმება, ამიტომ წვიმაა ზოგჯერ საჭირო. თუ მუდამ იწვიმა, მაშინ ყვავილაფერი დალპება, ამიტომ საჭიროა ქარი, რომ გააშროს. თუ არასაკმარისად იქროლა, მაშინ საჭიროა ქარიშხალი, რომ ყვავილაფერი გაიტანოს. ეს ყველაფერი ადამიანისთვის თავის დრო'სე საჭიროა იმიტომ, რომ ის ცვალებადია“. შემდეგ დაამატა: „როცა ფიფქას ავადყულებთ, მაშინ ვნახავთ, რასაც ვაკეთებთ“. მაშინ ვერც იმან და ვერც მე. ცოდვილმა, ვერ გავიგეთ ბერის სიტყვები. დედაოსთვის კი ეს წინასწარუწყება იყო, რომელიც შესანიშნავად აღსრულდა.

ერთი დედათა მონასტრის წინამძღვარი აბობდა, რომ სავანეში სხვადასხვა ხალხი მოდიოდა დასარჩენად და მათთან ძნელი იყო ურთიერთობა. მამაომ უთხრა: „მარმარილო და ლითონი — ყველაფერი ივარგებს“. შემდეგ გააგრძელა: „სიწმინდის საუკუნე, რკინის რქა, ვის არ წაამტვრევს რქებს. წმინდა წერილში წერია: „და ყოველნი რქანი ცოდვილთანი შეემუსრნეს, და ამაღლდეს რქა მაცხოვრისად“ (ფსალმ. 74). ცოდვილებს ორი რქა აქვთ, ხოლო მართლებს ერთი — ეს სიმდაბლეა.[80]

---

[80] მართლის ერთ რქას სიმდაბლეს — ბერი უპირისპირებს ცოდვილის ორ რქას. შეიძლება, ამ ორ რქაში მან მოიაზრა ორი ურიცხვიმსგავსი ენება: სიამაყე და ამპარტავნება, რომელთაც წმინდა იოანე კიბისაღწერელი იცნობს, როცა ცხენს და მხედარს.

ბერი იმავე მონასონს ეუბნებოდა: „თუ ქამრის შესაკრავს მოჰგლეჯ, ქამარს დაკარგავ. განსვენებული ხელმწიფე პეტრე დიდს გუნდში გალობა უყვარდა. მასთან გალობდა ერთი დიაკონი, რომელსაც კარგი ხმა ჰქონდა. ის ძალიან მორცხვი იყო და ისე ეშინოდა მეფის, რომ ხელმწიფე მუდამ ძალით ამღერებდა. შემდეგ ისე შეეჩვია, რომ ფარავდა მთელი გუნდის და ხელმწიფის ხმასაც. მაშინ პეტრე დიდმა გასაჩერებლად მოქანა სახელურზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ხელმწიფე ანჯღრევს, ის კი უფრო ყვირის“.

აქვე მამაომ საკუთარ თავზე მოგვითხრო: „პატარაობისას ძალიან მიყვარდა მამის საჯინიბოში ერთი ცხენის ცემა. ის მშვიდი იყო, მაგრამ დედა მაფრთხილებდა: «თავი დაანებეს» მე არ ვუსმენდი. მივხტებოდი და სულ ვცემდი. ის სულ ითმენდა, მაგრამ ერთხელაც დამარტყა უკანა ფეხი და ისე ამაგლიჯა თავზე ტყავი, რომ დღემდე ნიშანი დამრჩა“. ეს მამაომ საკუთარ თავზე გვიჩვენა. ვისაც ესებოდა ეს, ის იგებდა კიდეც.

„რამდენჯერ უნდა ჭამო დღეში?“ – იკითხა ვიღაცამ ხალხიდან. მამაომ მაგალითით უპასუხა: „ცხოვრობდა უდაბნოში ერთი ბერი და მოუვიდა ასეთი ამბავი: რამდენჯერ უნდა ეჭამა დღეში. ერთხელაც შეხვდა პატარა ბიჭს და ჰკითხა ამის თაობაზე. ბიჭმა უპასუხა: „როცა მოგინდება – ჭამე“. – „თუ კიდევ მომინდება?“ – ჰკითხა ბერმა, – „ისევ შეჭამე, – უთხრა ბიჭმა. – „თუ კიდევ მომინდა, – ჰკითხა ბერმა მესამედ. – „შენ რა, ვირი ხომ არა ხარ?“ – ჰკითხა თავის მხრივ ბიჭმა ბერს. – „მგონი, დღეში ორჯერ უნდა ჭამო“, – დაამატა ბერმა.

ბერთან ვიღაც ქალბატონი ჩამოვიდა შორიდან, რომლის ქალიშვილი მონასტერში ცხოვრობდა. ეს ქალბატონი ძალიან მალალი, სავსე ტანის საერო პიროვნება გამოდგა. მან პირველად ნახა ბერი საერთო კურთხევაზე. მისი სუსტი, პატარა და გამხდარი ხელების შემხედვარემ თქვა: „ამ პატარა ხელმა რა უნდა გააკეთოს?“ ბერმა კი შემდეგი ამბით უპასუხა: „მამაჩემს ძველი სახლი ჰქონდა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. იატაკის ფიცრები სიძველის გამო ირყეოდა. დარბაზის კუთხეში სერვანდი იდგა. ზედა თაროზე ვიწრო, მსუბუქი და ცარიელი მინის დოქი იდგა. ქვედაზე კი – მსხვილი

თიხის ჭოთანი. ერთხელაც ბავშვებმა სიცელქით, გაუფრთხილებლად დაავიწყეთ იატაკის ფიცარ'ზე, რომელ'ზეც სერვანდი იდგა. ისიც შეირყა და ზემოდან პატარა დოქი ჩამოვარდა. თვითონ მთელი დარჩა, ხოლო მსხვილ ჭოთანს სახელური მოტეხა. ყველას ძალიან გაგვიკვირდა".

მამაო დროდადრო ფსალმ'უნის სიტყვებით მხვდებოდა: „თმენით დაუთმე უფალსა და მომხედნა მე და ისმინა ლოცვისა ჩემისაჲ. და ამომიყვანა მე მღვიმისაგან გლახაკობისა და თიხისაგან უკუსა და დაამტკიცნა კლდესა 'ხედა ფერჴნი ჩემნი და წარმართნა სლვანი ჩემნი" (ფს. 39: 2, 3, 4).

ბერი მეუბნებოდა: „ჭკუა კარგია, ორი – უკეთესი, სამი – გინდა გადააგდე".

ამპარტავნებაზე: „ნუ ტრაბახობ ბარდაე, რომ ცერცე'ზე უკეთესი ხარ. დასველდები და თვითონ გასკდები".

ერთი ქალბატონის ნაამბობ'ზე, რომ ის ხიფათს გაექცა, თორემ 'შეიძლება, რაიმე ცუდი მომხდარიყო, მამაომ სიცილით უპასუხა: „ერთ ქოხ'ში ორი ქალი ცხოვრობდა. უცბად ღუმლიდან ხის ნაჭერი გამოვარდა. ერთი ქალი ეუბნება მეორეს შეშინებ'ული: კარგია, რომ ჩემი ქალი'შვილი ჯერ გაუთხოვარია, არ ჰყავს შვილი ივან'უშკა და არ იჯდა აქ, თორემ თავს გა'ურეხავდა".

ერთხელ ბერის მოლოდინ'ში მინაშენ'ში ჯდომით ძალიან დავიღალეთ. მასთან შეს'ულებს გვითხრა: „ველი ჩემს დამღლელს. დაღლილობა სიკვდილ'ზე 'უარესია".

კიდევ ამბობდა: „განსაცდელების ჟამს უფალს 'მეუვედრები და გაგივლის, ტკივილს კი ჯოხითაც ვერ გარეკავ".

მე შევჩივლე, რომ ახალგა'სრდობის აღ'სრდა ძნელი იყო. მამაომ მითხრა: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვეთ სულნი თქუენნი" (ლუკ. XXI, 19). „ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს." (მათ. X, 22). შენ კი მოითმინე ყველასგან, ყველაფერი მოითმინე, შეიძლებისგანაც მოითმინე".

ერთხელ მახსოვს, ძალიან მიჭირდა ავადმყოფ ქმართან, რადგან ის არანორმალური იყო, ამიტომაც მთელი მეურნეობა მე მაწვა კისერ'ზე. სიკვდილი მსურდა, მაგრამ ბერს ამას არ ვეუბნებოდი.

მამაო გამოვიდა ხალხის დასალოცად, შემომხედა და თქვა: „ერთი ბერი ამბობდა, რომ სიკვდილის არ ეშინია. ერთხელაც ტყიდან შეშა მოჰქონდა და ძალიან დაიღალა. დასასვენებლად ჩამოჯდა და ჩაილაპარაკა: «მოვკვდე მაინც» მაგრამ, როცა სიკვდილი გამოჩნდა, მას შეეშინდა და სიკვდილს შეშის კონის წაღება შესთავაზა“.

ბერი სიმდაბლეს გვასწავლიდა, არა გარეგნულს, არამედ შინაგანს. ერთხელ ხალხის დალოცვისას დაიწყო მოყოლა და თან მე მიყურებდა: „ერთ მონასტერში ცხოვრობდა მონაზონი, რომელიც მუდამ გაიძახოდა: „ოჰ, მე უბადრუკი!“ ერთხელაც სატრაპეზოში მოვიდა ერთი იღუმენი და ეკითხება: „შენ აქ წმინდა მამებთან რა გინდა?“ მონაზონმა უპასუხა: „იმიტომ, რომ მეც წმინდა მამა ვარ“.

კიდევ ამბობდა: „ერთი მონაზონის შესახებ დაირხა ხმა, რომ ის წმინდანი იყო და პირში ეუბნებოდნენ ამას. ის კი თავს ცოდვილს უწოდებდა და ამასთან ერთად თავმდაბლად თავს უხრიდა ყველას. ერთხელაც ჩვეულებრივ ვიღაცას უთხრა: „მე ცოდვილი ვარ“. მან კი უპასუხა: „ვიცი, რომ ცოდვილი ხარ“. მონაზონი აღშფოთდა: „როგორ? შენ რა, ჩემზე რამე გაიგე?“

„აი, – ჰყვებოდა ბერი, – ერთხელ ხელმწიფე ნიკოლოზ პაველს ძე ჩამოვიდა საპატიმროში და პატიმრებს ეკითხებოდა, რისთვის მოხვდნენ ციხეში. ყველა მათგანი თავს იმართლებდა და ამბობდა, რომ უდანაშაულოდ დააპატიმრეს. მივიდა ხელმწიფე კიდევ ერთ მათგანთან და ჰკითხა: „შენ რატომ ხარ აქ?“ და მიიღო ასეთი პასუხი: „ჩემი დიდი ცოდვების გამო საკმაოდ ცოტაა“. მაშინ ხელმწიფე შემოუბრუნდა მის გამცილებელ ჩინოვნიკებს და უთხრა: „ახლავე გაუშვით გაათავისუფლეთ“. ამასთან მამაომ მე შემომხედა.

ამ დროს ხალხში ვიღაცამ თქვა: „მამაო! თქვენ ვის არ დააძდაბლებთ? ვინ არ დაგემორჩილებათ თქვენ?“ ამის საპასუხოდ ბერმა უამბო შემდეგი: „ერთხელ კიდევ განსვენებული ხელმწიფე ნიკოლოზ პაველს ძე პეტერბურგის ქუჩებში დადიოდა. შეხვდა სამხედრო მწერალს და ჰკითხა: „შენ საიდან ხარ?“ – „დეპადან, თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ,“ – უპასუხა მან. – „სიტყვა ''დეპა'' – უცხოურია, ის არ იბრუნება (რუს. отрикается)“ – შენიშნა ხელმწიფემ. მან კი უპასუხა: „თქვენი დიდებულების წინაშე

ყველაფერი იდრიკება“.

ამჯერად დიდხანს შერჩა მამაო ჩვენთან საუბარს. მომსახურე დიდი ხნის განმავლობაში მოახსენებდა, რომ მამაკაცთა მხარეს ელოდებოდნენ, მაგრამ ბერი არ უსმენდა. შემოსულმა მომსახურემ ისევ მოახსენა: „მამაო! გვიანია, უკვე საღამოს ათი საათია“. ბერი არ პასუხობდა. ეტყობა, იქ მოთმინებას კარგაელდნენ და ვიღაცამ თქვა: „არარაობა'სე ესაუბრება ბერი მონა'სონ ქალებს“. მომსახურემ ისევ მოახსენა: „მამაო! თქვენ გელოდებიან“. მამაომ კი სიცილით დაიწყო მოყოლა: „ტულა'ში ყოფნისას ვნახე ძეგლი, სადაც წერია: „ამ ქვის ქვეშ ლარინი მაქსიმე წევს. მას უნდა ეცოცხლა და ემხიარ'ულა, მაგრამ იმ ქვეყნად გადასახლება მოისურვა“. მომსახურემ ისევ გაიმეორა ვინც ელოდა. ეტყობა მან იფიქრა, რომ ბერს არ ესმოდა. მამაომ კი სიცილით უპასუხა მას: „წერილმანი საქმეები მომდის თავში“. და ხელით ჩვენ'სე მიანიშნა, თან თქვა: „კარგად მახსოვს ესენი, ვინც იქ მელოდება, მავიწყდება“. აქ ვიღაცამ შამორდინოს სავანიდან თეითდაჯერებულად თქვა: „ჩვენ ვიცით, მამაო, რომ თქვენ ყოველ საღამოს ლოცულობთ ჩვენ'სე“. მამაომ კი უთხრა: „დიახ, როცა დაღლილი არ ვარ, თორემ ღორსაც ავიწყდება თავისი გოჭები, როცა ესერიან“.

VI თავი

ბერის მესაჭეობა

(გაგრძელება)

დრო მიდიოდა. მუდმივად დავდიოდი ბერთან. უფრო და უფრო ვეჩვეოდი მას და შინაგანად ვშორდებოდი ჩემს საერო ცხოვრებას. გარეგნულად იგივე ვრჩებოდი. სხვათა შორის, საფუძვლიანად ვფარავდი ჩემს გულისმიერ მისწრაფებას ბერისგანაც და სხვებისგანაც.

ერთი ორჯერ კიდევ მიმანიშნა ბერმა მონასტერზე. ერთხელ ქალიშვილთან ერთად გზად მაცილებდა და თქვა: „თქვენ ხომ ორივეს მონასტერში მოგიწევთ ცხოვრება“. მე არაფერი ვუპასუხე. მან კი სახეზე ხელი გადამისვა და მკითხა: „შენ იცი, რას ვწერ მე შენს სახეზე?“ ვერ გავიგე და კითხვითვე ვუპასუხე: „რას, მამაო?“ – „ასო „შ“-ს სახეზე,– მიპასუხა მან,– და გამოვა „შამორდინო“. მე ისევ დავდუმდი. იმდენად გაუგებარი იყო მაშინ ეს ჩემთვის. თვითონ თავისუფალი არ ვიყავი. ჩემს შვილს კი ასეთი სულიერი განწყობა ჰქონდა: იცხოვრებდა ჩემთან ერთად მონასტერში და თითქოს ეშინოდა კიდეც იქიდან წასვლა, მაგრამ როგორც კი ერში მოხვდებოდა – მაშინვე ავიწყდებოდა მონასტერი. ამასთან ერთად, ბერის წინასწარმეტყველება მისი მეორეჯერ დანიშვნის შესახებ მწიფდებოდა. მას სხვა ახალგაზრდა მამაკაცი მოსწონდა და მეც არ ვიყავი მისი გათხოვების წინააღმდეგი. გარემოებამ კი გვაიძულა, ჩამოგვეშორებინა შვილი ამ კაცისგან, რომელსაც ძალიან მალე ნერვული პარალიჩი დაემართა. ამრიგად ახდა ბერის სხვა ნათქვამიც, რომელიც მან პირველი ვიზიტისას გვითხრა: „იქნება მეორეც, მაგრამ ისევ არაფერი გამოვა, – მისთვის სხვა რამაა დანიშნული“.

ჩემს ქალიშვილს არ ვაძლევდი მამაოსთან განშორების საშუალებას. ხშირად დამყავდა ჩემთან ერთად. ერთხელ კი ჩემს ნაცნობ ქალთან ერთად გავუშვი ორი დღით. სამი დღე გავიდა და, ჩემდა გასაკვირად, ნაცნობი ქალი მარტო დაბრუნდა, ქალიშვილი კი დარჩა. მე მითხრეს, რომ მან მამაოს მიერ დაფუძნებული ქალთა სავანის მონახულება მოინდომა და სავანის მშობლებთან ერთად გაემგზავრა

იქით, რომელსაც ძალიან შეუყვარდა ჩემი შვილიც და მეც, როცა ბერთან ვხედებოდით ერთმანეთს. ძალიან გამიკვირდა, რადგან ის ჩემი და მამამისის სრულ მორჩილებაში ცხოვრობდა, განსაკუთრებით მამის, მაგრამ მაინც მშვიდად ვიყავი. შემდეგ გაუგებრობამ შემაწუხა. ვფიქრობდი, ვისთან ერთად და როდის ჩამოვიდოდა სახლში. მას'ხე ნანახმა სი'სმარმა კი საბოლოოდ ამაფორიაქა.

სი'სმრად თითქოს შამორდინოში ვიყავი, სადაც არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვილაცამ მითხრა, რომ ეს ის იყო. მახსოვს წმინდა კარიბჭე და მის გვერდით რაღაც საფლავი ჯვრით. სინამდვილეში მაშინ ეს საფლავი ჯერ არ არსებობდა, რადგან სავანის განსვენებული წინამძღვარი, დედა სოფია, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემდეგ რომელილაც გრძელ დერეფნიან კორპუს'ში აღმოვჩნდი (ახლანდელი წინამძღვრის კორპუსი). ერთ-ერთ ოთახ'ში ემბაზი ვნახე; მითხრეს, რომ ჩემი ქალიშვილი უნდა მოენათლათ. აქ თავად ისიც დავინახე. ნათლიები (მიმრქმელები) კი თითქოს მამა ამბროსი და დედა სოფია იყვნენ.

სი'სმარმა ხასიათი გამიფუჭა. გამახსენდა მინაშენში მოსმენილი ამბავი, რომელიც შემდგომში ტყუილი აღმოჩნდა: თითქოს მამა ამბროსიმ ძალით დატოვა ქალთა სავანეში ერთი ახალგა'სრდა, დედისერთა გოგონა. თითქოს შემდეგ დედაც ჩამოვიდა და ითხოვდა თავის გოგონას უკან, ბოლოს კი თვითონაც დარჩა მონასტერ'ში. ყოველივე ამან შემაშინა. ჩემი ქალიშვილის მონასტერში ყოფნამ იმდენად არ შემაშინა, რამდენადაც იმან, რომ ჩემზე უფრო ადრე მოხვდებოდა იქ და მე ვერ შევძლებდი მის გარეშე ცხოვრებას. რადგან მე თავისუფალი არ ვიყავი და ღმერთმა იცის, თუ რამდენ ხანს მომიწევდა ცხოვრება მისგან შორს.

ამრიგად, სულიერმა უხასიათობამ დამასუსტა და ავად გამხადა. შედეგად მივწერე ბერს წერილი, სადაც არ ამიხსნია მისთვის სინამდვილე'ში რა მოხდა. მივწერე მხოლოდ ის, რომ ძლიერ ავად ვიყავი და ამის გამო ვთხოვდი, რომ ვინმესთან ერთად გამოეგზავნა ჩემი შვილი. შემდეგ გადმომცეს, რომ ჩემი წერილის მიღებისთანავე, ისე რომ ჩემი შვილი იქ არ იყო, გამოვიდა ბერი ხალხის დასალოცად და თქვა: „მწერს ასეთი (ჩემი სახელი), რომ გავაგზავნო მისი შვილი

სახლში: ჩვენ შეგვეშინდა, რომ შვილს ძალით დატოვებენ მონასტერში. უნდა გავაგვიანო ის". გამგზავრებისას კი მამაომ ჩემს ქალიშვილს უთხრა: „დედაშენი ავადაა და უნდა წახვიდე. გადაეცი ჩემგან, რომ მან ჩემებურად იცხოვროს". ზაფხულის დრო იყო. ბერმა ფანჯარაზე მიუთითა და გააგრძელა: „აი, ნახე: ფანჯრის ზემო ნაწილი ღიაა და ზემოდან სუფთა ჰაერი მოდის, რითაც ვსუნთქავ. ქვედა ნაწილი კი დაკეტილია და გამჭოლი ქარი არ მიბერავს. აი, ასე იცხოვროს და ავადაც არ გახდება". მე კარგად გავიგე, რაც მითხრა ბერმა და რას დაარქვა მან გამჭოლი ქარი. ეს ის უარსრო საუბრები იყო, რომელსაც მე ვისმენდი, ხოლო უზენაესზე ნაკლებად ეფიქრობდი. შემდგომში, როცა ბერთან ჩავედი, ჯერ ჩემზე არაფერი მქონდა ახსნილი, მან კი დიდხანს მლოცა შეხვედრისას. ისე არ გამიშვებდა, რომ არ ეთქვა: „შენ იგიეე ხვედრი გელის, რაც ქალბატონ X-ს და მის ქალიშვილს". დიდხანს მაშინებდა ამით მამაო მე, უგუნურს, მე კი არაფერს ვეუბნებოდი ჩემს ცრუ შიშზე. ბოლოს გავიგე სიმართლე, ე.ი. მინაშენში ნათქვამი ტყუილის შესახებ და შენდობა ვითხოვე მამაოსგან, რომ ამ სიცრუეს დაეუჯერე. მამაომ კი სიცილით ბრიყვი მიწოდა, და რომ ჩემთვის ყველაფერი მხოლოდ განსაცდელი იყო. ამასთან, მიამბო ცნობილი იგავი ბერიკაცზე, ბიჭზე და ვირზე და დაასკვნა: „თუ სხვის საუბარს მოუსმენ, ვირის აყვანა მოგიწევს მხრებზე".

ჩემი ქმარი კი ისევ ავად იყო და მისი სნეულება უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მინდოდა დამეთანხმებინა ის იმაზე, რომ საზაფხულოდ ოპტინაში გადავსულიყავით და გვეცხოვრა იქ მამაოს გვერდით, რათა რამდენადაც შეიძლებოდა მოგვემზადებინა ის სიკვდილის შესახვედრად. ზაფხულს ჩვენ მაინც აგარაკზე ვატარებდით და მის ნაცვლად შევთავაზე ოპტინაში დასვენება. მხოლოდ ოპტინის საოცარი ტყით და ფიჭვნარის სუფთა ჰაერით შეეძელი მისი დაყოლიება. მონასტერზე და ბერზე მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და არც დამეთანხმებოდა ოპტინაში გადასვლაზე. ავადმყოფობის გამო მძიმე იყო მისი გადაყვანა ამ სიშორეზე. ორივე მხარეს საჭირო იყო ეკიპაჟის დაქირავება, მაგრამ ბერის ლოცვებით ეს შევძელი, თუმცა მამაომდე მისი მიყვანა ადვილი არ

გახლდათ. ბერმა მაშინვე ჰკითხა, უფიქრია თუ არა მას ოდესმე სიკვდილ'ზე. შემდეგ ურჩია სეთისცხება და ზიარების მიღება. ავადმყოფი თავიდან სიხარ'ულით დასთანხმდა ამაზე და დაიწყო აღსარებისთვის მ'სადება, მაგრამ უცბად, როგორც ნერვიულად ავადმყოფი უხასიათოდ გახდა, მოიწ'ყინა და გან'უსჯელად დაიწყო მ'სადება შინ დასაბრ'უნებლად. ბერთან მისვლა'ზე და გამომშვიდობება'სეც უარი თქვა. მიუხვდი, რომ ვერაფერს შეეძლებდი და დამწ'უხრებული გავიქეცი ბერთან. ეს დილით ადრე იყო. თითქმის უნებართვოდ შევვარდი მამაოსთან, მწ'არედ ავტირდი და ცხოვრებაში პირველად გამოვ'უტყდი მას ჩემი მძიმე ცხოვრების შესახებ. შევხედე მამაოს და დავინახე, რომ თვალები მასაც სავსე ჰქონდა ცრემლით. როცა ადგა, ძლიერად დამიწ'ყო სახეზე ცემა. გ'ულნაწ'ყენმა ეკითხე: „მამაო! თქვენ კიდევაც მცემთ,რისთვის?“ მან მიპასუხა: „სიყვარ'ულით გცემ“. რატომღაც დამამშვიდა და გამამხიარ'ულა მამაოს სიტყვებმა და ვ'უთხარი: „თ'უ სიყვარ'ულით, მაშინ მცემეთ“. „შენ ს'ულელი ხარ, – აგრძელებდა ბერი, – ასე რამ გაგამწ'არა? არაფერიც არ ხდება. შენი ავადმყოფი თვითონ მოვიდა და მამაკაცთა მისაღებში მიცდის. მე შენ პირველად შემოგიყვანე, რომ მეკითხა რა მოხდა“. ეს ჩემთვის გაუგებარი იყო. მე ქმარი ყველა'ზე ს'აშინელ ხასიათ'ზე დაეტოვე. იმ წ'უთ'ში, რა თქმა უნდა, ავადმყოფი ვერ მოვიდოდა, რადგან ჩქარა მოძრაობა უჭირდა, მაგრამ ბერმა წ'ინასწ'არ განჭ'ვრიტა მისი ხასიათის გადასხვაფერება და ამიტომაც მითხრა, რომ ის მოვიდოდა. იქიდან გამოს'ულმა დასვენებაც კი ვერ მოვას'წარი მინაშენ'ში, ბერის მომსახ'ურემ მითხრა, რომ ჩემი ავადმყოფი მოვიდა და ბერთან ს'აუბრობდა. მამაომ პირდაპირ იქვე ჩაიბარა აღსარება, დაამშვიდა, დააწ'ყნარა და გა'უშვა სასტ'უმრო'ში. ამის შემდეგ მშვიდად ცხოვრობდა ავადმყოფი ოპტინა'ში და არც უფიქრია ' უკან დაბრ'უნება. ზეთიც იცხო და ზიარებაც მიიღო.

გამგ'ზავრებისას მამაომ გაგვაცილა და ჩემს ქმარს უთხრა: „გირჩევ დატოვო სამსახ'ური, კარგ პენსიას დაგინიშნავენ“. მამაომ ციფრიც კი დაასახელა, მაგრამ ჩვენ შეგვეშინდა. განგაშს იწ'ევდა ის, რომ ყოველნაირ პირობებ'ში უჭირდა ავადმყოფს ცხოვრება და რას ვი'სამდით ვიწ'რო საცხოვრებელ'ში და მცირე სა'შუალებებით. მე,

ცოდვილი, პირველი შეეპასუხე ბერს. ქმრის მოახლოებული სიკვდილი ა'ხრადაც არ მომსვლია. მამაომ არაფერი მიპასუხა, მხოლოდ გამომშვიდობებისას ჩამხედა თვალებში და წაეედით.

ნოემბერში ჩამოვედი ბერთან და 'სიარებისთვის ვემ'სადებოდი. ის ხალხს ლოცავდა და შემხედა ფსალმუნის სიტყვებით: „კაცი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი: ვითარცა ყვავილი ველისა ეგრე აღყუავდეს“ (ფსალმ. 102, 15) და სხვ. ამჯერად მარტო დამიბარა. საუბრისას მომკიდა მარჯვენა ხელ'ზე და თითიდან ნი'შნობის ბეჭდის გამოძრობა დამიწყო, მაგრამ დიდხანს ვერ ახერხებდა. მრავალწლიანი ტარების გამო მა'სოლივით იყო იმ ადგილას გაჩენილი. მამაო მაინც ცდილობდა მოძრობას. გული წინათგრძნობით აღმეძრა, მაგრამ არაფერი ვთქვი და თვითონაც დავიწყე თითზე ბეჭდის ტრიალი, რათა მომეხსნა.

ამჯერად, ოპტინიდან წასვლისას, მამაომ მოულოდნელად პოლონელი გოგონა მომაბარა და დაამატა: „სამნი უფრო მხიარულად იქნებით“. მასთან ერთად ჩვენ ხომ ოთხნი უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ მამაომ თქვა „სამნი“. ესე იგი ვიღაცა უნდა გამოაკლდეს ჩვენს რიცხვს. მან კიდევ დაამატა: „ის შენს სახლში მართლმადიდებლობასაც მიიღებს“. მე სიტყვაშეუბრუნებლად, ხალისით წავიყვანე სახლში სხვისი შვილი და ვერ ვაცნობიერებდი, როგორ უნდა მიეღო მას მართლმადიდებლობა ჩემს ოჯახში, ამიტომაც ვდუმდი. ვფიქრობდი, რომ ის თვითონ ელაპარაკა ბერს ამის თაობა'ზე. აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ბერის წინასწარხედვა იყო. გოგონა მაშინ არც ფიქრობდა მართლმადიდებლობის მიღება'ზე.

გავიდა დრო. მოულოდნელად მივიღე მამაოსგან პური, რამაც უკიდურესად გამაოცა და შემაშინა. ამის შემდეგ ჩემი ქმარი სიკვდილის წინა მდგომარეობაში იყო. მივწერე მამაოს მისი ავადმყოფობის შესახებ და მაშინვე მოვიდა პასუხი: „ავადმყოფს გადაეცი ჩემგან, ცოდვილისაგან – წერდა ის, – ეურჩევ დაუყოვნებლივ ეზიაროს“. მეუღლემ შეასრულა მამაოს ნათქვამი.

ჩემი მეუღლის სასიკვდილო ავადმყოფობისას ოთხჯერ მესიზმრა მამაო, რომელიც მამხნევებდა და მანუგეშებდა, რათა კარგად მომეკლო სნეულისთვის. მეოთხე სიზმარში თითქოს ოპტინაში მამაოს

მინაშენში ვიყავი. თითქოს ჩემი ავადმყოფიც იქ იწვა. მამაო ჩემით უკმაყოფილო იყო და არ სურდა ჩემი დალოცვა. ზურგს მაქცევდა და დაუმორჩილებლობას მსაყვედურობდა. გამწარებულმა გავიღვიძე და სიზმარი ვერ გავიგე. საქმე კი აი რაში იყო: ექიმმა მკაცრად ამიკრძალა ავადმყოფისთვის რაიმე საკვების მიცემა, რადგან კუჭი მთლიანად პარალიზებული ჰქონდა და საკვების მიღებით მხოლოდ გაუხანგრძლივებდი წამებას. სასულიერო პირებიც იგივეს მეუბნებოდნენ, რომ ის ახლოს იყო სიკვდილთან და არაფერი სჭირდებოდა. მაგრამ მე, უგუნური, ავადმყოფთან მარტო დარჩენილი, ვაძლევდი მას სითხეს. ეტყობა, ავადმყოფსაც არ სურდა ის და კბილებს მაგრად უჭერდა, მაგრამ უნებლიეთ ყლაპავდა. ასე ვაწამებდი მას ჩემი სიყვარულით.

მისი სიკვდილის მერე წავედი მამაოსთან, რომელმაც ჩვეულებრივ მისალმებისა და მისამძიმრების მერე მკაცრად მითხრა: „შენ მაინც არც მონაზვნებს მოუსმინე და არც ექიმებს, და აჭმევდი ავადმყოფს. ახლა დილით და საღამოს ამის გამო ექვს-ექვსი მეტანია გააკეთე“. აი, თურმე რით იყო უკმაყოფილო ბერი, რომელიც მაშინ დამესიზმრა, აი ამიტომ არ დამლოცა მაშინ მან სიზმარში. ბერის ყოვლისმცოდნეობით აღფრთოვანებული ვიყავი და არ ვიცოდი, როგორ მეთქვა ეს მისთვის. ეპიტიმია შევასრულე. მხოლოდ გარდაცვალების წინ მკითხა მან: „შენ მეტანიებს აკეთებ?“ დადებითი პასუხის მერე მითხრა: „იანვრამდე ისევ აკეთე, მერე კი მიატოვე“. ბერი გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს და იცოდა, რომ მის გარეშე ვერავინ მომიხსნიდა ეპიტიმიას.

გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე, სანამ გრძნობაზე იყო, საქმიანმა ადამიანებმა ურჩიეს ჩემს ქმარს, საკუთარი ნებით წასულიყო სამსახურიდან. უთხრეს, რომ უფრო დიდ პენსიას მიიღებდა. ისიც ასე მოიქცა. თხოვნა გათავისუფლების შესახებ დაიწერა და გადაეცა გუბერნატორის კანცელარიას ხელმოსაწერად. საიდანაც პეტერბურგს უნდა გაეგზავნათ. ამ მხრივ მშვიდად ვიყავით, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. ქმარი გარდაიცვალა და თხოვნა გათავისუფლების შესახებ არ იყო დროზე იმის მიერ მოწერილი, ვისაც ეხებოდა, ამიტომ კანცელარიაში იყო მიგდებული. ბერის

დაუმორჩილებლობის გამო ღვთის ნებით ხდებოდა ეს ყველაფერი. ნასეკარი წლით აღრე რომ დაგვეჯერებინა მისთვის, ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც საჭირო იყო და პენსიაც უფრო დიდი ხომის გვექნებოდა.

სიკვდილის წინა წუთებში ჩემმა ქმარმა გაახილა თვალები, თავი ჩემსკენ მოაბრუნა და ჩუმად მითხრა: „ბერი მოვიდა“. იმ დღესვე გავაგზავნე ბერთან დეპეშა და ვთხოვე, მშვიდობით გაეშვა მომაკვდავი. მეუღლის სიკვდილის შემდეგ კი მივიღე ბერის წერილი, რომელმაც მაშინ ძალიან მანუგეშა. მამაოს წერილი ჩვენ ორივეს, მე და ჩემი ქალიშვილის მიმართ იყო დაწერილი. აი ისიც: „მშვიდობა და ღვთის კურთხევა თქვენ, ხოლო განსვენებულს ცათა სასუფეველი! მან ბევრი იწვალა ავადმყოფობისას. ავადმყოფობის მოთმინებით გადატანის გამო მიიღებს წყალობას და ცოდვების მიტევებას. თქვენ ახლა დაობლდით. მაგრამ ნათქვამია: თვითონ უფალია ობოლთა მამა და ქვრივთა მკაცრი მსაჯული. ღმერთს შესწევს ძალა დაგეხმაროთ თქვენ, მოგცეთ საცხოვრებელიც და საკვებიც. ვითხოვ თქვენთვის მშვიდობას და ღვთის კურთხევას და ვრჩები გულწრფელი კეთილისმსურველი. მრავალცოდვილი მღვდელმონაზონი ამბროსი“. ეს წერილი დროულად მივიღე, რადგან დაერჩი ორი შვილით ხელში, საცხოვრებელი ადგილისა და არსებობისათვის ყოველგვარი სახსრების გარეშე. მამაოს მოკლე, მაგრამ მრავლისმომცველი წერილის ყველა პუნქტი აღსრულდა ჩემს. ღმერთმა მისი ლოცვით დამიფარა, მომცა საცხოვრებელი ადგილიც და სახსრებიც.

მეუღლის გარდაცვალებიდან ცხრა დღის მერე გავემგზავრე ბერთან. გასაფხულის დადგომის გამო მდინარეებში წყალმა იმატა და ორმოცამდე დაერჩი ოპტინაში. ორმოცის წინა დღით, მწუხრის დაწყებამდე მივედი ბერთან, რომ გარდაცვლილს ელოცა. ხალხმრავლობის გამო იმ წუთში დამავიწყდა მისვლის მიზეზი. ბერმა შეშინებულად და მკაცრად შემხედა. „ჯერ, მეშინია! – თქვა მან, – განაჩენის გამოტანა იწყება: იჩქარე ტაძარში და ილოცე, მეც ვილოცებ მისთვის“. მე კარგად გავიგე, რაზეც მელაპარაკებოდა მამაო. შემეშინდა მისი სიტყვებისა და სახის გამომეტყველების.

მისთვის საიქიო ცხოვრების საიდუმლოებანიც ცნობილი იყო. წავედი ტაძარში, სადაც მწუხრის დამთავრებისთანავე პანაშვიდი შეუკეთეთ, ხოლო დილისთვის – წირვა და პანაშვიდი. წირვიდან მოსული მამაომ მაშინვე მიმიღო. ის სრულიად გაბრწყინებული იჯდა და გახარებული შემხვდა. მე თაყვანისცემაც კი ვერ მოვასწარი, ისე დამარტყა სამჯერ თავზე და მითხრა: „ცათა სასუფეველში! ცათა სასუფეველში! ცათა სასუფეველში!“ მისი სახე ზეციური სიხარულით ანათებდა. ეს სიხარული გადამედო მეც, ცოდვილს.

ჩვენი სახლში წასვლის დრო ახლოვდებოდა. პენსიაზე, საცხოვრებელ ადგილზე ზრუნვა და ერთი სარფიანი საქმე სახლისკენ მექანებოდა. სიმწარე და სევდა მაწვა გულზე. გაურკვეველობა მთრგუნავდა. მამაო ჩვენს დასალოცად გამოვიდა და იქ, სადაც ღვთისმშობლის „ღირს არსის“ ხატია დაბრძანებული და სადაც ჩვენ ველოდებოდით, მოულოდნელად ჩემს გვერდით კომოდზე ჩამოჯდა. დამახრჩვინა ჩემი განსაცდელებით სავსე თავი თავის მუხლებზე და თქვა: „ნუ ჭმუნავ, ბაგირის ქამრები თუ არ გაქვს. იფქლისა და ცაცხვის ლაფანი გაწყდა – შეეკარი და ისევ გაეექანე“. ხალხში ერთმა ქალბატონმა ვერ გაიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა და ჰკითხა: „ეს რას ნიშნავს, მამაო?“ ბერმა უპასუხა: „მიდიოდა მდიდარი ბატონი ეტლით. მას კარგი ცხენები ჰყავდა და საბელიც თასმისა ჰქონდა. მიდიოდა ღარიბიც. მას ცხენიც ცუდი ჰყავდა და საბელიც – ლაფნისა. ორივე თოვლის ქვეშ დამდგარ წყალში მოხვდა. ორივეს გაუწყდა საბელი. თოვლჭაპიდან ძლივძლივობით ამოსულმა ღარიბმა შეკრა თავისი ლაფანი და წავიდა წინ. მდიდარი კი ადგილზე დარჩა. ტყეების თასმები შესაკრავი იყო.“ ამ ამბის თქმით, მამაომ მიწინასწარმეტყველა ან განისაზღვრა ჩემი შემდგომი ცხოვრება. ამგვარადვე წარიმართა ის.

ოპტინიდან გამგზავრებისას მლოცავდა ბერი და მე ვუთხარი მას: „ერთი რამის მეშინია, მამაო: იმისათვის, რომ თქვენთან ხშირად ვიარო, საშუალება არ მეყოფა“. მამაომ მიპასუხა: „ჩემთან სიარულის საშუალება შენ ყოველთვის გექნება. შენ ჩვენთან ფეხითაც კი იქნე“. მაშინ ვერ გავიგე ეს და შევეწინააღმდეგე: „ფეხით? განა ეს ჩემთვის შეიძლება?“ თუმცა, ბერის სიტყვები ახდა. ყოველთვის

გამომიჩნდებოდა საშუალება წავსულიყავი ბერთან, უფრო ხშირადაც კი, ვიდრე ადრე დავდიოდი ოპტინაში. ამჟამად კი შამორდინოში ვცხოვრობ და ფეხით დავდივარ საფხულში მის საფლავზე, აგრეთვე ბერ იოსებთან. აი, რას ნიშნავდა ბერის სიტყვები: „ფეხითაც კი იყლი ჩვენთან“.

გამომშვიდობებისას ბერმა ესეც მითხრა: „თუ აყვანილი შვილის შესანახად (რომელსაც სწავლა უნდა დაესრულებინა) ოდესმე არ ბეჭოფა ფული – ჩემგან აიღე“. მე, ცოდვილმა კი მას ვუპასუხე: „არა, მამაო, უმჯობესია მომცეთ ბერული კურთხევა, რომ საკუთარი საშუალებები მუდამ მქონდეს ყოველგვარი აუცილებლობისათვის. მე ბევრი არ მინდა“. – „მაშინ, – თქვა ბერმა, – მომეცი შენი ხელი“. მეც გავიშვირე, ბერმა აკურთხა ჯვრის სახით ჩემი ხელები და თქვა: „რომ შენ არასოდეს შეგიწყდეს ფული! იმისათვის, რომ მე დამამშვიდე და იშვილე ის გოგო, მთავარანგელოზი მიქაელი იქნება შენი შემწე“. რვა წლის მერე მთავარანგელოზს მიქაელის ხსენების დღეს, 8 ნოემბერს, გარდაიცვალა ჩემი ქალიშვილი. ის სიკვდილის წინ დიდ ანგელოსებრივ სქემაში აღიკვეცა. მასზეც ბევრს მიწინასწარმეტყველებდა ბერი, მაგრამ მაშინ ვერაფერს ვიგებდი. ის ხშირად ხვდებოდა ჩემს ქალიშვილს სახარებისეული სიტყვებით: „ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან“ (ლუკ. X, 42). მამაო მას ხშირად ასე ეახლდა: „შენ ჩემი ვარდი ხარ, მაგრამ ყინვამდე“. მე კი ჩემი შვილის ცხოვრების მოწყობა მინდოდა და მამაო ასე მეუბნებოდა: „შენ მასზე ნუ ზრუნავ. მას თვითონ სელიური დედოფალი მოაწყობს“, და მრავალი სხვა.

მამაოს ლოცვითა და კურთხევით ღმერთმა ინება და შვილებთან ერთად კარგად მოვეწყვე. პენსიამდე ერთჯერადი შემწეობა მომცეს, რომლის აღება მეუღლის გარდაცვალებიდან ერთი წლის მერე შემეძლო და სახელმწიფო ფართი იმავე შენობაში, სადაც ადრე ქრის სიცოცხლეში ვცხოვრობდით. თავიდან სამი ოთახი გამომიყვეს. შემოდგომაზე წაველი ბერთან, რამდენიმე დღე გავჩერდი იქ და უკვე წასვლას ვაპირებდი. მამაომ სენაკში შემიყვანა, ცოტა ისაუბრა ჩემთან და ისე გავიდა გარეთ, რომ არაფერი უთქვამს – წავსულიყავი თუ დავლოდებოდი. გაურკვეველობაში ვრჩებოდი. უცბად

აჩქარებულად შემოვიდა ბერი და მნახა რა, უსიტყვოდ ძლიერ დამარტყა, ისე მკრა ხელი, თავი ველარ შევიკავე, თავი მივარტყი კარს და ფართოდ გავაღე კიდეც. საოცარია – დარტყმისაგან ტკივილი არ მიგვრძნია და გაკვირვებულმა შევხედე მამაოს, ვერ ეხვდებოდი რა დავაშავე. დავინახე ბერის საყვარელი და მხიარული მ'სერა. მეც გავიცინე და არც მიკითხავს ცემის მი'ზეზი, ისე გამოვედი იქიდან და გაველმგ'საერე შინ. მამაოს გამოცანის ახსნა სახლ'ში მელოდებოდა. ის, რომ სახელმწ'იფო სახლში კარგად მოეწ'ყვე და დამ'ეხმარნენ, შურიანებისა და არაკეთილმსურველებისთვის არ დარ'ჩენილა უ'ყურადღებოდ. ისეთი ამბავი შეთხ'ზეს ჩემზე, რომ ძლივს შევინარ'ჩუნე სახელმწ'იფო ბინა. მაგრამ ყველაფერს ნათელი მოეფინა და ზნეობრივი დარტყმა, რომელიც მე მივიღე, უკვალოდ, თითქოს, ჩემს სასარგებლოდ და სიცრ'უის შემთხ'ვეველთა დასაცინად დასრ'ულდა.

ამრიგად, პენსიამდე ერთჯ'ერადი დახმარებით და რაღაც განაყოდი ნივთების ფ'ულით ვცხოვრობდი. მალე ეს წ'ყაროც დაი'შრიტა. პენსიამდე ორ თვე ნახევარი რჩებოდა, მე კი სამი კაპიკილა მქონდა. ფ'ულის წ'ყაროც არსად და არავისთან მეგ'ულებოდა. შემეძლო მიმეწ'ერა მამაოსთვის და ის უარს არ მეტ'ყოდა, მაგრამ მე ხომ უარი ვთქვი ბერისაგან ფ'ულად დამარება'ზე, ამიტ'ომ უკანასკნელ უკიდ'ურესობამდე არ მინდოდა მისი შეწ'უხება. მოვიწ'ყინე, არ ვიცოდი რა მელონა. ფ'ეხით წავედი განსაკუთრებულად აღიარებ'ული სეციური დედოფლის სასწ'აულმოქმედ ხატთან, რომელიც ქალაქ'დან ათიოდე ვერსით იყო და'შორებ'ული და გადავწ'ყვიტე უკანასკნელი კაპიკით სანთელი შემეძინა. ივლისის ცხელი დღე იდგა. ძლიერ დავიქანცე და სალამოს, სახლ'ში დაბრ'უნებისას, გონება'ში ვთქვი: „მამაო! რატომ დამტოვე დახმარების გარე'შე? ხომ შემპირდი“. ამ დროს ვიღაცამ ურმით ჩამიქროლა. მე ჩაფიქრებ'ული ვიყავი და არც ძიმიქცევია ყ'ურადღება. მიველი სახლ'ში. ისიც მოადგა ჩემს სახლს და ერთად ავედით კიბე'ზე. ის ჩემი მეუღლის მეგობარი, ტ'ულელი მემამ'ულე აღმოჩნდა, რომელიც ორი წ'ელი არ მენახა. ძალიან დაცვალებული გახლდათ ჩემი მეუღლის წ'ინა'მე თავისი მდგომარეობით და გარკვეულწ'ილად მოვალეც იყო მისი. ის გაჭირვ'ით იყო და გადაწ'ყვიტა

ჩემთან შემოვიდა. ცოტა ხნით ჩამოვჯდა ჩემთან და თქვა: „თქვენ იცით, როგორი მეგობრები ვიყავით მე და თქვენი ქმარი და როგორ მიყვარდა ის! ჩვენი მეგობრობის სამახსოვროდ გთხოვთ მიიღოთ ჩემგან 50 მანეთი“. მე მადლობა შევსწირე მას და ამ 50 მანეთით ვარჩინე ბავშვები პენსიის მიღებამდე.

ჩემი მეუღლის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის მერე ლვიძლმა ძმამ შემომთავაზა მის გვერდით ცხოვრება. ის პენსიის მიღებამდე ოვითონ შემინახავდა და მითხრა: „სჯობს ჩემთან იცხოვრო, ვიდრე სხვებს ესესხებოდე და იკავებდე სახელმწიფო ბინას, რის გამოც შენ უკვე გქონდა უსიამოვნება“. მე უკვე არაფერს ვაკეთებდი ბერის კურთხევის გარეშე და მივწერე მას ძმის მიერ შემოთავაზებული წინადადების შესახებ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაო დაუყოვნებლივ აკურთხებდა ამ საქმეს. მიეიღე სასწრაფო პასუხი და გაოცებული დავრჩი. მან არ მაკურთხა, ძმასთან გადავსულიყავი და ესეც არ მაკმარა. მიბრძანა სასწრაფოდ გადავსულიყავი სამოთახიანიდან ერთოთახიანში, ორი ოთახი კი მიმეცა, რათა ამეკილებინა მომავალში უსიამოვნებები. ეერაფერს ვიგებდი. საშინელებად მომეჩვენა ყოველივე. დიდი ფართის მერე, რომელშიც ჩვენ ადრე ვცხოვრობდით, ეს სამოთახიანიც ვიწროდ მეჩვენებოდა. ახლა კი მამაოს განკარგულებით ჩვენ სამივეს ერთ ოთახში უნდა გვეცხოვრა. მოელი დღე ეტიროდი და ვდრტვინავდი (ცალიარებ ჩემს მცირედ სულიერებას) ბერ'ს, შემდეგ კი დავიწყე იმაზე ფიქრი, როგორ მოვწყობილიყავით ერთ ოთახში. და რა? როგორც კი დავიწყე ამა'ზე ფიქრი, ისე კარგად მოვიყიქრე და მოვაწყე. უკეთესად არ შეიძლებოდა. ეს ნოემბრის თვეში მოხდა, ხოლო მარტში ჩემი ძმა გარდაიცვალა. როგორი იქნებოდა ჩემი მდგომარეობა, სახელმწიფო ბინის დატოვების შემთხვევაში! ჩემი ძმის გარდაცვალებამდე ორიოდე კვირით ადრე გახლდით მამაოსთან ოპტინა'ში. უამრავი ხალხი იდგა მის წინ დაჩოქილი და ის გვლოცავდა. უცბად ჩემკენ შემოტრიალდა, რაღაც განსაკუთრებულად შემომხედა და მითხრა: „ფრთხილად იყავი, კარტი არ ითამაშო – ამის გამო შეიძლება მოკვდე“. გაკვირვებით ვუპასუხე: „მამაო! თქვენ იცით, მე არასოდეს ვთამაშობ კარტს და არც ვიცი თამაში“. მამაო თითქოს არც მისმენდა

და იგიეე გაიმეორა. მე ისევ ეუპასუხე: „არასოდეს მითამაშია, მარტო ბავშვობაში ვთამაშობდი „დურაკას“, ისიც ცუდად“. რას იზამ? მალე ჩემი ძმა კარტის თამაშისას ნერვიული დარტყმით გარდაიცვალა.

მე, ცოდვილს, მამაო ბეცერს მანუგეშებდა, განსაკუთრებით განსაცდელში ან კიდევ, როცა ვინმე მაწუხებდა. ერთხელ, ჩემი დაბადების დღის წინ, სულიერად არეული ჩამოვედი მასთან და გამოვითხოვე სიარების კურთხევა. ჩემი იუბილარობის შესახებ არ მითქვამს, ვიღაც სხვამ უთხრა. წინა დღით დამიბარა აღსარებაზე და თვითონ მომილოცა ხვალინდელი დღე და მითხრა: „თორემ დამავიწყდება, თქვენო ღირსებავ, მოლოცვა“. ერში ასე მეძახდა ის ხუმრობით. მეორე დღეს კი მასთან მისულს თვითონ მაჩუქა საკუთარი პორტრეტი, თავისი განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად.

ერთხელ სამიკე ჩამოვედით ახალი წლის შესახვედრად მამაოსთან. მან სამი ჭიხვედანის ხატი გვაჩუქა, მოგვილოცა ახალი წელი და მკვნებად დაგვიტოვა დილა-საღამოს სამ-სამი მეტანიის გაკეთება ამ ხატის წინ. პირველი მეტანიები იქვე ადგილზე გაგვაკეთებინა. ამასთან მან შემდეგი რამ მოგვითხრო: „ერთ კუნძულზე სამი მეუდაბნოე ცხოვრობდა და ჰქონდათ სამი ჭიხვედანის ხატი. ისინი უბრალო, გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ და უბრალოდ, თავისებურად ლოცულობდნენ: „თქვენც სამნი ხართ – ჩვენც სამნი ვართ, – შეგვიწყალეთ ჩვენ“. ისინი მუდმივად ამბობდნენ ამ ლოცვას. და აი, მოადგნენ ამ კუნძულს მოგზაურები და ბერებმაც სთხოვეს,მათთვის ლოცვა ესწავლებინათ. მოგზაურებმაც ასწავლეს „მამაო ჩვენო...“, შემდეგ გაცურეს ხლვაში თავისი გემით. ცოტაც გასცურეს და ნახეს, რომ სამივე ბერი წყალ-წყალ მირბის და ყვირის: „გაჩერდით – ჩვენ თქვენი ლოცვა დაგვავიწყდა“. ამის შემყურე მოგზაურები გაოცდნენ და გაუჩერებლად უთხრეს: „ილოცეთ,როგორც იცით“. ბერებიც დაბრუნდნენ და თავისი ლოცვა გააგრძელეს“. ამის მერე ბერმა მომსახურეს ფინჯანი მოაწანინა, რომელიც ახლახან აწუქა ვიღაცამ და მოგვცა ჩვენ, თან გვითხრა: „აი, თქვენ ეს ფინჯანი, სამივემ რიგ-რიგობით სვით აქედან“.

აქ რამდენიმე მონაწილი იმყოფებოდა შამორდინოს საკანიდან.

მამაომ იაკობ მოციქულის ეპისტოლის მესამე თავის კითხვა დაიწყო. თვითონ სეპირად წაგვიკითხა და განსაკუთრებული ყურადღება მის დასაწყისზე გაამახვილა: „ნუ მრავალნი მწოდებარით, ძმანო ჩემნო!“ (იაკ. 3-1), და ბოლოს თქვა: „სწავლა – ეს სამრეკლოდან ბატარა ქვების ჩამოყრაა, აღსრულება კი – დიდი ქვების სამრეკლოზე ატანა“. შემდეგ დაამატა: „კარგი იქნებოდა, ეს ეპისტოლე სეპირად ისწავლოთ და ყოველდღე წაიკითხოთ“.

ხშირად მომკიდებდა ხელს ნიკაპზე, მაგრად მომიჭერდა პირს და მეტყოდა: „გახსოვდეს მდუმარება“. არ ვიცი რას ნიშნავდა ეს სიტყვები, მაგრამ ჩემი ასრით დუმილს მირჩევდა.

ქალის სამკაულებს: საყურეებს, ბროშკებს, სხვადასხვა თავსაბურავებს რომ ვატარებდი, ვერ იტანდა. დაინახავდა თუ არა ჩემზე რაიმეს, გამოწევდა ხელს, ჩასჭიდებდა და ეწეოდა თავისკენ მანამ, სანამ მე თვითონ არ მოვიხსნიდი. ამრიგად, მე უკვე მივატოვე რაიმე სახის სამკაულის ტარება. სხვა მანდილოსნებს არაფერს ეუბნებოდა.

იმავე ვიზიტისას, უფლის ნათლისღების დღეს მიველით ბერთან. ის ნათლობის ტროპარის გალობით შეგვხვდა. ენახე ერთი მონასონი, რომელსაც მამაოს მფარველი ანგელოზის – წმინდა ამბროსის – მშვენიერად დაწერილი ხატი ჰქონდა. ძალიან მომინდა მეც მქონოდა ასეთი ხატი, თან მამაოც დამლოცავდა ამ ხატით. მაგრამ ფული (ჯოტა მქონდა დარჩენილი – მარტო სახლში დასაბრუნებლად მყოფნიდა. წავედი ჯიხურში ამ ხატის შესაძენად და გზაში ვფიქრობდი: „რაც არ უნდა იყოს – შევიძენ ხატს და როგორმე ჩავაღწევ. სახლში რომ მივალ, მერე გადავუხდი მეეტლეს გზის ფულს“. მამაოსთან ხატით დაბრუნდი კურთხევის ასაღებად, მან მითხრა: „როგორ იქნება ეს ჩემი კურთხევა, როცა ხატი შენ თვითონ იყიდე? რაც არის ეს არის – წადი ჯიხურში და უთხარი ეს ხატი ჩემს სახელზე ჩაწერონ, მე კი როგორმე გადავიხდი“. ასე მაკურთხა მამაომ მისი მფარველი ანგელოზის ხატით. აი, ასეთი მჭერეტელი გახლდათ ის!

ჩემი სიტყვების საპასუხოდ: „ქველაფრით კმაყოფილი ვიქნებოდი, მაგრამ თქვენ, მამაო, შორს ხართ ჩემგან“, – ბერმა მითხრა: „ჩემი ახლობლები შორს დადგნენ ჩემგან. ახლოსაა და მოლიპულია, შორსაა და ღრმაა“.

ერთხელ ოპტინიდან ჩემი გამგზავრებისას ძალიან გამიძნელდა ბერთან განშორება. დავსხედ, რომ იმ დღეს მამაო თავს სუსტად გრძნობდა. ბოლო დროს აკვიატებული მქონდა ა'სრი ბერის სიკვდილზე. ყველაზე მეტად კი იმის მეშინოდა, რომ ეს ჩემი თანდასწრებით არ მოხდებოდა. მივედი მამაოსთან გამოსამშვიდობებლად. არც გამიბედია „სიკვდილის" ხსენება, მხოლოდ ეს ვთქვი: „მამაო! თქვენგან წასვლისას მუდამ იმის შიში მაქვს, რომ ეს უცემოდ მოხდეს". ბერი მაშინვე მიხვდა ჩემს ჩანაფიქრს და ასე მიპასუხა: „არა,არა,მშვიდად იყავი – შენი თანდასწრებით იქნება". ამ ლაპარაკიდან ორი წლის მერე აღსრულდა კიდეც მისი ნათქვამი. ღმერთმა ღირსი გამხადა, ბერის აღსასრულის ჟამს მის სენაკში ვყოფილიყავი.

ერთი წლის მერე ბერი ძლიერ ავად გახდა. სახლში ვიმყოფებოდი და მისი ავადმყოფობის შესახებ რომ გავიგე, ძალიან განვიცადე და ველელავდი. მისი ჯანმრთელობის შესახებ წერილებით და ტელეგრაფით ვიგებდი. ჩასვლა არ შემეძლო. ბერის მიერ დავალებული ერთი საქმე მაკაკებდა. დიდმარხვის მესამე კვირაში გავთავისუფლდი, როცა ბერი უკვე ოდნავ უკეთ გრძნობდა თავს. მე შვილთან ერთად ჩავედი ოპტინაში. გვიან საღამოს მიგვიღო ბერმა. ის უკვე იწვა. მამაოს რომ შევხედე, შემეშინდა, იმდენად ჰქონდა სახე შეცვლილი. უნებლიედ გადმოვლვარე ცრემლები. მამაო შემდეგი სიტყვებით შემხვდა: „ოჟნდ ცურვით, მაინც მიხვალ". ამით მან წყალდიდობის გამო მგზავრობის სიძნელე განსაზღვრა. შემდეგ გააგრძელა: „ბრიყვები! მაინც გამომითხოვეს ლოცვით, თქვენთვის ისევ ვიცოცხლებ". მე მის გვერდით ჩავიმუხლე და ვთქვი: „დიდება ღმერთს, მამაო!" მან კი მიპასუხა: „ბრიყვო! მე ხომ მიმძიმს, შეუძლებელი ხდება სიცოცხლე". ვერაფერი ვუპასუხე. ის ყოველივე ამას უკმაყოფილო ტონით ამბობდა, ეტყობა იმისთვის, რომ ტირილი შემეწყვიტა. უნებლიედ მომდიოდა ცრემლი. ბერი კი აგრძელებდა: „რისთვის ჩამოხვედი? ავად ვარ, არაფერი შემიძლია". – „იმიტომ ჩამოვედი, რომ თქვენ ავად ხართ". ჩემმა ქალიშვილმა კი დაამატა: „მამაო, დიდი მარხვაა და ხიარებისთვის მომზადება შეიძლება". – „რას იზამ? – თქვა ბერმა, – მე ყველა სულიერი შვილი მამა იოსებს

გადავეკი. თქვენც იმასთან მიდით აღსარებაზე". მე ჩავწვდი საქმის არსს და მალევე ვუპასუხე: „მამაო, მე ახლახან, ყველიერის წინ ვეზიარე; დაველოდები, შემიძლია, წმინდა მარხვის მერეც ვეზიარო". — „რატომ უნდა გადადოთ? — თქვა მან, — წადით. დილა საღამოზე უფრო ბრძენია", — და გაგვიშვა. მთელი ღამე ეტიროდი და ელოცულობდი, რომ ღვთისმშობელს შთაეგონებინა ბერისთვის, არ გადაეცა თავის სიკოცხლეში სხვა მოძღვრისთვის ჩემი თავი.

დილით მწუხარება მომემატა. ერთი მონახსონი, რომელიც მამა ამბროსის სულიერი შვილი იყო, შემოვიდა ჩვენს ნომერში და მითხრა, რომ მან უკვე ჩააბარა მამა იოსებს აღსარება. მან თავისი დაცინვით მატირა კიდეც. ვერავის ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ თავსაც ვერ ვთოკავდი. რამდენადაც შეიძლებოდა გამოვეკეთდი და წავედი ბერთან. სენაკში შესულმა მუხლმოდრეკაც კი ვერ მოვასწარი, რომ ბერმა საჩქაროდ ლოგინის ირგვლივ, სადაც იწვა, რაღაცის ძებნა დაიწყო. ბალიშის ქვემოდან კაბა, ოლარი, სამაჯურები აიღო, სასწრაფოდ შეიმოსა და მითხრა: „კარგი ბრიყვო, თქვი ჩქარა აღსარება, მხოლოდ არავის უთხრა, რომ მე ჩავიბარე. თუ გკითხეს, რიგით ჩააბარეო, — უთხარი, როგორც ყველა დანარჩენებმა-თქო. შენ ვერ სხვა მოძღვარი არ გეყოლება". წუხილი დიდი სიხარულით შეიცვალა ჩემში. როგორც კი აღსარება ჩაიბარა და შენდობის ლოცვის წაკითხვა დაიწყო, მამა იოსები შემოვიდა მასთან, რადგან კარი ჩაკეტილი არ იყო. შევკრთი. ხელურბლზე მამა იოსები გამოსინდა. მიხვდა, რომ ბერი თავისი დიდი სიყვარულით ჩემს უძლურებას შეეხიდა. მან თავი გააქნია, გაუღიმა ბერს, მხოლოდ სელი ჩაიქნია და გაშორდა იქაურობას. მამა ამბროსის თითქოს დამნაშავის გამომეტყველება ჰქონდა ამ მომენტში. ცივრე გავიგე, თურმე ექიმმაც აუკრძალა და არქიმანდრიტმაც სთხოვა, რომ კამოჯანმრთელებამდე აღსარებები არავისგან მიეღო.

შენდობის ლოცვის წაკითხვის შემდეგ მამაომ სერიოზული სახე მიიღო, შემომხედა თავისი განსაკუთრებული (შინაგანი ცეცხლით ანთებული) გამოხედვით და მითხრა: „გესმის? წადი შენ მამა იოსებთან". მე გაურკვეველობის გამო ღიმილით ვუპასუხე: „აწი რისთვის მივიდე მასთან?" მაგრამ მამაომ კიდევ გაიმეორა:

„გესმის? მე შენ გეუბნები: თუ გინდა, მიდი მამა იოსებთან. მე ყველა სულიერი შვილი მას გადავეცი“. მე ისევ ვერაფერს მივხედი და ვფიქრობდი: რისთვის მივიდე მასთან და რას ვეტყვი მას? მამაომ ისევ დამიძახა და მესამედ გამიმეორა, მაგრამ ისე სწრაფად, რომ სახიდან ღიმილი გამიქრა: „გესმის? მე შენ გეუბნები, მიდი მამა იოსებთან“. და მისთვის ჩვეული სიმდაბლით დაამატა: „მე წყლიან ღვინოს გასმევდით, ის კი სუფთა ღვინოს დაგალევინებთ“. იქიდან გამოსულმა მამა იოსების ძებნა დავიწყე, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ვერ ვნახე. ალმოჩნდა, რომ ის ბერმა მონასტერ'ში გაგ'საგნა და ჩემი აღსარებისას კურთხევის ასაღებად იყო შემოსული. მამაოს ძებნაში შემთხვევით ბელევოს მონაზონს შევხვდი, რომელიც მამა ამბროსის სულიერი შვილი გახლდათ. მან გამომცდელად შემომხედა და მკითხა: „თქვენ აღსარება ვისთან თქვით?“ საბედნიეროდ, ბერმა მასწავლა, როგორ უნდა მეპასუხა და მ'შვიდად ვუთხარი: „როგორც ყველამ“. ტყუილი არ მითქვამს: ჩვეულებრივი აღსარება იყო, როგორც ყველასი. ჩემი პასუხით ისიც კმაყოფილი დარჩა.

კიდევ რამდენიმე სასწაულ'ზე და წინასწარხედვა'ზე მინდა მოგითხროთ.

ერთხელ ჩამოვედი ოპტინაში ბერთან. ჯერ კიდევ არ ვიყავი მომწიფებული მონასტერში დარჩენისთვის, არც ვფიქრობდი. შვილები და საქმეები მაკავებდნენ. მათთან ვმალავდი იმას, რომ მონასტერ'ზე ვფიქრობდი. საერთო კურთხევა'ზე გამოსულმა ბერმა შემხედა და თქვა: „მონასტრის შესახებ ერთი-ერთ'ზე საუბარია საჭირო“. შემდეგ ჩამოიარა, შუბლ'ზე ხელი გადამისვა და თქვა: „შუბი ხალთაში არ დაიმალება“. თავიდან ვერაფერი გავიგე და ვიფიქრე, რომ მამაო რაღაცას ჩემს ცოდვებ'ზე მეუბნებოდა. საღამოს დამიბარა და არ მახსოვს, მკითხა თუ შემომთავა'ა რაღაც საქმე. მე შემ'შინდა და ვთქვი: „არა, არა, მამაო, მე თქვენ გამოგცვებით“. – „აჰა, მე გამომცვები, მიდი ჩემთან ჯვარი გადაგასახო“. ბერმა დიდი ჯვარი გადამასახა. ამჯერად ვთქვი მასთან ყველაფერი, რაც გულ'ში მაწუხებდა. წასვლისას ისევ დამიძახა და მითხრა: „მომიახლოვდი, მე შენ კიდევ ერთხელ დაგლოცავ“. ბერს მხიარული სახე ჰქონდა და აქცე დაავალა ერთ მონაზონს, მის მაგიერად გავეცილებინეთ ჩემს შვილებთან ერთად.

კიდევ ერთი შემთხვევა გადამხდა. ჩემს ქალიშვილთან ერთად უნდა წავსულიყავი ოპტინიდან. ოქტომბრის ბოლო რიცხვები – ყველაზე ღრმა შემოდგომა იდგა. წვიმიანი ამინდი იყო, ტალახიდან ვერ ამოძვრებოდი. მამაო რალაცით დაკავებული იყო და მხოლოდ დღის ორ საათზე მიმიღო. სიმართლე გითხრათ, ასე გვიან უკვე აღარ ვაპირებდი გამგზავრებას, მაგრამ მამაომ შემხედა და თქვა: „თუ არ შეგეშინდებათ, ღმერთი გიკურთხებთ მგზავრობას“. მე ვუპასუხე: „თუ თქვენი კურთხევა იქნება, არაფრის შემეშინდება“. ამრიგად, გავემგზავრეთ სამის წუთებზე საფოსტო ცხენებით და თითქმის კალუგამდე, ანდრეევსკის სადგურამდე მივაღწიეთ. წვიმამ იმატა. ასეთი წყვდიადი ჩვენთან მხოლოდ შემოდგომაზე იცის ხოლმე, თუმცა შვიდი საათი თუ იქნებოდა. აქ ცხენები არ იშოვებოდა, საჭირო იყო ლოდინი ერთი საათით. უამინდობის, უგზოობისა და ღამის გამო სტაროსტა არ გვიშვებდა. ამ სადგურიდან კალუგამდე განსაკუთრებით ცუდი გზა იყო (ახლა იქ გზატკეცილია). მაგრამ ჩემი პასუხი ასეთი იყო: „მე არ მეშინია. თუ თქვენ ვერ მიგყავართ – ეს სხვა საქმეა“. წაგვიყვანეს. ტყეში რომ შევედით, გზას კი არა, ეტლში შებმულ ცხენებსაც ვერ დაინახავდი, რომელთაც ჩვენ მიგყავდით. მეეტლემ ბურდღუნი დაიწყო და გვაშინებდა ვირკოთი (ასე ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც წყაროებსე ხიდია გადებული). ამბობდა, რომ ხიდის მიგნება სიბნელის გამო ძნელი იქნებოდა. მე ისევ ვუთხარი მას: „თუ გეშინია – დაბრუნდი“. გავაგრძელეთ გზა. ეგრეთ წოდებული ვირკუ მშვიდობიანად გაეიარეთ, მაგრამ მალე მოულოდნელობა დაგვატყდა თავს. კალუგის შესასვლელთან ოთხი ვერსის მანძილზე, გზის ორივე მხარეს ტყეა. უცბად ქალაქის სიახლოვეს პოლიციელების მსგავსი სტვენა გავიგეთ. შევცბით. საპასუხოდ მეორეჯერ გაისმა ასეთივე სტვენა, შემდეგ მესამეჯერ. ყველაფერი გასაგები გახდა. ვილაცა გზას უახლოვდებოდა. ჩვენ ნელი ნაბიჯით მივდიოდით. ეუვნებსა და ზარს პატარა ხმა ჰქონდა. მეეტლემ ჩვენთან ერთად პირჯვარი გადაიწერა. ვიფიქრე ჩემთვის: „იშობლიურო მამაო! რატომ გაგვიშვი ამ ღამეს?“ ისმოდა, რომ ვილაცა გვიახლოვდება. ამ დროს უკნიდან გაისმა ზარების ხმა, ვილაცა მარდად მოდიოდა. აღმოჩნდა, რომ ესტაფეტა დაგვეწია

ყველაზე საშიშ მომენტში. სამიეემ მადლიერებით გადაიწერეთ პირჯვარი და გადავრჩით.

სხვა დროს, დიდმარხვის მეხუთე შვიდეულში ოპტინაში წასასვლელად მოვემზადე უფროს ქალიშვილთან ერთად. უმცროსი კი ჩემს კარგ ნაცნობებთან რჩებოდა, რადგანაც ის ჯერ ისევ სწავლობდა. ძალიან მსურდა აღდგომის შეხვედრა ბერთან. ბავშვებს ჯერ არ ეუმხელდი ჩემს სურვილს და ღვთის ნების იმედი მქონდა. თუმცა მათ ისეთი განსაცდელები ჰქონდათ, რომ ძალიან არ უნდოდათ ეს. მე სააღდგომოდ უმცროსის ოპტინაში წაყვანაზეც ვფიქრობდი. ბერისთვის არ გამიმხელია ჩემი ჩანაფიქრი. სამი დღეც არ გასულა და ისე დათბა, რომ მდინარეში ყინული დაიძრა. მეგონა, აქედან ვერ წავიდოდი და გულში ვსეიმობდი. შაბათს ვეზიარეთ, მაგრამ სალამოს მამაომ დამიძახა და მოულოდნელად მითხრა: „ახლავე გააგზავნე საფოსტო ცხენებზე, ხვალ ადრე უნდა წახვიდე!“ მე ვუთხარი: „მამაო! ფოსტა ჩერდება. მგზავრობა შეუძლებელია, როგორც ბორბლიანზე, ასევე მარხილებზე“. მაგრამ მამაომ მკაცრად მითხრა: „თქვენც არ დაუჯეროთ! თქვენ ხომ დაიხრჩობით. ახლავე გააგზავნეთ! წადით“. მამაოს გადაწყვეტილებით შეწუხებულნი და გაკვირვებულნი საჩქაროდ მოვემზადეთ წასასვლელად. ჩემს შვილს დარჩენის სურვილი ჰქონდა. გამოგიტყდებით, წასვლის მეშინოდა და მთელი ღამე ვტიროდი. თუმცა დილით ადრე გავემგზავრეთ. გზის მთელი სიძნელის აღწერა არ შემიძლია. მივდიოდით ბორბლიანითაც და მარხილებითაც. სოფელ კოუემიაკინოში, წისქვილთან ჯებირი იყო გარღვეული. ირგვლივ უზარმაზარი სივრცე იყო დატბორილი წყლით. როცა ჩვენი სამცხენა ხიდს მიუახლოვდა, ყველა ჩვენ გვიყურებდა. ის მთლიანად წყლით იყო დაფარული, მხოლოდ მოაჯირის ერთი ჯოხილა ჩანდა. მეეტლეს ხიდზე მოხვედრა უნდა მოეხერხებინა. გვითხრეს, რომ მხოლოდ ახლა, ჩვენი მოსვლის წინ დაფარა ხიდი წყალმა. მეეტლემ ფიცარი მიამაგრა მაღალ სახურგეზე და ზედ დაგვსვა. ჩემი შვილი აცოცდა ფიცარზე და ფეხებაწეული გვერდულად დაჯდა. მე ასე არ შემეძლო და პირდაპირ დავჯექი. ჩვენი ნივთები ურმის კოჭობზე დადეს. მამაცი ხალხია რუსები. მეეტლემ პირჯვარი გადაიწერა, ლაგამი მოსწია, გაუტყლაშუნა

ცხენებს და უფსკრულში გადაეშვა. მე თვალები დავხუჭე და დაშვებული ფეხების მოკეცა დამავიწყდა. წყალი და ყინული მოაწვა ურემს და ფეხები მუხლებამდე დამისველდა. გამოცდილი მეეტლის მიერ მართულმა ცხენებმა გამოგვტაცეს ამ უფსკრულს ბერის წმინდა ლოცვებით. გაეაგრძელეთ გზა. კოუემიაკინიდან ქალაქ პერემიშლამდე 8 ვერსია. მთელი გზა გაუსაფხულის ძლიერი ქარი უბერავდა და მე სველი ვიყავი. როცა პერემიშლამდე მივაღწიეთ, ფეხებზე ყინულის ლოლუა გამიჩნდა, რომელიც ფუნდუკის დიასახლისმა ძლივს მომაშორა. ნივთები სულ დასველდა. გამოსაცვლელი არაფერი მქონდა. ფეხები მიხურდა გაყინვის ნაცვლად. არ გავციებულვარ, სურდოც კი არ მქონდა. მთელი ღამე ღრმად მეძინა. დილით გავაგრძელეთ გზა. მდინარე ოკა უნდა გადაგვეველახა. ექვსიოდე ვერსი უხარმაზარი სახელმწიფო ნავით გადავცურეთ. მენიჩბეები ყინულის ნატეხებს იგერიებდნენ, რომლებიც მდინარეს მოჰქონდა. კალუგასთან ახლოს ვერც ერთი სახაზინო ნავი ვერ ვნახეთ, რომ გადაგვეცურა. მდინარე უგრის ძლიერი ყინული მოჰქონდა და ბორანი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. გადაეწყვიტეთ, პატარა კერძო ნავით, ეგრეთ წოდებული „დუშეგუბკით“ გადაგვეცურა, რომელსაც რამდენიმე მენიჩბე მამაკაცი ჰყავდა. ჩვენ ვიფიქრეთ: „თუ უფალმა მამაოს ლოცვებით იქ გამოგვიყვანა,მაშინ უეჭველად აქაც გავალთ ფონს“. ეს გადასასვლელი უკანასკნელი და თითქმის ყველაზე საშიში იყო. ერთ ვერსზე მეტი დინების საწინააღმდეგოდ უნდა გვეცურა, შემდეგ დრო რომ მოგვეგო და ყინულის ნატეხებს შორის დინების მიმართულებით მოგვებრუნებინა ნავი. ღმერთმა სალ-სალამათი გადაგვიყვანა და ჩამოვედით კალუგაში. შემდეგში, როცა ბერთან ჩავედი და მოვუყევი ამ მგზავრობის სიძნელეები, მან მითხრა: „შენ წინასწარ უნდა მამცნო შენი სურვილები – მე ყველაფერს მოგიწყობ“.

ქრისტეშობის დღესასწაულისთვის მე და ჩემი შვილები ოპტინაში ჩასასვლელად ვემზადებოდით. თვითონ უკვე არ ვჭამდი ხორცს, მაგრამ ბავშვები მეცოდებოდა, დასუსტების მეშინოდა. იმასაც ეფიქრობდი: შეიძლება ინანონ, რომ სადღესასწაულოდ სახლში არ დარჩნენ-მეთქი. საცდურის ასაცილებლად თან შებოლილი

ლორის საუკეთესო ნაწილი წავიღე, ვიფიქრე, ჩუმად ცოტ-ცოტას მივცემ-მეთქი. ჩასვლისთანავე ვაუწყე ბერს ამის შესახებ. მან კი მითხრა: „არასოდეს წამოიღო მონასტერში ხორცი. ერთმა წამოიღო, ხორცში ტრიხინა გაუჩითარდა და ისიც მოიწამლა“. იქიდან დაბრუნებულმა შვილებს ვუთხარი: „შვილებო, სამი დღე მოითმინეთ, ჩასვალთ სახლში და შეჭამთ ხორცს“. სახლში ჩამოსულებს კი მატლების მიერ შეჭმული ხორცი დაგვხვდა და გადავყარეთ.

მონასტრის სენაკებში ყოფნის ჟამს ვნახე, რომ ყველა ხის ჯვარს ატარებს ჯვარცმით. მეც მოვინდომე ასეთის ყიდვა. ამგვარად შევიძინე ოპტინაში ძალიან კარგი ჯვარი. მივიტანე ბერთან და ვთხოვე, დაეკურთხებინა ამ ჯვრით. მამაომ აიღო ჯვარი ხელში, ისე ძლიერად დამარტყა თავში, რომ წარწერა „იესო ქრისტე“ მოტყდა და ვთქვი: „რა ცუდია, რომ ნაწილი მოტყდა!“ ვნახე, რომ განსაკუთრებულად მაკვირდებოდა ბერი. ავიღე ნატეხი და მივადე იმ ადგილზე, საიდანაც მოტყდა. ვიფიქრე, სახლში მივაწებებ-მეთქი, მაგრამ მამაომ დაუინებული მკერით თვითონ მიეწება. აი, უკვე მრავალი წელია ამ ჯვარს ვატარებ და მთლიანად ჩამოსხმულივითაა. რამდენი იარა ამ ჯვარმა ჩემთან ერთად, ხშირად იერლიაშიც კი ვიდებდი, მაგრამ ეს ნატეხი არასოდეს მომძერალა, ასე მტკიცედ მიაწება მამაომ თავისი გამოხედვით.

1890 წლის გაზაფხულზე ჩამოვედი და აღსარების სათქმელად უნდა მივსულიყავი მასთან. მითხრეს, რომ მამაომ მიიღო დეპეშა ვორონეჟის მღვდელმთავრის – მეუფე ბენიამინის[81] გარდაცვალების შესახებ. მან ხალხის მიღება შეწყვიტა და ორ საათამდე ყველა გაუშვა. მეც წავედი. ორ საათზე მოვედი ბერთან. მან აღსარებაზე დამიძახა. მე მუხლი მოვიდრიკე და ვთქვი: „მამაო! თქვენ სამწუხარო ცნობა მიიღეთ – თქვენი საყვარელი მეუფე გარდაიცვალა“. – „დიახ,– მიპასუხა ბერმა,– ორმაგი განსაცდელია: ეს გარდაიცვალა, ჩვენსას კი გადაიყვანენ ვორონეჟის ეპარქიაში“. მე გავშეშდი. ჩვენი მეუფე ძალიან მიყვარდა. ის ძალიან დამეხმარა აყვანილი შვილის

[81] მეუფე ბენიამინთან დიდ ხნის სულიერი ურთიერთობა ჰქონდა მას ამბროსის: მუდმივად ჰქონდა მიმოწერა მასთან; ამ მღვდელმთავრის სურვილის გამო ბერი ხშირად უგზავნიდა ოპტინის მონასტერში გამოცემულ წიგნებს.

გამართლმადიდებლებაში. შემპირდა, რომ გამოცდებზეც დაიცავდა ერთი მასწავლებლის რისხვისგან. ბერის წინასწარხედვას ვერ მივხვდი და გაკვირვებულმა ვკითხე მას: „ამაზე უკვე ლაპარაკობენ?“ – „დიახ,– მიპასუხა მან და მიბრუნდა,– დადის ხმები. იქ კარგი მეუფეა საჭირო, ხოლო ასეთი სხვა არავინაა“. მე ჩემი ნათლული მაწუხებდა და ვიკვნესე: „ღმერთო! ვინ დაეხმარება მას?“ – და მისი სახელი ვთქვი. მამაომ მტკიცედ მიპასუხა: „მეუფე თვითონ დაეხმარება“. მე მისგან გაოგნებული გამოვედი. რას ამბობს ის: ჩვენს მეუფეს გადაიყვანენ, თვითონვე დაეხმარება გამოცდებზე, რომლებიც გვიან ივლისის თვეში მთავრდებოდა, ჯერ კი ადრეული გაზაფხული იყო. რამდენიმე ხანში კი პეტერბურგიდან დეპეშა მოვიდა ყოვლადწმინდელოესი ანასტასის ვორონეჟის ეპარქიაში დანიშვნის შესახებ. ამას არავინ ელოდა, მაგრამ წინასწარმეტყველი მამა ამბროსის ნათქვამი ზუსტად ახდა. ჩემს შვილსაც მეუფე ანასტასი დაეხმარა და გადაიყვანეს კიდეც ვორონეჟში“.

აქ ამ ქალბატონის თხრობა წყდება, რადგან სხვებს მიეცეს საშუალება მამა ამბროსის ცხოვრების აღწერისა.

VII თავი

შამორდინოს პირველი წინამძღვრის სოფიო მიხეილის ასული ასტაფიევას გარდაცვალება და მისი მემკვიდრე

კარგა ხანია აღარ გვისაუბრია შამორდინოს დედათა მონასტრის შესახებ, რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ბერმა ამბროსიმ დააარსა და მისგან განსაკუთრებული შემწეობა გააჩნდა.

ადრე უკვე ვთქვით, რომ როდესაც შამორდინოს მამულის მემკვიდრენი, დები კლუჩარევები გარდაიცვალნენ, 1883 წელს მონასტრის დაარსებამდე წმ. ამბროსის განკარგულებით იქ კორპუსების მშენებლობა დაიწყეს, სადაც ცხოვრება შეეძლოთ მათ, ვისაც ამ მამულში დამკვიდრება სურდა. მონასტერი 1884 წლის შემოდგომაზე გაიხსნა და მისი პირველი წინამძღვარი გახდა სოფია მიხეილის ასული ასტაფიევა. თუმცა იგი დიდხანს არ ყოფილა წინამძღვრად – სულ სამ წელზე ოდნავ მეტი ხნით. იგი იყო გონიერი ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა, როგორც სულიერ, ისე სამეურნეო ცხოვრებას და მთელი სულით და გულით ერთგულებდა ბერ ამბროსის. იგი წმ. ამბროსის უშუალო ხელმძღვანელობით დაადგა მონაზვნურ ცხოვრებას და მთელს სავანეში ყველაზე მძიმე მორჩილების ღვაწლი იდო თავს. ის, რომელიც ბავშვობიდანვე ფუფუნებაში ცხოვრობდა და საერთოდ არ იცოდა ფიზიკური შრომა რა იყო, ახლა თავს არ ზოგავდა და უმძიმეს შრომას ეწეოდა. იგი წვიმიან, ცივ შემოდგომისას დილიდან საღამომდე დადიოდა მთელს სავანეში, თვალყურს ადევნებდა მონასტრულ საქმიანობას და მხოლოდ ღამით ბრუნდებოდა თავის სენაკში – მთლად სველი და გათოშილი. ამგვარმა ცხოვრებამ მას მალე შეუარყია ჯანმრთელობა. იგი თანდათან სუსტდებოდა და სანთელივით დნებოდა. ბოლოს, 1884 წლის 24 იანვარს მან ღვაწლმოსილი დედის მარადი ძილით მიიძინა და ყოველადმოწყალე უფლისაგან მისი ღვაწლისა და შრომის შესაბამისი საზღაური მიიღო. მოგვიანებით ბერი ამბროსი განსაკუთრებული თბილი გრძნობით ხშირად ამბობდა: „ჰოი, დედაო, შენ უფლის წყალობა მოიპოვე“.

ბერი ამბროსის ლოცვა-კურთხევით სოფია მიხეილის ასულის შემდგომ შამორდინოს საეანის წინამძღვარი გახდა ბელევის სტავროპიგიალური მონასტრის მონასონი ევფროსია როსოვა, რომელიც დღესაც იქ მოღვაწეობს. მას'ხეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. იგი სულიერი ცხოვრებისა და წმ. ამბროსისადმი ერთგულებით სოფია მიხეილის ასულის ღირსეული მემკვიდრე იყო. წმ. ამბროსის მოძღვრობის მთელს პერიოდში, 1860 წლიდან 1891 წლამდე იგი მისი ყველა'ზე ერთგული და გულწრფელი მოწაფე გახლდათ. ბელევისა და ოპტინის სიახლოვე (40 ვერსი) მას საშუალებას აძლევდა ხ'შირად მოენახ'ულებინა მოძღვარი, აეხსნა მისთვის საკუთარი განცდები, გაე'სიარებინა ეჭვები და მოესმინა დარიგებები, თუ როგორ უნდა მოქცე'ულიყო ამა თუ იმ შემთხვევაში; იგი ცდილობდა მუდამ საკუთარი ნების უარყოფით ეცხოვრა და ყოველივე მოძღვრის ნების მისედვით და ლოცვა-კურთხევით აღესრულებინა. მას მოძღვრის ყოველი სიტყვა ესმოდა, რომელთაც იწერდა კიდეც, რათა მეხსიერებიდან არ ამოვარდნოდა. იმის დასტურად, თუ როგორ მოძღვრავდა წმ. ამბროსი ევფროსიას, მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს მისი ჩანაწერებიდან, სადაც საუბარია საეკლესიო და სენაკური დღისა და ღამის ლოცვების, ძილის, წიგნების კითხვის, სა'სრდოსაგან თავის შეკავებისა და მოყვასის არგანკითხვის შესახებ, რადგან ადამიანში ყოველგვარი ბოროტებისა და ცოდვების მი'სე'სი ამპარტავნებაა.

მოძღვარი თავის მოწაფეს თავმდაბლობის, მოყვასის სიყვარულისა და უბრალოებისაკენ მოუწოდებდა.

აი, მისი გამონათქვამები[182]:

„მწ'უხრ-ცისკრის დაწყებამდე 8 წუთის განმავლობაში საღამოს ლოცვები უნდა იკითხო".

„როდესაც მწ'უხრ-ცისკრის ლოცვის შემდგომ მოვლენ შენს სენაკში, წამოდექი, სანთელი აანთე და უთხარი: მოდი, დაო ბარბარე, წაიკითხე საღამოს ლოცვები რიგრიგობით. ამით გადააჩვევ მას შენს სენაკში სიარულს".

„როდესაც დასაძინებლად დაწვები, საწოლს და სენაკს ჯვარი

[182] ეს მეექვსე მოთხრობაა მისი სამოძღვრო ხელნაწერიდან.

გადასახე და თქვი ლოცვა – დაე,აღმადგინოს ღმერთმა“.

„ძილად მისვლისას და დილით ადგომისას სხეულის ყველა ნაწილს შეიძლება ჯვარი გადავსახოთ: გულს – სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, სხეულის სხვა ნაწილებს კი ლოცვით – უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

„ექვს საათს გეძინოს, თუ მეტს იძინებ, მოინანიე“.

„შეგიძლია, სამონასტრო კაბით შემოსილს გეძინოს და არაფერი დაიფარო. სიწმრებს ნერავის მოუყვები“.

„სიწმრად არაფრის ნახვა არ ისურვო, თორემ „რქიანს“[80] იხილავ“.

„როცა გაიღვიძებ, თავდაპირველად პირჯვარი გადაიწერე, რა მდგომარეობაშიც იქნები დილით, მთელი დღე ასე გასტანს. ამას წმ. იოანე კიბისალმწერელი ბრძანებს“.

„დილით, როდესაც გაიღვიძებ, თქვი: დიდება შენდა ღმერთო. მამა მაკარი ყოველთვის ამას ამბობდა, და არ უნდა გაიხსენო განელილი ღამისეული სიზმრები“.

„როდესაც ტაძარში წასვლას ვერ ახერხებ (არადა ეს აუცილებელია), მაშინ ცისკრის ლოცვის ნაცვლად დილის ლოცვები აღაელინე, ასევე 12 გამოკრებილი ფსალმუნი და პირველი ჟამნი, ხოლო მწუხრის ნაცვლად – მესამე და მეექვსე ჟამნი“.

„დილის ლოცვების კითხვისას არავითარი საქმე არ აკეთო, იარე ყველა მსახურებაზე, შენ ხომ უანგარიოდ გკეებავენ. ანტონი დიდმა იხილა ანგელოზი, რომელმაც უჩვენა მას, თუ როგორ უნდა იცხოვროს ბერმა – ხან ილოცოს, ხან იშრომოს, ხოლო მუშაობის დროს „უფალო შეგვიწყალე“ წარმოთქვას“.

„უდებებით დროის ტარება ცოდვაა. საეკლესიო მსახურებაც და შრომის წესიც ცოდვას განგვაშორებს. და ყურად იღე, უფალმა არ დაგსაჯოს ამისთვის“.

„საეკლესიო მსახურებას გამუდმებით უნდა დაესწრო, თორემ სნეული იქნები, უჯალი ამ სნეულებისათვის სჯის ადამიანებს, ხოლო, როდესაც ეკლესიაში დადიხარ, ჯანმრთელი და სულიერად ფხიზელი იქნები. მამა მაკარის მსგავსად, თუ ავად გახდით, მაინც

[80] იგულისხმება ეშმაკი

წადით ეკლესიაში, ჩამოჯექით, შემდეგ მღვდელმთავრის სენაკში შედით, თუ იქ ადგილი არ იყო, გადადით მამა ფილარეტის სენაკში, და თუ ჩათვლით, რომ არ ძალგიძთ კვლავ დარჩეთ ეკლესიაში, პირჯვარი გადაიწერეთ და წადით, და თქვენ თავს ყველაფერში ნუ ერწმუნებით“.

„როდესაც ეკლესიაში მიდიხარ, ან იქიდან ბრუნდები, უნდა წარმოთქვა „ღირს არსი“, ხოლო ტაძარში შესვლისას საჭიროა სამგზის თაყვანისცემა: „ღმერთო შემიწყალე“.

„როდესაც საეკლესიო მსახურება'ზე სიარულს დაიწყებ, სულიერ სიფხიზლეს მოიპოვებ“.

„კათიზმოსას ეკადე კუთხეში დადგე, ხოლო შემდეგ შენს ადგილს დაუბრუნდი“.

„ეკლესიაში საუბარი არ შეიძლება, ეს ბოროტი ჩვეულებაა, რის გამოც მწუხარებას ვიმკით“.

„სკვნილი იმიტომ არსებობს, რათა ლოცვა არ დაივიწყოთ, მსახურებისას უნდა შევიგნოთ რას ვამბობთ და ჩამოვითვალოთ ფსკვნილი ლოცვასთან ერთად – „უფალო შემიწყალე“.

„ხოლო, როცა საეკლესიო ლოცვა არ ისმის, მაშინ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

„აუცილებელია ხმამაღლა გამოთქვა იესოს ლოცვა, რადგან გონებისმიერმა ლოცვამ შეიძლება დაგა'სიანოს“.

„ჯობს ჩურჩულით წარმოთქვა იესოს ლოცვა,რადგან გონებისმიერად მისი თქმით ბევრი დაბრკოლდა“.

„სამოციქულოს სახლში კითხვისას შეიძლება ჯდომა, თუ მას სხვა კითხულობს, ასევე ტაძარში კითხვისასაც შეიძლება ჯდომა, თუ მორწმუნეს ფეხზე დგომა უჭირს“.

„მის გამო თვლემ და არ უსმენ მსახურებას, რადგან შენი გულისთქმები სხვაგან დაჰქრიან“.

„უპირველეს ყოვლისა მოწყალება უნდა სთხოვო უფალს და ილოცო: „მოელი გულით გთხოვ, შემიწყალე მე ცოდვილი“.

„საიდუმლო ბიწთაგან განმწმინდე მე და უცხოთაგან დაინდე მონა შენი. შემიწყალე მე ღმერთო, მამაო ჩვენო, ღვთისმშობელო, დაე აღმადგენდეს ღმერთი, საღვთო წყალობა მოიღე ჩემდა,

ცოდვილსე!“

„ილოცეთ „მამაო ჩვენო“ და არ იცრუოთ: „მომიტევე მე თანანადებნი ჩემნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“.

„ქრისტე აღდგა“ წარმოთქვით მაშინ, ოდეს იგი ეკლესიის მიხედვითაა განწესებული და არა თვითნებურად“.

„უნდა ვილოცოთ და შევთხოვოთ სეციურ დედოფალს – „შემეწიე, მიხსენი და შემიწყალე“.

„ღვთისმშობელო ქალწულო–“ უნდა ვიკითხოთ 12-ჯერ ან 24-ჯერ დღეში. იგი ჩვენი ერთადერთი მეოხია“.

„ღვთისმშობელო ქალწულო“ უნდა ვიკითხოთ თუნდაც თავის დაკვრით და წელის მოხრით, რადგან ერთ პიროვნებას თვით დედაღვთისამ გამოუცხადა სიზმარში, რომ ეს მისთვისაა (ანუ მლოცველისთვის) საკმარებლო“.

„თუ უსულგულოდ ლოცულობ, იცოდე, რომ ცთუნება კარზეა მომდგარი, და ეს ყველას შეიძლება დაემართოს“.

„არ უნდა თქვა, რომ ველოცულობ (ან ვილოცებ) სხვებისთვის; მამა ანტონი ამბობდა, მოვალე ვარ, ვილოცო.[84]

„ნუ ილოცებთ თქვენი სულიერი დებისათვის, ეს სიკეთით შეფარული მტერია. ეს სრულყოფილთ ხელეწიფებათ მხოლოდ. შენ კი მხოლოდ პირჯვარი გადაიწერე და თქვი: „უფალო შეგვიწყალენ ჩვენ“.

„სიარების წინა ლოცვა შეგიძლია, თვითონ წაიკითხო და დაუმატო – „უფალო შეგვიწყალე“.

„სიარების შემდგომ უნდა შესთხოვო უფალს, რათა წმინდა ძღვენი ღირსეულად იქნეს შენგან მიღებული, რათა უფალი შეგეწიოს, რომ უკან არ დაბრუნდე ანუ არ ჩაიდინო უწინდებური ცოდვები“.

„რიდესაც ეზიარები, ერთ დღეს არ გამოიელო პირში წყალი და არც გადააფურთხო, რადგან წმინდა ძღვენის დიდი ნაწილიც და მცირედიც გადაყლაპოთ ბოლომდე, არ მიაქციოთ ყურადღება ღვთისმგმობელ გულისთქმებს და გაკიცხე შენი თაყი ამპარტავ-

[84] იღუმენი ანტონი ოპტინის უდაბნოს წინამძღვრის, არქიმანდრიტ მოსეს ძმა, დღესაც იქ ცხოვრობს.

ნებისა და სხვათა განკითხვის გამო“.

„თუ წყალს ან წამალს დალევ წირვის წინ, მაშინ არ უნდა მიიღო ანტიდორი ან სეფისკვერი“.

„სეფისკვერი უნდა ფეს'ზე მდგომმა მიიღო, ეს კეთილკრძალულებაა. ხოლო ვინც სეფისკვერს დამჯდარი ჭამს, მას ნუ განიკითხავ“.

„ხატთან მთხვევისას თავდაპირველად ორ მეტანიას შეასრულებ, ხოლო მთხვევის შემდგომ – კიდევ ერთს“.

„როდესაც სენაკში ლოცულობ, სარკმელს ფარდა ჩამოაფარე, ხოლო როდესაც სარკმლიდან იყურები, გახსოვდეს, რომ მონანიებაა საჭირო. იოანე კიბისაღმწერელს უწერია, რომ როცა არ გინდა რაიმე გააკეთო, გახსოვდეს, ამის თაობაზე უნდა მოძღვარს მიმართო“.

„შემთხვევით მნახველებთან არ უნდა თქვა, – სალოცავად მივდივარო, არამედ მიუგე, რომ ჩემი საქმეების მოსაგვარებლად მივდივარ-თქო, ან ეს უთხარი: ყაზანის ღვთისმშობლის დაუჯდომელი უნდა წავიკითხოთო“.

„სენაკში დილით უნდა ვილოცოთ „იესოს ლოცვა“, ან – „ღმერთო განმწმინდე მე ცოდვილი“, ხოლო ეკლესიაში – „უფალო შემიწყალე“ და კარგად მოუსმინე რა ლოცვას კითხულობენ; და თუკი ლოცვის ხმა არ გესმის,კვლავ „იესოს ლოცვა“ წარმოთქვი“.

„თუ სენაკში იმყოფები, ლოცვისას: „ღირს არს და მართალ თაყვანისცემად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“, სამი მეტანია გააკეთე, და ზეცისურ დედოფალს შესთხოვე მეოხება და იგალობე „ღირს არსი“, და თუ ვინმე უცხო იმყოფება შენთან სენაკში, მაშინ მხოლოდ პირჯვარი გადაიწერე“.

„როცა საათი რეკავს, პირჯვარი უნდა გადაიწერო და „იესოს ლოცვა“ წარმოთქვათ, როგორც ამას წმ. დიმიტრი როსტოველი გვასწავლის: რადგან ერთი საათი გავიდა, სიკვდილს უფრო მივუახლოვდით. ხანდახან პირჯვრის გადაწერაც არაა საჭირო და საკმარისია გულში ვილოცოთ“.

„რაიმეს წარმოსახვისას პირჯვარი გადაიწერე“.

„ცრურწმენებს ნუ გამოედევნები და ისინი არ აღსრულდებიან“.

„თუ კანდელში 'სეთი არ არის და იგი ჩაქრა, ნუ იდარდებ, დაე ნუ იქნება ანთებული“.

„ცვილის სანთლის ეკლესიაში დანთება კი არაა მთავარი, მთავარია, შენ თვითონ იყო სანთელი“.

„როცა ვინმე ერისკაცის სახლში მოხვდები, პირველ ოთახში შესვლისას სამგზის გადაიწერე პირჯვარი, ხოლო თუ მეორეშიც შეხვალ – ერთი პირჯვრის წერაც საკმარისია, ხოლო სადილობისას კიდევ ერთხელ გამოისახე პირჯვარი“.

„თავისუფლად არ უნდა იურთიერთო ერისკაცებთან – ამით მათ აცდუნებ“.

„წიგნებს დილით რომ წაიკითხავ, მერე გადახარშე ისე, როგორც ცხვარი ამოიცოხნის იმ ბალახს, რაც დილით ჭამა“.

„წიგნებიდან გადმოწერა შეიძლება, მაგრამ რაც გასაგებია ის უნდა წაიკითხო, შეიძლება ცოტა წაიკითხო, მაგრამ გასაგებად“.

„თუნდაც წაკითხულიდან არაფერი დაგამახსოვრდეს, ის მაინც სასარგებლო იქნება შენთვის“.

„სახარების კითხვა დამჯდარსაც შეგიძლია, თუმცა მხოლოდ გარკვეულ დროს“.

„სიარების წინ წარმოთქვი წმ. ეფრემ ასურის ლოცვა სინანულის შესახებ“.

„სიარების წინ კარგია, იკითხო ეფესელთა მიმართ ეპისტოლე და აპოკალიფსი“.

„იმიტომ არ გიყვარს წმ. მამათა წიგნების კითხვა, რადგან ისინი გამხელენ შენ“.

„იკითხე წიგნები, თუნდაც ისინი სხეთით მოსერილნი და მტვრით დაფარულნი იყვნენ, ოღონდ შეარჩიე რა წაიკითხო“.

„ჯობს წიგნებს ნუ გადაშლი, რათა უცნობი ამბავი არ შეიცნო“.

„კვირა დღეს ნუ იმუშავებ, დღესასწაულსე კი, წმ. იოანე ოქროპირის თქმით, საღამოს შეიძლება წაიმუშაკო“.

„ჩაი უპუროდ დალიე; და თუ ძალიან მოგინდა პური, პატარა ნაჭერი იხმიე“.

„როდესაც დილით ჩაის სვამ, უთხარი საკუთარ თავს: საიდან მოხვედი ჩემთან? ესაა ჩვევა – მცირედიდან დაიწყებ და დიდამდე მიხვალ“.

„სამი ფინჯანი ჩაი დალიე უპუროდ და ამის შესახებ არაფის

არაფერი უამბო, ხოლო თუ ვინმესთან სტუმრად იქნები, მხოლოდ პური იხმიე, როგორც ამას მიტროპოლიტი ფილარეტი აკეთებდა – როცა მას უხას მიართმევდნენ, მხოლოდ წვენს იხმევდა ხოლმე“.

„ჩაი მარხვაში სინანულით უნდა მიიღო“.

„დიდმარხვაში სამოვარს რომ დადგამ, თქვი: „ვისაც არ სურს განკითხვა, მან სვას ჩაი“.

„შრომისას არ აიძულო თანასენაკელები, რომ მხოლოდ სამი ფინჯანი ჩაი დალიონ, დაე დალიონ იმდენი, რამდენიც მათ სურთ“.

„ბევრმა ჩაის სმამ კბილის ტკივილი იცის“.

„ყბედი ენაპირი – საღორეს ჰგავს“.

„თუ საღამოს ლოცვის შემდეგ დალევ,თორმეტი მეტანია უნდა შეასრულო. არ განიკითხო ადამიანები, არამედ თქვი: მე შეჩვენებული ვარ“.

„უნდა ვმადლობდეთ უფალს, რომ იგი ყველაფერს გვიძღვნის და ამას სამი მიზეზი აქვს: რათა ასრულებ მოვიდეთ, შევიცნოთ და ვმადლობდეთ მას“.

„როდესაც ვინმეს განიკითხავ, თქვი: „ამოიღე დირე თვალისა შენისაგან“.

„დირე თვალში – ესაა ამპარტავნება, ფარისეველის ყველა სათნოება გააჩნდა, მაგრამ ამპარტავანი იყო, მეზვერე თავმდაბალი იყო და ამით გამართლდა უფლის წინაშე“.

„როდესაც განკითხვის გულისთქმას აჭყვები, გაიხსენე, რომ ვისაც განიკითხავ,მან ცხვარი მოიპარა, ხოლო შენ ცხენი“.

„ყველა გულისთქმა ამპარტავნებისაგანაა“.

„ამპარტავნებს თვით ღმერთი კურნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგანი გულისტკივილი, რომლითაც ამპარტავნება იკურნება, ღვთისაგან მოდის, ხოლო ამაყი კაცი ადამიანთაგან ყურ შეიწყნარებს შენიშვნას; თავმდაბალი ადამიანი კი ამის ღირსი ხდება“.

„როდესაც გრძნობ, რომ სიამაყით ხარ აღვსილი, იცოდე, რომ ეს სხვათა მიერ შენი ქების ბრალია“.

„როდესაც ამპარტავნება გეუფლება, თქვი: ვსულელდები“.

„როდესაც ვინმეს რაიმეს უხსნი, არ თქვა: მე ასე ვამბობ, არამედ, როგორც მამა მოსე იტყოდა – ჩვენ“.

„სულის სახლი არის მოთმინება, ხოლო საზრდელი – სიმშვიდე და როცა საზრდელი არ არის, მაცხოვრებელი გარბის სახლიდან, ანუ გამოდის წყობილებიდან“.

„თუ ვინმეზე მრისხანებ, თქვი: შენ ეშინია“.

„როდესაც რაღაც გსურს, მაგრამ არ იცი ზუსტად რა გსურს, გონებაში გაიელე – ვინ ვარ მე და ვინაა ჩემი ჰიპოსტასი? ნეტავ რა მინდა?“

„ცუდმედიდობა და ამპარტავნება ერთი და იგივეა. პირველი გარშემოუნებს გარეშეთა შორის რა კარგი ხარ, ხოლო მეორე ამის შემდეგ გაძულებს სხვებს, პირველი ჭიასავით დაიკლაკნება და თუ ფრთებს გამოასხამ მაშინ მაღლა აფრინდება – ეს უკვე ამპარტავნებაა“.

„ცუდმედიდობას თუ ხელით შეეხე იყვირებს – ტყავს მხდიანო“.

„იოანე კიბის აღმწერელი ტრაბახია ადამიანს ბიროტად მეტყველ კაცს ამჯობინებს“.

„როდესაც გაქებენ – ხმა არ ამოიღო, მდუმარედ იყავი, ასე გვასწავლის აბბა ბარსანუფი“.

„ქებაში არავითარი სარგებელი არაა, იგი ძალზე ძნელი საქმეა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სხეული მიწამ უნდა შეჭამოს“.

„ყველას დაუთმე, შენი რჩევა მიუკი, ოღონდ არ დააძალო“.

„ყველას მიმართ პატივისმცემელი უნდა იყო, მოალერსე, მაგრამ არა საალერსო. თაყვანი ეცი და მალევე გაშორდი“.

„მუდამ დაბლა, მიწისკენ იყურე, რადგან გახსოვდეს, რომ „მიწა სარ და მიწადვე მიიქცევი“.

„არ მოგინდეს კაბით შემოსვა, მე თვითონ რომელსაც შემომთავაზეს, უარი ვთქვი, მაგრამ მოძღვრის ლოცვა-კურთხევის გამო უნდა დაეთანხმო“.

„თავმდაბლობა ისაა, რომ დაუთმო სხვას და საკუთარი თავი მათზე უარესად ჩათვალო, ეს ყველაზე დიდი სიბრძნეა“.

„იგულისხმე, რომ თავმდაბლობის სამი სახე არსებობს, პირველი – ესაა უფროსთა მიმართ თავმდაბლობა, მეორე – თანასწორთან თანასწორული მოქცევა, მესამე კი ისაა, რომ უმცროსებთან კარგად, უფროსის, მშობლის თანახმად მოვიქცეთ“.

„მოძღვარს თავდაპირველად ენდა დაუჩოქო, და შინაგანად ისეთი გახდები, როგორც ღატაკი, რომელმაც ოქრო იშოვა და მდიდარი გახდა“.

„დაო, მოინანიე. იყავი თავმდაბალი, დებს დაუთმე და არ განიკითხო სხვები მათი უმწეობის გამო“.

„ის ვინც ბევრს დაითმენს, ბევრს მოიპოვებს“.

„იყავი თავმდაბალი და შენი საქმენი კარგად წავა“.

„გონება მოიკრიბე და იყავი თავმდაბალი, სხვებს ნუ განიკითხავ, რათა თვით არ იყო განკითხული“.

„წარმოთქვი მეხვეერის სიტყვები: „უფალო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

„თუ მოყვასისადმი სიყვარული არ გაგაჩნია, თავმდაბლობა მაინც იქონიე“.

„თუ ვინმე მრისხანებს შენზე, ჰკითხე ამის მიზეზი“.

„თუ ვინმე გმტრობს, არ მიაქციო ამას ყურადღება“.

„თუ გულისთქმა გეუბნება, რომ ამა თუ იმ კაცმა შენზე ესა და ეს თქვაო, უთხარი საკუთარ თავს – არ ვიცი, მე ამ ამბავამდე დავაგეიანე-თქო“.

„თუ გსურს, ვინმეს სიტყვის მიერ უმტრო, სჯობია ბუზებს დაედევნო“.

„იყავი სხვების მიმართ შემწყნარებელი“.

„მოყვასი ენდა დააწყნარო, რათა იყი შენს გვერდით დარჩეს“.

„შენ დაუდეგრად ცხოვრობ და სხვებს მკაცრად სთხოვ ყოველი წესის შესრულებას“.

„იყავი მდუმარე ყველას წინაშე და ყველას ეყვარები“.

„სახუმარო სიტყვები მხოლოდ მაშინ წარმოთქვი, როდესაც მარტო იქნები“.

„არ ჩაერიო სხვების კამათში, წადი საკუთარ სენაკში, აიღე წყლის ბოთლი და მათ შორის მოასხი წყალი, განსაკუთრებით ვისთანაც ლაპარაკი შეიძლება“.

„მამაოს ენა ნუ მიმართავ“.

„არ აირჩიო და (მონახონი) სულის მიერ, რათა ხორციელად არ იქცეს“.

„კარგია, რომ ახლობლები არ გწერენ, რისთვის გაინტერესებს მათი საქმეები“.

„ყველაფერს მარტივად ‘შეხედე“.

„იყავ უბრალო და ყოველივე გაივლის; ჩათვალე შენი თავი ყველა‘ზე უკეთურად, თუ ამას შეიცნობ, მიხვდები, რომ მართლაც ყველა‘ზე უარესი ხარ“.

„მარტივად, ‘უბრალოდ ცხოვრება – ეს ნიშნავს: არ განიკითხო არავინ“.

„თუ ვინმე შენი ახლობელი არ ინანიებს, ‘უთხარი – ყველაფერი კარგად იქნება-თქო. აბბა დოროთე წერს, რომ ეს შეიცნე და საცდურისაგან დაცული იქნებიო“.

„იმას (ვის‘სც საუბარია) ერთგ‘ხის მიუტევე და ათგ‘ხის მოგეტევება“.

„როდესაც ვინმეს არ მიუტევებ, გააკეთე მეტანიები სამიდან ცხრამდე, და ილოცე: „უფალო, შენ ყოველივე უწყი, შეეწიე შენს მხევალს, მე შეწევნებულს და შეიწყალე მავანი, რომელსაც მე არ მივუტევე“.

„ჭეშმარიტება მორჩილებით მიღებული სიბრძნის გარეშე ბოროტ გულისმეტყველებად გადაიქცა; ჭეშმარიტება ისაა, რომ უმ‘სირო რაიმე გარეგანს, და ხედვიდე სულ სხვა რამეს, ხოლო ვინც ბოროტმეტყველებისაგან გათავისუფლდება, მას მიეტევება“.

„შენ ყოველთვის გაგაჩნდა ბოროტმეტყველების ენება, იგი დაფარული და ფაქი‘სია“.

„შინაგანი წუხილი ისაა, რომ მეხსიერებაში ბოროტი ‘სრახვები გაქვს, ან კიდევ ის, რომ უკუაგდებ შენს ნებას, რათა სხვამ შენი ‘სრახვების შესახებ რაიმე არ იცოდეს, ხოლო გარეგანი მწუხარება სხვათა მიმართაა გან‘სრახული“.

„თუ ვინმე ქალი ‘შენ‘ზე უფროსი იქნება და მასთან გექნება საქმე, არა უშავს, ისევ ისე დარჩეს ყოველივე; ოღონდ თუკი ვინმე მოვა შენთან და გეტყვის: ის როგორ არისო, მისი პასუხის გარეშე არაფერი თქვა, ისე მოიქეცი, როგორც ის იტყვის“.

„თუ ვინმე რაიმე რჩევას გთხოვს, ‘უნდა ‘უთხრა: „არ ვიცი“.

„ნაკლებად იცინე, რადგან ამ დროს ცუდი გულისთქმები დაგეუფლება“.

„სიცილი უფალს განგარიდებს“.

„თუ ვინმე ისურვებს სიცილს, მას ერთი ფინჯანი ჩაი დააწყნარებს“.

„მაგიდასთან ნუ გაიცინებ, ყველაფერს შესაბამისი დრო აქვს; თუ მაინც გაგეცინება, ბაგე მოკუმე, გარეთ გადი და სამი მეტანია გააკეთე“.

„თუკი გულისხმა გკარნახობს, რომ რაც ჩაგიდენია, იმაზე დიდი ცოდვა არ არსებობსო, ეს უკვე თავისთავად დიდი ცოდვაა“.

„თუ სიცილისაგან თამამი და თავხედი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ უფალთან არა ხარ“.

„ვინმეს თუ საუბარს შეაწყვეტინებ – ეს თავხედობაა“.

„თუ ვინმეს დასცინებ, ათი მეტანია უნდა შეასრულო“.

„დაე უფალმა დაგიფაროს ყველა უკეთური გულისთქმებისაგან, ოღონდ მორჩილი იყავი“.

„ლოცვა: „უფალო ბერმოძღვარ მაკარის ლოცვებით ამაშორე გულისთქმები, და მე (ბერი ამბროსი), თუკი მოისურვებ, მომიხსენიე“.

„თუ ბოროტი გულისხმები მოგეძალება და სხვების განკითხვის ჟინი შეგიპყრობს, საკუთარ თავს ამპარტავნებაში დასდე ბრალი და ამ გულისთქმებს არავითარი ყურადღება არ მიაქციო“.

„როდესაც დადგება დღე, თითქოს მხიარულად და განცხრომით ცხოვრობ, და უეცრად მოუსვენრად იგრძნობ თავს და გულისთქმები შეგაწუხებენ, უთხარი საკუთარ თავს: რა გაწუხებს? და გაიხსენე ის დღეები, როდესაც წყნარად ცხოვრობდი“.

„კითხვა: როგორ მოვიპოვოთ შიში ღვთისა? პასუხი: ღმერთი ყოველთვის შენ წინაშე უნდა წარმოიდგინო და უფლის შენთან არყოფნა (რაც შენს გამოა) შეიძულო“.

„შიში ღვთისა უფლის ცნებების აღსრულებით მოიპოვება, რომელნიც შენი სინდისის კარნახით უნდა აღასრულო“.

„დაბრეულობისას შიში ღვთისა უნდა გაგაჩნდეს; წაიკითხე ამბა დოროთეს მიერ ნათქვამი ღვთის შიშის, სინდისისა და ბრძნად-თავმდაბლობის შესახებ“.

„კითხვა: როგორ შევიცნო საკუთარი თავი? პასუხი: თავდაპირველად უნდა შენს თავს შეეკითხო – როგორ დადიხარ ეკლესიაში,

როგორ დგახარ იქ, რას შეჰყურებ, როგორ ამპარტავნობ, ცუდმედიდეობ, როგორ მრისხანებ და ა. შ.“

„სხვის სენაკში ნუ შეხვალ და შენთანაც ნურავის მიიღებ, და თუ სენაკში სუნთქვა გაგიჭირდება, გარეთ გადი და ამოისუნთქე“.

„თუ ვინმე გეტყვის – შიგნით შემოდიო, უპასუხე, ცუდად ვარ და არ შემიძლია-თქო“.

„შენ ჩემი შვილი ხარ; მეც ასეთივე პირმოთნე ვარ, რაც არ შეიძლება; უკეთესია ხმა არ ამოიღო; ერთ მხარეზე ადამიანები დააყენე, ხოლო მეორეზე მდუმარება, და მერწმუნე, მდუმარება გადაწონის“.

„მეც თქვენი მსგავსი ვარ, და ამას გასწავლით, თქვენ ჩემი შვილები ხართ“ მამა ამბროსი ამას ხშირად იმეორებდა.

„საკუთარი გულისთქმები ყოველდღე უნდა ჩაიწერო, და როდესაც მ. ი.–სთან წახვალ, რათა გული გადაუშალო, ამოიწერე ისინი, მაგალითად გავბრაზდი და ა.შ“.

„მ. ი-ს უნდა უამბო შენი გულისთქმები, ისინი ცოტა დასუსტდებიან. ისინი ამპარტავნებიდან მომდინარეობენ“.

„მოძღვარს შენი გულისთქმების შესახებ ყველაფერი უნდა უამბო, თუმცა განმეორებით თქმა საჭირო არ არის, რადგან ეს ცუდ ამბავს მოგიტანს; ეფრემ ასური ამას ეშმაკის ყეფას ეძახის, მაგრამ თუ მოძღვარი გკითხავს, შეგიძლია უპასუხო“.

„უნდა თქვა; მოძღვარო, თქვენს მიმართ ალმეძერის გულისთქმები“.

„საკუთარ ცოდვებზე შენს თავს ელაპარაკე, და უცხოთა შესახებ ნუ ისაუბრებ“.

„სხვათა საქმეები მაგალითად არ გაიხადო“.

„არ მოჰყვე, სად რა ხდება“.

„მე, მამაო, მკაცრად გაფრთხილებ, სხვათა ცოდვების შესახებ იღუმენიას ნურაფერს ეტყვი, საკუთარი თავი დააღანაშაულე“.

„იმ გულისთქმათა შესახებ უნდა ისაუბრო, რომლებიც გაწუხებენ; შეიძლება, სხვა გულისხმებმა სული აგიყორიაქონ და მთელი დღის განმავლობაში გაგტანჯონ, ამის გამოც უნდა თქვათ“.

„თუ ზედმეტი ფული გექნებათ, მოწყალებით გაიღეთ“.

„გამომუშავებული ფული უანგაროდ გაეცი“.

„თუ ვინმე გთხოვს, რომ აჭამო რაიმე, გამოკვებე, ვიდრე ფული

გაგაჩნია, ხოლო როდესაც ფული აღარ გექნება, უთხარი, რომ ფული აღარ გაქვს".

„სიძუნწე უმწეობაა, შენი უმწეობა კი ფლანგვაა; ჩვენ გვყავდა ერთი სულიერი ძმა, რომელიც ხარჯავდა და მერე წუხდა, რომ ესა თუ ის ნივთი აკლდა".

„სინათლე აინთო, რათა შენში სიბნელე არ იყოს".

„თაფლში როცაა, კოჭსაც უხარია; მტერი ათგზის მოგიყვება სიმართლეს, მაგრამ ერთხელ მოგატყუებს".

„უნდა აიძულო შენი თავი, რომ ყველაფერში ღვაწლი მოიმოშაკო".

„გაიხსენე მამა მაკარის სიტყვები და აღასრულე ისინი და მაშინ მისი მორჩილი იქნები".

დავიწყების შესახებ პასუხი ასეთია: „მოვა დრო და გაიხსენებ ჩემს სიტყვებს, როდესაც ამის საჭიროება დადგება".

„მიმომწვლილველობა იგივეა, რაც სიზარმაცე, ოღონდ უფრო უარესია; მის გამო სხეულებრივადაც სუსტდები და სულიერადაც, არ გსურს არც მუშაობა,არც ლოცვა,ეკლესიაშიც ვალის მოხდის მიზნით მიდიხარ, ეს ყოველივე ღუპავს ადამიანს".

„უსრულველობის ხიბლი შეიძლება იყოს, მაგრამ ჭეშმარიტი – არა, იმიტომ, რომ ჩვენ მოღვაწენი არა ვართ".

კითხვა: „ასრი გამიჩნდა – რად უნდა ვცხოვნდეთ? მაინც ვერ ვცხოვნდებით, როგორც არ უნდა ვიცხოვროთ; ამასთან, აღარავინ არის ცხოვნებადი, როგორც ეს ათონელი ბერის ჩვენებაშია ნაუწყები;" პასუხი: „ეს იმიტომაა ნათქვამი, რომ ამჟამად არავინაა სრულყოფილი, მაგრამ ისინი, ვინც ცხოვნდებიან – არსებობენ, ყველა ვერ იქნება გენერალი, ან პოლკოვნიკი, ან მაიორი, ან ოფიცერი, თუნდაც ჯარისკაცი, მაგრამ ყოველი ადამიანი მათი მსგავსია".

ბერი ამბროსის აქ მოყვანილი დარიგებები მხოლოდ მცირედი ნაწილია. დარჩენილია კიდევ უამრავი პასუხი მრავალმხრივ კითხვებზე, რომელნიც უპირატესად მკითხველს ეხება, მაგრამ აქ მოყვანილი დარიგებებითაც შეგვიძლია მის ღირსებებზე ვიმსჯელოთ, ისევე, როგორც მის მოწაფეზე. დამატებით აღვნიშნავთ, რომ ეს დარიგებები ყველას გამოადგება, ვინც საკუთარი სულის ცხოვნებაზე ფიქრობს.

VIII თავი

ბერი ამბროსის ორი ვიზიტი შამორდინოს ქალთა სავანეში 1888-1889 წწ. ახალი წინამძღვრის – მონაზონ ევფროსინეს დროს

რაგორც სემოთ ვნახეთ, ყოველწლიურად მხოლოდ ერთხელ ბერ ამბროსის ჩვეულად ჰქონდა ხაფხულის თბილი ამინდის დროს მის მიერ მოწყობილ შამორდინოს ქალთა სავანეში ჩასვლა და რამდენიმე დღით სტუმრობა, თან აკვირდებოდა რა იყო იქ და რა აკლდა იქაურობას. შამორდინოს დების სიტყვებით რომ თქვათ, ბერის ჩამოსვლა მათთვის ყოველთვის ნათელი დღესასწაული იყო. დანიშნულ დღეს, დილიდანვე, შამორდინოში ყველა ფეხზე იდგა. ზოგი სენაკს ამზადებდა მთელი გულმოდგინებით ძვირფასი სტუმრისთვის, ზოგი ეკლესიაში ფუსფუსებდა, რათა შესაბამისი პატივით დახვედროდა მამაოს ზოგიც უბრალოდ დადიოდა და სასიხარულო მოლოდინით ღელავდა. ბოლოს პარაკლისს იმსახურებდნენ და ყველანი წინამძღვრის კორპუსის კიბესთან მოთავსდებოდნენ; და აი, ტყის სოლიდან ნაცნობი ეტლი გამოჩნდებოდა და ყველას სიხარულით აუტოკდებოდა გული. სწრაფად მომავალი ცხენები სადარბაზოსთან ჩერდებოდნენ. ეტლის ფანჯარაში ბერის ჭაღარა წვერი გამოჩნდებოდა. ის მამობრივი ღიმილით მხიარულად უხრიდა თავს ორივე მხარეს. „ძვირფასო მამაო! ჩვენო საუნჯეო, ჩვენო ანგელოზო!“ – ისმოდა ყოველი მხრიდან გახარებული დების მისალმება. მამაო გადმოდიოდა ეტლიდან და მისთვის გამზადებულ სენაკში მიიჩქაროდა, რათა ტანსაც გამოეცვალა და დაესვენა. ამასობაში დედებს ეტლიდან მამაოს ნივთები გადმოჰქონდათ. ყველას უნდოდა ამ „ძვირფასეულობას“ ხაბღაუჭებოდა; თუ რომელიმე მათგანს ნივთი არ შეხვდებოდა, მაშინ ხელს ჰკიდებდნენ რომელიმე ყველაბამის ერთ მხარეს ან გამოსაცვლელი კაბის სახელოს და ბედნიერნი იყვნენ იმით, რომ რაღაც თვითონაც წაიღეს. მცირედი შესვენების შემდეგ მამაო მიემართებოდა ეკლესიაში. ემთხვეოდა წმინდა ხატებს, ყველა მათგანის წინ სამ-სამ მეტანიას აკეთებდა, შედიოდა საკურთხეველში და ბოლოს მისთვის მომზადებულ

საავარძლ'ში ჩაჯდებოდა. ამის მერე მოდიოდნენ ყველანი და მისგან კურთხევას იღებდნენ. შემდგომ დღეებში მამაო დადიოდა სენაკებში, ათვალიერებდა ღატაკებისიჯის, ხეიბრებისა და ბრმებისთვის მათ მიერ მოწყობილ სათნოების სახლს და ობოლთა თავშესაფარს, რომელთა რიცხვმაც უკვე ორმოცდაათს მიაღწია. პატარები გალობით, ლოცვითა და სულიერი ლექსებით ესალმებოდნენ ძვირფას მფარველს. ერთი კორპუსიდან მეორეში გადასვლისას ხალხის დიდი მასა მიაცილებდა მას. მისდევდნენ ეტლს, ებღაუჭებოდნენ ბორბლებს, რომ შეეხედათ მისთვის. ზოგიც ასასვლელ საფეხურ'ზე შეხტებოდა და რაღაცის კითხვასაც მოასწრებდა.

ბერის ვიზიტი სავანეში ყოველთვის ხანმოკლე იყო. ის ორი-სამი ან რამდენიმე დღე გრძელდებოდა. თუ ადრე ასე სწრაფად მის მიერ დაარსებულ სავანე'ზე და ყოველწლიურად ჩადიოდა იქ, მით უმეტეს ახლა სჭირდებოდა ეს, რადგან მისივე მითითებით 1888 წლის 23 მაისს ახალი წინამძღვარი დაინიშნა და ადგილ'ზე უნდა აღეგლინა ღვთის და მისი ყოვლადწმინდა დედის სადიდებელი გ'ულთბილი ლოცვა, როგორც ახალი წინამძღვრის, ასევე სხვა სულიერი შვილების გასაძლიერებლად. ბერის პირველი ასეთი ვიზიტი 19 იულისს შედგა; მკითხველს ისევ შამორდინოს დების სიტყვებით ვაცნობთ ამის შესახებ, რომლებმაც თავის დრო'ზე ჩაიწერეს აღსანიშნავი ფაქტი. იქ ვკითხულობთ:

„სამშაბათს, 19 იულისს ჩამოვიდა ჩვენთან ძვირფასი ბერი და მეორე კვირის ხუთშაბათამდე (28 იულისი) გაჩერდა. ჯერ კიდევ იულისის პირველ რიცხვებში დაირხა ხმა, რომ ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ხსენების მერე აპირებდა მამაო სტუმრობას. ისეთ აუხდენელ ოცნებად გვეჩვენებოდა ეს, რომ მხიარულებისაც გვეშინოდა და ლაპარაკსაც ვერ ვბედავდით. ბოლოს, ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე, უფრო ხშირად მეორდებოდა ეს ამბავი, რომელიც მისგანვე იყო მოსმენილი. ამბობდნენ, რომ ან პარასკევს, ან შაბათს, ანდა კვირას ჩამოვიდოდა. ჩვენ მაინც არ გვჯეროდა. ორშაბათს კი ყველა მხრიდან დაიწყო ხალხმა მის შესახვედრად ჩამოსვლა. ეტლი ეტლს მოსდევდა შამორდინოში. სასტუმრო'ში ყველა ნომერი დაკავებული იყო. ზოგიერთი ჩამოსული მონაზონის განთავსება

განსაკუთრებულ სენაკებში მოგვიხდა. ახლა ჩვენი ეჭვებიც გაქრა და დავრწმუნდით, რომ დიდი სიხარული გველოდა. სამი დღით ადრე უკვე ცას შევცქეროდით. როგორც კი პატარა ღრუბელი გამოჩნდებოდა და ამინდი აირეოდა, ჩვენ ველელავდით. თუ ამინდი შეიცვლებოდა და წვიმა წამოვიდოდა, სასურველი სტუმარი ვერ ჩამოვიდოდა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რიგორ ველელავდით ყველანი მამაოს ჩამოსვლის წინა დღით.

დადგა სამშაბათიც. ჟამნობის დასრულებისთანავე, დილის 7 საათზე დავიწყეთ ეკლესიის სახლში, გარდაცვლილი წინამძღვრის, დედა სოფიას ყოფილ სამლოცველოში, მამაოსთვის ადგილის მოწყობა, რომელიც ამჟამად მთლიანად გაერთიანებულია. აქ კარი გავხსენით, რათა მამაოს გამოუსვლელად შეძლებოდა მსახურების მოსმენა და შეხედვაც კი. ამ კარითვე შედიოდა ის ეკლესიაში, როცა მოუნდებოდა. 9 საათისთვის მამაოსთვის ოთახი მზად იყო. ის მთლიანად ხალიჩებით მორთეს, გააკეთეს პატარა კანკელი, ფანჯარაში ჟალუზები ჩასვეს, კარი ჩამოკიდეს – და ეს ყველაფერი 2 საათში მოხდა, რადგან ყველაფერი მეგობრულად, ერთობით და ცოცხლად კეთდებოდა. მამა იოსებისთვის, რომელიც ბერს მოჰყვებოდა, ცალკე ოთახი მოაწყვეს. ეკლესიამაც ფერი იცვალა. იატაკზე ხალიჩები დააფინეს, სვეტები და ბოძები ყვავილებით მორთეს. მაგრამ ყველაზე სადღესასწაულოს მაინც დედების გახარებული სახეები ხდიდა ყოველივეს. ისინი მოდმივად შემოირბენდნენ და კითხულობდნენ – ხომ არ ჩამოვიდა ვინმე ოპტინიდან? ხომ არაფერი ისმოდა ბერზე? წინა დღით თუ იყო ის მშვიდი? 4 საათზე, როგორც იქნა, მოვიდა ერთ-ერთი ჩვენი მონაზონი სასიხარულო ცნობით, რომ სამ საათზე აპირებდა მამაო ოპტინიდან გამოსვლას და უკვე წუთი-წუთზე შეიძლებოდა მოსულიყო. ამ ცნობამ ერთ წამში შემოიფრინა მთელი მონასტერი და ყველა მზად იყო. 5 საათზე მოვიდა ცხენოსანი ჭენებით და თქვა, რომ მამაო პოლოშკოვოს გამოსცდა. მაშინვე ყველა ეკლესიაში შევიკრიბეთ. აინთო დიდი ჭაღი. ეკლესიის კარიბჭიდან მონასტრის ჭიშკრამდე ხალიჩები გაფინეს, რომლის ორივე მხარეს ჩააყენეს დედები. ჭიშკართან მამაოს ელოდებოდა მღვდელი იოანე ჯკრით, დედა წინამძღვარი

ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატით, ხაზინადარი დედა ელევთერია დიდი პურით და სეფისკვერებით სავსე ლანგარით, რომელიც მილიანად ყვავილებით იყო მორთული, და მგალობელთა გუნდი მთელი შემადგენლობით.

„დებო! დედაო, გთხოვთ, არ ისაუბროთ“, – იმეორებდა ჩვენი კეთილმოწესე დედა სერგია და დებს ერთ რიგში ამწკრივებდა. ლაპარაკის თავიც არავის ჰქონდა. ყველა დაძაბული ელოდა. მოწიწებული სიჩუმე სუფევდა – ამის გამოსახატავად სხვა სიტყვას ვერ გამოვარჩევ გრიბობა, რომელიც ავსებდა ყველა ჩვენგანს, რასაც განვიცდიდით ამ წუთებში, არასოდეს განმეორდება. ის არ მეორდება, ის მიწაზე იშვიათი სტუმარია, მას ვერ გადმოსცემ. დაირეკა ზარი; როგორც იქნა, გამოჩნდა დიდი ხნის ნანატრი ეტლი და ჭიშკართან გაჩერდა. ეტლის კარი ჯერ დაკეტილი იყო და მამაოც არ ჩანდა. 3-4 წუთი გავიდა და როგორც იქნა ეტლის მეორე მხარეს გამოჩნდა მამაო მანტიაში და ჯვრებით. დაიწყეს გალობა. მამაომ სამი დიდი მეტანია გააკეთა, ემთხვია ჯვარს და სეკრეტარი დედოფლის ხატს. შემდეგ დედაოსთან ერთად მოჰკიდა ხატს ხელი და ეკლესიისკენ წავიდა. ყველამ თაყვანი ვეცით, მაგრამ არავინ მისულა მასთან, არავის შეუწუხებია. ის თვალცრემლიანი იყო. დამსწრეთა უმრავლესობაც ტიროდა, მაგრამ ჩუმად, ისე, რომ სიჩუმე არ დაერღვიათ და საგალობელიც კარგად ისმოდა. როცა ბერი ეკლესიაში შევიდა, „ღირს არსი“ იგალობეს, რასაც კვერექსი მოჰყვა და ასე შემდეგ, როგორც მაღალი სტუმრების შეხვედრისას ხდება ხოლმე. ამასობაში მამაო საკურთხეველში ხატებს ემთხვეოდა, შემდეგ კი სამხრეთის კარით განსვენებული დედა სოფიას საფლავზე გავიდა. უნდა გენახათ მამაოს სახის გამომეტყველება იმ დროს, როცა ის ჭიშკართან ღვთისმშობლის ხატს ემთხვეოდა, მიჰქონდა ხატით ხელში ეკლესიისკენ და ლოცულობდა დედაოს საფლავზე. ეს სახე არასოდეს წაიშლებოდა თქვენს მეხსიერებაში! სერიოზული, როგორღაც შთაგონებული მისი მზერა – გეგონებოდა, სევდაში აღწევდა. ეკლესიაში შემოსვლისა და მრავალჟამიერის დასრულების შემდეგ მამაო შემაღლებულ ადგილზე ავიდა, რომელიც მისთვის იყო მომზადებული. ჩაჯდა სავარძელში და შეუდგა დამსწრე საზოგადო-

ების კურთხევას. ხალხის დალოცვის შემდეგ ცოტა დაისვენა, შემდეგ კი იმავე დღეს რამდენჯერმე შევიდა ეკლესია'ში, ათვალიერებდა მას და ლოცავდა ყველას, ვინც შეხვდებოდა. საღამოს ლიტია ჩატარდა, ხოლო დილით – წირვა და პარაკლისი. მსახურება მამა იოანემ, მამა იოსებმა და მამა პამვამ ერთად ჩაატარეს. ამ პარაკლისს კი საკურთხეველის ჩრდილო-აღმოსავლეთით კიდევ ერთი პარაკლისი მოჰყვა წყლის კურთხევით, რის შემდეგაც ჯერ ეკლესიის, ხოლო შემდეგ მონასტრის ირგვლივ ლიტანიობა ჩატარდა. ლიტანიობაში მამა ამბროსიც მონაწილეობდა და კურთხევაც მისცა ყველა ავადმყოფს, სუსტსა და ხეიბარს, რომ მონაწილეობა მიეღოთ მას'ში. ასე რომ, დედების და ერისკაცების უკან ავადმყოფების მატარებელი მოდიოდა – 'სოგი მარხილით, 'სოგიც რითაც შეეძლო. შემოუარეს მონასტერს. ლიტანიობა წმინდა კარიბჭიდან სამრეკლოსკენ გაეშართა, სადაც კიდევ ერთი პარაკლისი გადაიხადეს ყა'სანის ღვთისმშობლის დაუჯდომელთან ერთად, რომელსაც ბერი უკვე მამა იოსების ოთახიდან უსმენდა. პარაკლისის მერე ლიტანიობა დედა სოფიას საფლავის ირგვლივ გაგრძელდა, საიდანაც ისევ ეკლესია'ში დაბრუნდნენ. როცა ყველაფერი დამთავრდა, მამაოც გამოვიდა და ხატებს ემთხვია. შემდეგ საფლავზე გაიარა, იქ სადაც ახლახან წყალკურთხევა ჩატარდა, შემდეგ სამრეკლო'ში შეიარა. ყველგან დიდხანს ლოცულობდა და მეტანიებს აკეთებდა. იმავე დღეს გაიარა დედაის კორპუს'ში, წმინდა ამბროსის სამლოცველო'ში, ტერასა'ს, საიდანაც ტიხონიოვის სამლოცველო'ში შეიარა, იქიდან კი ფეხით მივიდა ქოხ'ში. ლოცვისას ყველგან დიდ მეტანიებს აკეთებდა და ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა. ქოხ'ში დედა სოფიას დიდი პორტრეტის წინ გაჩერდა და თქვა: „დედაო ყველაფერს ხედავს, რაც აქ ხდება," – შემდეგ წიგნების თაროს შეხედა და დაამატა: „იკითხეთ და აღიქვით წაკითხული!" მინაშენიდან ტერასის კარით გამოვიდა, გალერეა'ს გაიარა, სამოჯდა საყვარებ'ს, სადაც დედა სოფიას უყვარდა სამოჯდომა. კიბე'ზე სამოსულმა კი რამდენიმე ნაბიჯი გააკეთა თავდაღმართ'ზე და თქვა: „ო, რა ადგილი გამოარჩია დედაომ თავისი ქოხისთვის!" მეორე დღეს კი ქალენა მიხაილოვნას გადასცემდა თავის შთაბეჭდილებას: „უფრო ძლიერი ფეხები რომ

მქონდეს, ალბათ ასე ჩავიდოდი ქვემოთ“.

ქოხიდან ბერი „მოლჩანკაში“ (დუმილის ადგილი) გადავიდა. აქ ყველაფერი ძალიან მოეწონა. „მე არ ველოდი, რომ აქ ყველაფერი ასე კარგად იქნებოდა, — ამბობდა ის, — მეც კი დავრჩებოდი აქ თქვენთან საცხოვრებლად“. შემდეგ კი ფანჯარასთან მისულმა ქვემოთ ხევში ჩაიხედა და თქვა: „აქ ათონზე უკეთესი ადგილია, ათონზე უკეთესი“. მოლჩანკიდან ბერი სენაკში დაბრუნდა და იმ დღეს არსად წასულა.

ხუთშაბათს, წირვის შემდეგ დედა სოფიას და დედა ამბროსიას პანაშვიდი გადაუხადეს, რასაც საერთო კურთხევა მოჰყვა. იმ დროს, როცა მამაო ხალხს ლოცავდა,მგალობლები სხვადასხვა საეკლესიო საგალობლებს ასრულებდნენ. ამავე დღეს საალდგომო კანონიც იგალობეს. ამასობაში მამაოც მორჩა ხალხის კურთხევას. ის ისმენდა საგალობლებს და ლოცულობდა. კანონს რომ მორჩნენ, მამაომ აკურთხა, საალდგომო საგალობელი შეესრულებინათ, რის შემდეგაც მალე ადგა და კარს მიეფარა. გალობა მუდამ ძლიერ მოქმედებდა საყვარელ ბერზე. მას საოცარი სახის გამომეტყველება ჰქონდა, სანამ გალობას ისმენდა. მისი ეროი შეხედვაც კი ნებისმიერ სარმაცს და გარეწარს აღძრავდა ლოცვისთვის. იმავე დღეს დილით,მცირედი შესვენების მერე, მამაო მონატრის ბოსელში წავიდა. დაათვალიერა შენობები, შეიარა „პატარა სათნოების სახლში“ და იქ დიდხანს დარჩა. შედიოდა ყველა ოთახში, ლოცავდა ბავშვებს და საუბრობდა მათთან. „დიდმა“ სედამხედველის მიერ დაწერილი ლექსი წაუკითხა ძალიან ხმამაღლა. მამაომ იტირა. იმავე დღეს მოინახულა ბოსტანი. შეიარა საყარაულოში, სადაც მებოსტნეები ცხოვრობდნენ, ისეირნა გორებზე, აკურთხა ჭები, შეიარა წყლის საქაშში და მის წინ ამოაქშინა, დაათვალიერა მისი მოწყობილობა და მხოლოდ ლოცვაზე დაბრუნდა შინ.

მეორე დღეს წირვის და საერთო კურთხევის მერე ბერმა ცოტა დაისვენა და საფლავზე გაიარა. ილოცა, სამჯერ ჯვარი გადასახა და წყალკურთხევის ადგილი და სამრეკლო მოიარა. ყველგან გულიანად და ხანგრძლივად ილოცა. სამრეკლოდან პირდაპირ სატრაპეზოში შევიდა. ილოცა სკიური დედოფლის ხატთან და

პირდაპირ წინამძღვრის ადგილს მიაშურა, დაჯდა და აკურთხა, გასინჯავდა მორთმეულს და ზარს რეკდა, როგორც დედა წინამძღვარი, რაც იმას ნიშნავდა, რომ შემდეგი კერძი უნდა მოეტანათ. შემდეგ ბერის მიერ ნაკურთხი საკვები ქვაბებში და ვედროებში ჩაასხეს, საიდანაც უსხამდნენ დედებს ტრაპეზს. სატრაპეზოდან ბერი სამწარეულოში გადავიდა. დაათვალიერა ღუმელის და ქვაბების მოწყობილობა და სხვადასხვა რამის შეცვლაზე გასცა განკარგულება, რაც საჭიროდ ჩათვალა. სამწარეულო და ფურნე უნდა გაეფართოებინათ. ქველაფრის დათვალიერების შემდეგ რამდენიმე წუთი ეზოში ჩამოჯდა და შემდეგ სენაკში დაბრუნდა. ფურნის გვერდით ჯდომის დროს რამდენჯერმე მიმართა დედებს, შორს დამდგარიყვნენ, რათა ნორმალურად დაეთვალიერებინა შენობების განლაგება: „თქვენ არაერთხელ მინახიხართ, შენობები კი ჯერ არ მინახავს", – ამბობდა ის. სამწუხაროდ, ამ თხოვნას დიდი წარმატება არ ჰქონდა, როგორც ღამის პეპლებს ვერ განდევნი სინათლიდან. მამაო გუთხოვდა, შორს დავმდგარიყავით მისგან, მაშინვე წაიდოდით იქიდან, მაგრამ სამი წუთიც არ გაივლიდა, რომ ჩვენ ვერც კი ვამჩნევდით, ისე აღმოვჩნდებოდით ჩვენი მნათობი მამის გვერდით. იმაღე დღეს, ნასადილევს ბერმა ცოტა შეისვენა და სასტუმრო მოინახულა. იყო მამა იოანესთან და პოლხიკოვთან. საღამოს კი იმ კორპუსში მივიდა, სადაც დედა მაგდალინა (რეგენტი) ცხოვრობს, რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა. შინ მხოლოდ საღამოს 7 საათზე დაბრუნდა.

მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ მამაო ჩვენთან იმყოფებოდა, რიცხა ღამისთევა არ ქონებოდა. საღამოს ცისკარი მწუხრს მოებმებოდა, რათა დილით ბერი არ შეეწუხებინა. დღეს კი ბერი შემდეგნაირად ატარებდა: წირვის მერე ხატებს ემთხვეოდა; ჯერ სკიტურ დედოფალს ემთხვეოდა, მერე საკურთხეველში შედიოდა, იქიდან მაცხოვრის სასუფლთმოქმედ ხატთან, იქიდან კი ან პირდაპირ საფლავზე გადიოდა, ან ხალხის კურთხევას (დალოცვას) იწყებდა; შემდეგ ჩაის მიირთმევდა, ოღნავ დაისვენებდა და წავიდოდა სალოცავად საფლავზე და სამრეკლოში. საერთო დალოცვა ჩვენს ტაძარში შემდეგნაირად ხდებოდა; შემაღლებულ ადგილზე მამაოსთვის

საჭარბელი იდგა; ბერი შიგ ჩაჯდებოდა; მარჯვნივ დედაო იდგა, შემდეგ დედა ხასინადარი, კეთილმოწესე და სხვები ედგნენ. უფროსები ცოცხალ ჯაჭვს უქმნიდნენ იმისათვის, რომ ხალხის ნაკადი შეეჩერებინათ, მამაო არ შეეცივროებინათ და დახუთულობა არ ეგრძნო მას. ყველანი რიგრიგობით მიდიოდნენ მასთან. ყველას თხოვდნენ, უფრო მალე გაეელოთ, რომ სხვებისთვის ხელი არ შეეშალათ და მამაოც არ შეეწუხებინათ. ამრიგად, ყველა იღებდა კურთხევას და ამასთან სივიწროეე და ჭედვაც არ იყო. ამის მერე ბერი ცოტას შეისვენებდა და ჩამოსული სტუმრების მიღებას იწყებდა: ზოგჯერ თავის ოთახში, ზოგჯერ ტაძარში გამოდიოდა, დაჯდებოდა მესანთლესთან ახლოს სკამზე და იქ საუბრობდა მათთან. ჩვენ კი შორს ვიდექით და ძვირფასი მამის ყურებით ვერ ვძღებოდით. მამაოს სახის გამომეტყველება ყოველ წუთში იცვლებოდა იმის მიხედვით, სასიხარულოს ისმენდა თუ სამწუხაროს, ამხნევებდა თუ მკაცრ მცნებას უდებდა, ბავშვებთან ურთიერთობდა თუ სრდასრულებთან, ეფერებოდა თუ ჯოხით ემუქრებოდა. ყველაფერი ისეთი სრულყოფილი სიყვარულით სრულდებოდა, რომ მისი შემხედვარე ყველაზე უხეში გულიც უნებლიედ რბილი, გულმოწყალე და კეთილი ხდებოდა. რა უარყოფითი განწყობაც არ უნდა ჰქონოდა ადამიანს, მაშინვე მსუბუქი, მხიარული და ნათელი ხდებოდა მისი სული. ამ წუთებში უნებლიედ გვახსენდებოდა ის ბერი, რომელიც დადიოდა სხვა დიდ ბერთან და არასოდეს არაფერს არ ეკითხებოდა. სანამ სხვები ესაუბრებოდნენ, დაჯდებოდა ჩუმად და თვითონაც მათთან ერთად გამოდიოდა. როცა ჰკითხეს – რატომ არაფერს ამბობდა, – მან უპასუხა: „ჩემთვის მისი შეხედვაც საკმარისია“.

11 საათზე მამაოს ცხენს მოჰგვრიდნენ და ისიც დედა წინამძღვართან ერთად შემოივლიდა ყველა კორპუსს და შენობას. დედაო ეხმარებოდა ეტლიდან გადმოსვლისას, იცავდა მას ხალხის ნაკადისაგან. მამაოს ხალხის დიდი მასა მიაცილებდა. ზოგს სკამი მოჰქონდა, ზოგს – ხალიჩა, ზოგს – წინდებით სავსე ტომარა; და აი, ეტლი გაჩერდა. წინასწარ მოსული დედაო უკვე კიბესთან ელოდება მას. მამაო ხელით გადმოჰყავთ ეტლიდან და სენაკებს ათვალიერებინებენ. შევა თუ არა მამაო კარში, მას მაშინვე კეტავენ და

სენაკის პატრონი მარტო რჩება ბერთან სასაუბროდ. დედაო და ყველანი, ვინც მამაოს რაღაც ნივთი ჩაიგდო ხელში, ელოდებიან დერეფანში, ხოლო ყველა დანარჩენი გარეთ, კიბესთან. ისინი მაღალი რანგის სტუმრის ჩამობრძანებით არიან გახარებულნი. მამაომ შემოიარა სენაკები და ისევ გამოჩნდა კარებში. დაიწყო დიდი ფუსფუსი: „სადაა მამაოს კაბა? ვის აქვს მამაოს კალთები? სათვალე, სათვალე მიეცით მამაოს მალე!“ ყველა ფუსფუსებს და უხარიათ, რომ ისევ ხედავენ ბერს. მასპინძლების სახე ყველაფერს მეტყველებს. როგორც კი შეამჩნევ აღტაცებულ ნათელ სახეს, მაშინვე ეკითხები: „შენ ამ კორპუსში ცხოვრობ?“ სოგი იტყვის: „დიახ, თან ისე კარგად! მამაომ დამამშვიდა მე. შემანჯღრია კიდეც, მაგრამ სამაგიეროდ სული შემიმსუბუქდა (გულსე მომეშვა)“, სოგიც გიპასუხებს: „არა, სად აქვს მამაოს ყველასთან ურთიერთობის დრო? უკვე აღარ მჭირდება, რადგან არ ვიცი, რასე ვესაუბრო მას, მე უკვე განსაცდელებიც კი არ მაქვს“. ორი საათისოვის ბრუნდებოდა ბერი სახლში (თავის სენაკში). შეჭამდა, დაისვენებდა და ისევ წავიდოდა კორპუსების შემოვლაზე საღამოს ლოცვამდე. მან ყველა კორპუსი შემოიარა, არ დაუტოვებია არც ერთი სენაკი. მოიარა ეგრეთ წოდებული ლაპეხაც[185], მოიარა ყველა ფანჩატური და ბელელი. სამშაბათს სადგურთან აგურისა და კირის საწიდრები მოუტანეს, რომლებიც მონაზვნებმა ტაძრის ასაშენებლად გააკეთეს. მამაომ აკურთხა ისინი და თვითონ გასინჯა მათი ვარგისიანობა.

მთელი ამ დროის განმავლობაში მშვენიერი ამინდი იდგა. მხოლოდ შაბათს საღამოსკენ იწვიმა და მეორე დღის შუადღემდე წვიმდა შესვენებებით. შემდეგ ისევ გამოიდარა, ჰაერიც გაიწმინდა და დახუთულობაც არ იგრძნობოდა. შაბათიდან დაიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ მამაო ემზადებოდა წასასვლელად. მაგრამ მისი გამგზავრების ნამდვილი დრო არავინ იცოდა, დედაომაც კი, არც ცდილობდა ვინმე ამის გაგებას, თორემ რომ ეთქვათ: „ხვალ“, ეს იმდენად საწყენი იქნებოდა, რომ უმეტესი იყო არავის სცოდნოდა და არც ელაპარაკათ ამის შესახებ დროსე ადრე. თუმცა, ადრე თუ

---

[185] ასე ეწოდება განმარტოებულ სენაკს, რომელიც მონასტრიდან ერთი ვერსით იყო დაშორებული.

გვიან დაირხა სამწუხარო ცნობა: „მამაო დღეს მიემგზავრება“. წირვის, პარაკლისისა და საერთო კურთხევის მერე მამაომ ბევრი მონაზონი და საერო ადამიანი მიიღო. შემდეგ მას ტრაპეზი მოუმზადეს. ჩვენ ყველანი სენაკებში გავიფანტეთ იმ აზრით, რომ მამაო ჯერ, ალბათ, დაისვენებდა, ჩვენ კი მოგვიანებით ისევ მივიდოდით ეკლესიაში, რომ წასვლისას კიდევ ერთხელ შეგვეხედა მისთვის. ასეთ ვითარებაში ვილაცამ მოირბინა და თქვა: „ჩქარა, ჩქარა მიდით ეკლესიაში შემოსილნი, ახლა იქ მამაოსთვის სამგზავრო პარაკლისი იქნება“. ჩვენ ყველანი გაეემზადეთ, მაგრამ ვერც კი იცნობდი: ნუთუ ეს ის სახეები იყო, რომლებიც გუშინ ბრწყინავდნენ სიხარულით? თავები დახრილი, ზოგიც ტიროდა, ზოგიც ძლივს იკავებდა ცრემლს. სამარისებური სიწყნარე იყო. დაიწყო ღვთისმშობლის პარაკლისი მგზავრთათვის. დამთავრებისთანავე მამა იოანემ მრავალჟამიერი უსურვა ბერს და უცდიდა, რომ ჯვარზე სამთხვევად გამოვიდოდა, მაგრამ მარტო მამა იოსები გამოვიდა. ეტყობა, მამაოს გაუჭირდა გამოსვლა. ეს მოწყენილი, გამოსამშვიდობებელი გარემოება ძლიერ იმოქმედებდა მის მგრძნობიარე ნერვებზე. ჩვენ ვეულოდით, მაცრამ ის არ გამოვიდა. გამოგვიცხადეს, რომ მამაო წამოწვა და ისვენებდა. „ამიტომ, თუ გაქვთ სურვილი დაელოდოთ მას, ტაძარში; გეხოვთ, შეინარჩუნოთ სიწყნარე.“ გავიდა ერთი საათი. დერეფანში ფუსფუსი ატყდა და გვითხრეს, რომ მამაომ გაიღვიძა. ხუთი წუთის მერე მამაოც გამოჩნდა. სერიოზულად, ჩქარ-ჩქარა გაიარა მან ტაძარი, მივიდა პირდაპირ ხატებთან და მერე საკურთხეველში შევიდა. ტაძრიდან საფლავზე გავიდა. უკანასკნელად სამჯერ აკურთხა ის და შებრუნდა თავის ოთახში. გამოიცვალა, ისევ გამოვიდა და მოლჩანკამდე ფეხით მივიდა, სადაც მისი კურთხევით რაღაც მშენებლობა იწყებოდა, რომელიც მას ძალიან აინტერესებდა. აქ რამდენიმე წუთით ესაუბრა ჩვენს ბედნიერ კუსმას, გამოიცვალა ტანზე, დაგვლოცა და შევიდა ეკლესიაში. გამომშვიდობებისას ისევ დაგვლოცა. ჩვენ კი გაფრთხილებული ვიყავით, რომ გამომშვიდობებისას არავის შეეწუხებინა ბერი. ეკლესიიდან ისევ თავის ოთახში შებრუნდა. მონაზვნები ისევ ჩააყენეს ორ რიგად — ეკლესიიდან წმინდა ჭიშკრამდე, სადაც ისევ, ისევე როგორც ჩამოსვლისას,

ელოდნენ დედაო ღვთიმშობლის ხატით და მგალობელთა გუნდი. ისეთივე მოწიწებული სიჩუმე დადგა, როგორც მისი ჩამოსვლისას, მაგრამ მოწყენილობის აჩრდილით სავსე. როცა, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა მამაო და მგალობლებმა მოწყენილად დაიწყეს „ღირს არსის“ გალობა, თითქმის ყველანი ვტიროდით. მამაო ჩქარა მოდიოდა და ორიეე მხარეს ლოცავდა ხალხს. სადაც გაივლიდა, ყველგან ფეხებამდე თავს უხრიდნენ. მამაომ სამი დიდი მეტანია გააკეთა ღვთისმშობლის ხატთან, ემთხვია, აიღო ხელში და წმინდა ჭიშკართან მდგომარემ აკურთხა და დალოცა დედები და სავანე, თითქოს სპეციურ დედოფალს აბარებდა სავანეს. ჩვენ ყველამ ერთად მუხლი მოვიდრიკეთ და მწარედ ავტირდით. ამასობაში მამაომ ამთხვია დედა წინამძღვარი ღვთიმშობლის ხატს, ისევ გადასცა ის მას და ეტლში გაუჩინარდა. კარი დაიკეტა და ეტლიც დაიძრა. დიდხანს შევცქეროდით წმინდა ჭიშკართან ფეხზე მდგარნი ეტლს და ადგილიდან ვერ ვიძროდით. რაღაცნაირი ჩუმი მოწყენილობით აივსო სული და არ გვინდოდა მასთან განშორება. როგორი ცარიელი გახდა უკბად შამორდინო; დიდხანს ვერ ვეგუებოდით ამ სიცარიელეს, სანამ ჩვეულებრივ რიტმში არ შევედით. მამაო 28-ში სმოლენსკის ღვთიმშობლის ხატის დღესასწაულზე წავიდა ჩვენგან. სმოლენსკის ღვთისმშობლის ხატი მიიღო სავანისგან ახლანდელმა წინამძღვარმა, როცა ამ სავანის მართვა გადაიბარა. სწორედ ამ დღეს ჩააბარა მამაომ ჩვენი თავი ყოვლადმოწყალე და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელს. დედა წინამძღვარმა და დედა ეკატერინემ ოპტინამდე გააცილეს მამაო. „რა ხდებოდა იქ! – ჰყვებოდა დედაო, – როგორც კი გაიგეს, რომ მამაო დაბრუნდა, მთელი მონასტრის საძმო სკიტს მოაწყდა. მთელს ტყეში ისეთი ხმაური იყო, როგორც დიდ ღღესასწაულზეა ხოლმე. მონასტრიდან სკიტამდე მთელი გზა ხალხით იყო სავსე, რომელიც ყოველი მხრიდან მინა მენისკენ მიეშურებოდა, რომ მამაოს კურთხევა მიეღოთ ან შეეხედათ მაინც მისთვის. ღიდება ღმერთს, მამაო გზაში ძალიან არ დაღლილა, ასე რომ მას შესწევდა ძალა ყველა დაელოცა“. მეორე დღეს კი დედაოს კითხავს, თუ როგორ გრძნობდა ის თავს, მამაომ უპასუხა, რომ შამორდინოში ყოფნა სიზმარი ეგონა. – ამინ“.

„მამაო სამშაბათს, 19-ში ჩამოვიდა ჩვენთან. ამ დღეს წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხსენებასთან დაკავშირებით ლოცვა ღამისთევით ჩატარდა. ოთხშაბათს ლიტანიობა შესრულდა. საღამოს მამაომ წინამძღვრის კორპუსი, ორივე სამლოცველო, ქოხი და მოლბანკა მოიარა. ხუთშაბათს დედა სოფიას და დედა ამბროსიას პანაშვიდი შესრულდა. მამაომ გალავნის მიღმა მდებარე შენობებიც დაათვალიერა: ცხენების და საქონლის ეზო, დიდხანს დარჩა პატარების სათნოების სახლში. საღამოს ქვემოთ ჩაიარა, იყო საქარაულოში, ისეირნა გორებზე, აკურთხა ჭები, მოინახულა წყლის საქაჩი და იქიდან ღამისთევაზე დაბრუნდა (იმ დღეს მარიამ მაგდალინელის ხსენება იყო). პარასკევს დილიდან სატრაპეზოში, შეიარა და სამხარეულოში გაიარა. შემდეგ თავის კორპუსში და დედა ეკატერინესთან. შაბათს მოლბანკაში წავიდა, შემდეგ დავრდომილთა თავშესაფარში და დედა გლაფირა მიამლიასთან გაიარა. კვირას არსად წასულა. ამ დღეს დედა სოფიას გარდაცვალებიდან ნახევარი წელიწადი იყო გასული. ორშაბათს ნასადილევს მამაო ორჯერ წავიდა სატრაპეზოში, შემდეგ დედა ევმენიას კორპუსში, დიდების სათნოების სახლში, საავადმყოფოში, ათვალიერებდა მშენებარე კორპუსს, იყო სასეფისკვერეში და ბოლოს წინამძღვრის კორპუსში, სადაც დიდხანს დარჩა. სამშაბათს დილას დედა ალექსანდრასთან მივიდა, შეიარა საწყობში, დაათვალიერა სასწორი, ურჩია, რომ არ მოეტყუებინა წონაში, შეიარა დედა ოლიმპიასთან, დედა ელეფერიასთან, ალექსანდრა ივანოვნასთან, დედა სერგიასთან, შემდეგ მონასტრის სამკაულის მოლარესთან, იქიდან სადგურში გაიარა და საზიდრები აკურთხა, იყო ძველ სახლშიც. ოთხშაბათს ის ადგილი დაათვალიერა, სადაც ტაძრის აშენებას თავაზობდნენ. საღამოს კი ბელლები დაათვალიერა. ხუთშაბათს მამაო, წავიდა“.

ასე მთავრდება შამორდინელთა თხრობა 1888 წელს სავანეში ბერის ვიზიტის შესახებ. მას ლექსიც დაუწერეს,რომელიც შემდეგ ისევ შამორდინელი ოსტატის მიერ მუსიკად გადაიქცა. რამდენჯერაც კი ჩავიდოდა ბერი სავანეში და მიაკითხავდა სათნოების სახლს, ბავშვებიც ასრულებდნენ მისთვის ამ სიმღერას. სერიოზულად, საფიქრებული უსმენდა ბერი ბავშვურ ლოცვას და ხშირად მსხვილი

ცრემლებიც კი ჩამოგორდებოდა მის ჩავარდნილ ლოყებზე. ყველასთვის უცნობია – რას ფიქრობდა ის ამ წუთებში. შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ მისი სული, რომელიც მიუსაფართა მიმართ გულწრფელი ბავშვური სიყვარულით იყო გაჟღენთილი, აღვიდოდა ლოცვით სულისა და მიწის დედოფალთან, რომ თავისი სიკეთილის შემდეგაც არ დაეტოვებინა ეს ბავშვები მისი. ყოვლადძლიერი მფარველობისაგან. საერთოდ, ბავშვებთან ყველაზე სათუთი, მამობრივი, მოსიყვარულე დამოკიდებულება ჰქონდა მას. ზემოხსენებულმა ა. ა. შიშკოვამ თავის სტატიაში მამა ამბროსიზე შემდეგი რამ დაბეჭდა: „მე ვიყავი მოწმე თანაგანცდისა და სათუთი სიყვარულისა მამაოს მხრიდან ავადმყოფი ბავშვების მიმართ. ის, მიუხედავად თავისი სისუსტისა, ყოველდღიურად დადიოდა საავადმყოფოში მათ მოსანახულებლად. ის ანებივრებდა ბავშვებს, ხან კანფეტს მისცემდა, ხან თაფლაკვერს, მოეფერებოდა და გაეხუმრებოდა მათ“. შამორდინოდან ბერის გაცილებას მუდამ ფუსფუსი ახლდა და, როგორც ხემოთ იყო აღწერილი, დედებში ყოველთვის მოწყენილობა შეიმჩნეოდა. ბევრი მათგანი წინასწარ შორს გადიოდა გზაზე, სადაც მას უნდა გაევლო, რათა კიდევ ერთხელ შორიდან თაყვანი ეცათ ძვირფასი ბერისთვის.

მამა ამბროსის 1889 წელს შამორდინოში ჩამოსვლას უცნობი პიროვნება გვაცნობს სტატიაში სათაურით „მოგონებები მამა ამბროსი'ს“, რომელიც „დუშეპოლე'სნოე ს'ტენიე“-ში დაიბეჭდა 1899 წლის ოქტომბერში. არსებითად, შევნიშნავთ, რომ აღწერილი არაფრით განსხვავდება სიმართლისაგან. აი, თვითონ მოთხრობა:

„1889 წლის ივნისში მომიყვანა ღმერთმა პირველად ცნობილ, ღვთიმკურთხეულ ოპტინის მონასტერში, სადაც მაშინ ყოველი მხრიდან სხვადასხვა ჩინის ხალხის დიდი ნაკადი ჩამოდიოდა ბერ ამბროსისთან. კარგა ხანი მივისწრაფოდი მთელი გულით და ამ საოცარი ბერის ნახვა მინდოდა. მინდოდა, მომესმინა სულისმხსნელი მოძღვრებანი იმისაგან, რომელსაც უამრავი გულის ამაჩუყებელი, საკვირველი რამ გამეგო ახლობლებისა და შორეულებისაგან, ჩემიანებისა და სხვისიანებისაგან. მე სულ ცოტა ხნის განმავლობაში მკერდის ორი ძნელი ოპერაცია მქონდა გადატანილი. ფიზიკურად

და ზრუობრივად საკმაოდ გვემული გახლდით, ამიტომ იმ პერიოდში განსაკუთრებულად მჭირდებოდა ნუგეში და სულიერი სიმტკიცე. ამასთან ერთად, თეითონ მამაოს სახებამ, როგორადაც მე ის მქონდა წარმოდგენილი, შორიდანვე გამიტაცა დაუმარცხებელი ძალით. ოპტინამდე ორი დღის სავალზე ვცხოვრობდი. სუსტი ჯანმრთელობის გამო ვეჯავრებდი, ვმერყეობდი და მეშინოდა კიდეც შორეული მგზაურობის, მაგრამ ეილოცე და ღეთის შემწეობას მინდობილი, მაინც გავემგზავრე.

პირველი დღის აუტანელმა მგზავრობამ ძალიან შემაწუხა. ძლივძლივობით მივაღწიეთ ღამის გასათევად ერთი გლეხის სახლს, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დასვენება ვერ შევძელი. მიუხედავად მასპინძლების გულთბილი მიღებისა, მთელი ღამე ვერ დავიძინე – კოლოებმა კინაღამ შემჭამეს. ძლივს მოვესწარით გათენებას. გაწვალებული და მთლად ავადმყოფი გამოვედი გარეთ. ჩემი გამცილებელი მეურმის შემშურდა, რომელსაც უშფოთველად ეძინა ურემში სუფთა ჰაერზე. გზის გაგრძელების მეშინოდა და ვევარაუდობდი, რომ თუკი მივაღწევდი კიდეც ოპტინამდე, იქ მთლად დაუძლურებული ჩავწვებოდი. შუა გზიდან უკან დაბრუნებაც ძალიან მძიმე და მტკივნეული იყო. დიდხანს ვიჯექი უკიდურესობამდე დაუძლურებული. ვფიქრობდი და არ ვიცოდი, რა გადამეწყვიტა. მზე უკვე ამოსულიყო. პარმაღთან, სადაც მე ვიჯექი, ვიღაც მოხუცი მოვიდა ჩანთით. ის ან მწირი, ან მგზავრი იყო. მომაშტერდა, მომესალმა და დაიწყო ლაპარაკი: „აი, ღირსი სერგი რადონეჟელი შრომობდა, ნიკოლოზ სასწაულთმოქმედიც შრომობდა, ღირსი ტიხონიც – ყველანი შრომობდნენ, ამიტომაც მოხვდნენ სასუფეველში. ღმერთს ღვაწლი უყვარს. აი, ასე! სიკვდილი კი, გინდა თუ არა, გარდაუვალია“. ამ უცნობი მწირის მისალმებამ გამაკვირვა, თან ვგრძნობდი, რომ მგზავრობის სიმძიმის შიშმა სადღაც გაქრა. მაშინვე გამოვკოცხლდი; ალვიქი, რომ ღმერთმა გამომიგზავნა შეგონება და მყისად არაფრით შეეძრწუნებულვარ; უცბად გავემზადე, გადავლახე ჩემი სისუსტე და უძლურება და ისე გავაგრძელე გზა.

დილის სუფთა ჰაერმა და ჩიტების სტვენამ ჩამაძინა, გამოღვიძებული კი ისე მხნედ და კარგად ვგრძნობდი თავს, რომ ყოველგვარი

შეწუხების გარეშე ვამთავრებდი მგზავრობას. საღამოსკენ უკვე მშვენიერ ფიჭვნარში გაჭრილი გზით (ლიხვინის მხრიდან) კურთხეულ სავანეს მივუახლოვდით. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვინც კი აქ ყოფნის ღირსი გახადა ღმერთმა, მან იცის, როგორი დიდებული, განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენა ძალუძს ოპტინის მონასტერს, მწვანე ნაძვნარითა და ფიჭვნარით გარშემორტყმულს და მდინარე ჟიზდრით დამშვენებულს. მონასტრის სასტუმროში ჩვენს თანამემამულეს შევხვდით, რომელიც იქ მუშაობდა. მისგან შევიტყვეთ, რომ ბერი შამორდინოში იმყოფებოდა და მომლოცველებიც იქით გაემართნენ მის სანახავად. სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, ღამისთევის ზარიც დაირეკა. მეც ვიჩქარე ტაძარში წასვლა, რამაც საოცარი სადღესასწაულო ღვთისმსახურებით დიდი სულიერი სითბო მომანიჭა. ეს პეტრე-პავლობის დღესასწაულის წინა დღე იყო.

დილით, წირვის მერე, შამორდინოში წავედი. ჩამოსვლისთანავე გამაოცა ხალხის უსარმაზარმა ნაკადმა, რომლიც ადრეული დილიდანვე გარს შემოერტყა იმ შენობას, სადაც მამა ამბროსი იმყოფებოდა. მათ ბერის ნახვა სწყუროდათ, ან შორიდან მაინც მისი ლოცვა-კურთხევის მიღება. ისე ძლიერ უყვარდა ის ხალხს, ისეთი ძლიერი სურვილი ჰქონდათ ენახათ და მიეღოთ მისგან ნუგეში, დარიგება, რომ ზოგიერთი მათგანი ორი კვირის განმავლობაში ელოდა. ისინი იმედსაც არ კარგავდნენ, რომ მამაო მიიღებდა მათ. ახლოს მისულმა შევიტყვე, რომ მამაოს გამოსვლას ელოდნენ. ის დავრდომილთა სახლის, ობოლთა სათნოების სახლის და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებების დასათვალიერებლად აპირებდა წასვლას, რომლებიც მან ქველმოქმედი ადამიანების ხელშეწყობით მოაწყო. მიეხედი, რომ ახლოს ვერ მივიდოდი და შორს დავდექი. აი, კარიც გაიღო, ხალხი აღელდა, გაისმა შეძახილები: „მამაო, შენ ჩვენი ხარ! მამაო!" აი, ისიც, საყვარელი ბერი, მამა ამბროსი, უკვე მოხრილი, მაგრამ კეთილსახიერი ბერი, უბრალო, ალერსიანი, ხელმისაწვდომი. მისი წინასწარმხედველი თვალები სიბრძნით ანათებდნენ და სულის სიღრმეში აღწევდნენ. მან ახლოს მდგომნი დალოცა, ჩაჯდა ეტლში და მონასტრის გზას გაუყვა. ხალხიც მიჰყებოდა – აქეთიდან,

წინიდან, უკნიდანაც მისდევდნენ, რომ მისი გამოხედვა ან მაკურთხებელი ხელი დაეჭირათ, შემდეგ კი გახარებულნი სხვას უთმობდნენ გზას. მე შორიდან ვაკვირდებოდი ამ გულისამაჩუყებელ და ჩემთვის სრულიად ახალ სანახაობას.

ბერი ვისაც პატრონობდა – ყველა მოინახულა. შემდეგ კი დასასვენებლად წინამძღვრის სენაკში დაბრუნდა. ხალხი ისე მღელვარედ მიისწრაფოდა მის კვალდაკვალ, რომ დიდი ძალისხმევით შეაკავეს და დახურეს კარი. მე, დედა იღუმენიას წყალობით, დიდი ბედნიერება მერგო და ოთახში შემიყვანეს. აქ, მამაოს მეორედ გამოსვლის დროს, სულ მის ახლოს აღმოვჩნდი. მე უნებლიე თრთოლით შევხედე ამ კეთილ, მშვენიერ სახეს და მის წინასწარმხედველ, სულში ჩამწვდომ თვალებს. მუხლმოყრილი ჩავეჭიდე მის მაკურთხებელ ხელს. როცა ბედნიერებით თვალცრემლიანი თავი ავწიე და კიდევ ერთხელ შევხედე მას, დავინახე, რომ ის, ჩემი მშობლიური, ძვირფასი მამაო,დაუინებით მიყურებდა და რაღაცას ლაპარაკობდა. ერთ ადგილას გავიყინე. ხოლო ერთმა მხცოვანმა მონაზონმა მოირბინა ჩემთან და საჩქაროდ მითხრა: „რატომ დგახართ? მამაომ ხომ თქვა: მე შენ წაგიყვანო. უნდა გესარგებლა – აქ ხომ კვირაობით დგანან, უცდიან და ისე მიდიან, რომ მას ვერ ხვდებიან“. მე იმის გაფიქრებაც ვერ გავბედე, რომ მისი სიტყვები მე მეხებოდა. მას მთელი დღე არ ასვენებდნენ ჩამოსულები. მხოლოდ საკვების მიღების დროს ცოტა ხნით ისვენებდა.

იღუმენიას სიკეთის წყალობით სადილის ჟამს სატრაპეზოში მიმიყვანეს, სადაც ამ დროს უანგაროდ ჭამდა უამრავი მომლოცველი. იქ, გამოსაჩენ ადგილზე, ყვავილებით შემკული მამა ამბროსის დიდი და მშვენიერი პორტრეტი ეკიდა – თითქოსდა, სტუმართმოყვარე მასპინძელი აკვირდებოდა სტუმრების დაპურებას. ეს წმინდა მოციქულების, პეტრეს და პავლეს ხსენების დღე იყო, ამიტომ ერთ-ერთი მონაზონი წყნარად, მაგრამ გასაგონად და გამომეტყველებით კითხულობდა სახარებიდან პეტრე მოციქულზე თქმულს. ყველა მდუმარედ ისმენდა წმინდა უწყებას: პეტრე მოციქულის ცოცხალ და მხურვალე რწმენაზე თავისი მასწავლებლის მიმართ, ასევე მის მიერ იესოს უარყოფაზე და ბოლოს მკვდრეთით აღდგომილი

მაცხოვრის მიერ მის მოციქულებრივ ხარისხში აღდგინება'ხე. ამრიგად, საოცრად მომეწვენა ამ ადამიანების ტრაპე'სი, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან იყვნენ ჩამოს'ულნი და სხვადასხვა ჩინი ჰქონდათ. ისინი ძმურად ისხდნენ, მიირთმევდნენ და თითქოს ყველა'ს დიდ მოციქულს ბაძავდნენ, რომელმაც თქვა: „ყოველისა წინა ურთიერთას სიყუარული განმარტებ'ელი გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათაჲ. სტუმრისმოყუარე იყვენით ურთიერთას თუნიერ დრტუნვისა“ (1 პტრ. IV, 8-9).

მოსაღამოვდა. შამორდინოს პატარა, საშინაო ეკლესიაში ღამის-თევის ლოცვა აღესრულებოდა. დედები აწყობილად, მოწიწებით გალობდნენ და კითხულობდნენ. გულმოდგინედ ლოცულობდნენ მომლოცველები. ეკლესიის შემოსასვლელ დერეფანში ისევ ავიწროებდნენ ჩამოს'ულები ერთმანეთს. ისინი დილიდან მოთმინებით ელოდნენ, როდის გაიღებოდა მამაის სენაკი, რომელიც ხატების წინ ანთებული კანდელით იყო განათებული. აქ 'სოგი იდგა, 'სოგიც იჯდა. კართან იჯდა და სისუსტის გამო კედელს თავით მიყრდნობოდა ახალგა'სრდა სნეული მონა'სონი. იქვე იჯდა ვიღაც ახალგა'სრდა ქალი, რომელიც ისტერიკულად მოთქვამდა. გაიღო კარი. ყველა გამოფხი'სლდა. ბერმა, მთლიანად თეთრებში შემოსილმა, გამჭრიახი თვალით 'შეხედა ყველას, მოჰკიდა ხელი ავადმყოფ მონა'სონს და 'ძიგნით 'შეიყვანა. კარი ისევ დაიხ'ურა. ამ დროს მომტირალმა ქალმა ამოიძახა: „მამაო! მეც წ'ამიყვანეთ, თორემ მომკლავს ჯ'ავრი“, – და უფრო ძლიერ დაიწ'ყო მოთქმა. 'ეცბად ისევ გაიღო კარი. ბერმა კუთილი ღიმილით შეხედა მას და უთხრა: „ვინ აპირებს აქ სიკ'კდილს? მისი დაკრძალვაც მოგვიწ'ევს. კარგი, მოდი, მოდი!“ კარი ისევ დაიკეტა. იქიდან გამოს'ულ ქალს კი სახე უბრწ'ყინავდა. მას ისევ ჩამოსდიოდა სახე'ზე ცრემლები, მაგრამ ეს 'უწინდელი ცრემლები კი არ იყო, არამედ სიხარ'ულით, მშვიდად ანათებდნენ მის თვალებში. მე თანაგრძნობით შევეკითხე, დაამშვიდა თუ არა მამაომ. მან მითხრა: „დამამშვიდა და თან როგორ! ნამდვილად მშობელი მამაა... თუმცა, ჩემი მწ'ეხარება იმდენად დიდია, რომ მას მალე ვერ განკ'ურნავ“.

ამ მომენტ'ში ეკლესიიდან გალობის ხმა ისმოდა: „აქებდით სახ'ელსა

უფლისასა! აქებდით მონანი უფალსა.“ ყოველივე ნანახით ღრმად აღძრული ვლოცულობდი და ვოხოვდი უფალს დიდ წყალობას – ბერთან მიღებას. რამდენიმე წუთში სენაკის კარი ისევ გაიღო... თვითონ მამაო გამოჩნდა კარში და სახელით დამიძახა... სიხარულისგან შეცბი და პირჯვრის წერით შევყევი პატარა, მსის სხივებით ნახევრად განათებულ სენაკში. მამაო საყარძელში იჯდა. მე მუხლი მოვიდრიკე, თავი ჩაველუნე მის ფეხებთან და სიხარულის ცრემლებით ვემთხვიე. მან დამლოცა და მკითხა: „აბა, რას მეტყვი კარგს?“ – და სახელით მომმართა; – „მამაო! ილოცეთ ჩემზე. მე მკერდი მტკივა და ორი ოპერაცია გამიკეთეს. ექიმი ამბობს, რომ აგვისტოში ისევ უნდა ვეღლოდოთ ავადმყოფობის განმეორებას (ამაზე ვლაპარაკობდი და გულში არანაირი შიში არ მქონდა, მარტო მამაოს ყურებით ვტკბებოდი). ილოცეთ, მამაო, ჩემზე, რომ ღმერთმა განკურნოს ჩემი სული და სხეული“. სანამ მე ვლაპარაკობდი, მამაო თავისი გამჭრიახი მზერით მიცქერდა. „კიდევ რა ცოდვები გაქვს?“ - მკითხა მოულოდნელად ბერმა. მე ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოუმზადებელი ვიყავი და ძლივს მოვახერხე მეთქვა, რომ მოუსვენარი ვარ, ამპარტავანი და დაუდევარი ხსნის გზაზე, რომ ახლახან ძალიან ვბრაზობდი, თუმცა არა ჩემს თავზე. „შენ ცოტა ხნის წინ ბრაზობდი? უწინ რისთვის განრისხდი? ჰა?“ მე შევწუხდი მოულოდნელობისაგან და ძლივს ამოვილუღლუღე: „როდის, მამაო?“ – „აბა, საიდან დაიწყო შენი ავადმყოფობა?“ ჰოი, მამაო! (ელვისებურად გამახსენდა ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა, მაშინ თავს ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობდი). ეს დიდი მწუხარება იყო ჩემს სულში... „ნაწილობრივ ხომ შენ იყავი მაშინ დამნაშავე?“ – ამბობდა ის მოწყალე და ბრძნული ტონით, – „დიახ, მამაო!“ ვაღიარე, რომ არ ვიყავი მართალი. „უდანაშაულოც რომ ყოფილიყავი, განა მოთმინება არ შეიძლებოდა? უფალი ითმენდა... რა საჭიროა შურისმაძიებლობა?“ – „მეც არ მსურდა შურისძიება, მამაო (დიდი ხნის განმავლობაში ხშირად ვფიქრობდი ამაზე და მივხვდი, რომ ის არ (ცდებოდა), – უარზოდ ვამბობდი მე, ასრებით წარსულში ეუბრუნდებოდი იმ გარემოებას, რომელსაც ასე ჭრელჭითად მიმითითებდა ბერი, – ძალიან მიმძიმდა, მე კი გულის სიღრმეში ვინახავდი ამ უბედურებას“; –

„იმას ინახავდი! აწი არასოდეს გაინრისხდე. ახლა ნუ გეშინია: აწი არაფერი გიშავს, არაფერი გიშავს! აქედან კალუგაში გაემგზავრე. იქ, კალუჟანკაში ცხოველმყოფელი ჯვარი და ძველ სამლვდელმთავრო სახლში წმინდა ნიკოლოზს სასწაულთმოქმედის ხატი მოილოცე, აიღე ნაკურთხი წყალი და კანდელის ზეთი, წყალი უსმოზე სვი, ზეთი კი იცხე. ღმერთი გაკურთხებს!“ დამლოცა და გამიშვა, შემდეგ ისევ მომაბრუნა და სეფისკერი მომცა.

შეუძლებელია აღწერო და სიტყვებით გადმოსცე ის, რასაც მაშინ სულში ეგრძნობდი. ეს იყო ჩემი მოკრძალებული თრთოლა მართლის წინაშე, რომელიც თავისი მჭვრეტელობით შეიჭრა ჩემს ცოდვილ და დამწუხრებულ სულში და წაიკითხა – ასე ვთქვათ – ჩემი საიდუმლო ფიქრები და გრძნობები, რომლებიც აქამდე მხოლოდ ღმერთმა უწყოდა. ეს იყო რაღაც არამიწიერი ურთიერთობის საზეიმო სისარული, ამ სულიერი სამყაროს ქროლა... არა! სიტყვებით, ვიმეორებ, ვერ გამოთქვამ იმას, თუ რა საოცარი, საზეიმო დღესასწაული იყო მაშინ სულში, ქრისტეს აღდგომასავით ნათელი. და არა მარტო საშინელი ავადმყოფობის და ოპერაციის, საშიშროება, არამედ კიდევ უფრო საშინელი რამ აღკვეთა მამაოს სიტყვებმა. მათ შესახებ იმიტომ ვუთხარი, რომ თანამგრძნობმა მონაზვნებმა მირჩიეს, მეთქვა მამა ამბროსისთვის ამის თაობაზე და მისგან წმინდა ლოცვები მეთხოვა. ზუსტად ასეთ განწყობაზე იყო ყველა, ვისაც მამაოსთან შესვლის ბედნიერება ერგო.

საღამოს მონასტრის სასტუმროს დერეფანში სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული სალხი შეიკრიბა. ერთმანეთისთვის უცხონი აქ გაეცვნენ ერთმანეთს და ძმურად უხსნიდნენ ერთმანეთს გულს, უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, სიხარულს. რომელიც მამა ამბროსის სიტყვებმა მოჰგვარა მათ. ეს იყო ნუგეში – მამაოს გონიერი და ბრძნული რჩევები. აქაც იმყოფებოდა ის მომტირალი ქალბატონიც და სრულიად მშვიდად იჯდა. მე ისევ მივედი და გამოვესაუბრე მას. „თქვენ, ალბათ, ცოტა ხნის წინ დაკარგეთ ვინღაც ახლობელი ადამიანი და ამიტომაც იყავით მამაოსთან ასეთ ცუდ ხასიათზე?“ – „არა, სავსებით სხვა რამ მაწუხებდა. ვინმე ახლობელი რომ დამემარხა, მაშინ ადამიანებში ვნახავდი თანაგრძნობას და ნუგეშს, ახლა კი, ამ

შემთხვევაში უგულებელმყოფნენ“. – „საცოდავო! მაგრამ მამაომ ხომ მაინც დაგამშვიდათ, განუგეშათ?“ – „დიახ, რა თქმა უნდა, ნამდვილად მშობელი მამაა! მე ნამდვილად ღირდი მომეხსნა გულს. მე უკვე თავის დასჯას თვითონვე ვაპირებდი... ის რომ არა, არ ვიცი, დღესაც რა შემემთხვეოდა“. შემდეგ მან თავის თავზე იღაპარაკა, რომ ისეთი ჯიშისაა, რომელიც ყველას სძაგს, ე. ი. ებრაელია. „კი მაგრამ, მამაოსთან როგორ მოხვედით? – გამიკვირდა მე, – თქვენ შეიძლება ქრისტიანობის მიღება გინდათ?“ – მან ამაზე რაღაც ორჭოფულად მიპასუხა. როცა ის დავტოვე, რათა ღამის გასათევი კუთხე მომეძებნა, აღმოჩნდა, რომ სასტუმროში ყველა ოთახი გადახვედილი იყო სალხით. მე კი ძლივძლივობით აქვე, დერეფანში, საგარძელში მოვეწყვე; ერთმა ქალბატონმა თავაზიანად შემომთავაზა მის ნომერში შესვლა, მაგრამ მე მარტო ყოფნა ვამჯობინე, რათა მეფიქრა და ნაწილობრივ მაინც განმეცადა ის დღევანდელი შთაბეჭდილებები, რომელნიც ყველაზე ბედნიერი გახლდათ ჩემს ცხოვრებაში.

დილით ადრე, როგორც კი თვალი გავახილე, ისევ სასიხარულო განწყობამ მოიცვა ჩემი სული – იგივე მოკრძალება კეთილშობილი ბერისადმი და მხურვალე სიყვარული მის მიმართ. სასტუმროდან გამოსული სათუთად ვუმზერდი იმ მოკრძალებელი სენაკის ფანჯარას, სადაც მაშინ ჩვენი ძვირფასი ბერი იმყოფებოდა. მიწამდე თაყვანი ვეცი, დაუსწრებლად ვთხოვე, ელოცა ჩემი ცოდვილი სულისთვის და გახარებული, ბედნიერი გამოვედი ამ ახალდაარსებული სავანიდან, რომელსაც იმ წუთში მთელი მსოფლიოს განძეულობაზე არ გავცვლიდი.

შინ დაბრუნებისას წმინდად შეასრულე ყველაფერი, რაც მამაომ მიბრძანა. კალუგაში მის მიერ მითითებული ყველა სიწმინდე მოვილოცე. ყველგან გადავახდევინე პარაკლისი. ავიღე ნაკურთხი წყალი და ზეთი. ყოველივეს დასრულების მერე სულიერი სიმშვიდით დავბრუნდი სახლში. ამის შემდეგ ცხრა წელმა განვლო, მაგრამ ბერის ლოცვებით ავადმყოფობა არ მობრუნებულა ჩემთან. ერთხელ ძლიერი ტრამვის გამო საშინელი ჩქვილის განახლების საშიშროება იყო და ნიშნებიც კი გამოჩნდა. შევშინდი. ლოცვის გარდა სხვა

საშველს ვერ ვხედავდი (მამაო უკვე გარდაცვლილი იყო). ისევ იმ სიწმინდეებს მივაშურე და იქ ვილოცე; მოვიტანე იქიდან წმინდა წამალი (ნაკურთხი წყალი და ხეთი) და ღვთის წყალობითა და მამაის ლოცვით ისევ გამოვჯანმრთელდი."

ჩვენ კი გავყვეთ რიგს და გავაგრძელოთ თხრობა მამა ამბროსისთან დაკავშირებული, იმ გარემოებაზე, რომელიც 1889 წლის შემდგომ გადახდა მას.

IX თავი
ბერი ამბროსის გადასვლა ოპტინის სკიტიდან შამორდინოს სავანეში

1889 წლის 8 ოქტომბერს მამა ამბროსის ოპტინის მონასტერში მოსვლიდან ორმოცდაათი წელი შესრულდა. მადლიერმა შამორდინოს სავანის დედებმა ამ დღეს დიდი ფორმატის ტრაპეზის სახარება მოართვეს, რომელიც ქვრცხლით იყო მოჭედილი და თან მოიქრონვილი. ის მშვენიერი ნამუშევარი გახლდათ. ჩვენული მოკრძალებით და სიმდაბლით მიიღო ბერმა ეს ძვირფასი საჩუქარი. მან ის ჯერ სკიტის საცავს გადასცა, სადაც ინახებოდა ყველა გარკვეული დროის განმავლობაში, შემდეგ კი დააბრუნა ის შამორდინოს სავანეში, რომელსაც ყოველნაირად ხრუნავდა და არც მიუტოვებია ხრუნვა. მან ბოლოს თავისი თაიც ამ სავანეს მიუძღვნა, რასაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

არ ვაპირებთ ჩავუძიოთ წერილმან მიხეებს, თუ რატომ გადაბარგდა ბერი საცხოვრებლად შამორდინოს სავანეში. უბრალოდ, ვიტყვით, როგორც თაის დროზე ამას თვითონ ბერი ამბობდა: ასეთი იყო ნება ღვთისა. „რამეთუ ნებასა მისსა ვინმე წინააღუდგა?" (რომ. IX-19). გარეგნული გარემოებანი კი, რომლითაც ღვთის ნება გვეცხადება, ასეთნაირად დაიწყო. თვითონ ბერი ამბროსი, როგორც ცნობილია, უკვე მხცოვანი იყო. დაუღალავი შრომით და ავადმყოფობით დაუძლურებული უფრო და უფრო სუსტდებოდა. ხოგჯერ,

როგორც ზემოთ ვნახეთ, იქამდე მიდიოდა საქმე, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ამიტომ მასთან მოსულებს დიდი ხნის განმავლობაში მონასტრის სასტუმროში უწევდათ ლოდინი, სადაც ოდითგანვე იყო მათი უფასოდ დაბინავების წესი. ხალხის ნაკადი კი უსარმაზარი გახლდათ და გასავალიც დიდი იყო. აუცილებლობის გამო ზედმეტი ხალხის მიღება რამდენადმე შეიზღუდა. ბერის მოსიყვარულე გულისთვის, რომელიც ცდილობდა, საჭიროების შესახებ ყველა დაეკმაყოფილებინა, ეს არცთუ მცირე განსაცდელი იყო. ეს არ ეთანხმებოდა მის მტკიცე რწმენას ღვთის განგებულების მიხედვით. ის მუდამ იღვწოდა ყველასთვის და ყველაფრის გამო. როგორც კი ბერი ოდნავ მომჯობინდებოდა, ისევ იწყებდნენ მის შეწუხებას, ზოგჯერ უაზროდ. დაუძლურებულს მოსვენება არ ჰქონდა. ბერს, როგორც იტყვიან, ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდნენ. ეტყობა ამიტომ, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ის, სარეცელსე მწოლიარე ეუბნებოდა ერთ-ერთ სულიერ შვილს ასეთ სიტყვებს: „მე მიმძიმს, აუტანელი ხდება ცხოვრება“. შეიძლება, ეს სიძნელე სხვა მიზეზებითაც იწრდებოდა, რომელიც ბერისა და მისი სულიერი შვილების ურთიერთობაში ვლინდებოდა. უხერხული იქნება ამის განსჯა მხოლოდ ვარაუდითა და დასკვნებით.

ოპტინის მონასტერში ასეთი მდგომარეობის გარდა ბერი ამბროსის ტვირთს შამორდინოს ქალთა სავანის სამეურნეო საქმეებიც ამძიმებდა, რომლებიც პირველი წინამძღვრის, დედა სოფიას გარდაცვალების შემდეგ, როგორც ეტყობა, გაუარესდა. იქ სავანის გახსნის დღიდანვე დიდი მშენებლობა წარმოებდა, ბევრი მუშახელი ჰყავდათ და იმჟამად მათ მეთვალყურეობა აკლდათ. თვითონ ახალი წინამძღვარი, მთელი თავისი სიკეთის მიუხედავად, სუსტი ჯანმრთელობის იყო და არის კიდეცაც, — არ მინდა მის სამხილებლად ვთქვა — გამოუცდელობის გამო არ ჰქონდა სამეურნეო საქმის წარმოების შესაძლებლობა. მისი ახლობლების რიცხვშიც ამ საქმის გამკეთებელი არავინ იყო. არც ასეთი, მშენებლობისთვის საჭირო თანხები არც სავანეს და არც ბერს არ გააჩნდათ, მაგრამ ეს არავინ იცოდა. პირიქით, ყველა დარწმუნებული იყო, რომ საშუალებები ამოუწურავი იყო. მამაოს ყველაზე ახლობელმა ქველმოქმედმა

პირებმაც კი არ იცოდნენ მისი მდგომარეობა. ამასობაში ბერმა სავანეში უსარმაზარი ქვის ტაძრის მშენებლობა დაიწყო. ის სავანეში არსებული საშინაო ხის ტაძრის ადგილას უნდა აშენებულიყო, ამიტომ ჯერ ამ ტაძრის სხვაგან გადატანა იყო საჭირო. ამისთვის მცირედი თანხა გახდა საჭირო და აი, 1889 წლის საფხულში, როცა დედები ახალი ტაძრისთვის საძირკვლის თხრას თვითონ შეუდგნენ, ძველი ხის ეკლესია სასწრაფოდ გადაიტანეს სავანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ერთ თვეში კი იქ ღვთისმსახურება დაიწყო. ეს ეკლესია მონასტრის სასაფლაოსთან დაიდგა. მასში მოეწყო მინაშენი ღვთისმშობლის „ცხოვრების წყაროდ“ წოდებული წმინდა ხატის სახელზე.[186]

ამის შემდეგ, დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ახალი ტაძრის მშენებლობას შეუდგნენ. ამისთვის შემომწირველებმა არქიტექტორი დაიქირაეს, რომელიც ორი წლის განმავლობაში მათს კმაყოფაზე ცხოვრობდა. დაიწყო წინასწარი სამუშაოები: ააშენეს აგურის ქარხანა და ჩაიყარა ტაძრის საძირკველი. მომავალში ფული გახდა საჭირო, რომელიც არ ჰქონდათ. დაიბეჭდა მოსაწვეები შემოწირვის თაობაზე ყველა მოსკოველი სახლთმეპატრონის მისამართით წინამძღვრის სახელით. მაგრამ ამაოდ! შემოწირული იმდენად მწირი აღმოჩნდა, რომ მოსაწვეების ბეჭდვის და ფოსტის ხარჯები ძლივს დაფარა. ამგვარი უკიდურესი მდგომარეობის გამო ჩაიფიქრა ბერმა შამორდინოს სავანეში გადასვლა, თუმცა შეიძლება დროებით, რათა პირადად ეხელმძღვანელა ადგილზე.

1890 წლის საფხული დადგა. იენისის. თბილი და მშვენიერი ამინდი იყო. ბერმა, გასული წლების მსგავსად, შამორდინოში წასასვლელად დაიწყო მზადება. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ შამორდინოში წასვლაზე არ უფიქრდა წინასწარ ლაპარაკიროდგანაც, ეტყობა, თვითონაც ეშინოდა ზუსტი დროის განსაზღვრა და, რომ მომსვლელთაც არ ენერვიულათ ტყუილ-უბრალოდ. თუმცა, სიყვარული

[186] სიკვდილის წინ მამა ამბროსიმ ამ ხის ეკლესიას მიაშენა ისეთი რიგი სენაკებისა, რომლებიც კარებით და ფანჯრებით პირდაპირ ეკლესიას უყურებდნენ. აქ, ამ სენაკებში უნდა მოეთავსებინათ ის პირები, რომლებსაც გადაადგილება არ შეეძლოთ, რათა იქიდან მოესმინათ საეკლესიო მსახურებისათვის.

ნიშნების მიხედვით ყველა ხვდებოდა, რომ მამაო შამორდინოში წასვლაზე ფიქრობდა. წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა მინაშენში ურთიერთშეკითხვები იმის თაობაზე, რისდის და რამდენი ხნით მიდიოდა მამაო. დამაკმაყოფილებელ პასუხს რომ ვერაკისგან მიიღებდნენ. მაშინ იგივე კითხვებით მიმართავდნენ ბერის მომსახურეს. ისიც უხალისოდ პასუხობდა: „ჯერ არაფერი ისმის“. რამდენიმე ხანი ყველა მშვიდდებოდა, თუმცა მომსახურის ტონის მიხედვით ამ პასუხის არ სჯეროდათ. დამშვიდდებოდნენ თუ არა, შემოვიდოდა მინაშენში რომელიღაც ახალი სახე იგივე კითხვებით: „მართლა ემზადება მამაო შამორდინოში წასასვლელად?“ ისევ დაიწყებოდა ღელვა. შორიდან მოსულები, იმის შიშით, რომ ვერ მოასწრებდნენ ბერთან საუბარს, პირდაპირ მას ეკითხებოდნენ. გამოვიდოდა მამაო საერთო კურთხევაზე და ყველა მოუთმენლად ელოდა ხელსაყრელ წუთს, რომ ეკითხათ ამის თაობაზე. მამაოს პასუხიც კი ვერ აშშვიდებდა მათ: „კი ვფიქრობდი, – იტყოდა ბერი, – მაგრამ თქვენი ლოცვით დილიდან თავს ცუდად ვგრძნობ“; მაშინ კი იწყებოდა დამწუხრება და სრუნვა, რომ როგორმე ბერი ავად არ გამხდარიყო.

მამა ამბროსის შამორდინოში ბოლო მგზავრობას ზოგიერთი განსაკუთრებულობა ახლდა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ ამჯერად დიდხანს ემზადებოდა გასამგზავრებლად. ხან ერთი საქმე შეაკეთებდა, ხან მეორე. ის ადრე სავანეში წასვლისას უფროს მომსახურე მღვდელ-მონაზონ მამა იოსებს გაიყოლებდა ხოლმე, ამჯერად კი დიდხანს არაფერს ეუბნებოდა მას. ბოლოს მაინც ორჭოფულად, გაუბედავად მიმართა მას კითხვით: „რა ვქნა, შამორდინოში წავიდე?“ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უფროსი მომსახურე (მამა იოსები) მისიც კურთხევით და წინამძღვრის თანხმობით უკვე ხარისხში იყო აყვანილი და მეუფროსე ბერობასაც იწყებდა. ამიტომ, როცა მამა ამბროსი არ იყო ადგილზე, მასთან ყოველდღიურად დადიოდა ხალხი. მან შამორდინოში წასვლაზე საუბრისას ბერს ჰკითხა: „აქ რაგორ მოვიქცეთ, მამაო?“ ამის საპასუხოდ ბერმა მაშინვე მისი სკიტში დატოვება, ხოლო თან უმცროსი მომსახურე ბერის, ისაიას წაყვანა გადაწყვიტა.

კიდევ იყო აღსანიშნავი შემთხვევაც. მამა ამბროსის შამორდინოში ბოლო გამგზავრებამდე ერთი წლით ადრე სავანის კეთილისმყოფელმა, ანა იაკოვლევის ასულმა პერლოვამ, სიზმრად ნახა რომელიღაც ღვთისმშობლის ხატი და ბერს უთხრა ამის თაობაზე. მამაომ მას ღვთისმშობლის სხვადასხვა ხატები აჩვენა, მაგრამ სიზმარში ნანახი ხატის მსგავსი არც ერთი არ აღმოჩნდა. მაშინ ბერმა მისცა განკარგულება, როგორც კი მოიძებნებოდა სიზმარში ნანახი ხატის მსგავსი, მაშინვე შეეკვეთა ხატმწერისთვის. დროთა ვითარებაში აღმოჩნდა, რომ ეს ღვთისმშობლის ე.წ. „ცოდვილთა თავმდები“ ხატი იყო და ის დაიწერა კიდევ ოქროს გრუნტზე, დიდ ფორმატში (თითქმის 2 არშინი სიმაღლის). ბერმა ეს ხატი მიღებისთანავე თავის სენაკში კედელზე ჩამოკიდა, რომლის გვერდით ლოგინი იდგა, სადაც ბერი ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში იღებდა ხალხს. სკიტიდან გამგზავრება რომ დააჩქარა, მაშინვე უბრძანა მამა იოსებს, მოეთავსებინა ეს ხატი სასთუმლის თავზე და აენთო მის წინ ნაუქრობელი კანდელი. მამა იოსებმა ბერის გამგზავრებისთანავე შეასრულა მისი დანაბარები. ამ გარემოებას და წინამდებარე მოვლენებს თუ დავაკავშირებთ, მივალთ იმ აზრამდე, რომ ბერს ჰქონდა წინათგრძნობა, შეიძლება იცოდა კიდეც, რომ სკიტს სამუდამოდ ტოვებდა, ამიტომ ის თითქოს აბარებდა სკიტს და მთლიანად სავანეს დედა ღვთისმშობელს. და როგორც ადრე, ბერის სიცოცხლეში (მისი სკიტში ყოფნის დროს), ასევე ახლაც, მომსვლელები სენაკში შესვლისთანავე იმ ადგილის შეხედვისას, სადაც ის იწვა, ხედავენ ყოველადწმინდა დედის ხატს, „ცოდვილთა თავმდებად“ წოდებულს.

იმ გარემოების შესავსებად, რაც მამა ამბროსის სკიტიდან წასვლას ახლდა თან, ერთ-ერთი ქალბატონი თავის ჩანაწერებში ამბობს: „1890 წლის ზაფხულში ჩემს ქალიშვილებთან ერთად ჩავედი ოპტინაში, რათა მთელი ზაფხული იქ გამეტარებინა. ჩემი ჩამოსვლიდან ორი კვირის მერე გაიგე, რომ ბერი, სულიერებისამებრ, უმზადებოდა შამორდინოში წასასვლელად, როგორც აკეთებდა ხოლმე ამას ყოველწლიურად. დილას მივედი მასთან იმის გასაგებად, თუ როგორ მოკლეულიყავი – ყოფილიყავი აქ მის ჩამოსვლამდე.

თუ გაეყოლოდი შამორდინოში. გამოგიტყდებით, შამორდინო ბერის გარეშე არანაირ განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენდა ჩემთვის, მაგრამ მამაო მიდიოდა და მეც მომინდა. ბერმა მაშინვე მიმიღო და მითხრა, რომ ჩემი წასვლა შეიძლებოდა, მაგრამ არა იმავე დღეს, ვინაიდან ის ჯერ რუდნევოში (შამორდინოს აგარაკი) წავიდოდა. მე კი დამავალა, რომ მისი გამგზავრებისთანავე ბავშვებთან და თანმხლებ ქალბატონთან ერთად ჯერ კოსელსკში წავსულიყავი და იქ ასტირიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატთან სამგზავრო პარაკლისი შემეკვეთა მის სახელზე. ბერებს კი დაავალა, წასულიყვნენ ტაძარში და ყაზანის ღვთისმშობელთან ემსახურათ სამგზავრო პარაკლისი. მაკურთხა, რომ ჩემი ნივთები მამა იოსების-თვის დამეტოვებინა და თან მხოლოდ ყველაზე აუცილებელი წამელო. მე ეკითხე: „რამდენ ხანს გაჩერდებით იქ, მამაო?“ – მან მიპასუხა: „ვფიქრობ,არა უმეტეს ათი დღისა,იქ კი ვნახოთ“. ამჯერად ბერი თავისთან სენაკში მტოვებდა და ჩემი თანდასწრებით მიიღო კიდეც ნაცნობი მღვდელ-მონაზონი, რომელიც კალუგიდან იყო ჩამოსული. შემდეგში მახსენდებოდა და მიკვდი, მამაო იმ ძი'სინით არ მი'შვებდა, რომ უკანასკნელად მესაუბრებოდა ოპტინა'ში, ჩემთვის ძალიან ძვირფას მინაშენში, სადაც მე მისგან ბევრი სიყვარული და ნუგეში მიმიღია. მართლაც, ბერის ურთიერთობა და ნუგეში ჩემთვის უკანასკნელი აღმოჩნდა“.

„ბერის სიკვდილიდან გამოსვლამდე ორი დღით ადრე მომახსენეს მე ამის შესახებ, – წერს შამორდინო'ში ბერის მწერლად მომ'შავე მ. ე. ს. – რადგან წინა დღით უნდა წავსულიყავი შამორდინო'ში მისი სენაკის მოსამ'სადებლად. რას შეიძლება შევადარო ის სასიხარულო გრძნობა, როცა მამაოს ელიოდები შამორდინო'ში ან აგარაკ'ზე, სადაც მისი ნახვა ყოველგვარი მოხსენების გარეშე შემეძლო და არა რამდენიმე წუთით, როგორც ოპტინა'ში, არამედ მსახურების მსგავსად. მე მათი მუდამ მშურდა! მე მოვემსახურები კიდეც ბერს, – რა ბედნიერება იყო ეს ჩემთვის! განსაკუთრებით სასიამოვნო იყო აგარაკ'ზე, სადაც მას პირველი ღამე შეეძლო მარტო ყოფილიყო და დაესვენა. თუმცა ეს ყოველთვის არ ხერხდე-ბოდა. მამაოს დასვენება არსად ჰქონდა. უმეტესად ასე ხდებოდა:

დილით გაიგებდნენ, რომ ბერი სამი საათისთვის მიდიოდა და ისინიც ჩქარობდნენ, რომ ჩაესწროთ შამორდინოში ან აგარაკზე, სადაც ელოდებოდნენ კიდეც მის ჩამოსვლას იმ იმედით, რომ სანამ ბერი მომსვლელი შეიკრიბებოდა, მოასწრებდნენ ბერთან ურთიერთობას.

როგორც იქნა დადგა 2 ივლისი და ბერი სკიტიდან პირდაპირ რუდნეოს აგარაკზე გაემგზავრა.

სხვათა შორის, რუდნეოსეც უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. შამორდინოდან შვიდი ვერსით დაშორებულ ამ სოფელში ჯერ კიდევ განსვენებულმა დედა ამბროსია კლუჩარევამ შეიძინა თავისი შვილებისათვის, ბერი ამბროსის კურთხევით, მემამულის მიწა შენობებითურთ. ააწყეს სამეურნეო საქმიანობა: აბინაებდნენ თივას, ამუშაკებდნენ მიწას და მონაგებით სარგებლობდნენ. სხვა მხრივ ეს მამული არაფერს წარმოადგენდა. 1890 წელს ბერთან რუდნეოს მამასახლისი მოვიდა წერილით, სადაც ეწერა, რომ მრავალი წლის წინ მემამულის მიწაზე, რომელიც ამჯერად რუდნეოს აგარაკის სახელით საკანეს ეკუთვნოდა, ვილაც მოღვაწეებმა ჭა ამოთხარეს, რომელიც მრავალ მგზავრს წყურვილს უკლავდა. ახლა ეს ადგილი მიუხედავი იყო. წერილს ასეთი ხელმოწერა ჰქონდა: „ღვთისმოსაობის მოყვარული“. ბერი ამბროსი რუდნეოში აქამდე მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი, როცა კლუჩარევამ შეიძინა ეს მამული და ეტყობა მხოლოდ იმისთვის, რომ ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, თუ რა იყო იქ. როცა წერილიდან მიიღო ინფორმაცია იქ არსებული ჭის შესახებ, მაშაო იმავე წელს ჩეკულებრივ გაემგზავრა შამორდინოში და განსრახული ჰქონდა რუდნეოში ჩასვლაც. შემდეგში კი შამორდინოში ყოფნისას ხშირად მოინახულებდა ხოლმე ამ აგარაკს. დაიწყო სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების შენება, პირადად მიუთითებდა მუშებს სად და რისი აშენება იყო საჭირო, თანაც სასწრაფოდ. ამასთან ერთად ბერმა ძველი ჭის ძებნაც დაიწყო. მან უბრძანა, ერთ ადგილას გაეთხარათ მიწა, მაგრამ მიზეზს არ ახმოვანებდა. მალე წყალი გამოჩნდა. მაგრამ საოცარი იყო, რომ ყველა შემდეგს ამბობდა: თითქოს წყალი ავადმყოფებზე, განსაკუთრებით შეპყრობილებზე, უარყოფითად მოქმედებდა. 1891

წლის საფხულში რუდნევოში ყოფნისას ბერმა ჭის ახლომახლო ადგილების დათვალიერება დაიწყო. ოდნავ ქვევით ილოცა და ვინც ახლდა, იმათაც უთხრა, რომ ელოცათ, რის შემდეგაც ბერთან ერთად დაიწყეს ადგილის დათვალიერება. უცბად იქვე მყოფმა სავანის წინამძღვარმა იგრძნო, რომ ფეხქვეშ მიწა იწვედა და შიშით წამოიყვირა, რომ იხრწობოდა. დაიწყეს ამ ადგილზე თხრა და მონახეს ძველი ჭა, სუსტად ის, რომელიც ბერმა წერილში წაიკითხა. სწორედ ამ ჭასთან აგებავინდა შემდეგში ბერი სოგიერთ ავადმყოფს, არიგებდა ამ ჭის წყალს და თიხას და ხალხიც იკურნებოდა.

„ერთ წელსე მეტი ხნის განმავლობაში, – ჰყვებოდა სემოხსენებული ქალბატონი, – ისეთი ავადმყოფობა მაწუხებდა, რომელსეც ვერ ვილაპარაკებ. მამაო რუდნევოს ჭის წყალს მახსენდა. ალდგომას ვითხოვე მამაოს კურთხევა, რომ წავსულიყავი რუდნევოში და იქაური ჭის წყლით გავბანილიყავი. ბერმა ყოველგვარი ფიქრის გარეშე მაკურთხა. ჭის ირგვლივ მხოლოდ დაწნული ღობე იყო. ჯერ კიდევ იდო თოვლი, სოგან გაყინული ბალახიც ჩანდა. გახდილს ისე შემცივდა, რომ ან უნდა გავყინულიყავი, ან სიცხით დავწოლილიყავი. ისე გადავისხი წყალი, როგორც საფხულში. ადვილად შეიძლება იმის განსჯა, თუ როგორი იქნებოდა წყალი მაშინ, როცა ჯერ კიდევ თოვლი იდო. თავი ჯანმრთელად ვიგრძენი. მგზავრობისას ორივე მხარეს ფეხით ვიარე და მერე ბერთან მივედი. ამ არაჩვეულებრივმა გასეირნებამ ჩემზე სასიკეთოდ იმოქმედა“. შემდეგში მკურნალი ჭის ახლოს პატარა ფარდული აშენდა იმისათვის, რომ წყლით დაბანვა უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო.[187]

ახლა დავბრუნდეთ უკან და შევუდგეთ თხრობა განვაახლოთ. ბერმა, ისევე როგორც წინა წლებში, რუდნევოში ცოტა ხანს დაჰყო და შამორდინოში ჩამოვიდა. ასევე აღტაცებით მეხვეწნენ ძვირფას ბერს დედები და ასეთივე ბედნიერნი იყვნენ მთელი მისი აქ ყოფნის პერიოდში. მისი სტუმრობა ამჯერად წეეულებრივზე უფრო გაგრძელდა. ბერის მიერ დანიშნული ათი დღის მაგივრად ის შამორდინოში თითქმის ოთხი კვირა ცხოვრობდა.

---

[187] ეს ცნობები ამოღებულია ბრონშურიდან „ჩვიმე დანაკლისი“, მე-2 გამოცემა შამორდინის ქალწული სავანის სასარგებლოდ, გვ. 53-54.

„მე სულ ველოდი, – აგრძელებს თხრობას ქალბატონი, – ბერის ოპტინაში წასვლას. სასტუმრო'ში ბავშვებით'ურთ ვიწროდ და უჰაეროდ ვცხოვრობდი. ყველა'ს'ე აუცილებელ ნივთებს, კაბებს და თეთრეულსაც მოკლებული ვიყავით. ამასობა'ში დრო მიდიოდა და მამაოც ემ'სადებოდა წასასვლელად, მაგრამ ხან ერთი საქმე აბრკოლებდა, ხან კი – მეორე. მამაო, როგორც ჩანს, ჩქარობდა. და'უღალავად დადიოდა ყველა მშენებლობა'ზე და ხალხის მიღებასაც ახერხებდა. შამორდინოს უხვად მოაწ'ყდნენ ბერები, მონა'ვენები და საერონი. სასტუმროებ'ში ადგილები არ იყო. ღამღამობით სასტუმროს წინა მოედანი ხალხით იყო სავსე. საბედნიეროდ, ცხელი 'საფხული იდგა".

„ბოლოს და ბოლოს იულისის ბოლო რიცხვებ'ში, – წერს მ. ე. ს., – მამაო მოემ'ზადა წასასვლელად და განკარგულება გასცა, რომ დანიშ'ნულ დღეს გასამგ'ზავრებლად ყველაფერი მოემ'ზადებინათ. მე წ'ინა დღით გამიშვა და ისეთი საქმე დამავალა, რომელიც მის ჩამოსვლამდე მ'ზად უნდა ყოფილიყო. ბერი შ'უა ღლის დასვენების მერე, წყ'ელებრივ, არა უადრეს 4 საათისა გაემგ'ზავრებოდა ხოლმე, ამიტომ ექვსი საათისთვის ხალხი უკვე გროვდებოდა სკიტთან. ს'ოკი ბორანთან მიდიოდა, ს'ოგიც წ'ყალგაღმა ელოდებოდა. მაგრამ 8 საათისთვის შამორდინოდან ერთმა მონა'ხსნმა მოიტანა ცნობა, რომ ღღეს მამაო არ მოვიდოდა, რომ წამოსასვლელად ყველაფერი მ'ზად იყო, მაგრამ დასვენების მერე სუსტად შეიქნა და წ'ამოსვლა კი არა, ხალხიც კი ვერ მიიღო, ამიტომ ხვალამდე იქვე დარჩებოდა. ამ ცნობამ ყველას უხასიათობა მოჰგვარა, მაგრამ ერთმანეთს ან'ყე'მებდნენ იმით, რომ ბერი ხვალ აუცილებლად ჩამოვიდოდა და ასეთი მოლოდინით და'შორდნენ ერთმანეთს. მეორე ღღეს დილიდან დაიწ'ყეს სკიტ'ში მოსვლა იმის გასაგებად, ისმოდა თუ არა რაიმე შამორდინოდან. სალამოს ისევ მოვიდნენ შამორდინოს დღეები იმის სათქმელად, რომ მამაო დილიდან ხალხს ხვდებოდა და რიგორც კი წამოსვლა გადაწ'ყვიტა, გუ'მინღლივით ისევ ცუდად გახდა, ამიტომ როდის ჩამოვიდოდა – უკ'ნობი იყო. მეორე ღღეს მამაოს წერილი გაღ'მომ'ცეს, სადაც შამორდინო'ში დაბრ'უნებას მთხოვდა. იქ ჩასულს კი ძალიან სუსტი და სერიო'ზული დამხვდა.

მე მოკუმევი, რომ ოპტინაში მოუთმენლად ელოდნენ და ნერვიულობდნენ. ამაზე მამაომ მიპასუხა: „ღვთის ნებას დაველოდები“.

არაერთხელ გაემზადა მამაო წასასვლელად და, როგორ ხდებოდა ეს ყოველივე შამორდინოს ქალთა სავანეში, ამაზე მოგვითხრობს ქალბატონი N.

„დანიშნულ დღეს ორჯერ ჩააწყვეს ეტლში მამაოს ნივთები და მის გასაცილებლად ემზადებოდნენ, მაგრამ მისი გამგზავრება ორჯერვე გადაიდო. ბერი ისე სუსტდებოდა, რომ თავის სენაკში მარტო ჩაიკეტებოდა ხოლმე. ერთხელ, მე ეს ძალიან კარგად მახსოვს, მამაო სადილის ჟამს დერეფანში გამოვიდა. ამჯერად ხალხი თითქმის არ იყო. შეწუხებული სახე ჰქონდა. მე რომ მნახა, მითხრა: „წადი ეკლესიაში, ილოცე ჩემზე – ძალიან ცუდად ვარ“. მე შემეშინდა და ტაძარში სალოცავად გავიქეცი. რამდენიმე ხნის მერე, საერთო კურთხევაზე შემომხედა და თქვა: „მე ან დამამწყვდიეს, ან ამომჭოლეს. თავიდან ძალიან მიჭირდა, ახლა არა მიშავს – გამიარა“. მე შევხედე მამაოს, მაგრამ მის სიტყვებს ვერ მივხვდი. მიძინების მარხვა დადგა, რომლის დროსაც ბერი აღსარებაზე უარს არავის ეუბნებოდა. აქ იყვნენ: არქიმანდრიტი და ოპტინელი ბერები, აქაური მონაზვნები, ჩამოსულები და მრავალი ერისკაცი. საიდან ჰქონდა ბერს ამდენი ძალა? ეს მხოლოდ უფალმა უწყის, რომელიც აძლევდა მას ძალას. 29 აგვისტოსთვის, სკიტის დღესასწაულისთვის[88] ბერმა ისევ დაიწყო სკიტში წასასვლელად მზადება. ჩვენ ყველანი ეკლესიაში, ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის წინ სამგზავრო პარაკლისის გადასახდელად გაგვიშვეს, მამაოსთვის კი ცხენების შეკაზმვა დაიწყეს. დაგვავალეს, რომ არავის გაგვეცილებინა მამაო მისი უძლურების გამო, რათა ის უფრო მშვიდად ყოფილიყო. ბერის გამგზავრება რომ მენახა, ტაძარში ფანჯარასთან ვიდექი. გაკვირვებული დავრჩი! მსახურება დამთავრდა, მაგრამ მამაოსთვის ეტლი არ მოჰყავდათ. ჩუმად გამოვედით ეკლესიიდან და გაურკვეველად შევიკრიბეთ იმ კორპუსის ირგვლივ, სადაც მამაო იმყოფებოდა. კორპუსიდან გამოვიდნენ და გვითხრეს, რომ მამაოს ისე გაუჭირდა,

[88] ოპტინის სკიტი – იოანე წინასწარმეტყველის, წინამორბედის და ნათლისმცემლის სახელობისაა

რომ წასვლა არ შეეძლო. ხმებიც კი დაჰკიოდა, მხოლოდ არ ვიცი რამდენად მართალია, რომ მამაო იაკობ‌ს დაჰარდნილი ნახეს. ამის შემდეგ შამორდინოდან მისი წასვლის შესახებ ხსენებაც არ ყოფილა“.

ამასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ ამავდროულად არაერთხელ იყო ბერი რუდნევო‌ში და არასოდეს მსგავსი რამ არ მოსვლია.

„ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის შემდეგ, – წერს მ. ე ს., – ბერი ძალიან იშვიათად გამოდიოდა ჰაერ‌ზე, რადგანაც ამ დროს ამინდი იცვლებოდა და 15 გრადუს‌ზე ნაკლები ტემპერატურის დროს მას არ შეეძლო გარეთ გამოსვლა. მე ვერც წარმომედგინა, რა და როგორ იქნებოდა. ბოლოს გადავწყვიტე მამაოსგან შემეტყო: ეტყობოდა, ის მთელი ზამთარი შამორდინო‌ში დარჩენას ფიქრობდა, რადგან მისი წასვლა ახლა არაფრით არ შეიძლებოდა. თუკი დარჩებოდა, მაშინ იმა‌ზე უნდა გვეფიქრა, რომ უფრო მოხერხებულად მოგვეწყო მისი და მომსახურის სენაკები და მისაღები ოთახი. მამაომ ცოტა ხნის სიწუმის მერე თქვა: „ამის შესახებ ვადა‌ზე ადრე არავის არაფერი უთხრა, თორემ ოპტინა‌ში ისედაც ნერვიულობენ“.

წინამძღვრის კორპუს‌ზე დასაველეთის მხრიდან მიშენება დაიწყო. ამასობაში ოპტინის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ისააკი და მთელი საძმო ბერის სკიტ‌ში დაბრუნებას ყოველდღე ელოდებოდა. ოპტინის სავანე‌ში ზოგიერთ მოსულს მან გადაათქმევინა შამორდინო‌ში ბერთან წასვლა იმ იმედით და რწმენით, რომ სადაც იყო მამა ამბროსი იქიდან დაბრუნდებოდა. ისინი კი ერთი-ორი დღე ოპტინა‌ში გაჩერდებოდნენ და შემდეგ მიემგზავრებოდნენ შამორდინო‌ში. პირადი შეხვედრისას არაერთხელ სთხოვა წინამძღვარმა მამა ამბროსის, დაბრუნებულიყო სავანე‌ში. მაგრამ ბერმა დაასკვნა, რომ შამორდინო‌ში მისი დარჩენა ღვთის ნება იყო, ამიტომაც არ‌შეუნებდა არქიმანდრიტს „დამდაბლებულიყო ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ“ (1 პეტრ. V, 6). მამა ისააკმა კი ნახა, რომ ბერისთვის შამორდინო‌ში სა‌სამთრო ფარის აწყობებდნენ და ღრმად განიცდიდა ამას.

„ჩემი შინ დაბრუნების დრო დგებოდა, – აგრძელებს თხრობას საკუთარ თავ‌ზე და აცნობს ინფორმაციას შამორდინოს გარემოებებ‌ზე ქალბატონი N, – მაგრამ ვერ ვუბედავდი ბერს კითხვას, თუ სად

აპირებდა გამოსამორებას. ცხელი საფხულის მერე ყინვებიც ადრე დაიწყო. ჩემი ყველა ნივთი სკიტში რჩებოდა. 7 ოქტომბრის წინა საღამოს[89] ბავშვების თანხლებით მივედი ბერთან და გადავწყვიტე მეკითხა, წავიდოდა თუ არა ის ოპტინაში, და რა მეღირა ნივთებისე. მამაომ მიპასუხა: „დიახ, თქვენ წადით ოპტინაში დღესასწაულზე და აიღეთ თქვენი ნივთები“. მე ძალიან შემეშინდა და ვუთხარი: „არც მამა იოსების, არც სკიტის და არც მონასტრის ნახვა უთქვენოდ არ მინდა. მე მათი წუხილი მიმძიმს“. მამაომ თქვა: „ასე რატომ იქცევი? უნდა შეიცვალო შენი ხასიათი, რომ შენთვის სულერთი იყოს, ოპტინა – შამორდინოთი, შამორდინო – ოპტინით“. მაგრამ მე ვუპასუხე: „მამაო! მე მამა იოსების განსაცდელს ვერ გადავიტან, თქვენ დღემდე გელოდნენ იქ ბერები“. – „მაშინ ბავშვები გააგზავნე“, – დაასკვნა ბერმა. და მართლაც, რასაც ველოდი, ის მოხდა.

პირველად შეხვდა სკიტი დღესასწაულს მამა ამბროსის გარეშე. ბავშვებიც, განსაკუთრებით უფროსი, ღრმად მწუხარე შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო მამა იოსების ნახვა, რომელმაც სთხოვა კიდეც ჩემს გოგოს, არაფერი ეთქვა ბერისთვის იმ განცდაზე, რომელიც ჩემმა ქალიშვილმა მასში შენიშნა. მადლობა და დიდება ღმერთს, რომ მაშინ უარი ვთქვი და არ წავედი ოპტინაში დღესასწაულზე“.

ახლა უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ბერი შამორდინოს სავანეში გამოსამორებდა. „რამდენი აზრთა სხვადასხვაობა და განსჯა იყო ამის შესახებ! – ამბობს მ. ე. ს., – მამაოს ოპტინიდან წასვლას ყველა თავისებურად ხსნიდა. ეს ჩვეულებრივი საქმე იყო – ამის გარეშე არც იქნებოდა. ყველაზე მძიმე მოსასმენი ის იყო, როცა პიროვნებებზე მიუთითებდნენ, რომ მამაო თითქოს ამის და ამის გამო წავიდა. მე ძალიან მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა იმაზე ფიქრი, რომ ასეთი დიდი ბერი, რომელმაც სავანეში 50 წელი იცხოვრა, სადაც ამდენი შრომა, ჯაფა, განსაცდელი და ავადმყოფობა გადაიტანა, განა ის ვიღაც არაკეთილისმსურველი ადამიანების გამო ლატოვებდა ამ სავანეს? რადგანაც ბერი ყოველთვის და

[89] ეს ოპტინელი ბერის – მამა მაკარის ხსენების დღეა. სკიტში, ისევე როგორც მთელ სავანეში, სჩვეოდა.

ყველაფერში ღვთის ნებას იყო მინდობილი, მაშინ ცხადია, რომ მისი ოპტინიდან შამორდინოში გადასვლა არ შეიძლება ადამიანური ნებით აღსრულებულიყო“.

ოპტინაში საქმე იქამდე მივიდა, რომ აღშფოთებული და აღელვებული ბერების დასამშვიდებლად ბერმა საჭიროდ ჩათვალა 1890 წლის 4 ოქტომბერს საკუთარი ხელით დაეწერა წერილი, რომელიც მისივე კურთხევით სამონასტრო ტრაპეზზე ხმამაღლა უნდა წაეკითხათ. ამ წერილში, სხვათა შორის, ის წერდა: „მე აქამდე შამორდინოში ღვთის განსაკუთრებული განგებულებით შევრჩი, თუ რატომ – ეს შემდგომში უნდა აღინიშნოს“.

მაგრამ ოპტინაში საყოველთაო განსაცდელი იგრძნობოდა ბერის შამორდინოში განუსაზღვრელი დროით დარჩენის გამო. შამორდინოს დედები კი პირიქით აღტაცებულნი იყვნენ, როცა დარწმუნდნენ, რომ „ძვირფასი მამა“ მთელი სამთარი მათთან რჩებოდა. არც ერთ მათგანს ამის შესახებ ადრე არც კი უფიქრია. ახლაც დიდხანს აუხდენელი ოცნება ეგონათ. „ჩვენ ძალიან ბედნიერნი ვიყავით, – წერს მ. ე. ს., – რომ ძვირფასი მამაო ჩვენთან იყო. განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც უფრო ხშირად უწევდა მასთან ახლოს ყოფნა. მე არც კი დამისიზმრებია, რომ ოდესღაც მამაოს სენაკში შემეძლო მემსახურა მისთვის. მახსოვს, ბერი ისვენებდა და მე ერთ ქალთან იმაზე ვსაუბრობდი, თუ რა ბედნიერება იყო, რომ ღმერთმა ღირსი გაგვხადა, ასეთ ბერს მოემსახურებოდით. მე მას ჩემი წუხილი გავუზიარე, რომ არ მქონდა საშუალება მუდმივად მემსახურა მამაოსთვის. უცბად გაიღო კარი, გამოვიდა ბერი, გაიღიმა და მითხრა: „დააგვიანე, დააგვიანე!“

ასე მოხდა ბერი ამბროსის შამორდინოს ქალთა სავანეში გადასვლა.

X თავი

ბერი ამბროსის სენაკური ცხოვრება შამორდინოს ქალთა სავანეში და მისი ზრუნვა სავანეზე

შამორდინოს ქალთა სავანეში განუსაზღვრელი დროით დარჩენილი მამა ამბროსი, საქმეების სიმრავლის მიუხედავად, თავს არ ანებებდა პირად კანონებს. ისევე როგორც სკიტში, მამაო ყოველდღიურად ისმენდა დაწესებულ ლოცვებს. ასევე,დღესასწაულებზე ღამისთევის ლოცვებიც ტარდებოდა,რომელსაც თავიდან თვითონ ატარებდა, ე. ი. ასამაღლებლებს ამბობდა და თავის დროზე კითხულობდა სახარებას, ხოლო დედები გალობდნენ და კითხულობდნენ რაც საჭირო იყო. სასწაული იყო ეს წუთები, – აღნიშნავენ შამორდინოს თვითმხილველები, – როცა შუა ღამით ბერი მოკლე მანტიითა და ოლარით შემოსილი, უთავსაბურო ჭაღარა თავით და რაღაც ბავშვურ-ბერული სუსტი ხმით შთამაგონებლად კითხულობდა ქრისტეს სახარებისეულ (კეთილმაუწყებელ) სიტყვებს, რომელთა მოშურნეობით აღმსრულებელი და მქადაგებელიც თვითონ გახლდათ. ბერის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას ხარბად იჭერდნენ ერთგული დედები. სენაკში, სადაც ლოცვა ტარდებოდა,ზოგიერთები ადგილის სიმცირის გამო ვერ აღწევდნენ, ამიტომაც სხვენში ძვრებოდნენ, რომ იქიდან მოესმინათ „ძვირფასი მამაოს“ ხმა. ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ავადმყოფ ბერს არ შეეძლო თვითონ ემსახურა. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, სკიტიდან ჩამოდიოდა მისი ყოფილი მწერალი, მღვდელმონაზონი ბენედიქტე.

განსაკუთრებული მოწიწება გააჩნდა მამა ამბროსის ღვთისმშობლის მიმართ, როგორც ყოველადძლიერ თაყვანისმცემელსა და შემწესა ქრისტიანებისა თავისი ძის, მეუფისა და ღვთის წინაშე. ამიტომ არც ერთ საღვთისმშობლო დღესასწაულს არ აცდენდა იმის გარეშე, რომ მისი ხატის წინ სენაკში მსახურება არ აღევლინა. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება წმინდა ეკლესიაში მიღებული უფრო საჭირო დღესასწაულები. 1890 წელს ბოლხოვის დედათა მონასტრის

იღუმენია იღარიამ ბერს გამოუგზავნა ღვთისმშობლის განსაკუთრებული ხატი, სადაც სპეციური დედოფალი გამოსახულია ღრუბლებზე მჯდომი. მისი ხელები საკურთხებლადაა განხმული; ქვემოთ კი, ბალახებსა და ყვავილებს შორის, დგანან და წვანან პური ძნები. ღვთისმშობლის გამოსახულება ბოლხოვის დედათა მონასტერში დაბრძანებული „ყოველთა წმიდათა“ ხატიდანაა გადმოწერილი, ბერი ამბროსის სურვილით შესრულებულ ამ ხატს მანვე მისცა დასახელება („ნაყოფის მომნიჭებელი“). მხურვალე ლოცვებს აღავლენდა ბერი ამ ხატის წინ; ასწავლიდა და ავალებდა ამ ხატის წინ ლოცვას თავის სულიერ შვილებს; სიცოცხლის ბოლო წელს კი აკეთებდა ამ ხატის სურათებს, არიგებდა და აგზავნიდა მათ. თავისი უკანასკნელი ავადმყოფობის წინ კი ამ ხატის სადიდებლად მან შეადგინა განსაკუთრებული მისამღერი (საგალობელი) ღვთისმშობლის ჩვეულებრივ დაუჯდომელს[90]. მისივე კურთხევით, ამ მისამღერს დღები, გალობდნენ, როცა მის სენაკში ღვთისმშობლის დაუჯდომელი იკითხებოდა. ამ ხატის დღესასწაულობა ბერმა თავის სულიერ შვილებს 15 ოქტომბრისთვის უანდერძა. და აი, ბერის წმინდა ლოცვებით, პირველ სასწაულად და ღვთისმშობლის დიდ შეწევნად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მამაოს ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო წელი რუსეთში შიმშილით აღინიშნა, მაგრამ კალუგის ეპარქიასა და კერძოდ შამორდინოს საკანში პური ბლომად მოვიდა. თუმცა მარცვალი ამ დროს ძვირად ფასობდა, მაგრამ მამაომ თავის სიცოცხლეში იმდენი მოაგროვა, რომ ამ წელს და მეორე წელსაც საკანში, მიუხედავად მცხოვრებთა სიმრავლისა, პურის უკმარისობა არ იყო. მას „ნაყოფის მომნიჭებელი“ ხატი დაეხმარა. შემდეგ ზაფხულს, უკვე ბერი ამბროსის გარდაცვალების შემდეგ, ოპტინის მონასტრის მორჩილმა, იოანე თეოდორეს ძემ დაწერა ეს ხატი და გააგზავნა ვორონეჟის ეპარქიის პიატნიცკის ქალთა საკანში. იქ გვალვის გამო შიმშილი იყო მოსალოდნელი; ამ ხატის წინ პარაკლისი აღავლინეს, რის შემდეგაც უხვად იწვიმა და საკანე

[90] მისამღერი, რომელიც ბერმა შეადგინა ასეთია: „ჯეროვნად მიმადლებულო, უფალი შენთანაა! მოგვმადლე ჩვენ ზეცისთა ცუდი მადლისა შენისა, და გარდამოაფრინენ წყალობანი შენნი“.

თაყვისი შემოგარენითურთ შიმშილს გადაურჩა. იმავე მი'სე'სით მამა ამბროსის თაყვანისმცემელთა შორის ბერემა მოინდომა, ჰქონოდა ეს ხატი[91].

შეუჩერებელი ლოცვით ცდილობდა და ყოველნაირად 'სრუნავდა ბერი, რათა შინაგანი წესრიგი დაემყარებინა თავის ნორჩ სავანე'ში: საეკლესიო მსახურებების კეთილხარისხიანად აღსრულება, გონებრივი და ყურადღებიანი კითხვა და გალობა, დედების საითანადო დამოკიდებ'ულება წინამძღვართან, რომელიც, როგორც სულიერი პიროვნება, ესმარებოდა მამაოს სულიერ მესაჭეობაში მის ხელქვეით მყოფ მო'შურნე დედებისა, განსაკუთრებით ახალმოს'ულთა, რომელთაც ხსნა სწყუროდათ.

ბერი ყველა სამეურნეო საქმე'ში ერეოდა. მისი კურთხევისა და რჩევის გარეშე სავანე'ში არაფერი კეთდებოდა. ყოველნაირი მშენებლობა მისი გეგმითა და მითითებით მიმდინარეობდა. მან სკიტიდან გამოიძახა ამ საქმის მცოდნე 'სოგიერთი ბერი და მათი მეშვეობით ახორციელებდა ამ სამ'შაოებს. ამასთან ერთად ის ხ'შირად გამოაჩენდა წინას'წარხედვის საოცარ ნიჭს. მაგალითად, მივიდოდა მასთან მშენებლობის მმართველი ბერი: „აბა, მამა იოილ, – ეტყოდა ბერი, – ქვიშა მოგიტანეს, ორი არ'შინი სილრმის იქნება თ'უ არა?“ – „არ ვიცი, მამაო, – უპასუხებდა ბერი, – გა'ზომვა ვერ მოვას'წარი“. კიდევ ორჯერ იკითხავდა მამა ამბროსი ქვიშის თაობა'ს'ე ჯერ ისევ არ გა'უ'ზომავთ. მაგრამ როგორც კი გა'ზომავდნენ, აუცილებლად ისე აღმოჩნდებოდა, როგორც ის იტყოდა. ან კიდევ რომელიღაც შენობის გეგმას წარმოიდგენდა გონებაში და იტყოდა: „46 არ'შინი იქნება“. ამ გეგმას შემდეგ გადააკეთებდნენ, ან გააგრძელებდნენ ან კიდევ შეამოკლებდნენ და, როგორც კი დახვეწილ გეგმას მოამ'სადებდნენ, უეჭველად 46 არ'შინი აღმოჩნდებოდა.

---

[91] ამბობენ, რომ 1897 წლის გაზაფხ'ულ'ზე სოფ. ოსერსკის მკვიდრი რუდნევი'ში მოვიდა, როგორც სამრეველის მ'ცემი. ის გვალვის გამო მინდვრებში ატარებდა ღვთისმშობლის პარაკლისებს „ნაკლოფის მომნიჭებელი“ ხატის წინ დაუჯდომელთან ერთად, რომლის იკოსებიც ზემოხსენებული მისამღერით მთავრდებოდა. პარაკლისის დროს წვიმის წვეთები წამოვიდა, ხოლო პარაკლისის მერე კი. რომელსაც მიაყოლეს მამა ამბროსის სახელ'ზე პანაშვიდი, წვიმაც წამოვიდა.

გარდა ამისა, ბერი დილიდან საღამომდე იღებდა ხალხს და პასუხობდა წერილებს, სადაც ბევრ სულიერ რჩევას იძლეოდა. განსაკუთრებით ცოცხალ მონაწილეობას იღებდა თავისი სულიერი შვილების ცხოვრებაში. იმაედროულად ის არ ავიწროებდა მათ თავისუფლებას და ელოდა მათსავე კეთილ ნებას ღვთის მსახურებად. მაგალითისათვის და შამორდინოს გარემოებების აღსაწერად, შემოგთავაზებთ სემოხსენებული ქალბატონის მონათხრობს.

„1890 წლის სექტემბრის დამლევს მიველი მამაოსთან ჩემ შესახებ მისი საბოლოო გადაწყვეტილების გასაგებად. თვითონ ბერი არ სწყდებოდა ჩვენს თავისუფლებას და დადებითს არაფერს მეუბნებოდა მონასტრის შესახებ, რადგან ჩემს შეხედულებას მიანდო ეს. მე კიდევ ძალიან მიმძიმდა ჩემი ხვედრის გადაწყვეტა. შვილებმაც საშინლად შემაძრწუნეს. უფროსში მერყეობა შეიმჩნეოდა, ხოლო უმცროსი, ჩემი ნათლული, როგორც ჩანს არაფერს ფიქრობდა, გარდა დღევანდელი დღისა. მაგრამ ეს იყო სწორედ ჩემი საფიქრალი. იმავე წლის გაზაფხულზე მან სწავლა დაამთავრა. ახლა უნდა მომეფიქრებინა, როგორ მომეწყო ის და რითი დამესაქმებინა. მამაომ მალე მიმიღო და შეკითხვაზე, თუ რა გამეკეთებინა ჩემი ნათლულისთვის – ხომ არ გამეთხოვებინა ის. მან თითქოს არაფერი იცოდა, ისე მკითხა: „თქვენ ორივენი როგორ ფიქრობთ, რომ მოეწყოთ?“ მე ვუპასუხე: „მამაო, მე თქვენს ნებას არ გადავალ“. – „არა, – თქვა მამაომ, – ეს შენ თვითონ უნდა თქვა“. მე ისევ ჩემს ნათლულზე ვკითხე, რა მეღონა მასზე, რადგან მასზე დაქორწინება სურდათ. მამაო კი ისევ მეკითხებოდა: „თქვენ თვითონ როგორ მოეწყობით?“ ისე წამოვედი მამაოსგან, რომ ვერანაირი აზრი ვერ გამოვიტანე მისი ნათქვამიდან.

ამ საუბრის მერე მოულოდნელად მამაომ ვორონეჟში და სადონსკში ღვთის მაამებლების – მიტროფანესა და ტიხონის საფლავების მოსალოცად გამიშვა, შვილები კი შამორდინოში დაიტოვა. ამ მოგზაურობას არ ველოდი და არც მინდოდა მამაოსგან ასე შორს წავსულიყავი. ვორონეჟში წასვლის წინა ღამეს თავის სენაკში დამიბარა. ეს ღამისთევის დროს მოხდა, რომელიც ბერთან სენაკში აღსრულებოდა. როცა მე მასთან შევედი, იკალობებს:

„ადიდებს სული ჩემი უფალსა– უპატიოსნესსა ქერუბიმთასა“. მამაომ ხელით გამაჩერა, რომ მასთან ახლოს არ მივსულვიყავი, ხოლო თვითონ ლოცვა დაიწყო. მეც გავჩერდი შუა სენაკში და მეტანიების გაუკეთებლად ვუყურებდი მამაოს. „უპატიოსნესსას“ გალობისას ის თითქმის იატაკამდე თავდახრილი იდგა. გალობა რომ დამთავრდა, მამაომ მაშინვე მითხრა: „რატომ არ აკეთებდი მეტანიებს?“ – მე ვუპასუხე: „მე მუდამ ექვს მეტანიას ვაკეთებ, როცა „უპატიოსნესსა ქერუბიმთასას“ გალობენ, ახლა კი მეშინია – არავინ აკეთებს მეტანიებს“. მამაომ მკაცრად მითხრა: „შენ და შენმა ქალიშვილებმა ყოველთვის გააკეთეთ მეტანიები! რა თქვენი საქმეა, რომ არავინ აკეთებს? თქვენ იცით, რომ „უპატიოსნესსა ქერუბიმთასას“ გალობისას ერთმა ნახა, რომ თვითონ ზეციური დედოფალი გამოცხადდა და თავის ხატთან მივიდა. ყოველთვის გააკეთეთ მეტანიები“. მე უხერხულად ვიგრძენი თავი. ვიფიქრე, ხომ არ ნახა ეს მან, როცა თავდახრილი მოწიწებით იდგა. წასვლისას ვითხოვე მისი კურთხევა, რომ მენახა ვორონეჟის ეპისკოპოსი, მეუფე ანასტასი, რომელსაც ძალიან ვაფასებდი. მამაომ კი ამის მაგივრად მითხრა: „იქ ბრმა მეუფეს ნახავ, შეიარე მასთან“. და რა? ვორონეჟში ჩასული ვერ შევხვდი მეუფე ანასტასის: ის მთელი თვით იყო წასული ეპარქიის შემოსაველელად. ტაძარში მისული კი ბერს, ბრმა მეუფე იოსებს შევხვდი. ხალხმრავლობის გამო მისი კურთხევის აღება ვერ შევძელი და მასთან სახლში მისვლის უფლება ვითხოვე. იქ მისი მორჩილი შემხვდა და მკითხა, მარტო მსურდა მასთან შეხვედრა თუ ხალხთან ერთად. მე არასოდეს მსურდა ვინმესთვის რაიმე მეკითხა, გარდა ჩემი ბერისა (მამა ამბროსისა), ამიტომაც შეეედი მასთან ყველასთან ერთად მხოლოდ კურთხევის ასაღებად. მეუფე შემხვდა შეკითხვით: „შენ ვინ ხარ და საიდან?“ მე ვუპასუხე და იქვე დავამატე: „ახლა მე ჩამოვედი ბერი ამბროსის ქალთა სავანიდან“; – „როგორაა ბერი?“ – მკითხა მეუფემ. „ძალიან სუსტად,“ – ვუპასუხე მე. – „რამდენ ადამიანს უშვებენ მასთან ერთბაშად?“ – მკითხა ისევ მეუფემ; მე მიახლოებით ვუპასუხე; „აი, – თქვა მეუფემ, – ამიტომაცაა ასე სუსტად, რომ ამდენ ხალხს უშვებენ მასთან. მხოლოდ ხუთ-ხუთი უნდა შეუშვან, მეტი არა. შენ იქ რას აკეთებ?“ – უკვე მე მკითხა

მეუფემ. მე ვუპასუხე: „სტუმრად ვარ. მე მიველწიე მამაოს, დღესასწაულებზე და საფხულობით ესტუმრობ მასთან. დავდივარ ეკლესია'ში და მამაოსთან კურთხევა'ს"; – „ესტუმრობ", – იმეორებდა ჩემს სიტყვებს მეუფე. „რალაც ძნელია: ადამიანები მონასტრიდან ერში მიდიან სტუმრად, ჩვენ კი ერიდან მონასტერში. ხედავთ, – მიმართა მან ერთ ქალბატონს, რომელიც მის გვერდით იჯდა, – ჩვენ მიველწიეთ ბერს; აბა, მითხარი, – მკითხა მან ისევ მე, – რას გირჩევ მასთან?" მე დავდუმდი, არაფერი ვთქვი. მეუფე კი აგრძელებდა: „ჩვენც არ ვიცით, რა გვირჩევ ბერთან. შენ ქერივი ხარ – რატომ არ მიდიხარ მონასტერში?" მე ვუპასუხე: „მე თავისუფალი არ ვარ – ორი ქალიშვილი მყავს, ერთი ჩემი, მეორე ნათლული, არ ვიცი, როგორ იქნებიან ისინი"; – „შენ წახვალ, – მითხრა მეუფემ, – შვილებიც გამოგყვებიან, სხვანაირად არაფერი იქნება". მან პატარა წიგნების შეკვრაზე მიმითითა, რომელიც მის გვერდით იდო და თქვა: „აიღე, აირჩიე შენი ქალიშვილისთვის წიგნი". მე პირველივე, რაც მომხვდა ის ამოვიღე. „წაიკითხე", – მითხრა მეუფემ. მეც წავიკითხე: „სიმთვრალის წინააღმდეგ". – „აი, – აგრძელებდა ის, – შენ ისიც არ იცი ქალიშვილისთვის რა აირჩიო". მან გაიშვირა ხელი და ამოიღო, რაც გოგონასთვის იყო საჭირო. წიგნს ასე ეწოდებოდა: „იკითხე სახარება და მშვიდად იქნები". შემდეგ მეუფე ადგა, დამადო ხელი თავზე, რაღაც ლოცვა წამიკითხა და ბოლოს მითხრა: „დაუწოქე ჩემგან ბერს". წასვლისას ვთხოვე, ჩემს შვილებზე ელოცა და მათი სახელები ვუთხარი; მან მიმართა იქ მდგომთ და იკითხა: „მესამეს რა ჰქვია?" მე ვერ გავიგე კითხვა და ვუპასუხე: „მესამე არ მყავს". ამ დროს ვიღაცამ ხალხიდან თქვა: „მე – ეკატერინე მქვია". მეუფემ შენიშნა: „ეკატერინე ბევრია, ამას კი იშვიათი სახელი აქვს", ჩემზე მიუთითა. მან იცოდა ჩემი სახელი, რომელიც მე მისთვის არ მქონდა ნათქვამი. წამოსვლისთანავე მამაოს ყველაფერი ვუთხარი. ის ძალიან კმაყოფილი იყო და ხელების სრესით გულიანად იცინოდა, რომ მეუფე მას დაეხმარა. ასეთი სულიერი ერთობა ჰქონდათ ამ ორ წმინდა ბერს. ჩემი შვილები ოქტომბერში მამაოს სახლში გაუშვა და უთხრა: „დროა წასვიდეთ". მე კი რამდენიმე დღით უნდა გადამედო წასვლა, რადგან საჭიროებისამებრ ვემსახურებოდი. ალბერებაზე

ამჯერად მამაომ მითხრა: „ახლა მე შენ გეუბნები: გადაწყვიტე მონასტერზე რამე, მე ჩემს სიცოცხლეში შენ და შენს გოგოებს მოგაწყობთ“. ჩემს სიტყვებზე ნათლულის შესახებ მითხრა: „ჯერ იყოს თქვენთან, მერე კი ვნახოთ“. მე ვუთხარი, რომ ოპტინა უფრო მიყვარდა: როგორი ტაძრებია, მსახურება, ‘სარი!‘ მამაო უცბად ადგა, მისი თვალები არაჩვეულებრივი ცეცხლით აენთო და მხიარულად, წინასწარმეტყველური ტონით თქვა: „აქ ოპტინაზე უკეთესი იქნება ყველაფერი, აქ იქნება ის, რასაც შენ არც კი ელოდები“. მე დავმშვიდდი და გავმხიარულდი, მაგრამ მაინც ვუთხარი: „მე მეშინია მონასტრისა...“ მამაომ მიპასუხა: „ყველაფერი შენზე იქნება დამოკიდებული; შენ იცი, რას ნიშნავს სიტყვა „მონაზონი“ – ის მარტო უნდა იყოს“. მე ვუთხარი: „ჩემი ბოლო საერო საქმე დამთავრდება ნოემბერში, მერე თავისუფალი ვიქნები, მხოლოდ ბინა დარჩება, რომელიც ჩვენ 1891 წლის იელისამდე ერთი წლით ვიქირაოთ“. მამაომ მიპასუხა: „ყველაფერს რომ მორჩები – ჩამოდით სულთმოფენობის დღეს სამუდამოდ“. ეს მართლაც აღსრულდა. მე დავამთავრე ყველა საქმე და ჩამოვედი შვილებთან ერთად შამორდინოს სავანეში ზუსტად შემდგომი წლის სულთმოფენობის დღეს“.

შამორდინოს სავანის მომავალზე სხვებსაც უწინასწარმეტყველებდა ბერი. „რა სიყვარულით იხსენდა ის, – ამბობს მ. ე. ს. – როცა ჯერ კიდევ სკიტში ცხოვრობდა, თუ კი რომელიმე ადამიანი მოვიდოდა შამორდინოდან და დაიწყებდა, მოყოლას, თუ როგორ მოეწონათ იქაურობა და, თუ როგორ უკვირდათ სავანის სწრაფი განვითარება. ზოგიერთ მათგანს მამაო ეუბნებოდა: „თქვენ რომ იცოდეთ, რა იქნება იქ!..“ რატომღაც ორმა მონაზონმა გადაწყვიტა სხვა მონასტერში გადასვლა, იმიტომ რომ მათ ძალიან მწირად მოეჩვენათ ტრაპეზი (საკვები). ამის გამგონე მამაომ თქვა: „ახლა არ ეწყინათ, მოითმინონ გაჭირვება; როცა ჩვენთან ყველაფერი კარგად იქნება, შეგვეხვეწებიან, მაგრამ მათ არ მიიღებენ“.

„იმ საღამოს, – აგრძელებს თავის თხრობას ქალბატონი, – როცა მამაოსთან გამოსამშვიდობებლად მივედი, დიდხანს მომიხდა ლოდინი. ბევრი ხალხი იყო. დილიდან წასვლას ვფიქრობდი და, ამიტომაც ვითხოვდი შეხვედრას ბერთან. ბოლოს და ბოლოს,

დამიძახეს. მე შევედი მამაოსთან და გავწერდი. ის ბალიშებზე კი არა, პირდაპირ ლოგინზე იწვა. სახეზე მსხვილი წვეთებით ჩამოსდიოდა ოფლი, თვალები ხატზე მიეჭედრო და პირი ღია ჰქონდა. მე ვიდექი და არ ვიცოდი, რა მექნა. ხუთი წუთის მერე მამაომ მზერა ჩემზე გადმოიტანა და წყნარად მითხრა: „ამომასუნთქე“. მე ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. წასვლის მეშინოდა, რომ კიდევ არ შემოეშვათ მამაოსთან ხალხი და ვდუმდი. ბოლოს მან თქვა: „მოდი ჩემთან!“ ჯვარი გადამსახა და დაამატა: „დროა წავიდეთ. წადი, უთხარი, რომ ხალხი არ შემოუშვან. დედა რომ სახლში ყოფილიყო, ამდენ ხალხს არ შემოუშვებდა ჩემთან“ (წინამძღვარი სხვაგან იყო წასული). მე მამაოს სისუსტის ისე შემეშინდა, რომ მაშინვე წავედი ეკლესიაში საჯანმრთელო პარაკლისის გადასახდელად სეციური დედოფლის, ყაზანის ღვთისმშობლის ხატის წინ. დაბრუნებისთანავე შევიტყვე, რომ მამაომ ჩემი წასვლისას მიიღო და მხიარულად ისაუბრა ერთ ჩემს ნაცნობ მონასრონთან. მეორე დღეს მე გავემგზავრე. სახლში დაბრუნებულმა გავიგე, რომ ჩემს ქალიშვილს შესთავაზეს გაკეთილები ერთ სახასიათო დაწესებულებაში. მე მაშინვე მივწერე ბერს, შეიძლებოდა თუ არა ამ ადგილის დაკავება და ხომ არ შეუშლიდა ის ხელს ჩვენს გეგმებს. რაზეც მამაოსგან შემდეგი პასუხი მივიღე: „გაკვეთილები, წინასწარმეტყველები არაა, ჯობია ადგილი დაიკავოს, – წერდა ის, – რომ ივნისამდე უსაქმოდ არ იყოს. როცა საჭირო გახდება, მაშინ ადგილის დატოვებაც შესაძლებელი იქნება, ვითხოვ თქვენთვის სამიეწისთვის მშვიდობას და ღვთის კურთხევას, ერჩები თქვენი გულწრფელი კეთილისმსურველი. მრავალცოდვილი მღვდელ-მონასონი ამბროსი“. ჩემმა ქალიშვილმა აღნიშნული ადგილი დაიკავა“.

1890 წლის შემოდგომაზეც მამა ამბროსის წილად ხვდა შესანიშნავი ამბავი, რისგანაც, შრომისა და განსაცდელების მიუხედავად, ის ოდნავ ნანუგეშები დარჩა. ამ შემოდგომის წინა საფხულს ოპტინის მონასტრის აგარაკზე იმდენი თევზი დაიჭირეს მდინარე უგრაზე, რამდენიც არავის ახსოვდა (რამდენიმე ათეული ერთნახევარი არშინი სიგრძის სუთხი). ბერის სურვილით რამდენიმე

საუკეთესო ზუთხი გააგზავნეს ხელმწიფის კარზე, აწ განსვენებული ხელმწიფე–იმპერატორის კარზე. მაღლიერი ხელმწიფე იმდენად კმაყოფილი იყო ოპტინის შემოწირულობით, რომ პირადად მიიღო ორი ოპტინელი ბერი, რომლებიც ამ შემთხვევის გამო გააგზავნეს პეტერბურგში, საამბოროდ გაუწყოდა მათ ხელი და რამდენიმე სასიამოვნო სიტყვაც უთხრა. როდესაც ბერებმა უთხრეს ხელმწიფეს, რომ ოპტინის წინამძღვარი და მეუფეროსე მონაზონი თავს უხრიდნენ მის უდიდებულესობას და თვითონაც თაყვანი სცეს, მაშინ ხელმწიფემაც, თავისი ღრმა ქრისტიანული სიმდაბლით, ინება, ოდნავ დაეხარა თავი ოპტინელი ბერების საპასუხოდ და გაუშვა ისინი მშვიდობით სახლში.

ამასობაში ოპტინის საძმო ნელ-ნელა აუცილებლობის გამო ეჩვეოდა თავის არცთუ იოლ მდგომარეობას – ეკხოვრათ და ყოფილიყვნენ ბერი ამბროსის გარეშე. ეტყობა ისინი თავს ინუგეშებდნენ იმ იმედით, რომ ბერი დაუბრუნდებოდა სკიტს მომავალი წლის გაზაფხულზე. მღელვარება ოდნავ დამშვიდდა. დადგა დეკემბერი. შამორდინოს დედები მოუთმენლად ელოდნენ 7 რიცხვს. ეს მამა ამბროსის ანგელოზის – წმინდა ამბროსი მედიოლანელი ეპისკოპოსის ხსენების დღე იყო. წინა დღით ოპტინიდან რამდენიმე მღვდელ-მონაზონი ჩამოვიდა, რომლებიც განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ ბერს. მათ მეთაურობდა სკიტის მმართველი მღვდელ-მონაზონი ანატოლი. მამებმა იმსახურეს ღამისთევა და დილას ლიტურგია წმინდანის პარაკლისით; უსურვეს იუბილარს მრავალჟამიერი, შემდეგ კი მოვიდნენ მამაოსთან ანგელოზის დღის მისალოცად. მას ძალიან ფერმკრთალი და დაღლილი სახე ჰქონდა. ის იღებდა მილოცვებს და თავმდაბლად იმეორებდა: „სეხმეტი პარადი მოგვივიდათ“. შემდეგ მთელი საძმო და დედები მოვიდნენ მისალოცად. ყველა მათგანს თავისი ნამუშევარი მოჰქონდა საჩუქრად: ზოგს – სკვნილი, ზოგს – წიგნები, ზოგმა შიდა ჩასაცმელი მოქსოვა, ზოგმაც ხატი დაუწერა. მამაო მხიარული სახით იღებდა მათ საჩუქრებს, მადლობას უხდიდა ყველას, ხუმრობდა და ურიგებდა ზოგს ღვეზელს, ზოგს თაფლაკეცერს, ზოგს კარამელს, ზოგს სახეზე ღვეზელის საკმაზს უსვამდა და ამით მათ

გამოუთქმელ სიამოვნებას ანიჭებდა. ამ დღეს ყველა მხიარული და ბედნიერი იყო.

„შობის დღესასწაულისთვის, – გვამცნობს თავის ჩანაწერებში საკუთარ თავზე და ბერზე ქალბატონი, – ჩამოვედით მე და ჩემი ქალიშვილები მამაოსთან შამორდინოში. ბერი ძალიან სუსტად იყო. ახალ წელს, როცა ჩვენ მასთან მივედით მისალოცად, ის დიდხანს არ გამოდიოდა და არავის იღებდა: გვითხრეს, რომ ბერი ძალიან ცუდად იყო. ბოლოს დაგვიძახეს მის მისაღებში. მამაო იჯდა საგარძელში და მილოცვის და მისალმების მაგივრად ოპტინიდან ჩამოსულ მ. ი. კ-ს, რომელიც იქაურ სასტუმროში ცხოვრობდა, აძალებდა სამების ფურცელი წაეკითხა, რომელიც მწყემსის სულიერ შვილებზე ლოცვით მთავრდებოდა, სადაც ის უფალს ასე მიმართავს: „ეს ჩემი შვილებია“–, და ემშვიდობება თავის სამწყსოს. ჩვენ ყველანი დავმწუხრდით. ბევრს ცრემლებიც წამოუვიდა; თვითონ ბერიც ტიროდა; ჩვენ დავიწყეთ რიგ-რიგობით მასთან მისვლა, მილოცვა და კურთხევის აღება. მე რომ მივედი, მამაომ მითხრა: „უკან ნუ იყურები, არამედ წინ წადი“. გამოვედი დერეფანში, დავჯექი და ვიფიქრე: ღმერთო! ნუთუ ბოლო ახალ წელს ვხედებით ბერთან?“ რაღაც ძალიან დიდი სიმძიმე მაწვა გულზე. ამ დროს შემოვიდნენ ბერთან მგალობელი დედები რეგენტის თაოსნობით, რათა მათაც მიელოცათ ბერისთვის ახალი წელი. მათ ითხოვეს კურთხევა რაღაცის გალობაზე, მამაომ კი უთხრა: „არა, მიგალობეთ – ანგელოსთა ძალაზე, რომელიც იცავს სულს სიკვდილისაგან და სხვა, – თორემ ამას თქვენ კარგად არ გალობთ“, – დაამატა მან. ამ სიტყვებმა ტროპარის გალობამ, რომელიც ძალიან არ უხდებოდა ახალ წელს, და მამაოს სისუსტემ, ისეთ ცუდ ხასიათზე დამაყენა, რომ ავტირდი და წავედი. ამჯერად მამაოსგან გამგზავრების წინ ვნახე მრავალმნიშვნელოვანი სიზმარი, რის შედეგადაც ბერმა მიბრძანა, მომეძებნა მისთვის მაცხოვრის ხატი იმ ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობდი, და დაამატა: „შენ იქ მას მოიებნი“. ამრიგად, მე დიდხანს ვეძებდი მამაოსთვის მაცხოვრის ხელთუქმნელ ძველებურ ხატს, მაგრამ ყველა მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. ერთხელაც, სავაჭროდ ჩამოსულმა, ყველაზე ბინძურ ადგილას წავაწყდი მაცხოვრის ხატს

გვირგვინში. ვიყიდე ის მამაოსთვის და ვნების შვიდეულში ჩამოვუტანე კიდეც. დიდი სიხარულით მიიღო მან ეს ხატი ჩემგან და თქვა: „რა სჯობია ამ ეკლის გვირგვინს!“ – და ემთხვია ხატს. აქედე ველაპარაკე მამაოს კალუგის სასწაულთმოქმედ, ცხოველმყოფელ ჯვარზე; მამაომ კი მოულოდნელად მითხრა: „კარგია ღვთის ჯვართან ყოფნა, მაგრამ უმჯობესია, ეცნო ამ ჯვარზე მისთვის“ (ქრისტესთვის)“. მე, ცოდვილმა კი შეშინებულმა ვთქვი: „მამაო, ეს ვნება ძალიან საშინელია“. ამ დროს მამაოს რაღაც განსაკუთრებული სახე ჰქონდა – რაღაც არაამქვეყნიური ბრწყინავდა მის თვალებში.

ასე მიდიოდა და გავიდა 1891 წლის სამთარი და დადგა წმინდა აღდგომა. დღესასწაულის პირველ დღეს, წირვის მერე, წინამძღვარი, ჩვეულებისამებრ, მოვიდა ბერთან წმინდა დღესასწაულის მისალოცად. ხოლო მას ქველა დედაო და ერისკაცი მოჰყვა მამაოსთან ამბორსაყოფად, რომელიც ქველა მათგანს თითო წითელ კვერცხს, პასკისა და საღდგომო პურის ნაჭერს აძლევდა. ჭეშმარიტად, შენიშნავენ შამორდინოს დედები, ნათელი იყო დღესასწაული. ქველა სულით მხიარულობდა. სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო? აღდგომა! და საყვარელი ბერიც მხიარულობდა ამ დიდ დღესასწაულს. ყოველდღე, მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, დები გალობდნენ მასთან ცისკარს, ჟამნებს და მწუხრს. მამაო თვითონაც გალობდა, ზოგჯერ ტონსაც აძლევდა, უსწორებდა შეცდომებს და აძლევდა სხვადასხვა შენიშვნას. ბრწყინვალე შვიდეულის დამთავრების მერე, როცა მგალობლებმა მადლობა გადაუხადეს ბერს იმ ნუგეშისთვის, რომელიც ამ აღდგომას მიანიჭა მან დედებს, ბერმა მიუგერებით უთხრა: „მადლი უფლისა გჭირდეთ!“ შემდეგ კი დაამატა: „თქვენ გაიხსენებთ ამ წმინდა დღესასწაულს“. ვერავინ გაიგო და ვერც გაიგებდნენ მაშინ ამ სიტყვებს. არავინ ფიქრობდა, რომ მომავალი წლის ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევს, როცა ღვთისმშობლის „წყარო ცხოვრებისად“ წოდებული ხატის დღესასწაულია, რომლის სახელსაც ბერმა მოაწყო შამორდინოს ეკლესიაში მინაშენი, მისი გარდაცვალების ნახევარწლიანი ხსოვნის ღირე იქნებოდა.

ზაფხულის დადგომისთანავე მამაომ განაახლა თავისი გასეირ-

ნებები. ის დადიოდა მშენებლობებზე და ზოგჯერ მიდიოდა რუდნეოში, სადაც ხანდახან ორი კვირითაც სტუმრობდა ხოლმე. თუ რომელიმე დღესასწაული დაემთხვეოდა, ის აუცილებლად ბრუნდებოდა შამორდინოში; ამბობდა, რომ დღესასწაულებზე „სახლში“ ყოფნასა იყო შეჩვეული. ივლისის ბოლოს ის რუდნეოში გაემგზავრა დიდი ხნით. რადგან მის სენაკში ზოგიერთი რამ გამოსაცვლელი იყო, სენაკიდან ყველაფერი გამოიტანეს, აყარეს იატაკი და დაიწყო მუშაობა. ამასობაში ფერისცვალების დღესასწაული მოახლოვდა, რომელიც მამაომ საჭიროების გამო აგარაკზე გააცარა. 4 აგვისტოს დედა წინამძღვარი წავიდა მამაოს მოსანახულებლად და იქიდან დაბრუნებულმა გამოაცხადა, რომ მას არაფრით არ უნდოდა დღესასწაულზე იქ გაჩერება და ხვალ ჩამოვიდოდა. რა გექნა? საჭიროების გამო მეორე დილითვე, იმავე ნახევარში, რომელსაც იკავებდა დედა წინამძღვარი, მოაწყვეს მოხერხებული ადგილი მოულოდნელი სტუმრისთვის.

იმავე წლის ივლისში ბერს მოაკითხა მისმა ერთგულმა სულიერმა შვილმა, ხემოხსენებულმა ა. ა. შიშკოვამ. „უკანასკნელად, – წერს ის, – ვიყავი მამაოსთან მის სიკვდილამდე სამი თვით ადრე. ამაზე მე წერილობით ვითხოვე მისგან კურთხევა. პასუხი ასეთი იყო: „ჩამოდი, შენი ნახვა ძალიან გავეხარდება“. წერილის მიღების მერე მე მალე ჩამოვედი სავანეში, შევედი მამაოსთან და ვეუხარი: „რამდენი ხანია თქვენ არ მინახიხართ! გასულ წელს გთხოვეთ კურთხევა ჩამოსვლაზე, მაგრამ თქვენ არ მაკურთხეთ და მეც თავს არ მიველი უფლება ჩამოვსულიყავი. მაგრამ, როგორ გამიხარდა ამჯერად ჩამოსვლის კურთხევა რომ მიეცით!“ მამაომ დამლოცა მხიარული, ალერსიანი, სიკეთით განათებული და მითხრა: „აწი არ მკითხო; შეგიძლია ჩამოხვიდე ყოველთვის, როცა მოისურვებ“. მან ეს დამაჯერებლად გაიმეორა ორჯერ, თითქოს უნდოდა, რომ მე ნათქვამის აზრი სწორად გამეგო. იმ წუთში მე გახარებული ვიყავი და მადლობა ვუთხარი, რომ ნება დამრთო ჩამოსვლაზე. მხოლოდ შემდეგში გახდა ჩემთვის ნათელი, რომ ამ სიტყვებით მამაო თავის მოახლოებულ გარდაცვალებაზე წინასწარმეტყველებდა. ამავე დღეს ბერმა დამიბარა თავის პატარა სენაკში ღამისთევაზე. ეს რომელიღაც

დღესასწაულის წინა დღე იყო. მონასონი კითხულობდა საკითხავებს. მე ვიფიქრე, რომ შთამაგონებლად არ კითხულობდა. მაშინვე მამაო შემოტრიალდა და თქვა: „წაიკითხეთ უფრო შთამაგონებლად, თორემ შიშკოვა განგიკითხავთ“, – და მეტყველად შემომხედა. მან ჩემი ასრები წაიკითხა. საშიში იყო რაიმეს გაფიქრება მართალი ბერის ახლოს. ის გულის სიღრმეში დაფარულ ვნებებს ხედავდა. გამოძშვიდობებისას არანაკლებრივად შთამაგონებელი იყო მისი სიტყვა ეგნატე ღმერთშემოსილის. რაღაც განსაკუთრებული მხურვალე გრძნობით, თვითონ მთლიანად ღვთის მადლით განსულიერებული, გვაუწყებდა იმაზე, რომ უფალი მუდამ მყოფობდა ამ წმინდა მოწამის გულში და იესო ქრისტეს სახელი იქ აღიბეჭდა! „წაგიკითხავს მისი ცხოვრება?“ – მკითხა ძვირფასმა ბერმა და მიბრძანა, ამელო მისი (ეგნატე ღმერთშემოსილის) ეპისტოლეები წასაკითხად და სახელმძღვანელოდ. მე მივხედი, რომ მამა ამბროსი განსაკუთრებულად აღიდებდა ღვთის ამ რჩეულს და მუდამ მიმართავდა ლოცვით მძიმე წუთებში“.

იმავე საფხულს – ხასი გაუსვათ კიდევ ერთ განსაკუთრებულობას – შამორდინოში მამაოსთან ჩამოვიდა ღვთისკაცი, სახელად გავრიუშა, ორმოციოდე წლის, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც უფალმა ბავშვებს დაამსგავსა, როცა თქვა, რომ „ასეთებისაა ღვთის სასუფეველი“ (ლუკ. XIII, 16). ის ორლოვის გუბერნიის ლივენსკის მაზრაში ცხოვრობდა. ძალიან სუსტად იყო, მთელი სხეული უკანკალებდა,ძლივს ლაპარაკობდა და ჭამდა; ფეხები წართმეული ჰქონდა: ის იწვა და ლოცულობდა ღვთის წინაშე. აღნიშნავდნენ, რომ მისთვის ბევრი რამ იყო გახსნილი; უკანასკნელ გასაფხულს მას გამოეცხადა მამა ამბროსი და უთხრა: „ჩამოდი ჩემთან შამორდინოში, მე შენ დაგამშვიდებ“. მაშინვე ის დადგა ფეხზე და განაცხადა, რომ მიდიოდა შამორდინოში. მაგრამ, რადგანაც მას ფეხები ძალიან სუსტი ჰქონდა და სწორად ვერ დადიოდა, ამიტომ დედას მატარებლით უნდოდა მისი წაყვანა, მაგრამ მან ამაზე უარი თქვა. ის ბერს შამორდინოსთან ახლოს შეხვდა. ბერი წყნარად მოდიოდა საიდანღაც. მის ირგვლივ ხალხიც იყო. „მამაო! – დაიყვირა გავრიუშამ თავისი ძნელად გასაგები ენით, – შენ მე მეძახდი, მეც

მოვედი“. მამაო მაშინვე ჩამოვიდა ეტლიდან, მივიდა მასთან და უთხრა: „გამარჯობა, ძვირფასო სტუმარო! იცხოვრე აქ“, და დაამატა იქ მდგომთათვის: „ასეთი მე ჯერ არ მყოლია“. მამაო ძალიან ეფერებოდა გავრიუშას. მოუწყო მას თავისი კუთხე შამორდინოში, ხოლო შემდეგში კი რუდნევოშიც. გავრიუშაც მუდამ იწეოდა იქით წასასვლელად. „მამაო! არ მინდა შამორდინოში, წავიდეთ რუდნევოში, იქ მინდა“. მამაო კი სულ ამშვიდებდა მას, რომ, როცა მისთვის მოაწყობდნენ იქ ოთახს, მაშინ წავიდოდნენ რუდნევოში. გულის ამაჩუყებელი შესახედაობა იყო მამაოს საუბარი გავრიუშასთან, თუ როგორ დადიოდნენ სუნაკში: ერთი კაჭა ფეხებზე მობარბაცე, ხოლო მეორე, მოხრილი, ჯოხზე დაყრდნობილი.

ბერის ირგვლივ მუდმივად ხალხმრავლობა იყო, რის გამოც ხშირად სახუმარო, შესაქცევი შემთხვევებიც ხდებოდა. ჩამოვიდა მასთან ერთი ძალიან მდიდარი მემამულე ქალბატონი სამი წლის გოგონასთან ერთად. სანამ დედა ბერთან ლაპარაკობდა, ჭკვიანი გოგონა მამაოს საცხოვრებელს ათვალიერებდა. მან ყველა კუთხე რომ შემოიარა, მოსწყინდა მარტოობა, დადგა შუა სენაკში, დაიწყო გულზე ხელები, საწყლად შეხედა ბერს და დაიწყო ასეთი საუბარი: „საწყალი ბერიკაცი! ის ისეთი მოხუცია, რომ მუდამ ლოგინზე წევს, ოთახიც პატარა აქვს, სათამაშოები სულ არ აქვს, ფეხები სტკივა, სირბილი არ შეუძლია; მე მაქვს სათამაშოები; გინდა ბერიკაცო, მე საცვლებს მოგიტან სათამაშოდ?“ ამ ბავშვურ, გულუბრყვილო ლაპარაკს ბერის შესაბამისი პასუხი მოჰყვა: „მომიტანე, მომიტანე, გოგონავ, – თქვა მან, – აი, რა კარგი გოგონა ხარ; გმადლობთ, რომ ბერიკაცი შეგიწყნარა“. ბავშვი, როგორც ეხედავთ, ბავშვურად ლაპარაკობდა, ხოლო ბერი – ბერულად.

ამ თავის დასასრულში კიდევ და კიდევ მიუთითებთ მამა ამბროსის განსაკუთრებულად წარმოსაჩენ ხასიათზე – მის უსაზღვრო მოწყალებაზე ღატაკებისა და გაუბედურებული ადამიანების მიმართ. მან თავის სავანეს შესწირა ყველაფერი: თავისი ტკივილებით, განსაცდელებითა და ვნებებით დაცლილი ჯანმრთელობა, სიმშვიდე და ბოლოს ქონება, რომელსაც უფაღი აძლევდა გულისხმიერი, ქველმოქმედი ადამიანების ხელით. ის არასოდეს გაუშვებდა ხელიდან

შემთხვევას, რომ სხვას დახმარებოდა, ვინც კი მისგან ელოდა შველას. აი, უკვე მისთვის უკანასკნელი შემოდგომა იდგა. თვითონ ბერმა ეს კარგად იცოდა, რადგან დიდი ხნის განმავლობაში მიანიშნებდა ამაზე მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს. ისიც იცოდა, რომ შამორდინოს სავანეში დიდი გაჭირვება იყო. მაგრამ შორეულ მოსკოვში იყო ერთი კაცი, რომელსაც მამაომ ახალი ცხოვრებისაკენ მოუწოდა და ის ღრმა სასიწარკვეთილებაში ჩაეარდნილიყო; თავისი ოჯახიდან, რომელსაც დიდი ხნის წინ დაშორდა და რომელსაც თვლიდა ყოველმხრივ უსრუნველყოფილად, მიიღო სამწუხარო წერილი: იქ გასაჭირი იყო, ხოლო დახმარება კი არსაიდან ჩანდა. მას უდროოდ მიანდა ბერისთვის თხოვნა, რადგან იცოდა, რომ შამორდინოში გროშებს ითვლიდნენ. ასეთ დროს მწუხარებით მკვდარი მამა საიდანღაც ფოსტით იღებს ფულს და ვერ იგებს საიდან. მოწყალე ბერმა იჩქარა მისი მწუხარების შესამსუბუქებლად.

იმისათვის, რომ ღატაკებისთვის მოწყალება მიეცა, მამა ამბროსი, მიუხედავად სავანის მწირი საშუალებებისა, მუდამ ცდილობდა, ას მანეთამდე წვრილი ფული ხელში ჰქონოდა, რომელსაც ის ან თვითონ, ან მომსახურის ხელით არიგებდა. ზოგს ერთ მანეთს აძლევდა, ზოგს სამს და ზოგს კიდევ მეტს. ამ ფულიდან ის არავის არაფითარ საჭიროებაზე არ აძლევდა, მუშების ხელფასსაც კი. ზოგჯერ მოვიდოდა მშენებლობის სხედამხედველი მამა იოილი და დაუწყებდა ბერს ფულის თხოვნას, რათა მუშებისთვის დაერიგებინა; მამაო თითქოს დამამცირებლად ეტყოდა: „არა, არა, წადი, შენ მე ისედაც გამყელიფე, წადი-წადი!“ როგორც კი საიდანღაც დიდი თანხა შემოიწირებოდა, მაშინვე ბერი მხიარული სახით და ჩვეული სიყვარულით ეტყოდა: „ახლა აიღე, რამდენიც გინდა!“

იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ბერს მოწყალებისთვის განიკითხავდნენ. მის ერთგულ ხალხშიც კი ხშირად ჩნდებოდა გაუგებრობა, რომ მას, რომელსაც ხელში ამხელა საქმე — შამორდინოს სავანის მოწყობა ეკავა, არ უფრთხილდებოდა ფულს, ყველაზე ძნელ დროსაც კი, თითქოს ერის ხალხს სავანეზე მაღლა აყენებს. ეს იმიტომ, რომ ბერი ზოგჯერ უკანასკნელ მანეთსაც კი ურიგებდა ღატაკებს. ბერს, მაგალითად, თავის მომსახურესთან ჰქონდა ასეთი

საუბარი. ბერი თავის საწოლის ირგვლივ ეძებდა ფულს ვილაც მწირისთვის მისაცემად. მან მოუხმო მომსახურეს: „სადმე მოძებნე, მგონი ჩვენ სადღაც მანეთი დაგვრჩა; მოძებნე – ითხოვენ". – „სანამ გუშინ თქვენ არ მითხარით მიცემა, – უპასუხა მომსახურემ, – მანამდე სუსტად იყო დარბენილი, ახლა კი არაფერი დარჩა. თქვენ ყველაფერს ურიგებთ სხვებს, მუშები კი ხელფასს ითხოვენ – რით უნდა გადავუხადოთ?" მომსახურე რომ დაემშვიდებინა, ბერი ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ნანობდა და სინანულით აქნევდა თავს. მანეთს ლატაკისთვის მაინც სადღაც მოძებნიდნენ და ამასობაში კოსელსკის საფოსტო კანტორაში მღვდელ-მონაზონ ამბროსის სახელზე დიდი თანხა მოდიოდა. ყოველადმოწყალე ღმერთი მუდამ უხვად ასაჩუქრებდა ბერს მისი მოწყალებისათვის. ეს კი საშუალებას იძლეოდა, მუშებისთვისაც გადაეხადათ ჯამაგირი და სხვებსაც დახმარებოდნენ. ერთ-ერთი ბოლო შემოწირულობა მამა ამბროსის სახელზე იყო ძალიან მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც მას მშივრებისთვის უნდა მიეცა.

მამაოს სწამდა უტყუარი სიღვთო აღთქმისა, რომ მოწყალებისთვის ასმაგად დაჯილდოვდებოდა; ბერი, როგორც იტყვიან, საკმე იყო უეჭველი იმედით, რომ მისი საკანე უახლოეს მომავალში მოიმკიდა უხვ მოსავალს.

XI თავი
მამა ამბროსის სამწუხარო გარემოებანი შამორდინოს სავანეში და მისი წინასწარმეტყველება თავის მოახლოებულ სიკვდილზე

„ მამა ამბროსი დასასვენებლად კი არ გადავიდა, – აღნიშნულია მ. ე. ს. –ს ჩანაწერებში, – მის მიერ მოწყობილ შამორდინოს სავანეში, არამედ დიდი შრომისა და განსაცდელებისთვის. თვითონ ბერი მის ირგვლივ მყოფ დედებთან იტყოდა: „დედებო და დებო! მე აქ თქვენთან ჯვარზე ვარ გაკრული“.

„ნამდვილად, – ქალბატონის შენიშვნით, – ბერისთვის ახლა უკვე აუტანლად ძნელი ცხოვრება დაიწყო. საცხოვრებლის მოუხერხებლობის (რომელიც მის სიკვდილამდე მხოლოდ ეწყობოდა და მზადდებოდა), საქმეებისა და ირგვლივ მყოფი ხალხის სიმრავლის გამო, არც დღე და არც ღამე მას არ ჰქონდა მოსვენება, რის გამოც 1890 წლის შემოდგომისთვის ფეხები გაუსივდა. მე ეს შევნიშნე და ვუთხარი მამა იოსებს, რაზეც მან მიპასუხა: „ამასაც ველოდით; მამაომ შეცვალა თავის ცხოვრების წესი – სკიტში ის უმეტესად მწოლიარე მდგომარეობაში იღებდა მომსვლელებს, აქ კი – ან დამჯდარი, ან კიდევ ფეხზე მდგარი“.

კონკრეტულად შამორდინოს საქმეები ამძიმებდნენ ბერს, რადგან უზარმაზარი ქალთა სავანის მშენებლობა ყველაზე გაცხარებულ მდგომარეობაში იყო. მშენებლობაზე ზრუნვა კი ბერმა მთლიანად თავის თავზე აიღო. ზაფხულის თბილ ამინდში ის თვითონ გამოჰქონდებოდა მშენებლობაზე, რათა პირადად დაეთვალიერებინა და როგორც ჩანს, ჩქარობდა, არ ზოგავდა თავის სუსტ ჯანმრთელობას. გარდა ამისა, მას თვითონ უნდა მოეძებნა ფულადი სახსარი, როგორც მშენებლობისთვის, ასევე სავანის შესანახად, რუდნევოს აგარაკის ჩათვლით, სადაც ასევე შეუწყვეტელი მუშაობა მიმდინარეობდა. ფული კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერს არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ ის ძლივძლივობით ახერხებდა ყოველივე ამას. უმეტესად ნასესხებ ფულს მოიხმარდა, რა თქმა უნდა, მისი ერთგული

სულიერი შვილების იმედით, რომლებიც მას შემოწირულობებს ჰპირდებოდნენ, ზოგჯერ გარდაცვალების შემდგომ, ზოგჯერ კი უკანასკნელის შემოწირვით. ისინი თუნდაც მცირე, მაგრამ საკუთარ ქონებას სწირავდნენ; ხალხმრავლობას კი, რომელიც ასე ამძიმებდა ბერს, უკვე ბევრი ითქვა.

ბერის ასლობელი, ზემოხსენებული მ. ე. სი იმასაც გვამცნობს, თუ როგორ ზნეობრივ ტანჯვას ითმენდა ის. „ოპტინელები ძლიერ განიცდიდნენ, – წერს ის, – და როგორი გასაჭირი ჰქონდა მამა ამბროსის, მხოლოდ უფალმა იცის, რომ ყველას თანაუგრძნობდა, ყველა ეცოდებოდა. რთული იყო მათი ნუგეშისცემა და მათი დაყოლიება, დამორჩილებოდნენ ღვთის ნებას. გასახსენებლადაც ძნელია ის (1890 წლის) შემოდგომა, განსაკუთრებით მისი დასაწყისი. თითქმის ყოველდღე ვიღაც მოდიოდა იქიდან. ყველას უნდოდა, რაიმე სანუგეშო მოესმინა თვითონ მამაოსაგან. როდესაც მოახსენებდნენ, რომ ასეთი და ასეთი ჩამოვიდა ოპტინიდან, მამაო მათ არ ალოდინებდა, განსაკუთრებული სიყვარულით მიიღებდა და ანუგეშებდა. მაგრამ ძალიან ხშირად მათი ჩამოსვლის მერე ხასიათი უფუჭდებოდა. მოუტანდნენ მამაოს სადილს – ასე იქნებოდა საჭმელი სენაკში, ასევე წაიღებდნენ უკან, – ხელსაც არ მოჰკიდებდა არაფერს“.

ამასთან ბერის ჯანმრთელობა დროთა განმავლობაში უკიდურესობამდე დასუსტდა. მომსვლელთა დრტვინვაც გაიზარდა, რადგან ახლა, განსაკუთრებით ხალხის სიმრავლის გამო, ბევრ მათგანს ძალიან დიდხანს უწევდა ლოდინი. ბერსაც ის უნდოდა, რომ ყველა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ძალა საკმებით გამოელია. დამდგარ სამოთარს, როგორც შამორდინოს დები გვამცნობენ, ხშირად უხდებოდათ მისი ნახვა მწოლიარე მდგომარეობაში მთლიანად დაუძლურების გამო. მისი ფერმკრთალი, შეწუხებული სახე ტანჯვას გამოხატავდა, ხმა მთლიანად უწყდებოდა და თვალებიც დახუჭული ჰქონდა. ნახევრადცოცხალი ბერის ყურებით გული შეგეკუმშებოდა. თვითონაც ზოგჯერ ამბობდა: „ხომ არ სჯერათ, რომ სუსტად ვარ, ამიტომაც დრტვინავენ“. თუმცა ის ისევე მშვიდი და მხიარული იყო, როგორც ყველაზე სასიამოვნო გარემოებებში. ის თავისი მხიარული

და სახუმარო მოთხრობებით მსმენელებში განდევნიდა ყველაზე საზარელ სასოწარკვეთილებასაც კი. ამ უკანასკნელ სამთარს, შამორდინოს სავანეში ყოფნისას, მამაოს სისუსტისა და სხვადასხვა უსიამოვნებების გამო დედები დაღვრემილები იყვნენ. ავადმყოფმა ბერმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მხიარული სახით გამოვიდა ოთახში, სადაც დები შეიკრებნენ. ის ჯერ ვიღაცას ანუგეშებდა რის შედეგადაც ყველას ნელ-ნელა სახე გაუნათდა, ხოლო, ბოლოს და ბოლოს ყველა ისე გააცინა, რომ სულ განდევნა სასოწარკვეთილება. ერთხელ ბერს გარსშემოხვეულმა დებმა ნაღვლიანად უთხრეს: „რა ბედნიერებაა ჩვენთვის თქვენს გვერდით ცხოვრება და თქვენ რომ გვყავხართ, მამაო! მოვა დრო და თქვენ არ იქნებით ჩვენთან, რა უნდა გავაკეთოთ მაშინ?“ მამაომ ჩაიცინა, შეხედა სიყვარულით ყველას, ვინც იქ იჯდა (ასე შეხედვა მხოლოდ მან იცოდა), თავი გააქნია და სანუგეშოდ უთხრა მათ: „თუ აქ თქვენ გვერდით დავბოდიალობდი, მაშინ იქ მართლა ვერსად გაგექცევით“.

ძლივს გაივლიდა ერთი განსაცდელი, რომ ბერისთვის უკვე მეორე იყო მზად. უფრო სწორად რომ ვთქვათ, განსაცდელი განსაცდელს მოსდევდა, ავადმყოფობა კი – ავადმყოფობას. ერთხელ აღდგომის მერე (1891 წ.) სავანის წინამძღვარი, რომელიც მამაოს მითითებით დაინიშნა, შევიდა ბერთან სენაკში რაღაც საქმეზე. ის ავადმყოფობდა და შესვლისთანავე თავი ცუდად იგრძნო: სახე მკვდრისას დაემსგავსა, სუნთქვა შეწყვიტა და უგრძნობლად დაეცა. ბერი შეძრწუნდა. თვითონ ძლივს მიათრევდა ფეხებს, ისე მივიდა მომაკვდავ და აკანკალებულ დედაოსთან და სუსტი ხელებით ეხმარებოდა დებს იქვე ახლოს მდგომ ლოგინზე დაეწვინათ ის. ბოლოს თითქოს თხოვდა დედაოს, არ დაეტოვებინა ის, ავადმყოფობით და განსაცდელებით დათრგუნული ბერი, და მღელვარებისგან აკანკალებული ხმით უთხრა: „დედაო, ისუნთქე კიდევ!“ მალე ბერის ლოცვით მან სუნთქვა დაიწყო და ახიარეს კიდეც. მას შემდეგ გულის შეტევები, რის გამოც ის გრძნობას კარგავდა ან მკვდრის ფერი დაედებოდა, მთლიანად წარსულს ჩაბარდა. ამის მაგივრად წინამძღვარს მხედველობა დაუქვეითდა და დაბრმავდა. საფხულში ის უკვე ვერაფერს ხედავდა – მხოლოდ თეთრ ფერს არჩევდა

შაისგან, როგორც ახლა. მხედველობის დაკარგვის გამო წინამძღვრის თანამდებობა უძნელდებოდა და ბერისგან ითხოვდა რჩევას, თუ რა გაეკეთებინა, — ხომ არ ეთხოვა გათავისუფლება. მამაო ამაზე არ დათანხმდა და უთხრა: „თავად არ ითხოვო გადადგომა; ხოლო თუკი უფროსობა დაგაძალებს ამას, მაშინ განაცხადე". დედაო შეეწინააღმდეგა, რომ ის ახლა ბრმა იყო და უკვე არა ჰქონდა იმედი მხედველობის დაბრუნებისა. ბერმა კი მშვიდად უპასუხა: „თუ ასე გინდა, შენ ჩემზე უკეთესად იცი წერა". საერთოდ, როგორც შევნიშნეთ, წინამძღვრის მხედველობის დაკარგვას მამა ამბროსი მშვიდად უყურებდა და ყოველნაირად არწმუნებდა მას, არ გამოეხატა სულმდაბლობა. ის ხშირად უმეორებდა: „დედაო! მოითმინე და სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი", და მოჰყავდა წმინდა წერილის სიტყვები: „მოთმინებით მოიპოვეთ თქვენი სიცოცხლე" (ლუკა XXI, 19) და „ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება" (მათე X, 22).

აღწერილ განსაცდელებსა და უკიდურეს უძლურებასთან ერთად, მამა ამბროსის მუდმივად ჰქონდა უმაღლესი სასულიერო ხელმძღვანელობის მხრიდან არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება, რომელიც განსაკუთრებულად დაიძაბა მისი სიცოცხლის ბოლოს. ამაზე მთელი ისტორიაა. ზემოთ ნახსენები იყო, რომ 1890 წელს კალუგიდან ეორონეჟის ეპარქიის მმართველად გადავიდა ყოვლადუსამღვდელოესი ანასტასი. მის ადგილზე კალუგაში დანიშნული იქნა ტამბოვის ეპისკოპოსი ვიტალი, რომელიც რაღაც გარემოებების გამო დიდხანს არ ჩანდა დანიშნულების ადგილზე. ის მხოლოდ შემოდგომაზე ჩამოვიდა, როდესაც მამა ამბროსი უკვე შამორდინოს ქალთა სავანეში იმყოფებოდა. მეუფე ვიტალის ტამბოვიდან კალუგის ეპარქიაში გადმოსვლამ თვითონ მეუფეზე ძლიერ დამთრგუნველი ზეგავლენა იქონია, როგორც ეს თვითონ გამოთქვა პერემიშლენსკის სამების მონასტრის წინამძღვართან, იღუმენ თეოდოსისთან საუბარში. მეუფის ამ განსაცდელს აქ დაემატა ახალი განსაცდელები. მას კალუგის ეპარქიაში ჩამოსვლისთანავე უნდოდა, მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის ცნობილი ბერი ამბროსის ნახვა, რათა მისი სულიერი საუბრით დამშვიდებულიყო. როცა მან გაიგო, რომ ბერი ქალთა სავანეში ცხოვრობდა, ის აყოვნებდა ოპტინაში წასვლას

იმ იმედით, რომ მამა ამბროსი დაუბრუნდებოდა თავის სკიტს. ამასობაში დრო მიდიოდა, მაგრამ ბერი არ ბრუნდებოდა. მეუფისთვის ისიც უსიამოვნო იყო, რომ ბერი თვითნებურად წაეიდა თავისი სავანიდან სხვა მასრაში[92] და დიდი ხანი იყო, რაც სხვაგან ცხოვრობდა, ამასთანავე ქალთა სავანეში. შემდგომმა გარემოებებმა კიდევ უფრო გააბრაზეს მეუფე. „1890-91 წლების სამთრიდან მოყოლებული, – წერს ქალბატონი,– ბერზე უკეთური სმები დაირხა. მისი ქალთა სავანეში ყოფნის გამო არაკეთილმოსურნეებმა მასზე ყველაზე უმაგალითო სისულელეები გააერცელეს და ახალ მეუფესაც აუმღერიეს გონება. მე იქვე ახლოს ვიყავი, უნებლიედ ვისმენდი ყოველივეს, ველაპარაკე და ბერის შეწუხებას ვერ ვბედავდი, რადგან ვიცოდი, რომ მტრის მიერ მოვლენილი ეს განსაცდელი მამაოს სათნო ცხოვრების, მისი მოყვასისადმი სიყვარულის გამო ხდებოდა. დადიოდა ხმა, რომ ამ შემთხვევაში ვილაცამ განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა მეუფეზე. იმის თაობაზე, რომ მამა ამბროსის არ უნდა ეცხოვრა ქალთა სავანეში, თითქოს პეტერბურგშიც წერდნენ“.

ვიტყვით კიდევ იმას, რომ მამაოს მრავალრიცხოვან მრევლს სხვადასხვა მხარეს გაჰქონდა ხმები ოპტინისა და შამორდინოს საქმეებზე, რაც ხშირად ტყუილი იყო. ბერზე ყოველი ადამიანი თავისებურად მსჯელობდა და ბევრიც განიკითხავდა მას. ამრიგად, რუსეთის ყოველ კუთხეში, სადაც მამა ამბროსის სახელი იყო ცნობილი, მასზე ბოროტი ხმა დაირხა. აქ უნდა აღვნიშნოთ, როგორც განსაკუთრებული ვითარება, რომ მამა ამბროსის ყველა დროის თაყვანისმცემელთა შორის, თვით მის ნეტარ აღსასრულამდე, გახლდათ თავისი მაღალი სულიერი ცხოვრებით ასევე მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის ცნობილი კრონშტადტელი დეკანოზი, მამა იოანე ილიას ძე სერგიევი. მიუხედავად ყველა სულელური ხმისა, რომელიც მამა ამბროსიზე დადიოდა, ის მუდამ განწყობილი იყო მის მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით. შამორდინელი დედები მამა ამბროსის კურთხევით ხშირად დადიოდნენ კრონშტადტში მამა იოანესთან. როცა გაიგებდა, თუ საიდან იყვნენ ისინი,

[92] ოპტინის მონასტერი კოზელსკის მაზრაშია, ხოლო შამორდინოს სავანე – პერემიშლსკის.

დეკანოზს ჩვეულად ჰქონდა ეთქვა: „აააა, ეს ბერი ამბროსისგანაა; ოო, დიდი ბერია! მიწამდე თაყვანისცემით მოიკითხეთ ჩემგან“.

ამასობაში, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა ლაპარაკი ბერზე და აღაშფოთებდა ისედაც შეძრწუნებულ მეუფეს, რომელიც ზოგიერთთან საუბარში გაოცებული ღაღადებდა: „ეს რა ხდება მათთან!“ ხშირად მონასტრების ბლაღოჩინის, კალუგის ტიხონოვის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ მოსეს პირით იმასაც ითხოვდა, რომ ბერი ამბროსი უსათუოდ დაბრუნებულიყო მონასტერში. უცნობია, თუ რას პასუხობდა ბერი მეუფის მოთხოვნას. საფიქრელია, რომ მამაო ამბობდა იგივეს, რაც ოპტინელ ძმებს მისწერა თავის დროზე, რომ ის „ღვთის განსაკუთრებული განგებულებით დარჩა შამორდინოში“. ბერი საქმის არსს გადმოსცემდა, მაგრამ მისი გაგება არავის სურდა და მისი სიტყვები ერთ უბრალო მომიზეზებად ჩათვალეს, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. როდესაც დაემუქრნენ, რომ ნების წინააღმდეგ ძალით წაიყვანდნენ ოპტინაში, ავადმყოფი ბერი მწუხარებით ამბობდა: „მე ვიცი, რომ ვერ მივაღწევ ოპტინამდე: მე თუ აქედან წამიყვანენ, გზაში მოვკვდები“.

„მეუფის ერთი ახლობელი კაცი, – აგრძელებს ქალბატონი, – რომელმაც იცოდა, რომ მე ხშირად დავდიოდი ბერთან, მთხოვა, გამეფრთხილებინა ბერი, რომ უსიამოვნება ემუქრებოდა. სანამ წასასვლელად მოვემზადე, შეშფოთებული გახლდით. არ ვიცოდი, რით დამემშვიდებინა თავი და დაუსწრებლად მოვიხმე მამაოს ლოცვები; გავხსენი დავითონი და ეფიქრობდი, თუ რა გაიხსნებოდა მამაოსთვის. გაიხსნა ფსალმუნის სიტყვები: „შენ გამო მტერნი ჩუენნი დავრქნეთ, და სახელითა შენითა შეურაცხ-ვყვნეთ ისინი“ (ფსალმ. XLIII, 6). ფსალმუნის ამ სიტყვებმა მაშინ იმდენად დამამშვიდეს, რომ მე მხიარული გავემგზავრე მამაოსთან. საუბრისას მე ვუთხარი მას: „თქვენთვის მამაო, მე ყველას თანდასწრებით ვემთხვევი ჯვარს და სახარებას“. თავმდაბალმა ბერმა მომისმინა და მშვიდად მითხრა: „ჯვარს და სახარებას არასოდეს არავის მაგივრად არ ემთხვიო. შეიძლება, მართლა ისეთი ვარ, როგორც ჩემზე ლაპარაკობენ“. ასეთი თვითდამდაბლება ახასიათებდა მამაოს!

ფსალმუნის სიტყვებმა დაამშვიდეს ის და მან გამამეორებინა ისინი და, ამასთან, ამიერიდან მკაცრად ამიკრძალა მიმემართა ამ ხერხისთვის, თქვა რა: „შენთვის ადრეა“. შამორდინოში ჩემი ჩამოსვლის წინ კი ხმა გავარდა, რომ მეუფემ, სხვადასხვა საუბრების გამო, რომლებიც მის ყურამდე აღწევდა, თქვა: „მე თვითონ წავალ, ჩავსვამ ბერს ეტლში და წავიყვან ოპტინაში“. მე ბავშვებთან ერთად ვიყავი სავანეში საცხოვრებლად ჩამოსული და ამიტომ მხოლოდ საერთო კურთხევა'ს ვხვდებოდი მას. მამაო თოთქოს სპეციალურად არ მიღებდა. მისი და ჩემი საკუთარი საქმეები მაწუხებდა, მაგრამ ყველა'ს უფრო – შიში, რომ მეუფე მოგვაკითხავდა და ბერს ძალით წაიყვანდა. მე და მომსახურეები ვთხოვდით, მივლე, ვეუბნებოდი, რომ ეს მე მჭირდებოდა. მაგრამ მამაო გამოვიდოდა, ალერსით დამლოცავდა და მეტყოდა: „არაფერი შენ არ გჭირდება – მოითმინე“. ასე რომ, მამაოსთან განმარტოებით მხოლოდ სამი კვირის მერე მოვხვდი აღსარება'ზე – ეს იყო 1891 წლის ივლისის დასაწყისში. მე მამაოს ვუთხარი: „მე მოვიწევდი თქვენთან არა ჩემი გულისთვის, არამედ მეუფის განსხრახვის სათქმელად“. მამაო ამ დროს ძალიან სუსტად იყო. ხალხმა სულ მთლიანად გაანადგურა ის: ხმა ჩაუწყდა, რაც ამ ბოლო დროს ხშირად ემართებოდა. მინაშენი ხალხის მისაღებად იყო მარტო გამოყოფილი, თვითონ კი განსვენებული წინამძღვრის, დედა სოფიას საბაფხულო შენობაში იყო განთავსებული. მან მიპასუხა: „ცოცხალია ჩემი ღმერთი, და ცოცხალი იქნება ჩემი სული; შენ კი იცოდე, რომ ყველა მეუფე'ზე მაღლა არის ერთი დიდი მეუფე: ოპტინაში წასვლას არ ვაპირებ, სად წავალ აწი მე?“ მამაომ გაშალა ხელები და გააგრძელა: „თუ მარტო“... და ისე ჩაუწყდა ხმა, რომ მე მარტო ეს გავიგე: „სექტემბრის ბოლო და ოქტომბრის დასაწყისი“. მამაომ წამიკითხა შენდობის ლოცვა და გამიშვა. მისი სიტყვების დასაწყისმა დამამშვიდა. მე მივხვდი, რომ უმაღლესი მეუფე (ღმერთი) დაიცავდა ბერს, მაგრამ ბოლო კარგად ვერ გავიგე და ამიტომ ვერ გავარკვიე, სად დაიმალებოდა მამაო. ოპტინაში არ წავიდოდა და შამორდინოშიც არ დარჩებოდა, დაყუდებას სომ არ აპირებდა? ამ აზრმა შემაშინა. რუდნეოში, შამორდინოს აგარაკზე, ბერი სულ რაღაცას აკეთებდა და მეც

ვიფიქრე, რომ იქით აპირებდა. მის გარდაცვალებაზე მე არ ვფიქრობდი – ეს აზრადაც არ მომსვლია. დადგა მიძინების მარხვა და მე ისევ მოვხვდი მამაოსთან აღსარებაზე. როცა დავამთავრე, ვთქვი: „მამაო! მეუფის ჩამოსვლაზე ხმები არ წყდება და მე თქვენ გამო ძალიან მეშინია“. მამაო ადგა, მომაბრუნა კარისკენ, ოდნავ ჩამარტყა კეფაში და თქვა: „შენ წადი... მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ მარტო დაგრჩე “.

„მამაო! – ჰკითხა ერთმა მონაზონმა, – ამბობენ, რომ მეუფე ჩამოდის, რას ეტყვით მას?“ – „მე ვეტყვი, – წყნარად უპასუხა მამაომ, – მე ვეტყვი, ჯერ ღვთის ნებას ეძიებდეთ“...

მალე ბერთან მისი სულიერი შვილი, პერემიშლსკის სამების ლიუტიკოვის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი თეოდოსი ჩამოვიდა. იგიცე შინაით: „იცით, მამაო, – თქვა მან, – რა გელოდებათ თქვენ?“ ბერმა ნაღვლიანად ჩაღუნა თავი. მან ნათლად განჭვრიტა კაცობრიობის უხილავი მტრის ხრიკები, რომელიც ახლა განსაკუთრებულად შეიარაღდა მის წინააღმდეგ მისი აურაცხელი სიკეთის გამო და თქვა: „დიახ, მამა თეოდოსი, მთელი ჯოჯოხეთი აღდგა ჩემს წინააღმდეგ“. ამ იღუმენს ადრე რამდენჯერმე ჰქონდა მამაოსგან კურთხევა ნათხოვნი, რათა დაეტოვებინა წინამძღვრის თანამდებობა. ბერი ამბროსი კი ამაზე პასუხობდა: „მე და შენ, მამა თეოდოსი, დავისვენებთ მაშინ, როცა ჩვენს თავზე პანაშვიდს იგალობებენ; და ისიც კარგი იქნება, თუკი საერთოდ ამის ღირსი გავხდებით“. სხვა დროს კი იგივე თხოვნაზე მამაომ მტკიცედ, ხუმრობის ტონით უთხრა: „იცხოვრე იქ, სადაც ცხოვრობ (ესე. სამების მონასტერში), სანამ არ გაგაგდებენ“. შემდეგ დაამატა: „ოპტინის მონასტერი შენ მაინც არ აგცდება“. ორივე ნათქვამი მამა ამბროსის სიკვდილის შემდეგ სულმიწყევნით აღსრულდა. ვითარება ისე წარიმართა, რომ მამა იღუმენს მოუწია დაკავებული თანამდებობაზე უარის თქმა და ოპტინის სკიტში მოთავსდა, სადაც დღემდე ცხოვრობს.

მამა ამბროსისთვის ამ უკანასკნელ შემოდგომაზე მასთან ჩამოვიდა ოპტინის მონასტერში მცხოვრები კ. ნ. ლეონტიევი. მას უნდოდა,მამა ამბროსისგან ლოცვა-კურთხევა ეთხოვა,რომ მოსკოვში წასულიყო სამკურნალოდ. გამომშვიდობებისას ბერი რამდენჯერმე

გადაეხვია მას და ეუბნებოდა: „შემინდე! მაპატიე!“ ასეთი გამომშვიდობება ლეონტიევს ნიშნეულად ეჩვენა. და მართლაც, ის უკანასკნელი აღმოჩნდა. ამის მერე ჯერ ბერი ამბროსი, შემდეგ კი ლეონტიევი გარდაიცვალა სერგიევის – სამების ლავრაში.

ამასობაში 1891 წლის მთელი ზაფხული შამორდინოში ახალ მწყემსმთავარს ელოდნენ. წინამძღვარი და დები ღელავდნენ და ბერს სხვადასხვა კითხვებით მიმართავდნენ. „მამაო! როგორ უნდა შევხვდეთ ჩვენ მეუფეს?“ მათ გასამხნევებლად ბერი მშვიდად უპასუხებდა: „ჩვენ კი არა, ის დაგვხვდება ჩვენ“. – „რა უნდა ვიგალობოთ მეუფისთვის?“ ბერმა უთხრა: „ჩვენ მას „ალილუიას“ ვუგალობებთ“. როგორღაც კიდევ უთხრეს მას: „მამაო! ამბობენ, რომ მეუფეს ბევრი შეკითხვები აქვს თქვენთან“. ის ეუბნებოდა: „ჩვენ მასთან წყნარად ვილაპარაკებთ – ვერავინ გაიგებს“. ერთ ახლობელ ბერს კი, რომელიც მეუფის ჩამოსვლაზე ამცნობდა, უთხრა: „რა გაეწყობა, წადი ეკლესიაში და მოამზადე ადგილი, სადაც უნდა დავდგე“. ასეთი პასუხით ბერი მიანიშნებდა თავის მოახლოებულ გარდაცვალებაზე, მაგრამ ამ მინიშნებებს ვერავინ მის ირგვლივ მაშინ ვერ იგებდა. ზოგიერთ დას ჰქონდა წინათგრძნობა მამაოს მოახლოებულ გარდაცვალებაზე, მაგრამ ამის დაჯერება არ უნდოდათ. პირიქით, ფიქრობდნენ, რომ მეუფროსე ბერისთვის შეუძლებელი იყო ასე მალე აღსრულება. ასე წერს მ. ე. ს. „მიუხედავად იმ დიდი ბედნიერებისა, რომ მამაო ჩვენთან იყო, რაღაც საშინელი რამის წანათგრძნობა არ მასვენებდა. ის აზრი, ხომ არ ითვლიდა მამაო ჩვენთან უკანასკნელ დღეებს, ყველაფერს მიშხამავდა. მეშინოდა, ვინმესთან მელაპარაკა ამის თაობაზე, რომ სხვებისგანაც იგივე არ გამეგო. მარტო მ-სთან საუბრისას გადავწყვიტე, მეკითხა, თუ რას ფიქრობდა ის ამის თაობაზე. მ-მაც თქვა, რომ მას სიხარულის ეშინოდა – ღმერთმა უწყოდა, რამდენ ხანს იქნებოდა ასე. ეტყობა, ბევრს მოსდიოდა ეს აზრი. მამაოსგან ჩვენ არასოდეს გვსმენია პირდაპირი მითითება მის აღსასრულზე. ზოგიერთი მისი განკარგულება თითქოს მიანიშნებდა ამაზე, მაგრამ მაშინ ყველაფერი სხვანაირად აიხსნებოდა და მხოლოდ ბერის სიკვდილის მერე გახდა გასაგები. მის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე

ერთმა პეტერბურგელმა მხატვარმა, რომელიც ზოგჯერ ფულად დახმარებას სთხოვდა მამაოს, გამოუგზავნა მას ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის ასლი და თავისი ოჯახის წევრების სახელები, თან სთხოვდა, ელოცა მათთვის. მამაომ გასცა განკარგულება, რომ ეს ჩანაწერი (სადაც სახელები იყო მითითებული) დაედოთ ხატის უკან კიოტში და თქვა: „სეციური დედოფალი თვითონ ილოცებს მათზე“. ამ ხატს მამაოს კუბოს წინ მიაბრძანებდნენ შემდეგში. ერთმა ლატაკმა ოჯახის კაცმა, რომელსაც მამაო ხშირად ეხმარებოდა, წერილობით მიმართა ბერს თხოვნით, დახმარებოდა ობილი ტანსაცმლის ყიდვაში. მამაომ გაუგზავნა იმდენი, რამდენიც მას სჭირდებოდა და, ამასთან ერთად, რამდენიმე სიტყვაც მისწერა, ბოლოს კი დაამატა: „გახსოვდეს, რომ ეს ჩემგან უკანასკნელი დახმარებაა“. მე დავწერე ეს წერილი, მაგრამ ბოლო სიტყვებმა არანაირი შეშფოთება ჩემში არ გამოიწვია. მე ჩემს თავს ასე ავუხსენი, რომ ის აფრთხილებდა ამ ღატაკს, რომ მეტად მისი იმედი არ ჰქონოდა. მამაოს მოუტანეს მაცხოვრის ხატი ეკლიანი გვირგვინით, რომელიც დიდხანს მისაღებში იყო მაგიდაზე დაბრძანებული. ერთმა ჩამოსულმა მონაზონმა, რომელიც მამაოს მოლოდინში მისაღებში იჯდა, პირველმა შენიშნა ამ ხატზე მირონის მსგავსი წვეთები და უთხრა ეს მ-ს_ როცა მონაზონი იქიდან წავიდა, ხატი მამაოსთან მიაბრძანეს და ეთხრეს მას ხატზე გამონენილი სასწაული წვეთების შესახებ. ის დიდხანს ათვალიერებდა და ბოლოს თქვა: „განსაკუთრებული ექნება იმას, ვინც პირველად დაინახა ეს, და აქ მცხოვრებთაც“. რამდენიმე დღის მერე, რაც ეს მონაზონი წავიდა, მამაომ მიიღო მისგან წერილი, რომელშიც ის ამცნობდა, რომ მონასტერში დაბრუნებისთანავე მას დიდი და მოულოდნელი განსაცდელის გადალახვა მოუხდა. ეს სექტემბრის დასაწყისში მოხდა, ხოლო ერთი თვის მერე ჩვენს სავანესაც მოუხდა განსაცდელის გადატანა. ჩვენ დაკარგეთ დაუვიწყარი, დიდი ბერი, მამა და კეთილისმყოფელი“.

აღსანიშნავია, რომ მამაოს ბოლო საახლდგომო მილოცვაც მის ახლო აღსასრულზე მიანიშნებდა. მან დაიწყო სიტყვა „აღდგომის“ განმარტება: რომ ის სიკვდილიდან სიცოცხლეში და მიწიდან ზეცაში დაბრუნებას ნიშნავდა, რომ ამ დღესასწაულზე გახარებული

ქრისტიანები ულოცავენ ერთმანეთს აღდგომას, პატიობენ ყველაფერს იმათაც კი, რომელთაც სძულდათ ისინი; შემდეგ ღვთისა და მოყვასის სიყვარულზე ისაუბრა, აგრეთვე სულის მარგებელი მოძღვრების აუცილებლობაზე, შესაბამისად, მოძღვრებზე და ღვთის სიტყვის გონივრულად აღმქმელებზე. ის ლოცვით ითხოვდა ღვთის შეწევნას ყოველივე ამაში. ეს იყო, ასე ვთქვათ, ბერის უკანასკნელი აღთქმა, კაცისა, ვინც სიკვდილიდან სიცოცხლეში და მიწიდან ზეცაში გადასვლას უახლოვდებოდა.

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე აღესრულებოდა, ბერი ეხუმრებოდა გარსმოხვეულ დებს (მონაზვნებს): „შეხედეთ, – ყველგან შემოდგომაა, იქაც და აქაც; მოხვდებათ იხვებსაც და ბატებსაც“. შემდეგ სიცილით დაამატა: „ბატები გაუძლებენ, ხოლო იხვები იტირებენ“.

„სექტემბერში, – აგრძელებს სემოხსენებული ქალბატონი, – მამაომ მოულოდნელად დამაჩქარა ქალიშვილების შემოსვა (სამონაზვნო შესამოსელში), გვიბრძანა, მალე შეგვეკერა ის და გვითხრა, თუ რა გვჭირდებოდა ამისთვის, რადგან ჩვენ არაფერი ვიცოდით. ისიც კი გვითხრა, რამდენი არშინი ქსოვილი სჭირდებოდა თითოეულს, და დაამატა: „მე თქვენ თვითონ შეგმოსავთ“. უნდა ვთქვა ისიც, რომ ერთი კვირით ადრე უმცროსმა ქალიშვილმა (ნათლულმა) ბერს განუცხადა, რომ არაფრით არ განგვეშორებოდა ჩვენ. რამაც ბერი ძალიან დააშვიდა. 20 სექტემბერს თვითონ შეგვმოსა და წაგვიკითხა სათანადო ლოცვა. ამ დროს მის თვალებზე მსხვილი ცრემლები შევამჩნიეთ. ლოცვას რომ მორჩა, მკითხა: „სადაა კუნკულები?“ მე გაურკვეველად შევხედე მას. ეს ჩემოვის არაფის უთქვამს და არც მომიმზადებია. ბერმა მითხრა: „კარგი. ჯერჯერობით თავსაფრები ატარეთ“. შემდეგ დაამატა: „მალე ახალი, სწრაფი გამოჩენა იქნება“. მეორე დღეს ადრე დამიძახა ალსარებაზე. ეს უკანასკნელი აღსარება იყო მასთან. მამაომ ახალი შესამოსელი მომილოცა და თქვა: „ეს უფრო გიხდება“, და დაამატა: „აწი მხოლოდ შენს ცოდვებზე მელაპარაკე, საქმეებს თავი დაანებე: მე ავად ვარ, ძალიან ავად“. რაღაცამ თითქოს დამიბნელა გონება. მე მამაოს გარდაცვალებაზე კერძ ვიფიქრებდი და მისი სიტყვები ვერ გავიგე. „დღეს ზიარება მინდოდა, – აგრძელებდა საუბარს ბერი. – მაგრამ გამაჩერეს: ამბობენ,

ოპტინადან ჩამოველიო; ღმერთმა უწყის, ჩამოველენ თუ არა ისინი". მას მოწყენილი სახე ჰქონდა. მე კი ვიფიქრე: ვინ ახლავს თავს უფლებას, ჩაერიოს მამაოს საქმეებში? და უსიტყვოდ წავედი იქიდან. მალე, რაღაც განსაკუთრებულის გამო, მე ისევ მოვხვდი მამაოსთან. ბერი ძალიან დაუძლურებული იყო, მაგრამ მე მაინც მიმიღო. ტირილი რომ დავიწყე, მან ხელი გადამისვა სახეზე და მითხრა: „ჯერ სად ხარ, მდინარესავით წამოგივა ისევ ცრემლები, მაგრამ ყველაფერი გაივლის". ჩემს განსაკუთრებულზე კი თქვა: „თქვენ ხომ ბრიყვები ხართ და მე კი რაოდენ ვიგვემები თქვენ გამო!"

დასასრულ, ერთად გავიკვირვოთ ყველაფერზე, რაც დიდსულოვანმა, მადლმოსილმა ბერმა შეძლო. მის მიერ დაარსებულ სავანეში იყო: 500-ზე მეტი მონახორი, ბავშვთა სახლი, დავრდომილთა თავშესაფარი, საავადმყოფო; შიმშილობის წელი იყო და პური ძვირად ფასობდა, სავანეში ბევრი ვალები შეგროვდა., წინამძღვარი დაბრმავდა. თვითონ ბერი – უფროსობასთან მწყრალად მყოფი, დიდებაწართმეული და სიკვდილის პირას მისული. რომელი მტკიცე სულის პატრონი არ შეირყეოდა ამ დროს? მაგრამ ბერი სულით მშვიდი რჩებოდა.

XII თავი
ბერი ამბროსის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები

ჩვენ ახლა ვნახეთ, რომ მამა ამბროსი უკვე ძალიან დაუძლურებული იყო. ჯერ კიდევ აგვისტოში ჩამოსული, მოსკოვის სასულიერო აკადემიის კანდიდატი ფ. ი. დ., ასე წერდა მის ახლობელ ადამიანს: „როცა მე ბერის ოთახში შევედი, და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს არ მომხდარა თროთლვისა და გულის შეკუმშვის გარეშე, ვნახე ოთხმოციოდე წლის პატარა ბერიკაცი (ოდესღაც ის ტანმაღალი იყო), უბრალო, თბილ კაბაში და ბერის თავსაბურავში. ის სავარძელში ძალიან ფერმკთალი და სუსტი იჯდა. ტყავი ძლივს მოსავს ძვლებს, ქვედა ტუჩი უკანკალებს და იფიქრებ, რომ აი, ახლა მოკვდება. თუ რაიმეა ცოცხალი ამ მკვდარ სხეულში, ეს არის მისი არცთუ დიდი, ღია წაბლისფერი, გასხივოსნებული, კეთილი, დაკვირვებული და გამჭოლი თვალები. თითქოსდა მათშია კონცენტრირებული მთელი ცხოვრება და ისინი საოცარ კონტრასტს წარმოადგენენ ამ ფერმკრთალ სახესთან და საოცრად სუსტ სხეულთან. მიმართებით. ჭეშმარიტად – სული მღვიძარეა, ხოლო სხეული – უძლური“. მამაომ ჩვეულებრივ სიყვარულით მიიღო ჩამოსული და ბევრი ისაუბრა მასთან, უწინასწარმეტყველა პოლონეთის მხარეში მსახურება, შემდეგ კი მოსკოვის აკადემიაზე ესაუბრა. მან გაიხსენა უკეთილშობილესი პროფესორი თეოდორე ალექსანდრეს ძე გოლუბინსკი და დაინტერესდა, დარჩა თუ არა მას ვინმე მემკვიდრეთაგან. ბოლოს მაღალყოვლადუსამღვდელოეს მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტზე ილაპარაკეს. მასზე ბერმა, სხვათა შორის, შემდეგი რამ მოუთხრო: როცა მისი პეტერბურგში მიმოსვლა შეწყდა, მას უარის თქმა უნდოდა მიტროპოლიაზე და პენსიაზე გასვლას ითხოვდა. სანამ მიტროპოლიტი ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მან მოსკოვში გამოიძახა ყველასგან დაფასებული პესნოშსკის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ნაზარი[193] და გაანდო მას თავისი

[193] შემდგომში ვალაამის წინამძღვარი; დარჩენილი ცხოვრება ტამბოვის გუბერნიის საროვეს მონასტერში გაატარა და იქვე გარდაიცვალა.

გადაწყვეტილება. „რის გაკეთებას აპირებ, წმინდაო მეუფეო, პენსიაზე?“ – ჰკითხა იღუმენმა მიტროპოლიტს. – „მარტოობაში მინდა ვესაუბრო ღმერთს, ვილოცებ“, – უთხრა მიტროპოლიტმა. – „მოიცადეთ, – შეეწინააღმდეგა იღუმენი, ჯერ ეშმაკებს გაესაუბრეთ, მერე კი გამოწნდება“. ამ საუბრის მერე, როგორც ცნობილია, მიტროპოლიტს არ მოუყვანია სისრულეში თავისი ჩანაფიქრი. ამგვარად, ბერი ამბროსი, თავისი ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ დღეებშიც კი, ყველას მიმართ ყურადღებიანი, მოსიყვარულე და მომფერებელი იყო!

ყველა ხედავდა, რომ მამაო ცუდად იყო, მაგრამ ჯერ არავინ არ ელოდა მის სიკვდილს. სექტემბრის დასაწყისში მოამთავრეს მისთვის ზაფხულში დაწყებული სენაკი. ჩვეულებისამებრ, იმსახურეს პარაკლისი წყლის კურთხევასთან ერთად და ბერი წინამძღვრის სენაკიდან თავის სენაკში გადავიდა. წინამძღვარმა კი, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ბერის ნებით მოქმედებდა, ჰკითხა მას: „მე სად მაკურთხებთ, მამაო, რომ ვიცხოვრო?“ – „ახლა, – უპასუხა მან, – შეგიძლია იცხოვრო იქ, სადაც გინდა“. – „ეს როგორ?“ – „აი ასე, სადაც გინდა, იქ იცხოვრე, გინდა აქ, გინდა იქ“. კიდევ ერთი მინიშნება, რომ ბერი მალე გარდაიცვლებოდა, რაც წინამძღვარმა ვერ გაიგო. მიუხედავად იმისა, რომ უფულობის გამო სამუშაოები შეწყდა, ყველაზე აუცილებელი მშენებლობები მაინც გრძელდებოდა. მამაოსთან დაახლოებული ზოგიერთი პირი მისივე კურთხევით სავანეში აშენებდა თავის სენაკს, რათა ბერთან უფრო ახლოს განთავსებულიყო. ამასობაში კი მამაოს დღეები უკვე დათვლილი იყო. ამ უკანასკნელ დღეებზე ჩვენ მოგიყვებით შამორდინოს თვითმხილველთა სიტყვებით, რამდენადაც შესაძლებელია დაწვრილებით, ყოველი დღის შესახებ.

21 სექტემბერს შაბათი იყო. როგორც ყოველთვის სკიტიდან ჩამოვიდა მღვდელ-მონაზონი ღამისთევის მსახურების ჩასატარებლად, მაგრამ მამაო ჩვეულებრივზე უარესად გრძნობდა თავს და დღის ბოლოსთვის ისე დასუსტდა, რომ გალობასაც კი ვერ ისმენდა, და შეცივებასაც გრძნობდა. „მამაო დასუსტდა, მამაო ავად გახდა“, – ისმოდა მონასტრის ყველა კუთხეში. ყველა დამფრთხალი იყო,

რადგან კარგად ესმოდათ, რომ ოთხმოციოდე წლის სუსტი ბერის ჯანმრთელობის შესარყევად მცირედიც საკმარისი იყო. მეორე მხრივ, იმაზე ფიქრი, რომ მამაო შეიძლება გარდაცვლილიყო, იმდენად საშინელი და წარმოუდგენელი იყო ყველასათვის, რომ ამ აზრს არავინ ეგუებოდა. ყველა იმით იმშვიდებდა თავს, რომ „ღმერთი მოწყალეა და მამაოსთვის სიკვდილი არ შეიძლება – ის ჯერ კიდევ ესოდენ საჭიროა“. მსგავსი ბრძოლა შიშისა და იმედისა, ადრეც გამოცდილი ჰქონდათ, როცა ბერი ძალიან ავად ხდებოდა. ასე იყო ახლაც.

22-ში, კვირას, მამაო ყურების ტკივილს უჩიოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის აგრძელებდა სამონასტრო საქმეებზე ზრუნვას, ხალხსაც იღებდა, ხუმრობდა და მხიარული იყო.

„მეორე დღეს, 23-ში, – ეკითხულობთ მ. ე. სის ჩანაწერებში, – ტკივილი ყურებში გაუძლიერდა, მას ცუდად ესმოდა და ძალიან ცოტა ხალხი მიიღო, რადგან ლაპარაკი უჭირდა. ყველა სთხოვდა, დაესვენა, მაგრამ მამაო დგებოდა, დადიოდა სენაკში და რამდენიმე ადამიანი ერთდროულად შემოჰყავდა კურთხევაზე. საღამოს ბერმა ითხოვა, რომ მისთვის ხმამაღლა წაეკითხათ. მე ვკითხე, ხომ არ იქნებოდა ეს მტკივნეული მისი ყურებისთვის, მაგრამ მან არაფერი მიპასუხა. თითქოს რამდენიმე წუთი ჩაფიქრდა და ხმამაღლა თქვა: „ეს ბოლო გამოცდაა – დავკარგე სმენა და ხმა“. ხმა (როგორც ზემოთ ვთქვით) დიდი ხნის წინ დაუსუსტდა, ასე რომ, საღამოს ის უკვე ჩურჩულით ლაპარაკობდა. იმდენად შორს იყო ყველა იმ აზრისგან, რომ მამაოს დაკარგავდნენ, რომ მისი სიტყვები („ეს ბოლო გამოცდაა“) მე ჩემს თავს ასე ავუხსენი, რომ მამაომ გამოიარა ყველანაირი ავადმყოფობა, სმენა კი მუდამ კარგი ჰქონდა, ახლა კი ისიც დაკარგა“.

შემდეგი ორი დღის განმავლობაში ბერი იგივე მდგომარეობაში იყო. თითქმის არაფის იღებდა, რადგან მთლიანად დაკარგა ყურთასმენა და ხმა. „ხალხი, – აღნიშნავს მ. ე. ს. – დილიდან საღამომდე არ შორდებოდა სტურბლს და სენაკს. რამხელა მწუხარება იყო, რამდენი ცრემლი დაიღვარა! ’სოგიერთს არ შეეძლო ლოდინი და მომსახურის პირით ითხოვდნენ ლოცვა-კურთხევას და კითხვებზე

პასუხის გაცემას. იმისათვის, რომ მამაო საუბრით არ დაემძიმებინათ, უკიდურეს შემთხვევაში წერილობით ეკითხებოდნენ“.

26-ში, ხუთშაბათს, ბერი თავს უარესად გრძნობდა. ის ყურების, სახის, თავისა და მთელი სხეულის მძიმე ტკივილს უჩიოდა. მის ერთ ყურში ჩირქი აღმოჩნდა. ბერის ჯანმრთელობის გაუარესებამ ყველა შეაშფოთა. აქვე გადაწყვიტეს, მოსკოვიდან ტელეგრაფით გამოეხმაურათ ექიმი ბაბუშკინი, რომელიც ადრე, კალუგაში ცხოვრებისას, ხშირად მკურნალობდა მამაოს. ამაზე მამაო სიამოვნებით დათანხმდა.

27-ში, პარასკევს, ჩირქმა გამოჟონა და ტკივილი ოდნავ ჩაუწყნარდა, ხოლო საღამოს მოსკოველი ექიმიც ჩამოვიდა. ის ადრეც ხშირად ჩამოდიოდა ბერთან მისი ავადმყოფობისას. ის ბერის ავადმყოფობის შესახებ მუდამ მშვიდად და, უმეტეს შემთხვევაში, ასე პასუხობდა: „მე აქ ფორმალურად მოვდივარ: ეს რომ ჩვეულებრივი ავადმყოფი იყოს, მაშინ ვიტყოდი, რომ მას ნახევარი საათის სიცოცხლე დარჩა, მაგრამ ეს ხომ მამა ამბროსია, – მას შეუძლია რამდენიმე წელიც იცოცხლოს“. ექიმმა ახლაც ყველა დაამშვიდა; განაცხადა, რომ საშიში არაფერი იყო. მისცა დამამშვიდებელი საშუალებები და ავადმყოფს სრული სიმშვიდე ურჩია.

ამის მერე ბერმა თითქოს უკეთესად იგრძნო თავი, მაგრამ მას სუსტად არ შეეძლო, შეესრულებინა ექიმის რჩევა. ცოტა დაისვენა და, როგორც კი ცოტა შვება იგრძნო, ისევ დაიწყო ხალხის მიღება. იმის გამო, რომ მას ყურთასმენა უკვე დაკარგული ჰქონდა, კითხვებს ქაღალდზე უწერდნენ დიდი ასოებით, ის კი სიტყვიერად უპასუხებდა. ამასთან ერთად, სავანის ზოგიერთი დის შეუსმენლობის გამო შეწუხებული ბერი ამბობდა: „აი, ღმერთმა წამართვა ყურთასმენა და ხმა, რომ არ მოვისმინო, თუ როგორ ითხოვთ თქვენი ნებით ცხოვრებაზე ლოცვა-კურთხევას, და არ ვილაპარაკო, რამეთუ არ მისმენთ“.

29-ში, კვირას, მამაო მოულოდნელად გამოვიდა თავისი სენაკიდან და თქვა, რომ მას დააკისრა ზეციური დედოფლის ხატის, „განსაკუთრებულში მყოფთა მანუგეშებელის,“ წინ ლოცვა. მან ინება, რომ ამ ხატის წინ მის სენაკში პარაკლისი ემსახურათ, რაც მალევე შეასრულეს. დედები და საერონი კარებთან იყვნენ შეგროვილნი.

ქვეყნის უნდოდა, ამ პარაკლისის'ზე დამდგარიყო და ელოცათ ძვირფასი ბერის გამოჯანმრთელება'ზე და თავისთვისაც გამოეთხოვათ ღვთისმშობლისაგან ნუგეში.

„1 ოქტომბრის საღამოს (სამშაბათს), – აგრძელებს თავის ჩანაწერებში ქალბატონი, – ჩემი ქალიშვილი ჩემი წერილით'ურთ მოხვდა ბერთან. მე თვითონ ხშირად თხოვნა მერიდებოდა (მეშინოდა კიდეც). ჩემი წერილის საპასუხოდ, რომელიც მამაომ წაიკითხა, ჩემს ქალიშვილს უთხრა: „უთხარი დედას, რომ ყველაფერი გაიელის, მე უკვე არაფრის მოწყობა არ შემიძლია, მე თქვენი თავი 'სეკი'ურ დედოფალს შევავედრე". მამაომ მე ჩემს შვილებთან ერთად მომათავსა სასტუმროში, სადაც მორჩილება მქონდა – მიმელო ჩამოსულები. დადიოდა ხმები, რომ მამაომ აქ დასასჯელად მომათავსა. ამა'ზე მამაო მიპასუხებდა: „ცრუობენ – აქ შენ მხოლოდ მორჩილებისთვის ხარ". მე ვთხოვდი, რომ სიშორის გამო არ დავეივიწყებინე. ის კი მეუბნებოდა: „განა შორს ხარ? ჩვენ თქვენ გვახსოვხართ, ძალიანაც გვახსოვხართ და ყველაფერ'ში დაგეხმარებით". ასე დამამშვიდა მან ღვთისმშობლის მფარველობით, ჩემს ქალიშვილს სკვნილი ამუქა, და გამომშვიდობებისას უთხრა: „ეს ხომ დროებით არის შენთვის, მე შენ მონასტერ'ში საუკეთესო სენაკს მოგცემ". ამის მერე ორ წელიწად'ში ჩემი ქალიშვილი გარდაიცვალა.

ექიმი, რომელიც 2 ოქტომბრამდე (ოთხშაბათი) ბერთან იმყოფებოდა, რამდენიმე დღით თავის ნათესავებთან წავიდა. წასვლისას მან თქვა, რომ მამაოს ავადმყოფობა სწორად მიდიოდა. ბერმა თვითონ გააცილა ექიმი მეორე ოთახ'ში და ბევრი ისაუბრა მასთან. ამის მერე პირველი ორი დღე ავადმყოფი თავს კარგად გრძნობდა. თუმცა ყურების ტკივილი არ იკლებდა და ხან ერთ ყურ'ში, ხან მეორეში ცოტა ჩირქი ჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ცივებცხელება აღარ ჰქონდა მამაო ექიმის მიერ გამოწერილ საშუალებებს იღებდა და სავანე'ში ყველა მშვიდად გრძნობდა თავს.

4-ში, პარასკევს, ბერმა თქვა, რომ თავის ტკივილი უძლიერდებოდა და საღამოსკენ სიცხეც მისცა. შემდეგ დღეებში დღეგამოშვებით ცივებ-ცხელებამ აიტანა. მიუხედავად უკიდურესი სისუსტისა, ის დროდადრო სხვის დაეხმარებლად დგებოდა ლოგინიდან,დადიოდა

ოთახში, საჭირო ხალხსაც კი დაიბარებდა ხოლმე და იძლეოდა განკარგულებებს მშენებლობის საკითხებზე. ამ დღეს ბერის უახლოესმა მოწაფემ, მღვდელ-მონაზონმა იოსებმა, რომელიც შამორდინოში იმყოფებოდა, მოინდომა მასთან აღსარების თქმა, მაგრამ სისუსტის გამო მისი შეწუხება არ უნდოდა. ამაზე დროის, მხოლოდ მან მიანიშნა ბერს, რომ აღსარების თქმა სურდა; მამა ამბროსიმ მაშინვე შეიმოსა ოლარი და სამაჯურები და თვითონ გადასცა აღსარების წიგნი. მამა იოსებს წილად ხვდა ბედნიერება, უკანასკნელად ეთქვა მისთვის აღსარება, რის შემდეგაც გამოემშვიდობა ბერს და წავიდა სკიტში. იმ სალამოს, მამა იოსების თქმით, მან ვერ შეძლო დაძინება და მუდმივად ესმოდა, თითქოს ვიღაც ეუბნებოდა: „ბერი გარდაიცვლება“. ეს სიტყვები ნათლად ისმოდა.

„ბერის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე (3 რიცხვში), – შეავსებს ცნობებს მის შესახებ ქალბატონი, – ჩემთან სასტუმროში ჩამოვიდა და გაჩერდა ერთი ახალგაზრდა ბერი კაეკასიიდან. მას ძალიან სჭირდებოდა ბერის რჩევა. ის თავის მონასტრიდან იღუმენთან უთანხმოების გამო გამოვიდა, დადიოდა რუსეთში და ეძებდა მონასტერს, სადაც შეიძლებოდა მოწყობა. მან შეიტყო ჩვენი დიდი ბერის შესახებ და ჩამოვიდა მასთან. ჩემთან საუბრისას მან განაცხადა, რომ ყველაზე ძალიან სერგიევის–სამების ლავრაში მოეწონა,მაგრამ იქ არ მიიღეს; ხოლო კურსკის გუბერნიაში კორენის მონასტრის წინამძღვარი სთხოვდა, დარჩენილიყო მასთან, მაგრამ იქაურობა არ მოეწონა. მე ავუხსენი, რომ ჩვენი ბერი ძალიან დაკეძლურებული იყო და ამიტომ ჭირდა მასთან მოხვედრა, მაგრამ მისი დახმარება მსურდა და დავიწყე მომსახურეებთან ამ შეხვედრისთვის ზრუნვა. ასე გავიდა ორი დღე. მესამე დღეს (5 ოქტომბერს), მომსახურის რჩევით მე ვუთხარი მას, რომ მთელი დღე დამჭირიყო მისაღებში: ჯობდა უსადილოდ დარჩენა, მაგრამ ერთი წუთით ბერთან მოხვედრა. მანაც დამიჯერა და, როცა ხალხს სადილს უშვებდნენ მამაკაცთა მხრიდან, ის კარების უკან დაიმალა და შეუმჩნეველი დარჩა. ორ საათზე, როცა მომსახურეები ისვენებდნენ. მამაომ მკვირცხლად დარეკა და მასთან შესულ მონაზონს უთხრა: „დაუძახე იმას, ვინც კარების უკან დგას“. ის გავიდა მამაკაცთა მხარეს, მაგრამ რომ ვერ

ნახა იქ ვერაკინ, ისევე დაბრუნდა მამაოსთან და უთხრა, რომ იქ არავინ იყო. ბერმა ისევე გააგზავნა მის მოსაყვანად. თავისდა გასაკვირად, კარების უკან მან ნახა ბერი და შეიყვანა ის მამაოსთან. შემდეგ ეს ბერი თვალცრემლიანი მიყვებოდა: მამაომ დალოცა ის და სისუსტის გამო საჩქაროდ უთხრა: „სერგიევის–სამების ლავრაში არ წახვიდე – იქ შენ არ მიგიღებენ და შენთვისაც სასარგებლო არ იქნება, არამედ წადი ან ისევ შენს მონასტერში – ილუმენი გაპატიებს, ანდა კორნის მონასტერში, იქ სიამოვნებით მიგიღებენ“. შემდეგ ბერმა ბალიშის ქვემოდან გამოიღო სამების ფურცელი და მისცა მას. ფურცლის სათაური ასეთი იყო: „არ გამოცადო მონა'სონი“. ეს ბერი მე გამომიტყდა, რომ ის უფრო ცნობისმოყვარეობისათვის მივიდა ბერთან, რასაც ნანობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბერის გარდაცვალების მერე სავანის დებში დღემდე ასეთი ჭორები ვრცელდება: რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში სამების ფურცლებს დებენ ბერის ბალიშის ქვეშ და შემდეგ გამოაძრობენ[ის]. მათი რწმენით ყოველთვის შესაბამისი პასუხი ეძლევათ. ბერის გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე (5 ოქტომბერს, შაბათს) მე უკანასკნელად მოვხვდი მასთან და ვუთხარი რამდენიმე სიტყვა. ამ დღეს დილიდან თავი უკეთესად იგრძნო, თავის მისაღებ სენაკში გამოვიდა და იქ შეკრებილი რამდენიმე დედაო დალოცა. ერთ მათგანს ჰკითხა: „შენ გაქვს კრილოვის იგავების კრებული?“ მისი დადებითი პასუხის შემდეგ მამაომ უბრძანა, ხმამაღლა წაეკითხა ერთ-ერთი მათგანი სათაურით „ნაკადული“. მამაოს უყვარდა კრილოვის იგავ-არაკები, ხედავდა მათში სხვობას და ხშირად თავისი ბრძნული რჩევების მიცემისას ან მხილებისას იყენებდა მათ.

მე არ ვიცოდი, რომ ამ დღეს ბერი შეხვდებოდა ხალხთან გამოსვლას, ამიტომ მასთან მხოლოდ საღამოს მოვხვდით მე და ჩემი შვილები. მამაომ ჩვენთან ერთად დაუძახა ბუჩაც გაერიშუას, რომელიც მამაომ თავის გარდაცვალებამდე ოთხი თვით ადრე მიიღო და მისი მომსახურების გვერდით ცხოვრობდა. ძამაო ძალიან, ძალიან სუსტად

[ის] შამორდინოს სავანეში, იმ სენაკში, სადაც ბერი ამბროსი გარდაიცვალა, მისი ლოგინი ბალიშებით და სხვა ნივთები იმავე სახითაა შენახული,როგორიც მის სიცოცხლეში იყო.

იყო,მაგრამ ჩვენ, ლოგინ'სე მჯდომარემ,მისთვის ჩვეული სიყვარულით მიგვიღო. მისი ნახვით გახარებულმა არ ვიცოდი, რა მეთქვა ჩემზე და ვერაფერიც ვერ ვუთხარი, მაგრამ რჩევა ვკითხე სხვის ერთ სერიო'ულ საქმე'სე და მანაც მითხრა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. აქვე მო'ულოდნელად მკითხა: „ამბობენ, რომ 'შენ გიყვარს უპოვარი, გლახაკი გაერიო'ა?" მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა და გავიფიქრე, თუ ვის შეიძლებოდა ეთქვა ეს მამაოსთვის? და მხოლოდ ეს ვკადრისუხე: „ის ჩემთან დადის". მამაომ გააგრძელა: „წაიყვანე შენთან სასტუმრო'ში, ჩემი მომსახ'ურეები დააგადნენ, მეც ავად ვარ – ყურადღების მიმქცევი არავინ ჰყავს". მე ვუთხარი, რომ სიამოვნებით ავიყვანდი. ვის არ ავიყვანდი მამაოს გ'ულისთვის? ასე წავიყვანე ეს გლახაკი ჩემთან. ბერმა გვიბრძანა, მა'შინვე გადაგვეტანა ჩემთან მისი ნივთები, რომლებიც თვითონ მოიმარაგა. ადრე, როცა მამაო უფრო ჯან-მრთელად იყო, მან შემოიარა სასტ'უმრო'ში, მიმითითა ერთ სენაკ'სე და მითხრა: „აქ შენთან იცხოვრებს ის, ვინც დიდი ხანია შენ'ში ცხოვრობს". ეს გლახაკი პირდაპირ ამ სენაკ'ში მოხვდა.

მეორე დღის წინა საღამოს (6 ოქტომბერს – კვირას) ბერს ღამისთევა ჰქონდა. 'შუა მსახ'ურებისას თქვეს, რომ მამაო ცუდად იყო და მძიმედ სუნთქავდა. ყველა კარი გააღეს. ჩვენ შევ'შინდით. მერე ყველა გაგვიშვეს და გვითხრეს, რომ ბერი 'უარესად გრძნობდა თავს. დაიწ'ყო მძიმე დრო. ჩვენ მინა'შენის მისაღებ'ში ჯგ'უფებად ვიკრიბებოდით და ჩ'უმად ვიდექით, იშ'იათად თ'ე ვინმე დაჯ'დებოდა. თითქმის მ'უდამ რიგრიგობით დაუჯ'დომლებს კითხ'ულობდნენ".

„6 ოქტომბერს, - ვკითხ'ულობთ მ. ე. სი-ის ჩანაწ'ერებ'ში, – ნასა-დილევს მამაომ დარეკა 'სარი და შიგნით შეს'ულ მომსახ'ურეს უთხრა: „წადი, ნახე, ვიღაც კიბე'სე დგას და მონასტერ'ში მოწ'ყობას ითხოვს". მომსახ'ურემ უთხრა, რომ იქ ბევრი ხალხი იყო. მა'შინ მამაომ მკაცრად უთხრა მას: „ახლავე წადი და გაიგე". რამდენიმე წ'უთ'ში მომსახ'ურე დაბრ'უნდა და უთხრა, რომ იქ ნამდვილად იდგა ოპტინის ყოფილი მორწილი, რომელიც ოპტინიდან ათონ'ზე წავიდა და ახლა საერო ტანსაცმელ'ში ჩაცმ'ული ითხოვდა მამაოს რჩევას, თ'უ რომელ მონასტერ'ში დაბინავებ'ულიყო. მამაომ მა'შინვე გასცა განკარგ'ულება მის შემოყვანა'სე. რამდენიმე წ'უთი ისაუბრა მასთან

და შემდეგ კლინის მონასტერში წასვლას აკურთხა.

7 ოქტომბერი – ორშაბათი. ეს დღე ავადმყოფმა ჩვეულებრივად გააჭარა. სალამოს ძლიერი წყურვილი იგრძნო და ხშირად ითხოვდა წყალს. ამ დღეს სავანის წინამძღვარს საშინელი განსაცდელი ჰქონდა. მისი სული ისეთ უსიხარულო მდგომარეობაში გახლდათ, რომ არსად და არაფერს შეეძლო მისი ნუგეში. ეს, როგორც თვითონ ამბობდა, იყო ჯოჯოხეთური წამების წინათგრძნობა. ავადმყოფი ბერის სენაკში შესულმა, აუხსნა მამაოს მისი საშინლად მძიმე მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ თვითონ ბერიც ანალოგიურ ენით-გამოუთქმელ განსაცდელში იყო. ეტყობა, ღვთის განგებულებით, მასზე დაიშვა გამოცდა რაღაც მომენტში თითქოს ღვთისგან მიტოვებისა, რათა მას ბოლომდე გაეთვითცნობიერებინა ადამიანური ბუნების სილატაკე და უძლურება. ეს იყო მსგავსება იმისა, როდესაც უფალი ჯვარზე ვნებისას მიმართავდა მამა ღმერთს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ (მათ. XXVII, 46). ამიტომ, როცა წინამძღვარმა აუხსნა მდგომარეობა, ბერმა ასე უპასუხა: „მე ვგრძნობ იმას, რასაც მთელი ცხოვრება ვერ განვიცდიდი“.

ამასთანავე, შევნიშნავთ, რომ მისი უძლურების შემხედვარე მოძღვარმა, მამა თეოდორემ, უთხრა: „მამაო! აი, თქვენ მიიცვალებით, ვის უტოვებთ თქვენს სავანეს?“ ჯვრისმტვირთველმა და ჯვრის-მოსიყვარულე ბერმა მას ასე უპასუხა: „სავანეს სეკიურ დედოფალს ვუტოვებ, მე კი ჩემი ჯვარი მოვაკრა“.

ავადმყოფობის მთელს პერიოდში ბერი ამბროსის გულშემატკივარი და ჭირის გამსიარებელი გახლდათ ოპტინის ხშირი სტუმარი, მისი უდიდებულესობა დიდი თავადი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. როდესაც მან ოპტინის წინამძღვრისგან, არქიმანდრიტ ისააკისგან გაიგო ბერის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ, მან წინამძღვარს ორი დეპეშა გამოუგზავნა. ერთში ნათქვამი იყო: „სათუთად ვეპყრობი კეთილ ლოცვით ხსოვნას. ბერის ავადმყოფობის გამო ვწუხვარ. ღმერთმა უშველოს. კონსტანტინე.“

მეორეში კი ეწერა: „ღრმად ლმობიერმყოფს ოპტინის მონასტრის გულთან ახლოს მყოფი ძვირფასი ხსოვნა. განვიცდი ბერი ამბროსის ავადმყოფობას. ღმერთს შევთხოვ წმინდა სავანის სულიერ, ნათელ

სიმშვიდეს და სიხარულს. კონსტანტინე“.

ახლა გავაგრძელოთ მამა ამბროსის სიკვდილის წინა დღეების დღიური.

8 ოქტომბერს, სამშაბათს, დილის ექვს საათზე ბერმა თქვა, რომ ძალიან შეაცივა და სახეზედაც ძალიან შეიცვალა. რამდენიმე წუთში სიცხემ აუწია და მან ოდნავ ჩაიცხიმა. ერთი საათის მერე ‘უხა[85] მოითხოვა, მაგრამ მოულოდნელად ისე დასუსტდა, რომ ძლივს დაასასმელა, რაც ‘ენდოდა; სიცხემ იმატა და ბოდვა დაიწყო. ეს მაშინვე შეატყობინეს სკიტისმმართველ მღვდელ-მონაზონ ანატოლის და მამა იოსებს. უკანასკნელი მალევე ჩამოვიდა და, როგორც ქალბატონი აღნიშნავს თავის ჩანაწერებში, „აჩქარებულად შევიდა ბერთან; რამდენიმე წუთში გამოვიდა და ყველას გვითხრა: „ტყუილად დგახართ აქ.ბერი ხომ უკვე ვერ ლაპარაკობს და მისი გამოკეთების იმედიც არ არის“. მალე მამა ანატოლიც მოვიდა. მოელი დღის განმავლობაში ავადმყოფი უფრო და უფრო სუსტდებოდა, იმდენად, რომ ლაპარაკიც არ შეეძლო, სიცხე კი 40 გრადუსამდე ადიოდა. ალბათ. ბერი ამ დროს სხეულში ძლიერ ტკივილებს გრძნობდა. რაც არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ მშვიდად წოლილიყო ლოგინში; ამიტომ, ის ხან იმას მთხოვდა მამა იოსებს და მთმსახურე მამა ალექსანდრეს, რომ აეყენებინათ, მაგრამ როგორც კი აყენებდნენ, მაშინვე ანიშნებდა, რომ ისევ დაეწვინათ. ამასთან ერთად ის კანკალებდა, როგორც ციებ-ცხელებისას. საღამოს მოსკოველი ექიმი დაბრუნდა, მაგრამ უკვე უიმედო მდგომარეობა დახვდა. მამაო უკვბად ისე ცუდად გახდა, რომ ფიქრობდნენ, ველარ გადარჩებოდა: ამიტომ, მამა იოსებმა მას სულის გასვლის ლოცვები წაუკითხა. ბოლოს გადაწყვიტეს, ბერისთვის სეთი ეცხოთ. სანამ ამისთვის ემზადებოდნენ, უკვე საღამოს 11 საათი გახდა. და აი, სკიტის მმართველმა მამა ანტონმა მამა იოსებთან და ბერის მოძღვართან. მამა თეოდორესთან. ერთად დაიწყეს სეთის კურთხევა, რომლის დროსაც მამაო უკვე უგრძნობლად იწვა. მისი ხროტინი ორი ოთახის მიღმა ისმოდა. დედები მისაღებში იდგნენ და ლოცულობდნენ. როცა სეთისცხებას

[85] რუსული კურძია თევზისგან გაშხადებული.

მორჩნენ. იქ მდგომი მლოცველები სამ-სამად შევიდნენ ბერთან, რათა შეეხედათ მათი საყვარელი მნათობისთვის, რომელიც ნელნელა ქრებოდა და საუკუნოდ გამომშვიდობებოდნენ ძვირფას, მოსიყვარულე მამას, რომელთანაც მორბოდნენ ხოლმე ყოველგვარი განსაცდელის ჟამს და ისიც მუდამ ანუგეშებდა და ამხნევებდა მათ. დედები ძლივს იკავებდნენ მოთქმას და სიჩუმე რომ არ დაერღვიათ, უთქმელად თავს უხრიდნენ ფეხებთან და ემთხვეოდნენ უმოძრაოდ გაწერებულ ხელს, რომელიც სიცხისგან იწვოდა. ამასთან ერთად სახეზე აკვირდებოდნენ, რათა უფრო ნათლად დაემახსოვრებინათ მისი ნაკვთები, და მეორე კარიდან გამოდიოდნენ. ზოგს ისეც ჰქონდა იმედი, რომ შესაძლო იყო, ეს არ ყოფილიყო მისი აღსასრულის დღე, ეგება კიდევ გაეხილა თვალები და მოფერებით შეეხედა მათთვის, ეგება ამ ხელს კიდევ რამდენჯერმე გადაესახა მათთვის ჯვარი ან მამობრივი სიყვარულით მოეთათუნებინა დამნაშავესთვის თავში. მაგრამ არა – ეს ცრუ იმედი იყო.

„როცა ჩვენ ბერთან შევედით, – ამატებს თავის ჩანაწერებში ქალბატონი. – მომესმა, რომ მამაომ მძიმედ ამოისუნთქა და მკერდიდან კვნესაც კი ამოხდა. მე გადავწყვიტე, არ გაესულიყავი მინა'შენიდან, რის გამოც მოვცილდი კრებულს და კარს უკან მამაოს კაბას მოვეფარე, რომელიც მას უკვე აღარ სჭირდებოდა, და იატაკ'ზე დავჯექი. გადავწყვიტე, აქ ვყოფილიყავი მამაოს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, რადგან ვფიქრობდი, რომ მისი აღსასრული ამ ღამეს დადგებოდა".

ღამის 12 საათის მერე, უკვე 9 ოქტომბერს, ბერს ოფლიანობა დაეწყო და სიცხემ დაუკლო. ამან ოდნავ გააამხნევა ყველა. შემდეგ ის ა'ხრ'ზე მოვიდა, რაც ყველას ძალიან უხდოდა და ელოდნენ კიდეც, რომ ეზიარებინათ. „ამასობაში, – აგრძელებს ქალბატონი, – მამაოს მოძღვარმა, მამა თეოდორემ, მოაბრძანა წმინდა ნაწილები, მაგრამ ამ დროს მამაოს ჩაეძინა და მამა თეოდორეც მის გამოღვიძებას ელოდა იმ დერეფან'ში, სადაც მე ვიჯექი. დიდი ხნის ლოდინის მერე, ორი საათი რომ დაიწყო, მამა თეოდორემ დააბრძანა წმინდა ნაწილები მამაოს სენაკში და დასასვენებლად წავიდა. მისი წასვლიდან რამდენიმე წუთში ბერი გონს მოვიდა, მაგრამ

არაფერს ამბობდა, მხოლოდ ხელის მოჭერით აჩვენებდა იქ მოსიარულე მომსახურეს, რომ მან ისინი იცნო. მაშინვე დაუძახეს ბერის ახლოს დასასვენებლად მყოფ მამა იოსებს, რომელმაც უკანასკნელად ასიარა ავადმყოფი. ეტყობა, ღვთის განსაკუთრებული ნება იყო, რომ ბერის ყველაზე საყვარელმა მოწაფემ ასიარა ის უკანასკნელად, რომელიც ჯერ კიდევ ოპტინაში ყოფნისას ასიარებდა ხოლმე მას. მე ყოველგვარი შიშის გარეშე გამოვედი ჩემი სამალავიდან და ვნახე, როგორ ასიარეს ბერი. მამაომ თავიდან პირთან მიტანილი წმინდა ნაწილები რამდენჯერმე ხელით უკან წააღებინა. დიდხანს ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ აკეთებდა ამას ბერი და ეკითხებოდნენ კიდეც, მაგრამ მას პასუხის გაცემის ძალა არ ჰქონდა. შემდეგ მიხვდნენ, რომ მას სურდა, რათა მამა იოსებს საკუთარი ხელით გადაესახა მისთვის ჯვარი, რადგან ხელის აწევა არ შეეძლო. შემდეგ უჩვენეს სანაწილე და მას ანიშნა, რომ შეეძლო სიარების მიღება. მას ჯერ იორდანის წყალი მისცეს და მანაც შესვა, რის შემდეგაც ბერი ასიარეს. დამშვიდებული იმით, რომ მამაო ესიარა, სახლში დაებრუნდი".

სიარების მერე ბერს მთელი დღე აღარ დაუკარგავს გრძნობა, რამდენიმე ყლუპი ყავაც დალია და ლოგინიდანაც ადგა. როდესაც საწოლის გადაწევა გადაწყვიტეს იმისათვის, რომ მომსახურეებს უფრო ადვილად ეცლოთ მის ირგვლივ, მან რამდენიმე ნაბიჯიც კი გადადგა თავის მაგიდამდე. მაგრამ ეს სულ მცირე ხანს გაგრძელდა. როცა წინამძღვარი მივიდა მასთან, ის ისევე იწვა; ამბროსიმ მოფერებით შეხედა დედაოს და ჩუმად ჩაიჩურჩულა: „ცუდად ვარ, დედაო!" ამის შემდეგ რამდენჯერმე ანიშნა ხელით, რომ ძლიერი თავის ტკივილი ჰქონდა; თვითონვე მოიხადა ქუდი და მიანიშნა, რომ თავსაფარი დაეფარებინათ.

მთელი ეს დღეები, ისევე როგორც წინა დღეები, მასთან იმყოფებოდნენ შამორდინოს მშენებლობის ხელმძღვანელები; სკიტის ბერი მამა იოილი ბერის მომსახურესთან, მამა ისაიასთან ერთად. დანარჩენებს, რომლებსაც სურდათ, მომსახურებოდნენ ბერს, ის ხელით ანიშნებდა, რომ შიგნით შესვლის უფლებას არ აძლევდა. აქვე შევნიშნავთ, როგორი მადლობელი იყო მომაკვდავი ბერი მამა

იოილისა საკანის მოწყობაში გამოჩენილი დახმარებისათვის. ერთხელ, როცა მას ჯერ კიდევ ამის ძალა ჰქონდა, მან სიფრთხილით შემოხედა ხელები იოილს, ჩაიხუტა ის და დიდი ხანი რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ისე მუნჯურად, რომ მან ვერაფერი გაიგო.

მამა ამბროსის უსვენებლად გადამეტებული სისუსტე რომ შეიტყო ოპტინის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ისააკმა, ის მღვდელ-მონაზონ მაკარისთან ერთად იმავე დღეს ჩამოვიდა მასთან გამოსამშვიდობებლად. დაუძლურებული ბერის ნახვისთანავე ორივემ ტირილი დაიწყო. მამაომ იცნო ისინი, დაუინებით უმზერდა და ხელიც კი ასწია ქუდის მოსახდელად. ეს მათთან გამოსამშვიდობებელი უკანასკნელი ნიშანი იყო. ბერის სენაკიდან გამოსვლისთანავე, ძლიერი მწუხარებით მოცულმა არქიმანდრიტმა, ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის წინ პარაკლისის აღსრულების სურვილი გამოთქვა. ყველანი, ბერთან მყოფნი, ვისთვისაც დათხოვნა შეიძლებოდა, ეკლესიაში წავიდნენ; ისინი უფალს და ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობელს ბერის გამოჯანმრთელებას შესთხოვდნენ. ყველა დამსწრეს კი ათ-ათი მეტანიის შესრულება შესთავაზეს ბერის გამოჯანმრთელების სათხოვნელად. დედები, რომლებიც მიხვდნენ, რომ კარგავდნენ თავის მფარველს, ახლაც და შემდგომშიც თვალცრემლიანნი ევედრებოდნენ ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს. ეკლესიაში შეუწყვეტლად მუხლმოდრეკით აღასრულებდნენ პარაკლისებს და ბერის ყველა გულშემატკივარი ერთი ადამიანივით შეჰღაღადებდა უფალს მის გამოჯანმრთელებას. თუმცა, უფალმა არ შეისმინა მათი მხურვალე ლოცვა, მხოლოდ თავისი ყოვლადძლიერი ნებით გამოუცხადა მათ – სიმშვიდით გადაეტანათ მისი (ღვთის) წმინდა ნება და განგებულება ამ მძიმე გამოცდისას. „დღის ორი საათის შემდეგ, – წერია ქალბატონი, – ბერს ძალიან გაუჭირდა. ის უმოძრაოდ იწვა მარჯვენა გვერდზე და მძიმედ სუნთქავდა“. ამავე დღეს მიიღეს კალუგის გუბერნატორის დეპეშა იმის თაობაზე, რომ 10 ოქტომბერს კალუგის მღვდელმთავარი ვიტალი კალუგიდან შამორდინოში მიემგზავრებოდა. მისი მიზანი დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. ამ მოულოდნელმა ცნობამ, ისიც ამ მძიმე ჟამს, ყველა შეაშფოთა.

ამასობაში ბერის მდგომარეობა უფრო მძიმე ხდებოდა: სალამოს ისევ აუწია სიცხემ, ხოლო ექვსი საათის მერე თავიც კი არ აუწევია და ერთ მდგომარეობაში გაუნძრეველად იწვა; მთელი ღამე მძიმედ სუნთქავდა; თვალები ზევით ჰქონდა მიმართული და ბერის ტუჩები სწრაფად მოძრაობდნენ. იმღამინდელი მორიგე ბერის სიტყვებით, ავადმყოფი დილამდე ჩურჩულით ლოცულობდა.

„ღამით, – აგრძელებს თავის ჩანაწერებში ქალბატონი, – ჩვენ ისევ შეგვიშვეს მამაოსთან, მაგრამ თითო-თითოდ, რათა მასთან ჩუმად მიესულიყავით, თავი დაგვეხარა მისთვის მიწამდე და მაშინვე გამოესულიყავით იქიდან. შუაღამის სამი საათი იყო დაწყებული, როცა მე ცოდვილს შესვლამ მომიწია. როდესაც შევედი და ბერს დავუწექი, მისი შემოხედვა ვიგრძენი, მამაოს განსაკუთრებული მზერა, რომლითაც ის ზოგჯერ იცქირებოდა ხოლმე – მამაომ თვალებით კარებამდე მიმაცილა. მე ეს თავად არ დავიჯერე. ჩვენ გვითხრეს, რომ მამაო უკვე ვერაფის ცნობდა. მკვე ამ გაუგებრობაში დავრჩებოდი, საწინააღმდეგოში რომ არ დავრწმუნებულიყავი შემდეგი მაგალითით. ერთ-ერთ ჩვენს მონაზონს გაახსენდა, რომ მას ჰქონდა ძვირფასი სიწმინდე, პატარა საბურველი (გადასაფარებელი) წმინდა ტიხონ ზადონელის სახით და მოისურვა, ეს სიწმინდე დაედო მომაკვდავი ბერის თავზე. ამის მოსატანად წავიდა ის ჩემს ქალიშვილთან ერთად მონაშენში, რათა მამაკაცების მხრიდან გადაეცა საბურველი მომსახურისთვის. მათ გაუმართლათ. მომსახურე იმ წუთში მარტო მორიგეობდა ბერთან ეს მამა ისაია გახლდათ. მან შეუშვა ისინი, რათა მათ თვითონ გადაეფარებინათ საბურველი მამაოს თავის თავზე. დააფარეს რა ეს სიწმინდე, მათ უხმოდ მუხლი მოიდრიკეს მის ფეხებთან და ხელზე ეამბორნენ. ისევე, როგორც მე ცოდვილს, ბერმა მათ სიყვარულით საპასუხო გამოხედვით უპასუხა და, როცა ისინი გამოდიოდნენ, კარებამდე თვალებით მიაცილა“.

ასე დამთავრდა დიდი ბერი ამბროსის ცხოვრების უკანასკნელი ღამე.

XIII თავი

ბერი ამბროსის აღსასრული, დასაფლავების წეს-განგება და ქელეხი შამორდინოში

არაერთხელ ეუბნებოდა თავის ახლობლებს მამა ამბროსი: „მთელი ჩემი ცხოვრება ხალხში ვარ, ასეც მოვკვდები, — და თავმდაბლობით დაამატებდა კიდეც, — მუდამ სხვებს ვსრუნავ, ხოლო ჩემს თავზე ღმერთმა უწყის, როდისღა ვიფიქრებ“. მართლაც, ასევე მოუწია ბერს სახალხოდ სიკვდილმა, რომელიც უკანდაუხედავად იდგა მისი სენაკის კარებთან, მიუხედავად იმისა, რომ მამაოს არც ყურს ესმოდა და არც ლაპარაკი შეეძლო; ის უკანასკნელ წუთსაც კი ხალხით იყო გარშემორტყმული. ხოლო ჩვენ გავაგრძელოთ თხრობა მისი სიცოცხლის უკანასკნელ საათებზე.

10 ოქტომბერი — ხუთშაბათი. ამ დილისთვის ბერი მთლად დაუძლურდა. ის გაუნძრევლად იწვა, თვალები დახარა და ერთ წერტილს მიაპყრო, ტუჩებმაც შეწყვიტეს მოძრაობა. მაჯისცემა უფრო და უფრო უსუსტდებოდა. სუნთქვა იშვიათი ჰქონდა, მაგრამ მღვდელ-მონაზონ იოსების თქმით, საკმაოდ მშვიდი.

მამა იოსები ხედავდა, რომ ბერი ამბროსის სიკვდილი მოახლოებული იყო, ამიტომ ის სკიტში გაემგზავრა, რათა იქიდან წამოეყოლა ბერის სენაკში შენახული დასაკრძალავი ნივთები: ძველი ბამბის ნაქსოვი მანტია, რომელშიც მამაო ოდესღაც აღიკვეცა, თმის ძაძა და მამა მაკარის პერანგი, რაღგან, როგორც ჩვეთით უკვე ითქვა, მამა ამბროსი მამა მაკარს მთელი თავისი ცხოვრება დიდ პატივს სცემდა და მისი ერთგული იყო. ამ პერანგზე მამა ამბროსიმ საკუთარი ხელით დააწერა სიტყვები: „როცა მოვკვდები, შესთუოდ ჩამაცვით“.

„მამაოს სენაკში, — დაამატებს თავის ჩანაწერებში ქალბატონი, — მის გარდაცვალებამდე 20 წუთით ადრე მოვხვდი. ალბათ, ეს ღვთის ნებით მოხდა. მე ერთმა მხეცალმა გამატარა. ბერი ისევე იწვა, როგორც ღამით; სუნთქვა იშვიათი ხდებოდა, რისღასაც მე შევედი, მის გვერდით მუხლებზე მამა ისაია იდგა. მამა თეოდორე ბერს ჯვარს სახავდა. ირგვლივ მონაზვნები იდგნენ. მე მის ფეხებთან

მოვთავსდი“. როგორც კი სულის გასვლის ლოცვებს მორჩნენ, ბერმა გარდაცვალება დაიწყო. სახე მკვდრისფერი გაუხდა; სუნთქვა სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა. ბოლოს მან ღრმად ჩაისუნთქა; ორი წუთის მერე ეს ისევ განმეორდა. „შემდეგ, – ქალბატონის შენიშვნით, – მამაომ მარჯვენა ხელი ასწია, მოამზადა ის პირჯვრის გადასაწერად, მიიტანა შუბლთან, შემდეგ მკერდთან, მარჯვენა მხართან, შემდეგ მიიტანა მარცხენასთან, ძლიერად ჩაირტყა ის მარცხენა მხარში, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ეს ძალიან უჭირდა და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა მისგან, და სუნთქვა შეწყვიტა. შემდეგ მან მესამედ და უკანასკნელად ჩაისუნთქა“– ზუსტად დღის თორმეტის ნახევარი იყო.

კიდევ დიდხანს იდგნენ ბერის სარეცელთან მყოფნი ეშინოდათ რა, არ დაერღვიათ მართალი სულისა და ხორცის განშორების სადღესასწაულო წუთი. ყველა გაშეშებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათ ვერ დაეჯერებინათ და ვერ ხვდებოდნენ, სიზმარი იყო ეს თუ ცხადი; მაგრამ მისი წმინდა სული უკვე სხვა სამყაროში იყო გაფრენილი, რათა წარმდგარიყო უზენაესის ტრაპეზთან იმ სიყვარულის ნათებით, რომლითაც ის სავსე იყო ამსოფლად. მისი ბერული სახე ნათელი და მშვიდი გახლდათ. არაამქვეყნიური ღიმილი აკისკროვნებდა მას. „ჩვენ ნელა მიეუახლოვდით, – შენიშნავს ქალბატონი, – და ვემთხვიეთ ბერის ჯერ კიდევ თბილ, შიშველ ფეხებს. შემდეგ ჩვენ გარეთ გამოგვიყვანეს“.

როცა გონს მოეგნენ, მაშინვე საშინელი ქვითინი და ტირილი ატყდა. ამ არეულობის გამგონე მეზობელ ოთახებში მყოფი ხალხი მიხვდა საქმის ვითარებას. მათ გაიგეს ის, რისი გაფიქრებაც კი აძინებდათ და მიხვდნენ, რომ ყველაფერი უკვე დამთავრდა. მამაოს გარდაცვალების ამბავი ელვისებური სისწრაფით მოედო მთელს მონასტერს და შემზარავი შეძახილები ისმოდა შამორდინოს მკვიდრთა შორის, რომელიც ერთ საერთო უსაშველო და უიმედო ქვითინში გამთლიანდა. ახლა უკვე არა მარტო იმ ქალბატონს სდიოდა ცრემლი მდინარესავით, როგორც ეს უწინასწარმეტყველა მას განსვენებულმა ბერმა. ბერის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ღვთის გლახა გავრიუშამ ენა აიდგა და გალობდა: „წმიდათა

თანა განუსვენე"; ხოლო, როდესაც ბერი გარდაიცვალა, ის უნუგეშოდ დასტიროდა მას და იმეორებდა: „მოვკვდები, მოვკვდები!"[196] მალე საშინელი უბედურების პირველი ემოციაც ოდნავ მიწყნარდა და უფრო გათვითცნობიერებულ წუხილში გადავიდა.

ამასობაში უკვე იმასეც უნდა ეფიქრათ, რომ მამაოს სხეული დასაკრძალად მოემზადებინათ. სუსტად ამ დროს დაბრუნდა სკიტიდან მღვდელ-მონაზონი იოსები და ჩამოიტანა მიცვალებულის შესამოსად საჭირო ნივთები. მას ჩამოჰყვა ბერი გაბრიელიც, რომელსაც მორჩილებით ევალებოდა გარდაცვლილთა მოვლა. თავდაპირველად, ბერის ანდერძის თანახმად, მას შემოესვა მამა მაკარის პერანგი, შემდეგ ამ პერანგის სემოდან ძაძა, შემდეგ კი, ჩვეულებისამებრ, სამონაზვნო შესამოსელი და სქემა. მის სახეზე დადებული დიდი პარამონი სქემაზე იყო მიკერებული. სანამ ბერები აპატიოსნებდნენ მიცვალებულს,იქვე ფსალმუნებს კითხულობდნენ. ღეიბზე დასვენებული გაპატიოსნებული სხეული ბერის მოწაფეებმა ხელით გადმოასვენეს წინამძღვრის დარბაზში. მამაოს უსიცოცხლო, ცივი სხეულის დანახვაზე დედებმა ისევ მორთეს ტირილი. ახალგარდაცვალებული ბერი დარბაზში წინასწარ მომზადებულ მაგიდაზე დაასვენეს და მაშინვე გადაუხადეს პირველი პანაშვიდი. ბერის გარდაცვალებისთანავე რუსეთის სხვადასხვა მხარეს გაიგზავნა დეპეშები, განსაკუთრებით მის ახლობლებთან, თაყვანისმცემლებთან და სულიერ შვილებთან. უპირველეს ყოვლისა, მომხდარის შესახებ აცნობეს მის საიმპერატორო უმაღლესობას, დიდ თავადს, კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს, რომელიც ცოტა ხნის წინ იყო ჩამოსული ბერთან და ესაუბრა მას. ოპტინის სკიტის მმართველმა, მღვდელ-მონაზონმა ანატოლიმ, ამ დეპეშის საპასუხოდ მისი უმაღლესობისგან მიიღო თბილი დეპეშა:

„მთელი სულით ვიზიარებ თქვენი წმინდა სავანის განსაცდელს დაუეწყარი ბერის დაკარგვის გამო და თქვენთან ერთად ვხარობ მისი მართალი სულის გამოხსნისთვის. ღმერთმა მარადიული ხსოვნა

---

[196] მალე ამ გლახამ საქმე მოიბება. ის ქველასიათან მიდიოდა ჯიქით ხელში და თხოვდა „მონასტრისთვის", ე. ი. შამორდინოს სავანისთვის; ზოგიერთებს მისგან ასეთი სიტყვებიც კი ესმოდათ: „ტაძარი უნდა ავაშენო".

მიაგოს მას. ემადლიობ სკიტის მმართველს ცნობის მოწოდებისათვის. კონსტანტინე“.

დეპეშა გაეგზავნა კალუგის ეპისკოპოსს ვიტალის, მაგრამ მან მეუფეს კალუგაში ვერ მოუსწრო. ბერის გარდაცვალების წუთებში მეუფე კალუგიდან გამოვიდა და მასთან შესახვედრად მიემგზავრებოდა შამორდინოში. ის ავადმყოფობდა და კალუგიდან 28 ვერსის გავლისთანავე ღამის გასათევად გაჩერდა პერემიშლის სამების მონასტერში. ღამდებოდა. მეუფე დარბაზში მონასტრის წინამძღვართან, იღუმენ თეოდოსისთან, იჯდა და სხვადასხვა თემებზე საუბრობდა. სხვათა შორის შეეხო მამა ამბროსისაც და მასზე უკმაყოფილებაც კი გამოხატა იმისათვის, რომ ბერს, მისი თქმით, არ ჰქონდა უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების მორჩილება. სწორედ ამ დროს გადასცა მომსახურემ იღუმენს ქალაქ პერემიშლიდან მის სახელზე მოსული დეპეშა. მან ყოველგვარი ეჭვის გარეშე მეუფის თვალწინ გახსნა დეპეშა. „მაგრამ მაშინვე, – ამბობდა თვითონ იღუმენი თეოდოსი, – როგორც კი წავიკითხე, რომ ბერი სქემმღვდელ-მონაზონი ამბროსი გარდაიცვალა, ხელები ამიკანკალდა და ცრემლები წამომივიდა თვალებიდან. ამის შემხედვარე მეუფემ მკითხა: „რა ხდება?“ მე მხოლოდ ეს ვუპასუხე: „მძიმე ცნობაა, თქვენო ყოველადუსამღვდელოესობავ“. ის არ დააკმაყოფილა ჩემმა პასუხმა და ისევ მკითხა: „გამაგებინე რა ხდება? მე ისევ იგივე პასუხი გავიმეორე. „რა ხდება მეთქი?“ – უკვე განგაშით მკითხა მესამეჯერ მეუფემ. პასუხის მაგიერად მას დეპეშა გადავეცი. ეს რომ ნახა, მეუფემ თქვა: „ეს რა მოხდა? ბერი გარდაიცვალა?“ – „როგორც ხედავთ,“ – ვუპასუხე მე. მეუფე ამ მოულოდნელი ცნობით გაოგნებული იყო. მან წმინდა ხატებისკენ მიაპყრო მზერა, ჩაიქნია ხელები და ამოიძახა: „ღმერთო ჩემო! ეს რა ხდება? ამოუცნობია განგება ღვთისა!“ მან მაშინვე გადაწყვიტა, დილიდანვე შამორდინოს მაგივრად ოპტინის მონასტერში წასულიყო და წავიდა კიდეც. ძალიან გაკვირვებული იყო მეუფე, როცა გაიგო, რომ ბერი 12-ის ნახევარზე გარდაიცვალა, – ზუსტად იმ დროს, როცა ის შამორდინოში წასასვლელად კალუგაში ეტლში ჩაჯდა. „ახლა მე ვხედავ – თქვა მან ყველას გასაგონად, – რომ ბერმა დამიძახა წესის ასაგებად.

უბრალო მღვდელმონაზვნებს ეპისკოპოსები არ უგებენ წესს, მაგრამ ეს ბერი იმდენად დიდია, რომ მას აუცილებლად ეპისკოპოსმა უნდა აუგოს წესი. მე ქქიმებმა იმ პირობით გამიშვეს, რომ არსად ვიმსახურებდი, მაგრამ ახლა თავს ვალდებულად ვთვლი წესი აუგო ბერს". შამორდინოს საეანეც მიწყნარდა. ხალხი დასასვენებლად დაიშალა, მოსალამოვდა, მაგრამ ახალგარდაცვლილი მამაოს ცხედარი დედებს არ მიუტოვებიათ. ისინი მთელი ღამე ძვირფასი ბერის გვერდით იყენენ. მათ ძალიან უჭირდათ; ისინი ერთადერთ ნუგეშს მხოლოდ იმაში ხედავდნენ, რომ არ განშორებულიყვნენ თავიანთ ძვირფას მამას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იყო მათთან და ესოდენი სიყვარულითა და მოფერებით ესაუბრებოდა. ზუსტად ღამის თორმეტის ნახევარზე მოვიდნენ მღვდელმონაზვნები და პანაშვიდის მერე მრავალტანჯული ბერის სხეული უბრალო, შავი ქსოვილით შემოკრულ კუბოში ჩაასვენეს, რომელიც სანახევროდ დაფარეს ასევე უბრალო, მონასტრის გარდაცვლილთათვის ჩვეული ძველი გადასაფარებლით. ამრიგად, ღვთის ამ რჩეულმა მონამ, რომელმაც მთელი ცხოერება გაატარა სიმდაბლესა და თვითგვემაში, სიკვდილის შემდგომაც მოისურვა, თავი შეედარებინა მონასტრის უკანასკნელ მორჩილთათვის! უჭირდათ დედებს იმის ყურება, რომ მამაო უკვე სხეულებრივადაც გადასახლდა მის ახალ საცხოვრებელში, უჭირდათ ფიქრი, რომ რამდენიმე დღეში კუბოს გადასაფარებელი მთლიანად დაფარავდა მათი მსერიდან და ეერც კი შეხედავდნენ. ისინი მორიგეობით კითხულობდნენ ფსალმუნებს და მუდამ, როცა წარმოითქმოდა სახელი „ახალშესვენებულისა მამისა ჩვენისა მღვდელმონაზვნისა ამბროსისა", ყველა ვინც დარბაზში იმყოფებოდა, დიდ მეტანიას აკეთებდა. ენითგამოუთქმელად ამძიმებდა ეს სიტყვები განსაცდელით დაფლეთილ გულებს.

„ბერის სულიერი შვილების დაჟინებული თხოვნით, – გადმოგვცემს ქალბატონი, – მღვდელ-მონაზონმა ბმ გაარღვია დიდი პარამანი და ჩვენ მისი სახე გვაჩვენეს. ის საოცარი გახლდათ, ნათელი, თითქოს გესალმებოდა, ისეთივე, როგორითაც ის ხედებოდა ხოლმე დიდი ხნის უნახავ ძვირფას სულიერ შვილებს. სანთლების სიმხურვალის თუ სიმჭიდროვის გამო ბერის სახეზე ოფლის

წვეთებიც კი შეინიშნებოდა, როგორც ცოცხალი ადამიანის სახეზე. მაგრამ აქ მე თავს გადამხდა საოცარი რამ. მე კუბოს მარჯვენა მხარესე სასაფთლის გვერდით ვიდექი, ისე ახლოს, რომ ჩემი ხელები კუბოს ეხებოდა. დაკვირვებით ეუმზერდი ძვირფას მამაოს და ვცდილობდი, მისი სახის ნაკვთები გონებაში და მეხსიერებაში ჩამებეჭდა. ჩემს უკან, შორიახლოს მამაოს შვილი შვილის სენაკის კარი იყო განლაგებული, სადაც ამ ბოლო ხანებში მამაო ხშირად იღებდა ხოლმე ხალხს. მომესმა, რომ ვიღაც იმ მხრიდან მოვიდა ჩემთან და მარჯვენა მხართან, პირდაპირ ყურთან დაიხარა და მოვისმინე უკმაყოფილო, განრისხებული, ხმამაღალი ყვირილი მამა ამბროსისა. მისი სიტყვების აზრი მდგომარეობდა იმაში, თუ რატომ უკურებდნენ მის სახეს; ეს ხდებოდა ერთი წუთის განმავლობაში. საშინლად შეშინებული თითქმის გადავფრინდი მოპირდაპირე მხარეს და წინამძღვრის სენაკის კარებთან მოვხვდი. შიშისაგან ძლივს მოვედი აზრზე. ამის მერე მამაოს სახე არ მინახავს, თუმცა დაკრძალვამდე მრავალჯერ გადახადეს. მე ყოველთვის გავდიოდი იქიდან. მაშინ ეს მხოლოდ მამა იოსებს ეუთხარი. ეს მდგომარეობა რომ ავხსნა, მე ოდნავ უნდა გადავუხვიო წარსულში. მამა ამბროსის აღსრულებამდე ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა შამორდინოს სავანის პირველი წინამძღვარი – დედა სოფია. მე მაშინ ერში ვცხოვრობდი და მის გასვენებაზე ჩამოვედი. დასაფლავების მერე ოპტინაში გავემგზავრე მამა აბროსისთან, რათა იქ დავრჩენილიყავი ჩემი პირადი საქმეების გამო და სამძიმარიც მეთქვა მამაოსთვის მისი საყვარელი მოსწავლის, დედა სოფიას გარდაცვალების გამო. მამაოსთან გვიან საღამოს მოვხვდი და მან საერთო კურთხევაზე მიმიღო. აქ მრავლად იყვნენ შამორდინოდან ჩამოსული დედები. ჩემს მისამძიმრებაზე ბერმა თქვა: „დიახ! ცოტა იცხოვრა, მაგრამ ბევრს შეაყვარა თავი“. მე ვთქვი: „რა ლამაზი მიცვალებული იყო! ღმერთო, გაახარე დედები, – მათ გამიხსნეს და მაჩვენეს, თუმცა მე არ მითხოვია“. მამაომ მოუკვნილად თქვა: „მოირბინეს ჩემთან თვალცრემლიანებმა პირველივე წუთებში[97]. ნება გვიბოძე, გავხსნათ და

[97] დედა სოფია ოპტინაში გარდაიცვალა და მისი კუბო შემდეგ გადაასვენეს შამორდინოში.

ვუცქიროთ მის სახესით, მაგრამ სქემოსნების სახის ყურება კანონით არ შეიძლება. მე მათს მწუხარებას დავმორჩილდი: მერე კი ვინც მისი სახე ნახა, ყველას მეტანიები დაუნიშნეს მთელი წლით; თანაც უნდა ელოცათ: „უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი და მომეტევე ჩემი გაუგონარი კადნიერება – სქემოსანის სახის ყურება“, – და ამასთან ერთად სამ-სამი მეტანია დილას და საღამოს“. მე მთელი წელი ვაკეთებდი მეტანიებს. და აი, ბერი იმიტომაც იყო უკმაყოფილო, რომ კადნიერად უყურებდნენ მის სახეს, ყველაზე მეტად კი მე ცოდვილი“.

11 ოქტომბერს, პარასკევს, როგორც შამორდინოს სავანეში და ოპტინის მონასტერში, ასევე მრავალ სხვა ტაძრებსა და მონასტრებში აღესრულებოდა ლიტურგია გარდაცვლილი ბერი ამბროსის სახელზე. დღის ორი საათისთვის ბოლო პანაშვიდი გადაუხადეს სენაკში, ხოლო შემდეგ მისი კუბო ცხედრითურთ წინამძღვრის კორპუსიდან ეკლესიაში გადაასვენეს, სადაც გრძელდებოდა ფსალმუნების კითხვა და შეუწყვეტლივ იგალობებოდა პანაშვიდები, რასაც თან ახლდა ბერის სულიერი შვილებისა და მისი თაყვანისმცემლების ტირილი.

სხვადასხვა მხარეს გაგზავნილი დეპეშების შედეგად ხალხი ყოველი მხრიდან მოდიოდა სავანეში. კურსკისა და რიაზანის არემარეში მოძრავ მატარებლებში მხოლოდ ბერი ამბროსის გარდაცვალებაზე საუბრობდნენ. ბევრი მათგანი დასაფლავებაზე მოდიოდა. კალუგის საფოსტო სადგურზე ცხენების მეხოვნელთა რიგი იდგა. დასაფლავების დღეს მეუფე ვიტალისთან ერთად სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ: კალუგის ყველა მონასტრის ბლაღოჩინი, ტიხონოვის მონასტრის წინამძღვარი – არქიმანდრიტი მოსე და სხვა მამათა და დედათა მონასტრების წინამძღვრები, რომლებიც ოპტინის მონასტრის მახლობლად მდებარეობდნენ; ასევე სხვა ეპარქიებიდან ჩამოდიოდა მრავალი სხვა სასულიერო და საერო პირი, ასე რომ, სავანეში აღგილებიც კი აღარ იყო. ამასთან ერთად ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ფეხით. ამ დროისთვის შამორდინოში რვა ათასამდე ადამიანი შეგროვდა.

ამასობაში მამა ამბროსის სიყვარულით ოპტინის საძმოსა და შამორდინოს სავანეს შორის გაუგებრობამ იჩინა თავი იმის თაობაზე,

თუ სად უნდა დაეკრძალათ გარდაცვლილი ბერი, — ოპტინაში თუ შამორდინოში. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროდ ჩათვალეს, მიემართათ წმინდა სინოდისთვის. იქიდან სასწრაფოდ მიიღეს დეპეშა სინოდის პირველი წევრის, სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ ისიდორეს სულმოწერით, რომელიც ბრძანებდა ბერის ოპტინის მონასტერში დაკრძალვას.

12 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში პანაშვიდების მსახურება გრძელდებოდა; სოგჟერ ჩამოსული მღვდელმონაზვნები და მღვდლები თავისი სურვილით უხდიდნენ პანაშვიდს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ მაშა ამბროსის სხეული გადახდილი იყო, მოჰქონდათ თაფლსაფრები, ტილოს ნაჭრები, აგრეთვე სხვა ნივთები და ითხოვდნენ, შეეხოთ ის მამაოსთვის, შემდეგ კი რწმენითა და მოწიწებით მიჰქონდათ, როგორც სიწმინდე. ზოგიერთი დედა თაფლს პატარა შვილებს ამოხვევდა მამაოს სხეულს.

12 ოქტომბერს, შაბათს ლიხვინის პოკროვსკის „კეთილი" მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა აღაპიტმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ბერთან ოპტინის სკიტში, პარაკლისი და დაუჯდომელი ერთად იმსახურა ყასანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის წინ, შემდეგ კი ლიტურგია და პანაშვიდი — ბერის კუბოსთან. შემდეგ მთელი დღე და ღამე გრძელდებოდა პანაშვიდები.

13 ოქტომბერი, კვირა. თბილი და ნათელი დღე იყო, ასეთი ამინდი იშვიათია ოქტომბერში. დილის მსის კაშკაშა სხივები ბრჭყვიალებით ეფინებოდა შამორდინოს სავანეს და ფანჯრებიდან ტაძარში აღწევდა. მხიარულად ელვარებდნენ ეს სხივები კანკელის ოქროს ნივთებს და დიდ სასანთლეებს, რომლებიც კუბოს გვერდით იდგა. ამ დღეს მეუფე ვიტალიმ გარდაცვლილი ბერისთვის წესის აგება გადაწყვიტა. ამიტომაც, ადრიანი დილიდან ხალხი ეკლესიას მოაწყდა. მთელი მოედანი ჭრელი სალხით იყო მოფენილი. ყველაფერს ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ტაძარში გარდაცვლილი ბერი კი არა, არამედ რაღაც სულიერი, ნათელი დღესასწაული ყოფილიყო. ბოლოს, ცხრის ნახევარს, ზარების რეკვამ ამცნო ხალხს მწყემსმთავრის მოახლოება, რომელმაც ღამე ოპტინაში გაათია.

კორპუსს რომ მოადგა, სადაც მას გაუმწესდეს ადგილი, მეუფემ იკითხა: „სად არის გარდაცვლილი ბერის ცხედარი?“ როცა გაიგო, რომ ის ეკლესიაში იყო, მეუფემ მოინდომა, პირველ რიგში მისთვის მიეცა პატივი და სახლში შეუსვლელად ფეხით გაემართა ეკლესიისკენ. ეკლესიაში ასე მალე არ ელოდნენ მეუფეს, არამცდა ნახევარი საათის შემდგომ, რომელიც ავადმყოფ მღვდელმთავარს დასასვენებლად სჭირდებოდა, ამიტომაც ამ დროს პანაშვიდს გალობდნენ. მეუფე მოულოდნელად შევიდა ტაძარში სუსტად იმ დროს, როდესაც „ნეტარ არიან უბიწონის“ დასრულებისას „ალილუიას“ გალობდნენ; როგორც ეს სემოთ ვნახეთ, ამის შემდეგ წინასწარგვაუწყებდა ბერი. დედებმა თავისი ახალი მწყემსთავარი რომ დაინახეს, რომლის შესახვედრადაც მხმა ამბროსისთან ერთად ამდენ ხანს ემზადებოდნენ, თავი ვერ შეიკავეს და ხმამაღლა ატირდნენ. ისინი მალე ვერ მოვიდნენ გონს, რომ მეუფის შემოსვლისას შესაბამისად ეგალობათ. ის, უწინარეს ყოვლისა, შევიდა საკურთხეველში და წმინდა ტრაპეზისა და წმინდა ხატების მთხვევის მერე განსვენებულის კუბოსთან მივიდა: დახარა თავი, სამჯერ ჯვარი გადასახა მიცვალებულს და მაშინვე გავიდა ტაძრიდან.

რამდენიმე ხნის მერე მეუფე ისევ მობრძანდა ტაძარში ლიტურგიის ჩასატარებლად, რომლის დასაწყისიც ცხრა საათისთვის იყო დანიშნული. მას დახვდა ორი არქიმანდრიტი, ორი იღუმენი და ოთხი მღვდელ-მონახონი, რომლებიც მეუფესთან თანამსახურებისთვის ემზადებოდნენ. შესასვლელი ლოცვების წაკითხვის შემდეგ მეუფე ჩვეულებისამებრ შეიმოსა და წირვაც დაიწყო. მარჯვენა კლირში მეუფის გუნდი გალობდა, ხოლო მარცხენაში — სავანის დედები. ზიარების მერე, მეუფის კურთხევით, ამბიონზე გამოვიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, მღვდელ-მონახონი გრიგოლ ბორისოგლებსკი[198]. ის სპეციალურად ჩამოვიდა მამაოს დასაფლავებაზე სერგიევის სამების ლავრიდან და წარმოთქვა მშვენიერი სიტყვა რომლითაც ნათლად გამოხატა ბერი ამბროსის

[198] შემდგომში მოსკოვის სასულიერო აკადემიის ინსპექტორი, ბოლოს საეკლესიო ეკლესიის წინამძღვარი კონსტანტინეპოლში; არქიმანდრიტი; გარდაიცვალა 1893 წლის 18 ნოემბერს; იხ. გრიგოლ ბორისოგლებსკის №4 სიტყვა დანართში.

დიდი მნიშვნელობა, როგორც ოპტინის მონასტრისა და შამორდინოს საყანისთვის, ასევე საერთოდ მონაზვნობისა და მთელი რუსეთისთვის. როგორც გამორჩეული მახასიათებლები აწ გარდაცვლილი ბერისა, მან წარმოაჩინა ბერის ფართო, უსაზღვრო ქველმოქმედება, მისი თავდადებული სიყვარული ყველა ქრისტიანის მიმართ, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო ის, აგრეთვე მისი უბრალოება და ღრმა სიმდაბლე. მის სიტყვებს ხშირად კეთილმორწმუნე მსმენელების ტირილი ახშობდა.

ლიტურგიის დამთავრებისთანავე მეუფე ვიტალიმ 28 მღვდელმსახურთან ერთად, რომლებიც თეთრ შესამოსელში იყვნენ ჩაცმულნი, შუა ტაძარში წესის ასაგებად გამოვიდა. აქ იყვნენ: არქიმანდრიტი მოსე, მონასტრების ბლაგოჩინი და ტიხონოვის მონასტრის წინამძღვარი — არქიმანდრიტი ისააკი, ოპტინის მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი თეოდოსი — პერემიშლის სამების მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ალიპიტი — ლიხვინის პოკროვსკის „კეთილი“ მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი ეგნატე — ბელევოს ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი გერვასი — მალოიაროსლავეცის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, დეკანოზი ქალაქ ბელევოდან — იოანე ათანასეს ძე დელექტორსკი, დეკანოზი ქალაქ კოზელსკიდან — ალექსანდრე ელეონსკი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის აღსრდილი ორი მღვდელ-მონაზონი — მამა გრიგოლი და მამა ტრიფონი, სხვა მღვდელმონაზვნები და მღვდლები. დიდებული იყო ეს წმინდა სანახაობა: მწყემსმთავრის მოწიწებული მსახურება, ორიენ გუნდის მწყობრი გალობა, მონაზონთა წესის აგების სულისშემძვრელი გალობა, მრავალი მლოცველი სანთლებით ხელში, და ბოლოს ამ ბრწყინვალე გარემოში მოკრძალებული, ღარიბი კუბო, რომელშიც დაჭმუჭნილ სქემაში ესვენა ყველასთვის ძვირფასი მიცვალებული, — ყველაფერი ეს საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანებზე; ბევრი მათგანი ქვითინებდა. „წმიდათა თანა განუსვენენ“ გალობის წინ მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა. აწ მოსკოვის სასულიერო სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა ტრიფონმა (ასევე, მღვდელ-მონაზონმა გრიგოლმა, რომელიც

სპეციალურად დასაფლავებისთვის ჩამოვიდა); მან ისაუბრა ბერთან სულიერი ურთიერთობის პირად მოგონებებზე, რაც მას გააჩნდა, როგორც მამა ამბროსის მორჩილსა და მოწაფეს, მიუხედავად ოპტინაში ხანმოკლე ცხოვრებისა. თავისი სიტყვა მან ბერის ცხედრის წინ მუხლმოდრეკით დაასრულა.

ბოლოს დადგა ბერთან გამოთხოვების დრო. გაისმა გამოსათხოვარი სიტყვების გალობა: „მოვედით, უკანასკნელად ვემთხვიოთ ძმებო, გარდაცვლილს“... და ისევ ტირილმა და მოთქმამ აახმაურა ტაძარი. კუბოსთან პირველად ყოვლადუსამღვდელოესი მივიდა. გულისამაჩუყებელი იყო მეუფის გამომშვიდობება იმ ადამიანთან, რომელთანაც ის, როგორც ცოცხალთან მიემგზავრებოდა, მაგრამ ღმერთმა მკვდარს შეახვედრა. მეუფემ აიღო კუბოს წინ ანალოღიაზე დაბრძანებული ყანანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი და მით ღრმა ლოცვითი განცდით სამჯერ აკურთხა გარდაცვლილი, თაყვანი სცა მას, ეამბორა თავზე და ხელებზე და კიდევ სამჯერ აკურთხა. მეუფის შემდგომ გამოსათხოვებლად სამღვდელოება მივიდა, შემდეგ სავანის წინამძღვარი, დედები და ხალხი. განსაკუთრებით გულის ამაჩუყებელი გახლდათ დედების გამოთხოვება. მათ განსაცდელს ემატებოდა ისიც, რომ ძვირფას ცხედარს მათთან კი არა, ოპტინაში დაკრძალავდნენ. ეს გულწრფელი, ცრემლიანი გამომშვიდობება დიდხანს გრძელდებოდა. ბოლოს სამი საათისთვის მეუფემ განტევება ჰყო. წარმოითქვა ბერის მარადიული სახსენებელი. მეუფემ ცხედარს ჯვრის სახით გადაასხა ზეთი და ღვინო, რომელიც ზეთის კურთხევის დროს აკურთხეს და, წმინდა ეკლესიის წესისამებრ, დააყარეს მიწა. შემდეგ კუბოს თავსახური მიაჯნედეს. სამ საათზე ყველაფერი დამთავრდა. მღვდელმსახურები მეუფის თაოსნობით და სხვა სტუმრები წინამძღვრის კორპუსში წავიდნენ. ხოლო კუბო იქვე დარჩა, სადაც ისევ გაანაახლეს პანაშვიდები. ხალხი ისევ ღრმა ძწუხარებით მოდიოდა ცხედართან და პირჯვრისწერითა და მუხლმოდრეკით ემთხვეოდნენ კუბოს თავს, ზოგიერთები კი ჩამუხლულნი მიადებდნენ თავს. წინამძღვრის კორპუსში შეკრებილი სტუმრები მოსახსენიებელ ტრაპეზზე შეიპატიჟეს, სადაც 500-მდე ადამიანმა მოიყარა თავი. აქ იყო მეუფეც

მისი საუბრის საგანი, ამ სადილზე, გარდაცვლილი ბერი გახლდათ.

იმ დროს, როცა სტუმრები ტრაპეზს ისხდნენ, მოხდა აღსანიშნავი რამ, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე. მამა ამბროსისთან ხშირად ჩამოდიოდა შამორდინოს სავანის ქველმოქმედი ქალბატონი, მოსკოვის საავჭრო ცენტრის მუშაკის, გამოჩენილი პიროვნების, სერგო ვასილის ძე პერლოვის მეულლე, თავის გათხოვილ ქალიშვილთან ერთად, რომელსაც შვილები არ ჰყავდა. ეს უშვილო ქალიშვილი სთხოვდა მამაოს რჩევასა და კურთხევას, რათა აეყვანა ვიღაც ბავშვი შვილად. 1890 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ბერმა უთხრა მას თავისი სურვილის საპასუხოდ: „მოიცადეთ, ერთი წლის მერე მე თვითონ მიგითითებთ ასაყვან ბავშვს“. დასაფლავებაზე ჩამოსულმა ცოლქმარმა გაიხსენა ეს არბაი და წუხდნენ. რომ ბერის სიკვდილმა შეუშალა ხელი ამ დანაპირების აღსრულებას. სადილი არც კი იყო დასრულებული, რომ სავანეში გავარდა ხმა წინამძღვრის კორპუსთან ნაპოვნი ჩვილის შესახებ. ჯერ, რასაკვირველია, ეს ბევრს არ გაუსარდა. მაგრამ, როგორც კი ქალბატონ პერლოვას უშვილო ქალიშვილმა გაიგო, მაშინვე მიყარდა ბავშვს და ღრმა ლმობიერებით ამოიძახა: „ეს გოგონა მამაომ მე გამომიგზავნა“, და მან ეს ბავშვი მოსკოვში წაიყვანა.

ტრაპეზის დასრულების მერე მუეზემ ბერის სენაკის მონახულება მოინდომა; შიგნით შესულმა ილოცა, სამჯერ გადასახა ჯვარი ბერის ლოგინს,საღაც ის აღესრულა. შემდეგ დიდხანს აკურთხებდა სტუმრებს, დედებს და მომლოცველებს, რომლებიც წინამძღვრის კიბესთან იყვნენ შეკრებილნი და უკვე შებინდებისას დაბრუნდა ოპტინის მონასტერში.

არ გავწუმდებით შემდეგ გარემოებაზეც. სიკვდილის წინ მამა ამბროსიმ უბრძანა ერთ მონაზონს, ეკითხა იობის წიგნი. იქ, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ამ მართალი ადამიანის ჭრილობების სიმწარეს გაურბოდა მისი ცოლიც კი. ამ მაგალითით, როგორც ჩანს, ბერს იმის თქმა უნდოდა, რომ მასაც სიკვდილის მერე მსგავსი რამ დაემართებოდა. მართლაც, გარდაცვლილის სხეულიდან ძალიან მძიმე სუნი მოდიოდა. ამაზე ის ადრეც კი უკუნებოდა მამა იოსებს,

თავის მომსახურეს. ამ უკანასკნელის კითხვაზე: ასე რატომ? – ბერმა თქვა: „ეს იმიტომ, რომ სიცოცხლეში მრავალი დაუმსახურებელი პატივი მივიღე“. მაგრამ აი საოცრება; რაც უფრო მეტი ხანი ესვენა ეკლესიაში მამა ამბროსის ცხედარი, მით უფრო ნაკლებად იგრძნობოდა სუნი. ხალხის სიმრავლის გამო ტაძარში აუტანელი სიცხე იყო, რასაც სხეულის სწრაფი ხრწნა უნდა გამოეწვია, მაგრამ პირიქით კი გამოვიდა. ბოლო დღეს ბერის წესის აგებისას, არქიმანდრიტ გრიგოლის შენიშვნით, რომელმაც მისი ცხოვრება აღწერა, მისი ცხედრიდან უკვე სასიამოვნო სუნი მოდიოდა, როგორც ახალი თაფლიდან. ზემოხსენებული იღუმენი აღაპიტი ამტკიცებს, რომ ბერის გარდაცვალებიდან მესამე დღეს, როცა მის ხელს ემთხვეოდა, ის სპეციალურად ჩაისუნთქავდა ჰაერს და გრძნობდა სასიამოვნო სურნელებას, ზუსტად ისეთს, როგორიც ასდით ხოლმე უხრწნელ ღვთის რჩეულებს.

XIV თავი

ბერი ამბროსის ცხედრის გადასვენება ოპტინის მონასტერში, მისი დაკრძალვა, ქველეხი და საბოლოო ცნობები ბერზე

კვირა საღამოდან ორშაბათ დილამდე მთელი ღამე შამორდინოს ტაძარი ხალხით იყო სავსე. განსვენებული ბერის კუბოსთან, როგორც ადრე, მრავალი სანთელი ენთო, რომლებიც ტაძარს კაშკაშად ანათებდნენ; ბოლავდა საკმეველი, გალობდნენ პანაშვიდებს, გვერდით კი ფსალმუნთა კითხვა გრძელდებოდა. ბერის თაყვანისმცემელნი თითქმის შეუწყვეტლივ ემთხვეოდნენ კუბოს.

14-ოქტომბერს,ორშაბათს ისევ იმსახურეს ერთობლივ ლიტურგია და პანაშვიდი. წირვა აღავლინა სკიტის მმართველმა მღვდელ-მონაზონმა ანატოლიმ[99] ორ მღვდელ-მონაზონთან ერთად, ხოლო პანაშვიდზე მათ კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი შეუერთდა. პანაშვიდის დასრულების მერე 11 საათისთვის ცხედარი დედების ხელით გამოასვენეს, დაასვენეს წვეულებრივ სამონასტრო საკაცეზე და ეკლესიის ირგვლივ შემოატარეს, შემდეგ კი მთელი მონასტრის, წინამძღვრის კორპუსის და ბერის მიერ საძირკველჩაყრილი ქვის ტაძრის გვერდით ჩამოატარეს, სადაც იმ დროს დიდი ჯვარცმა იყო აღმართული, შემდეგ კი მშობლიური ოპტინის მონასტრისკენ აიღეს გეზი. წმინდა ხატები და საეკლესიო დროშები, გარდა ზემოხსენებული ქას'ანის ღვთისმშობლის ხატისა, ტაძარში დააბრუნეს. საკანის დედებისთვის მცირე დრო დადგა. ისინი სამუდამოდ დატოვა ძვირფასი ბერის ცხედარმა. სოგიერთმა მათგანმა ბერის ცხედარი გააცილა, დარჩენილები კი თვალცრემლიანნი ანდა განსაცდელით დათრგუნულნი უთვალთვალებდნენ თავიანთ განძს, რომელიც თანდათან შორდებოდა საკანს. ისინი თაკიანთ განსაცდელს იმ იმედით იქარვებდნენ, რომ „მშობელი მამაო" არ მიატოვებდა მათ, სულით

---

[99] ეს სკიტის მმართველი ბერი ამბროსის გარდაცვალების მერე მეუფეროსე ბერი უნდა ყოფილიყო ოპტინის სავანეში, მაგრამ უფალმა ის დიდხანს არ აცოცხლა. მამა ამბროსის გარდაცვალებიდან ორ წელიწადში ისიც ღვთის წინაშე წარდგა

ის მუდამ მათთან იქნებოდა და ყველა მათგანს დაეხმარებოდა. ეს სიმართლეა. გარდაცვლილის ლოცვები ფხიზლად მფარველობს მის მიერ შექმნილ სავანეს და ის, როგორც ადრე, ასევე ახლაც ამ სავანის მკვიდრთა მფარველ ანგელოზად გვევლინება.

ეს ღღე ივდრიანი იყო. შემოდგომის გამჭოლი, ცივი ქარი უბერავდა, გადაულებელმა წვიმამ, რომელიც ხან სუსტდებოდა, ხან კი ისევ ძლიერდებოდა, მგზავრები დაასველა და მთლიანად გაულიხთა მიწა; მაგრამ ბერის თაყვანისმცემლების გულმოდგინებას ვერაფერი შეანერებდა. კუბო ოპტინამდე მთელი გზა, რიგრიგობით ხელით ატარეს ხან დედებმა, ხან ოპტინელმა ბერებმა და საერო პირებმა. მათ სურდათ, ბოლომდე დაემტკიცებინათ თავისი სიყვარული და ერთგულება გარდაცვლილი მოძღვრისადმი. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა მთელი გზა შეუცვლელად ატარა ის. მხოლოდ გაჩერებისას ერთი მხრიდან მეორეზე გადაჰქონდა. კუბოს რამდენიმე ვერსზე გაჭიმული ათასობით ადამიანი უკან მიჰყვებოდა. მსვლელობა ნელი იყო. მიუხედავად წვიმისა და ქარისა, ხშირად ჩერდებოდნენ და შესანდობარ ლიტიას აღასრულებდნენ. ბოლოს კი კოკისპირული წვიმის გამო ლიტია მსვლელობისას შეუჩერებლად სრულდებოდა. გზად სოფლებს რომ გადიოდნენ, ბერის ნაწილების გადასვენებას სამგლოვიარო სარების რეკვაც მიაცილებდა. მღვდლები სამღვდელმსახურო სამოსელში, ბაირაღებითა და ხატებით შესახვედრად გამოდიოდნენ ეკლესიებიდან. სოფლელები ლოკვლობდნენ, ხოგიერთი მათგანი ემთხვეოდა კიდეც ბერის კუბოს და შერწყმა უერთდებოდნენ გამცილებლებს. ამგვარად, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ოპტინის, მით უფრო და უფრო იზრდებოდა ხალხის რაოდენობა. გარდაცვლილი ბერის კუბოს შამორდინოს სავანიდან ოპტინის მონასტრამდე შეუცვლელად მიაცილებდა სამღვდელმსახურო შემოსილი მღვდელ-მონაზონი ილარიუსი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ლიტიასაც აღასრულებდა[200]. უნდა შენიშნოთ, რომ მიუხედავად ასეთი წვიმისა და ქარისა, სანთლები არ ქრებოდა.

[200] ზოგიერთ სტატიაში დაიბეჭდა, რომ ამ სიფყლებში, რომლებიც გზად გაიარეს, ოთქმის ყველა სახლის წინ ლიტიას მსახურობდნენ და ბერის ცხედარს მიაცილებდნენ თეთრი მღვდლები. მაგრამ ეს ტყუილია.

საღამოვდებოდა, უკვე ბინდდებოდა, როცა ბერის ცხედარს ბოლო სოფელ სტენინოში მიასვენებდნენ, რომელიც ოპტინის მონასტრიდან ერთი ვერსითაა დაშორებული. მჭმუნვარედ გუგუნებდა ოპტინის შვიდასწლიანი დიდი ზარი, რომელიც იშვიათი, სომიერი დარტყმებით ასანსარებდა ჰაერს და შორს მიჰქონდა სამწუხარო ცნობა გარდაცვლილის მოახლოების შესახებ. აქ ქალაქ კოსელსკის მთელი სასულიერო ფენა გამოვიდა მის შესახვედრად. ამას დაემატნენ აქაური საერო მკვიდრნიც. მსვლელობა ჯერ კიდევ შორს იყო. შავი ღრუბელივით მიიწევდა ის სავანისკენ. მაღლა, გამცილებელთა თაყვებს სემოთ, საღამოს ნახევრადწყვდიადში ჩანდა შავი კუბო, რომელიც საიდუმლოდ იყო განათებული სანთლების შუქით. მამაოს ცხედარი თითქოს ჰაერში მიცურავდა. ჭეშმარიტად, ეს სამწუხარო–საოცნებო გასვენება გარდაცვლილი ბერისა, სოგიერთის შენიშვნით, უყურე ნაწილთა გადმოსვენებას ჰგავდა და გულის ამაჩუყებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე ცხედრის გადასვენებას.

არცთუ ისე ფართო მდინარე ჟიდრაზე, რომელიც სედ მონასტერთან მოედინება, ჩვეულებრივ, ბორანით გადადიოდნენ, ხოლმე, მაგრამ ამჯერად დროებითი ხიდი იყო მოწყობილი. ამ მდინარის ნაპირსე გარდაცვლილი ბერის შესახვედრად ხატებით, ბაირაღებითა და ანთებული სანთლებით გამოვიდა ორი არქიმანდრიტი მრავალრიცხოვან სასულიერო დასთან, მონაზვნებთან და ჩამოსულ მღვდლებთან, ასევე მონასტრის საძმოსთან და საერო ხალხთან ერთად. ისინი ხიდთან გაჩერდნენ. იქ კი, ხიდს გაღმა, ქვემოთ განცალკევებულად, მიუხედავად წვიმისა და ტალახისა, ბერი ამბროსის ცხედრის შესახვედრად, მოდიოდა ღარიბულ სამოსში ჩაცმული მღვდელ-მონაზონი იოსები რომელიც 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განუშორებლად მყოფობდა მამაოსთან. ახლა ის გახლდათ მისი შემცვლელი მონაზონი. არ დაეტოვებთ უყურადღებოდ ახლანდელი მეუფროსე ბერის, მამა იოსების შენიშვნას. „შემოდგომა, – ასე გადმოგვცემს ის, – როცა გარდაიცვალა მამა ამბროსი, იყო მშრალი და მომაგალი წლის მიუხედავად (ცუდი მოსავლით) იმუქრებოდა, მაგრამ შემოდგომიდან ოპტინის მონასტერში მისი გადმოსვენების დღიდან, როგორც მამაოს მიერ

ღვთისაგან გამოთხოვილი წყალობა, წვიმები დაიწყო.

დიდებული სანახაობა იყო, როდესაც ხიდ'ზე გადმოსვლის მერე ბერის ცხედარი მრავალრიცხოვან ღვთისმსახურთა დასში შეასვენეს, რომლებიც ბრჭყვიალა შესამოსელ'ში შემოეგებნენ მას, და უამრავი ხალხი ორივე მხრიდან შეერია ერთმანეთს. 'სარების სამგლოვიარო რეკვა. მგალობელთა გალობა, გაშლილი ბაირაღები, ორივე მხრიდან თვალუწვდომელი ხალხის სიმრავლე და ბოლოს ეს ღარიბული კუბო, რომელსაც მისჩერებოდა ყველას ცრემლიანი თვალები, – ყოველივე ეს ყველას სტკენდა გულს, ვინც აქ იმისათვის შეიკრიბა, რომ უკანასკნელი პატივი მიეგოთ ბერისთვის. ისინი მჯურვალედ ლოცულობდნენ 'ხეციურ სავანეში ბერის სულის განსვენება'ს'ე; გ'ულით განიცდიდნენ ძვირფასი მამის დაკარგვას და სთხოვდნენ მას მეოხებას უ'ზენაესი 'სეციერი მამის წინაშე.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა. აქვე, მდინარის ნაპირ'ზე, წინასწარვე აღასრულეს ლიტია და მსვლელობა მონასტრის ჩრდილო კარიბჭის მიმართულებით გაგრძელდა. ისევ აკურდა ბერის ცხედარი მონა'სვნების თავს 'სემოთ და შეეიდა მშობლიურ სავანეში, რომელიც ახლა ძვირფას მამას სადღესასწაულო 'სარით შეხვდა. როგორც კი კუბო ჭიშკარში შეაბრძანეს, ის მაშინვე დაკეტეს, რადგან ხალხი უწესრიგოდ მოაწვა; თუმცა, ეს ცოტა ხანს გაგრძელდა; როცა ხალხი ოდნავ დამშვიდდა, ჭიშკარი ისევ გაიღო.

სავანეში შესვენებული ბერის კუბო ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ცივ ტაძარში დაასვენეს, რომელიც სადღესასწაულოდ ბრწყინავდა, – აანთეს დიდი ჭაღი და უამრავი სანთელი. სავანის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ისააკმა, რამდენიმე მღვდელ-მონა'სონთან ერთად პანაშვიდი გადაიხადა. ამით დასრულდა ახალ'მსვენებული ბერის შეხვედრა. უკვე ექვსი საათი იყო, როდესაც მეუფე ვიტალის მოახსენეს, რომ ბერის გადასვენება დასრულებული იყო; მან მადლობა 'მესწირა უფალს იმისათვის, რომ მისი შეწევნით ყველაფერი კარგად მოეწყო, ხოლო მღვდელ-მონა'სონი ილარიუსი, რომელიც მთელი გ'ზა ფეხით მიჰყვებოდა ბერის ცხედარს, მეორე დღეს სამეუფო მსახურებისას საგვერდულით დააჯილდოვა. რამდენიმე ხანში დაიწყო საღღესასწაულო ღამისთევა ყა'სანის

ღვთისმშობლის ხატის სახელობის თბილ ტაძარში; ამასობაში კი ბერის ცხედარი ისევ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძარში რჩებოდა, სადაც მთელი ღამე შეუწყვეტლად აღასრულებდნენ პანაშვიდებს. ტაძარიც სავსე იყო მლოცველი ხალხით.

„მახსოვს, – წერს ქალბატონი თავის თავზე, – ერთხელ ტაძრიდან გავედით (სადაც ბერი ამბროსი ესვენა), რათა სადმე სასტუმროში ნომერი მოგვეძებნა, ოდნავ გავმთბარიყავით და ტანისამოსიც გაგვეშრო, რადგან გამოსაცვლელი არაფერი გვქონდა. ყველა იყო სველი, ნახევრად გაყინული და (ჰოი საოცრებავ!) არც ერთი არა მხოლოდ ავად არ გამხდარა, არამედ სურდოც არავის შეჰყრია, მიუხედავად იმისა, რომ ფეხებიც სველი გვქონდა და გაყინულ ტაძარშიც ვიდექით“.

მეორე დღეს, 15 ოქტომბერს, სამშაბათს, ცხედარი ჟანის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში გადაასვენეს. ათი საათისთვის დაიწყო ლიტურგია, რომელიც, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, მეუფე ვიტალიმ აღავლინა. მისი თანამწირველები გახლდნენ: ორი არქიმანდრიტი – მოსე და ისააკი, სამი იღუმენი და ხუთი მღვდელ-მონაზონი. მარჯვენა კლირში მეუფის გუნდი გალობდა, ხოლო მარცხენაში – სამონასტრო. ეკლესია სავსე იყო მლოცველებით. წირვაზე მოვიდნენ ქალაქ კოზელსკის საერო წარმომადგენლები – მაზრის განმგებელი, ქალაქის თავი და რამდენიმე ცნობილი პირი. ლიტურგიის ბოლოს მეუფემ ხალხს მიმართა და მშვენიერი, გულის ამაჩუყებელი სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვაში მან მიუთითა იმაზე, რომ მეუფროსე ბერობა, რომელიც ოპტინის მონასტერში აყვავდა, განსაკუთრებით ბერი ამბროსის პიროვნებაში ჰყვაოდა. მან გამოთქვა გულწრფელი სინანული, რომ პირადად არ მოუხდა ცხოვრებაში საუბარი ამ ღირსშესანიშნავ ბერთან, რათა მასთან სულიერ ურთიერთობაში შესულიყო. შემდეგ აღწერა ის უდიდესი განსაცდელი, რომელსაც ოპტინელი ბერები განიცდიდნენ თავისი მეუფროსე მონაზვნის დაკარგვის გამო, შამორდინოს დედები, რომელთაც დაკარგეს მამა და მფარველი, და ბოლოს მთელი რუსეთი, რომელმაც რწმენის ხელმძღვანელი და დასაყრდენი დაკარგა ამ მცირედმორწმუნეობის დროს. შემდეგ კი

ანუგეშა ყველა იმით, რომ ბერმა ისინი მხოლოდ სხეულით დატოვა და სულით მუდამ ხედავს მათ საქმეებს და ლოცულობს მათზე. დასასრულ ყველას მოუწოდა, ელოცათ გარდაცვლილის სულისთვის და ამასთანავე ეთხოვათ მისი მეოხება ღვთის წინაშე და დაიმედა, რომ მათი ლოცვა სასიამოვნო იქნებოდა ბერისთვის იმ შემთხვევაში, თუ მამა ამბროსის მიემსგავსებოდნენ ქრისტესმიერ სიყვარულში. მწყემსმთავრულ–მეუფებრივი ტონი და მეტყველება განმანათლებელ-მქადაგებელი მღვდელმთავრისა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე და საზოგიერთოში მოკრძალების ცრემლიც კი გამოიწვია.

ლიტურგიის დამთავრების შემდგომ მეუფემ პანაშვიდი გადაუხადა ბერს, რომელშიც თეთრ ფილონში შემოსილი ორმოცი ღვთისმსახური მონაწილეობდა. პანაშვიდის ბოლოს, მე-9 კანონის გალობის მერე, სემოსსენებულმა აკადემიკოსმა, მღვდელ-მონაზონმა გრიგოლმა, მეუფის კურთხევით მოკლე გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა გარდაცვლილს[201], სადაც მან წარმოთქვა უკანასკნელი მისალმება მოსკოვის სასულიერო აკადემიის სახელით; აღნიშნა ბერის მონასტერში მოღვაწეობა და მის მიერ მოყვასისადმი გაწეული აურაცხელი სამსახური. სიტყვა ახალგაზრდა მქადაგებელმა მუხლმოდრეკით დაასრულა.

პანაშვიდის შემდეგ მღვდელმსახურებმა ხელში აიტაცეს ბერის ცხედარი და წმინდა ხატებითა და ბაირაღების თანხლებით მომზადებული საფლავისკენ გაემართნენ. კუბოს სრულად შემოსილი მეუფე სხვა მღვდელმსახურებთან ერთად მიჰყვებოდნენ. გალობასთან შეერთებული სამგლოვიარო ზარების რეკვა ბერს მარადიული განსასვენებლისაკენ მიაცილებდა.

განსვენებულ ბერ ამბროსის, რომელიც ძალიან მოკრძალებული იყო თავისი სულიერი მოძღვრის, მამა მაკარის წინაშე, ჩვეულებად ჰქონდა ეთქვა: „დიდი ადამიანი იყო მამა მაკარი! დაე, ღმერთმა ინებოს ჩემი მის ფერხთით ყოფნა“. ოპტინის მონასტრის მომლოცველებს ახსოვთ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის ახლოს, გზიდან მარცხნივ მდებარე

[201] იხ. მღვდელ-მონაზონ გრიგოლის სიტყვა №7 დანართში

მამა მაკარის საფლავ'სე დაშენებული თეთრი სამლოცველო. ამ სამლოცველოს გვერდით მოამ'სადეს ახალშესვენებული ბერი ამბროსის სამარხი. მეუფის მიერ შესრულებული ლიტიის შემდგომ, კუბო საფლავში მომ'სადებულ გაფის'ელ ყუო'ში ჩაუ'შვეს, რომელიც განსაკუთრებული თავსახ'ურით იყო დაკეტილი. მეუფემ პირველმა მიაყარა მიწა. მის გვერდით ისეთი სიმჭიდროვე იყო, რომ 'სოგიერთმა ღვთისმსახ'ურმაც კი ვერ მოახერხა კუბო'სე მიწის მიყრა. შემდეგ კი საფლავს თაღები გაუკეთდა. და აი, გაჩნდა ახალი საფლავი, სადაც ძვირფასი საუნჯე, ღვთის მადლის დამტევნელი ჭურჭელი, წმინდა და დიდი სულის ტაძარი – მრავალნამოღვაწარი ბერის, მღვდელ-მონა'სონ მამა ამბროსის სხეული განისვენებს! გავიხსენოთ ისიც, რომ, როგორც 'სემოთ იყო აღნი'შნული, მამა ამბროსი ცხოვრებაში მხ'ურვალედ მლოცველი იყო. ის მარადის განაღვიძებს თავისიანებს, ევედრონ ქრისტიანთა გულისხმიერ მეოხს – დედა ღვთისმ'შობელს და მის წმინდა ხატს – „ნაყოფიერების მომნიჭებლად“ წოდებულს; მამაომ უანდერძა მათ, რომ ამ წმინდა ხატის დღედ 15 ოქტომბერი ედღესას'აულათ. ამ დღეს მიაბარეს მიწას მისი წმინდა სხეულიც. აღსანი'შნავი დამთხვევაა!

„როცა მამაო დავმარხეთ, – აღნი'შნავს ერთი საერო პირი, – რომელიღაც მასთან დაახლოებული ბერი საფლავთან იდგა. მას ხელები გულ'სე ჰქონდა ჯვრისებ'ურად დაწ'ყობილი და შიგნით იკ'ურებოდა. ყველა სატრაპე'სოდ გაემართა. ორი საათი გავიდა. ის ბერი კი იქვე, იმავე მდგომარეობაში, იდგა მამაოს საფლავთან“.

„საოცარია, – ამბობს იგივე პირი, – რომ ორივე მონასტერში (ოპტინა'ში და შამორდინო'ში), სადაც ბერი ცხოვრობდა, მისი დაკარგვა უფრო ადვილად გადასატანია. იქ გულ'წრფელად და ღრმად, მაგრამ სასოწ'არკვეთილების გარე'შე განიცდიან. მამაოს ყველა'ს ახლო ადამიანთან შეგიძლია, ილაპარაკო მას'ზე. ყველა მ'შვიდად და თავშეკავებ'ულად აკეთებს თავის საქმეს. მხოლოდ 'სოგჯერ მტკივნეულად შეიჭმუხნება მონა'სენის სახე, ან მძიმედ ჩაფიქრებ'ულს იხილავ მას. 'სოგჯერ კი ბერ'სე საუბრისას ვიღაც წ'ყნარად, ოხერით ამოიბ'უტბ'უტებს: „ეჰ, მამაო, მამაო!“ – და ყველაფერი დამშვიდდება. რაოდენი თავმდაბალი წ'უხილი ისმის ამ მოკლე სიტ'ყვებში. ვისთანაც

არ ისაუბრებ მას'ხე, ის ყველას უყვარს, ყველა მისი მადლიერია. ვინ არ უყვარდა მას? – აი საერთო გულისთქმა".

ორ საათზე ქალეხის სუფრა იყო სტუმრებისთვის გაშლილი, რომელშიც, როგორც ადრე, ახლაც მონაწილეობდა მეუფე. ის ძველი საავადმყოფოს – ელადიმირის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში გაშალეს. როგორც უწინ შამორდინოში, ახლაც აქ დაახლოებით 500-მა ადამიანმა ისადილა. ტრაპე'სის ბოლოს, როცა მამა ამბროსის შესანდობარი მიირთვეს, მეუფემ იქ მყოფთ სიტყვით მიმართა. ყველას სთხოვა, რომ ელოცათ გარდაცვლილისთვის, შემდეგ კი თავისი და ოპტინის საკანის სახელით მადლობა გადაუხადა იმ პირებს, ვინც მამა ამბროსის დასაფასებლად ჩამოვიდა; განსაკუთრებით მადლობას უხდიდა შამორდინოს დედათა საკანის ქველმოქმედ ა. ი. პერლოვას, ქალაქ კოზელსკის სასულიერო დასს, მაზრის უფროსს და ქალაქის თავს, მოსკოვის სასულიერო აკადემიიდან გამოგ'საენილ ორ მღვდელ-მონა'სონ აკადემიკოსს და ლოცავდა მათ იმ სიხარულის მოტანისთვის, რომელიც მათი მოსვლით იქნა გა'სიარებული ორივე საკანში. აგრეთვე ის მადლობას უხდიდა ყველას, ვინც ეს სამწუხარო ამბავი გაიზიარა. ამავე დროს, მამა ამბროსის ახალ საფლავ'ზე გვიან ღამემდე მრავალი თაყვანისმცემლის ტირილის თანხლებით პანაშვიდი და გალობა ისმოდა.

ასე დამთავრდა სამწუხარო, მაგრამ იმავდროულად სანუგეშო დღესასწაულობა მართალი სულის დაუღამებელ სამყაროში გადასვლისა, სადაც წმინდა მედღესასწაულეთა ხმა ისმის და ენით გამოუთქმელი სიხარულია!

16 ოქტომბერს კალუგაში გამგზავრების წინ მეუფე ვიტალიმ ყაზანის ტაძარში შეკრებილ ძმებს გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა, რომელშიც კვლავ ახსნა გარდაცვლილი ბერი ამბროსის დიდი დამსახურება. მან მოკლედ და გასაგებად აღწერა მისი სულიერი სახე, რომელიც მაღალი ქრისტიანული სიყვარულით სუნთქავდა და ყველას მოუწოდა, დაემახსოვრებინათ მისი (ბერის) სახე და მიმსგავსებოდნენ მას. ახსენა ბერობა, როგორც ოპტინის განსაკუთრებულობა და მოუწოდა მათ, ელოცათ, რათა ღმერთს არ მიეტოვებინა ოპტინის საკანე თავისი მფარველობის გარეშე და

გამოეჩინა მისთვის ახალი მნათობი, ბერი ამბროსის მემკვიდრე და მსგავსი. შემდეგ დალოცა ძმები და მშვიდობით გაუდგა გზას.

ხოლო ჩვენ, გარდაცვლილისადმი სიყვარულით ანთებულნი, ისევ მივმართავთ ჩვენს გონებასა და გრძნობას მამა ამბროსისკენ.

მამაოს ნეტარი მიცვალების შემდეგ ოპტინელები და შამორდინოელები დიდხანს ვერ დამშვიდდნენ. მათ ეჩვენებოდათ, რომ ირგვლივ სიცარიელე იყო, რასაც ვერაფრით შეავსებდნენ. ერთხელ შამორდინოს ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა მოიფიქრეს, ემღერათ ის ლექსები, რომელსაც თავის დროზე მამაოსთვის მღეროდნენ: „მშობლიურო მამაო, წმინდაო მამაო“– მაგრამ, როგორც კი სიმღერა დაიწყეს, მაშინვე ყველას ცრემლები წამოუვიდა და სიმღერის მაგივრად მწარე ტირილი გამოუვიდათ.

ოპტინაში ბერის საფლავზე მალე სამკედლიანი სამლოცველო აშენდა, ხოლო მეოთხე კედლად კი ბერი მაკარის საფლავზე აშენებული სამლოცველო გამოიყენეს. ზედ შესაბამისი წარწერა გაუკეთეს, ხოლო შიგნით – მარმარილოს კუბო, და ისიც წარწერით: „უძლურთათვის გავხდი უძლურივით, რათა უძლურნი შემეძინა. ყველასათვის ყველაფერი გავხდი, რათა ზოგიერთები როგორმე მეხსნა“ (1 კორ. IX, 22). ამ კუბოს გვერდიდან ხერელი აქვს დატანებული, საიდანაც ბერის თაყვანისმცემლები ქვიშას იღებენ, როგორც შეწევნასა და კურთხევას.

ამ სამლოცველოსთან ჩამველელმა ერთმა მომლოცველმა დაინახა, რომ მოხუცი ხელოსანი ღებავდა მას. „თქვენ იცნობდით ბერს?“ – იკითხა მან; – „როგორ არ მეცოდინებოდა ჩემი კეთილისმყოფელი? – უპასუხა ხელოსანმა. – „ერთხელ მე მას ვუთხარი: მამაო! მე ხომ დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, ხომ ხედავთ ჩემს ჯანმრთელობას. მან კი მიპასუხა: „შენ ჯერ მე შემღებავ“. მაშინ ვერ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ეს და აი, მის საფლავზე აგებული სამლოცველოს შეღებვა მომიწია“, და ხელოსანი უსიტყვოდ აგრძელებდა თავის საქმეს.

თუმცა დრო და გარემოება განაქარვებენ მწუხარებას, როგორიც არ უნდა იყოს ის. უსასო მწუხარებით იყვნენ მოცულნი მამა ამბროსის თაყვანისმცემლები მისი გარდაცვალების დროს, მაგრამ

მალევე მათ ინუგეშეს საკუთარი თავი იმ აზრით, რომ ბერი მხოლოდ სხეულით მოკვდა, ხოლო მისი სული მარადიულად ცხოველია, ბრძენის სიტყვებისაებრ: „მართალნი კი საუკუნოდ იცოცხლებენ“ (სიბრძნე სოლომონისა V, 15). ეს სიტყვები საქმითაც მტკიცდება.

ჯერ ერთი, რაც ბერმა მომავალზე თქვა, ყველაფერი ან უკვე აღსრულდა, ან მოდის სისრულეში. მაგალითად, როცა ის სასიკვდილო სარეცელზე იწვა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხსენებულ ქალბატონს ყველაფერში დახმარებას შეჰპირდა; და აი, რას წერს ის: „მამაოს სიკვდილიდან არ გასულა სამი თუ ოთხი დღე, როცა მისი სხეული ჯერ კიდევ შამორდინოში ესვენა, მე საშინელ ვაებაში ვიყავი, რომელმაც თითქმის სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა. დროდადრო ვდრტვინავდი: „ღმერთო ჩემო, – ვეუბნებოდი ჩემს თავს, – ეს რა ქნა მამაომ? მიგვიღო თუ არა, მაშინვე შეგვმოსა მონაზვნის კაბაში, თვითონ კი დაგვტოვა.“ ეს ყველაფერი ბუნდოვნად იხარშებოდა ჩემს სნეულ თავში. ფხიზელი ძილით მიძინებულმა, არ მახსოვს – სახლში თუ ეკლესიაში (ჩვენ ეკლესიაში ვათევდით ღამეს, სახლში მხოლოდ მცირე ხნით მივდიოდით), მამა ამბროსი ვნახე, რომელიც ჩემკენ მოდიოდა. მას თავისი შავი ხალათი და ქუდი ემოსა. მე თითქოს რაღაც გრძელ საავარძელში ვიჯექი. მან ხელი ასწია და უკმაყოფილო ხმით დამაყვედრა: „მე თქვენ არასოდეს მიგატოვებთ“. მე უცბად წამოვხტი. სიზმარი ისეთი ნათელი და ცხადი იყო, რომ გალვიძებულს მამაოს ხმა ყურებში მესმოდა. ამან ძალიან დამამშვიდა“. კიდევ მრავალი ხილვა აქვს ამ ქალბატონს ნანახი, როგორც სიზმარში, ისე ცხადად. მამაო, როგორც ცოცხალი, არუგეშებდა, გონს მოჰყავდა, და ამაგრებდა ამ ქალბატონს სხვადასხვა განსაცდელის ჟამს, რის შემდეგაც სიმშვიდე იმკვიდრებდა მის სულში.

ან კიდევ: ბერი წინასწარმეტყველებდა მის მიერ შექმნილი შამორდინოს სავანის აყვავებაზე. მისი გარდაცვალებიდან სულ ცოტა ხანი გავიდა, მაგრამ მისი სიტყვა საქმით მართლდება. უზარმაზარი ქვის ტაძარი, რომელსაც მამა ამბროსიმ მხოლოდ საძირკველი ჩაუყარა, ახლა უკვე თითქმის მზადაა. აშენდა უზარმაზარი ქვის კორპუსები – სატრაპეზო, დაერდომილთა

თავშესაფარი და სხვა. სავანეში სხვადასხვა მხატვრული ხელსაქმე კეთდება: მხატვრობა, ფოტოგრაფია, სამჭედლო სამუშაოები – მოვერცხლვა და მოოქროება, შესანიშნავი ხალიჩების ქსოვა, ოქროთი და შალით კერვა; იქ მოღვაწეობდნენ წიგნის გადამკერულები, კალიგრაფები და სხვანი. ასე რომ, 'სოგიერთის თქმით, ასლა უკვე შამორდინოს სავანემ, მამა ამბროსის წინასწარმეტყველებისამებრ, ბევრ საქმეში გაუსწრო ოპტინის მონასტერს. (ეს არ არის ნათქვამი ოპტინის მონასტრის დასამცრობად. და, ნუ მოხდება ეს! ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ შამორდინოს სავანე თავისი შინაგანი და გარეგნული წესით და თავისი დაწესებულებებით ოპტინელი ბერების ნახელავია. ის ოპტინელმა ბერმა დააფუძნა და ოპტინელი ბერებისვე დახმარებით აყვავდა. და ახლაც ისინი ასახრდოებენ შამორდინოს, უპირატესად 'სნეობრივი კუთხით. მის გარეგნულ მოწყობას 'სრუნავდა დამსახურებული მოსკოველი მოქალაქე, სერგო ვასილის ძე პერლოვი, რომელმაც სავანის ყველა კაპიტალური შენობა თავისი ხარჯით ააშენა). ეს გარემოებები, რა თქმა უნდა, ბერი ამბროსის ლოცვებითა და ღვთის განგებულებით ეუძლევს იმედს, რომ სავანე უფრო და უფრო მეტად აყვავდება.

მეორე მხრივ, ბერი ამბროსი მარადიული ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც უფლისადმი დიდი კადნიერების მქონე, რადგან უკვე ახლა, მისი სიკვდილის შემდეგ, მისგან იკურნებიან.

1897 წლის ოქტომბრის „სულისმარგებელი საკითხავებში" გამოქვეყნებულია ვინმე ნიკოლოზ იაკოვლევის ძე შიროკოვის წერილი, რომელიც ახლანდელი ოპტინელი ბერის, მამა იოსების მისამართითაა დაწერილი. იქ, სხვათა შორის, ეკითხულობთ შემდეგს: „მე, – ამბობს შიროკოვი, – ძალიან ავად გახლდით: მტკიოდა თავი და ფეხები. 1896 წლის 26 ნოემბერს მამაჩემმა ჩვენი სოფლის მღვდლისგან მოიტანა წიგნი „სულისმარგებელი საკითხავები", სადაც წავიკითხე სტატია მამა ამბროსიზე. მისი წაკითხვის მერე ცოტაოდენი ვიფიქრე და გულით დავიწყე ლოცვა, – მამა ამბროსის ჩემი უძლურების განკურნებას ვთხოვდი. ლოცვის შემდეგ ფეხისელი ძილით დავიძინე. ჩაძინება ვერ მოვასწარი, რომ ჩემ წინ არაჩვეულებრივი სინათლე აელვარდა, რომელიც მალე გაქრა, მხოლოდ

ერთი ღრუბლის მაგვარი ნაკვალევი დატოვა. მოულოდნელად მომესმა მომავალი კაცის ფეხის ხმა. მალე ჩემ წინ მანტიაში შემოსილი, ჭაღარა მამაკაცი დაინახე, რომელსაც მკერდ'ზე ჯვარი ჰქონდა ჩამოკიდებული. მე შევეცდები, აღვწეროთ ის: არცთუ ისე მაღალი, სახე მარხვით ჩამომხმარი, ძალიან ნათელი, კეხიანი ცხვირი, თხელი, ჭაღარა თმა და წვერი, ხმა საკმაოდ ჟღერადი. ამას გარდა, მარცხენა ხელში სკვნილი ეჭირა, ხოლო მარჯვენაში – კვერთხი. ის მოვიდა ჩემს ლოგინთან და მითხრა: „შვილო, ნიკოლო'ს! ადექი, იჩქარე ეკლესიაში, იმსახურე წმინდა ამბროსი მედიოლანელის პარაკლისი და მალე გამოჯანმრთელდები". მან ხელი მომკიდა, დამლოცა და თავისი კვერთხით შეეხო ჩემს ფეხებს, რითაც მალევე შევება ვიგრძენი. მომცა სეფისკვერის მსგავსი რამ და უცბად თავ'ში რაღაც ახმაურდა. მაშინ ძალიან შემეშინდა და ვიფიქრე, რომ მხრებ'ზე თავი აღარ მება. ბერმა თავ'ს მანტია დამაფარა, კიდევ ერთხელ მაკურთხა და ღირსმყო ვმთხვეოდი მის ხელს. მე კი გავკადნიერდი და ვკითხე: „თქვენ რა გქვიათ?" კი მიპასუხა: „ვისი პარაკლისის ჩატარებაც გიბრძანეთ, მის სახელს ვატარებ. მე ვარ სქემმღვდელ-მონაზონი ამბროსი ოპტინიდან", – ეს თქვა და გაუჩინარდა. გაღვიძებულმა ძალიან გავიხარე, რომ გამოვჯანმრთელდი და ნათესავებსაც ძალიან გაუხარდათ. ამის თაობა'ზე კი მაშინ მათ არ მოუყვევი, მხოლოდ ჩემს უბის წიგნაკში ჩავიწერე. მაგრამ ახლა ეს გამოცხადება ისევ განმეორდა. მამა ამბროსი გამომეცხადა კუბოში მწოლი, სქემაში შეხვეული და მითხრა: „ღვთის მონა ნიკოლო'ს, რატომ დუმხარ ღვთის მოწყალება'ზე და რატომ არ აცნობებ ოპტინის მონასტერში შენს გამოჯანმრთელებას?" მხოლოდ ამიტომ გავბედე, ეს ყოველივე მეცნობებინა თქვენი მაღალყოვლადღირსებისთვის და ამასთან ერთად მეთხოვა თქვენთვის, მამა იოსებ, 'უკურადღებოდ არ დაგეტოვებინათ ჩემი მონათხრობი და სხვების სასარგებლოდ გამოგექვეყნებინათ მამა ამბროსის ბიოგრაფიაში".

კიდევ არის მსგავსი ნაწყვეტი დაუბეჭდავი წერილიდან, რომელიც მიიღო ლუდმილა ოსიპის ასულ რაევსკაიამ 1898 წლის 23 თებერვალს, რომელიც შამორდინოს სავანეში ცხოვრობდა:

„გუშინ ჩამოვიდა ე. და ჰყვებოდა, რომ ერთი ქალბატონი, ლ-ს

ნათესაები, მას მოსკოვიდან სწერდა თავისი ქმრის ავადმყოფობის შესახებ. ექიმებმა მის მკურნალობაზე უარი თქვეს და ისიც უკვე კვდებოდა. ერთ საღამოს მან თავისი ლოგინის გვერდით იხილა ბერი, რომელიც მასზე ლოცულობდა; ბერმა უთხრა: „შეუკვეთეთ წმინდა ამბროსი მედიოლანელის პარაკლისი“, – და გაქრა. ავადმყოფმა უთხრა ეს მეუღლეს და მათაც ჩაატარებინეს პარაკლისი. ის ეზიარა და იმ დღიდან დაიწყო გამოჯანმრთელება; ლოგინიდანაც კი ადგა, მაგრამ ბერის გამოცხადებაზე არაფერს უამბო. როდესაც მან თავი უკვე ძალიან კარგად იგრძნო, მას ისევ გამოეცხადა იგივე ბერი (ყოფილმა ავადმყოფმა იცნო ის) და უთხრა: „შენ ახლა სრულიად ჯანმრთელი ხარ, რატომ მალავ და არ ჰყვები შენს მოკეთებას? საჭიროა, რომ ითქვას: შენ წინ კი ოპტინელი ბერი ამბროსია“, – და გაქრა. როცა ვ. ჰყვებოდა, მე შემრცხვა, გულში კი რაღაც სიხარული მომეფინა, რასაც ვერ გადმოვცემ. ის, ალბათ, არც ჩვენ მიგვატოვებს“.

ამას დაეუმატებთ, რომ ბერის მიერ განკურნებული ადამიანების რიცხვი აქ მოყვანილი მაგალითებით არ შემოიფარგლება.

დასასრულ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შამორდინოელი მონაზვნის ორ მნიშვნელოვან სიზმარზე, რაც წარმოგვიჩენს, როგორც ჩვენ ყველას გვწამს, დიდი ოპტინელი ბერის, მამა ამბროსის იმქვეყნიურ ხვედრს. აი მისი მონათხრობი:

„ბერის გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ვნახე, თითქოს მშვენიერ ბაღში ვიდექი. მაღალ ხეებზე ფოთლები შრიალებდნენ და ყოველი ფოთოლი იმეორებდა ლოცვას: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. თითქოს ამ ბაღში ნათელი ტაძარი იდგა. შევედი და ვხედავ, რომ გუმბათი დაუსრულებელი იყო. მაშინ გავიგონე ხმა: „ეს საცხოვრებელი ბერი ამბროსისთვის არის გამზადებული და მალე დამთავრდება“.

„როგორც კი მამაო გარდაიცვალა, მისი კუბო ვიხილე. და აი, თეთრ ფილონებში მოსილი ოთხი ანგელოზი დაეშვა (მათი ფილონები ბრწყინავდნენ); ხელში მათ სანთლები და საკვეცხლურები ეჭირათ. მე ვიკითხე, თუ რატომ იყვნენ ნათლის ანგელოზები მამაოს კუბოსთან; მათ მიპასუხეს: „ეს იმიტომ, რომ ის ასეთი

განწმენდილი იყო“. შემდგომ ისევე დაეშვა ოთხი ანგელოსი წითელ ფილონებში და მათი ფილონები წინარეზე მშვენიერი იყო. მე კვლავ ვიკითხე. მათ კი მიპასუხეს: „იმიტომ, რომ ის ესოდენ მოწყალე იყო, ძალზე მოსიყვარულე“. კვლავ დაეშვა გამოუთქმელი სილამაზის ცისფერ ფილონებში ოთხი ანგელოსი. მე ისევე ვიკითხე და ისევე იყო პასუხი: „ეს იმიტომ, რომ ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა გადაიტანა და ესოდენ მოთმინებით მიჰქონდა თავისი ჯვარი“.

დასასრული და დიდება ღმერთს!

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ 3
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ 5
I ᲗᲐᲕᲘ. ალექსანდრე მიხეილის ძე გრენკოვის (შემდგომში სქემმონაზონი ამბროსის) დაბადება და აღზრდა . 5
II ᲗᲐᲕᲘ. მიზეზები, რომლებმაც ალექსანდრე მიხეილის ძე აიძულეს წასულიყო მონასტერში . . 14
III ᲗᲐᲕᲘ. ოპტინის უდაბნო ალექსანდრეს მისვლამდე, მისი მოსვლა და განწესება ოპტინის სამრთში 27
IV ᲗᲐᲕᲘ. ალექსანდრეს გადასვლა მონასტრიდან სკიტში და მისი მოღვაწეობის დასაწყისი 37
V ᲗᲐᲕᲘ. მამა ალექსანდრე – ბერი და მღვდელ-მონაზონი ავადმყოფობის ჯვრის ქვეშ 48
VI ᲗᲐᲕᲘ. მღვდელ-მონაზონ ამბროსის ცხოვრება სკიტში მაკარი ბერის აღსრულებამდე 61
VII ᲗᲐᲕᲘ. მღვდელ-მონაზონი ამბროსის ბერობის პირველი წლები სკიტის მმართველ მამა ილარიონის გარდაცვალებამდე . 79
VIII ᲗᲐᲕᲘ. მღვდელ-მონაზონი ამბროსის ბერული მოღვაწეობის საერთო სახე 99
IX ᲗᲐᲕᲘ. კვირა და სადღესასწაულო დღეები და განსაკუთრებული შემთხვევები . . 116
X ᲗᲐᲕᲘ. ბერი ამბროსის ზოგიერთი საერთო მოძღვრებანი, რომელთა უმრავლესობა მინაშენში მოსული ქალბატონების მიერაა ჩაწერილი. 131
XI ᲗᲐᲕᲘ. ბერი ამბროსის მიერ შამორდინოს ყაზანის ქალთა სავანის დაფუძნება . 149
XII ᲗᲐᲕᲘ. სქემოსანი მღვდელ-მონაზონი ბერი ამბროსის ზნეობრივი სახე 162
XIII ᲗᲐᲕᲘ. ბერი ამბროსის სახარებისეული სიყვარული, რომელიც გამოიხატებოდა მოყვასთან მიმართებაში მატერიალური დახმარებით და ბრძნული რჩევებით 174
XIV ᲗᲐᲕᲘ. ბერი ამბროსის წინასწარხედვის კიდევ რამდენიმე შემთხვევა, მოყოლილი საერო პირების მიერ და მისი წერილობითი რჩევები და დარიგებები 197

XV თავი. მამა ამბროსის სიყვარული მოყვასის მიმართ, რომელიც გამოიხატებოდა მის მოქმედ ლოცვაში ღვთის წინაშე, სებუნებრივი დახმარებით, სულიერი და ხორციელი ნეულებების კურნებით 210
XVI თავი. ბერი ამბროსის სიტყვის ძალა, მისი ურთიერთობა მომსვლელებთან და გარეგნული სახე 236
მეორე ნაწილი 253
I თავი. მღვდელ-მონაზონ ამბროსის მიერ რამდენიმე პირის სულიერი მესაჭეობა 253
II თავი. ოპტინელი ბერი ამბროსის სიტყვები 262
III თავი. მამა ამბროსის სულიერი შვილის (ქალბატონის) მოგონებიდან 275
IV თავი. ბერული მესაჭეობა 286
V თავი. ბერის მესაჭეობა: სასწაულები და გამონათქვამები. 304
VI თავი. ბერის მესაჭეობა (გაგრძელება) 318
VII თავი. შამორდინოს პირველი წინამძღვრის სოფიო ასტაფიევას გარდაცვალება და მისი მემკვიდრე 339
VIII თავი. ბერი ამბროსის ორი ვიზიტი შამორდინოს ქალთა სავანეში 1888-1889 წწ. ახალი წინამძღვრის – მონაზონ ევფროსინეს დროს 353
IX თავი. ბერი ამბროსის გადასვლა ოპტინის სკიტიდან შამორდინოს სავანეში 373
X თავი. ბერი ამბროსის სენაკური ცხოვრება შამორდინოს ქალთა სავანეში და მისი სრუნვა სავანეზე . . 386
XI თავი. მამა ამბროსის სამწუხარო გარემოებანი შამორდინოს სავანეში და მისი წინასწარმეტყველება თავის მოახლოებულ სიკვდილზე 402
XII თავი. ბერი ამბროსის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები 414
XIII თავი. ბერი ამბროსის აღსასრული, დასაფლავების წესგანგება და ქელეხი შამორდინოში 428
XIV თავი. ბერი ამბროსის ცხედრის გადასვენება ოპტინის მონასტერში, მისი დაკრძალვა, ქელეხი და საბოლოო ცნობები ბერზე 441

გამომცემლობა "ახალმა ივირონმა"
საეკლესიო ბიბლიოთეკის სერიით
გამოსცა 12 ტომი:

I ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა

II წმ. იოანე სინელის „კლემაქსი ანუ კიბე"

III ლოცვანი და დაუჯდომელი ღმრთისმშობლისა

IV ფსალმუნნი

V „სათნოებათმოყვარეობა"

VI „მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან"

VII ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია"

VIII ელდარ ბუბულაშვილი.
„საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები"

IX მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის
„მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია".

X თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორია"

XI ვასილი ბოლოტოვის „ეკლესიის ისტორია
მსოფლიო კრებების პერიოდში"

„დიდი კურთხევანი" (I ტომი).

გამომცემლობა "ახალი ივირონის" მიერ უახლოეს მომავალში გამოიცემა:

წმ. აბბა დოროთეს „სწავლანი"

ჰერმიას სოძომენეს „საეკლესიო ისტორია"

წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელის „უხილავი ბრძოლა"

„ქართლის ცხოვრება" (*ახალქართული თარგმანი*)

გამოსაცემად მზადდება:

პ. ლებედევის „მსოფლიო კრებები".

ნემესიოს ემესელის „ადამიანის ბუნების შესახებ".

ე. ბუბულაშვილის „საქართველოს ეკლესია ებზარძ(ო)სობის პერიოდში"

არქიმანდრიტ კირიანე კერნის „სამოძღვრო ღვთისმეტყველება"

პროფ. ვასილი ზენკოვსკის „ალზრდის პრობლემები ქრისტიანული ანთრ(ო)პ(ო)ლ(ო)გიის თვალსაზრისით"

დამასკინი „მამა სერაფიმ როუზის ცხოვრება"

მიტრ(ო)პ(ო)ლიტ იეროთეოს ვლახოსის „ერთი ღამე ათ(ო)ნის მთაზე"

„ლავსაიკ(ო)ნი"

„კატეხიზმ(ო)"

„დიდი კურთხევანი" (II ტ(ო)მი).